114
1949

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

9

სექტემბერი

1949

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი ოცდამეექვსე

135991
4573

9

სექტემბერი

★

Библиотека

თბილისი

1949

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დემნა შენგელაია

წითელი ყაყაჩო

რომანი

ნაწილი მეორე *

★

თავი პირველი

18

გაზაფხულის ჩამავალ მზის სხივებში გარინდებული ცისფერი ლაინისფრად ჩაქუფრულ ტყეს უსწორმასხოროდ მოეხაზა. საღამოს ინისფერ ნისლში აცურებული მინდორველი თვლემდა, ძილის წინ თითქოს იშმუშნებოდა. ფრონტის გუგუნი ტყის იქიდან ყრუდ, გულჩათხრობილად მოისმოდა, სიჩუმე კიდევ უფრო ღრმა, კიდევ უფრო მყუდრო მეჩვენებოდა.

ასფალტდაშიგნულ შარაგზის გასწვრივ ლიანდაგაყრილი რკინიგზა თოკივით მიიკლაკნებოდა. უკან დახევის დროს მტრისაგან გადახერხილი, გამოუსადეგრად ქცეული ტელეგრაფის ბოძები, დამწვარ-დალეწილ ორთქლმავლებისა და ვაგონების დაქანგული ჩონჩხები გზის აქეთ-იქით უწესრიგოდ ეყარა.

ექვსიოდ დღის წინათ მტერი აქ თავის საცეცხლე ზღუდეს გააფთრებით იცავდა. დივიზიები ერთიმეორეს ელეწებოდნენ, იერიშზე გადასულ ჯარების გნიასი ცისკიდურიდან ცისკიდურამდე გაისმოდა. ქვემეხების, მოტორებისა და ბობღანოების ღრიანცელი ცასა და მიწას აყრუებდა, გამარჯვება ხელიდან ხელში გადადიოდა.

გაზაფხულისათვის ჩვეულ უეცარ ელვითა და ჭექაქუხილით გუშინ წამოსხმულ ჟუჟუნა წვიმას ნაომარ-ნაბუქალი მიწა ნესტით გაეჟიჟინებინა. სამხედრო მანქანათა ნალეწებით, საომარ საჭურველით მოფენილ ნაყანვარ-ნაბოსტნარებზე დაკლაკნილი ღელისა და რუების გასწვრივ გარუჯულ-გაჩხოტილი ტირიფები ერთ ღამეში ნაცრისფრად გაქუცულიყვნენ, სიცოცხლით, წვენით ივსებოდნენ, ბალახი ისევ ბიბინებდა.

სადღაც მამალმა იყივლა. მივაყურე,—მივხვდი, რომ მომეჩვენა.

არტილერიის ქარიშხლით დაღრანკული, მავთულდაგლეჯილი ელსადგურის რკინის ანძები შორს, უსასრულობაში, დაწალიკებით მიემართებოდნენ.

ბრძოლის ველიდან საგაზეთო მასალით ჩამოსული, ომის ხმაურით ჯერ ისევ გაოგნებული, დამწვარ-დათხრილსა და თითქოს სამუდამოდ დადუმებულ მინდორველზე მოკლე გზით მივ-

* დასასრული. იხილეთ „მნათობი“. № 1, 2, 3, და 4, 1948 წ.

დიოდი, დაღლილობისაგან ფეხებს მიწაზე ძლივსძლივობით მივალასლასებდი. მტრისაგან დატოვებულსა და ნანგრევებად ქცეულ გერმანულ დაბას, რომელიც ხან გამოჩნდებოდა, ხან თვალს ისევ მიეფარებოდა, თანდათან ვუახლოვდებოდი.

ოთხი დღეღამის გამუდმებული ბრძოლის შემდეგ ჩვენებმა გუშინ მტერი ისევ გასტეხეს, მისი ღრმად ეშელონირებული ხანგრძლივი თავდაცვა გაარღვიეს, ბრძოლით უკან დახეულ მოწინააღმდეგეს წვიმაში, წელამდე ტალახში კვალდაკვალ სდიეს, მისი სამმაგი საცეცხლე ზღუდით შემოსალტული ქალაქი-სიმაგრეც თავისი ფორტებითა და რკინა-ბეტონის ნაგებობებით შემუსვრილ იქმნა.

ჩემი მეგობრის, კაპიტან დობროხოტოვის ათასეულს ამ ბრძოლაში, როგორც სამხედრო კორესპონდენტი, მეც ვახლდი. ვხედავდი როგორ დევნიდნენ ჩვენი მებრძოლები უკანდახეულ მოწინააღმდეგეს, დევნიდნენ გათენებამდე, რომ მისთვის გონს მოსვლისა და სადმე ფეხის მოკიდების საშუალება არ მიეცათ. ვხედავდი, ქუჩას ქუჩაზე როგორ იღებდნენ, სახლს სახლზე როგორ იკავებდნენ, ბომბებით დათხრილსა და ასფალტდაგლეჯილ მოედანზე როგორ გადარბოდნენ, ხანძრით შავად გადამწვარი, ტყვიებითა და ყუმბარებით დალეწილ-დაცხავებული, მაგრამ საგაზაფხულოდ მაინც გაკვირტული ქალაქის ბაღის გრძელი ხეივანი უკან როგორ ჩამოიტოვეს; ბოლოს ისეთს მედგარსა და თან გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდნენ, რომ სხვა გზა არ იყო, მტრისაგან დანატოვარ სახლებში, სათადარიგო სანგრებსა და ბლინდაჟებში უნდა ჩამსხდარიყვნენ, გინდა-არგინდა, პოზიციური ბრძოლა განეგრძოთ.

ამ ბრძოლაში დაიღუპა კაპიტანი დობროხოტოვი. ერთი მუჭა ნედლი მიწისა სამუდამოდ თვალდახუჭულ მეგობარს მეც მივაყარე. ის გულის დარღვევა იქ, ჰოსპიტალში, ეგრე რომ ღრღნიდა. სამარეში თან ჩაიტანა.

ომში დაღუპულ ამხანაგის მოგონებას მებრძოლები ერიდებიან. თუ ახსენებენ, როგორც ცოცხალს მოიგონებენ. მასთან ერთად გატარებული ის შარშანდელი დღეები მეც მომაგონდა, — სოფელ ზასეკას წყნარი გაზაფხულის სევდიანი საღამოები... იისფერ ნისლით დაბინდული თეთრი არყნალები... ჟრიამული ახლადმოფრენილ ჭკვიანებისა...

გზა როდის ან როგორ დაილია, არ გამიგია.

ჩვენი საარმიო გაზეთის რედაქცია არმიისავე პოლიტგანყოფილებასთან ერთად, ჩემს ბრძოლის ველზე ყოფნის დროს აქ, მესამე ეშელონში, დროებით დაბანაკებულიყო. მოწინავე ხაზზე არ მიგრძვნია, ახლა ვიგრძენი, — სამამულო ომის უკანასკნელი გაზაფხული აპრილის ნაწვიმარში საგარაკო მატარებელივით შემოგრიალებულიყო, ხეები წვენით ეიეინდებოდნენ. ორიოდ ტოტი, ზედ როგორღაც რომ შერჩენოდათ, ცად აეშვირათ, თითქოს რაღაცას ღაღადებდნენ.

სადავით დაოკებულ უბელო ცხენებზე გადამსხდარ ფეხშიშველა წითელარმიელების ყვირილმა შემაკრთო. იქით მივიწიე.

ქამარშეხსნილმა, თავშიშველა და თავხოტორა ცხენოსნებმა თვალწინ თქრიალით ჩაიქროლეს. მათს მზემოუკიდებელსა და ჯერ ისევ ქაღალდივით თეთრიფეხების დანახვაზე ტანში სიცივით გამაჟრჟოლა, — თივისა და ცხენის სუნი მინდორველის იღუმალ ფშვინვას შეერია, ისევ განქარდა.

არმიის პოლიტგანყოფილებას, სადღაც აქვე დაბანაკებულს, კითხვა-კითხვით ძლივს მივაკვლიე. სასტამბო დაზგის ნაცნობი, თანაზომიერი ხმაური თანდათან მკაფიოდ რომ მომესმა, დავ-

რწმუნდით,—რედაქციაც სადღაც აქვე მახლობლად უნდა ყოფილიყო.

ალღოს ჩემთვის მართლაც არ უღალატნია. ტყვიებისაგან კედელდაღრღნილსა და სახურავიანად ჭერჩაქცეულ ორსართულიან სახლის წინ გამოსული ჩვენი რედაქციის მდივანი, უფროსი ლეიტენანტი კასატკინი, შორიდანვე ვიცანი. მას, შუატანის, საკმაოდ ახალგაზრდას, თავისი წელგამოკვართული, ოფიცრულ ყაიდაზე გადაკეთებული ჯარისკაცული მაზარა მხრებზე დაუდევარი ლაზათით წამოესხა, — ახანძრებულ დაისს გასცქეროდა.

ყმაწვილკაცურად მოქნილსა და კოხტად დადგმულ ტანზე კოხტადვე მორგებულ სამხედრო სამოსს, რომელსაც იგი არც ისე დიდი ხანი იყო, რაც ატარებდა, უნდა ითქვას, რომ საკმაო ეშხით, ასე გასინჯეთ, ერთგვარი შიკითაც იფერებდა. თეთრი გუტაპერჩის საყელოგამოკერებული მოლისფერი გიმნასტერა, შევროს პრიალა ჩექმები და გალიფე-შარვალი, უკან ლამაზად გადავარცხნილი, ოდნავ ატალღებული წაბლისფერი თმები თვალში ახლაც ჩვეულებრივად მომივიდა.

ფიქრთაგან ალბათ ჩემმა ფეხის ხმამ გამოიყვანა. დამინახა თუ არა, თვალები გაუბრწყინდა. სახეზე მოფენილ, თითქოს განზრახ მომხიბლავ ღიმილით ჩემკენ გამოქანდა, სალამის მაგიერ მომახალა:

— რა კარგია. სასიამოვნოა, ერთობ სასიამოვნო.

ხელი მკლავში მეგობრულად გამიყარა. დანგრეულ სახლის იმ ერთადერთ ოთახისაკენ, დაქცევას როგორღაც რომ გადარჩენოდა, ჩქარი ნაბიჯით წამიყვანა.

— ჩვენ კი გვეგონა...—განაგრძო იმნაირად, რომ მაშინვე მივხვდი, — არავის არაფერიც არ ეგონა.

სიტყვას გეზი უცვალა:

— ცას გავცქეროდი... ვფიქრობდი... გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ გავბეზრდი... ლამის არის, ომი დასრულდეს და ბრძოლაში ერთხელაც არ ვყოფილვარ. თავი სირცხვილივით ... სად გამოვყო?

პასუხს თითქოს ჩემგან მოელოდა. რა უნდა მეთქვა? ჩვენი რედაქტორის, პოლკოვნიკ სუროვცევის გული მას, როგორც ჩინებულ სარედაქციო მუშაკს, მისდა საბედისწეროდ მოეგო, გვერდიდან წუთით არ იშორებდა, რის გამო თოფის წამლის სუნი ხეირიანად მართლაც არ ეუნოსა.

აალებული ცისკიდური თითქმის ჩაქრა. დაკუწული ღრუბლების ვარდისფერი კუნძულები ცისიერის მშვიდსა და ლურჯ ოკეანეში წყნარად აცურდნენ. გორაკებს იქით ტივტივით გაემართნენ.

ირგვლით სიჩუმე იყო. დუმილს ფრონტიდან ყრუდმოტანებული გუგუნი არღვევდა. ჰაერი, თითქოს სიცოცხლეც, წუთით გარინდებულიყო, — ბოროტება ქვეყნად თუ არსებობდა, აღარ მეგონა.

კასატკინი რაღაც ამბავს მიამბობდა, მაგრამ მისთვის აღარ მეცალა. მყუდრო საღამომ, ჩანავლებულმა ცისიერმა ის მიყუჩებული ტკივილი ისევ ამიშალა,— დობროხოტოვი, სამუდამოდ გაფითრებული, დამშვიდებული მისი სახე ჩემს თვალებს ისევ არ შორდებოდა. სად არის ახლა სავგაჩოვი? დაცხავებულ ფილტვებს ნეტავ სად იშუშებს? ჩემი რჩევა თუ დაიჯერა, აბასთუმანს თუ გაემგზავრა? მატახერია: მუდამ ჩუმი, სიტყვაძვირი და ქალიშვილივით მოკრძალებული მატახერია ან მისი ლაფშა „შარაბანი“ ცოცხალია, თუ პატრონთან ერთად სადმე ბრძოლაში ისიც დაიღუპა?

დანგრეული სახლიდან რატომღაც გარეთ გამოტანილსა და ღორღსა და ბათქაშის ნამუსრევში მიგდებულ თეთრმინანქრიან თუჯის აბაზანას ნაჭრილო-

ბევი ფეხი, რომელიც აღარ მაწუხებდა, დაღლილმა ჩამოვაყრდენ.

უკანასკნელი ღრუბლის ნაკუწიც თვალს მიეფარა.

გორაკებს იქით ჩაძირულ თებერვლის მზის ირიბ სხივებით განათებული ცისკიდური ჩალისფრად ხუნდებოდა. ტყე კიდევ უფრო იქუფრებოდა. ლაინის ფერმა გორაკებმა წონა თითქოს დაკარგეს, გამჭვირვალე იისფერ ნისლში მსუბუქად, თან შეუმჩნევლად ატივტივდნენ, ჩემ სამშობლოსაკენ, აღმოსავლეთისაკენ ნელი ტაატით გაემართნენ.

საიდანღაც, ალბათ ხევში თავპირის მტვრევით ჩაჩეხილ მდინარიდან, ოდნავ წამობერილმა ნიავმა ხეთა ნედლი სურნელი ნესტთან ერთად სახეში გრილად შემომაყარა. ოცნებით გართულს იქნებ მართლა გამღიმებოდა? კასატკინიც ალბათ იმიტომ შემეკითხა:

— რათ გეღიმებათ?

პასუხი მისთვის არ გამიცია. ისედაც დაღლილს, მისი მუდამ გაპრიალებული შევროს ჩექმები, ყველა ღილებზე შებნეული მაუდის გიმნასტურა, მკერდზე კოხტად შემოსალტული აშურმები, პორტუპეებს რომ ვეძახდით, თავისი გადამეტებული ლაზათით, თითქოს კიდევაც მაბრაზებდნენ.

— რა საღამოა. რა სიმშვიდე. — ვთქვი და ჩემგან ნათქვამმა სიტყვებმა მევე დამამშვიდეს. სიცოცხლე კიდევ უფრო წარმტაცი, უფრო მომხიბლავი მომეჩვენა. ლიტოგრაფიულ მურისა და დამწვარი ბენზინის სუნი მხოლოდ ახლა ვიგრძენი, ისიც მახარებდა.

— დიახ. დიახ,—დამეთანხმა კასატკინი.

— დიახ. დიახ. — გავიმეორე მისი სიტყვები როგორღაც თავისთავად.

ახლა ვიგრძენი, დაღლილობისაგან თავბრუ როგორ მესხმოდა, ნიადაგი ფეხქვეშ როგორ მეცლებოდა.

ჩვენი სასტამბო დაზგა სადღაც აქვე ყრუდ, ისევ თანაზომიერად გუგუნებდა, მისი ერთფეროვანი გუგუნისაგან ძილი კიდევ უფრო მერეოდა. მგზავრობით, რამდენიმე ღამის უძილობით დაოსებულს რული თვალს თითქოს შეუმჩნევლად ძპარავდა. იმის შეგნებით, რომ მოსვენება ბოლოს, როგორც არის, შეღირსებოდა, არაქათი გამომელია, ძილის ზარხოშს თავს ძლივს ვართმევდი. ეს ჯარისკაცული, ოფიცრულ ყაიდაზე განზრახ გადაკეთებული ხალვათი მაზარაც, თითქოს კიდევ უფრო დამძიმდა, სალავათი სულ გამაცალა. შეღავათი ოდნავ არის მაინც რომ მეგრძნო, გავიხადე, აქ საიდანღაც მოტანილსა და კედელთან მიდგმულ ბაღის რიკულებიან გრძელ სკამზე, ავტომატთან ერთად მივაგდე.

ლაპარაკის თავი რომ აღარ მქონდა, კასატკინმა მხოლოდ ახლა გაისაზრა. ფრონტიდან ჩამოტანილი გაზეთის მასალა ჩამომართვა, სახეში თანაგრძნობის ღიმილით ჩამაჩერდა.

არაფერი მისთვის არ მითქვამს. კმაყოფილმა, რომ საქმეს მოვრჩი და სადმე ჩემთვის წავეგდებოდი, თვალს როგორმე მოვატყუებდი, მაზარას ხელი წამოვავლე, ავტომატი მხარზე ისევ გადავიკიდე. წასვლას რომ ვაპირებდი, მან სწორედ ამ დროს მომაგონა:

— რედაქტორს, ამხანაგ სუროვცევს არ ინახულებთ?

— მართლა კინაღამ დამავიწყდა! — წამოვიძახე ოდნავ ხმამაღლა, რადგან პოლკოვნიკ სუროვცევის უნახაობა მართლაც არ ივარგებდა.

საარმიო გაზეთის მუშაკთა შორის იმთავითვე დაკანონებულ წესის თანახმად, ფრონტიდან დასაბეჭდავ მასალით ჩამოსული თანამშრომელი მასთან, როგორც უფროსთან, უსათუოდ უნდა გამოცხადებულიყო, საქმის მდგომარეობა დაახლოვებით მაინც მოეხსენებინა, თავისუფალი მხოლოდ მას შემდეგ იყო, მოსვენების ნებაც მას შემდეგ ჰქონდა.

სუროვცევი ამ წესს მკაცრად იცავდა. სამხედრო დისციპლინისა და წესრიგისათვის მუდამ ზედმიწევნით ზრუ-

ნავდა. პირი ყოველ ჩვენგანს უსათუოდ სუფთად გაპარსული, მაზარის ან გიმნასტურის დუგმა-ღილები შებნეული, ქამარი და პორტუპეები კოხტად მორგებული უნდა ჰქონოდა, რასაც მე ჩემი დაუდევრობის გამო, ხშირად ვერ ვასრულებდი. ჩემს მუდმივ კალამსა და უბის წიგნაკს სიმარჯვისათვის, საველე ჩანთით კი არა, გულჯიბით ვატარებდი. წერით გართულს გიმნასტურის წვრილი ღილი, არც ისე იშვიათად, შეუბნეველი მრჩებოდა, რის გამო მასთან მუდამ ჩუმი, გაუმხელელი უთანხმოება მომდიოდა.

საყვედური მისგან კიდევ ზედმეტად რომ არ მიმეღო, მკლავზე გადაკიდებული მაზარა, ხშირად საბნის მაგივრობასაც რომ მიწევდა, ავტომატთან ერთად სკამზე ისევ მივაგდე. ქამარი წელზე მჭიდროდ შემოვიჭირე, პორტუპეებიც შემოვისწორე, რაღაც სასწაულით გადარჩენილ მის ერთადერთ ოთახის კარს თითი ფრთხილად მივაკაკუნე.

— მობრძანდით. — მომესმა სამხედრო ბრძანებას ჩვეული რედაქტორის სასიამოვნო ბანი ომახიანად.

დაბომბვისაგან დარყეული ცალფა კარი წყნარად შევაღე. მისმა უსიამოვნო ჭრიალმა მევე შემაკრთო.

სუროვცევის „კაბინეტი“ თეთრ შორენკეცით კედელაფენილი, შორენკეცისავე ჭრელიატაკიანი საბაზანო ოთახი რომ აღმოჩნდა, არ გამკვირვებია. ახლა მივხვდი, ის თეთრმინანქრიანი თუჯის აბაზანა, წელან ზედ ფეხებჩამოყრდნობილი რომ ვისვენებდი, გარეთ რისთვისაც ეგდო.

თეთრ ფაიანსის პირსაბან ნიჟარაზე ყუთის რაღაც ფიცრებისაგან გამართულ ვიწრო მაგიდას სუროვცევი წახრილი უჯდა, რაღაცას წერდა. მაღალი, საკმაოდ სავსე თეძოები, სიარულის დროს როგორღაც არასასიამოვნო ქევქევით რომ დაჰქონდა, გიმნასტურის კალთის ქვეშ ახლა ისე აღარ ემჩნეოდა. ხშირი წერისაგან ოდნავ მოხრილი, მაგრამ კაღრის მსახურ ხელად ოფიცერთათვის ჩვეულებრივი განიერი მხარბეჭი მის მამაკაცურ ძლიერებას, შემმართებელ ხასიათს მაინც საკმაოდ ამჟღავნებდა. რატომღაც ვიგრძენ, რომ მას სადღაც ეჩქარებოდა.

— ნებას მიბოძებთ? — ვიკითხე.

პასუხს არ დაველოდე, ჭრიალა კარი ზურგს უკან ფრთხილად მოვიხურე.

რედაქტორმა რუსისათვის არაჩვეულებრივად შავი, ეშმაკურად მომღიმარ თვალებით შუბლქვემოდან ხმის გაუცემლად გამომხედა, უკმაყოფილების ჩრდილმა სახეზე რატომღაც უსიამოვნოდ გადურბინა. ჯერ კიდევ ფინეთის ომში კონტუზირებულს ზედა ბაგეც მოუთმენრად რომ აუთრთოლდა, თვითონაც არ ვიცი როგორ მივხვდი, — გულჯიბის ღილი, თითქოს ჯიბრით, ახლაც შეხსნილი დამრჩენოდა.

— მომიახლოვდით. — თქვა სუროვცევმა... — ღილი შეიბნიეთ.

მიახლოვებულს გულჯიბის ღილი მკერდზე თავისი ხელით შემიბნია. მერე წამოდგა სალამი ჩემგან მხოლოდ მაშინ მიიღო.

— კეთილი, კეთილი. — თქვა და თავისი ერთადერთი დასაკეცავი სალაშქრო სკამი მომაწოდა, თვითონ გაუქმებულ საბაზანო შხაპს ქვემოდ მიდგმულ საწოლზე მძიმედ ჩამოჯდა.

ის იყო დაჯდომას ვაპირებდი, რომ ამ დროს იგი ისევ წამოდგა, მხარზე ხელი დაყვავებით დამადო. ალბათ შემატყო, რომ დაღლილი ვიყავ, სიტყვა არ დამანება.

— წადით. დანაყრდით. მოისვენეთ. ხვალ ამხანაგებთან ერთად ფრონტზე ისევ გაემგზავრებით. წინ ბერლინია, უკან ოდერი.

საუბრის დასრულების ნიშნად თვალებში ღიმილით ჩამაცქერდა, კარამდე თავაზიანად მიმაცილა.

*
* *

დაისი ჩაქრა. ნახანძრალ სახლთა შავი კედლები ბინდში თანდათან ინთქმებოდნენ, საგანთა შორის ზღვარი თანდათან იშლებოდა. კასატკინი აღარსად ჩანდა. მისი ხმა საიდანღაც, ალბათ სტამბიდან, ყრუდ, მოისმოდა. ასოთამწყობს განკარგულებას რასმე თუ აძლევდა? რედაქტორის ახლად გარეცხილი ვილისი გვიმიან ჭასთან ჯერ ისევ სველი იდგა. უფროსის მოლოდინში შოფერს წყალი მოსწყურებოდა, თუნუქის დაქექილ სათლს ხარბად დასწაფებოდა: იმდენს არ სვამდა, რამდენსაც ღვრიდა, წყალი ლოყებზე წურწურით ჩამოსდიოდა, ტოლაღდახვეული წვივები, შავი კონტრები უსველდებოდა.

ჩვენს სამხედრო რეპორტიორს, ქალთა მოუსვენარ ტრფიალსა და მუდამ შეყვარებულ უფროს ლეიტენანტ ჩიბისოვს, პირის გასაპარსავი ხელსაწყო ჭასთან ეს არის ახლა გაემართა,—ცისფერ პლასტმასის ჯამს ორთქლი ჯერ ისევ ასდიოდა. ბინდის გამო სახე ჯიბის მრგვალ სარკესთან ახლოს მიეტანა, წელში მოხრილი, უცნაურად ტანმოღრეცილი გასაპნულ პირზე უსაფრთხო სამართებელს ნაჩვევი ხელით უსიამოვნოდ აფხაკუნებდა.

სარდაფის ღია კარში სინათლეს თვალი ახლა მოვკარი, ქვის კიბეზე ფრთხილად დავეშვი. თვალის ჩინი ბინდმა უცებ წამართვა, მაგრამ მალევე დამიბრუნდა,— ლოგინებით მოფენილი, სუფთად დაგვილი ასფალტის იატაკი თანდათან გავარკვიე. საწოლებს შორის ჩადგმულ ჩემოდანზე კარბიდის სანათი საცოდავად იბეუტებოდა. შუქს ირგვლივ მყუდროდ შემომსხდარს, საუბრით გართულ ამხანაგებს ჩემი მისვლა არ გაუგიათ.

ჩვენი ჭაღარა შიკრიკის, წითელარმიელ სამსონა ბახტურიძის დანახვა მათ შორის არ გამკვირვებია, თუ გავიხსენებ, ალისწინებთ, რომ რედაქტორს გარდა, ყველა ახალგაზრდა, ომის დროის ოფიცრები,—ჟურნალისტები, პრესის მუშაკები ან მწერლები ვიყავით, მაშინ ეს ამგვარი გაშინაურებაც მასთან, მართალია, ხანში საკმაოდ შესულს, მაგრამ მაინც უბრალო წითელარმიელთან, გასაგები იქნება: მით უფრო, რომ მთიან იმერეთის შორეულ სოფელ პერევიდან აქ როგორღაც ჩამოვარდნილი ეს გლეხი კაცი ბუნებრივად თანდაყოლილი ზრდილობით თავაზიანობით, არამცთუ ჩვენს პატივისცემას, თვით ჩვენი მკაცრი რედაქტორის, პოლკოვნიკ სუროვცევის, ყურადღებასაც სამართლიანად იმსახურებდა.

ყველაზე მეტად იგი მაინც ჩვენივე გაზეთის გაქართველებულ რუს მხატვარს, ახალგაზრდა ლეიტენანტ ზავეტოვს შეთვისებოდა. თავისუფალ დროს მასთან ერთად ატარებდა,— ერთი „პაპაშა“ იყო, მეორე „სინოკი“. სადმე მყუდრო ადგილას მიკუჟულნი არაყს, რომელსაც სამსონა „ოტკას“ ეძახდა და ვერაფრით ვერ დავარწმუნეთ, რომ ეს სიტყვა ქართული არ იყო,—ერთად, მამაშვილურად სვამდნენ, თან თავის შორეულ სამშობლოს ცასა და მთაგორებს გულდარდიანად იგონებდნენ.

ზავეტოვი მას ვერც ახლა შელევოდა. სახელდახელოდ გამართულ ფიცრულ ლოგინზე ჩამომჯდარს, ცალი ხელი მხარზე მისთვის გადაეხვია, თან ჩოფურა, ულაზათო სახეზე კმაყოფილების ღიმი დაჰნათიდა. უფროს-უმცროსობის გრძნობა სამსონას ამითი როდი დაეკარგა,—ოფიცრებთან ერთად მოკრძალებულად იჯდა. ერთის შეხედვითვე ეტყობოდა, რომ თავს მათ შორის უხერხულად გრძნობდა, მაგრამ რა ექნა, თავი გაჭირვეულებულ „სინოკებისაგან“ თუ ვერ დაეხსნა?

იქვე, მეორე ფიცრულ ლოგინზე, ნახევრად ახმახსა და ცხვირნისკარტა ხომენკოს ჩვენი პარტორგი, მაიორი უგრიუმოვი ზურგით მიყრდნობოდა, ისედაც ჩხია, უწარბწამწამო თვალები რატომღაც კიდევ უფრო ჩხიად ასცრიატებოდა.

რუსული, სადა, სუფრის მუდმივი მშვენების, — ხახვწაჭრილ „სელიოდკის“ სუნი მაშინვე მეცა, მაგრამ მის მუდმივსავე თანამგზავრს, პურის არაყს, რომელიც ფრონტზე დევნას სრულიადაც არ განიცდიდა, ვერსად ვხედავდი. ყოველ შემთხვევისათვის იგი მათ სადღაც აქვე, ალბათ ჩემოდანს უკან, საიმედოდ მიემალათ.

ერთის გადახედვითვე ვიგრძენ, რომ ისინი იმდენს არ სვამდნენ რამდენსაც საუბრობდნენ, მაგრამ ზარხოში, არ ვიცი, სმისა თუ მეგობრულ საუბრისაგან მაინც მოჰკიდებოდათ. თავს ასე ერთად ჩვენ ისე იშვიათად ვიყრიდით, რომ კმაყოფილების გრძნობა სახეზე ამიტომაც გამოხატვოდათ.

ბრძენი სპარსელის, ომარ ჰაიამის, ერთი რუბაი ამ შემთხვევის შესაფერისად მომაგონდა: მეგობართან ერთად ტკბილ მასლაათით გართული ღვინოს ტკბილადვე რომ შეექცევი, ვიღაც ოხერი სწორედ ამ დროს ჩამოივლის, სალამს მოგცემსო.

მეც ასე ვიყავ, მაგრამ წესსა და ადათს მაინც ვერ ვუღალატე.

— სალამი, ამხანაგებო! — ვთქვი წყნარად, რომ მათი მყუდროება არ დამერღვია. ცარიელ სარდაფის უხამსმა კედლებმა ჩემი ხმა ჩემთვისვე მოულოდნელად რომ ააგუგუნეს, თვითონვე შევკრთი.

— აა, დავლაძე! — წამოიძახეს მათ ხალისიანად და ბნელში მყოფს სინათლიდან დაკვირვებით, სიამოვნებით გამომხედეს.

სხვებთან ერთად სახე ბახტურიძესაც გაუბრწყინდა. ახალგაზრდა მეგობრის მკლავი მხარზე ფიცხლავ ჩამოიშორა, მოკრძალების ნიშნად ფეხზე წამოდგომა გააპირა, მაგრამ მასთან უმალვე გავჩნდი.

— იჯექ, იჯექ. — თითქმის ძევეხვეწე და ადგილიდან წამოწეულ წითელარმიელს ორთავ მხარზე ფრთხილად, მაგრამ საკმაო ძალით დავაწექი, თავის ადგილას ისევ დავსვი.

ამხანაგები არც განძრეულან. მშვიდად, კმაყოფილების გრძნობით მიღიმოდნენ.

ამ ოთხი წლის განმავლობაში ერთმანეთთან რამდენიმე დღით, ხშირად კვირაობითაც, განშორებასა და კვლავ შეყრას ჩვენ იმდენად შევჩვეოდით, რომ ჩემი ეგრე მოულოდნელად გამოჩენა არცერთს არ გაჰკვირვებია.

— მოდი, ბეჟან კონსტანტინოვიჩ, ჩემ გვერდით დაჯექ. — შემეპატიჟა ხომენკო და საწოლზე იქით მიიწია, ადგილი გვერდით დასაჯდომად დამითმო.

— მობრძანდით, დაბრძანდით. — მთხოვა ზავეტოვმაც. ულაზათო სახე თავაზიანი ღიმილისაგან ერთბაშად დაუმშვენდა, მერე სამსონას გამოჯავრებით ხუმრობით განაგრძო: — ოტკას თუ დალევთ?

ყველამ იცოდა, რომ მე არაყს არ ვსვამდი, მაგრამ ხომენკომ ამხანაგს სიტყვა მაინც დააწია:

— მოდი, ბერლინში შესვლის დავლიოთ. ცოტა, სულ ცოტა დალიე. ბევრს არ დაგაძალებთ. — და ამ სიტყვებით ჩემოდანს უკან მიმალულ არყიან ბოთლს ხელით დასწვდა, სირჩა გასავსებად მოიმარჯვა.

— ბევრს, რომ შეგვეხვეწო, ვერც გავიმეტებთ. — იხუმრა უგრიუმოვმა და თავის ხუმრობაზე თვითონვე გაიცინა. გონივრად მსხდარი ჩხია თვალები ერთურთს თითქოს კიდევ უფრო დაშორდნენ, მუდამ სუფთად დახეხილი თეთრი კბილები ღიმილისაგან ღრძილებიანად გამოუჩნდა.

— გმაღლობ, დაღლილი ვარ. — ბოდიში მოვიხადე და იქვე მახლობლად,

ალბათ სამსონასაგან გამზადებული ჩემი საწოლი ჩემივე შალის საბნით შორიდანვე ვიცანი. დაღლილ-დაქანცულმა თავი იქამდე ძლივს მივიტანე, სასთუნალთან, თითქოს საგანგებოდ მიჭედებულ ლურსმანზე ავტომატი ღვედით დავკიდე, მხრებზე ზემოთ წამოსხმული მაზარა აუშლელ ლოგინზე მივაგდე.

თითქოს საწოლზე ჩამოჯდომა, წუთის შესვენება იყო საჭირო, დაღლილობა ერთი ორად რომ მეგრძნო. ილაჯგაცლილი, კიდევ უფრო დაღლილი უძრავად ვიჯექ. ბოლოს ძალა თავს მაინც დავატანე, ჩექმები ფეხზე წავიძვრე, გიმნასტურის საკინძეც ყელთან საჩქაროდ შევიხსენი, მაგრამ მის გასახდელად მოთმინება მაინც არ მეყო, ლოგინზე მთვრალივით წავიქეცი.

თავქვეშ ბალიში რბილად რომ ვიგრძენი, ვინანე, მეწყინა, ტანისამოსი დროზე რად არ გავიხადე, მაგრამ გვიანღა იყო. თავის მაღლა წამოღება, ისევ ადგომა და ტანთ გახდა ჩემს ძალას აღემატებოდა. საბანზე მწოლარემ საბნისავე ლაღად დარჩენილი კალთა წამოვიხურე, მაგრამ ვერ დამფარა. სხვა გზა არ იყო, ხელი ზურგს უკან მოქცეულ მაზარას მოვუფათურე, შუა წელამდე წამოვისხი, თავი ბალიშში ისევ ჩავრგე, მაგრამ გრძნობამ, რომ, როგორც იქნა, დავიძინებდი, არ დამაძინა. ჩემი დაღლილობა მევე არ მასვენებდა. წავთვლემდი თუ არა, თითქოს შიგნიდან, რაღაც ერთბაშად დამეჯახებოდა, თვალს შემკრთალი გამოვახელდი.

დაბალჭერიან სარდაფის ნესტით დამძიმებული ჰაერიც სუნთქვას თანდათან შიძნელებდა. კედლების გასწვრივ ჭერამდე ამართული განიერთაროებიანი დანომრილი, გუთურ, რაღაც უცნაურ ლიტერებით აჭრელებული ყაფაზებიც გულზე ლოდივით მაწვებოდნენ. ამ თაროებს გარდა, კართან, კუთხეში უწესრიგოდ მიყრილი თუნუქის სალტეებიან ყუთთა ნალეწები და საცალოთა შესაფუთავი ჭილოფის ძეხვარი იმას მოწმობდნენ, რომ აქ ოდესღაც ფართლეული მაღაზიის საწყობი უნდა ყოფილიყო, იმ მაღაზიისა, რომლის ნანგრევებიც სარდაფის თავზე ღორღად, ხრეშად და აგურის ნამუსრევად ეყარა.

ჩვენს მუდამ მოუსვენარსა და მოფუსფუსე სამსონას ამ ყაფაზებით, როგორც ჩანდა, სარფიანად ესარგებლნა ზედ ჩვენი ჯარისკაცული უბრალო ნივთები ლამაზად შემოეწყო. ახლა გავისაზრე, რომ ეს ჩვენი სახელდახელო საწოლები და იქ, საბაზანო ოთახში, ფაიანსის პირსაბან ნიჟარაზე გამართული რედაქტორის საწერი მაგიდაც მას ამ თაროებისაგან გამოეჯახირებინა.

საბანი ტანს ქვემოთ, როგორც იქნა, გავანთავისუფლე ზემოდან რომ წამოვისხი, შვება ვიგრძენი. მეგონა, ახლა მაინც დამეძინებოდა, მაგრამ ისევ რული თვალს არ ეკარებოდა. ოდერს იქით გამართულ ბრძოლების. ჩვენი ჯარების წინსვლა თვალწინ წარმტაცად მეხატებოდა, მეშინოდა ბერლინში უჩემოდ არ შესულიყვნენ.

ამხანაგები სმას თან საუბარს ისევ განაგრძობდნენ. მათი საუბრის საგანი ბერლინი იყო.

ჩვენი სამსონა მათ ყურს მისთვის ჩვეული მორიდებით, თან ალერსიანი ღიმილით უგდებდა. სირჩა ხელიდან ხელში უხვეწნელად რომ გადადიოდა. თავისთვის ჩუმად ეღიმებოდა.

მამით, მამის მამით მას ოდესღაც ჭიათურის შავი ქვის მაღაროებში ემუშავნა, ყმაწვილკაცობა იქ გაეტარებინა, მაგრამ კუჭის რაღაც სენით დაავადებულს მამაპაპეულ საქმეზე ხელი ბოლოს იძულებით მაინც აეღო, თავის სოფელს დაბრუნებოდა.

მშობლიურ ღებურასა და ხახიეთის წყლის რიყიან ჭალებში მიწას ხნავდა, სიმინდს თოხნიდა, ფუტკარს აშენებდა; რიბისას, თოფარასა და ბილურთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალმთიან საძოვრებში კოლმეურნეობის საქონელი დაუდიოდა, კლდეებზე გადმოჩეხილ ჩანჩქერებში კალმახს იჭერდა; სოფელ წონასთან, მდინარე ყვირილის პირას, წიფლარებში გადმომქუხარ ლესევის კუჭის წყალს განკურნების იმედით ამაოდ სვამდა; პეპელეთის სათიბებში თივას თიბდა, შურთხსა და როჭოებზე ფილთა თოფით ნადირობდა; წოისისა და ჯალაბეთის უსიერ ტყეებში მოჭრილ წიფლის შეშას ღვიზგის წყალზე აცურებდა, სველ ტილოსა და მუშამბაში ნედლად გახვეულ ხეხილის ყლორტთა კალმები თავის განუყრელ სასხლავ დანასთან ერთად აბგით მუდამ თან დაჰქონდა. ტყეში, გზის პირას, სადაც წაეწეოდა, და დროს სადაც მოახელებდა, პანტას, მაჟალოს ანდა ველურს რასმე ხეხილს სხლავდა, ამყნობდა და თან თავისთვის ღიმილით ოცნებობდა, — მადლია, მგზავრი ვინმე დაღლილი პირს ნაყოფით გაისველებსო. შრომით, ოცნებით გართულს სამამულო ომი თავს მოულოდნელად დასტყდომოდა. წითელ არმიაში გაწვეულ სოფლის ახალგაზრდობას ისიც თან გაჰყოლოდა, ჯარში მოხალისედ ჩაწერილიყო.

ცეცხლში გახვეული, სისხლით მორწყული სამამულო ომის დიდი გზა ამ ოთხი წლის განმავლობაში გერმანიამდე ჩვენთან ერთად იმასაც გამოეარა და იმ დროს, როცა ქვეყანა, თითქოს მართლა იქცეოდა, ის თავისას ისევ განაგრძობდა, წერილებით, გაზეთებით სავსე ტყავის ჩანთის ცალკე ჯიბეში ნედლი ყლორტები სასხლავ დანასთან ერთად თან დაჰქონდა: თავისუფალ დროს მოახელებდა თუ არა, ცეცხლით გარუჯულს, ყუმბარებით დალეწილ ახალგაზრდა ხეებს სხლავდა, ჭრილობას უშუშებდა, თან თავისთვის გულდარდიანად ბუტბუტებდა:

— ჩემ სახელზე იხაროს. ისევ ამწვანდეს, აყვავილდეს, ტანი ისევ ცაში აუშვას... იცოდნენ, ყველამ იცოდეს, რომ ეგეთნი ვართ.

და მართლაც, მისგან გასხლულ-დაჭყნილი, სასიცოცხლოდ კვლავ აყვავებული ხეები მისგანვე განვლილ გზებზე, თემშარებსა და ბილიკებზე, ყველგან, სადაც სამსონას ფეხი დაედგა და დრო ეშოვა, ლაღად ხარობდნენ, გაზაფხულის ლურჯად მობიბინე ცას აყვავებულ რტოებით შეჰფრფინვიდნენ.

ახლა, როცა ოდერი უკან იყო და ომს ბოლო, დღეს არა, — ხვალ უსათუოდ მოეღებოდა, თავის „სინოკებთან" საუბრით ტკბებოდა, ზარხოშმორეულს ის თავისი შვილივით ნალოლიავები ხეები თუ აგონდებოდა? შავგვრემანი, თხელნაკვთიანი პირისახე ღიმილისაგან ისე წვრილად თან მკაფიოდ დანაოჭებოდა, თითქოს ჭიათურის მაღაროების შავი ქვის ის ოდინდელი მტვერი შიგ სამუდამოდ ჩაბეჭდვოდა; ეშხში შესულს ეშმაკურად და თან ალერსიანად მოციმციმე გონიერი თვალები კიდევ უფრო მიწვრილებოდა. ვინ იცის, იქნებ არაყი მეტიც მოუვიდა, — ლაპარაკის საღერღელი იმასაც აეშალა. ჭალარა წვერზე, რომელიც ჯარში არასგზით არ გაიპარსა, ხელი წყნარად ჩამოისვა, მშვიდად, თითქოს მისთვისვე შეუმჩნევლად, ამბავი, რომელსაც სიყმაწვილეში მოსწრებოდა, ისე, თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა, დამტვრეული რუსულით დინჯად დაიწყო, თან ხელს წვერზე მალიმალ ისვამდა, ის შინაგანი მგზნებარება, მშვიდად ლაპარაკს რომ არ აცლიდა, ცდილობდა როგორმე დაეოკებინა, ჭიათურის გმირული წარსული, რაც შეიძლება, დალაგებით და თან ცოცხლად მოეთხრო.

„ნიკოლოზ რუსხელმწიფისაგან" ციმბირში დაკარგულ მის უფროს ძმას ახალგაზრდა სტალინის მუშათა წრეში ერთ დროს თურმე ფარულად ემუშავნა. მისი ნაამბობი სამსონას გულში ღრმად ჩაბეჭდვოდა. დიდი ბელადის ხელმძღვანელობით გაჩაღებულ რგანის,

პერევისასა და შუქრუთის მემაღაროეთა ბრძოლის სურათებს იგი ისეთი ფერადოვნებით და თან სინამდვილის ღრმა გრძნობით გამოხატავდა, რომ თავისი შინაგანი მღელვარებით ჩვენც გვაღელვებდა, ძილი გამიფრთხა.

მთის მდინარის, ყვირილის ვიწრო ხეობაში ჩაჭედილი საქართველოს შავი ფოლადის ბაგირები ცად გადმოკიდებულ მადნით სავსე რკინის აკავანებით, ქალაქი, მთიდან მთამდე გამართული ბრემსბერგები, ესტოკადები თვალწინ ცოცხლად დამიდგა: მარგანეცით დატვირთულ ვიწროლიანდაგიან მატარებლების გამუდმებული გრიალი, ორთქლმავლებისა და მადნის გამაუხვებელ ქარხანათა გუგუნი, საყვირების ყურთასმენის წამღები კივილი, თითქოს მომესმა.

მშობლიური კუთხის მოგონებით აღძრულმა ოცნებამ გული მოუსვენრად ამიჩქროლა. აღარც ძილი მახსოვდა, აღარც აღარაფერი. მწვანედ აბიბინებულ მთაგორებს შორის აჯანყებულ მემამაღაროეთა და ფეხზე დამდგარ სოფლების ხალხმრავალ მიტინგს, ალისფერ დროშებისფრიალსა და სახელდახელოდ ამართულ ტრიბუნაზე გადმომდგარ ახალგაზრდა სტალინის შთაგონებულ სახეს, თითქოს მართლა ვხედავდი.

— როგორია? — იკითხა სამსონამ, როცა ამბავი დაასრულა. იკითხა უფრო იმიტომ, რომ მღელვარებისაგან შეტაცებული სული, ცოტას არის, მაინც მოებრუნებინა. ეშხით სავსე ისედაც წვრილნაოჭიანი გამხდარი სახე აღტაცების ღიმილისაგან კიდევ უფრო დაუნაოჭდა, ჭუტა და თახ ციმციმა თვალები ყველას სათითაოდ დაკვირვებით მოავლო.

— როგორი უნდა იყოს? — წამოიძახა უგრიუმოვმა. — ხედავ, მაშინ დანთებული ცეცხლი როგორ გიზგიზებს?—და სიტყვა ნატვრით დაასრულა: — ნეტავი იმას, ვინც მისი ბრძანებით ბერლინში პირველი შეიჭრება.

— იქ, მთებში, ახალგაზრდა ბიჭები ფრთებს მაშინ ისწორებდა, დიდი გაფრენისათვის ემზადებოდა, — მოგვესმა ამ დროს სარდაფის კუთხიდან.

მივიხედეთ. ბნელ კუნჭულში ყაზახებთან სახელდახელოდ გამართულ ლოგინზე ჩიბისოვი რატომღაც განცალკევებით იჯდა. სამსონას ამბით გატაცებულს ვერ გაგვეგო სარდაფში როდის შემოსულიყო.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

სხვებთან ერთად სახეზე ღიმი ხომენკოსაც მოჰფენოდა. თავის არარსებული, კიევში მიწასთან გასწორებულ ბინის ფრანგულ გასაღებს, გადასაგდებად აქამდე რომ ვერ შელეოდა, თითს ირგვლივ ისევ ღიმილით ატრიალებდა. უგრიუმოვი მის გვერდით უძრავად იჯდა. ისიც ოცნებად წასულიყო, სახეზე ღიმი იმასაც მოჰფენოდა. ზავეტოვს ხელში ცარიელი სირჩა შერჩენოდა, აქეთ-იქით დაფიქრებული ატრიალებდა. ჩიბისოვს თავი დაბლა დაეხარა, პირის გასაპარსავ ხელსაწყოს თავის ყოვლის ტევად ჩანთაში გაწელილ გარმონს რომ დამსგავსებოდა, ჩუმად, ძალისძალად ტენიდა.

— უკაცრავად... ბოდიში, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო! — დაარღვია დუმილი ისევ სამსონამ და წვრილი, გამნარავი თვალებით თვალებში ხომენკოს ჩააჩერდა. — ნებას მიბოძებთ, ერთი რამ გითხრათ?

— თქვი, ჩემო ძვირფასო, თქვი! — წამოიძახა ხომენკომ გრძნობით და მღელვარების დასაფარავად ის თავისი გასაღები ძეწკვით თითს ირგვლივ კიდევ უფრო გამალებით დაატრიალა.

სამსონამ კისერი ოდნავ გვერდზე მოიქცია, სახის დაღრეჯით რატომღაც მოიფხანა, კიდევ მოიფხანა, მერე თავი დაბლა ჩაჰკიდა და ისე, თითქოს თავისთვის ლაპარაკობსო, წყნარად დაიწყო:

— აი, ვზივარ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ვზივარ და გიცქერით...

წუთით გაჩუმდა. მერე, მიუხედავად იმისა, რომ ხომენკოს იგი სრულიადაც არ უცქეროდა, მაინც განაგრძო:

— გიცქერით და... გასაღებს, თქვენი სახლის, თქვენი ოჯახის კარს ერთ დროს რომ აღებდით, თითს ირგვლივ ისევ ატრიალებთ... ბელადმა თქვა, დღესასწაული ჩვენს ქუჩაშიც ჩამოდგებაო. ხედავთ, ჩამოდგა კიდეც. ჩვენი ქვეყანა გამარჯვების სალუტებით ყოველღამ საზეიმოდ გუგუნებს, საცაა ბერლინში, მხეცის ბუნაგშიც შევიჭრებით და როგორ გგონიათ, თუ ქუჩა არის... აი, ქუჩა, სადაც დღესასწაული უკვე ჩამოდგა, იქ სახლებიც უსათუოდ უნდა იყოს, არა? მაშ უსახლო ქუჩა ვის გაუგონია? ჰოდა, გამოდის, რომ იმ ქუჩაში, სადაც დღესასწაული ჩამომდგარა, თქვენი სახლიც უსათუოდ დგას. მაშ ქუჩაში უსახლკაროს, ან მიუსაფარს ვინ დაგტოვებს? იმათ კი,—ჩვენ მტერს ჰგონია, რომ ის თქვენი სახლი დაქცეულია... აარა, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, იცოდეთ, კარგად იცოდეთ, რომ თქვენი სახლი ჩვენს ქუჩაში ისევ დგას და ფრთხილად იყავით, ფრთხილად, რომ გასაღები არ დაგეკარგოსთ. იცით... თქვენ არ იცით და...: რომ იცოდეთ, რომ იცოდეთ, ჩემი სახლკარი, ჩემი ეზო, ჩემი სოფელი, მიწაწყალი როგორ მენატრება... ეეხ!.. — ამოიოხრა, უცებ გაჩუმდა.

სმა არავის არ ამოუღია. სარდაფში სიჩუმე ისევ ჩამოვარდა; სიჩუმე ისეთი, თითქოს იმ სიტყვების, სამსონამ რომ თქვა, გაფანტვის ეშინოდათ. მან კი წყნარად, თითქოს თავისთვის ისევ განაგრძო:

— ჩემი წაბლის ხის ოდა მთაში მოჩუხჩუხე ღელეს გასცქერის... ბირკვილებიან ხის აივნით ტყიან მთებს გასცქერის. წყლის ჩხრიალსა და დოლაბის ხმაურს ყურს გაკვირვებით უგდებს. დღიური შრომით დაღლილი ჩემი ბეხრეკი დედაკაცი აივანზე ზის და გზას გასცქერის. ფიქრობს, ჩემი ხრონკი ქმარი თუ ცოცხალია, ხეტავ როდის დაუბრუნდებაო. იცით, მე ჩემი თავი როდი მეცოდება, ის მეცოდება, ჩემი ახალგაზრდა ცოლი, თქვენი ცოლები, თქვენი დედები, თქვენი შვილები მეცოდებიან...

ისევ გაჩუმდა. მერე ისევ წყნარად, თითქოს ხმამაღლა თავისთვის ოცნებობდა, განაგრძო:

— გაზაფხულმა აქ მხოლოდ ახლა მოატანა. ჩემი ქვეყანა, კარგა ხანია, რაც ჰყვავის. ტყეები ტყემლით, ტყის ვაშლით თითქოს აკვამლებულან. ჩემი ფუტკრები ბუკებს თაფლით, სარაჭით ავსებენ... ჩემგან დამყნილ ხეებს ტოტები ცაში შეუბჯენიათ, ფესვი მიწაში გაუყრიათ და მდინარიდან მობერილ თერხვით შრიალებენ... ვინ იცის რას შრიალებენ? თვალს დავხუჭავ, — მათი შრიალი აქაც მესმის... თითქოს მღერიან, ჩურჩულებენ, მეძახიან... მე კი მტრის მიწაზე მივაბიჯებ... ვომობ, რომ იმათ კიდევ უფრო ლაღად იხარონ... ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, დღესასწაული ჩვენს ქუჩაში. უკვე ჩამოდგა და იცოდეთ, კარგად იცოდეთ, რომ თქვენთვის ყველა სახლის კარი ღიაა, იმ სახლთა გასაღები თქვენ იმიტომაც არა გაქვთ...

ისევ გაჩუმდა. ერთხანს ხმას ისევ არვინ არ იღებდა.

უგრიუმოვი თავის ადგილას ისევ უძრავად იჯდა. ზავეტოვი ცარიელ სირჩას ხელში ისევ უსაზმნოდ ატრიალებდა. ჩიბისოვი არ გაგვიგია, როდის დაწვა, მაგრამ როდი ეძინა. თვალებით ჭერს მისჩერებოდა, რაღაცას, ალბათ სამსონას სიტყვების გამო, თავისთვის ფიქრობდა. ხომენკოს ის თავისი გასაღები ხელში აღარ ეჭირა. არ შემიმჩნევია ჯიბეში როდის ან რად ჩაიდო. სხვებთან ერთად ხმას მღელვარებისაგან არც ის იღებდა. მერე გვერდით მჯდომ უგრიუმოვს ხელი მხარზე უცებ ტლანქად, უსიტყვოდ ჩამოადო, ხელის

კვრით იქით ტლანქადვე მისწია, ფეხზე წამოიჭრა. ისედაც ახმახი და თან ალაწოდა დაბალჭერიან სარდაფში კიდევ უფრო მაღალი, კიდევ უფრო ტანხმელი გამოჩნდა. უნდოდა რაღაც ეთქვა, ეთქვა ისეთი რამ, რაც ასეთ დროსა და გარემოებას შეშვენოდა, უნდოდა რაღაც ჩაედინა, ჩაედინა ისეთი რამ, რაც მის გრძნობას მთელი სიღრმით გამოხატავდა, მაგრამ ვერცერთი ვერ მოახერხა. სახე როგორღაც მოეღრიცა, ტუჩებმაც თრთოლვა უცანურადვე დაუწყეს, სიტყვა სიტყვას ვეღარ მოაბა. ეტყობოდა თქმა იმისა, რის თქმაც უნდოდა, არც ისე ადვილი იყო. მივხვდი, გულის აჩუყების ეშინოდა. სხვა რომ ვერა მოახერხა რა, ხელი ღონივრად ჩაიქნია, ერთიც ღრმად, გულდარდიანად ამოიგმინა და ლოგინზე როდი დაჯდა, მოწყვეტით დაეცა.

სამსონას თავი მაღლა არ აუღია, არც განძრეულა. მისგანვე ნათქვამ სიტყვებით თვითონვე აღელვებულიყო, თავი კიდევ უფრო დაბლა დახარა.

უგრიუმოვმა იატაკზე დადგმულ არაყის ბოთლს ხელი წამოავლო, მაღლა აწეულს სანათის მკრთალ შუქზე გახედა, ერთი ღონივრად შეანჯღრია, ისევ გახედა, ძირს დაუშვა.

— გათავებულა. — თქვა სინანულით და მისგანვე ნათქვამი სიტყვის უადგილობა თითქოს თვითონვე იგრძნოვო, ცარიელი ბოთლი ლოგინს ქვეშ გაგულისებით შეაგორა.

სამსონას ეს მისი სიტყვა ვითომც არ გაუგონია, ყურადღება არც ლოგინს ქვეშ შეგორებულ ცარიელ ბოთლისთვის მიუქცევია. სასხლავი დანა იატაკზე სუფრის მაგიერ დაფენილ გაზეთის ნახევს შეაწმინდა, დაკეცა, ჯიბეში რატომღაც ხვნეშით ჩაიდო. მერე დაიხარა, ნასუფრალ-ნამუსრევი ქაღალდიანად მოხვია, კუთხეში მოგრიგილ ნაგავთან ერთად გარეთ გადასაყრელად გაიტანა.

— აი, კაცი — წამოიძახა ხომენკომ, როცა იგი კარს მიეფარა. — ნამდვილი კაცი ნამდვილი გულით.

— Мда-а! — თქვა უგრიუმოვმა თანხმობის ნიშნად და ტანთ ხელდახელ გაიხადა, ლოგინში ჩაწვა.

— მეც დავწვები. ხვალ დილით ადრე ვართ ასადგომი. წინ დიდი გზა გვიდევს, — თქვა ზავეტოვმა და, სინათლისაგან თვალის ასარიდებლად, თავი ბალიშში ღრმად ჩარგო, საბანი თავზე წამოიხურა.

... ბურანისაგან რაღაც შმაშურმა გამომიყვანა. სამსონს მაზარა ეცვა. წერილების სატარებელი ტყავის ჩანთა მხარზე ეკიდა, სამგზავროდ სადღაც გამზადებულიყო.

— უუჰ, რა ღამეა! — აღტაცებით, თითქოს შვებით წამოიძახა ახმახმა და ცადაწოლილმა პოდპოლკოვნიკმა ხომენკომ, როცა, ჩვენ, რედაქციის ოთხი მუშაკი, დახუთულ სარდაფიდან მაღლა, სუფთა ჰაერზე ამოველით, თავი ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ქვეშ ვიგრძენით. .

— ცოტა არ იყოს, ცივა კიდეც, — დაუმატა სიჩუმის შემდეგ. საწოლში ნათბუნებსა და უკმარი ძილით კიდევ უფრო დაქანცულს ტანში შეცივნულივით გააჟრჟოლა. ხელები მაღლა ზმორებით რომ აიშვირა, წუთით მომეჩვენა, — ციდან თითქოს ვარსკვლავების ჩამოღება უნდოდა. მერე ოხვრით ხმამაღლა დაამთქნარა, იქვე მახლობლად მდგომ ჩაგვერასა და ქალთა მუდმივ ტრფიალს, უფროს ლეიტენანტ ჩიბისოვს, მის გვერდით კიდევ უფრო დაბალი, ჯმუხი რომ მოჩანდა უძილობით დაბუხული ხმით, ოდნავ გამქირდავად შეაპარა:

— ხედავ ვარსკვლავებს, როგორ კიაფებენ, გულს სიყვარულით როგორ აძგერებენ?

— ვარსკვლავების მაგან რა იცის. — ჩაურთო სიტყვა ლეიტენანტმა ზავეტოვმა და თან გესლიანად ჩაიცინა. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულს სიყვარულით მაგას სულ სხვა ვარსკვლავები უძგერებენ.

ჩიბისოვმა უკმაყოფილოდ რაღაც თავისთვის წაიბურტყუნა და მათი არცთუ ისე უშინაარსო ხუმრობა უსიამოვნებით რომ არ დასრულებულიყო, საუბარში მეც ჩავერიე, სიტყვა ბანზე ავაგდე.

— გესმით? — ვკითხე შორეულ ხმაურს გადარაჯებით მივაყურე. ბობღანოების ხრჭიალი ხან მიყუჩდებოდა, ხან მატულობდა. გორაკებს იქით ომის ცეცხლით გაშუქებული ცისიერიც ხან სისხლისფრად და ხან ყომრალისფრად ჩახჩახებდა.

მაჯის საათის ფოსფოროვან ციფერბლატს დავხედე, — ოთხი სრულდებოდა. მცხოვრებთაგან დაცლილი დაბა, თითქოს სამუდამოდ დადუმებულიყო. ვინ მოთვლის, ამ დიდი ომის გზაზე რამდენი ასეთი პარტახი მენახა, სევდისა და იდუმალი რამ კრძალვის გრძნობით გული რამდენჯერ ამვსებოდა, სევდის მაგიერ გული მრისხანების გრძნობით მეკუმშებოდა.

ხევში თავპირის მტვრევით ჩაჩეხილი მდინარე სადღაც ყრუდ, დამაფიქვრელად ხმაურობდა. საძირკველდარყეული სახლი სადმე ბნელში თავისთავად თუ ჩაშვავდებოდა, გულჩათხრობილ გუგუნით ანაზდად შეგვაკრთობდა. წამოქცეულ კედელს ქვეშ უცაბედად რომ არ მოვყოლოდით, ვცდილობდით გეზი შუა ქუჩაში დაგვეჭირა, ფრთხილად გვეარა. შავად ამართულ სახლთა უცნაური ნანგრევები, ლიტონი კედლები და ცეცხლით გარუჯული ხეთა ჩონჩხები უკან რჩებოდნენ, მათ მაგიერ ახალი, ასევე უცნაური აჩრდილები ნანგრევებისა იდუმალად იმართებოდნენ. ცნობილია, რომ ამგვარი ნაეზვარ-ნაფუზარები თავისი თითქოს უეცრად შეწყვეტილ სიცოცხლით, მდუმარებით ადამიანს მუდამ აფიქრებდნენ და მათ ჩვენში ნაძრახ ადგილს ამიტომაც უწოდებენ. ეს გულჩათხრობილი დუმილიც, ფრონტის შორეული გმინვა კიდევ უფრო რომ აღრმავებდა, თითქოს მათგან მოედინებოდა.

სადღაც ცხენმა ჯაჭვის საბელი ააჩხარუნა. ბნელში ალერსიანად, პატრონს მონატრებული ხმით დაიხვიხვინა. მის ხვიხვინზე ჩემი დიდხნის უნახავი მეგობარი, ასტამურ მატახერია მომაგონდა. ვინ იცის, ეს ლაფშა იქნებ იმისი „შარაბანიც“ იყო, თავის ლაღსა და ნაბრძოლ ესკადრონთან ერთად სადმე აქვე ბანაკად მიგდებულს მისთვის ჩვეულ ვაქკაცურ ძილით ეძინა?

მართალია, ფრონტზე მოულოდნელი, დაუჯერებელი რამ ამბავი არც ისე იშვიათად ხდება, მაგრამ ეს ჩემი ფიქრი ახირებულად შეუსაბამოდ მაინც მომეჩვენა. ვიცოდი, ჩემი თვალით მქონდა ნახული, — ამ სამი დღის წინათ ჩვენი მამაცი მებრძოლები მტრის ქალაქში როგორ შეიჭრნენ, ქუჩას ქუჩაზე, უბანს უბანზე როგორ იღებდნენ, ომი მრავალსართულიან სახლებსა და ეზოებში როგორი მრისხანებით გრგვინავდა. ჩვენი პოლკები, ბათალიონები, ასეულები ცეცხლისა და ზურგის ნაწილებად ჩვეულებრივ აღარ განიყოფებოდნენ. ქუჩის ბრძოლათა პირობებში ლაშქრის ამგვარად განაწილებას აზრი არ ჰქონდა. მზვერავები, მეაღალენი, მესანგრენი წინა ხაზზე ერთ მთლიანსა და განუყოფელ საცეცხლე ძალად ქცეულიყვნენ. თავისი ჰიხვინა ცხენები ჩვენს ვაქკაცებსაც აქ, ფრონტის ზურგში, დროებით დაეტოვებინათ და იმ დროს, როცა ისინი ქვეითებთან ერთად ქუჩებში, სახლებსა და სართულებში გააფთრებით იბრძოდნენ, აქ სიწყნარე იყო, კისერზე გამობმულ ჯვალოს თოფრებში თავჩარგული მათი ცხენები იატაკზე კმაყოფილებით აბრაგუნებდნენ, შვრიას გემრიელად ახრამუნებდნენ. თან არხეინად ფრუტუნებდნენ.

— ვინ მოდის? — იკითხა ღამეში ვიღაცამ ტლანქად.

— ჩვენები. ჩვენიანნი ვართ. — გაეხმაურა გუშაგს ხომენკო და მისკენ დოსტოღრივ გაემართა. იმ დღის პაროლი სხვას, გარეშეს, შემთხვევით რომ არ გაეგონა და მის სამხედრო საიდუმლო მისდა უნებლიედ არ გაეცა, ყურში ჩუმად, მაგრამ მკაფიოდ ჩასჩურჩულა.

ღამის გუშაგმა გზა დაგვითმო.

არ ვიცი ღამეს თვალი თანდათან შევაჩვიე, თუ ცამ შეუმჩნევლად მართლა ინათა, გორაკების შორეულ ჩრდილით მოხაზული ცისკიდური თანდათან ნათლად, უსწორმასწოროდ იხაზებოდა. განთიადის ციმციმა ვარსკვლავები ყუმბარის ნათხარებსა და ჩაქცეულ ტრანშეებში ჩამდგარ გუბეებიდან ნამდვილივით იცქირებოდნენ. წუთით მომეჩვენა, თითქოს მიწაზე კი არა, — ცისა და ცის შორის მივდიოდი.

ვისაც ღამე ხშირად უტეხია, თავს ალბონიც ხშირადვე წამოსდგომია, ალბათ იმასაც შეამჩნევდა, — ცა კალმახისფრად რომ ინათებს, სისხამი დილა ღამეს ნისკარტს რომ წაჰკრავს,—ვარსკვლავები მოლურჯო ელფერს დაკარგავენ. და ამ დროს არის წუთი, როცა ქვეყნად, თითქოს კიდევ უფრო ჩამობნელდება, თითქოს კიდევაც აცივდება, ცისკრის ვარსკვლავიც ჩასვლის წინ კიდევ უფრო აბდღიალდება.

ცის ალაყაფი ახლაც, თითქოს მართლა გაიხსნა. ამ დილაბნელმა ჩემი მშობლიური ტაბაწყურისა და ლატფარის დაცვარული მაღალმთიან-შალდაყიანი საძოვრები ცოცხლად წარმომიდგინა,— თუმცა, უნდა ითქვას, რომ ცის ლაჟვარდში შეცურებულ ჩემი კავკასიონის მუდმივი თოვლით მოსილ მთათა თეთრ იალქნებს ვერსად ვხედავდი. ჩვენი მწყემსების ეს ბდღიალა ხარიპარია ვარსკვლავიც, ჩემ სამშობლოში ზოგან ეთერსა და ზოგან ლამარიას რომ უწოდებენ, გზას ფრონტისაკენ თვალის მომჭრელ ჭიატით გვინათებდა.

თებერვლის წყნარი, საკმაოდ ცივი დილა ნელა, აუჩქარებლად თენდებოდა. კონტრფორსებიანად ჩამოქცეული ძველებური გუთური წყობის კოსტელი, წოპესახურავიან-ყალუზიებიან სახლთა ნახანძრალი ჩონჩხები, ჭის თავზე გადალეწილი ოწინარები, უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილ სამხედრო საჭურველის ნალეწები განთიადის ლეგა ბინდში თანდათან მკაფიოდ ინაკვთებოდნენ.

დასასრული ჩვენ სიარულს მაინც არ უჩანდა. რამდენი ჩქარა მივდიოდით, გზა თითქოს იმდენი გრძელდებოდა. ჩანს, ჩვენი ჩაგვერა, ჯმუხი ჩიბისოვიც დაიღალა, თავის მოკლე ნაბიჯებს ფეხგრძელ ხომენკოსა და ზავეტოვს ეგრერიგად ველარ უსწორებდა.

ეზოების სიხშირემ თანდათან იკლო. მედსანბატს, საინტენდანტო ცეიხჰაუზებსა და რაღაც საწყობებს ჩუმად ჩავუარეთ. საავტომობილო პარკი და იარაღთა სარემონტო სახელოსნოებიც მალე უკან ჩამოვიტოვეთ. დაბა არც ისე გრძელი აღმოჩნდა, როგორც მეგონა. ველად გასულს გულმა არ მომითმინა, — გზას ავუქციე, ნარიყალებში ნაკადულად გაპარულ მდინარის გასწვრივ მინდორ-მინდორ წაველი.

ახლადაშლილი, ჯერ ისევ ქორფა რთვლიანი მწყრიფეხა და ძურწა ბალახი შრიალით მელამუნებოდნენ. კვარაკუნჩხა, ბაია და ყაყაჩოები წითელ-ყვითლად დაჩითულიყვნენ, ყურთასმენის წამღებად ჩიტები კი არა, თითქოს ისინი ჟრიამულებდნენ. ჩვენებური ღამის მეხრის ის კარგი მამალიც, — ჩვენგან დამფრთხალი ტოროლები ცად აწვერილ მზისკენ წკრიალით მიფრინავდნენ, უცებ წყდებოდნენ, ბალახ-ბულახში მოშორებით ქვასავით ვარდებოდნენ. ეს კუდმაკრატელა მერცხლებიც მიწას გულით ეხეთქებოდნენ, ფეხებთან ლაღად გაქროლებულნი სივრცეში ისევ იკარგებოდნენ.

ჯვარედინად დადუღებულ რკინიგზის რკლსთა ბოძკინტებსა და ტანკსაწინააღმდეგო თხრილს რომ გავცდით, განი-

ერი, საკმაოდ ღრმა ხეობა თვალწინ ერთბაშად გადაგვეშალა. მდინარე, აქამდე კვალდაკვალ რომ მოგვყვებოდა, ჩახრამულ ხევში თავპირის მტვრევით ეშვებოდა, ძირს, ბაღებსა და ნაბოსტნარებში ზანტად მიიკლაკნებოდა.

დაბას, საიდანაც ჩვენ მოვდიოდით, ამ ორიოდე კვირის წინ ეს ხეობა მტკიცედ იცავდა. მისთვის ბრძოლაში, ვინ მოსთვლის, თავისი სიცოცხლე რამდენმა ვაჟკაცმა გაათავა. იმ ბრძოლებს ახლა თითქმის არაფერი მოგვაგონებდა.

ხეობაში მზეს ჯერ კარგად ვერ ჩაეტანებინა, ნაპრალ-ღრანტეებში თოვლი ისევ იდო. სიცივემ აგვიტანა.

წყალდიდობის დროს მოტანილ შლამითა და ნარიყალებით შეკრული მდინარე აქა-იქ დორანებად შეგუბებულიყო, მოწმენდილი ცა შიგ ლურჯად კამკამებდა, სიპი ქვები მის ბსკერზე ჩვეულებრივზე უფრო დიდნი მოჩანდნენ. ღამის ნისლი მზეს ჯერ კიდევ ვერ შეესუტა, მისი ლეგა ნაფლეთები ბუჩქნაროვან კალთებსა და ფლატეებს კვამლივით ეტმასნებოდნენ, ხეობაში ოდნავ მობერილ თერხვისაგან მღვრიედ ბოქირებდნენ.

იმ ადგილას, სადაც წისქვილის დაუქმებული არხი იწყებოდა, გზას სიმოკლისთვის ავუქციეთ, წყალგაღმა ფერდაზე გაკვალულ ბილიკს შევუდექით. ტყვიებისაგან დაცხავებული, ჯერ იარამოუშუშებელი ვერხვნარები გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმით სამ დღეში ისე გამოცოცხლებულიყვნენ, რომ სამუდამოდ დადუმებულ საცეცხლე წერტთა ბეტონის მრგვალი გვიმებისა და მავთულხლართების დანახვაზე გული ეგრერიგად აღარ მეკუმშებოდა. აქეთ-იქით მიყრილ-მოყრილი და ჯერ აუკრეფავი საბრძოლო საჭურველი რკინეულის უბრალო რამ ჯართად მეჩვენებოდა. მიწაში ხიშტით ჩარჭობილი გერმანული შაშხანა ამოვგლიჯე, ბუჩქებში გადავისროლე. მერე ბილიკზე გადმოსულ ექილ ტირიფის ერთადერთ ტოტს ხელით წავწვდი შხოლი ფრთხილად შევატეხე. წებიერ წვენით გაჟიჟინებული ბუსუსიანი ყლორტი ხელში შემომესრისა გადასაგდებად მაინც ვერ გავიმეტე.

— ხედავთ, ჩვენ პაპაშას! — წამოიძახა ამ დროს ხომენკომ და ხევის კალთაზე დაშვებულ ბილიკს მაღლა ახედა. მაზარა ხელდახელ გაიხადა, ქვეშ დაიფინა, მის მოლოდინში ზედ ჩამოჯდა.

მაზარა, ჩემს გარდა, სხვებმაც გაიხადეს. ზოგი სად დავსხედით და ზოგი სად, ბილიკზე მომავალ სამსონა ბახტურიძეს თვალყურს ღიმილით ვადევნებდით, განზრახ არ ვეხმიანებოდით. ის კი თავჩაქინდრული, რაღაცის გამო ჩაფიქრებული ბილიკზე ნელა მოდიოდა. თან გზაზე გადმოზნექილ ხეებისა და ბუჩქნარის ტოტებს აქეთ-იქით სიფრთხილით სწევდა, ეშინოდა, რომელიმე მათგანი შემთხვევით არ დაეზიანებინა.

რედაქტორის ის წუხანდელი ბრძანება, როგორც ჩანდა, მას სისრულეში უკვე მოეყვანა, ახლა უკანვე ბრუნდებოდა. დაღლილობისა თუ უძილობისაგან ფეხები ებლანდებოდა, სრულსა და ტანზე მოურგებელ მაზარის კალთებს თეძოზე მოგდებულ ტყავის უზარმაზარ ჩანთასთან ერთად იმერულ ჩოხასავით მოაბარტყუნებდა.

ტირიფის ნედლი ტოტის მონატეხს, ხელში შემთხვევით რომ შემრჩენოდა, მის მოლოდინში კბილით წიწკნა დავუწყე. ყლორტის გრილმა და თან მოტკბო, ოდნავ მომჟავო წვენმა უძილობისაგან გამოტალული პირი გამიხალისა.

ზავეტოვს გულმა არ მოუთმინა. თავისი ხნიერი მეგობრის გასაგონად განზრახ ხმამაღლა, ნაძალადევად ჩაახველა. სამსონა შეკრთა, რომ დაგვინახა, ჭუტა თვალები სიხარულისაგან აუციმციმდა, ჩვენკენ გამოქანებულმა მაზა-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული

რის კალთები ჩანთასთან ერთად კიდევ უფრო უშნოდ ააბარტყუნა, სირბილისაგან თავი ჩვენ წინ დაღმართზე ძლივს შეიკავა. წვიმით, ქარით და მზის მცხუნვარებით ნარეცხ-გამოხუნებული პილოტური ქუდი მელოტ კოსროზე ხელდახელ გაისწორა და როდი მოგვესალმა, — მოგვეალერსა:

— სალამი, ამხანაგო უფროსებო!

— სალამი, მეგობარო. — მიეხალისა პოლპოლკოვნიკი ხომენკო.

ზავეტოვი ფეხზე წამოდგა, ალერსის ნიშნად ხელი მოხუცს მხარზე დაადო, მაგრამ სამსონამ იგი წყნარად ჩამოიშორა, ქუდი კოსროზე ისევ შეისწორა. ჩიბისოვისკენ არც მიუხედავს, სათითაოდ ყველა ჩაგვათვალიერა, ცოტახანს შემდეგ შეგვეკითხა:

— ფრონტისკენ, არა?

პასუხს არ დაუცადა, ამოიხვნეშა:

— ეეხ, მშვიდობით იმგზავრეთ!

თავი ძირს ჩაჰკიდა, ისე განაგრძო:

— ახლა იქ დიდი ბრძოლებია. დაჭრილებს ეზიდებიან. მტერს თავისი აღსასრული ისევ არ სჯერა. თავის ძალლურ სიცოცხლეს გააფთრებით იცავს. წერილები შტაბიდან გამომატანეს... და ვინ იცის, იქნებ ის, ვისაც წერილი უნდა მივუტანო, აღარც არის...

ხელი ჩაიქნია.

ხმა რომ არავინ არ გავეცით, სიჩუმე ისევ დაარღვია!

— მიდიან.

ფრონტისკენ მიმავალ ეშელონების ხმაურს მიაყურა.

— ჩვენი მამაცი ვაჟკაცები ომში იბრძვიან. მიწა კი ამ დროს მუშაობს... თავისთვის მუშაობს... ხედავთ, ირგვლივ გაზაფხულია... ხეები წვენით ივსებიან, ბალახი ისევ იფურჩქნება...

ტირიფის ყლორტი ხელიდან გამვარდა

სამსონა ისევ განაგრძობდა!

— ქვეყანა ხარობს...

მიწა ფაშისტურ სიბილწისაგან იწმინდება.

ხომენკო წამოდგა. მაზარა ხელზე სიგრძით გადაიკიდა, წითელარმიელს ზემოდან ღიმილით დახედა. მასთან ერთად მეც წამოვდექი, მაზარას კალთები ხელდახელ ჩავიბერტყე.

ჩიბისოვი არც განძრეულა. ქვეშ ამოდებულ მაზარაზე ისევ იჯდა, ხეოვან კინოდან გამოტანილ რაღაც ჰანგს თავის-თვის ოდნავ გასაგონად სტვენდა.

სამსონამ ყურადღება მას ისევ არ მიაქცია. გლეხურად დაძარღვული ხელი წვერზე რატომღაც მთრთოლვარედ ჩამოისვა, ხმის მოუზომავად, მისისვისვე მოულოდნელად წამოიძახა:

— ხედავთ, ამხანაგო უფროსებო!

თავისივე ხმით თვითონვე შეკრთა. ეტყობოდა, მოჭარბებულ გრძნობას ძლივს იოკებდა.

— ხედავთ, სად ვართ? აბა მოიგონეთ, შარშან სად ვიყავით. სიმართლემ ბოლოს მაინც გაიმარჯვა... სტალინმა, ჩვენმა ხალხმა გაიმარჯვა. ჩვენი ჯარები მტრის მიწაწყალზე ძლევამოსილად მიაბიჯებენ. მათთან ერთად მეც მივაბიჯებ და, როგორც ჩვენ გაზეთში ხშირად წერთ ხოლმე, თან კომუნიზმი, სიყვარული, საკაცობრიო აზრები მიმაქვს...

ისევ გაჩუმდა. კისერი მოიფხანა, ისევ მოიფხანა, ჩემკენ მოულოდნელად მოტრიალდა.

— ბოდიში, ამხანაგო პოლკოვნიკო, კინალამ დამავიწყდა... თქვენი წერილია. შტაბიდან გამომატანეს...

გვერდზე მოგდებული ის თავისი ჩანთა თეძოს აქნევით წინ მოიქცია. გულზე აფენილი მისი ტყავის სარქველი მკერდზე ნიკაპით დაიჭირა და წელში მოხრილმა, ფეხის შესაშველებლად მუხლმოდრეკილმა მოსკოვიდან მიღებულ გაზეთებს შორის დაკარგულ წერილს ძებნა დაუწყო, თან ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა:

— სად უნდა იყოს? მახსოვს... კარგად მახსოვს, სადღაც აქ ჩავდე...

გული თავის თავზე თვითონვე მოუვიდა.

— რა ვქნა, სად დაიკარგა!

წერილები ჩანთაში სათითაოდ ისევ მისწი-მოსწია, გაზეთებიც სათითაოდ ისევ გაჩხრიკა. პოვნის იმედი რომ დაკარგე, სწორედ ამ დროს წამოიძახა:

— ეს არის!

ქაღალდებს შორის ამოტაცებული წერილი გამომიწოდა. ჩანთა თეძოზე მოიქცია.

ძველი, მასწავლებლისათვის ჩვეულ მკაფიო ხელით ნაწერ მისამართს დავხედე, დედაჩემის ხელი ვიცანი. მინდოდა იქვე გამეხსნა, მაგრამ გადავიფიქრე. შინიდან მიღებული წერილი ფრონტზე ყველასია, მისგან გამოწვეული სიხარული ან მწუხარებაც საერთოა. ფრონტის ცხოვრება გაგრძელებაა იმ ცხოვრებისა, საიდანაც წერილი მოდის, და ამიტომაც ყველა იმის მოლოდინშია, უამბობ მაინც რას გწერენ ან რას გატყობინებენ. იქ, საშობლოში დატოვებული ოჯახები დანაწევრებული რამ როდი არის, იგი ყველას სახლია, სახლი, რომელსაც სისხლით იცავენ. წერილი იქვე რომ არ გავხსენი, ამხანაგებმა გაკვირვებით შემომხედეს. მართალია, არცერთ მათგანს არაფერი ჩემთვის არ უთქვამს, მაგრამ უკმაყოფილების გრძნობა მათ თვალებში მაინც ამოვიკითხე, ჩემი ეგეთი გულჩახვეულობა არ მოეწონათ.

სამსონა ერთხანს გაცბუნებული იდგა. მერე თვალებში ჩამაჩერდა, შემეკითხა:

— ნებას მიბოძებთ, გამოგეთხოვოთ?

— წადი, ჩემო სამსონა, წადი!—წამოვიძახე ჩემდა უნებლიედ ქართულად, სიტყვა რუსულად შევატრიალე! — წადი. ნახვამდის.

— ნახვამდის, ამხანაგო უფროსებო. მშვიდობით იმგზავრეთ. — თქვა და უსიტყვოდ ჩამოგვშორდა.

გული აღმართზე სიარულით ამომვარდა. წუთით შევდექი, ხეობას მაღლიდან გადავხედე. ძირს, [illegible] შლამიან არხის გასწვრივ ჩვენი სამსონა დაფიქრებული მიდიოდა. სიარულში ფეხები აღარ ეშლებოდა. მანძილით კიდევ უფრო დაპატარავებული კოსროზე მოგდებულ პილოტურ ქუდით აშლილ ბუჩქნარებს ხან მიეფარებოდა, ხან ისევ გამოჩნდებოდა.

აღმართიც მოილია. თვალწინ მინდორი გადაიშალა. ტანკებით, თვითმავალ ქვემეხებითა და საბარგო მანქანებით ახმაურებული გზატკეცილიც გამოჩნდა, ველის ნიავი სახეში ცივად შემომეხალა, მივხვდი ისევ გაავდრდებოდა.

გზით გაშუქებულ საკონტროლო გზაჯვარედინზე წარწერებითა და მიმართულებათა მაჩვენებელ ფანერის ისრებით აჭრელებულ ბოძს თვალი მოვკარ თუ არა, გავიქეცი, გზის გასწვრივ გაჭრილ წყალსაწრეტი თხრილის პირას გულამოვარდნილი მივეგდე.

სანამ ამხანაგები დამეწეოდნენ, წერილი გავხსენ. დედაჩემის ტკბილი სუნთქვა მისი მოთმინებით სავსე ალერსი, თბილი სიყვარული ბურანივით შემომეხვია. ჩემი ოთახი, ჩემი საწერი მაგიდა, რონიშის შავი როიალი თვალწინ გამომეხატა. მეორე ოთახში დედა მოწაფეთა რვეულებს წითელი მელნით ასწორებდა, ეზოში ბავშვები ჟრიამულებდნენ, სადღაც მაიკო რაღაც ჰანგს ლაღად გაჰკიოდა. სავგაჩოვს დედაჩემთან სტუმრად შეევლო, დაცხრილულ ფილტვების მოსაშუშებლად აბასთუმანს გამგზავრებულიყო.

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

19

თუ გინდათ, ოდნავ მაინც წარმოიდგინოთ, როგორია ბრძოლის ველზე მდგომარეობა, ნურსად ნუ წახვალთ, ნურც ნურაფერს იკითხავთ, — ფრონტისპირა საკონტროლო პუნქტთან ცოტა შეიცადეთ, სამხედრო ნაწილების

მიმოსვლას თვალი გადაავლეთ და ყველაფერი თქვენთვის ნათელი თავისთავად გახდება. ამ მიზნით, რა თქმა უნდა, ჩვენ აქ სრულიადაც არ მოვსულვართ, მაგრამ მაინც ვიცდიდით, ვიცდიდით იძულებით, რადგან გზა, ერთის მხრივ, ფრონტიდან მომავალ დაჭრილებით სავსე სანიტარულ და საბარგო მანქანებით იყო გაკავებული, ხოლო მეორე მხრივ, ფრონტისაკენ მიმავალი ეშელონები გასაქანს არ იძლეოდნენ, რაც კიდევ ერთი ზედმეტი ნიშანი იყო იმისა, რომ იქ, საითაც ჩვენ მივიჩქაროდით, ომი მრისხანებდა.

ყუმბარებით, ავიაბომბებით დათხრილ-დაგლეჯილს, მაგრამ საკმაოდ განიერ გზატკეცილზე ჩვენი გვარდიული ნაწილები მძლავრი საომარი ტექნიკით გუგუნით მიემართებოდნენ. ქვეითებით, ჭურვებით, საწვავი სითხითა და სურსათ-სანოვაგით დატვირთული ფორნები, ორთვალები, ავტომანქანები სამ მწკრივად გამართულიყვნენ. ტანკებისა და თვითმავალ ქვემეხების ბობღანოთა ამაზრზენ ხრჭიალისაგან, ყურთასმენა არ იყო, ტრაქტორები გაუბიცებსა და მძიმე ნაღმტყორცნებს ხმაურით მიაგორებდნენ, ერთნი მარჯვნივ უხვევდნენ, მეორენი მარცხნივ, — მათ დენას ბოლო არ უჩანდა.

ყველას ეჩქარებოდა, სული მისდიოდა, როდის მიაღწევდნენ დანიშნულ ადგილს, როდის მივიდოდნენ იქ, მოსისხლე მტრისთვის სამაგიერო მიეზღოთ. მებრძოლები წუთიერ შეფერხებით სარგებლობდნენ, მანქანებიდან ხტებოდნენ, მიმართულებათა და მანძილთა მაჩვენებელ წარწერებს მოუთმენლად კითხულობდნენ, თან ვარაუდობდნენ რამდენი კილომეტრი დარჩათ კიდევ გასავლელი.

მოძრაობის ყველა წესების დაცვას ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს, მიმოსვლათა მომწესრიგებლის ბრძანებაც ამიტომ კანონია და მისი დარღვევა არასგზით არ იქნება. ამ კანონს ცხოვრებაში ჩვენი საბჭოთა გოგონები ატარებდნენ. ერთი მათგანი, ტანძორჩილი, ერთობ საამოდ ჩამრგვალებული, რომლის ქალური თეძოების დაფარვასაც მისივ უხეში, სრული მაზარა ვერ ახერხებდა, აქაც იდგა. მას, გზაჯვარედინზე, გზათა შესაყარში ჩამდგარს, დაკისრებული ამოცანისა და შექმნილი მდგომარეობის მთელი სირთულის მიუხედავად, წარბი ოდნავაც არ შეუხრია; ცისფერი, თითქოს გაოცებული თვალები მრგვალ სახეზე კვიმატიანად უციმციმებდნენ, — წითელ ბაირაღის აქნევისას ადგილზე უძრავად შეშდებოდნენ, ყვითელ ფერზე ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებდნენ, ხოლო თეთრი ნიშნის გამოჩენისას, გზას ჩვეულებრივ განაგრძობდნენ.

— გეზი მარჯვნივ, მარჯვნივ დაიჭიმეთქი! საით, აბა საით ეჩრები, ამოდენა გზაზე ვერ დაეტიე? — უტევდა იგი მწკრივად გამოჩრილ მანქანის მმართავს განზრახ ტლანქი, ვითომც მამაკაცური სიმკაცრით, რასაც შავ ბერეტს ქვემოდან მისივ ურჩად წამოშლილი, მზის სხივებით აბზინვებული თავთავისფერი ბუწუწები, უნდა ითქვას, რომ სრულიადაც არ ეხამებოდნენ, ახალგაზრდული ოცნებით წარმოდგენილ მტერთა მმუსრავი მრისხანე ჯარისკაცის იერს სულ უფუჭებდნენ. მიზეზიანად დაბუსხული და თან მრგვალი, ოდნავ გახსნილი ტუჩები გამოგონილ სიდინჯისაგან კიდევ უფრო მიზეზიანად დაბუსხვოდა, ლოყები მართლაც თურაშაულ ვაშლებივით აჭღუებოდა, — სიცოცხლეს, ყმაწვილურ ხალისს ირგვლივ უხვად მიმოაბნევდა, მანქანებით ჩაქროლებულ წითელარმიელების ლაღ ხუმრობას უნებლიედ იწვევდა.

— წამო, ჩემო ფრაუ, წამო ბერლინამდე გავისეირნოთ... უნტერ დენ ლინდერზე ყოფნას ახლა რა სჯობია. — ეპატიჟებოდა ერთი მებრძოლი ღიმილით და ისიც ვალში როდი რჩებოდა,

თავაზიან კავალერს სიტყვას მოკლედ უჭრიდა.

— არა მცალია, ბიჭო. ხო ხედავ, რამდენი საქმეები მაქვს.

სიტყვა ახლა მეორემ გააწყვეტინა:

— ფრაუ, ძვირფასო ფრაუ, იქნებ იცოდეთ, ვიფილ კილომეტერ ბერლინამდე?

— გაიარეთ, გაიარეთ, რაა მანდ გზა რომ გაგიკავებიათ! — ყვიროდა გაანჩხლებით წვერმოშვებული მეფორნე.

— რას ჩქარობ, ძია?—შეეკითხა მას ახალგაზრდა წითელარმიელი. — ვინც იჩქარა, ხომ იცი, რა დაემართა?

— სადაური შენი ბიძია ვარ... ვერ ხედავ, ნამცხვრები მიმაქვს ბერლინში. — და ამ სიტყვებით ჭურვებით სავსე ფორანს მოხედა. — გიტლერს საკუთარ ხელში უნდა ჩავაბარო, ამბობენ გული არ უთმენსო. სიტყვა აღარ დაუსრულებია. მოძრაობა ამ დროს გაიხსნა, ფორანიც ადგილიდან დაიძრა.

— წამო, გოგონი, შენც წამო!—შეეპატიჟა მოძრაობის მომწესრიგებელს მანქანით ჩამოვლილი შავთვალწარბა სერჟანტი. — აქ რას უდგეხარ? ჩვენთან სჯობია. — და ამ სიტყვებით თვალებში ჩაციებით ჩააჩერდა, თან ალერსიანად უღიმოდა.

გოგონას სახე ბრაზით წამოუჭარხლდა.

— სახე იქით მიიღე, იქით მიიღე, უტიფარო, თორემ მოგეღრიცება და შინ დედაშენი ვეღარ გიცნობს.

— ეგრე რას მიცქერ, ეგრე რას მიცქერ! — ახლა მეორეს შეუტია. — ის გირჩევნია, წინ დაიხედო, ბერლინამდე ჭინძლო კისერი არ მოიტეხო. — თან შუბლს განზრახ ჭმუხვნიდა. მისი ბრძანება კანონი იყო, მორჩილებას განუხრელად მოითხოვდა.

ღამენათევი გათენებამდე გუშაგად ნადგომი მისი მეორე ამხანაგი საიდანღაც მოტანილსა და ჩალურთან მიწაზე ბრტყლად დაგდებულ ორმაგი კარის ნახევარზე პირქვე ცალკე ჩამხობილიყო, ხელებში თავჩარგულს მკვდარსავით ეძინა. იქვე მახლობლად ისევ ერთი ამხანაგი, მაგრამ შავგვრემანი, ეძინა. სავსე გოგონა მიწაზე ორთავ ხელით დაყრდნობილიყო, კარდალშემოდგმულ ცეცხლს სულს უბერავდა, შეშა სველი თუ იყო? — ვერ აჩაღებდა, — ბოლში გახვეულს, ფერფლი, ნაცარი ბერეტზე, მხრებზე აცვივოდა.

ეს ადგილი ამ გოგონებით, ცეცხლზე შემოდგმულ ამავ კარდლით, სხვა ამგვარივე დანიშნულების ადგილთაგან თითქმის არაფრით განირჩეოდა. ბარით საგანგებოდ ჩამოსწორებულ გზის ბექობზე საგანგებოდვე შერჩეულ თეთრი კენჭების ლამაზი მწკრივით დახატული პატრიოტული ლოზუნგები, შილაგადაკრულ დიქტის ფურცლებზე დიდი ასოებით ამოხატული საომარი მოწოდებანი, სახელდახელო ვიწრო ჩალური და ბომბსაფარ თხრილისკენ მიმართულების მაჩვენებელ ისრის წარწერაც, თითქოს იგივე იყო, ომი ამ დაუსრულებელ გზათა შესაყარებსა და მოსახვევებში, ვინ მოთვლის, რამდენი რამ მენახა.

სულის ამაო ბერვით გაბეზრებულმა გოგონამ ცეცხლს თავი გაანება, ნაცრით დამტვერილი მაზარის კალთა კაბასთან ერთად ჩაიბერტყა, ნელი ნაბიჯით მოგვიახლოვდა. კოხტად დადგმული ტანით, სახის დაქანცული გამომეტყველებით, უნდა ითქვას, რომ იგი პოსტზე მდგომ თავის ამხანაგს ბევრად სჯობდა, მაგრამ უნდა ითქვას აგრეთვე ისიც, რომ მასთან შედარებით იგი ოდნავ მოწიფულად გამოიცქირებოდა. არ ვიცი, იქნებ მისი ტოლიც იყო და მოწიფულად მას მისივე შავგვრემანობა გამოაჩენდა?

ჩიბისოვმა მოსაზრება, რომ გემოსა და ფერში თანხმობა არ არსებობს ერთხელ კიდევ ზედმეტად დაადასტურა. იმ თვალუუეუნამ და ცხვირპაჭუამ მისი გზნებადი გული იმთავითვე ანდამატივით მიიზიდა. იმის მაგიერ, რომ თავისი პირადობის მოწმობა სამხედრო

სალამით მოახლოვებულ შავგვრემან გოგონასათვის ჩვენთან ერთად იმასაც თავაზიანად ეჩვენებინა, მოხედვაც ვერ მოვასწარით, — პოსტზე მდგომ თეთრგვრემან გოგონასთან თავისი საბუთით უტიფრად გაჩნდა, მის გვერდით უშნოდ აიტუზა.

მისი ამგვარი უკმეხობა ყველას გვეწყინა, მაგრამ შავგვრემანს იგი თითქოს არ შეუმჩნევია.

— კარგი, ძალიან კარგი, ამხანაგებო. — თქვა წყნარი, ქალიშვილურად ჟღერადი ხმით და საბუთები უკანვე დაგვიბრუნა, მერე ხშირი წარბებით მოხაზული არც ისე მაღალი, მაგრამ გონიერი შუბლი რატომღაც შეიკრა, განაგრძო: — ცოტაც მოითმინეთ, ამხანაგებო, ცოტაც და ვეცდებით პირველივე მანქანით გაგისტუმროთ...

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. — დავეთანხმეთ ჩვენც, რადგან ვხედავდით, რომ სხვა გზა ჯერჯერობით მართლაც არ იყო.

ჩიბისოვი თავისი ეგრე ერთბაშად განგმირული გულით ცხვირპაჭუა გოგონას გვერდით ისევ იდგა, მისკენ ზედმეტად გადახრილი ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდა. მართალია მისი სიტყვები მანქანათა ხმაურში არ გვესმოდა, მაგრამ მას, ვისაც ეს სიტყვები შეეხებოდა, ალბათ კარგად ესმოდა. ერთი ხმამაღლა რომ გადიკისკისა, მივხვდით,—ჩვენი მეგობრის საქმე არც ისე ცუდად უნდა ყოფილიყო.

ნათქვამია, ფონი გასავალსაო, და ჩიბისოვსაც სწორედ ასე დაემართა, — ფრონტისკენ დაძრულ წითელარმიელებით სავსე საბარგო მანქანათ გრძელი მწკრივები თითქოს მისი ჯიბრით, გზაზე სწორედ ამ დროს გამოჩნდა.

გოგონამ გზა თავისი თეთრი ბაირაღით ფრონტისკენ გახსნა, თან ჩიბისოვს მხარი უკმაყოფილოდ აუქნია, მერე ერთი იმნაირად დაუტატანა, რომ მგზნებარე და თან საკმაოდ აბეზარ თაყვანისმცემელს კარგა მოზრდილი ულუფა ცივი წყლისა [illegible] ერთბაშად გადაასხა:

— მომშორდით, თავიდან მომწყდით-მეთქი!

ჩიბისოვს შრომამ ამაოდ ჩაუარა. ფარხმალდაყრილი, ამრეზილი, ჩვენკენ ნელა გამოემართა, ცეცხლის პირას გაგულისებით დაჯდა.

ის კი, ის აშარი და თავქეიფა გზაჯვარედინზე ისევ არხეინად იდგა. ფრონტისკენ გაფრენილ ვაჟკაცების არც თუ იმდენად ფაქიზ ხუმრობაზე სახე ცუშტად ეჭმუხნებოდა, ბერეტს ქვემოდან წამოშლილ თავთავისფერ ბუწუწებთან ერთად ბაირაღის თეთრი მიტკალი ნიავისაგან უფრიალებდა. წუთიც და ერთი ლაღად გადიკისკისა, მტვერსა და კორიანტელში გახვეულ უკანასკნელი მანქანით ჩაქროლებულ ვიღაც ლეიტენანტს ბაირაღი სიცილით დაუქნია:

— ამხანაგო ლეიტენანტო, აბა თქვენ იცით, ამხანაგო ლეიტენანტო! ქალაქი მტრისგან მალე გაწმინდეთ... ჩვენც მოვალთ, ბერლინისაკენ ერთად გავისეირნოთ.

სანამ მე და ხომენკო იმ დასკვნამდე მივიდოდით, რომ მანქანაში ადგილს ოთხნივ ერთად ვერ ვიშოვიდით, ჩიბისოვმა მისგან გაწბილებულ შავგვრემან გოგონას ცეცხლი გაუჩაღა. საქმეც მარჯვედ შეატრიალა, — მასთან ერთად ჩვენც ვიცოდით, რომ მის მოსაუბრეს თურმე მარია ერქვა, მძინარეს — პაშა, ხოლო მის გამაწბილებელ აშარ გოგონას—ტანიუშა.

გაზაფხულის უღიმღამო მზემ სულ მომადუნა. რულმა თვალი ჩუმად მომპარა. თავი ძილს ბოლოს მაინც წავართვი. თვალები მოვიშმუშნე ღრუბლები ცაზე წამოშლილიყვნენ, ღრუბლები ცაზე წამოშლილიყვნენ, ღრუბლები ცაზე წამოშლილიყვნენ, ღრუ



რამეს ფიქრობდა. ზავეტოვი მის გვერდით ჩუმად იჯდა, ბლოკნოტში რაღაცას ხატავდა. ცეცხლზე შემოდგმულ კარტოფილით სავსე კარდალს მარია მშვიდად დასცქეროდა, ენად გაკრეფილ ოფიცრის ჩიბისოვის ქაქანს ყურს მოთმინებით უგდებდა, თან დაქანცულად ეღიმებოდა. ჩიბისოვს ამ ყურადღებით თავს იმდენად გასვლოდა, რომ თავის მსმენელს ხან მარუსიას, ხან მარუსენკას და რა ვიცი კიდევ რას არ ეძახდა. ლაპარაკის დროს ხელს მუხლის თავზე ვითომ შემთხვევით ჩამოადებდა, დიდხანს რომ აღარ აიღებდა მარია მის ხელს წყნარად იშორებდა, თან ზავეტოვს თვალყურს შორიდან ადევნებდა. საქმით გართული მხატვარი ცეცხლისაგან მოძალებულ ბოლს ხელით უაზროდ რომ იგერიებდა, იქით მიწევას რომ ვერ მიმხვდარიყო, დაქანცულადვე ეღიმებოდა. კარის ნახევარზე მძინარე პაშას თურმე გაღვიძებოდა, მაგრამ თვალი აქამდე არ გაუხელია. ჩვენი მეგობრის აბდაუბდას ყურს თვალდახუჭული უგდებდა. მოთმინება ბოლოს ალბათ არ ეყო, ცალ ხელზე მხოლოდ ახლა ჩამოეყრდნო, ჩიბისოვის ყურადღებაც მხოლოდ ახლა მიიქცია. თაფლისფერი ჟუჟუნა თვალები ზანტი მთქნარებით რომ მოიშმუშნა, ნამძინარევი, მშვიდი სახე ღიმილისაგან ერთბაშად ისე დაუმშვენდა, თითქოს მზემ ღრუბლებიდან გამოაშუქა, ჩვენს ოქროპირს მისი შუქისგან ენა მუცელში ჩაუვარდა. თვალები როგორღაც გაოცებით აახამხამა, საქციელი უცებ ისე წაუხდა, რომ ისედაც ტკაცუნა ცეცხლს შეშა რატომღაც წაუმატა, მერე კისერი მოიფხანა, ისევ მოიფხანა, სიტყვა სიტყვას ვერ გადააბა; მისი მდგომარეობა თვის ორ ზვინს შუა დაბმულ საკმაოდ ცნობილ არსებაზე მძიმე აღმოჩნდა, — თავი მან ორ ზვინს შორის კი არა, სამ ცდუნებას შორის ამოჰყო.

არ ვიცი, ჩვენმა არცასურ[illegible] ... ... მშვენიერმა პარისმა ეს ... ...

დროებითი საფრონტო აეროდრომი ჩვენებს სადღაც, აქვე გადმოეტანათ. მოულოდნელად წამოფრენილმა ფოლადის შევარდნებმა ცა და მიწა პროპელერების გრიალით დააყრუეს. რიგი ჩვენი ყუმბარმზიდ-გამანადგურებლებისა ფრონტისკენ გუნდ-გუნდად მიემართებოდა, რიგიც ნაბრძოლ-ნაომარ თვითმფრინავებისა ბომბის ახალ მარაგისათვის უკან საჩქაროდ ბრუნდებოდა. ღრუბლიანი საღამოს ნესტით გაჟეჟინებული ჰაერი მოტორების ხმას ჩვეულებრივი ჟღერადობით ვერ ატარებდა.

მარცხენა ფლანგზე „კატუშების“ ცეცხლი მეტეორიტების ნათელ გუნდად წამოიშალა, გორაკებს თავზე ცეცხლის ზოლებად გადაუარა, — წუთიც და გრგვინვა მოისმა, ქვესკნელს თითქოს გული ამოუბრუნდა.

ასეული სადაც მე დღესვე უნდა მივსულიყავი, მტრის ქალაქში ერთი პირველთაგანი შეეჭრილიყო. პოდპოლკოვნიკი ხომენკო ცხენოსანთა პოლკის ვიღაც თავაღებულ ქართველი ოფიცრის ვაჟკაცობის ამბავს ისეთი გატაცებით მომითხრობდა, რომ თავისი გზნებით მეც გამიტაცა.

ვისაც ერთი და იმავე ბრძოლის ამბავი მის უშუალო მონაწილეთაგან მოუსმენია, ყურადღებას ალბათ იმასაც მიაქცევდა, რომ მსგავსება მათ ნაამბობს შორის უმეტეს შემთხვევაში მკრთალია, ხან ერთურთის საწინააღმდეგოც. მოვლენათა უშუალო მონაწილენი მთავარს ხშირად წვრილმანისაგან ვერ ანსხვავებენ, უმნიშვნელო რამ შემთხვევას, რომელსაც მათზე შთაბეჭდილება რატომღაც მოუხდენია, აზვიადებენ და მით სიმართლეს მისდა უნებლიედ ამახინჯებენ. ქართული ანდაზა — ლაშქრიდან დაბრუნებულ ქმარს, ცოლი ომის ამბავს ახვედრებდაო, ამიტომაც არის ბრძნული და შედეგი დიდი დაკვირვებისა.

ამხანაგი ხომენკოც, როგორც ყოველი უშუალო მოწმე ამბისა, წვრილმანებში იხლართებოდა, მაგრამ მის ნაამბობს ერთი დიდი ღირსება ჰქონდა, — თხრობის წარმტაცი უშუალობით, გულწრფელი განცდით მაინც მხიბლავდა. ცხენოსანთა პოლკის იმ ქართველი ოფიცრის ვაჟკაცურ ამბავს გატაცებით განაგრძობდა. ომამდე იგი ინჟინერ-მექანიკოსი ყოფილიყო, თავისი ხელობით თურმე თავი ერთობ მოსწონდა, და ახლად გაცნობილ პირის ვინაობაზე მეტად მის ყურადღებას მისი საათი უფრო იქცევდა.

— უკაცრავად, საათის რომელია? — იკითხავდა იგი მორიდებით და, თუ საათი სწორი არ აღმოჩნდებოდა, ისეთი მოუგერიებელი თავაზიანობით გეტყოდა: „გინდათ, შეგიკეთებთო“, რომ მისი გაწბილება ძნელი იყო. თავისუფალ დროს მოახელებდა თუ არა, მოსვენების მაგიერ, თავს იმისი ჩხიკინით ირთობდა. არაყს არ სვამდა, — ეს იყო მისი თრობის საგანი, ქალალდს არ თამაშობდა, — თავდავიწყებას ამ კირტიმალში ჰპოვებდა, უცოლო იყო, — ეს იყო მისი გატაცება. ეტყობოდა, იქ სადღაც, ზურგის სიღრმეში ვიღაც ძვირფასი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ გულის ნადებს არავის უზიარებდა. საათის ხრახნებს, ზამბარებსა და წვრილ ჭანჭიკებს დანის წვერით რომ ასწორებდა, კბილანას კბილანასთან რომ ასათაგებდა, თან თავისთვის ოდნავ ეღიმებოდა, თითქოს იმას, იმ თავის ძვირფასს ეღიმოდა.

— თუ თქვენი საათი ოდნავ მაინც ეშმაკობს, არხეინად იყავით, უსათუოდ შეგიკეთებსო. — დაასრულა სიტყვა ხომენკომ და გზას ყურადღებით გახედა.

— ნეტავ სადა ვართ? — თქვა და პასუხი, რომ ვეღარ მიიღო, შემეკითხა:

— როგორია, ჰა?

მხარზე ხელი მეგობრულად დამადო.

— საყურადღებო კაცი ყოფილა. — ძივუგე თავდაჭერილად და გონი მხოლოდ ახლა გამეხსნა, ოდესღაც ჩემგან ნახული სალდათური უბრალო ხარაზურა ცხენის მოსართავ აბზინდებით, ნაირზომის სახრახნებით, ქლიბებით, სიმქაშ-ჩაქუჩებითა და რაღაც უცნაურ იარაღებით სავსე თოფრა ახლა მომაგონდა, ამ ნივთებმა აზრი ჩემთვის მხოლოდ ახლა მოიპოვეს.

„ეს ხომ მატახერიაა!“ კინაღამ წამოვიძახე, მაგრამ არაფერი ხომენკოსთვის არ მითქვამს; მისი ამბავის მოყოლის თავი აღარ მქონდა. ამიტომაც არ გამიმხელია, რომ მე და ის უცნაური ქართველი ოფიცერი ჰოსპიტალში შარშან ერთ პალატაში ერთად ვიწექით. საოცარი ვინმე იყო ეს კაცი, ჩუმი, უთქმელი რამდენიმე კვირა მასთან ერთად გავატარეთ და არ ვიცოდი, სადღაც ვიღაც ეგრე ძვირფასი ვინმე რომ ჰყოლოდა. ვინ უნდა ყოფილიყო იგი? არც ის მესმოდა, ეს ჟინიანი მუშაობა, თავისი ხელობა სწორედ ფრონტზე, სადაც, მისი დრო არ იყო, ეგრე ამოჩემებით რატომ გახსენებოდა? ახლა მომაგონდა, რატომღაც მომაგონდა, რომ მაშენკას შარშან კრეპდეშინის წითელი კაბის შეკერვა უნდოდა, რჩევას რატომღაც მეკითხებოდა. ყურადღება იმასაც ახლა მივაქციე, რომ მუდამ ჩუმი, მოკრძალებული მატახერია სადღაც სწორედ მაშინ იკარგებოდა, როცა მაშენკა არსად ჩანდა.

— საყურადღებო კაცი ყოფილა, — ვთქვი ჩაფიქრებით.

ხომენკომ სიტყვა დამიდასტურა:

— თან უცნაურიც, ძალზე თავისებური.

მხარზე ხელი ჩამომაშორა, ხმა მთელი გზა არ ამოუღია. მანქანის საზურგეზე თავგადაყრდნობილმა თვალი იმნაირად დახუჭა, რომ ვერ გამეგო თვლემდა, თუ რასმე თავისთვის ოცნებობდა.

ბლინდაჟებით, ტრანშეებით, დანგრილ-დაშიგნულ მთაგორებს, მიწასთან გასწორებულ სოფლებს უკან ვტოვებდით, ფრონტს თანდათან ვუახლოვდებოდით. ჩვენს არტილერიას აქაურობა სულ დედაბუდიანად ამოებრუნებინა. ყველაფერი ნაცრად, ფერფლად და ნახშირად ქცეულიყო. ომის ცეცხლით გადამწვარ-გადაბუგული მინდორი, თითქოს თბილი იყო. მტრის აუკრეფავი, სასიკვდილო ცახცახით დაკრუნჩხული გვამები მიწას თითქოს ეტმასნებოდნენ, სითბოს, სიცოცხლის თითქოს ითხოვდნენ. დაგლეჯილ-დაღეჭილი ტანკები აქა-იქ ჯერ ისევ შავად იხრჩოლებოდნენ. შემხარებელი ლეშის, დამწვარი რკინისა და ბენზინის სუნი სუნთქვას თანდათან ამძიმებდნენ. სადღაც მახლობლად იები თუ ყვაოდნენ? მათი მორცხვი სურნელი ხან მიმქრქალებულად და ხან ზარხოშის მომგვრელად, მაგრამ კუბოს ყვავილებივით უსიამოვნოდ ნიავთან ერთად მოჰბერდა ხოლმე.

აგრილდა. ერთი პირობა წამოშხუმპლა კიდეც. ცამ მალე ისევ გადიკარა, მიწა ხეირიანად არც დასველებულა.

ადგილს, სადაც ხომენკოს უნდა გამოვთხოვებოდი და გზა ფეხით მარტოს განმეგრძო, როგორც იქმნა, მივატანეთ, შოფერს მანქანა გავაჩერებინე.

20

დივიზიის შტაბში ვერავინ ვნახე. ფრონტისაკენ გზას ფეხით დავადექი. არსად კაცის ჭაჭანება არ იყო. გზის გამნალმავი მესანგრენიც აღარსად ჩანდნენ, ხრეშსა და მიწას ბიჯაგებით ჩვეულებრივ აღარ ეზიდებოდნენ, გზა და ბოგირები წესრიგში აღარ მოჰყავდათ.

დალეწილი ქვემეხებით, ტანკებითა და ავტომანქანებით მოფენილი მინდორველი დუბელად ქცეულ ძველ

ნაწვიმარით სავსე ტრანშეები, ჭერ-ჩაქცეული ძელმიწურები და წყალში ფერმებით ჩაწოლილი წელგატეხილი რკინის ხიდი ბინდში თანდათან ინთქმებოდნენ.

ცა ღრუბლებით შავად წამოიქუფრა. ნისლდაყრილი მინდორველი თვლემდა, საგანთა ჩვეულებრივი მოხაზულობა თანდათან მკრთალდებოდა. ბორცვებს იქით მიფარებული მტრის ქალაქის ქარხანათა შემთხვევით გადარჩენილი რამდენიმე ბუხრის თავი, გოტიკურ ტაძრის ჯვარწაგლეჯილი წოპე გუმბათი და რადიოანძა ნაალივით სქელსა და დაბლა დაწეულ ღრუბლებში იკარგებოდნენ. მოტრასირე ტყვიების თეთრს, მწვანესა და ვარდისფერ პუნქტირებს ბრწყინვალება თანდათან რომ მოემატა, დღის ნათელში ეგრერიგად შეუმჩნეველი ალი ხანძრებისა სისხლით თანდათან რომ აივსო, ცაც მეწამულისფრად რომ შეიღება, ყურადღება დროს მხოლოდ მაშინ მივაქცია. ფრონტიდან ფრონტზე, ბრძოლიდან ბრძოლაში ჩემს ნათრევსა და ნაჯაყჯაყევ მაჯის საათს დავხედე, — საღამოს ბინდი აღარ გამკვირვებია. სიარულში ღრუბლიანი ღამეც წამომეპარა ბინდი ბნელად თანდათან იქცა. როყიო ტყვიას ან მიწაში ჩამარხულ ნაღმის მსხვერპლი შემთხვევით რომ არ გავმხდარიყავი, წინ ნელა, ფრთხილად მივდიოდი. მეკავშირეთა კაბელისათვის ფეხი ბნელში სადმე ვაგლახად არ წამეკრა, სანგარში ან ყუმბარის ნათხარში არ გადავჩეხილიყავი. მტრისაგან დატოვებულსა და ჩვენებისაგან ჯერ დაუკავებელ ნასოფლარს მოულოდნელად წავადექი. დაქცეულ სახლთა გორხანები აქა-იქ ისევ იხრჩოლებოდნენ. ცნობილია, რომ ნაფუზარ-ნაეზვარები თავისი თითქოს უეცრად შეწყვეტილ სიცოცხლით, დუმილით ადამიანს მუდამ აფიქრებდნენ, ნაძრახ ადგილს მათ იმიტომაც ეძახდნენ. ვინ მოთვლის ამ დიდი ომის მანძილზე, რამდენი ასეთი პარტახი და ნასახლარი მენახა, მათგან აღძრულ სევდისა და კრძალვის გრძნობით გული რამდენჯერ ამვსებოდა, მაგრამ ამ იდუმალ მღელვარებას აქამდე მაინც ვერ შევჩვეოდი. გული უსიამოვნოდ ახლაც შემეკუმშა.

ფეხს ავუჩქარე. მინდოდა აქაურობას, რაც შეიძლება, მალე გავცლოდი.

სოფელი არც ისე გრძელი აღმოჩნდა. უკანასკნელი ეზოებიც უკან ჩამოვიტოვე. მინდორში რომ გაველ, ფეხის ხმა მომესმა. მივაყურე, — ვიღაც მომდევდა. შევდექ,—ისიც შედგა, წაველ, — თან ამედევნა.

ავტომატი ხელში მოვიმარჯვე. ის იყო, უნდა დამეძახნა, ვინა ხარ-მეთქი, რომ ძროხის ღმუილი შემომესმა, თითქოს მიწა ღმუოდა. შემდორებულ ცხენისწყლის შლამიან-ტირიფიანი ნაპირების მშვიდი საღამო თვალწინ რატომღაც წარმომიდგა. ჩასული მზის სხივებით ჩანავლებულ ცისიერზე იისფრად გამოხატული ტყეები, ბუჩქნარები და ცადატყორცნილი ალვის ხეები ირგვლივ სიმშვიდეს ავრცელებდნენ. ლეგა კვამლი ისლით დახურულ ფაცხის ბულულზე გასულ ხაპის ბარდნალში იფუტკნებოდა. საძოვრიდან გვიან დაბრუნებული ძროხა ჭიშკართან, თავის ხბოსა და პატრონს ეძახდა.:.

დროებით დაპყრობილ ბელორუსიიდან, უკრაინიდან, კავკასიონის მაღალმთიან საძოვრებიდან ფაშისტებმა გერმანიაში იმდენი საქონელი გალალეს, რომ, ვინ იცის, ეს ძროხა იქნებ იქაურიც იყო და ამ ღმუილით თავის მშობლიურ ცას, მიწაწყალს, — ნამდვილ პატრონს ეძახდა?

— დიიდა, ნანაია დიიდა! — მივეალერსე და ვერ ვხედავდი, მაგრამ ვიგრძენი, ადამიანის სიახლოვეს მონატრებული ცხოველი უზარმაზარ რქიანი თავით ტანზე როგორ უხეშად, მაგრამ ალერსით ამელამუნა, რატომღაც ცხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ხაოიანი ენით ხელის გულს იმნაირად მლოკავდა, თითქოს რაღაცას მეხვეწებოდა.

— დიიდა, დიიდა! — დავუყვავე და ჩემი ქვეყნის მინდორველთა ბალახბულახის, რძისა და ნოყიერი მიწის სუნი თითქოს ვიგრძენი, ხელი ჯიქანს შევახე, ელდანაცემმა მოვაშორე. ვინ იცის, რამდენი ხნის მოუწველავ ძროხას ჩაქვავებულ რძისაგან ცურზე ალმური შემონთებოდა, გამოწველვას მეხვეწებოდა. მის ტანჯვას, მუნჯურ ხვეწნას ვეღარ გავუძელ, გავიქეცი.

ან ვიცი აგრე სანამ ვირბინე; არც ის ვიცი, ეს ტალღისებურად ატეხილი გორაკები უკან როდის ჩამოვიტოვე. ქვემეხების გუგუნით დაყრუებულ ქალაქს მივუახლოვდი. პიკეტები, საგუშაგოები დაუბრკოლებლად გავიარე. ქალაქის ცენტრში ჩასანგრებულ ასეულისაკენ კითხვა-კითხვით მივდიოდი, წვიმასავით წამოყრილ ტყვიებს თავს კედლებს იქით ვარიდებდი.

მტერი თავისი ქალაქის ყოველ ქუჩას, სახლსა და სართულს გააფთრებით იცავდა. ხალხისა და ტექნიკის ღრიანცელი ერთიმეორეში ირეოდა. მანათობელ მაშხალებით დღესავით გაჩახჩახებულ ღამეში ნანგრევებად ქცეული შენობები, ეზოები და სკვერები ხან ცისფრად და ხან მეწამულისფრად ნათდებოდნენ. კედელჩამოქცეულ ბინათა შპალიერები, რადიატორები და საოჯახო დგამი მთელი თავისი ინტიმითა და მყუდროებით ქუჩაში გაოცებით იცქირებოდნენ.

მოტრასირე ტყვიებით დასერილ ცაში პროჟექტორები გაფაციცებით ფათურობდნენ. ღამის მოშუბურე თვითმფრინავები ქალაქის ცეცხლმოდებულ უბნებს თავს განრისხებით დაჰყმუოდნენ. ფუგასური ბომბების შემზარავ წივილით, საზენიტო ზარბაზნების გრიალით დაყრუებულსა და დაბლა დაწეულ ლეგა ღრუბლებს ალი წითლად ლოკავდა, კვამლი ... იფუტკნებოდა. სადღაც, ღამეში, ქვემეხები ოხრავდნენ, ტყვიამფრქვევები გულგადაქცევით ხარხარებდნენ, საერთო ხმაურს ქალაქის ქუჩები კიდევ უფრო აძლიერებდნენ.

თავდაცვის ზღუდედ ქცეული ქალაქის ქუჩები, პროსპექტები ზედახორად მიყრილი ფორნებით, ყუთებით, როიალით და ათასგვარი საოჯახო ხარახურით იყო გაკავებული. დახოცილი ფრიცები, მათი ჩაჩქნები და მაზარები ხელყუმბარებთან, ფაუსტვაზნებთან ერთად ქუჩებში, ეზოებში, ფეხს სადაც დაადგამდი, უპატრონოდ ეყარა. ყოველ ფანჯარაში, სარდაფში სნაიპერები, მეფაუსტენი ჩამსხდარიყვნენ, ყველაფერი იწვოდა, ყურთასმენა არ იყო. ღამე დღესავით ქათქათებდა. დამწვარი დენთის მტვერისა და მჭვარტლის სუნი სუნთქვას აძნელებდა.

ჭურვის ნალეწი ან ბრმა ტყვია სადმე ბედითად რომ არ წამომწეოდა, ნანგრევიდან ნანგრევისაკენ წელში მოხრილი გადავრბოდი, მიწაზე მუცლით მივხოხავდი. ქუჩის ბოლოში ამართულ კინოს შენობასთან მტრის ტანკი ამ დროს გამოიჭრა, სახლებს შორის მოქცეულ სივრცეს ტყვიამფრქვევით კერვა დაუწყო, მაგრამ პარპაში არ დასცალდა, ცეცხლმოდებული ცალ ბობღანოზე ტარაბუასავით დატრიალდა, მის ხმაურში ძლივს გავიგონე:

— ვინ ხარ?

— ჩვენიანი... ჩვენიანი ვარ...—ვუპასუხე და ჩემს შეკითხვაზე, ბასანიძის ასეული სად იმყოფებოდა, ცხენოსანთა რაზმეულის გუშაგმა ქუჩის გადაღმა ნახევრად დანგრეულ მრავალსართულიან სახლისაკენ ხელი უსიტყვოდ გაიშვირა.

— იმ სახლს ხომ ხედავთ?.. ხედავთ, იქიდან სროლა მოისმის. ამხანაგი ბასანიძე თავისი შტაბით იმ სახლის სარდაფშია. ოღონდ ფრთხი-

ლად... სნაიპერმა კორაზე არ აგიყვანოსთ.

ხანძრისაგან წითლად განათებულსა და ჩალეწილ კარ-ფანჯრებში მართლაც დავინახე, — მტვერით, კვამლით სავსე ოთახიდან ოთახში, ნაცისტები სროლით გადარბოდნენ, ჩვენი მებრძოლები მათ ხელყუმბარებს ესროდნენ, სართულს სართულზე ატოვებინებდნენ.

სადღაც მოფარებულში ჩადგმული მტრის ტყვიამფრქვევის კაკანი წუთით, რომ მიწყნარდა, ტროტუარიდან ტროტუარზე გადავირბინე. რაღაც შენობის, ვგონებ გარაჟის ყრუ კედელს ატმასნულმა შევისვენე, ტოლის, რუჯისა და კვამლისაგან შეხუთული სული ძლივს მოვიბრუნე. სახლს, სადაც ბრძოლა ჰქუხდა, ეზოდან ფრთხილად მოვუარე, კედელს ისევ ავეტმასნე. მეხუთე სართულიდან ღრიალით გადმოქნეულმა ესესელმა ასფალტზე ზღართანი მოადინა, სული მიწაზე არ დაჰყოლია.

საყელოდან აგურის, ბათქაშის მტვერი ამოვიბერტყე, მაზარის კალთით ოფლი მოვიწმინდე. ცენტრალური გათბობის დაბალჭერიან სარდაფის კიბეზე ფეხაკრეფით დავეშვი, დაღლილობა მხოლოდ ახლა ვიგრძენი.

მაჯას დავხედე, საათის არც იმდენი იყო, რამდენიც მეგონა.

„იქნებ არ მუშაობს?“

საათი ყურთან მივიტანე, — წიკწიკებდა. საიდანღაც მოტანილსა და კალორიფერის უზარმაზარ საქვაბე აგრეგატთან მიდგმულ ლომბერის ძველებურ მაგიდის ირგვლივ შემოკრებილ მეთაურებს, რომლებსაც ჩემი მისვლა არ გაუგიათ, შორიდან გავხედე.

ისინი სამნი იყვნენ. ორი მათგანი მაგიდას იდაყვებით ფეხზე დგომელა ჩამოყრდნობოდა, ხოლო მესამე გრეხილ სკამზე განივრად იჯდა, ქუდიც თავზე მხოლოდ მას ეხურა. თავდაჭერით, სიტყვა-პასუხით მივხვდი, რომ ის უფროსი უნდა ყოფილიყო. მუაში ჩადგმულ შინაურულად ნაჯახირევ, ოდნავ მბეუტავ სანათით სახე გაშუქებულნი რუკას ისეთი ყურადღებით დასცქეროდნენ, რომ ჩემი მისვლა არც შეუტყვიათ.

მათი საქმიანი მყუდროება რომ არ დამერღვია, რკინის მძიმე კართან გამართულ მეკავშირეთა თვის საწოლზე უხმოდ ჩავიკეცე.

ტელეფონისტმა ყურთან მიტანილ საველე ტელეფონის რუპორს ხელი დააფარა, უძილობისაგან დაბუხული ხმით ტლანქად, მაგრამ ხმადაბლა შემეკითხა:

— თქვენ... — ბნელში სამხრეები ალბათ ვერ გაარჩია, შეყოყმანდა, ხარისხით ამიტომაც ვერ მომმართა. — ვინ ბრძანდებით?

— ცსს! — ვანიშნე ჩუმად ყოფილიყო და ხმადაბლა, თითქოს ჩურჩულით განვუმარტე ვინც ვიყავ, ვთხოვე მეთაურები ჩემ გამო საქმისაგან არ მოეწყვიტა. მაზარაგაუხდელად იქვე მიგდებული მისი მარქაფი ამხანაგის გვერდით მოვეწყე.

ტელეფონისტმა ყოველ შემთხვევისათვის ერთხელ კიდევ ამხედ-დამხედა ყურთან მილაკი ისევ მიიტანა.

— მაშ თქვენ ამბობთ, რომ ისინი ბლომად არიან? — იკითხა უფროსმა მეთაურმა. და, როგორც ჩანდა, დაზვერვიდან ახლად დაბრუნებულ თავხოტორა ქერა ლეიტენანტს კითხვის ნიშნად სახეში იმნაირად ჩააჩერდა, საკუთარ დასკვნათა საფუძველს, თითქოს მის პასუხში ეძებდა, მაგრამ ხმას თვითონვე არ აღებინებდა. თვითონვე განაგრძობდა! — მაშ აქ მტრის საცეცხლე წერტებია, აქ ბარიკადი, აქ ტრანშეები.

და კმაყოფილმა, რომ სიტყვა აღარ გააწყვეტინეს, ისევ განაგრძო:

— კეთილი. კეთილი. ეს კინოა, კინო „ფრასკატი“, — თქვა განსაკუთრე-

ბული ელერადობით კინოს სახელი, რომელიც კაფეს უფრო შეეფერებოდა. ერთხანს ჩუმად იყო, ქალაქის რუკას დასცქეროდა.

— აქ ტყვიამფრქვევი... აქ ნაღმტყორცნები... აქ, აქ ისევ ტყვიამფრქვევები, მეფაუსტენი... — ამბობდა თავისთვის და თან ფერადი ფანქრის წვერით თხელსა და ტკაცუნა პლანშეტზე რაღაც ადგილებს გულდაგულ ნიშნავდა.

— Так, так, так, сказал пулеметчик. — თქვა და ფანქარი ცალ ხელში გაუშეშდა. რაღაცას თავისთვის ვარაუდობდა, თან ქუდს თავზე მალიმალ ისწორებდა. ხან მოიხდიდა, ხან დაიხურავდა, რუკას ისევ დასჩერებოდა, რაღაც მანძილებს, მასშტაბებსა და ადგილმდებარეობას თავისთვის ისევ ჩუმად ვარაუდობდა. ბოლოს ქუდი თავზე დაიხურა, სიტყვა გაცვეთილ ანეკდოტით დაასრულა. ვიღაც სულელი ინგლისელი თურმე ვენეციაში ჩასულიყო, ქუჩების მაგიერ არხებით დასერილი მზიანი ქალაქი მხოლოდ იმიტომ დაეძრახა, რომ გამუდმებული წყალდიდობა სცოდნიაო. მამაკაცურ მომხიბლავ ბანით მხოლოდ თვითონ გაიცინა, სიტყვა უცებ შეატრიალა!

— ამხანაგებო! — თქვა და ხმა მერე აიმაღლა! — სანამ ამ სახლს... სახლს, რომელიც გზაჯვარედინზე გაბიდულა, მტრის ძალთაგან არ გავწმენდთ, წინ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ.

ფანქარი რუკაზე დააგდო, მტკიცედ მოსჭრა:

— ეს უბანი ამაღამვე უნდა ავიღოთ.

ხელი რუკაზე აღნიშნულ უბანს გაგულისებით მოუსვა.

მისი ნაფაფუკევი, მსახიობურად სუფთად გაპარსული ჯილაგიანი სახის მსხვილი ნაკვთები ვიღაცას ძალზე მომაგონებდნენ, მაგრამ ვის, არ ვიცოდი.

იდაყვებით მაგიდაზე გადაყრდნობილ შავგვრემანსა და მხარბეჭგანიერ მეორე ვაჟკაცს ყურადღებას მხოლოდ ახლა მივაჩერდი. არასოდეს ის აქამდე არ მენახა, მაგრამ შავი, ზღარბისებურად შეკრეჭილი თმებით, ლეიტენანტის ახალთახალი მოლისფერი საფრონტო სამხრეებით, შარშანს შემდეგ დაწინაურებული ჩემი თანამემამულე ბასანიძე მაინც ვიცანი.

ვრცელი სარდაფის მოშორებულ კუთხეებში შეკუეულ თალხს ჭრაქის შუქი ძლივს ერეოდა. საორთქლე ქვაბის არმატურა, თითბრის ბრჭყვიალა ნაწილები, ტელეფონის კაბელი და კაწალიზაცია-წყალსადენის მუქვარტლისფერი მილები ბნელში მაინც ინაკვთებოდნენ.

სარდაფის ცივი კედლებით აგუგუნებული ჩინებული ბანი და თან ავტორიტეტული კილო კაპიტნისა ისე რომ მომესმა, კინაღამ ხმამაღლა წამოვიძახე: „ეს ხომ ორლოვია!“ იგი მართლაც ორლოვი იყო, ის ორლოვი, იმ გაზაფხულის ღამით ჩვენს პალატაში მატახერიას მაგიერ რომ მოათავსეს და მის გვერდით თითქმის ბიჭუკელა უმცროსმა ლეიტენანტმა ივანოვმა მაშენკას მკლავზე სული გათენების ხანს რომ დალია! ქუდი ისევ რომ მოიხადა, მუსიკოსის გრძელი თითები შუბლზე ჩამოშლილ ჭაღარა შერთულ თმებში ნებივრად რომ გაიყარა, საბოლოოდ დავრწმუნდი, — ორლოვი იყო.

— მაშ ეგრე. — თქვა ორლოვმა და თითი რუკაზე რაღაც ადგილს სიგრძით გააყოლა. ორთავ მხრიდან წვერწათლილი ფერადი ფანქარი ხელში მოიმარჯვა, ბასანიძეს მისკენ მიუხედავად შეეკითხა:

— თქვენ? რას იტყვით?

ერთი და იგივე ამოცანა ერთსა და იმავე მდგომარეობაში ორ ადამიანს ხშირად ერთსა და იმავე დასკვნას უკარნახებს.

— მესმის, ამხანაგო ათასეულის მეთაურო, ყველაფერი გასაგებია. — თქვა ბასანიძემ.

ორლოვმა სიტყვა აღარ გააგრძელა, იკითხა:

— მტერი გამოთოფილია?

— გამოთოფილია, ამხანაგო კაპიტანო.

— საცეცხლე წერტები აღნუსხულია?

— აღნუსხულია, ამხანაგო კაპიტანო.

— კოორდინატები?

— დატანილია, ამხანაგო კაპიტანო.

— თქვენი თვალით შეამოწმეთ? კარგად დაზვერეთ?

პასუხი ახალგაზრდა ლეიტენანტმა მოუჭრა:

— არის, ამხანაგო ათასეულის მეთაურო, — დაიწყო ბასანიძემ, მაგრამ ორლოვმა ხელით ანიშნა გაჩუმდიო, რუკაზე რაღაც ადგილს ძებნა დაუწყო.

— მომითმინეთ... მომითმინეთ... — თან ამბობდა და თან რუკაზე ნაპოვნ ადგილს ალმაცერად გახედა.

— აქ... ესე იგი, ჩვენს უკან გარაჟია. აქ ბლინდაჟები. აქედან კინომდე ასიოდ ნაბიჯით და... — სიტყვა აღარ დაასრულა, დანარჩენი თავისთავად იგულისხმებოდა.

— ყველაფერი ნათელია, ნათელი, როგორც ყავა. — იხუმრა და თავის გაცვეთილ ხუმრობაზე ისევ თვითონვე გაეცინა, მაგრამ ყოველივე ეს ახლა აღარ მაბრაზებდა; მივხვდი, იგი მხოლოდ სიტყვის მასალად, დაღლილი აზრის დასასვენებლად იყო ნათქვამი; ანდა, ვინ იცის, იქნებ მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად ამბობდა ეგრე? და კაცი, რომელიც აქამდე ეგრე მკრთალი, ეგრე ბანალური მეჩვენებოდა, ჩემს თვალში ერთბაშად გაიზარდა. ამ გაცვეთილ სიტყვებს იქით მიფარებული მისი კაცობა უკვე მხიბლავდა.

ფრონტის გუგუნი გარეთ ხან მატულობდა, ხან მიყუჩდებოდა, — თითქოს იმიტომ მიყუჩდებოდა, რომ ხმაურს მერე ერთიორად ემატნა.

საფარში მყოფ ადამიანს საფრთხე გაზვიადებულად ეჩვენება. ჯოჯოხეთი, საიდანაც წეღან მოველი, მეც გაზვიადებულად მეჩვენებოდა. სადღაც მახლობლად, ალბათ ეზოში, ფუგასური ბომბი აფეთქდა, სარდაფი საძირკვლიანად დაარყია, წუთით ჩამოვარდნილ სიჩუმეში ბათქაშის ჭერიდან ცვევნას გადარაჯებით მივაყურეთ.

— Терек. Терек. Терек. — გაეხმიანა ტელეფონისტი ამავე სახლის მაღლა სართულებში მებრძოლ ამხანაგებს. სჩანს, პასუხს არავინ იძლეოდა, მის ხმას მშფოთვარება დაეტყო.

— Терек. Терек. Терек. — ისევ გაისმა, მილაკი ტელეფონის ყუთს დაანარცხა, ზუმერის ხმა სწორედ ამ დროს მოისმა.

მეკავშირემ მილაკი ყურთან საჩქაროდ მიიჯახუნა, სიტყვა-პასუხი ერთიმეორეში აერია. ხელი რუპორს დააფარა, ხმა ვერ მოზომა, დაიყვირა:

— იბრძვიან, უკანასკნელი სართულისათვის იბრძვიან, ამხანაგო მეთაურო...

ბასანიძემ ტელეფონისტს მილაკი ხელიდან გამოჰგლიჯა.

— ლაპარაკობს ასეულის მეთაური. ვინ არის აპარატთან? ალიევი? სთხოვეთ ლეიტენანტ გორბუნოვს სთხოვეთ, აპარატთან მოვიდეს... როგორ? რაო?

მილაკი ძირს დაუშვა.

— გორბუნოვი მოჰკლეს. — თქვა და სარდაფში სიჩუმე ჩამოვარდა. ბასანიძემ მილაკი ყურთან ისევ მიიტანა. თან უსმენდა. თან მონასმენს კაპიტანს მოახსენებდა:

— მეექვსე სართულის კიბეზე ხელჩართული ბრძოლაა. უკანასკნელი სართულისათვის იბრძვიან...

— მაშ ეგრე, ამხანაგო მეთაურებო. — თქვა ორლოვმა, როცა მილაკი ბასანიძემ მეკავშირეს გადასცა. —

ორსა და ოცდაათ წუთზე არტმომზადება დაიწყება... სამსა და ნოლ-ნოლ საათზე წითელი მაშხალა და...

— გასაგებია ამხანაგო კაპიტანო.— თქვა ბასანიძემ. — სამსა და ნოლ-ნოლ საათზე იერიშზე გადავალთ.

— მთავარ დარტყმას თქვენ მიიტანთ. ცხენოსნები ფლანგიდან ქვეითად მოუვლიან.

ხმა არავის ამოუღია. ყველაფერი ნათელი იყო.

21

იერიშის დროს მებრძოლი სულიერ ძაბვას ისე მძლავრად განიცდის, მისი ცნობიერება ერთი მიზნით, — მტერი მოსპოს, გაანადგუროს, — იმდენად ეიწროვდება, გული მრისხანების გრძნობით ისე ევსება, რომ დამახსოვრებას ყოველივე იმისა, რაც თავს გადახდა, დაწვრილებით ვეღარ ახერხებს მართალია, ბრძოლაში შესვლა, მოსისხლე მტერთან პირისპირ შებმა მე, როგორც გაზეთის მუშაკს, არ მევალებოდა, მაგრამ შინაგან გზნებას მაინც განვიცდიდი. შეტევის წუთს სხვებთან ერთად მოუთმენლად მეც მოველოდი.

შუაღამემ კარგახანია, რაც გადიარა. ჩვენს სარდაფში ყოფნის დროს თოვლნარევი მოსულიყო, ძირს უფრო დაშვებულ ღრუბლებს ალი წითლად ლოკავდა, დამწვარი დენთის სუნი სუნთქვას მაინც ამძიმებდა.

ქუჩებში სიწყნარე მყარდებოდა. ღამის ბრძოლას მტერი თავს ჩვეულებრივ ახლაც არიდებდა. მტრის გაშანადგურებელი თვითმფრინავები ცას ნისლის გამო აღარ ბადრაგობდნენ, მათგან ნატყორცნი მაშხალები ხუთფეროვან ვარსკვლავებად აღარ ბრწყინავდნენ.

რამდენიმე დღეა, რაც ეს ქალაქი ცეცხლის ალსა და კვამლში იყო გახვეული, რამდენიმე დღეა, რაც მის უბნებში ომი ბობოქრობდა, მტერი ყოველ ქუჩას, ყოველ სახლს გაათბარებით იცავდა, მაგრამ ჩვენების წინსვლას ვერაფერი ვერ აჩერებდა. რუჯნარევი მტვერი წვიმასთან ერთად ძირს ტალახივით ჩამოდიოდა, კვამლი და კირი თვალებს გვწვავდა.

პოლიტგანყოფილების მუშაკები მებრძოლებს მხარში უდგნენ, პარტიულ და კომკავშირულ ხელმძღვანელებს ეხმარებოდნენ. კომუნისტები შეტევაზე პირველ რიგში გადადიოდნენ. მავთულხლართებს ჭრიდნენ, მეფაუსტეებს ტრანშეებში ანადგურებდნენ, მტერს მოსვენებას არ აძლევდნენ. წვიმა ხანძარს ვერ ერეოდა, ცეცხლი თანდათან ძლიერდებოდა, ალით განათებულ მატყლივით სქელსა და ლეგა ღრუბლებს ბოლი შავად უერთდებოდა. ეს ღამე ქალაქში ჩასანგრებული მტრის სიცოცხლის უკანასკნელი ღამე იყო, სისხლისაგან დაცლილი ძალას იგი შეტევისათვის მაინც იკრებდა. მის უკან ბერლინი იყო, გზა ჩვენებს მისი ბუნაგისაკენ ეხსნებოდა.

ნაშუაღამევს ბრძოლა მიწყნარდა. ქვემეხები სადღაც ყრუდ, კანტიკუნტად გრიალებდნენ. ტყვიამფრქვევი სადმე ერთბაშად თუ აყაყანდებოდა, ხმას ერთბაშადვე ჩაიწყვეტდა. მანათობელი მაშხალა ღამეს უეცრად გააშუქებდა, დანგრეულ სახლთა შავი ჩონჩხები, ჩამოგლეჯილი აივნები, ჩალეწილი კარ-ფანჯრები მწყრალად, პირქუშად გამოჩნდებოდნენ, ბნელში ისევ დაინთქმებოდნენ.

ერთი მათგანის დაქცეულ კედლებს უკან მოფარებული ბასანიძის ასეული არტმზადების დაწყებას, იერიშის ნიშანს, — წითელ მაშხალის გაელვებას, წუთით წუთს ელოდა, ასიოდ ნაბიჯის მოშორებით მიწაში ჩაკირულ ჩაქვავებულ მტერს თვალყურს ადევნებდა. იარაღი მზარეულებს, ცხენმძღოლებსა და მეაღალეებსაც აესხათ. ასნაბიჯიანი მანძილის ყოველი წერტილი წინ-

დაწინვე გამოეთოფათ; ყოველი გორმახი, ყუმბარის ყოველი ნათხარი აეწონ-დაეწონათ, ყოველი წვრილმანი წინასწარვე გაეთვალისწინებინათ.

მებრძოლები თავის შინაგან მღელვარებას, სულიერ მდგომარეობას ასეთ დროს სხვადასხვაგვარად გამოხატავენ. ზოგი ჩუმად არის, ხმას მარწუხითაც ვერ ამოაღებინებ, ზოგს, პირიქით, ენა უჩვეულოდ ამოედგმება. მტერთან ყოველ მათგანს თავისი პირადი ანგარიში ჰქონდა, გული შურისგების მრისხანე გრძნობით ყველას ერთგვარად ევსებოდა.

ბასანიძემ ასეულის აქტივს თავი ხელდახელ მოუყარა. ოცმეთაურები მას მებრძოლთა განაწილებაში ეხმარებოდნენ.

აი, დაიწყო. ჩვენი ქვემეხები ალაპარაკდნენ, ხმა მათ ნაღმტყორცნებმაც დააწიეს. მტრის ბარიკადებს, ბლინდაჟებსა და ძელმიწურებს ცეცხლი მრისხანედ დააყარეს. მიწა, ასფალტის ნაგლეჯები ცაში შადრევნებად იმართებოდნენ, სახლის კედლები ძირს გრუხუნით ეშვებოდნენ.

— მზად ხართ?—იკითხა ბასანიძემ. პასუხს არ დაუცადა, მოკლედ მოსჭრა:

— მესანგრენი წინ. მეავტომატენი წინ.

შემდეგ არ მახსოვს, თვითონაც არ ვიცი როგორ მოხდა, — მაზარის ჯიბეები ვაზნით გატენილ სამარქაფო კასეტებით, ხელყუმბარებით როდის ავივსე, ჩემი ნადავლი ავტომატით მებრძოლთან ერთად სანგარს იქით ბნელში, ღამეში როგორ აღმოვჩნდი. მართალია, მათ ვერ ვხედავდი, მაგრამ მათს სიახლოვეს, სუნთქვას მაინც ვგრძნობდი, ძალა მხნეობა მით კიდევ უფრო მემატებოდა, — მტრის სანგრებისკენ მეც მივფორთხავდი. ბომბებით, ყუმბარებით დაგლეჯილსა და ატალახებულ მიწას მკერდით ვეხუტებოდი, ოფლად გაღვრილი ყოველ ნათხარს, ქვაფენილზე აფრეწილ ასფალტს ვეხამებოდი. თავს ისე მშვიდად ვგრძნობდი, რომ ჩემი სიცოცხლე მევე მაკვირვებდა. ის მღელვარება გაქრა, აზრი მკაფიოდ მუშაობდა. ზუსტად, გულდაწყნარებით ვმოქმედებდი.

ფრიცმა ცაში სანთელი გადმოკიდა, ღამე დღესავით გაანათა. მიწას დავაკვდი. ჩვენი არტილერიის გახვეულ მტრის სანგრებიდან ვინმეს შემთხვევით რომ არ დავენახე, თავი მაღლა ვეღარ ამეღო. თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმოგდებულ ჟინჟღილს თვალყურს სუნთქვაშეკრული ვადევნებდი, მის ჩაქრობას გადარაჯებით ველოდებოდი.

ბასანიძემ შუქით ისარგებლა. მებრძოლებს თავაუღებლად, ფრთხილად მოხედა. მეც მათ შორის რომ დამინახა, | სახეზე გაკვირვება გამოეხატა. თვალით მანიშნა, აქ რა გინდაო?

ჟინჟღილი ჩაქრა. სიჩუმე უცებ ჩამოვარდა. ჩვენი ჯერი დგებოდა. არტილერიის ქარიშხლით ჩაჩუმებულმა მოწინააღმდეგემ ჩვენს უკან ამართული სახლი ცეცხლის გამჩენ ყუმბარით ააბრიალა, ხანძრის შუქზე ტყვია დაგვაყარა. მისი აქამდე დადუმებული ცეცხლის კერები გამოცოცხლდნენ. ნაღმტყორცნები, ტყვიამფრქვევები აყაყანდნენ, ცხელი რკინა თავს ქვა და გუნდად დაგვაცვივდა. ნაღმისა და ყუმბარის ნალეწები ირგვლივ ღნაოდნენ, ტყვიები, შემოდგომის ქარივით აწიწინდნენ. ამ ტყვიამფრქვევმაც, სადღაც ახლოს თავდავიწყებით რომ რატრატებდა, ძალა წაიღო.

მინდოდა ყუმბარის ნათხარში ჩავმალულიყავი, სული, ცოტას არის მაინც მომეთქვა, მაგრამ ჩემი ფიქრის მევე შემეშინდა. გამოცდილებით ვიცოდი,—საფარიდან ცეცხლში გასვლა სულიერ ძალის ისეთ დიდ ძაბვას მოითხოვდა, რომ ისევ აქ ყოფნა ვამჯობინე.

ყურადღება რატომღაც ახლა მივაქცე, — ნაოჭსაჭერი ტლაპანის ღილი

მაზარაზე ჩვენს მეთაურს წელზე რატომღაც ასწყვეტოდა.

მაშხალამ ცაში წითლად იელვა. ბოლსა და ძტვერის კორიანტელში გახვეული მრავალსართულიან სახლთა ნანგრევებში, ტრანშეები, მავთულხლართები და მიწაში ჩამარხული ტანკის კოშკი წითლად გაშუქდა.

არასოდეს სიცოცხლის მუდმივობა, მისი უწყვეტლობა ისე არ გჯერა, როგორც ასეთ დროს და ბასანიძე ფეხზე სწორედ ასეთ დროს წამოიჭრა.

— სტალინელებო, არწივებო, წინ! წინ, გამარჯვებისკენ! — დაიძახა, პარაბელუმი მაღლა ამართა.

ფეხზე მეც წამოვიჭერ.

— ურრაა! ურრაა-ა! — მისი ხმა სროლაში მძლავრად გაისმა. ვაჟკაცური, კუშტად შეკრული მრისხანე სახე შინაგან გზნებით როგორღაც ეშხიანად მოღრეცოდა, შავი თვალები მუგუზლებივით ანთებოდა.

— ურრაა! ურრაა-ა! — თავისთავად მეც დავიძახე. უტლაპანოდ მაზარაგაშლილ ბასანიძეს სხვებთან ერთად მეც ავედევნე.

არტილერიამ ცეცხლი მეზობელ სახლებს დაუშინა. ჩვენც იერიშზე გადაველით.

ყიჟინა, სროლა, ქვემეხების ოხვრაგუგუნი, შაშხანების ტკაცა-ტკუცი ერთიმეორეში აირია. ფეხქვეშ მიწა კი არა, თვითონ ქვესკნელი ზანზარებდა.

ომის ხმაურით დაყრუებულს, იყო, წუთები, როცა ჩემი ხმა მევე არ მესმოდა. ჭექა-ქუხილი წუთით თითქოს იმიტომ მიყუჩდებოდა, რომ ცა და მიწა კიდევ უფრო დამაყრუებლად ახმაურებულიყო.

— ტლაპანი? ! ტლაპანი? როდის შეაწყდა ბასანიძეს ტლაპანი? — თავში ბურღივით მიტრიალებდა, ვერ გამეგო ამისი ფიქრი სწორედ ახლა რატომ არ მასვენებდა.

მოვიხედე, — მაშხალებით განათებული ჩვენი მებრძოლები ასფალტზე შავად მოხაზულ თავისივე უცხაურად ტანმოკლე და თან ფეხგრძელ ჩრდილებთან ერთად წელში წახრილნი, პირდაღებულნი ავტომატების სროლით მორბოდნენ, სირბილში „ურას“ თუ ყვიროდნენ? — მათი გნიასი არ მესმოდა.

ზოგი მათგანი ეცემოდა, ველარ დგებოდა; ზოგი დგებოდა, ისევ მორბოდა, ცეცხლით განათებულ, გაფითრებულ სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. ის სატიალე ტყვიამფრქვევი სადღაც თავდავიწყებით ისევ რატრატებდა. მას მეორეც წამოეშველა, მეორეს ხმა მესამემაც დააწია. ნაღმმტყორცნები, ავტომატები მეტი გააფთრებით ახმაურდნენ, მაგრამ ჩვენი შეჩერება არავითარ ძალას აღარ შეეძლო.

შეტევის კანონია, — მოწინააღმდეგესა და შენს შორის მოქცეული მანძილი, რაც შეიძლება, მალე დაჰფარო, ცეცხლს ქვეშ, რაც შეიძლება მცირე ხანს დაჰყო. მეც მივრბოდი, ვცდილობდი ეს მანძილი, რაც შეიძლება, სწრაფად გამერბინა, ჩასანგრებულ მოწინააღმდეგემდე თავი როგორმე მიმეტანა. მბრძანებლური, შინაგანი რამ რაღაც ძალა წინ შეუპოვრად მიმაქანებდა, თან მიკვირდა ფეხქვეშ მიწას რომ აღარ ვგრძნობდი. ხუთი ნაბიჯი...: სამი ნაბიჯი... აჰა, კიდევაც მივატანე. ცოტაც ცოტაც და უკანასკნელი ნახტომის წინ ღონე უკანასკნელად მოვიკრიფე. ვცადე ჰაერი ღრმად ჩამესუნთქა, მაგრამ ვერ შევძელ,—სხვებთან ერთად „ურას“ თურმე მეც ვყვიროდი, ჩემი ხმა მევე არ მესმოდა.

— ცეცხლი! ცეცხლი! — მოისმა ამ დროს ბასანიძის ბრძანება. არ ვიცი, იქნება არც მომესმა, — მომეჩვენა?

ჯიბეზე ხელი მოვისვი. ხელყუმბარა მოვიქნიე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხელყუმბარები! ხელყუმბარები! — ისევ გაისმა. ცა და მიწა ხელყუმბრების გრიალმა დააყრუა. ერთი... ორი... მესამე ყუმბარაც მოვიქნიე, სანგრის ბრუსტვერზე სხვებთან ერთად მეც ავიჭერი. მაშხალებით განათებული პირუტყვულ-ჰიტლერულ მოკლეულვაშიანი, შუბლდაბალი დეგენერატული სახეები ზარდაცემულ თვალებით თვალში გულის ამრევად შემომასხივდნენ. არ ვიცი, პირი რისთვის დაეღოთ, — ალბათ შიშისაგან ღრიალებდნენ, სასა და ნაქი ენის ძირში თეთრად უჩანდათ. ზოგიერთები ბრძოლას მაინც არ წყვეტდნენ. ტრანშეების თახჩებში, მოფარებულ კუნჭულებში ჩამსხდარნი სროლას ჯიუტად განაგრძობდნენ, ტყვიას ტყვიაზე ისევ გვაყრიდნენ. ჩემგან გაქნეულ ყუმბარას მეც თან მივყევი. მისი გრიალი არ გამიგონია, მაგრამ ვიცოდი, საერთო ხმაურს თავისი ხმა მან ტყუილუბრალოდ არ შეუერთა...

ქარიშხალმა თითქოს დაჰბერა.

— სამშობლოსათვის! სტალინისათვის — მოისმა ყიჟინა და ფლანგებიდან ჩვენი ვაჟკაცი ცხენოსნები ქვეითად წამოგვეშველნენ, ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა, საქმე პირად სიმარჯვეზე, მკლავის ძალაზე მიდგა.

ბლინდაჟიდან ამ დროს ვიღაც ჩაგვერა, მხარბეჭგანიერი ესესელი კბილდაღრჭენილ გორილასავით გამოიჭრა. სავაზნეებში ტყვიები თუ გამოლეოდა? — ფეხმოკლე და ყბაგანიერი ჩემკენ ფინური დანით გამოქანდა, მაგრამ მოვასწარ, ავტომატის ჯერი დავაყარე. ჩემკენ მაინც რომ მორბოდა, მივხვდი კასეტში ვაზნა მეც გამთავებოდა. მისი გამოცვლის დრო აღარ იყო. ავტომატი კონდახით შევატრიალე და, სანამ იგი თავისი დანით დასაკლავად დამეძგერებოდა, სანგვინიკურად აღაჟღაჟებულ კისერდაბალ პოსლიკა თავში, რაც ძალი და ღონე მქონდა, ჩავთხლიშე. ქამარზე, ჯიბეებზე ხელი მოვისვი, — უკანასკნელი ხელყუმბარა ძელმიწურში უნდა შემეგდო, მაგრამ არ დამცალდა. უკანიდან ვიღაც მომვარდა, წელში ხელები შემომიჭირა, ორთავ ყირაზე გადაველით.

სიკვდილის ჩრდილმა თვალწინ თითქოს ჩამომიქროლა. უკანასკნელი ღონე მოვიკრიფე, გავიბრძოლე, მაგრამ თავი ვერ დავიხსენი სიმწარისაგან ორთავ ვხვნეშოდით, ვგმინავდით, ვგორავდით, ვცდილობდით ერთიმეორისათვის ხელი ყელში ჩაგვეკლო, მაგრამ ის ჩემზე ღონიერი აღმოჩნდა, ყელში თითები მარწუხივით ჩამაჭირა, მხნეობასთან ერთად იმედიც დავკარგე. ერთ წუთში თვალწინ მთელმა ჩემმა ცხოვრებამ გაირბინა... ყველაზე საკვირველი ის იყო, — ბასანიძის ცალ ღილზე დაკიდებულ მაზარის ტლაპანს თითქოს ისევ ვხედავდი.

— როდის ააწყდა ბასანიძეს ეს ტლაპანი? — გამიელვა და რატომღაც შვება ვიგრძენი. თავგაროფილი ჩემი მოსისხლე მტერი გულზე სასიკვდილო ჟრჟოლით მძიმედ დამაწვა.. ჩემი მოულოდნელი მხსნელის, ბრგე ვაჟკაცის დანახვისთანავე, ფეხზე წამოვიჭერი.

— მატახერია! მატახერია! — სიხარულით წამოვიძახე.

ჩემი ხმა ალბათ არ გაუგონია. თავში სნაიპერის ტყვია თუ მოხვდა? სული სიკვდილის შეგნებამდე დალია, მიწაზე განივრად გაიშხლართა.

მებრძოლები წუთით შეჩოჩქოლდნენ. მტერი ცეცხლს ახლა ხუთსართულიან სახლის ნანგრევებიდან გვაყრიდა.

— წინ ამხანაგებო!

მეთაურის სისხლი ავიღოთ, ურა! — დავიყვირე და წინ გავქანდი.

სახლის მისასვლელ კარებს, სარდაფებს ხელყუმბარები დავაყარეთ. ზემო სართულებს ჩვენივე არტილერისტები, მეტყვიამფრქვევები ცეცხლს

უშენდნენ, მტერს დამიზნებული სროლის საშუალებას არ აძლევენ. თავს აგურები, ბათქაშის მტვერი გვაცვივოდა. მოიერიშე ჯგუფი სახლში შეიჭრა. გააფთრებული ბრძოლა ბინებში, ოთახებში გაიმართა. ცოტაც და, სიწყნარე ჩამოვარდა, სახლის მთავარ კარიდან შეიარაღებულ ბადრაგის თანხლებით პირველი ტყვეები ხელაწეულნი გამოვიდნენ. ფანჯრებში თეთრი დროშები გადმოკიდეს.

... ჯარისკაცული ცხარე ცრემლით დატირებული მატახერია მისივე სისხლით მორწყულ მიწას იმავე დილით მივაბარეთ.

შუა თამაშში მიტოვებული მისი ჭადრაკის გაცვეთილი ფიგურები, საათის თითბრის იკლიკანტური ბორბალ-ხრახნები, რაღაც თითქოს საჭირო, მაგრამ უმაქნისი ხარახურა, შინ როგორღაც შეუმჩნევლად რომ დაგროვდება და გადასაყრელად ვეღარ იმეტებ, სალაშქრო მაგიდაზე უწესრიგოდ ეყარა.

მაშენკას სურათს, მისთვისვე დაწერილსა და ჯერ გაუგზავნელ წერილს, მატახერიას ჯიბეში პარტბილეთთან ერთად რომ აღმოაჩნდა, ნაღვლიანად დავცქეროდი, ჰოსპიტალში მასთან ერთად გატარებული დღეები, მაგონდებოდა, ბევრი რამ ჩემთვის გასაგები ახლა შეიქმნა.

ბლინდაჟის მიწურ კედელში გამოყოფილი, ცულის პირით ჩამოთლილი ხის ფესვები თითქოს შმაშურობდნენ, თეთრ-მოყვითანო ბოჭკოებიდან წვენი ისევ ჟონავდა.

თავი მესამე

22

დიდი ბერლინის ალყადარტყმული გარნიზონი ომს განაგრძობდა. ყოველი უბნის, ქუჩისა და სახლისათვის, ყოველი სართულის, ბინისა და ოთახისათვის ბრძოლით ჩვენს მოღალვას, სისხლისაგან დაცლას ლამობდა, მაგრამ ვარაუდი არ გაუმართლდა. დანაღმულ ქუჩებს, ბარიკადებს, სიმაგრედ ქცეულ სახლებს ჩვენი მოიერიშე ჯგუფები თავს მოხერხებულად არიდებდნენ, — ეზოებით, კედლებში განგრეულ ხვრელებით სარდაფიდან სარდაფში გადადიოდნენ, სახლიდან სახლით წინ მიიწევდნენ; ერთი დღის ბრძოლით ჩვენებმა ექვსასზე მეტი უბანი დაიჭირეს, რეიხსტაგთან ქალაქის შუაგულს იმავ დღეს გაიჭრნენ. მტრის ფაუსტვაზნით ქუჩის ბრძოლაში დაიღუპა უფროსი ლეიტენანტი ჩიბისოვი, მძიმედ დასჭრეს ხომენკოც, უგზოუკვლოდ დაიკარგა მაიორი უგრიუმოვი, ჯაფა რედაქციაში გაორკეცდა. ახალ გაზეთებს ჩვენი სამსონა სხვებთან ერთად სანგრებში, ცეცხლმოდებულ სახლებში მებრძოლებს უშიშრად ურიგებდა, თან ხუმრობდა:

— ეგრეც არ იქნება, ამხანაგებო! ბინებს, მისამართებს ხშირად იცვლით და ეგეთ პირობებში როგორ უნდა ვიმუშავო?

და ამ სიტყვებით თავისი ნადავლი ავტომატიდან მტერს ორიოდე ჯერს ისიც უგზავნიდა.

მებრძოლებთან ერთად სანგარში მეც ვიჯექი, ჩემი თვალით ვხედავდი, უნტერ დენ ლინდენზე, ბრანდენბურგის კართან ამართულ სახლის სართულებსა და სარდაფებში გამაგრებულ მოწინააღმდეგის მძლავრი იერიში ჩვენმა ვაჟკაცებმა იმ ღამეს შვიდჯერ როგორ მოიგერიეს, მაისის ორის საწვიმრად გამზადებული ღრუბლიანი დილა თავს ქვემეხების ღრიანცელში როგორ ნელა, თან შეუმჩნევლად დაგვათენდა. დამწვარ ტოლისა და დენთის მძიმე სუნისგან სულს ძლივს ვიბრუნებდით, ცად ავარდნილი მტვერი და ბოლი რამდენიმე ღამის უძილობით ამწვარ თვალებს კიდევ უფრო გვწვავდა. კენიგსპლაცის წინ ამართულ რეიხსტაგის მინაჩალეწილ გუმ-

ბათის კარკასზე წითლად ანთებულ ბოიალა დროშას მაინც ვხედავდით.

უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. მტერმა ცეცხლი ისე, როგორც ეს იერიშის წინ ხდება ხოლმე, შესწყვიტა. ჩვენც დასახვედრად მოვემზადეთ, ხელყუმბარები სანგრის თახჩებში მოვიმარაგეთ, ტყვიამფრქვევებით, ავტომატებით ამბრაზურებთან გავრინდდით. ყურადღება მხოლოდ ახლა მივაქციეთ, რომ ეს სიჩუმე საერთო იყო. ფრონტი თანდათან დუმდებოდა, ქვემეხები, ტანკებიც მიყუჩდნენ, პროპელერებით აზანზარებული ცაც მიწყნარდა. ჩვენი სამსონა თავისი ტყავის ჩანთით, ნადავლი ავტომატით სანგარში ამ დროს თითქოს ციდან, ჩამოვარდა, სირბილისაგან ქანცგაწყვეტილმა სალამის თქმაც ვერ მოახერხა, სავაზნე ყუთთან დაოსებული მიეგდო.

მებრძოლები ირგვლივ შემოეხვივნენ.

— აა, პაპაშა, ჩვენი პაპაშა! — სიხარულით წამოიძახეს, თან გაოცებით ეკითხებოდნენ! — აქ რომელმა ქარმა გადმოგაგდო, საიდან გაჩნდიო?

ის კი სავაზნე ყუთთან ისევ ეგდო, სულს ქოშინით ძლივს იბრუნებდა, ახალთახალი გაზეთები სახეში უსიტყვოდ მოგვაყარა. სიხარულისაგან გაბრწყინვებულ სახეზე ოფლი მაზარის კალთით მოიწმინდა, ის ღა შესძლო, „ურაო“ დაიძახა.

გულმა არ მომითმინა, შევუტიე:

— რა დაგემართა? ხომ არ შეიშალე?

— რის შევიშალე, რა შევიშალე! ომი გათავდა, ამხანაგებო! ომი არ არის! სარდლობის ბრძანებაა, სროლა შესწყვიტეთ, გარნიზონი ჩაგვბარდაო.

და ამ სიტყვებით ავტომატი მოიმარჯვა.

— ერთიც, ერთიც, თვარა მერე გვიან იქნება. — დაიძახა. ჩვენ წინ ამართულ სახლს უკანასკნელი ჯერი მიაყარა, ტკაცუნი სიჩუმეში მკვახედ გაისმა. სროლის პასუხად, ფანჯრებში, კარებში ხიშტზე წამოგებული თეთრი ჩვრები გამოჩნდა, არ ვიცოდით როგორ მოვქცეულიყავით.

სამსონა სანგრის ბრუსტვენზე სიცილით აიჭრა. ტრამვაის დაგრეხილ რელსზე ჩამოჯდა, ჩემ გასაგონად ქართულად წამოიძახა:

— ახლა, შენ ხარ ჩემი ბატონი, წავალ, შინ წავალ და იმ ჩემ ბებრუხუნას მენდლების ბრჭყვიალით თვალს ავუჭრელებ, გულს მათი ელრიალით გავუხარებ. სიცოცხლე გამიმწარა, შენისთანა დაბდურს ცოლად რავა წავყევიო. ჯარში რომ მივდიოდი, სიცილით ამიკლო, რა დროს შენი ომია, კუსუბოს ძლივს დაათრევო. ნახოს, ახლა ნახოს, რა ბიჭიცა ვარ.

მისი განზრახ იმერულად მოკიდებული გრძელი ხუმრობა არ გამკვირვებია. ამ კილოთი ის მშობლიურ ყვირილისა და ღვიზგის ხეობებს, ბილურთისა და რიბისას იალაღებს, თავის ბეხრეკ ცოლსა და სახლკარს ესათუთებოდა.

მებრძოლები გონს ჯერ კიდევ ვერ მოსულიყვნენ, თვალით ხედავდნენ და არ სჯეროდათ, რომ ყველაფერი ეგრე უცებ, გათავდა. ერთმა მათგანმა ფეხი სამსონასაკენ გაუბედავად წადგა.

— გაბედე! გაბედე! — წააქეზა სამსონამ ისე, თითქოს იგი წყალში შესვლას ვერ ბედავსო.

სროლა რომ აღარ გაისმა, მებრძოლმა ყველაფერი მაშინ დაიჯერა, დარწმუნდა, რომ სამსონა აღარ ხუმრობდა. პილოტური ქუდი თავზე ერთბაშად მოიგლიჯა, ერთი უცნაურად დასჭყივლა და ოფლიანი შუბლი ქუდის სარჩულით მოიწმინდა, სიხარულით გაბრწყინვებული სახე ნახანძრალ მურით კიდევ უფრო მოესვარა.

— გათავდა, ამხანაგებო, ომი მართლა გათავდა! — დაიძახა და, თითქოს პასუხად, გიტლერის სალდათები, მათი ოფიცრები სახლიდან, სარდაფებიდან

ლასლასით გამოვიდნენ, იარაღს მიწაზე უსიტყვოდ ყრიდნენ, ხელს მაღლა წევდნენ.

ოთხი წელიწადი ველოდით ამ დღეს, ველოდით მოთმინებით და, ხედავ, მაინც მოულოდნელად გათენდა იგი. მაისის საწვიმარად მოღუშულ ბერლინის ცას უშიშრად შევცქეროდით, დანგრეულ სახლთა შორის ქუჩებში ლაღად დავდიოდით.

თუ აქამდე ჩვენ ერთი დიდი გრძნობა ამ სამხედრო ტანისამოსივით ყველას ერთმანეთს გვამსგავსებდა, ერთ სხეულად გვაქცევდა, ახლა, როცა მტერი დაგვნებდა, ეს გრძნობა თითქოს დანაწევრდა, ყველას თავისი გულის ნადები, გაუმხელელი ჩუმი ნატვრა აღმოაჩნდა. ჰასკთა, ხასიათთა და ხელობათა სხვაობამ, ასე გასინჯეთ, სნეულებამაც, რომელსაც ყურადღებას აქამდე არამცთუ არ ვაქცევდით, ვერც ვამჩნევდით, თავი მხოლოდ ახლა იჩინა. ჩვენი გაზეთის რედაქტორი, პოლკოვნიკი სუროვცევი, იმდენად ხნიერი აღმოჩნდა, რომ, სამსონას გარდა, ჩვენ ყველანი თურმე შვილებად შევშვენოდით, კასატკინს სადღაც, ვგონებ სვერდლოვსკში, საცოლე ჰყოლოდა და ჩვენს ნამალავად თურმე ლირიკულ ლექსებს წერდა, ზავეტოვს თავისი ბათომის ცა და ზღვა ოცნებად გადაქცეოდა, მაგრამ აქამდე არ გაუმხელია, ხოლო სამსონას ის თავისი კუჭის სენი ახლა მოაგონდა, მედსანბატში წარამარა დარბოდა, კუჭის წვენს მოთმინებით იღებდა, ექიმებთან თათბირობდა, თავს, რაც შეიძლება, უვლიდა. ტყავის ჩანთაში იმ თავის სანამყენე კალმებთან ერთად ჩაქვესკნელებული საჭმელის სოდაც გამოქექა, პირში მუჭით იყრიდა, წყალს დასალევად ისე არ ეკარებოდა; ყველას თავისი საქმე მოაგონდა, — ვინ ქიმიკოსი ყოფილიყო და ოთხი წლის წინად მიტოვებულ ლაბორატორიაში უჩქარებოდა, ვინ ზეინკალი ყოფილიყო და თავისი ქარხანა აგონდებოდა ვინ კოლმეურნეობის აღმგებელი ყოფილიყო და გული ყანისკენ მიუწევდა. ჩემი მოხუცი დედა, მეგობრები, ჩემი სახლკარი, ჩემ საწერ მაგიდასთან და წიგნებთან ერთად, თითქოს სამუდამოდ მიტოვებული ის ჩემი რონიშის შავი როიალი მეც მომაგონდა. ახლა გავითვალისწინე, გასაგები ჩემთვის მხოლოდ ახლა შეიქმნა, — ის დიდი გზნება, რომლითაც აქამდე ჩვენ ყველანი ვსულდგმულობდით, ის დიდი გრძნობა, აქ რომ მოვეყვანეთ, თურმე ჯამი ყოფილა ჩვენი ცხოვრების ამ შემადგენელ ნაწილებისა.

ამოდენა არმიის ერთბაშად დაშლა, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა, — შინ მხოლოდ შემოდგომით გამიშვეს. ჩასვლის დღე დედას განზრახ არ შევატყობინე. მეშინოდა, მატარებელს არ დაგვიანებოდა და მით მისი ისედაც დაღლილი გული მოლოდინით კიდევ უფრო არ დამეღალა.

მესამე კლასის სამხედრო ვაგონის საწოლ თაროდან ძირს იშვიათად ჩამოვდიოდი. ამხანაგების ხმაურს, ხუმრობას ყურს ჩუმად ვუგდებდი, თან ოცნებობდი ანდა მეძინა, ძილში ნახულ ტკბილ სიზმარს ცხადში ისევ ოცნებით განვაგრძობდი; თვალწინ ცოცხლად მეხატებოდა, — თბილისში როგორ ჩავიდოდი, ჩემი ოთხსართულიან სახლის კიბეებს როგორ ავირბენდი, დედაჩემი, ლამაზი ქალის ჯერ კიდევ საკმაოდ შერჩენილი ეშხით, კოხტად დადგმული ტანით ჩემკენ როგორ გამოქანდებოდა, გულში ჩამიკრავდა. რამდენი ჯაფა, ჭაპანწყვეტა გადაეტანა მას, რომ ფეხზე როგორმე დავეყენებინე. ქმრის უდროოდ დაღუპვით ძუძუ ელდისაგან სულ ახალგაზრდას გაქრობოდა, ძიძასთან სოფელში ვიზრდებოდი. გული ობლობით რომ არ დამჩაგვროდა, თვითონ ყველაფერს იკლებდა, მე არაფერს არ მაკლებდა. თავისი ახალგაზრდობა,

ყმაწვილქალობა ეგრე შემალია. ენებს მასწავლიდა, მუსიკას მასწავლიდა, უნდოდა ყველაფერი მცოდნოდა, ყველაფერში გამორჩეული ვყოფილიყავი, მამაჩემივით სამთო ინჟინერი გამოვსულიყავ, მაგრამ იმედი არ გავუმართლე, — სტრატიგრაფიისა და პეტროგრაფიის მაგიერ ფილოლოგიამ, ლიტერატურამ გამიტაცა. ჩემს გადამკიდეს მოსვენება წუთით არ ჰქონდა. ბავშვობიდანვე ჩქარი ვიყავ, დაუდეგარი. მუდამ ვიწვოდი, მიღწეული არასოდეს არ მაკმაყოფილებდა, ხშირად დაუფიქრებლადაც ვიქცეოდი. ჩემს ნაკლს მტკივნეულად მევე განვიცდიდი, ჩემი ამგვარი ხასიათით ჩემ თავთან ერთად დედაჩემსაც ვაწვალებდი.

თავის ოროთახიან ხტანდარტულ ბინაში, მწვანე აბაჟურით დაჩრდილულ ლამპასთან იგი ალბათ ახლაც მარტო იჯდა, მოწაფეთა რვეულებს ასწორებდა, გაკვეთილებს ხვალისთვის ამზადებდა ანდა თავის ნამოწაფარებს, ჩვენი ქვეყნის ყველა მხარეში, ჩვენი ცხოვრების ყველა უბნებში გაფანტულებს, წერილებს სწერდა, ხან ფიქრობდა, ჩემზე ფიქრობდა, ხან მაგიდაზე ჩამოეთვლიმებოდა, ისევ ფიქრობდა, შემოდგომის ღამე არ ილეოდა, მაგრამ ითმენდა... სულ ეგრე იყო, — ქმარს უთმინა, შვილს უთმინა, ცხოვრებს უთმინა მას კი არავინ არ მოუთმინა. მისი ჯანი და ახალგაზრდობა, როგორც კუთვნილი, ყველამ წვრილწვრილად ჩამოირიგა, ყველას ჯავრმა იგი მოტეხა. ძველი პედაგოგისათვის ეგრე ბუნებრივი, თითქოს ნაზეპირევი და თან უსიამოვნოდ დალაგებული მეტყველება მას მაინც არ სჩვეოდა. შინაგანი სიმშვიდით დაწყნარებულ მის შავგრემან სახეს, კოხტად დადგმულ ტანს, მოხდენილ ფეხებს თითქოს ვხედავდი; მისი დაბალი და თან ქალურად რბილი ხმაც თითქოს მესმოდა. მატარებლის ერთფეროვანი ჯაჯგური ფიქრებს, ოცნებას ფრთას ასხამდა.

როგორც ეს მგზავრობის დროს მუდამ ხდება ხოლმე, ვაგონში ერთმანერთს ყველა ისე დავუახლოვდით, რომ ვიცოდით, ვინ საიდან მოდიოდა ან ვისთან მიდიოდა, ვის რა სტკიოდა ან რა ახარებდა. აი თბილისიც გამოჩნდა, ჩვენი სანატრელი თბილისიც თვალწინ გადაიშალა და ჩვენი ის მწყობრი ურთიერთობაც თითქოს დაირღვა. მტკვრის ხეობაში ჩაწოლილი ქალაქი, ლამპიონებით გაჩახჩახებული მთაწმინდა, კომკავშირის გორაკი, ლაინისფერი შავნაბადა ბნელში მკაფიოდ გამოინაკვთა. ყველა სარკმელებს მიაწყდა, მშობლიურ უბნებს გასცქეროდნენ, ერთიმეორისათვის აღარ ეცალათ, ყველა თავის საგონებელს წაეღო.

ავლაბრის იწროებში მატარებელი კივილით, გრიალით მიფრინავდა, ლიანდაგთან მომდგარ სახლებს, შლაგბაუმებს, სასიგნალო სემაფორებს უკან ტოვებდა; კოჯრის ნიავის გრილი ბიბინი, მტკვარის დუდუნი, ელექტროშუქში გახლართული ჭადრების შრიალი თითქოს მესმოდა. ბარგის დასაწყობ თაროებიდან ჩამოღებულ ჩემოდნებით, მაზარებით, სალდათური ხარახურით სკამები აივსო, დასაჯდომი ადგილი აღარსად იყო.

მატარებელი ჯერ კიდევ არ იყო გაჩერებული რომ ბაქანზე, რამდენიმე სულწასულ მგზავრთან ერთად, ჩემი ჩემოდნითა და მაზარით მეც გადმოვხტი; არეულ ხალხში, მუჯლუგუნის ვვრით გზას უხეშად მივიკაფავდი, გასასვლელისკენ, ვაგზლისაკენ მივიჩქაროდი.. სადგურის წინ ელექტროშუქით აჭავლებულ ასფალტის მოედანზე კი არ გამოველი, ხალხმა მდინარებით გამომიტანა. ჩემს მშობლიურ მიწას ფეხი დავადგი, — გული ამიჩქროლდა, ჩემოდანი კინაღამ გამივარდა; პირველსავე ტრამვაის ვაგონს როგორღაც თავისთავად ავედევნე, — ყოველი სახლი, ყოველი ქუჩა, ყოველი ხე და ტროტუარი შვილსავით მეალერსებო-

და, მოძრაობით დარხეული ნიავი მელამუნებოდა.

რა დაძავიწყებს იმ მღელვარებას ჩემი სახლის დანახვით რომ განვიცადე. ქვის კიბეები ავირბინე, ელექტრო შუქით განათებული ჩემი ბინის გვერდით დარაშელიძიანთ ბინის კარიც თეთრად რომ აიმართა, გული შემეკუმშა, კარის წირთხლს სუნთქვაშეკრული ავეყუდე. ჩემი სიყრმის მეგობარი იქ, ზასეკაში, რომ ესვენა, ამ კარს ვერასოდეს ვერ შეაღებდა... თავი მასთან რატომღაც დამნაშავედ ვიგრძენი. ბინის კარს ფრთხილად რომ მივაკაკუნე, მევე გამიკვირდა, — ხუთიოდე წლის წინათ ამ კარს სწორედ ასე ვაკაკუნებდი. კარს იქით წყნარ ფათურთან ერთად ფეხის ხმაც რომ შემომესმა.—მოუთმენლობამ ამიტანა.

— ვინ არის?—მომესმა ოდნავ შემკრთალი, ეგრე ნაცნობი და ეგრე საყვარელი ხმა იქიდან, — ყელში რაღაც გამეხირა.

— მე ვარ, დედა! კარი გამიღე! — გავეხმიანე, — ჩემმა ხმამ გული მევე ამიჩუყა.

მერე არ ვიცი, კარი როდის, ან როგორ გაიღო. არც ის ვიცი როგორ მოვასწარ ან როგორ მოხდა, — სიხარულის უეცარ ელდით გულშეღონებული დედა რომ, არ დაცემულიყო, ორთავე ხელით ავიტაცე.

— დედა! დედა! — ყურში ალერსით ჩავძახოდი, დახუჭულ თვალებს, გაფითრებულ სახეს ვუკოცნიდი. ზამთარი ჯერ კიდევ არ დამდგარიყო, მაგრამ მოხუცურ ძვლების გასათბობად მას იმდენი კაბა ჩაეცვა, რომ მის გამხდარ ტანს, თითქმის ვეღარ ვგრძნობდი. ის თავისი ისევ ლამაზი, ისევ ეშხით სავსე შავი თვალები წყნარად, თითქოს უნდობლათ რომ გამოახილა, გულში ჩაკრულმა ეგრე ახლოს რომ დამინახა, თავი სიზმარში თუ ეგონა, — დახუჭა, წუთს შემდეგ ისევ გამოახილა.

— შვილო! შვილო!

მკლავი კისერზე შემომხვია, ჩემი თავი გულში ისეთი გრძნობით ჩაიკრა, რომ თავბრუ დამესხა, კინაღამ ხელიდან გამივარდა.

— ჩემი შვილი! ჩემი სიცოცხლე! — ენის მოქცევით მეალერსებოდა, მღელვარებისაგან ძლივს სუნთქავდა, თან რაღაც აბდაუბდას მომხიბლავად, უთავბოლოდ ტიტინებდა, გაუპარსავ სახეზე სახით მელამუნებოდა; ბეჭებში მხრებში ხელს იმნაირად მკიდებდა, თითქოს არ სჯეროდა, რომ ნამდვილი ვიყავ.

თავი ჩემ მკლავებზე მხოლოდ ახლა იგრძნო, ბედნიერების გრძნობისაგან აკანკალებული ხმით შემეხვეწა:

— გამიშვი, შვილო, გამიშვი, დაიღლები!

შავი ეშხიანი თვალები სიხარულის ცრემლით აევსო, გაიბრძოლა, უნდოდა, გამეშვა, მაგრამ რომ არ გავუშვი, მღელვარების დასაფარავად გული ვითომდა მოუვიდა.

— გამიშვი-მეთქი! გამიშვი, დათვო!

თან იცინოდა, თან ცრემლები ფერმკრთალ ლოყებზე ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა.

მართალია, ის არც ისე მძიმე იყო, მაგრამ მაინც დამღალა. ძირს ნელა დავუშვი, ფეხზე ფრთხილად დავაყენე. თავისი მღელვარებით, ეშხით, ლაზათით იგი იმდენ სინაზეს გამოსცემდა, რომ მისი ოდესღაც განთქმული სილამაზე მით უფრო დავიჯერე.

აბაზანა, ჩემდა იღბლად, ცხელი აღმოჩნდა. ჯარში გამომუშავებულ ჩვევისამებრ, შემთხვევით მაშინვე ვისარგებლე, — ვიბანავე, პირიც ხელდახელ გავიპარსე. ამდენიხნის ჩაუცმელი, თან მონატრებული ჩემი მუქლურჯი შევიოტის ტანისამოსი რომ გავისინჯე, მეწყინა, არც პიჯაკი და არც შარვალი აღარ მომერგო.

— არაფერია, შვილო. — დამამშვიდა დედამ ღიმილით.

სიტყვა აღარ დააბოლოვა, ოთახიდან საჩქაროდ გავიდა. გავიგონე თავის ოთახში კამოდის უჯრა როგორ გამოსწია, როგორ მიხურა, ჩემთან ისევ როგორ მოვიდა, ორი საკოსტუმე, აბრეშუმის ტილოს საპერანგეები, რამდენიმე გალსტუკი და ახალთახალი ჭრელი წინდები მაგიდაზე ღიმილით დაყარა, თან იმნაირად შემომხედა, რომ მივხვდი, სული აქამდე მას ამ ჭინჭებით მოეტანა, ჩემზე ზრუნვით ეცოცხლა, იმისი ფიქრი, რომ ყოველივე ეს მე მეკუთვნოდა, ჩემთვის ყიდულობდა, განშორების სიმძიმეს, როგორც ჩანდა, უმსუბუქებდა.

ხელი მხრებზე მოვხვიე, ჩემკენ მოეიზიდე, მასთან ერთად შიფონერის მაღალ სარკეში ჩავიხედე, — ჩვენს მსგავსებაში ერთხელ კიდევ ზედმეტად დავრწმუნდი. მისგან ნაანდერძევს ჩემს არცთუ ისე ულაზათო გარეგნობას, არცთუ ისე უეშხო შავგვრემან სახეს, ცუდად მორგებულ სამოქალაქო ტანისანოსში გამოკვეთილ ჩემს ტანადობას იმნაირად ვაკვირდებოდი, თითქოს პირველად ვხედავდი. ამ ხუთ წელიწადს თავისი დაღი ჩემთვის საგრძნობლად დაემჩნია. ბეჭებში დავსრულებულიყავი, თმადაყრილ შუბლზე ნაოჭი ოდნავ დამჩნეოდა; მოკლედ შეკრეჭილი შავი ულვაშები გაცრეცილს, მაგრამ წადიერ ტუჩებს ჩვეულებრივად ველარ ფარავდნენ. შავი თვალები გადაწურულ წარბებს ქვემოდან ეშხიანად, მაგრამ დაქანცულად შემომცქეროდნენ, ჩემს ოცდაექვსი წლის ჰასაკს თითქოს არ შეეფერებოდნენ. უფრო ხნიერს მაჩენდნენ. დაღალვა მხოლოდ ახლა ვიგრძენი. ხელი მხარზე დედას წყნარად ჩამოვაშორე. ტყავის ღრმა სავარძელში წყნარადვე ჩავეშვი. ამ აბაზანამ დამრებში სულ მომშალა. ჩემს ოთახს, ჭერამდე ახიდულ წიგნის თაროებს და პალისანდრის საწერ მაგიდას თვალი ჩემთვისვე გასაკვირველი განურჩევლობით ძოვავლე.

კედლის საათმა თორმეტი დაჰკრა. სადღაც ვიღაცას არ ეძინა. შოპენს უკრავდა. როიალის ხმები საყვარელ ქალის გულახდილი დაჟინებით, თან ურცხვი დარდით კვნესოდნენ, ერთსა და იმავეს, თვითონაც არ იცოდნენ, — რას, ამოჩემებით, მუდარით მოითხოვდნენ, ჟინიანად, მაგრამ უეცრად მიწყდნენ. მისგან აღძრული შინაგანი თრთოლვით ჩემს როიალთან მეც დავჯექი, ნოტები უსაზმნოდ გადავფურცლე, იქით მივყარე. ვცადე რამე ზეპირად დამეკრა, — ხელი კლავიშებს ვერ დავაკარე. ინსტრუმენტის ქვასავით მაგარსა და გრილ ძგიდეს თავი მივაყრდენ. ამ ოთხ წელიწადში იმდენი დარდი იმდენი მწუხარება გამომეევლო, რომ შემეშინდა, მაშინ, როდესაც ჩემი ქვეყანა მშვიდობიან მშენებლობას ისევ შესდგომოდა, აღორძინების გზას ისევ დასდგომოდა, სიცოცხლის გრძნობა ხომ არ დავკარგე-მეთქი.

— დაიღალე?—მკითხა დედამ ჩურჩულით. თანაგრძნობის ნიშნად ხელი მხარზე ღიმილით დამადო.

— რა ვიცი, დედა. — ვთქვი მიზეზიანად. — თვითონაც არ ვიცი, რა მემართება.

მისი ხელი მხარზე ფრთხილად ჩამოვიშორე, ერთხანს ხელში მეჭირა, ბოლოს ვთხოვე:

— მოდი, ლოგინი გამიშალე.

— ჩაის არ დალევ? იქნებ ივახშმებ?

— არა, დედა, მეძინება.

და განზრახ ზანტად დავამთქნარე.

— კარგი, შვილო, ახლავ გაგიშალი. — წაიტუტუნა უკმაყოფილოდ და იქვე, კუთხეში, მიდგმულ რკინის ვიწრო საწოლზე ლოგინი ხელდახელ ამიშალა. ჯერ უხმარი, ახლად გარეცხილი ღამის გრძელი პერანგი ბალიშზე დააგდო.

ფეხზე ნაჭრილობევ შაშრისთვის

თვალი შემთხვევით რომ არ მოეკრა, ტანთ საჩქაროდ გავიხადე, ლოგინში უცებ შევცურდი; ხელით ნაკერი სალუქი საბანი და ზამბარებიანი რბილი საწოლი მიამა, რულმა თვალი ჩუმად მომპარა, მაგრამ დიდხანს არ მძინებია, ალბათ სიზმარმა გამომაღვიძა.

დედაჩემს შუქი ჩაექრო, მის მაგიერ ლამის სანათი ენთო. საფერხელთან მიდგმულ დაბალ სკამზე შალმოხურული მოკუნტულიყო, თავი ჩემ ლოგინში ჩაერგო. თვლემდა, თუ ფიქრობდა, ვერ გამეგო.

— დედა, დედა! — ხელი შევახე. — წადი, დედა! წადი, დაიძინე. — მაგრამ ამაოდ ვეხვეწებოდი, ძილი თავისი სიჯიუტით მეც გამიტეხა.

— შვილო, შვილო! — ვერ გამეგო, მე მომმართავდა, თუ თავისთვის ოხრავდა. მაინც შევეკითხე:

— რა იყო, დედა?

— არაფერი, შვილო. ეს ისე... მივეჩვიე... ოთხი წელია ეგრე გეძახი...— უნდოდა კიდევ ეთქვა რაღაც, მაგრამ არ თქვა. თვალებში მშვიდად, გამომცდელი თვალებით ჩამაცქერდა, მივხვდი,—არჩილის ამბავს მეკითხებოდა. ხმა რომ არ გავეცი, თვალი ცრემლით აევსო, თავი ხელებში კვნესით ჩარგო. ჩემი საქციელი სანანებლად მევე გამიხდა. მართალია, გარკვევით არაფერი მისთვის არ მომიწერია, მაგრამ უბედურება ჩემი წერილით მაინც ეგრძნო.

— ღვიძლი ძმებივით ერთად გზრდიდით... — თითქოს თავისთვის ჩურჩულებდა. — დედა არ ყავდა, მეცოდებოდა. იმნაირად იწერებოდი, რომ მივხვდი, ყველაფერს მივხვდი... მაიკოც მიხვდა... მის უბედურ მამას დავუმალეთ, მაგრამ ეჭვი მაინც აილო... ნურც შენ ეტყვი, შვილო, სიბერის ღლეებს ნუ ჩაამწარებ...

— გახსოვს, დედა, ის დღე თუ გახსოვს, საღგურზე ერთად რომ გვაცილებდით?

— მახსოვს.

— გახსოვს, როგორ ცხარობდა, გვიჯავრდებოდა? ბოლოს ისე მოხდა, რომ არც გამოგვთხოვებია... ბალაბის ნიშნად ბორჯომის წყლის ბოთლს შორიდან გვიქნევდა.

დედაჩემს გაეღიმა.

— მახსოვს. მახსოვს, სამი მანეთით რორგორ დააჯარიმეს.

— დააჯარიმეს?

ხო, შვილო. მატარებელი თვალს რომ მიეფარა, თავის თავზე გული თვითონვე მოუვიდა, ბოთლი ბრაზით ძირს დაანარცხა. წესიერების დარღვევისათვის დააჯარიმეს. ახლა მცხეთაშია. ძველ ქალაქს თხრის. მოტყდა საწყალი... მაიკოს წუთით ვეღარ ელევა...

— მაიკო, მაიკო როგორღა არის?

— რა უშავს, შვილო. ახლა ის ქალიშვილია, მშვენიერი გოგონა დადგა.

— ისევ ისეთი ახტაჯანაა, ცელქი, ამაღი და მოუსვენარი?

— არა, შვილო. ახლა ის მეორე კურსზეა. ისტორიამ გაიტაცა.

— მეორე კურსზე?

— ხო, შვილო. ორ თვეში ცხრამეტი შეუსრულდება.

გავჩუმდი. ვერაფრით იგი ქალად ვერ წარმომედგინა. ჩემს შეგნებაში იგი ისევ თოთხმეტი წლის გოგონა იყო, მინდოდა ისევ ბავშვი ყოფილიყო. წითელი ყაყაჩო... ჩემი წითელი... წუთით წარმომიდგა, არჩილთან ერთად როგორ ვაწვალებდი. მისი წივილ-კივილი მთელ უბანს როგორ იკლებდა. გულმა მისკენ გამწია.

— დედა, — ვთქვი გაუბედავად. — ხვალ რომ მასთან წავიდე, ერთი დღით, სულ დიდი-დიდი, ორი დღით, ხომ არ გეწყინება?

თვალებში ჩავაცქერდი, სახეზე. ჩრდილი მოეფინა.

— არა, დედა, არ წავალ. — წამოვიძახე სინანულით და გული ჩემ თავზე მევე მომივიდა. — რაა, ეს ოხერი გული ერთ ადგილას რომ აღარ მიცდის! სადაც არა ვარ, იქ მინდა რომ ვიყო.

დედაჩემს გაეცინა. თავზე ხელი ალერსით გადამისვა.

— წადი, შვილო, უსათუოდ წადი. ზეგ შაბათია. გაკვეთილებს შემდეგ მეც ჩამოვალ. ბაქანზე დამხვდით.

— რა კარგია! — ამომხდა სიხარულით. — ერთად ვიქნებით... გათხრებსაც ვნახავთ. იცი, დედა, იქ რომ ვიყავი... რომ იცოდე, რა განსხვავებაა... ისინი... ისინი სიცოცხლეს სპობენ, ქვეყანა სასაფლაოდ აქციეს... ჩვენ კი სიცოცხლისათვის, მისი უკვდავებისათვის ვკვდებოდით. არჩილიც... არჩილმაც სიცოცხლისათვის დალია სული და გეკითხები, მე შენ გეკითხები, დედას, განა ეს სიკვდილია? აქ კი, აი, ძია სოლომონი... დიდი მეცნიერი, დიდი მკვლევარი, უძველეს საფლავებს თხრის, თხრის, რომ მკვდრები სიცოცხლეს დაუბრუნოს, სიცოცხლე სიკვდილს ხელიდან გამოგლიჯოს...

გავჩუმდი. დედაც გაჩუმდა. ცოტახანს შემდეგ პასუხი შესანიშნავ ანდაზით გამცა:

— ვაქკაცის ქვრივი ლაჩრის ცოლზე ბედნიერია, შვილო. კაცი ნამუსით არის... ბედნიერი ვარ, შვილო... გავიტანჯე, ვეწამე, მაგრამ იცოდე, მაინც ბედნიერი ვიყავი.

თავი ჩემ საბანში ჩარგო.

23

მცხეთა-თბილისის საგარეუბნო მატარებელი სადგურიდან, ეს არის, უნდა გასულიყო. ვაგონი ხალხით ივსებოდა, ყველა მოხერხებულ ადგილს ეძებდა, ჟრიამული თანდათან მატულობდა. ხმაურს ყურადღებას არ ვაქცევდი. ძირს დაშვებულ ვიწრო სარკკმელთან კუთხეში ჩემთვის ვიჯექი, გვიანი შემოდგომის დამტკბარი მზით წალეკით ბაქანს გავცქეროდი.

ვიღაც ზედმეტად ჩასუქებულმა, შეუფერებლად მოკლეკაბიანმა შუახნის ქალმა უზარმაზარ ბოხჩით ვაგონის წინ ძლივს ჩაიარა. შედგა, ტარეს ხელი მოუნაცვლა. თეთრი თუნუქის საბანაო ლოროტოტის პიპინით გართულ მოკლე შარვლიან ბიჭუნას მიუბრუნდა, დაუტატანა:

— გამოადგი, ბიჭო, ეგ ფეხები, გამოადგი, სისხლი ნუ გამიშრე!

ხალისიანად ახმაურებული ახალგაზრდები მის ყიჟინზე ღიმილით შედგნენ. რაღაც ალბათ არც ისე ზრდილად, ერთმანეთს შორის გაიხუმრეს გზა სიცილით ისევ განაგრძეს. ვიღაც გამხდარმა მონადირემ ბრეზენტის ბუდეში მოთავსებული დაშლილი თოფით, ბრეზენტისავე იაგდტაშით ჩვენს ვაგონს მოაშურა. სიხარულისაგან გაგიჟებულ გლუვბალნიან პოინტერს კისერში ჩაბმულ თასმით თავს ძლივს უჭერდა. მისი ხალისიანი ყეფა ვაგონის შემოსასვლელ დერეფნიდან მოისმა.

— გაზეთი! ახალი გაზეთი! — მომესმა. ამდენიხნის განმავლობაში უნახავი ქართული გაზეთი გამყიდველმა ხელში შემომაჩეჩა.

ზარის ხმა არ გამიგონია. ელმავალმა სადგური ზუზუნით დააყრუა. ვაგონის ისედაც ვიწრო გასავლელში უხეიროდ გახიდული მეგაზეთე დაფაცურდა, სასყიდელი ხელდახელ ჩამოაგროვა, ძირს ჩასასვლელად გაეშურა.

ბაქანი ადგილიდან ნელა, შეუმჩნევლად დაიძრა. ვაგონში სიწყნარე თანდათან ჩამოვარდა. ის პატარა ბიჭი სადღაც აქვე მახლობლად თავის ლოროტოტოს გულის შემაწუხებლად აპიპინებდა, მაგრამ გააჩუმეს.

მატარებელმა სვლას უმატა. ღია სარკმელში შემოდგომის გრილი ნიავი შემოიჭრა.

გაზეთის ის წეღანდელი გამყიდველი, გამცილებლები, ცისფერი სავაჭრო კიოსკები უკან დარჩნენ. საქონლის საწყობებთან გრძლად ჩაყენებულ ვაგონებს, ლიანდაგის გადასაყვანზე ფეხშემოდგმულ მწვანე ალმიან მეისრეს

გრიალით ჩავუქროლეთ. ორთქლში გახვეულ დეპოს, პნევმატიურ ჩაქუჩებით ახმაურებულ რკინიგზის მთავარ სახელოსნოებსაც უკან ვტოვებდით. გაფრენილი მატარებელი ისრებზე, ლიანდაგის პირაპირებზე რახრარით, ჯაჯგურით გადარბოდა. ქარით ატაცებული გაზეთის ნახევი საიდანღაც წამოფრიალდა, სამანევრო ორთქლმავალთან შემდგარი ვიღაცანი ცალ ხელს ყოველ შემთხვევისათვის გვიქნევდნენ, მეორე ხელი კორიანტელის ასარიდებლად აეფარებინათ.

ქარხნებს, ყოფილ იპოდრომს, შეშისა და ქვანახშირის საწყობებს გავცდით. ღრმაღელის იქით წყნეთის, ნახშირგორისა და ნაქულბაქევის მთაგორებით შემოზღუდული ღიღმის მინდორი მტკვარს გაღმა ლაღად გადაიშალა, — მატარებელი ისე სწრაფად თითქოს აღარ მოქროდა.. ვაგონის ერთფეროვან ჯაჯგუნით გაოგნებული ტელეგრაფის მავთულებით დახაზული ცის აღმადაღმა სვლასა და თითქო სუსასრულობიდან გამომკრთალსა და უსასრულობაშივე გაქანებულ თეთრჭიქიან ბოძებს თვალყურს უსაგნოდ ვადევნებდი.

მათი რიალით გაბეზრებულმა გაზეთი გადავშალე. კითხვას გული ერთხანს ველარ დავუდე, მაგრამ ომის შემდეგ ალორძინების გზაზე დამდგარი ჩემი ქვეყნის ამბავმა მალე გამიტაცა. რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხანა - გიგანტების მშენებლობათა წარმატებამ გული სიხარულის გრძნობით ამივსო. უძველესი ქალაქის გათხრები, რომელსაც მცხეთაში მოხუცი დარაშელიძე აწარმოებდა, სამგორის დიდი მშენებლობა, ჩვენს დიდ კულტურას, კიდევ უფრო დიდ მომავალს თვალწინ წარმტაცად წარმომიდგენდა. გაზეთის მეოთხე გვერდზე მოთავსებულ დეპეშებს გადავხედე, ერთი მათგანი თავისი გამომწვევ სათაურით თვალში მაშინვე მომხვდა. ბებერი ჩერჩილი თავის უოლსტრიტელ სისხლის მსმელ დამქაშებთან ერთად იარაღს ისევ აეღარუნებდა. ... დედებს თვალებზე ცრემლი ჯერ კიდევ კარგად არ შეშრობოდათ, ომის ცეცხლი ჯერ კიდევ არ განელებულიყო და ის ახალ ომისთვის ემზადებოდა, ქვეყნიერების ცეცხლში გახვევას ისევ ლამობდა. გაზეთი ბრაზით იქით მივაგდე.

თბილისის ჰაერი ავჭალამდე ისევ საკმაოდ იგრძნობოდა. ზაჰესის იწროებს იქით კბოდეზე ამართული ჯვარის ძველთაძველი ტაძარი ცაში ამყად გამოინაკვთა. ადამიანი თითქოს ბუნებას მიშველებოდა,. სპილენძისფერი მძლავრი კედლებით სპილენძისავე კლდე ხელით განეგრძო.

საშემოდგომოდ წითელ - ყვითლად აბრიალებულ კარსნის ხეობას, მის მუხნაროვან კლდეებს ვუახლოვდებოდით. ელმავალი, როგორც წესია, ბაქანთან წუთით შეჩერდებოდა. ძირს ჩასასვლელად ვაგონის კიბეზე წინასწარვე გავემზადე. მატარებლის სისწრაფით დარხეული შემოდგომის ნიავი შუბლს საამოდ მიგრილებდა. ლიანდაგის მიწაყრილზე ამლილსა და ნაზაფხულევ მჭკნარ ბუჩქნარებს სიყვარულით დავცქეროდი, ზაჰესის კაშხალთან ამართულსა და მზით გაშუქებულ ლენინის მონუმენტი. ჯებირში ჩაჩეხილი მტკვრის ბორგვა თვალს მტაცებდა. ელმავალმა გაჩერების წინ სვლას რომ უკლო, ჩემი მდგომარეობა მხოლოდ მაშინ წარმოვიდგინე.. რა პირით მოვდიოდი აქ? რა მეთქვა მათთვის? დაღუპული მეგობრის მაპასთან შეხვედრის წუთი მძიმედ მეჩვენა, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, უკანვე გავბრუნდებოდი.

ბაქნის ყვითლად შეღებილ ფიცრულთან ტანმაღალ ქალიშვილს, მის ლურჯ ბერეტს, აგურისფერ კაბას, მკლავზე გადაგდებულ ჩრდილისფერ მაკინტოშს თვალი შორიდანვე მოვკარი თავიმას ისე ლაღად, ისეთი მომხიბლავი დაუდევრობით ეჭირა, რომ მგზავრთა ყურადღება უნებლიედ მიიქცია. მაგ

რად ის ამას როდი იმჩნევდა, შნო და ლაზათი ძით კიდევ უფრო ემატებოდა. ჩავლილ ვაგონებს, ძირს დაშვებულ ეიწრო სარკმლებს თვალს სათითაოდ, მაგრამ მშვიდად აყოლებდა. ერთის შეხედვით ეტყობოდა, რომ არავის იგი არ მიელოდა. მატარებელმა მის წინ ნელა, სულ ახლოს რომ ჩამატარა, დამაკვირდა, მეც დავაკვირდი, — ცისფერი თვალები განურჩეველი ღიმილით, უსაგნოდ გამომაყოლა.

— ის არის! — გამიელვა.

გაზეთი რომ დავუქნიე, შეცბა, ერთი ჩიტივით შეფრთხიალდა, იმანაც მიცნო, ფოფინა თვალებში გაოცების, თან სიხარულის გრძნობა გამოეხატა.

დაძახება ველარ მოვასწარ.

— ბეჟან! — შეჰკივლა. მაკინტოში მხარზე რატომღაც გადაიკიდა, ჩამოიშორა, ისევ მკლაზე გადაიკიდა, მატარებელს გამოედევნა; მზემოკიდებული ნაზი სახე სირბილისაგან, სიხარულისგან წამოუფაკლდა. შვეტი ფეხები, სიცოცხლით სავსე დრეკადი ტანი მის არც ისე გრძელს, მაგრამ თხელ კაბაში მომხიბლავად ინაკვთებოდა.

ის დღე თვალწინ წარმომიდგა, ამ ოთხი წლის წინად თბილისის სადგურზე რომ მოგვდევდა. ეს დღე თითქოს იმ დღის გაგრძელება იყო.

— მაიკო, მაიკო! — გავეხმიანე. მატარებლის გაჩერებას არ დაველოდე. გაქანებულ ვაგონიდან ძირს რომ გადმოვხტი, შეკრთა... მისმა თეთრ-ყირმიზ სახის ქალიშვილურად უმანკო კრთომამ დამაბნია. არ ვიცი, როგორ მოხდა, — გულში როგორ ჩამიკრა. მაკოცა, ისევ მაკოცა, თავისი თავდავიწყების თვითონვე შერცხვა, ხელებით მხრებზე ჩამომეკიდა, თავი ჩემ მკერდში ჩამალა, — უხვი თმების, მკვრივი სხეულის ნაზი სურნელი შემომაყარა.

— ბეჟან! ბეჟან! — ჩურჩულებდა, თან ღრმად სუნთქავდა. მისი სისხლის ცხელი ჩქეფა, გულის ძგერა თითქოს მესმოდა.

ელმავალმა მთები ზუზუნით ააზანზარა. მატარებელი ადგილიდან ნელა დაიძრა, სვლას უმატა. ჩავლილ ვაგონებიდან ხალხი თვალყურს უბვნლიე ღიმილით გვადევნებდა. ერთი მათგანი ის ბოხჩიანი ქალი იყო, ხადგურზე შვილს რომ უჯავრდებოდა. სარკმელთან მომდგარ მონადირეს თვალი მოეკარი, მაგრამ მატარებლის ხმაურში მისი ძაღლის ყეფა არ გამიგონია. უკანასკნელი ვაგონი მოსახვევში კლდეს მიეფარა.

— რამოდენა გაზრდილხარ, დამშვენებულხარ. — ვთქვი, როცა ბაქანზე მარტო დავრჩით, მის ტანადობას მოხდენილობას თავით ფეხამდე დაუფარავი აღტაცებით ავხედ-დავხედე.

ჩემი სიტყვები მას თითქოს არც გაუგონია. მიცქირა, ჩუმად მიცქირა, დაფიქრებით თქვა:

— ხედავ, თურმე რანაირი ხარ. მე კი ისე დიდი, სულ სხვანაირი მეგონე.

გამეცინა, ხელი წელზე მოვხვიე.

— ეს იმიტომ, რომ შენ გაიზარდე, ტანი აიყარე. ოთხი წელიწადი ამისთვის საკმაო დროა.

— ოთხი წელიწადი. ოთხი წელიწადი. — თქვა მაიკომ, თან ფიქრობდა, თან ჩემი ხელი წელზე წყნარად ჩამოიშორა.

ცოტახანს შემდეგ განაგრძო:

— ეგეთი როდი მეგონე...

თითქოს რაღაცა მოაგონდა, შეწუხებულმა ხელი ლოყაზე იტაცა, თვალგაცეცებით შეიცხადა:

— მე ხომ მცხეთაში მივდიოდი!

მაგრამ სახე ცასავით უცბად მოეწმინდა, თავდავიწყებით გადიკისკისა.

— მამა არმაზშია. რომ აღარ ჩავალ, რას იფიქრებს? ისედაც ძილის გუდას, ზარმაცს მეძახის.

— მერე რა უშავს. — დაუფიქრებლად წამოვიძახე. — აქვე არ არის. გინდა, ფეხით წავიდეთ.

მაიკოს ხმა არ ამოუღია. ერთი ღრმად ნაღვლიანად ამოისუნთქა, ცის-

ფერი უძირო თვალებით თვალებში ჩუმად ჩამაჩერდა.

— არ მინდა.—თქვა და ხელი მკლავში დაპატრონებით გამიყარა.

— შინ წავიდეთ. — თქვა და ახლად გაჭრილ საავტომობილო გზისკენ ჟინიანად გამწია. ნებას დავყევი. მასთან ყოფნა მიხაროდა. მინდოდა მისი ნაბიჯისთვის ფეხი შემეწყო, მაგრამ ვერ ვახერხებდი. აბრეშუმის პირისფერი თხელი წინდებით, ტყე-ღრეში სასიარულო დაბალქუსლიან ყვითელ ფეხსაცმელებით შემოზღუდულ კოხტა ფეხს მიწაზე სანამ დაადგამდა, დასაბჯენ ადგილს ჩათქმულივით ეძებდა, ფიქრით გართული უთანაბროდ მიაბიჯებდა.

წითელ-ყვითლად აფერადებულ შემოდგომის ტყეს და ჯაგნარებს, რუხ ხრიოკებს, ოქროსფერ ნაწველარებს მზე ნაირფერად აშუქებდა. დამღრალი ნეშოს სურნელება, ხეთა ჩრდილი გულს წყნარი სიხარულით ავსებდნენ. ჟანგისფერი ფოთოლი ყუნწში როდი წყდებოდა, თითქოს ძვრებოდა, — მიწაზე ფაჩუნით ეცემოდა.

მაღლა, ფერადზე, მზით განათებულ ახოს განაპირს თივის შარშანდელი ზვინი გამოჩნდა. ბალანაბურძგვნილ დეკეულს ზვინის დამპალ ზედაფენს შიგნით თავი შეეყო, საღი თივა ბღუჯა-ბღუჯა გამოჰქონდა. იმდენს არ ჭამდა, რამდენსაც ფანტავდა, ფეხით თელავდა.

მაიკომ შუბლზე ხელი წყნარად მოისვა. შემომხედა, თავი ჯიუტად გაიქნია, თითქოს ფიქრი მოიგერია.

— აბა დამიჭირე!—დაიძახა და გონს მოსვლაც ვეღარ მოვასწარი, შეცქრიალდა, ახოსკენ გაქანდა. თან იცინოდა, თან ელოდა, რომ მეც დავედევნებოდი, მაგრამ არ დავედევნე, — მისკენ ღიმილით, ნელი ნაბიჯით გავემართე.

— მისგან დამფრთხალი დეკეული პირში შერჩენილ ბღუჯა თივით იქით გაიქცა, მერე შედგა, თვალმილულულმა ცოხნა განაგრძო.

გზა ახოსაკენ მოკლედ მოვჭერი.

— დავსხდეთ. — თქვა მაიკომ, როცა მიუახლოვდი. მაკინტოში ძირს ჩამოშლილ თივაზე სარჩულით დაფინა, დაჯდა, თავის გვერდით ადგილი დასაჯდომად მეც დამიტოვა.

ირგვლივ სიწყნარე იყო. შემოდგომის მზით გაბრუებული მის გვერდით დავჯექ, ზვინს ზურგით რბილად გადავეყრდენი.

— რა სიჩუმეა. — თქვა მაიკომ ცოტახანს შემდეგ, საუბარი რომ გამოეწვია. ხმა რომ არ გავეცი, ისევ ჩაფიქრდა, მეც ჩავფიქრდი, სიჩუმე რომ ჩამოვარდა, ვიგრძენ, — ჩვენი ფიქრი ერთ საგნის ირგვლივ ტრიალებდა, ხმის ამოღების გვეშინოდა.

სიჩუმე ბოლოს მაიკომ დაარღვია.

— დედაშენთან ერთად ფრონტისთვის თბილ წინდებს ვქსოვდით, საცვლებს ვკერავდით. კერვაში ხშირად ჩამძინებია. ძილში გეძახდით, გეძახდით... ასე მეგონა, ჩემ ხმას როგორმე გაგაგონებდით...

გაზეთი ხელიდან გამივარდა.

მაიკო ისევ განაგრძობდა:

— შენი წერილი მივიღეთ... ხო, აი ის შენი წერილი... — ხმა ჩაუწყდა, სიტყვა აღარ დაასრულა.

პასუხი რომ აღარ გავეცი, არც არაფერი, ვკითხე, ხელი კისერზე მომხვიეს. სახე ჩემ სახესთან ახლოს მოიტანა. თვალებში ჩამხედა, მივხვდი — ძმის ამბავს მეკითხებოდა. ჩანდა, იმედის ნაპერწკალი გულში მაინც უღვივოდა, საშინელ აზრს ვერ შერიგებოდა. პასუხი რომ აღარ გავეცი მიხვდა. — ყველაფერი გათავებული იყო, თავი მკერდზე მომაყრდნო, უხმოდ ატირდა. ზასეკაში ის ბნელი ღამე, მასთან სამუდამოდ გამოთხოვება, წითელი ყაყაჩოს ლექსი მომაგონდა. მხარზე ხელი მოვხვიე. ხმის გაუცემლად წყნარად ვეალერსებოდი, მისი სხეულის სითბო, სინაზე სიცოცხლით მაისებდა. ვგრძნობდი, ჩემი ალერსი აფორიაქებულ გულს იმასაც უყვავებდა, მისი სუნთქვა, სიახლოვე

ტანში ერუანტელად მივლიდა. ახალგაზრდობამ ერთმა ფიქრმა და ერთმა გრძნობამ ორთავ ერთარსებად გვაქცია. მაიკომ თავი მაღლა აიღო, სახე ჩემს სახესთან ისევ ახლოს მოიტანა, ჩამჩურჩულა:

— მამას ნუ ვეტყვით... ნურას ეტყვი, ცოდვაა...

თავი დახარა. ძირს დავარდნილი გაზეთი თვალში ახლა მოხვდა, როგორღაც უსაგნოდ ჩაათვალიერა, ყურადღება, შეძრწუნება სახეზე თანდათან გამოეხატა. ცნობა ახალი ატომური ომით მუქარისა, ზღვისიქითელი ორი ბოროტი მოხუცის გული ეგრე ბნელად რომ აღეძრა, ჩაიკითხა, გაფითრებულმა ხელი ხელში ჩამავლო.

— ისევ, ბეჟან... ხედავ, ისევ იმუქრებიან! — წამოიძახა გულის ტკივილით და ჩემი ხელი ხელზე დაიდო. — ამდენი სისხლით, უბედურებით ვეღარ გამძღარან.

გაჩუმდა. ცოტახანს შემდეგ ისევ განაგრძო

— ჩვენი სტალინი, დიდი სტალინი ჩვენს ბედნიერებას ისევ შეჰხარის, ხალხისთვის ზრუნავს, კაცობრიობას სიმშვიდისაკენ, ადამიანობისაკენ მოუწოდებს.

ჩემს ხელს ხელით ეალერსებოდა, თითქოს ეშინოდა, რომ ეს ბოროტმოხუცებს ჩემი თავი მისთვის ხელიდან არ გამოეგლიჯათ.

ჩემს უნებლიედ რომ არ მოვხვეოდი, არ მეკოცნა, ფეხზე წამოვდექი, ლაინისფრად ჩალურჯებულ ზედაზნის ქედს გავხედე.

ჩემი მღელვარება თუ იგრძნო, ხმა არ ამოუღია, ჩუმად, ალერსიანი თვალებით მიცქეროდა.

— ამაყენე. — თქვა და ორთავ ხელი ასადგომად გამომიშვირა. ხელი მეც გავუწოდე. ფეხზე წამოდგა, მაგრამ ხელი როდი გამიშვა, ჩემი ხელი გულში ჩაიკრა, ყურში იდუმალად, თითქოს თავისი თავი მასვე აკვირვებსო, ჩამჩურჩულა:

— ბეჟან... ჩემო ბეჟან... ასე მგონია... ასე მგონია, სულ მიყვარდი...

თავისი სიტყვების თვითონ შერცხვა, ხელი გამიშვა, სახლისკენ გაიქცა.

მაკინტოშს დავწვდი, მკლავზე გადავიკიდე, თივის საამო სუნთან ერთად მისი ტანის ნაზი სურნელი მის სამოსს თითქოს ჩემთვის შეენახა. ნელი ნაბიჯით მისკენ გავემართე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლექსები სამგორზე

შალვა ამისულაშვილი

ღრუბელო, შავლეგა ღრუბელო!

★

ღრუბელო, შავლეგა ღრუბელო,
სად იყავ,
სად მიჰქრი ამ დილით?
ცხენი ხომ არა ხან უბელო,
ონჯა ბალახით გაზრდილი?
არ გინდა დაათრო სამგორი
შხაპუნა შხეფების ამბორით?
არ გინდა დაშაშრულ ყამირზე
სიცოცხლის ღიმილი გაღვივდეს?
დიდგულობ?
ვის ედიდგულები?!
ჯანდაბის გზაზედაც გივლია!
ჩვენ ყმები როდი ვართ ბუნების,
შუდარა დაგიწყოთ ივრიდან!.
ხომ ხედავ,
არხისმთხრელ კახელებს
ხვითქი რომ გადასდით სახეზე...
და განა მარტოდენ კახელნი
გრგვინავენ გმირული სახელით?—
აქაა ქართლელი ძვალმსხვილა,
აქაა გულფიცხი გურულიც...
სამცხიდან, ათასი სხვა მხრიდან
მოსულან სიმღერის გუგუნით!

ივრის წყალს
ისეთი მადლი აქვს —
სადაც კი ჩუხჩუხით გადიარს,
ქვა იყოს ყოველი მტკაველი,—
დაჰფარავს თავთუხის თაველით.
და წვიმა
მოვა, თუ არ მოვა,
ამაზე დღეს ვინღა ინაღვლებს.
შენ დაგრჩეს
ეგ შენი არმობა,
შენ დაგრჩეს ეგ შენი სიმაღლე...
გვალვა რომ გვალვაა, იცოდე:
სულ მალე ვანანებთ სიცოცხლეს.
ერთ გოჯსაც არ მივცემთ საფარველს,—
დავაკრავთ ქარიშხლის ფაფარზე...
თუ მაინც
სამგორის ბაღნარმა
ვერ შეჰკრა ტოტების თაღები,
ზღვა ზღვისგან განზე რომ გამდგარა.
და კლდეებს ბუბნიან ტალღებით.—
ეს რაა! არხს გავთხრით იმნელას —
ერთმანეთს მკლავები გადასდონ!..
შენ მაშინ, ვინ იცის, იქნება
ჩრდილებმაც დაგმალონ სამადლოდ!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელიზერ ყიფიანი

ხვალინდელი სამგორის სურათები

★

ქართველმა კაცმა სამგორში...

დილით, ნაყოფით მოთენთილ
ხეებს დაუვლის მებაღე,
თავს დაბლა ხრიან ტოტები,
ღამძიმებულან ერთ ღამეს.
ცხრა დღე და ღამის სავალი
ბალია, თქვენმა ლხენამ.
მებაღეს შავი შარვალი
მუხლამდე შემოენამა.

სიო შეიგრძნო გამჭოლი.
შესცივდა, ისე შესცივდა,
ქართველმა კაცმა სამგორში
მზეს უძლურება შესჩივლა;
ამ მხარის დაწვას ლამობდი,
ოფლი ადინე გორგასალს,
მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა!

— . —

გარდაბნელები

★

არხის ნაპირთან შარა-გზა უხვევს,
გზას მიაშურეს გარდაბნელებმა,
ღამდება, მაგრამ იციან უკვე
სამგორი ღამით არ დაბნელდება.

პაპაც ბაზარში იყო ხილისთვის,
ისიც იქაურ სიუხვით დატკბა,
მალე ჩაუტანს თავის შვილიშვილს
გორულს კი არა, სამგორულ ატამს.

არხთან წამოწვნენ გარდაბნელები,
თავქვეშ შეიწყვეს ნედლი ბელტები,
— შენც მოასვენე, პაპავ, მუხლები.
თორემ უდროოდ დაგვიბერდები.

ამ შეძახილზე შეჩერდა პაპა,
— დამცინით?.. ყური დამიგდეთ აბა:
გუმანით ვიცან მე ეს ადგილი,
არა, ჯერ შვილო, არ დავბრუნდები.
ეს ხომ არხია, ჩემი გაჭრილი,
...აქ ვმუშაობდით გარდაბნელები.

———

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ზანგურაშვილი

ი ო რ ი

★

სამგორისაკენ მიგვაფრენს ქართული ავტო ფრთა-მალი,
უკან დავტოვეთ თბილისის აყვავებული მთა-ბარი.
როცა ნავთლულთან გავხსენით სამგორის დიდი ჭიშკარი,
თვალთა ბრიალით შემოგვხვდა მკერდ-გაღეღილი ცისკარი.

როცა მზემ მზერა მოგვაპყრო მწველი და ნაპერწკლიანი,
გულ-ხელგაშლილი ორი შემოგვხვდა ტალღის წკრიალით.
შემოგვხვდა ტალღის წკრიალით და საუბარით გვაჩერებს,
მკერდს წერაქვ-ბარით დაცხრილულს ღიმ-მორეული გვაჩვენებს:

—მიწა და ზეცა რომ შესძრა ქუხილითა და ზანზარით,
მართლა ამდენი ხალხია, თუ ზღვაა უზარმაზარი?!
გზა ჩამიკეტა და მითხრა: გეყოფა გდება უქმადო,
ნათელი უნდა მოჰფინოს მთელს სამგორს შენმა შუქმაო.

მსუყე რძით უნდა აავსო მიწა მწირი და მწყურვალი,—
სამგორისათვის გავხდები ყველაზე დიდი მკურნალი.
ჩემი ტალღები მიწისთვის მართლაც წამალი თუ არი,
თუ ხალხმა ასე ინება, მე როგორღა ვთქვა უარი?!

რა ვიყავი და ხომ ხედავთ: მეც შევიცვალე დინება,
სამგორში მიმაქვს სიცოცხლე და მიმაქვს აყვავილება.
დაგჭირდით? გამომიყენეთ სადაც და როგორც გენებოთ,
თქვენი სისხლი და ხორცი ვარ, ვაქაცნო სამგორელებო!..

——.——

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიორგი ლეჭავა

დილა სამგორში

★

თენდება, ფრთებით აღებენ სამგორს ცისფერი მტრედები,
მიწას უტევენ გუნდგუნდად გმირები თავგამეტებით.

მოსულან დილაადრიან, ქართლელს კახელი მოყვება,
მინდვრის ყვავილი უღიმით, ქალწული წითელლოყება.

თითქოს ქორწილის ლხინია, სიმღერა ისმის ნიადაგ,
მკერდზე ეფრქვევა ალერსით მზე განახლებულ ნიადაგს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲚᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ

ᲢᲠᲘᲚᲝᲒᲘᲐ

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

XIX

★

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

...ხოლო იგი, ვითარცა ძაღლი მიექცა ნათხევარსა და ვითარცა ღორი ინწუბა საგორელსა მწუერისასა"...

იმავე საღამოს, როცა არამაის არშარუნის წიგნი მოვიდა ვაჰარშაპატიდან, უცნაური ამბავი მოხდა ნაჭარმაგევში. შავი ბაზილიკიდან სასახლეში მოსულმა ბერმა მარკოზმა ამცნო მახარას შემდეგი:

ერთი მეროჭიკე ბერი შემოეხიზნაო შავი ღვთისმშობლის შრამელებს, საკმაოდ არეულად მოუბარი.

ზოგს აგრე ეტყვის: გეგუთს მივალო, ხუცესს უთხრა: თირის მონასტრის მოსალოცავად ჩამოვედი, ბებერ ძვლებს დავასვენებ და გზას დავადგებიო, მე მითხრა ამ დილით: იერუსალიმს მინდა წავიდე და ქრისტეს ცრემლებით უნდა მოვირჩინოვო თვალის ტკივილი.

მახარას არავისთვის გაუმხელია ეს ამბავი, ბერი მარკოზაი და სამი ჩუხჩი აიყოლია და შავი ბაზილიკისაკენ გაემართა შეღამებულზე.

დაბალ სამრეკლოს ქვეშ მაღალი დიაკონი იდგა და ნაღვლიანად აწკარუნებდა პაწია ზარებს.

ათიოდე შავი ლანდი მიღოღავდა შავ ღვთისმშობლისაკენ. ერთადერთი ჯაგლაგა ჯორი სძოვდა, ტაძრის მახლობლად.

როცა კარიბჭეს მიეახლა მახარა, ჩუხჩებს უბრძანა: ეკლესიიდან არავინ გაეშვათ უცნობთაგანი გარეთ, ხოლო თავათ მარკოზას მკლავს წაეპოტინა და შიგ შევიდა.

ოციოდე მლოცველი დაჩოქილიყო აგურის იატაკზე, იკონოსტასიდან ისეთი მკრთალი შუქი ეფინებოდა გარემოს, აგურის იატაკზე დაჩოქილთა ნაჩრდილავს თუ გაარჩევდა თვალი.

დიდხანს ეძია მარკოზამ ის მეროჭიკე ბერი და ბოლოს ერთი ვაგლახად დალეული ჩიაკაცის მოდრეკილ ზურგზე მიაშვირა თითი.

თანაც უჩურჩულა მახარას:

ეგ უნდა იყოსო ეგ ბერი, უფლისწულო ბატონო.

დიდხანს არ დაუყოვნებია ქოსას, მან ფრთხილად გაიარა იატაკზე დაჩოქილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მლოცველთა შორის, მაგ. ჩიაკაცის გვერდით დაიჩოქა, მთავარ დიაკონის ამბიონის გასწვრივ და თავათაც შეუდგა ლოცვას.

დიდხანს ლოცულობდა აგრე, ფრთხილად გააპარებდა მის გვერდით დაჩოქილ ბერისაკენ თვალებს.

ჩიაკაცი აინუნშიაც არ იყო მოსული, იგი არხეინად განაგრძობდა ლოცვას, ფსალმუნის ლექსებს პუტუნებდა აგურის იატაკზე დაჩოქილი, შუბლს ახლიდა იატაკს, ისევ გაიმართებოდა წელში, ისევ განერთხებოდა მიწაზე და ერთსა და იმავე ლექს იმეორებდა:

„უფალო ღმერთო, ცხოვრებისა ჩემისაო,
დღისით ხმა ვყავ და ღამე წინაშე ჩემსა.

. . . . . .

დამდევს მე მღვიმესა ქუესკნელსა".

ისე ხანგრძლივად ლოცულობდა ბერი, მუხლის თავები დაებუჟა მახარას, გამუდმებით უჭვრეტდა ამ ბერს, მაინც ველარ შეიცნო იგი.

როცა ახალმოსულმა მლოცველებმა ახალი კელაპტრები აანთეს კანკელის წინაშე, იმატა სანთლების შუქმა ირგვლივ.

ჟამიდანჟამზე თვალს გადაჰკრავდა თავის მეზობელს მახარაი.

თვალნათლივ მოსჩანდა მისი მოკუზული მხარბეჭის ანაგობა, მისი წოწოლა თავი და ღოლოს ღერივით წვრილი კისერი, მაგრამ არ უჩანდა დაფანჩვულ წარბებს ქვეშ შეხიზნული წვრილი თვალები, ასე რომ ეს კაცი ისე გამოიყურებოდა, თვალის უპეებში შეხიზვნიაო ღამე.

ბოლოს წამოდგა ჩიაკაცი, ღვთისმშობლის ხატთან მივიდა, დალოშნა იგი, შემდგომ ამისა, სანთლების მოკიდებას შეუდგა.

თვალი მიაშტერა მახარამ ბერს, იგი უსიამოდ მწითური იყო, სიფრიფანა, ეხიან ცხვირიდანაც მწითური ბალანი წამოზრდოდა, თმაგაჩეჩილსა და წვერგაბურძგვნილს გატყიურების ნირი გადაჰკრავდა.

როცა მახარასკენ გამოიხედა მან, აგურის იატაკზე დაემხო ჭოსა. საკურთხევლიდან გამობორიალდა ახმახი ხუცესი, ორივე ხელში ანთებული კანდელაბრები ეჭირა, დიაკონი ამბიონზე შედგა, და დაიქუხა ჩამობნელებულ თაღებს ქვეშ:

„ყურად იღე, ღმერთო, ლოცვისა ჩემისა."

და ნუ უგულებელ ჰყოფ ვედრებასა ჩემსა".

წინ გამოემართა ახმახი ხუცესი და კანდელაბრებმა შუქი მიჰფინეს ამბიონის მახლობლად დაჩოქილთ.

მახარა უკვე ველარ იღებდა აგურის იატაკიდან თავს, რადგან შეამჩნია მას თვალი წაატანა მწითურმა ბერმა. და როცა ხუცესი კანდელაბრებითურთ კვლავ შებრუნდა საკურთხეველში, ჩიაკაცი გაეცალა იკონასტასს, დაჩოქილთა მწკრივები გაიარა და დასავლეთის კარისკენ გაემართა ჩქარი ნაბიჯით.

მახარა დანდობილად მოეშვა ლოცვას და კარის ზღურბლთან წამოეწია ოტებულს.

როცა ზღურბლს გადაღმა მდგარმა ჩუხჩმა შეყენებულ მოუნდომა ბერს, იგი ეკლესიაშივე გამობრუნდა დაფეთებული და ზედ მკერდზე მიეხალა მახარას.

„ფეხზე კოჟრები მაქვს, ფრთხილად იარე, ბერო!"

შესძახა მახარამ და მისი მასრასავით წვრილი მკლავი შერჩა ხელში. უბიძგა მახარამ უცნობს და ზღურბლს გადაღმა გადააჩოჩა იგი.

„ვინა ხარ და სად ყოფილხარ, ბერო?"

ხმადაბლა შეეკითხა მახარა.

ბერმა ახედდახედა მახარას გვერდით მდგარ მარკოზას და მიუგო:

„ხანძთის მონასტრიდან მოვდივარ, ქრისტეს მიერ გლახაკი ბერი გახლავარ, დოროთე".

„სად აპირებდი წასვლას?“
შეეკითხა მახარა.

„თირის მონასტრის მოსალოცად, ჩემო ბატონო.“

„გუშლამ გითქვამს იერუსალიმს მივალო, რაო, კავკასიონისკენ ხომ არ გადაუტანიათ იერუსალიმი თუ იცი?“

ბერი დაიბნა.

„მენა, მენა, ჯერ თირის მონასტერს ვაპირებდი, იქიდან იერუსალიმს გავბრუნდები მეთქი.“

„რაო, მაინც და მაინც უნდა იცხონო ეგ წაწყმედილი სული?“

„სულის ცხონება არვის აწყენს, უფალო.“

„კეთილი, მაგრამ თუ იერუსალიმს მიდიოდი, ნაჭარმაგევს რად ჩამოეხეტე?“

„ნაჭარმაგევს რა მოვალწიე, ვიღაც მწითური კაცი შემეყარა ჩემი ცოდვით სავსე, გაჭირი უყო ჩემს ჯორსა:“

„ჰოდ, გამიშავდეს თვალები, ჯორი დაგითარსეს, როგორც ჩანს, შენზე მეტად თარსი კიდევ ყოფილა ვიღაც.“

ამასობაში მწუხრისლოცვა მოთავდა. მლოცველნი გარს შემოერტყნენ ბნელში მოუბართ, მახარამ წამუყო ჩუხჩითა და ნაჭარმაგევის დილეგში წააყვანინა უცნობი.

ნაშუალამემდის გაგრძელდა ბერის დაკითხვა, მაგრამ მისი ვინაობა და საქაურობა ვერ დაადგინა მახარამ.

არც ტაჯგანაგების ცემით დამუქრებამ, არც შეგონებამ არავითარი ნაყოფი არ გამოიღეს, ბოლოს მოთმინების ფიალა აევსოთ ჩუხჩითა და მახარას უკითხავად მაგრად სცემეს გაჯიუტებულს დილეგში.

ცემამ არ გასჭრა. მერმე მიადგნენ თაკვერელი ჩუხჩნი, წარმოაქციეს და როცა სამოსი გაჰხადეს, იატაგანი გამოუვარდა ხვანჯრის თავიდან.

გასჩხრიკეს მისი დაბებკილი ჩოხა და მომცრო გრაგნილი აღმოჩნდა ნაკერში, უმისამართო და უბეჭდოდ დაწებილი.

მახარამ ეტრატზე უწესრიგოდ გაბნეულ ასონიშნებს დაადგა ფიქრი, მაგრამ ამ ამოკითხვა ვერ შესძლო.



ასეთი, ურთიერთთან უაზროდ მიჯრილი ასოები გაბნეულიყო მწკრივებში, ხელჩართულად ნაწერნი.

მახარა მიხვდა, რომ ეს იყო კრიპტოგრაფული [1] ნაწერი. მთელი ღამე უკირკიტებდა, ხან არაბული წესით იკითხა

[1] კ რ ი პ ტ ო გ რ ა ფ ი ა — შუა საუკუნეებშიაც ცნობილი იყო იდუმალი წერა, თანადროული „შიფრი“. ზოგი კრიპტოგრაფი იწერებოდა ასე: პირველი ასო ნიშნის „ანის“ ნაცვლად უკანასკნელი „ჰოე“ და ასე შემდეგ.

მარჯვნიდან მარცხნით, ხან აკროსტიხულად, ხან ხმოვან ასონიშნის გამოშეებით, ხან თანხმოვანების გამოტოვებით ხან ქვედა მარცვლების ზედასთან დაკავშირებით, ხან ირიბად, ხან ჯვარედინად კითხვითა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ჯერაც რიჟრაჟი არ იყო მოწეული, როცა უეცარმა აზრმა გაანათა მისი გონება.

ახალი სასანთლენი აანთო და როგორც იქნა, ამოიკითხა.

გაშრა და გაოცდა .

ბოლოს ხელი დასტაცა გრაგნილს და რკონის კოშკისკენ გაექანა გამალებული.

*
* *

ბოლომდის რა ჩაიკითხა არმაის არშარუნის წიგნი გიორგი ჭყონდიდელმა, დავით მეფე გველცემულივით ზეწამოიჭრა. იგი მცირე ხანს მდუმარედა დადიოდა დარბაზში, მერე თავზე დაადგა საკარცხლულზე მჯდომარეს და უთხრა:

„ჯოჯიკის წამებისათვის, მუქაფას მივუზღავ თურქებს.“

ჭყონდიდელი მოლუშული იჯდა, მცირე ხნის დუმილის შემდეგ მეფემ ჰკითხა:

„ბეშქენ ჯაყელს რა დღისთვის მოელი, მამაო გიორგი?“

„ჩემის ვარაუდით დღეს-ხვალ უნდა ველოდოთ ბეშქენს.“

თენდებოდა.

მეფე სამზერთან იდგა და გასცქეროდა წვიმის ღრუბლებით დაგრაგნილ ცას.

„უცნაური თქვენი იყო წუხელ, სთქვა ჭყონდიდელმა, ნიანია და ჯონდი გაწუწულნი ამოვიდნენ ჩემთან...“

ჯერ კიდევ ეძინა ნაჭარმაგევის ციხესასახლეს. გუშაგები ჩალიჩობდნენ ეზოში, კიბეებიდან მოისმოდა მანდატურთა ფლოსტების ტკაპუნი. ფარშავანგის ჩხავილი მოდიოდა ნადირთა საჩიხედან.

კვლავ დამყარებული დუმილი დაარღვია დუმბალების ცემამ და ბუკის ხმამ.

გიორგი ჭყონდიდელი წამოდგა, სამზერისკენ გაეშურა და სთქვა:

„ბეშქენი მოსულა, როგორც ჩანს...“

ციხის ეზოში ახმახი თოროსანი შემოვიდა შვიდი მუზარადიანის თანხლებით — ბეშქენის ნაცვლად ქარიმან სეტიელი და მისნი ჩუხჩნი შეიცნო გიორგი ჭყონდიდელმა.

როცა კარის ჩარჩოში გახევებული თოროსანი მიესალმა დარბაზში მყოფთ, დავითი ჯიქურ მივიდა ქონდაქართუხუცესთან და უთხრა:

„რას გვეტყვი, ქარიმან, ახალს?“

„ესეცაა გეახელი, ჩვენო პატრონო. გასულ კვირას თორმეტი ჩუხჩი მყავდა ტაშირის დასაზვერად წარგზავნილი. ექვსი მობრუნდა გუშლამ მუხათგვერდის ციხეში.

მთელს ტაშირში შემჩნეულია დიდი მოძრაობა ჩრდილოეთისკენ მომავალ თურქის ჯარებისა.

სამშვილდესკენ მოიწევს ცხენოსანთა ლაშქარი, წინეებში რუსთავის ფონზე თორმეტი ათასი ქვეითი სპაი გადასულა, და რუსთავის ციხის შემოგარენში დაუდგამთ კარვები.

ეს ერთი თვეა, რუსთავის სანახებში მოჩალიჩე მეცხვარეებს შორის სამი ჩუხჩი მყავს მწყემსურად გადაცმული, მათ გვამცნეს: ზედაზენს მოედინება ლამლამობით თურქების სპაი...

მეფემ მსახურთუხუცესი ახმობინა ქარიმანს. მსახურთუხუცესი უძინარი სჩანდა, დაფეთებულმა მოისმინა მეფის ნაბრძანი:

დაუყონებლივ გააღვიძეთო ნიანია და ჯონდი ერისთავი.

იგი ჯერ გასული არ იყო დარბაზიდან და ბეშქენ ჯაყელი შემოვიდა სამი ჯავახელი აზნაურის თანხლებით.

მეფემ აკოცა ბეშქენს, მიესალმა და

ურთიერთის მოკითხვა მოთავებული არა ჰქონდათ, ნიანია და ჯონდი გაბოცხადდნენ უთოროდ.

მეფემ მზერა გაუმართა სპასალარებს და სთქვა:

„როგორც ქარიმანის პიტაკიდან ჩანს, ზედაზენში მიდიან თურქნი, ცხადია ძაგან ერისთავს მოირთავენ და საერთო ძალით შემოგვიტევენ.

მე არ გამასვრევინოთ მაგ წუნკალზე ხმალი.

ნიანია წეროვანიდან აიყრება, აფხაზ მოისართა ორ ათასეულს უსარდლებს და აღმოსავლეთიდან შემოეწყობა ზედაზენს. ჯონდი ერისთავი სხალტბაში დადგება, მე და ბეშქენი ნარეკვავს ჩავალთ და მუნ დავბანაკდებით...“

ამის თქმა მოასწრო მეფემ, მახარა შემოვარდა აქშინებული და რატის მიერ გამოგზავნილი გრაგნილი გადასცა გიორგი ჭყონდიდელს...

„აბა წაიკითხეთ, მამაო გიორგი“.

უთხრა მახარამ.

„კრიპტოგრაფია“.

სთქვა ჭყონდიდელმა.

მეფემაც უჭვრიტა დიდხანს, მანაც დაადასტურა იგივე.

„შენ ისე გატყობ წაგიკითხავს მახო“.

სთქვა მეფემ.

„დიახაც. წავიკითხე. მაგრამ მთელ-ლამეს ვეწვალე.“

„როგორ-ღა?“

„ქართული ანბანის თანრიგი პირუკუ შევაბრუნე და აი რა გამოვიდა:

„სელჯუკიანთა მაშველი ჯარის იმედი დავკარგე, ამიტომაც ვითხოვე მეფესთან დაზავება. ახლა სულტანმა ლაშქარი წარმოგზავნა.

მე და აღსართან ზედაზენს მივდივართ სპიანად. ხუთნი მოვლენ სამნი წამოჰყევით. ბაგრატოვანთა გვირგვინს თავზე დაგადგამ მცხეთაში“.

ვიდრე მახარა ბერის შეპყრობის ამბავს მოახსენებდა მეფეს, ჭყონდიდელმა შეამოწმა კრიპტოგრაფის ამოკითხვის წესი.

მეფემ სთქვა:

„არც გამგზავნელის ვინაობა სჩანს, არც მისი ვისაც უგზავნიან. ცხადია, რატი უგზავნის ლიპარიტს.“

ჭყონდიდელმა იკითხა:

„რაო, ჯერაც ვერ გამოსტეხეთ ბერი?“

„უწყალოდ სცემეს მაგრამ ხმას არ იღებს.“

ქარიმან სეტიელი ჩრდილის კოშკის დილეგში ჩაგზავნეს.

მეფემ დასძინა:

„ყოველივე გასაგებია, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს ხუთნი მოვლენ, სამნი წამოჰყევით?“

„სამში იგულისხმებიან: კატაი, ლიპარიტ და იოანე დუკისძე. ალბათ დედისიმედისთვის ამ ამბის გამხელას ვეღარ ბედავს რატი. თუ ვის გულისხმობს ხუთში, ეგ გაუგებარია ჩემთვისაც“.

ამბობდა მახარა.

როცა გიორგი ჭყონდიდელმა ხმამაღლა გადაიკითხა წიგნი, მეფემ გამოართვა მას გრაგნილი, მახარას გადასცა და უთხრა:

„კარგია, უბეჭდოდ რომ გამოუგზავნია ეს წიგნი რატის, ისევ დაწებე იგი მახო და ლიპარიტს შეუგზავნე როგორმე. ვნახოთ ერთი, აბა რას მოიმოქმედებს ეს მელაძუა ბებერი.

ჩვენ დაუყოვნებლივ გავალთ ციხიდან, შენ ავადგახდომა მოიმიზეზე, თვალი გეჭიროს ოღონდ...“

მახარა შეყოყმანდა:

„საქმე ისაა, როგორ შევგზავნოთ ეს წიგნი მასთან. სახიფათოა, ეჭვი აიღოს, არა? ხომ არ აჯობებდა ეს წიგნი დარბაზის კარის ზღურბლთან დაეგდო მსახურთუხუცესს?“

„არ ივარგებს ეგრედ, მახო, შენ განა ამისთანა ამბებისთვის მოგიბამს თავი? გახადეთ იმ მურტალ ბერს ჩოხა, რომელიმე ტანმორჩილ ჩუხჩს გადააცვით და შეუგზავნე პირდაპირ“.

სთქვა მეფემ და ძლივს დაიოკა ღიმილი.

მახარა გაჯანჯღლდა, აიჩემა: ნიანია ბაკურიანს თან გავყვები, ქარიმან სეტიელი დარჩესო ნაჭარმაგევში. გიორგი ჭყონდიდელიც ამჯობინებდა მახარას დარჩენას ნაჭარმაგევის სასახლეში ამ ჯერად.

გათენებისას ქარიმან სეტიელი მობრუნდა. როგორც იქნა გამოუტეხია გრაგნილის მომტანი. იგი აღმოჩნდა ბერი ბეციაი, რუსთავის ციხიდან რატის მიერ ლიპარიტთან წარმოგზავნილი.

*
* *

ვიდრე მზე მოასწრებდა ამოსვლას, ნაჭარმაგევის ციხის მისადგომები გაივსო ლაქშრით, რკონის კოშკიდანაც ნათლად სჩანდა მოხისისა და ნაჭარმაგევის თემშარზე თუ როგორ მოედინებოდა ჯავახელთა და სამცხელთა ცხენოსანი ჯარი.

ბუკის ხმამ და ცხენების ჭიხვინმა გააღვიძა ლიპარიტ ერისთავი.

იგი ცოტა ხანს სამზერიდან უჭვრეტდა ამ სანახაობას, მერმე ნაუცბათევად გადაიცვა კაბა-ჯუბანი და დერეფანში გამოვიდა. ჯერ იყო და მახარას დაუწყო ძებნა, მაგრამ იცოდა, მახარა რკონის კოშკში ათევდა ღამეს, არ უნდოდა დავით მეფეს გადაჰყროდა სადმე.

ახლა მტკიცედ გადასწყვიტა ლიპარიტმა მარიამ დედოფლის სამყოფელოსკენ წასულიყო, აგრე ვარაუდობდა: ამ ალიაქოთზე დედოფალიც გაღვიძებდაო.

აღელვებული მიეახლა მარიამის დარბაზის ტალანს და ფრთხილად, ფრთხილად დააკაკუნა.

წვერცანცარა ცინცილუკმა თავი გამოჰყო. მას ეუცნაურა ეგზომ ნაადრევი დაბრაზობა კლდეკარის ერისთავისა.

რა მოხდაო?

იკითხა ჩურჩულით მან.

ლიპარიტმა თავის დამტვრეულ ბერძნულს მოუყარა თავი და უთხრა:

გააღვიძეთო იმპერატრისსა.

დიდხანს იდგა დაგმანულ კართან ლიპარიტ და როცა კვლავ მოესმა დუმბულების მოხშირებული ცემა, დერეფნის ბოლომდის მივიდა და მუნ აღმოჩენილ სამზერიდან დაუწყო თვალიერება დასავლეთიდან მომავალ ცხენოსანთა ჯარს.

ქარი დაგელავდა ნაჭარმაგევის ველზე, წვიმის ღრუბლები დაჯორგილიყვნენ მთებზე.

ახლა შეეშინდა ლიპარიტს, ვაი თუ დედოფალმა მიხმოს და კარისალაგთან ვერ მიპოვნოსო ეზოსმოძღვარმა, ამიტომაც მოეშვა სამზერს და მარიამ დედოფლის სამყოფლოსკენ მიჰყვა ნახევრადბნელ დერეფანს.

ტანმორჩილი კაცის ლანდი მოფათურობდა ქარის ნაბიჯით, ლიპარიტი უკან გამოუდგა მას. აგრე ეგონა: ეზოსმოძღვარი გამოუგზავნიაო მარიამს.

„რა ჰქენი ცინცილუკ, იმპერატრისსა ხომ არ მხმობილობს?“

„მე არ გახლავართ ცინცილუკ.“

მიუგო ლანდმა.

როცა ლიპარიტი წამოეწია მას, მახარა შერჩა ხელში.

„რა ამბავია, მახო? ბარქიაროკმა ხომ არ შემოგვიტია თუ იცი?“

„მშვიდობა ყოველთა და კაცთა შორის სათნოება.“

„თუ მშვიდობაა. ამოდენა ლაშქრის მოდენა რას მოასწავებს. მახო?“

თითქმის ვედრებით შეეკითხა ლიპარიტ.

„რაო, ჩვენს ლაშქარს ხომ არ დავუშლით ნაჭარმაგევის ციხეში მოსვლას?“

„არა, მე მოგახსენებ... დაშლით ვინ დაუშლის... მაგრამ...“

„მაგრამ რაო, ბეშქენ ჯაფელი ჩამოვიდა ჯავახელთა სპითა, ეგ არის, და ეგ.“

„რაო, ალლუმს ხომ არ აპირებს დავით მეფე?“

მახარას ეჩქარებოდა რკონის კოშკში, უნდოდა თავიდან მოეცილებინა ერისთავი, ამიტომაც მიუგო:

„დიახ, ალლუმია, ლიპარიტ ბატონო, ალლუმი.“

გულით ეწადა ლიპარიტს წამოსწეოდა მახარას და ხანგრძლივი საუბრისთვის გამოეწვია იგი, მაგრამ მახარამ მწვანე დარბაზის კარი შეაღო და გაუჩინარდა.

მარიამ დედოფლის სამყოფლომდის მისული არ იყო ლიპარიტ, ისევ შეეფეთა ვიღაც ტანმორჩილი კაცის ლანდი. აგრე იფიქრა ერისთავმა: ალბათ მეორე მხრიდან შემოუვლია მახარას და დედოფალთან აპირებსო შესვლას, გაუხარდა ეს ამბავი და აუჩქარა ნაბიჯს, მაგრამ მახარას ნაცვლად ვიღაც შავჩოხიანი, კუნკულიანი ბერი შერჩა ხელში.

ერისთავის დანახვაზე დაიჩოქა შავოსანმა და საამბოროდ წაუპოტინა მის მარჯვენას.

ლიპარიტ ერისთავმა წამოაყენა ლანდი და ჰკითხავდა:

ვინა ხარ და რაი გნებავსო?

სულგაკმენდილი ჩურჩულით მიუგო შავოსანმა:

„შუამთის მონასტრის ბერი გახლავართ დოროთე“. მერმე ხმა დაიდაბლა და აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, თანაც სხაპასხუპით ამბობდა:

„შენი ვაჟის, რატის წიგნი მოგართვი, მთელი ღამე ვუტრიალე ნაჭარმაგევის ციხეს, ძლივს მოვიქრთამე ჩრდილისკოშკის გუშაგი.

საამბოხი ბევრი მაქვს. მაგრამ სანამ იმ გუშაგს შემცვლელი მოუვა, უნდა ეუშველო ერისთავთ-ერისთავო თავს.“

ესა თქვა და გრაგნილი შეაჩეჩა ხელში.

ლიპარიტ ერისთავი თავის სამყოფლოში შევარდა, ათრთოლებული ხელებით გახსნა გრაგნილი, დიდხანს იკითხა კრიპტოგრაფი, მერმე დამდუღრულივით კვლავ გაიჭრა დერეფანში და უკან გამოუდგა შავოსანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაც ფიქრობდა: ჩემ ბედზე, ეს ამ დერეფანში არავინ შემოგვეფეთოთ.

მიდიოდა გამალებული, კი არ მიდიოდა, სირბილით მიჰყვებოდა გაუთავებელ დერეფანს, და როცა დერეფნის ბოლოს მიაღწია, შავოსანის ლანდი უკვე ჩარბოდა კიბეზე, მისი ხამლების ტკაპატკუპი-ღა ესმოდა ერისთავს.

ისევ შევარდა თავის სამყოფლოში ლიპარიტ და ხელახლა გადაიკითხა გრაგნილი.

ახლა ცინცილუკის ძებნას მოეშვა ორბელიანი და იოანე დუკისძეს შეუვარდა თავის სამყოფლოში მძინარეს.

პარდაბჩენილი იწვა ტახტზე იოანე დუკისძე, და არხეინად ხვრინავდა. კარგახანს აჯანჯღალა ლიპარიტმა მძინარე. ბოლოს წამოვარდა დუკისძე, ვაგლახად დაფეთებულმა იყვირა:

რა მოხდაო?

„სსუ, იყუჩე, უთხრა ლიპარიტმა, ეს წაიკითხე და ხმა არ გაიღო.“

იოანემ ხელის გულებით თვალები მოიფშვნიტა, იკითხა, იკითხა და ბოლოს წამოიყვირა:

„მოწეულია ჟამი, გიხაროდეს, ერისთავთ ერისთავო...“

სსსუო!

ისევ ჩასძახა ლიპარიტმა.

...„კარგი, მაგრამ მე და შენ როგორღა დავაღწიოთ ამ წყეულ ციხეს თავი?“

„შენ გადასწყვიტე, რაც გადასაწყვეტია, ციხიდან გაქცევა ჩემზე იყოს, ისე გაგაპარებ, მზეც მაღლა იდგეს.“

იოანემ სთქვა! „მე მთელი ღამე მესმოდა ლაშქრის მოდენა. არ დამეძინა გათენებამდის. ბოლოს დამძალა, ძილმა და ესეცაა წავწექი თვალის მოსატყუებლად“.

ერთი რამ აეჭვებდა იოანე დუკისძეს: კატაის როგორ ღა გავაპარებთო ციხიდან? ლიპარიტ ერისთავი სდუმდა, რადგან არც მან იცოდა, ამ კითხვის პასუხი.

*
* *

ერთბაშად დაირღვა აუმღვრეველი იდილია ნაჭარმაგევის ციხისა. მარიამ დედოფლის გაღვიძება არც კი დასჭირვებია ეზოსმოძღვარს ცინცილუკს. ბუკის ხმამ ძილი დაუფრთხო მას, დუმბულების მოხშირებული ცემა რა შემოესმა, უკაზმავი ზეწამოიჭრა და სამზერს მივარდა.

გაოცდა, ლიახვისპირად დადგმულ კარვებსა და ველზე მიმავალ ცხენოსან ლაშქრის დენას რა წაატანა თვალი. ერთი ღამის მანძილზე სამხედრო ბანაკად ქცეულიყო ნაჭარმაგევი.

დაიგრუხუნა მთებს გადაღმა, ქარბორბალამ წამოიღო წვიმის ღრუბლები და უცნაური თქეში თავს დააცხრა ნაჭარმაგევის ციხეს.

ისმოდა ერთობლივი თქარათქური და ჭიხვინი ცხენებისა მოხშირდა დუმბულების ცემა. მთავარ კარიბჭესთან ცხენები მიართვეს მეჯინიბეებმა ჯონდი ერისთავსა და ნიანია ბაკურიანს, ისინი მოასხდნენ იემენის ულაყებს და მგლურით მიჰყვნენ მუხრანისკენ მიმავალ თემშარას. მცირე სპაჲ თქარათქურით უკან გამოუდგა მათ.

უცნაურად აუფორიაქდა დედოფალს გული.

ამ თავსხმაში საღ მიდიანო სპასალარები?

შეძრწუნებული უჭვრეტს მარიამ დედოფალი შავ ულაყზე მჯდარ ნიანია ბაკურიანს და ასე ჰგონია: უკუქცეულა დრო და მკვდრეთით აღმდგარი არტავაზ ტოლობელი მიჰქრისო აგარის ომში...

გადასწყვიტა დაუყოვნებლივ ჩაეცვა და დავით მეფესთან გადასულიყო რკონის კოშკში.

ცინცილუკი შემოფრატუნდა:

ლიბარიტ ერისთავი ხლების ნებას თხოულობსო, ავგუსტა.

„ალბათ, რაღაც საშინელი რამ ხდება ნაჭარმაგევის სასახლეში, თორემ ლიბარიტ ერისთავი ასე ადრე სადარბაზოდ მოსვლას ითხოვდა?...“ გაფიქრა დედოფალმა.

„რა მოხდა? თურქები ხომ არ დაგვესხნენ, თუ იცი?“

ეკითხება იგი ცინცილუკს.

მხრები აიჩერა ეზოსმოძღვარმა.

„ციხეში დიდი ალიაქოთია, ავგუსტა, მანდატურებიც ერთი-მეორეს ეკითხებიან, მაგრამ არავინ იცის რა მოხდა?...“

გაფითრებული დედისიმედი შემოვიდა, ლანდივით უტყვი მკერდზე შემოეჭდო დედოფალს და აქვითინდა.

„რა მოხდა?“

იკითხა დედოფალმა.

„არავინ იცის, რა მოხდა, მაგრამ ყველას ჩამოსტირის სახე. მეჯინიბეთუხუცესი რკონის კოშკზე ადიოდა წელან, ალბათ, დავით მეფეც წასასვლელად ემზადებაო“.

„დამშვიდდი, ჩემო გვრიტო“, უთხრა ერისთავის ასულს დედოფალმა და ნამტირალევი თვალები დაუკოცნა.

„წუხელ ქუხილმა გამაღვიძა, წამოვდექი, უცნაური თქეში იყო, მაგრამ მთელი ღამე ვიღაცეები ადიოდნენ რკონის კოშკის კიბეზე, საბია მიამბობდა, გიორგი ჭყონდიდელი და დავით მეფე მთელი ღამე თათბირობდნენო. მართლაც და გათენებამდის არ ჩაუქვრიათ სასანთლენი ჭყონდიდელის სამყოფლოში.“

*
* *

ამაოდ ცდილობდა მარიამ მღელვარება დაეოკებინა როგორმე, ეშინოდა, დავით მეფეს არ გაესწრო, თავათ მოინდომა ჩაცმა, აქეთიქით ეხეთქებოდა, ხან ერთ კარადას გააღებდა, ხან მეორეს, ერთ კაბას წაატანდა ხელს, ეს ღილებიანია, ვერ ჩავიცვამო იოლად.

მიაგდებდა, ახლა მეორეს წაეპოტინებოდა, მერმე აღებდა სკივრებს, ამოიღებდა რომელიმე სამოსს.

ერთი მომეტებულად საზეიმოდ მოეჩვენებოდა, მეორე მომეტებულად თალხად, ეზოსმოძღვარმა ცინცილუკმა შემოჰყო თავი, საერთოდ მშვიდმა მახდილოსანმა უკივლა მოხუცს:

„სადა ხართ, სად დაიკარგეთ? კუროპალატისსა მელიტა და შიმუნვართა წინამდგომი ევფროსია მომგვარეთ დაუყოვნებლივ.“

გაოგნებული გავიდა ეზოსმოძღვარი.

სულ რამდენიმე წუთი დააყოვნეს მელიტამ და ევფროსიამ, მაინც ანჩხლობდა მარიამი:

„სად მიწაში წავიდნენ ეს დიაცები?“

„მათ სძინავთ, ალბათ.“

მშვიდად შენიშნა დედისიმედმა.

„რაღა დროს ძილია!“

ცხარობდა მარიამი.

როცა თმაგაჩეჩილი მელიტა და ევფროსია შემოვიდნენ დარბაზში, ქართულად მიაძახა მარიამმა:

ჩამაცვით, ჩამაცვითო, ახლავე!

გაოგნებული მიაშტერდნენ იმპერატრისას: ბერძნის ქალები.

რა მოხდა?

იკითხა მელიტამ, და როცა ბერძნულად გაუმეორეს ბრძანება, ურთხელის კარადისაკენ წაფათურდა იგი.

ჩაცმა რა მოათავა მარიამმა, ცინცილუკი ახმობინა ევფროსიას.

„წადი ახლავე რკონის კოშკში და დავით მეფეს მოახსენე, დედოფალს ნახვა უნდა-თქო შენი“.

დარბაზის ტალანიდან გამობრუნდა ცინცილუკ და ამცნო:

ლიპარიტ ერისთავი გიცდითო ტალანში.

„უჯმე, სულ დამავიწყდა, ლიპარიტი რომ მიცდიდა!“

მაგიდასთან მიფათურდა გამალებული, თანაც მიაძახა ცინცილუკს:

„აწვიე ერისთავთ-ერისთავი, ოღონდ გააფრთხილე, სულ ორიოდე წუთით შემობრძანდეს.“

როცა მარიამმა საამბოროდ ხელი გაუშვირა ერისთავს, იგი მთლად გაფითრებული ეჩვენა დედოფალს.

„რა ამბავია, თუ იცით? სულტანი ხომ არ გვიპირებს დალაშქვრას?“

შეაგება სტუმარს.

„არაფერია, ავგუსტა, ბეშქენ ჯაყელი ჩამოსულა სპიანად, წეროვანის ველზე უნდა შედგესო აღლუმი.“

აუმღვრევლად სთქვა ლიპარიტმა და საკარცხულზე დაეშვა მძიმედ.

მაპატიე, ლიპარიტ ჩემო, ერთ წუთს ნუ მოიწყენთ უჩემოდ, თქვენ აქ ისაუბრეთ მანდილოსნებთან, მე ახლავე გამოვბრუნდები, ახლავე.“

სთქვა დედოფალმა.

„ამ თავსხმაში სად მიბრძანდები, ავგუსტა?“

იკითხა გაოცებულმა ლიპარიტმა.

„დავით მეფესთან სიტყვა მაქვს, ახლავე გეახლები, ახლავე.“

სწორედ ამ წუთში მოისმა ცხენების ჭიხვინი, მათრახების ტლაშუნი, დუმბულების ცემა, სამზერს მიეჭრა მარიამ დედოფალი.

ქოსსა ჭკრეს ნაჭარმაგევის ციხეში და ამ გაუგონარ თავსხმაში, მერეხივით მოსწყდა ნაჭარმაგევის ციხის შემოგარენიდან მრავალი ათასი ცხენოსანი, მარიამმა და დედისიმედმა გაარჩიეს ლაშქრის წინ მიაგელვებდნენ ცხენებს დავით მეფე და ბეშქენ ჯაყელი, ქარიმან სეტიელი უკან მისდევდა ცხენდაცხენ მეფესა და ერისთავს,

ლიპარიტიც წამოდგა და დიდხანს უმზერდა იგი დავით მეფის ძერასფერ მუზარადს, სანამ შორეთში არ დაინთქა სპიანად მეფე.....

*

* *

ვიდრე ნიანია ბაკურიანი და ჯონდი ერისთავი წეროვანიდან აჰყრიდნენ ლაშქარს, დავითი და ბეშქენ ჯაყელი წამოეწიენ მათ.

მეფემ შესცვალა პირველადი გეგმა შეტევისა.

ჯონდი ერისთავი მოისართა სამ ათასეულს უსარდლა და უბრძანა, წეროვანიდან ჩრდილოეთისკენ ეარნა ხუთი ფარასანგის სიშორეზე, მხარ მარჯვნივ დაეტოვებინა ხერკის ციხე [1] და ხერკის ხევს აყოლილს ლოჭინი ხევამდის მიელწია და აქ გზა შეეკრა რუსთავიდან ზედაზენს მიმავალ თურქ-კახელთა სპათათვის.

ხოლო ნიანია ბაკურიანი უნდა ცდილიყო, არაგვზე გადმოსვლა არ ეცლია ძაგან ერისთავისა და მის ლაშქრისთვის, თუ ნიანია შესძლებდა ძაგან ერისთავის უკან გაბრუნებას ზედაზენის ციხეში ნიანია დასავლეთიდან შემოეწყობოდა ზედაზენს.

მეფემ კარგად იცოდა, ხერკის ციხეს მცირერიცხოვანი ციხიონი ჰყავდა კვირიკე კახთა მეფეს, ბეშქენ ჯაყელი ლოდსატყორცნელებსა და ტარანებს თან წარიტანდა, ჯერ ხერკის ციხე უნდა გარემოეცვა.

ამგვარად მას უნდა გაეთიშა ურთიერთისაგან ხერკისა და ზედაზენის ციხენი, და აღმოსავლეთიდან შემოწყობოდა ზედაზენს.

თავათ მეფე და სპაი ქართლისაის ცხენოსანი ათასეულნი ნარეკვავის ტყეებში დასცემდნენ ბანაკს.

*
* *

ნიანია ბაკურიანს სხალტბაში შემოეყარნენ ძაგან ერისთავის მარბიელი ლაშქრის მეწინავენი. მათ თავხედურად შეჰბედეს წაკენწლავება ნიანიას ლაშქრის მზვერავებს; ბოლოს ტყეებში გაიფანტნენ და მიაშურეს არაგვს.

*
* *

ძაგან ერისთავს და აღსართანს, კახეთ-ჰერეთის უფლისწულს, გადაწყვეტილი ჰქონდათ წეროვანში დახვედროდნენ სამეფოის ლაშქარს, რადგან წეროვანის ველზე უფრო იოლად შესძლებოდათ ცხენოსანი და ქვეითი სპათა მხარგაშლილად შეტევა.

მაგრამ მოკავშირეებს ვარაუდი აურია რუსთავის ციხეში განძიდან სპიანად მოსულმა თურქმა ამირამ ჰუსეინ ბეგ ისხაკმა.

ჰუსეინმა, რა დაინახა რუსთავის ციხიონი სანახევროდ თურქ მონასპათაგან იყო ნაკრები, მან აგდებულად დაუწყო მზერა აღსართან კახთა უფლისწულსა და რატი ორბელიანს, რომელთაც ხშირად ურთიერთ შორისაც არა ჰქონდათ თანხმობა დავით მეფესთან შებრძოლების საქმეში.

იგი წარამარა წამოძახებდა ორივეს: ირანისა და არაირანის სულტნისაგან ბოძებული რწმუნების წიგნი მიძევს უბეში და ამიტომაც მე უნდა დამექვემდებაროთო როგორც უფლისწული, ისე ერისთავი.

ომებში მრავალნაცადი ამირა ალმაცერად შესცქეროდა ცუნდრუკა აღსართანსა და გაცოფებულ რატის.

აგრე ამბობდა: შემტევს მუდამ მეტი ძალი უნდა შესწევდეს, ვიდრე დამხვდურს.

ამიტომაც საჭიროდ სთვლიდა რუსთავში მოეცადათ იმ თორმეტი ათას მოისართათვის, რომელნიც იმ დღეებში უნდა დაძრულიყვნენ სამშვილდედან.

ბოლოს აღსართანმა და რატიმ, როგორც იქნა დაითანხმიეს ამირ ჰუსეინ და სამი ათასი თურქი შუბოსანი და ორი ათასეული კახეთ-ჰერეთელნი მონასპანი წარგზავნეს წინასწარ ზედაზენს.

ძაგან ერისთავს თმენის ძალა ელეოდა, რადგან გამჭრიახმა ამირამ კარგად იცოდა, ასეთ შემთხვევაში არ ივარგებდა მრავალრიცხოვან სპათა ერთბაშად წარგზავნა.

ამიტომაც ათას-ათას კაცს აგზავნიდა ზედაზენს იგიც ღამღამობით. ძაგან

[1] ხ ე რ კ ი — აწინდელი საგურამო.

ერისთავს შიშის ქარი უვლიდა მუხლებში მან კარგად იცოდა: მცირე სპით არ წამოვიდოდა დავითი, ამიტომაც ეცოტავებოდა ლაშქარი.

ახლადმოსულნი სელჯუკიანთა სპანი ვეღარ დაეტიენ ზედაზენის ციხეში, და თურქებმა კარვები დადგეს ციხის გალავნებთან მისულ ტყესა და ციხეს შორის.

*
* *

მეფე ჯერ წეროვანშიაც არ იყო ჩასული; როცა გოდერძი ხორგაი და სამი ტფილისელი ლტოლვილი გზაში ეახლნენ მას და ამცნეს ამ ჯარის ზედაზენში დაბანაკების ამბავი.

*
* *

ძაგან ერისთავსაც მოუვიდა მსტოვარი და აუწყა, წეროვანიდან დაიძრაო სპიანად მეფე.

ძაგან ერისთავი დღედღეზე უცდიდა აღსართანს, რატისა და ამირ ჰუსეინს, ბოლოს აგრე დაასკვნა: არაგვს გამოღმა გადმოსვლა თუ დავაცალე სამეფოის ლაშქარს, მომაშთობენ ზედაზენის ციხეში და გვიან მოსულნი მოკავშირეენიც ვეღარაფერს მიშველიანო.

მას არც სათანადო მარაგი ჰქონდა ციხეში, ამიტომაც გადასწყვიტა არ მოეცადა მოკავშირეთათვის.

აგრე ვარაუდობდა: ორ-სამ დღეს ბრძოლით შევიქცევ მეფეს და ამასობაში წამომეწევიანო თურქთა და კახთა შეერთებულნი სპანი.

ზედაზენის ციხის პატრონს გაუჭირდა არაგვზე სპიანად გადასვლა, რადგან უკანასკნელი წვიმების მეოხებით თავის სადენში ვეღარ ეტეოდა მდინარე.

დიდხანს იყოყმანა და ბოლოს გადასწყვიტა ირმის ფონთან გადაელახა არაგვი.

მუცლამდისაც არ ჰქონდა წყალი მიწეული ძაგანის ცხენს, როცა მოვარდნენ ნიანიას ლაშქრის მიერ დევნილნი მარბიელნი, ძაგან ერისთავი ნაპირზე გაბრუნდა კვლავ და მაღალ ქარაფზე ცხენდაცხენ მდგარმა თვალი მოჰკრა ნიანია ბაკურიანის ჯარის მეწინავეთა შუბებს.

ნიანიამ არ დააყოვნა შეტევა, ასიოდე კაცი შეგზავნა ადიდებულ არაგვში, ორგზის მეტი რაზმეული გამოუშვა ძაგან ერისთავმა, მათ დიდხანს იბრძოლეს მდინარეში, რამდენიმე დაჭრილი და მოკლული გაიტაცეს არაგვის ტალღებმა.

ნიანიამ უკუიხმო გადარჩენილნი, საღამომდის ამაოდ ესროდნენ ურთიერთს არაგვის გაღმა-გამოღმელნი ისრებს.

დილა გათენდა, კვლავ ჩაგზავნა არაგვში ნიანიამ სამასიოდე მოისარი, მაგრამ მარჯვენა ნაპირს მიღწეულნი კვლავ უკუიხმო ნიანიამ თავისი მონასპანი.

ორასიოდე თურქმა ტანზე გაიხადა, მშვილდები და კაპარჭები ზურგზე აიკიდეს, პირში იატაგანები გაირჭვეს და მდინარის ცურვით გადმოლახვა სცადეს. მაგრამ ისრები დაუშინეს ნიანიას ცხენოსნებმა მათ და არაგვმა გაიტაცა მათი ცხედრები .

ბოლოს ძაგან ერისთავი ავიდა ბექობზე და უყივლა თავის ლაშქარს, გადავეშვათო ცხენდაცხენ არაგვში.

როცა ძაგან ერისთავი და ხუთასიოდე მხედარი უკვე გადმოსულნი იყვნენ არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ცხენს ღეზი ჰკრა ნიანიამ, ეკენწლავა მათ და ერთბაშად უკუიქცა და მთელმა ლაშქარმა ნარეკვავისკენ იბრუნა პირი.

ძაგან ერისთავის სპანი გადმოჰყვნენ თავიანთ პატრონს, ნარეკვავამდის მისდიეს მათ ნიანიას ცხენოსნებს და იმ ჭაობებთან, სადაც დღესაც ვნადირობთ

ზოლმე, ცხენი შემოაბრუნა სარდალმა და უყივლა თავის ლაშქარს: შემოაბრუნეთ ცხენები და გააშიშვლეთო ხმლები.

საშინელის სისწრაფით ეკვეთნენ აფხაზნი მოისარნი კახ-თურქთა მონასპებს, მეწინავენი დახოცეს და ისევ გარეკეს არაგვისკენ ისინი.

ძაგან ერისთავი თავაწყვეტილი ვაჟკაცი იყო, არაგვის მარჯვენა ნაპირზე მიბრუნებულმა, ომახიანი ყიჟინი ასტეხა, მაჯაგანით შეაჩერა თავისი სპახი ირმის ფონთან და ჩრდილის ძვრამდის გააფთრებულად იბრძოდნენ კახნი და თურქნი. . . . . .

ამ შემთხვევაში უკანასკნელთ ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მათ უკვე იგემეს არაგვზე გადმოსვლის სიძნელე და უკან დახევას ამიტომაც ერიდებოდნენ.

შეფეს ყოველ წუთში ამცნობდნენ მზვერავნი ბრძოლის ვითარების ცვლილებას რა დაინახა მისჭირდაო ძაგანის ლაშქრის გალმა გადარეკვა, ბეშქენ ჯაყელს უბრძანა ჩრდილოეთისკენ ეარნა ორი ფარსანგის მანძილზე, ბოლოს არაგვი გადაელახა და გალმა გასული მარცხენა ნაპირიდან ჩამომდგარიყო ირმის ფონს გადალმა.

ბეშქენ ჯაყელი ჯერ ნარეკვავის წყალს აჰყვა ჩრდილოეთისკენ, სამიოდე ფარსანგი გაიარა თუ არა, არაგვი გადალახა და ხერკს უსწორა.

ხერკის ციხისთავმა, რა დაინახა ახლოვდებაო მტერი, ციხიონი გამოიყვანა და გაშლილ ველზე შეება ბეშქენს, ორასიოდე კაცი ბრძოლის ველზე დასტოვა, უკუიქცა და, როგორც იქნა, მოასწრო ციხის კართა დახშვა.

ბეშქენმა მცირე სპა ჩააბარა აზნაურ მურჯიკნელს, გარემოცულ ციხის მეთვალყურედ, ლოდსატყორცნები და ვერძებიც მანდ დასტოვა.

ბოლოს აჰყარა ლაშქარი და ჭენებით მიაშურა ირმის ფონს. ძაგან ერისთავმა ეს შენიშნა და მალემსრბოლი აფრინა ზედაზენის ციხეში, რათა სამი ათასი თურქნი მოისარი მოეხმო მუნიდან საშველად, და მარცხენა ნაპირის გაყოლებით, ვიდრე ჯვრის მონასტრამდის შეჰკრა მდინარის ეს ნაპირი ცხენოსნებითა.

მხოლოდ გათენებისას მოაღწია სელჯუკების სამმა ათასეულმა და ბეშქენ ჯაყელის მოიხართ ეკვეთნენ თურქნი შუბოსანნი.

სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა ირმის ფონის გალმა-გამოღმა. . .

. . . . . .

*
* *

მეფე არ აპირებდა ბრძოლაში ჩარევას, მაგრამ, რა დაინახა მიჭირდა საქმე და ნიანია ბაკურიანმა ვეღარ შესძლო ძაგან ერისთავის სპათა გადარეკვა არაგვს გადალმა, დანდობილად აჰყარა ლაშქარი და მხოლოდ კარვისმცველნი დასტოვა ნარეკვავის ტყეში.

ირმის ფონს გადალმელ თურქებს, რა ამცნეს მათ შორის მებრძოლ კახმა მონასპებმა: სპიანად მოდისო მეფე, სელჯუკები მოეშვნენ ბეშქენ ჯაყელის მოისართ და ზედაზენის ციხისკენ გააჭენეს ცხენები.

ძაგან ერისთავმა მეფის დანახვაზე ომახიანად უყივლა თავის ლაშქარს, მაგრამ, თურქების იმედი რა დაჰკარგეს კახთა, და ნახევარი ეჯის მანძილზე დალანდეს თუ არა მეფე და სპაი ქართლისაი, გაუურჩნდნენ ძაგან ერისთავს და არაგვში გადაუშვეს ცხენები, თურქნიც თან გადაჰყვნენ კახთა.

ბეშქენ ჯაყელს დიდ მანძილზე ჰყავდა არაგვს შეყოლებით სპაი გაშლილი, ამიტომ მან ვეღარ შესძლო ძაგან ერისთავის ლაშქრის დაოკება, შეძლებისამებრ ხოცა ოტებულნი და ნიანია ბაკურიანის გამოღმა გამოსვლამდის უკან მიჰყვა გაქცეულ მტერს სპიანად.

როცა ზედაზენის შელმართამდის მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღწია ძაგან ერისთავის ლაშქარმა, აჭ გრდემლსა და ურის შორის მოექცა ძაგან ერისთავი.

მხარმარცხნიდან ბეშქენ ჯაყელი და მისნი ჯავახელნი უტევდნენ მას, ხოლო მხარმარჯვნიდან ნიანია ბაკურიანი.

სელჯუკებმა მიასწრეს ძაგან ერისთავს ზედაზენის ციხემდის. მათ სასწრაფოდ ცეცხლს მისცეს თავიანთი კარვები, საჭურჭლენი თან გაიყოლეს და თავპირის მტვრევით შესცვივდნენ ციხეში.

საშინელი სრესა გაიმართა ციხის კარიბჭეებში, თურქნი და კახნი დაერიენ ურთიერთს და ციხეში უმალ შესვლისას ხოცეს ურთიერთი.

ალმოდებული კარვების ცეცხლი ტყეს გადასწვდა ზედაზენის გარემომცველს და ციხის მისადგომებთან გაჩაღდა შემზარავი ხანძარი.

ციხის კარების დაგმანვას შეეცადნენ თურქნი, მაგრამ ჯავახელნი წამოეწიენ მათ და ციხის ეზოში გაიმართა სისხლის ღვრა.

დავით მეფე ნიანიას ლაშქარს შეუერთდა სპიანად. ძაგან ერისთავი მაინც არ შედრკა, იგი წარამარა შეაყენებდა თავის ათასეულს და საგორავებს უშენდა მის კვალდაკვალ მომავალ მტერს.

ბოლოს ხელი აიღო ბრძოლაზე და შიაშურა: ციხეს, სამჯერ მიიტანა იერიში კარი ბჭეებთან დახვედრილ ჯავახელთა წინააღმდეგ და დიდძალი სისხლის საფასით მაინც შესძლო ციხის ეზოში შესვლა.

თუმცა ბეშქენ ჯაყელის ლაშქარს სანახევროდ დაკავებული ჰქონდა ციხე, ხუთ დღეს გაგრძელდა ზედაზენის დაუფლებისთვის ბრძოლა.

სასოწარკვეთილნი თურქნი თავგამოდებულნი იბრძოდნენ, სამეფოს ლაშქარს უკვე ერთის შეტევით შეეძლო ციხის აღება; მაგრამ ციხის გალავანთან მიმდგარი ტყე, საბოლოო ასპარეზის უქონლობა აძნელებდა ამას.

დავით მეფე ძალით აოკებდა ბეშქენ ჯაყელისა და ნიანია ბაკურიანის გულფიცხობას ამ ომში.

მან უარჰყო ბეშქენის განზრახვა: ხერკიდან ლოდსატყორცნები მიეტანათ და დაეშინათ ციხისთვის.

აშოშმინებდა მეფე:

„შენ რას ფიქრობ, ბეშქენ, თურქებთან ერთად კახნი და ჰერეთელნიც არ მოექცევიან ციხის ნანგრევებში?

გარდა ამისა, ეს ციხე ჩვენც გამოგვადგება, არა?“

თავათაც ერიდებოდა ბრძოლაში გარევას პატრონი, ძმათა სისხლი არ ვასვაო ხმალს, ბაგრატეულს.

გააფთრებულნი იბრძოდნენ თურქნი.

მეოთხე დღეც მიიწურა და გოდერძი ხორგაი ავარდა ციხის გალავანზე, სამეფოის ალამი თან აიტანა, გადმოდგა და იყვირა:

კახელებმა და ჰერეთელებმა იარაღი დაჰყარეთ და შეწყნარებას გპირდებათო პატრონი.

გამოეყო კახთა სპას პანკისის ხევისთავი უთურგვაი, ხმალი განზე გასტყორცნა და პირველ შეხვედრილ ათისთავს ეუბნა:

მითაყვანოსო მეფემ.

მის მაგალითს მიჰყვნენ პანკისელები და ხერკელები, ჟინვალები და ჩელეთელები, უჯარმელები და ბოჭორმელები. მათ გარდა სამი ხევისთავი და საძი ჰერეთელი აზნაური გადაუდგა ზედაზენის ციხის პატრონს, რადგან ხმა გავრცელდა უკვე: ძაგან ერისთავი ციხის ხვრელიდან გაიპარაო ამალიანად გუშღამ.

იმავე საღამოს თურქებმა მოლაპ გამოუგზავნეს ნიანია ბაკურიანს და ამანი სთხოვეს მეფეს.

*
* *

როცა ტყეთა გაყვანა მოთავდა და დავით მეფე შებრძანდა ციხეში, ქოსსა ჰკრეს უკვე სამეფოის სპათა, ახლად-

დანიშნულმა ციხისთავმა, ნიანია ბაკურიანმა, სამეფოის დროშა ზედაზენის ზეთავზე აღამართვინა. . . .

. . . . . .

*
* *

რატი ორბელიანი შეცდომაში შეიყვანეს მისმა მსტოვარებმა: დავით მეფე დიდძალი სპით გამოემართაო რუსთავის ციხისკენ.

იგი მოუთმენლად ელოდა, რათა რაც შეიძლება მალე აეყარათ თურქ-კახთა შეერთებული სპაი და ბაგრატოვანთა სისხლით დამტკბარიყო როგორმე.

არ იქნა და ვერ გამოეტიენ ციხიდან.

რატი და აღსართან დანიშნავდნენ სალაშქროდ გასვლის დღეს, გაჯანჯღლდებოდა სამშვილდედან სპიანად მოსული ამირ ჰუსეინ ბენ ისხაკ, ელოდებოდა ხან განძიდან, ხან ტაშირიდან მომავალ სელჯუკიანთა ახალსა და ახალ ჯარებს.

მალემსრბოლებს გზავნიდა რუსთავს ძაგან ერისთავი, ზედაზენში გიცდითო სპიანად.

კვლავ დანიშნავდნენ ლაშქრის აყრის დღეს, თურქი ამირა მაინც ყოყმანობდა, ხან სპათა უკმარობას მოიბოდიშებდა, ხანაც ცხენთა უკაზმველობას, ხან ახალ საჭურველთა მოლოდინს.

ერთ დღეს მოუთმენელმა რატიმ მოიხმო თავისი მეხმლე მაღალ გიორგი და ამირ ჰუსეინის თანდასწრებით უყვირა მას:

„შენ გადაუთარგმნე მაგ თურქს, რად გეშინია-თქო, შე ღმერთძაღლო, მაგ საცოდავ დავით მეფისა, აგრე რომ აყოვნებ ზედაზენს წამოსვლას, თუ წამოხვალ წამო-თქო, თუ არა და ჩვენ თავათ ვნახავ-თქო ჩვენს საქმეს.“

ცხადია, მაღალ გიორგიმ შეარბილა თავის პატრონის ნათქვამი. არც „ღმერთძაღლო“ გადაუთარგმნა მას, არც დავით მეფის წინაშე შეკრთომის ამბები. მაგრამ რატის გამაღიზიანებელი ტონი უსიტყვოდ შეიცნო ამირამ, რომელმაც არც ერთი ქართული სიტყვა არ იცოდა, კეფა მოიფხანა თავისი ინით შეღებილი ფრჩხილებით და წაიბუტბუტა:

„მაღალო კაცო, შენ გადაუთარგმნე შენს ჭკუამოკლესა და გრძელფეხება პატრონს, მე დავით მეფის როდი მეშინია, არამედ დამარცხებისა.

შენ გააგებინე მას: არავინ ისე სასაცილო არაა-თქო, ამ ქვეყნად, როგორც დიდის ქადილით ომში მიმავალი, მაგრამ ბოლოს დამარცხებული-თქო.“

აქაც შეარბილა მაღალ გიორგიმ ამირას პასუხი.

ბოლოს სწორედ ის დღე დანიშნეს ზედაზენს გასალაშქრებლად რუსთავის ციხეში, რა დღესაც ნიანია ბაკურიანი მიადგა წეროვანიდან არაგვს.

*
* *

ჯერ კიდევ რუსთავის ციხეში აუტყდათ ცილობა აღსართან კახთა უფლისწულსა და რატის ამირ ბენ ისხაკთან. აღსართანს არ უნდოდა ლაშქრის გულის სარდლობა სელჯუკიანთა ამირასთვის დაეთმო, რადგან კარგად იცოდა, თუ დავით მეფეს დაამარცხებდნენ. ამირ ჰუსეინ ზედაზენის ციხეს წაეპოტინებოდა.

თავათ აღსართან ჩინებული მოისარი იყო ნადირობისას, მაგრამ ომისათვის მიუცილებელ მსხვერპლსა და ჯაფას მაინც და მაინც არ მიელტვოდა. ამიტომაც აიჩემა: ლაშქრის გულს უსარდლოსო ორბელიანმა რატიმ.

რატი და მისი აზნაურები ცხვირაბზუებულნი შეჰყურებდნენ „ვიღაც მდაბიორ თურქომანს, ბენ ისხაკს, მეთულუხჩეყოფილს.“

ამ ცილობის დროს ერთ-ორჯერ ისე გაფიცხდა ამირ ჰუსეინ, სამშვილდეს აპირებდა გაბრუნებას სპიანად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მხლებელთა წრეში დასცინოდა კიდევაც აღსართანსა და რატის: მათ არც იმდენი მონასპანი ჰყავთო, რამდენიც ჭრიჭინები თავში, მაგრამ, როცა ხორნაბუჯის ციხიდან რუსთავს მოვიდა ხუთი ათასი კახელი მონასპა, ამ გარუჯულ, მკერდგანიერ ქოჩორა ბიჭების დანახვაზე დაფიქრდა იგი, ჩათრევას ჩაყოლა არჩია.

მერმე ის იყო, აღსართანმა და რატიმ დაიჯაბნეს თურქი ამირა და მარცხენა ფრთის სარდლობა მიაჩეჩეს გულამრეზილ ჰუსეინს.

*
* *

ჯონდი ერისთავმა, გადალახა თუ არა არაგვი, ასი მოისარი გამოჰყო თავისი ლაშქრიდან, უბრძანა მათ: ჭენებით ევლოთ რუსთავის ველამდის, ცხენები ლოჭინის ხევში გადაემალათ, და ცეცხლი წაეკიდებიათ რუსთავის ციხესა და ლოჭინის ხევს შორის განფენილ ტრამალებისთვის, იმავე წესით, როგორც ამას ჩადიან ხოლმე ჩვენი მეცხვარენი ზამთრის პირზე საძოვრების მოსარუჯავად.

თანაც დაავალა: ხოხვით ეარნათ ველზე, ჩრდილოეთისა და დასავლეთისკენ მწკრივად, დაენთოთ კოცონები, ლოჭინის ხევიდან რუსთავის ციხის მისადგომებამდის.

*
* *

რუსთავის ველზე გაშვებულ აურაცხელ ფარებსა და მეცხვარეებს ჯერ კიდევ მშვიდად ეძინათ ფარეხებში, როცა ცეცხლის ენები მოედვენ ხშირსა და მაღალ ბალახს, ისინი ჯერ გამოხურვებულ ცელებსავით ვარვარებდნენ აქაიქ, მერმე ერთდებოდნენ, გველებსავით მიიკლაკნებოდნენ აღმოსავლეთისკენ, უერთდებოდნენ ურთიერთს და აქაიქ ვარვარებდა მთელი ტბორები ცეცხლისა, რქანაყარი გრანდიოზული ურჩხულები ეპოტინებოდნენ ცას.

შუაღამე გადასული იყო უკვე. მცხრალი მთვარე ზედ დანათოდა რუსთავის თვალუწვდენ ტრამალს.

თურქ-კახელთა ლაშქრის რუსთავის ციხიდან დასავლეთისკენ დენა უკვე დაწყებული იყო, როცა ველზე გაფანტულ ფარეხებთან აყმუვლდნენ მგელძაღლები, აბღავლდნენ დამფრთხალი ფარები, წამოცვივდნენ მეცხვარეები, ასტეხეს ყიჟინი, ბუკის ცემა და გნიასი.

თავდაპირველად რატისა და აღსართანს აგრე ეგონათ თავათ მეცხვარეებს წაუკიდებიათო ბალახის მოსაწვავად საძოვრებისათვის ცეცხლი.

გაცოფდა აღსართან, როგორ გაჰბედესო ასეთი რამ მეცხვარეებმა, და როცა რამდენიმე შეძრწუნებული მეცხვარე წინ შემოეფეთა მათ ცხენებს, უკვე შეფიქრიანდნენ და გარეკეს ლაშქარი, მაგრამ ეს იყო, ცხენები ურჩობდნენ ხანძრისაგან დაფეთებულნი, და გარდა ამისა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დაძრულ ფარებს ისე მოეცვათ ველი, ტაატით მოიწევდა ლოჭინის ხევისკენ ლაშქარი.

ამირ ჰუსეინ მყისვე მიუხვდა ამ თურქულს ხრიკს საომარს, მას თავათ არაერთხელ გადაუბუგავს ტყეები და საძოვრები მტრის ლაშქრის წიხწამოწევის დასაბრკოლებლად.

ამიტომაც ყველაზე ადრე შეიცნო ხიფათის მოახლოება, გულმა აღარ მოუთმინა და მალემსრბოლი მიუგზავნა ლაშქრის გულისა და მარჯვენა ფრთის სარდლებს რატისა და აღსართანს, რაც კი შესაძლებელია სწრაფად გარეკეთ ლაშქარნი და ლოჭინამდის ჩავასწროთო მტერს.

*
* *

ლოჭინის ხევი მთელ სიგრძეზე დაიკავა თუ არა სამეფოის ლაშქარმა, ჯონდი ერისთავმა სამად გაჰყო თავისი სპაი.

აზნაურ ფარჯანიანს უბრძანა ცხენებისათვის თოფრები აეკრათ და ლოჭინიდან აღმოსავლეთისაკენ ეარნა ჯიქურად ჯერ ტყე-ტყე და როგორც კი მტრის მარჯვენა ფრთას დალანდავდა, დანდობილად შებმოდა მტერს.

მარჯვენა ფრთას უსარდლა აზნაური ფანასკერტელი, გიორგი მის სპასაც, ცხენებისთვის თოფრები უნდა აეკრა, უგრძნეულოდ დაჰყოლოდა რუსთავის ციხისკენ ქვეითად მტკვრის მარცხენა ნაპირს; ვერხვებითა და ნერგებით შემოსილს.

ხოლო თავათ ჯონდი ერისთავი ლოჭინის ხევში გაინაბა მუნ ატეხილ ძეძვიანებში სპიანად.

რუსთავის ციხიდან ნახევარი ფარასანგიც არ ჰქონდა გამოვლილი თურქ-ჯახთა ლაშქარს, როცა გიორგი ფანასკერტელმა თოფრები მოახსნევინა ცხენებისათვის, და შესხდომა უბრძანა თავის მხედრებს, რადგან ამ ადგილას ისეთი დიდი კოცონები გაჩაღებულიყო უკვე, ტყის კიდეებზე გამავალმა მტრის მზვერავებმა უკვე შენიშნეს მტკვრის ჭალებში მომავალი ცხენოსანი ჯარი.

ფანასკერტელმა გააშიშვლა ხმალი და თავს დაესხა მარცხენა ფრთას. ამირ ჰუსეინი არ დაიბნა, მიხვდა: მოზღვავებული ცხვრის ფარებისაგან შეტბორებულ ველზე არ ივარგებდა ცხენდაცხენ ბრძოლა, დაქვეითდითო. უბრძანა თავის სპას, ცხენიდან ჩამოხტა თავათაც და შეუტია ფანასკერტელს.

რატი ორბელიანს ეჩქარებოდა ლოჭინის ხევამდის მისწრება, ამიტომაც მან ორივე ფრთის სარდალთა დაუკითხავად გაარეკვინა ცხენები თავის მონასპებს.

აღსართანმა, ბრძოლის ყიჟინა რა გაიგონა, ცხენდაცხენ გაარღვია დაფეთებული ფარებისგან დამდგარი მორევი და ყიჟინით გაემართა ამირ ჰუსეინის მისაშველებლად;

ამასობაში ფანასკერტელი გამოვიდა ტყიდან და ზურგში მოექცა აღსართახსა და ხორნაბუჯელ შუბოსნებს.

ველზედამდგარ კოცონების შუქზე ლანდებსავით ეხეთქებოდნენ უთოიერთს ცხენოსანთა ათასეულნი, ისმოდა მეომართა ყიჟინა, ცხენების ჭიხვინი, ვერძებისა და ყოჩების ბღავილი, დამსხვრეულ შუბის ტართა ლიწინლიწინი.

რატი ორბელიანმა და მისმა აზნაურებმა შემოაბრუნეს თავიანთი მონასპანი და გამოვიდნენ ამირ ჰუსეინისა და აღსართან კახთა უფლისწულის საშველად.

თრიალეთელებმა არ იკადრეს დაქვეითება, ისინი ცხენდაცხენ იბრძოდნენ, მაგრამ ხშირ ბალახებში განაბული თოხლები ცხენებს უვარდებოდნენ ფეხებს ქვეშ და მხედრები ტყაპა-ტყუპით ცვივოდნენ ძირს.

რატი ორბელიანი ყოველ თოროსანში ეძებდა დავით მეფეს, რადგან კარგად იცოდა, მას არ უყვარდა ულითამოდ სპაში გამოჩენა, არც თორ-მუზარადით თავის სპასალარებისაგან გამორჩევა, თავის გუნებაში ეეედრებოდა ღმერთს:

ჩემი ხელიდან არგუნეო დავით მეფეს სიკვდილი.

*
* *

დიდხანს არ დააყოვნა ჯონდი ერისთავმა, ლოჭინის ხევში დასტოვა ორი ათასი სამარქაფო სპაი და გამოუდგა აღმოსავლეთისაკენ გაბრუნებულ რატისა და მის ათასეულებს.

ამასობაში ამირ ჰუსეინს რუსთავიდან მოეშველნენ თურქმანი შუბოსნები, მან განახლებული ძალით შეუტია ფანასკერტელს, მტკვრის ჭალისაკენ მისრისა იგი სპიანად და ფარჯანიანს მოუბრუნდა, რადგან შენიშნა აღსართან

ქახთა უფლისწული მისნი ხორნაბუჯელნი მონასპანი ვეღარ უძლებდნენ ფარჯანიანის შემოტევას.

მოაღწიეს თუ არა ჯონდი ერისთავის მეწინავეთა, ორასი მძიმედ შეჭურვილი შუბოსანი დაქვეითდა, გააფთრებულნი ეკვეთნენ აღსართანის ცხენოსნებს, ცხენები გამოუკლეს მათ და გაუსწორდნენ თოროსან ჰერეთელ აზნაურებს.

მტრის შესახვედრად თავისი უზარმაზარი ულაყი დასძრა აღსართანმა, მაგრამ ძეძვიანში განაბული ცხვრები ფეხებში გაებლანდნენ მის ცხენს, ომში უწრთვნელი ულაყი დაფრთხა, და მიწაზე დაანარცხა აღსართან.

აღსართანის მეხმლე დაქვეითდა, საკუთარი ცხენი მიართვა პატრონს.

თურქთა და კახთა ცხენოსნებს ხელს უშლიდა არა მარტო რუსთავის ციხისკენ ბღავილით მიდენილი, დამფრთხალი ფარები, არამედ საკმაოდ ძლიერი ზენა ქარი, რომელიც ტრამალზე გაჩენილ ხანძრის ბუღსა და კვამლს აღმოსავლეთისაკენ მიერეკებოდა.

ასე რომ თურქნი და კახნი ვერ ახერხებდნენ მხარგაშლილად შეტევას, ხახდახან ისე იქნევდნენ შუბსა და ხმალს, მტერსა დ მოყვარეს ვერ ამჩნევდნეხ ურთიერთისაგან.

ამ აურზაურში რომელიღაც ხორნაბუჯელმა შუბოსანმა ცხენი გამოუკლა აღსართანს, იგი ხელახლა გადავარდა უნაგირიდან და მარჯვენა მხარი იღრძო, როცა აღსართან კვლავ შესვეს ცხენზე ჰერეთელმა აზნაურებმა, უკვე მზე ამოდიოდა ღრუბლების მღვრიე მორევიდან, მან ჯონდი ერისთავსა და მის მხლებელთ წაატანა თვალი, გულდაგულ მისკენ მომქროლავთ, აღსართანმა დანდობილად გააბრუნა რუსთავის ციხისკენ ცხენი, ჰერეთელნი აზნაურნი მას მიჰყვნენ.

შეკრთნენ ხორნაბუჯელნი და აღმოსავლეთისკენ გააჭენეს ცხენები.

ახლა ამირ ჰუსეინს მიუბრუნდა ფარჯანიანი, მტკვრის ჭალისკენ მიაგდო იგი, ფანასკერტელს შეატოვა ხელში და ისევ გამობუნდა ტრამალზე.

როგორც კი ამცნეს რატის: მარჯვენა ფრთა მოიშალა და გარემოცვაში მოექცაო ამირ ჰუსეინ, დაბეჯითებით ირწმუნა: დავით მეფე ჩარეულაო ბრძოლაში.

მამაცურად შეუძახა ცხენოსან ლაშქარს და წინ გადაეღობა მტკვრის ჭალებიდან ამომავალ ფარჯანიანს.

აზნაური ფარჯანიანი ანაგობით ძლიერ მიაგავდა დავით მეფეს. მის დანახვაზე საშინელი ყიჟინა დასცა რატიმ, თრიალეთელ აზნაურებს წინ წარუძღვა და ეკვეთა ფარჯანიანის მეწინავეებს. მსუბუქად დასჭრა ფარჯანიანი, მაგრამ მან არ დასთმო ველი ბრძოლისა.

ფარჯანიანის ცხენოსნები მოქანცულნი იყვნენ თურქებთან ბრძოლით. მათ ვერ შეიკავეს ეს შემოტევა და მტკვრის ჭალისკენ უკუიქცნენ. ბოლოს დარწმუნდა რატი, ფარჯანიანი დავით მეფე რომ არ აღმოჩნდა, და ახლა სხვა თოროსან რაინდებს დაუწყო თვალთვალი.

ამასობაში მოაღწიეს ჯონდი ერისთავის შუბოსნებმა, და ზურგში მოექცნენ რატის მონასპათ, ცხენები დაუხოცეს მათ და წინ გადაეღობენ ჭენებით მომავალ რატისა და თრიალეთელ აზნაურებს.

ისევ ასტეხა ყიჟინა რატიმ, თავისი ოქროიათური მკლავი გაემართა მაღალ გიორგიმ, სამი ცხენოსანი შეახეთქა ჩუგლუგით ურთიერთს.

ბოლოს გამართა შუბი, აიყოლია ასიოდე მძიმედ შეჭურვილი მხედარი, გაარღვია თარკველ მეწინავეთა მწკრივი და ჯონდი ერისთავის ცხენს აძგერა შუბი.

სწორედ ამ წუთში რატი ორბელიანი ხმალამოწვდილი თავზე წამოადგა ჯონდის, მაგრამ ცხენიდან გადმომხტარმა შუბი გამართა, ლანდის უსწრა-

ფესად და გულის კოვზს ქვეშ აძგერა თოროსან რატის.

რატი გადაეშვა უნაგირიდან, მაგრამ მხედრის ცალი ფეხი უზანგში შერჩა დამფრთხალ ცხენს, ალმოდებულ ველზე გაჭენებულს.

უკუიქცა გული ლაშქრისა, მაგრამ მოაგელვეს ცხენები მამისთვალა მახარობლისძემ, იაი ციხელისძემ და წითლოსან დუკისძემ, სასოწარკვეთილი ყიჟინით მოიტანეს იერიში ბარე სამ გზის.

მაგრამ ჯონდი ერისთავი ახლა სამარქაფო ცხენს შემოახტა და თხის არ-ვესავით წინ გაიგდო თრიალეთელნი ანზაურნი და მათნი მონასპანი.

რა მოიშალა რატისეული გული ლაშქრისა, მტკვრის ჭალაში მებრძოლ თურქებს დაერია ჯონდი ერისთავი, ამირ ჰუსეინი მამაცურად ებრძოდა ჩრდილის ძვრამდის მას, ბოლოს თავისი ლაშქრის ნამუსრევით ფონის განუკითხავად გადაეშვა ამირა წყალში და მტკვრის გადაღმა გადაიხვეწნენ თურქნი. . . . . .

. . . . . .

*

* *

მიჰქროდნენ ცხენოსნები ალმოდებულ ტრამალზე. ბღავოდნენ ფარები და შიედინებოდნენ ალმოსავლეთისკენ დგანდგარით, ყივოდნენ აურაცხელი ძერები რუსთავის ველზე, ჰკორტნიდნენ უპატრონო ცხედრებს. . . . .

ხანძარი არა ცხრებოდა, ლოკავდნენ ცეცხლის ენები რუსთავის ველს. რჭაბორჯღალა ურჩხულები ცეცხლისა ეპოტინებოდნენ ცას. . . . . .

დიდხანს ათრიეს თრიალეთელმა აზნაურებმა სისხლისგან დაცლილი რატის უზარმაზარი სხეული, ნაბლებისაგან გაკეთებული საკაცით, ბოლოს ჩამოხტა ცხენიდან წითლოსან და სთქვა: ვერ მიაღწევსო სულთმობრძავი რუსთავის ციხემდის.

დაქვეითდნენ აზნაურები, მორიგეობით მიათრევდნენ დაკოდილს, ბოლოს უსწორეს ფარეხიდან გამოვრთალ შუქს.

წყალიო!

კვნესოდა რატი.

არავინ გაუწოდა წყალი.

როცა ფუნის სუნით აქოთებულ ფარეხში შევიდნენ, მეცხვარის თექაზე დააწვინეს ცეცხლის პირად რატი.

წყალიო!

კვლავ დაიკვნესა დაჭრილმა და როცა არავინ გაიღო ხმა, თვალი გაახილა და მშვიდად სთქვა:

„რაკი წყალიც არ გემეტებათ ჩემთვის, უკანასკნელი სათხოვარი მაინც ამისრულეთ.“

თექის სარეცელთან დაჩოქილ ბერს გადაჰხედა, ევტიხის, და უბრძანა: სახარება მოიტანეო.

მცირე ხანს აფათურა ბერმა თავის დაბებკილ უბაში ხელი, ჩალისფერ ტყავში დაკანული მომცრო წიგნი გადმოიღო და მიწაზე დასდო.

ხმალი გაიძვრეო!

უბრძანა თავის მეხმლეს რატიმ.

მაღალ გიორგი წამოდგა, ხმალი გაიძრო და სახარებაზე დასდო.

ახლა თავის სარეცელის გარშემო დაჩოქილ წითლოსან დუკისძეს, იაიას ციხელისძეს, მამისთვალა მახარობლისძეს შეავლო რატიმ თვალი და ხმამილეულმა სთქვა:

„შემომფიცეთ, დავით მეფეს სისხლით რომ აზღვევინებთ ჩემს სიკვდილს.“

ზეწამოიჭრნენ აზნაურები, ხმლები გაიძვრეს, ვფიცავართო, შეგლავლეს მომაკვდავს.

გამოეყო შავოსანი ბერის ლანდიგნელს და სულთათანა წარსთქვა.

მგელძაღლები ყმუოდნენ ტრამალზე... ისმოდა ვერძებისა და ყოჩების გამუდმებული ბღავილი... ხანძარი და ქარი დაგელავდნენ ალმოდებულ რუსთავის ველზე. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

*
* *

დავით მეფე ნაჭარმაგევს მიბრუნებას აპირებდა, როცა ზედაზენის ციხეში მივიდა ქარიმან სეტიელი და მოახსენა პატრონს:

„წუხელ, შიო მღვიმლის მონასტრიდან დაბრუნდა ჩემს მიერ მუნ წარგზავნილი სიტყვაი ქორა და მამცნო: ძაგან ერისთავი იმალებაო მონასტრის მარანში.

მეორე დღეს, როცა უთენია გარს შემოერტყნენ შიო მღვიმეს ქარიმან სეტიელი და ასიოდე ჩუხჩი, უზარმაზარ საწნახელის გვერდით დაფენილ ნაბდებზე მშვიდად ეძინა ძაგან ერისთავის მხლებლებს: სამ ეპისკოპოზს ალავერდელს — ბესარიონს, ხარჭაშნელს— კლავდიოსს, ნინოწმიდელს — ამბროსის. და ჰერეთელ ხუთ აზნაურს, მაჭრისგან გამომთვრალთ.

თავათ ძაგან ერისთავს არ ეძინა, იგი თორგაუხდელად ფხიზლობდა და სვამდა თურმე მთელი ღამე.

ბერებმა რა ამცნეს ქარიმან სეტიელი და მისნი ჩუხჩნი გარს მოსდგომიანო მონასტერს, ერთ ვეებერთელა ცალიერ ქვევრში დამალვა სცადა, მაგრამ ქარიმანმა ამოათრევინა იგი, თორი გაბადეს ერისთავს და ნაჭარმაგევის ციხის იმავე დილეგში წარგზავნეს, სადაც ქედზე ბორკილასხმული იმყოფებოდა ლიპარიტ ერისთავი ერთ წელს.

*
* *

ნაჭარმაგევის ციხეში არავის გაუგია ძაგან ერისთავის მუნ ჩაყვანა. სასახლეში. ულიმღამო ცხოვრება მიმდინარეობდა. გიორგი ჭყონდიდელმა და მახარამ წვრილად იცოდნენ ზედაზენსა და რუსთავის ველზე მომხდარი ამბები.

მათ გიორგი მეფესაც მოახსენეს ყოველვე, თანაც სთხოვეს, ლიპარიტ ერისთავთან და მანდილოსნებთან საუბარში ამ საქმეთა გამო სიტყვის �ძერისაგან ჯერხანობით შეეკავებინა თავი.

დილიდანვე ვენახში გადაჰყავდა მეფე გიორგის სტუმრები, ლიპარიტსა და იოანე დუკისძეს უმასპინძლდებოდა მაჭრით.

როგორც მარიამ დედოფალი და დიოფალი ელენე, ისე დედისიმედი და კატაი დიაცური გულთმისნობით გრძნობდნენ — რაღაც უსიამო ამბები რომ ხდებოდა სადღაც, ხელსაქმითა და წიგნების კითხვით იყვნენ გართულნი, ციხეში ამ ამბების გამო ბაიბური არ ისმოდა, ციხის ოთხივე გოდოლში მშვიდად გრუტუნებდნენ ქედნები, მაჭრისაგან გალაღებული ფუტკრების ზუნი იდგა ირგვლივ, კანტი-კუნტად თუ დაარღვევდა ამ იდილიას დაცალებული ლომის დვრინვა და ავაზების ღნავილი. . . . . .

*
* *

ერთ დღეს საბია ეწვია მარიამ დედოფალს, ხილით სავსე ხონჩა მიართვა და წაიბჟუტურა:

„იცი, რას გეტყვი, ავგუსტა, მწითური ქალები უფრო ხალისიანნი არიან, ვიდრე წაბლისფერნნი და შავგრემანნი.“

მარიამ დედოფალი უგუნებოდ იყო, არა მიუგო რა ბერიკაცს, მაინც დაუფიქრდა საბიას ნათქვამს.

გვანცას მოსწყინდა დედისიმედის გამუდმებული ავადმყოფობა, თავის ტკივილები და ფსალმუნების გალობა. ერთ მშვენიერ დღეს გადასახლდა კუროპალატისსა მელიტას სამყოფელოში, მზვარის კოშკისქვედა სართულში. ორივენი ჩინებულად ერთობოდნენ მესახლეებთან ერთად კალმახის ჭერით, მიმინოთი ნადირობითა და ვაჟურად ცხენზე ჯდომით.

მუდამ კისკისებდნენ, ხითხითებდნეხ და როცა ეს ყოველივე მობეზრდებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ, მოხუც საბიას აჰყვებოდნენ, ხეილისა და ლეღვის ნოშოთი შეიმოსებოდნენ და ოფოფებზე ნადირობას მიჰყოფდნენ ხელს. და ამ ამორძალების შემხედვარე საბიამ ასეთი რამ წაძოროშა მათთვის გასაგონად ბერძნულად:

„დიაცებს არც რაიმე უყვართ ხახგრძლივად ამ ქვეყნად და არც თუ ვინმე გააჩნიათ, ვისთვისაც თავის გახწირვა შეეძლოთ მათ.

ისინი ძროხებს ჰგვანან, ახალი და ახალი საძოვრის ტყეში მაძებართ.“

კუროპალატ სსა მელიტას ჭკუაში დაუჯდა ეს „სიბრძნე“. ბევრი იკისკისა და მარიამ დედოფალს გაუზიარა იგი.

მარიამმა მიუგო:

„გააჩნია ჩემო მელიტა, ქალთა ჯილაგშიაც სხვაობაა უცილოდ, ზოგი მართლაც ძროხასა ჰგავს საძოვრის მაძიებელს, ზოგიც...“

მელიტა დაინტერესდა:

„ზოგიც ვის, ავგუსტა?“

„ზოგიც დაცალებულ ქედანს“.

„რაო, რატომ მაინც და მაინც ქედანს?“

„ქედანი ერთის მოტრფიალეა მარადჟამს, თუ უგულო მონადირემ მიჯნური მოუკლა, არასოდეს შეუუღლდება სხვას.“

გვანცა თავათ დაესწრო ამ გასაუბრებას, არაფერი აკადრა მელიტას და თავის გუნებაში დაასკვნა: მიჰქარავსო ეს ბერძნის დიაცი.

* * *

მხოლოდ მახარას გაუფრთხა ერთ ღამეს ძილი, როცა ნაშუაღამევს ჩუხჩებმა ფლასით თავშებურვილი ძაგან ერისთავი მოათრიეს უჩუმრად, ჩრდილის კოშკის დილეგში ჩააგდეს და ბეცია ბერის გვერდით დააბეს ჯაჭვით.

. . . . . .

სწორედ მეორე დღეს მახარა გააღვიძა მესტუმრეთუხუცესმა და ამცნო: ხუთი თრიალეთელი აზნაური მოვიდა დიდძალი ძღვენით სასახლეში და ეინებით ითხოვენ დავით მეფემ გვითა-ყვანოსო.

მახარას ემცხეთა, უწინარეს ყოვლისა, ხუთი რიცხვის გაგონება. და როცა ხუთი თოროსანი თრიალეთელი აზნაური წარუდგინა მას მესტუმრეთუხუცესმა დ, დასძინა: დედისიმედის ძუძუმტეენი გახლავთო, ხორეშანის ვაჟნი, მისთვის გასაგები გახდა კრიპტოგრაფის ბნელი სტრიქონი: ხუთნი მოვლენ, სამნ, წამოჰყევითო.

მიუხედავად ამისა, საგანგებოდ გამოჩინებული თავაზიანობით მიიღო ისინ, ჩრდილის კოშკის ორი დარბაზი მიუჩინა მათ და სტუმრების გასაგონად უბრძანა მესტუმრეთუხუცესს, ლიპარიტისა და მისი სახლეულ ს ადგომამდის საუზმე მიერთმია „ძვირფასი სტუმრებისათვის“, მეღვინეთუხუცესს ახალი მაჭარი მიატანინა.

საუზმის დროს თავათაც მიუჯდა სტუმრებს, აძალებდა ხბოს ბეჭსა და თოხლის ჰარისას, თავათ მიართმევდა მაჭარს, თანაც ბოდიშობდა: მე შაკიკმა დამრია ხელი, ამიტომაც ვერ გიწევთო მეინახეობას.

აქებდა მათ მიერ მეფისთვის ძღვნად მორთმეულ თექულ ულაყებს და ზამთარგამოვლილ კაპუეტებს.

მენადირეთუხუცესი ახმობინა და დაავალა: როცა ჩვენი ძვირფასი სტუმრები მოიწადინებენ, დილაადრიან მზად გყავდეთ მეძებარნი და ბაზნი და ანადირეთო.

გიორგი მეფესა და მარიამ დედოფალსაც თავის დროზე ამცნო გიორგი ჭყონდიდელმა რატის კრიპტოგრაფის დაჭერის ამბავი, მაგრამ როგორც მეფეს, ისე მარიამს მცირეოდენი იჭვი ჰქონდათ: ვაი თუ ეს კრიპტოგრაფი მახარას და ქარიმან სეტიელის მიერ მოჩმახული იყოსო, და ამ დაეჭვებას აძლიერებდა ის გარემოება, რომ გრაგნილზე არა ეწერა, თუ ვის სახელზე იყო მოსული ეს იდუმალი წიგნი, ან ვის მიერ გამოგზავნილი.

ხოლო, რაიცა შეეხება ბეცია ბერის ჩვენებას, მათ აგრე სჯეროდათ: ქარიმან სეტიელმა ტაჯგანაგებით აცემინა ბერი და მანაც ის აჩვენა, რაც ქონდა-ქართუხუცესმა უბრძანაო.

ამ ხუთი ძუძუმტეს ჩამოსვლამ ეს იჭვები საბოლოოდ გაფანტა.

ბევრი ეჩიჩინა გიორგი მეფეს მახარა, ლიპარიტი და ეს ხუთივე ახალი სტუმარი დილის ტრაპეზზე მიეწვია როგორმე, მაგრამ მეფემ აშკარად განუცხადა თავის ნახევარ ძმას: არამცთუ ამ ლაზღანდარებთან, თვით ლიპარიტ ერისთავთან არ გავტეხო ამიერიდან პურს.

მახარამ შაკიკი მოიმიზეზა, იგი რკონის კომკიდან არც გამოდიოდა იმ დღეებში სავსებით.

*
* *

ღამღამობით ცუდად ეძინა დედისიმედს, დღენიადაგ მარიამ დედოფლის სამყოფელოში იყო, გულმოწყალე მარიამმა თუმცა ყველაფერი იცოდა, რაც ხდებოდა ნაჭარმაგევის გალავნების გადაღმა, ჭმუნავდა იდუმალ ამ სათნო და ხვეგამწარებული ქალწულის მომავლისათვის, ცდილობდა გაემხნევებინა იგი, მაგრამ ნუგეშინის მომგვრელ სიტყვებს ვეღარ პოულობდა.

გაიმარჯვაო მარსმა იტყოდა ხოლმე თავის გუნებაში, მაგრამ სდუმდა...

საღამოობით მოდიოდა საბია, მოჰქონდა ხილით სავსე ხონჩა, მეორე დილით ახალი მოჰქონდა ყურძნითა და ლეღვით დატვირთული, არც კი იკითხავდა, რად არ მიირთვითო, ისევ კიდემდის სავსე მიჰქონდა წინადღით მორთმეული ხილი.

იბჟუტურებდა, იბჟუტურებდა საბია, ბოლოს დაავალებდა ოდესღაც, საღლაც განაგონს:

„და როგორც მდინარენი მიდიან და აღარ მოდიან, აგრე ილევიან დღენი და თან მიაქვთ ნატამალნი ჩვენი სულისა და ხორცისა.“

მართლაც დღეები ილეოდნენ ქედნიბის გრუტუნში და ფუტკრების ზუნში და მთელი ღამე ფხიზლობდა ქალწული ავზნიანი სიზმრების შიშით.

მეორე დილას ისევ მოიტანდა მემაშხალეთუხუცესი საბია ყურძნითა და ატმით დატვირთულ ხონჩას წინ დაუდგამდა მარიამ დედოფალსა და დედისიმედს და ბებრული გულმავიწყობის მეშვეობით კვლავ იმეორებდა წინადღით ნათქვამს:

...„და როგორც მდინარენი მიდიან და აღარ მოდიან, აგრე ილევიან დღენი და თან მიაქვთ ნატამალნი ჩვენი სულისა და ხორცისა.“

შაბათ საღამოს ნაშუალამევამდის უკითხა და უთარგმნა მარიამმა ბერძნულიდან დედისიმედს პლატონი.

მარიამს ხელში ეჭირა ანნა კომნენას მიერ ნაჩუქარი „სიმფოზიონი“ და ტაატით უკითხავდა ქალწულს:

...„და მიჯნურთა ვალია ურთიერთთათვის ეწიონ სიკვდილს, არა მარტო მამაკაცთაგანისა, არამედ დიაცთაგანისაც და ამის მაგალითს გვაძლევს ალკესტის, პელიასის ასული, რომელიც მზად იყო თავის მიჯნურისათვის ეპოვნა სიკვდილი...“

ნაშუალამევამდის უკითხა მარიამმა ეს წიგნი დედისიმედს და, თავის სამყოფლოში რა მიბრუნდა ერისთავის ასული, საბიას დავიწყებოდა სასანთლენი ანთებული დაეხვედრებინა, ამიტომაც გაბრუნდა და იმ დარბაზში შევიდა, სადაც ლიპარიტსა და კატაის ეძინათ უკვე.

წინა ღამეებში უძინარს წამოეძალა ძილი, ეძინა ტკბილად და უდრტვინველად, როცა უთენია გამოაღვიძა ლიპარიტის როხროხა ხმამ, მცირე ხანს მიუგდო დედისა და მამის უხიაგ საუბარს ყური, მაგრამ თავი და ბოლოს ვერ გაართვა ამ გაპაექრებას:

...მაშ არ წამოხვალ, არა?

სულ ერთია ჩვენ წავალთ... მე ვერ

მივატოვებ ჩემს ერთად-ერთ ვაჟს, მარტოხელას ბრძოლებში.“

„შენ დამიქცევ ლიპარიტ ოჯახს და თავათაც დაიღუპები. ნუ იქმ ლიპარიტ ამას, გემუდარები... ნუ დამიქცევ ოჯახს, გემუდარები.“

„მაგ გომბიოსთვის მე ვერ გავწირავ ჩემს ერთადერთ ვაჟს.“

„ვეჟო, გონს მოდი, რას ჩადიხარ, ბოლოსდაბოლოს დავით მეფე სასიძოა შენი.“

„რომელი სასიძო, უკვე დათვლილია დავით მეფის დღენი, ხომ წაგიკითხე, შლეგო დიაცო, რატის წიგნი, ბარქიაროკმა სპაი წარმოგზავნა, ზედაზენში მოაშთობენ მას.

მე მირჩევნია ხასად ვუბოძო როშელიმე მეთულუხჩეს ჩემი ქალი, ვიდრე გულარძნილ ბაგრატოვანს გავატანო ცოლად.“

ლიპარიტი ადგა, მუზარადი ჩამოიღო თახჩიდან, თავზე დაიხურა და კარისკენ გაემართა...“

კატაი ზეწამოიჭრა აქვითინებული, ფერხთით დაუვარდა ქმარს. ლიპარიტმა გადაალაჯა იატაკზე წაქცეულს და კარისკენ გაემართა. კარს უკან აჩქარებული ნაბიჯი გაისმა, ლიპარიტმა კარი გააღო, იოანე დუკისძემ თავი შეოყო ღია კარში და ჩურჩულით შესძახა ლიპარიტს:

„უკვე თენდება, მოეშვი დიაცებს ლიპარიტ... დიაცს ვინ ჰკითხავს სელისმბეჭელს ომის საქმეებს...“

. . . . . .

თვალდახუჭული იწვა გათენებამდის დედისიმედი. მას ესმოდა კატაის ტირილი, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

დილით ადგა, რკონის კოშკში ავიდა. გადაწყვეტილი ჰქონდა მახარასთვის ეამბნა ეს ყოველივე, მაგრამ საბია შეეფეთა წინ და ამცნო: მახარამ ჩუხჩხი წაიყვანა სადღაც და მას შემდეგ არ მობრუნებულაო სასახლეში იგი.

ვეღარ დაეტია ეს საშინელი საიდუმლო მის სულში. ნაშუალამევს დედისიმედი მარიამ დედოფალს [illegible] ყოველივე წვრილად უ[illegible] [illegible]ანაც დასძინა: მე თავათ ვამცნობო ამ ამბავს მეფეს.

* *

იმ დილით მემაშხლეთუხუცესი საბია ოფოფზე ნადირობდა საბაზიერო სახლის მახლობლად თხილნარში. თხემიდან ტერფამდის ნოშოთი შემოსილს, თავზე უზამაზარი, წოწოლა ჩაჩი ეხურა, ლეღვის ფოთლებისგან შეკოწიწებული.

ოფოფები ჯერაც არ იყვნენ გამოსულნი საკვების საძებრად, ამიტომაც გარინდებული იდგა იგი, ხელში ეჭირა გრძელი, გრძელი წნელი, რომლის წვეტზე მიბმული იყო მარყუჟულად დაგრეხილი ძუის პოტიკი.

გულის ფანცქალით ელოდა საბია ოფოფის გამოჩენას თხილნარის კიდეში. საჩიხეს გადაღმიდან ფარშავანგის ჩხავილი მოისმოდა, ბრაზობდა საერთოდ აუმღერეველი საბია, რაღა ახლა აჩხავლდაო ეს „გარეწარი ფრინველი“. ორთა ფეხის ხმა მოესმა საბიას საკმაოდ აჩქარებული.

მერემეთუხუცესი და მენადირეთუხუცესი შეხუმრებულნი იყვნენ საბიასთან, ისინი ახელებდნენ მას დღენიადაგ ამ უცნაური ნადირობის გამო, ხანდახან მიეპარებოდნენ, თხილისა და ლეღვის ნეშოთი ოსტატურად შებურვილ „ტყის მეფეს.“ შემოაძარცვავდნენ სამოსს, თხილის წნელს გამოსტაცებდნენ ხელიდან, ან არა და ქვით დაუფრთხობდნენ მისკენ წამოსულ ოფოფს.

ახლაც ეგ იფიქრა: მოდიანო და მოემზადა კიდევაც, რათა თხილის წნელი ეთავაზებინა მათთვის.

საბია ოდნავ უკუიქცა თხილის ბუჩქებისკენ და შესატევად მოემზადა ლანდივით გატვრინული, ახლა ნაბიჯების ჩქამს საუბარი წაემატა.

ფრთხილად, ფრთხილად გამოიჭვრიტა საბიამ მკერდამდის ჩამოფხატულ ნოშოს ჩაჩიდან და ხედავს მენადირეთ-უხუცესისა და მერემეთუხუცესის ნაცვლად ორნი ჯაჭვის კურტაკიანი რაინდი ჰოჰყვებოდა საბაზიერო სახლისკენ მოქავალ ბილიკს, ხუთიც თხილნარს გადაღმა უცდიდნენ მათ.

როცა ის ორნი მოახლოვდნენ, საბიამ აშკარად შეიცნო ლიპარიტ ერისთავი და იოანე დუკისძე.

„არ გირჩევ, ლიპარიტ, ლურჯი მიმინო ნუ გინდა დედის სულს გაფიცებ. ჩვენთვის სულ ერთია, რომელიმე მიმინო თან წარვიტანოთ, მთავარია, ბერებმა და მწყემსებმა გვნახონ, რომ მიმინოთი ვნადირობთ, ომში რას ვაქნევთ თუნდაც მაგ ლურჯ მიმინოს.“

ეუბნებოდა იოანე დუკისძე კლდეკარის ერისთავს.

„არა, და არა, დავით მეფეს არ შეკარჩენ ჩემს ლურჯ მიმინოს, არ მინდა შაგრატოვანმა ინადიროს მაგ მიმინოთი.“.

„რაღას ინადირებს აწი, ზეადზენში მოაშთობენ დავით მეფეს“...

საბია გახევდა, საკუთარ თვალსა და ყურს არ უჯერებდა მოხუცი. მეფეთა სტუმრები ასეთ რამეებს რომ ბოშავდნენ.

ლიპარიტმა და იოანემ სულ ახლოს ჩაუარეს ნოშოთი შემოსილ ბერიკაცს. არც კი მიუხედავთ მისკენ და საბაზიერო სახლისაკენ მიჰყვნენ ბილიკს.

როცა ისრის გასროლის მანძილზე გაშორდნენ ისინი თხილნარს, საბიას შეეშინდა უკანმობრუნებულთ არ მიცნონ, ერთბაშად უკუიქცა, თხილნარში შევიდა და დაცუცქდა ანაზდად.

ნერმე ასეთ რამეს უყურა საბიამ: ლიპარიტმა გამოაღო საბაზიეროს კარი, ორივენი შიგ შევიდნენ და ვიდრე კაცი შვიდჯერ წარმოსთქვამდეს საკუთარ გვარსა და სახელს, მათ შვიდი მიმინო გამოიყვანეს მიმინოების ძარიდან, ზოგი მკერდზე მიხუტებული, ზოგი ხელში ჩაბღუჯულნი, მიჰგვარეს თხილნარის მოშორებით ემბლოდნენ ხუთ რაინდს, ბოლოს ყველამ [illegible] ოდ თითო მიმინო შეისვა მარცხენაზე და დაადგნენ ბაზილიკებისკენ, მიმავალ ბილიკს.

. . . . . .

როცა „მენადირენი“ თვალს მიეფარნენ, საბიამ ნეშოს სამოსი დააგდო და აქშინებულმა გასწია რკონის კოშკისკენ და მახარა გააღვიძა სასწრაფოდ.

. . . . . .

*
* *

მთელი დღის განმავლობაში სდიეს „შვიდ მენადირეს“, მახარამ და ათმა ჩუხჩმა. სტუმრებმა მართლაც დაიწყეს ნადირობა შავ ბაზილიკისგან ოდნავ მოშორებით.

დედისიმედის ძუძუმტეთა შორის ერთი კოჭლი იყო, არძუკაი.

იგი წინ მიუძღვებოდა მონადირეებს და კომბლით სცემდა ძურწას, აფრენდა მწყრებს, ხოლო დანარჩენნი მორიგეობით უტევდნენ მიმინოებს.

გასცილდნენ თუ არა ნაჭარმაგევის ველს, მათ მიმინოებს პერანგები ჩააცვეს, მიჰყვნენ მტკვარს და გაღმაგაბულნი დაადგნენ ქსნის ციხისკენ მიმავალ კაპანს.

მახარა და ჩუხჩნი ჯორებზე ისხდნენ და შორიახლოდან უკან მისდევდნენ მათ, და ერთ წუთს თვალს არ აშორებდნენ მგზავრებს. შეღამდა თუ არა, მახარა თავის მხლებლებითურთ წამოეწია მათ და ერთ ჯოროსან ჩუხჩს უბრძანა: გვერდს ჩაუარე და ვნახოთ რას გეტყვიანო.

მახარა შორიდანაც ატყობდა შვიდთა შორის ლიპარიტ ერისთავსა და კოჭლ არძუკაის ყველაზე მეტად უჭირდათ ფეხით სიარული. წარამარა ისვენებდნენ ქვეითად მიმავალნი „მენადირენი“.

გაუსწორდა თუ არა უკანჩამორჩენილ ლიპარიტს ჯოროსანი, ერისთავი

შედგა, წელზე დოინჯი შემოიდგა და ეაჯა მას:

მოგვაქირავეო მცხეთამდის ეგ ჯორი, ბერო.

ვიდრე ბერულად გადაცმული ჩუხჩი ევაჭრებოდა, ერისთავს, მახარა ათიოდე ჩუხჩის თანხლებით წამოეწია მათ და გაიგონა, შვიდი ბოტინატი რომ მოსთხოვა მას ჯოროსანმა.

მახარამ თავისი ჯორი შეაყენა, თავზე წამოადგა ლიპარიტს და აუმღვრევლად უთხრა:

„მე ხუთ ბოტინატს ვიკმარებ, ძია კაცო.“

უთხრა მახარამ და გაიძრო ხმალი.

ეს იყო ნიშანი და ხმალმოღერილნი ჩუხჩნი ეკვეთნენ „მენადირეებს“.

ლიპარიტს ეცნაურა მახარას ხმა, მაგრამ ბნელში ვეღარ გაარჩია ქოსა. ლიპარიტი ამ მოულოდნელი თავდასხმისაკენ დაიბნა, წინააღმდეგობაც კი არ უცდია.

როცა ჯორებიდან სწრაფად ჩამომხტარმა ჩუხჩებმა შვიდივე მენადირეს თოკით ხელები გაუკრეს, მახარამ უბიდან გამოუღო მიმინო ლიპარიტს და უთხრა:

„აბა, როგორ გეგონა, იქედნეს ნაშობო, შენ ხომ არ შეგარჩენდი ჩემს ლურჯ მიმინოს?“

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მირზო ჯურსუნზადე

ინდიური ლექსები

★

დაბრუნება

როცა ფეხქვეშ ვიგრძენ მიწა ნაცნობი და ტკბილი,
მის წმინდა მკერდს ვეამბორე, როგორც დედას შვილი.

თუმცა დავყავ მცირეხანი მისი საზღვრის გარე,
მე იქაც არ მივიწყებდა ჩემი ქვეყნის ქარი!

ახლა ისევ მასთანა ვარ, ვეხვევი და ვკოცნი,
კვლავ სიმღერას შევღაღადებ, კვლავ სიმღერას ვტყორცნი.

ვხარობ, ვხარობ ბედნიერი და...თან ვდარდობ მწარედ,
როცა დგება ჩემს თვალთაწინ ინდოეთის მხარე.

ჰე, გაფრინდი, ლექსო ჩემო, ფრთების შარიშურით,
და გადაეც იქაურებს მისალმება ძმური!

სიყვარულით სავსე ძახილს ამ მეგობრულ ძახილს,
გაიგონებს და გაიგებს ინდოელი ხალხი.

მჯერა, ვეღარ შეუშლიან გოლიათი მთები,
აქედანაც მოისმინონ წრფელ სიმღერის ხმები.

———

* ა. წ. სექტემბერს მოსკოვში ჩატარდა ტაჯიკური საბჭოთა ლიტერატურის დეკადა. ამ დეკადასთან დაკავშირებით ვაქვეყნებთ ცნობილი ტაჯიკი პოეტის მირზო ტურსუნზადეს ლექსებს ციკლიდან „ინდიური ბალადა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

★

ინდიური ბალადა

ინდოსტანის მცხოვრებთაგან სამოცი მილიონი
ეკუთვნის „მიუკარებელთა“ კასტას.

პაპა მიამბობდა დარდითა და ოხვრით:
„— სამარყანდში იდგა რამდენიმე ქოხი,

ყველა სხვა სახლისგან გაარჩევდით ხელად, —
კეთროვანთა უბანს ეძახოდა ყველა.

იქ არ შეივლიდა თვით მშობელი დედა,
მაშ. ვის გაეფანტა განკიცხულის სევდა?

სხვას რას იხილავდი უბედურის კართან,
სიღატაკის გარდა, მწუხარების გარდა!

ყველა, დიდ-პატარა, გაურბოდა „ბოროტს“,
მკვდარი იყო კაცი,— კუბო აკლდა მხოლოდ.

როცა იგი სადმე მიდიოდა გზაზე,
სხვა გამვლელნი ერთურთს ეძახოდნენ ასე:

— ჰეი, მეგობარო, ნუ დაიწყებ ლოდინს,
კეთროვანი მოდის, კეთროვანი მოდის!..

ზოგჯერ თვითონ ისიც თავს მორჩილად ხრიდა
და მყის გაფრთხილებდა სევდიანის ხმითა:

— ჰეი, მოქალაქევ, აღარ გამეკარო,
კეთროვანი ვარო, კეთროვანი ვარო!...

ასეთ ადამიანს სამარყანდში ახლა.
უკვე აღარ ხედავ, არც არასდროს ნახავ.“

*
* *

მე კი მოგიყვებით. — თქვენც მომისმენთ ალბათ, —
სულ ნაღვლიან ამბავს და სულ მართალ ამბავს.

ერთხელ ჩემს ტაჯიკეთს — ჩემს მშობლიურ მხარეს
გზის დალოცვა ვთხოვე და შორს გავემგზავრე.

ინდოეთში ვიყავ, ჰიმალაის იქეთ,
ვნახე მწვანე მიწა, რაც წინათაც მიქეს.

ვნახე მისი მიწა, მზე და ვარსკვლავები,
და... შავ სიღარიბის შავი ნაკვალევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პატარა ლექსში ვით გადმოგცეთ ყველა,
რაც მე თვითონ ვნახე, რამაც ამაღელვა.

აქ არ დაგიხატავთ ინდურ საოცრებას,
არც მის ქალიშვილთა მორცხვ თვალების გზნებას,

არცა მარმარილოს ძეგლებს ნაქანდაკარს,
არცა მზეთუნახავს — სილამაზის ზღაპარს,

არც ნიამორს მთისას, მთაში რომ ძოვს ბალახს,
არც ფარფატა გნოლსა, თავს რომ კრძალვით მალავს,

არც მას, ვინაც არბევს ინდოეთის მიწას,
არც მთისტოლა სპილოს და თეთრ პერანგს მისას,

არც უბედურ ჰინდუსს, არც წამებულ რიქშას,
არცა იმის ბატონს — გულშავსა და პირშავს.

მე მოგითხრობთ, ძმებო, აღელვებულ გულით:
როგორ ცხოვრობს კაცი ცოცხლად დამარხული,

ცოცხლად დამარხული და საფლავში მწოლი,
(არ ამშვენებს საფლავს ყვავილი და მოლი!)

ჰე, რისთვის და რატომ ერგო ხვედრი მკაცრი,
რად წაგლიჯეს გრძნობა და ღირსება კაცის?

ითასეულ წლის წინ ვინ დასწყევლა ასე,
რომ საბრალო კასტა ისტორიის გზაზე,

ცხოვრობს გარიყული, მუდამ გარიყული,
ყველგან ქედმოხრილი, ყველგან განკიცხული.

როს ამ კასტის კაცი ქუჩას გასჭრის შუა,
გააფთრებულ ბრაჰმანს ეკარგება ჭკუა,

შუაგზაზე ჩხავის ის კაცობის ლანდი:
„— უწმინდურო, წადი, უწმინდურო, წადი“ .

აგერ იმას შეხეთ: დადის თოკით წელზე —
საპყარის და მონის ნიშანია ესეც.

როცა მისი ჩრდილი დაეცემა ბრაჰმანს,
ბრაჰმანს მისი ძიძა უსათუოდ დაჰბანს.

როცა ტრამვაიზე დააპირებს ასვლას,
დასჭყივლებენ: „— გიჟო, რასა შვრები, რასა?“

რა ჰქნას, ასე ამბობს ის კანონი ბნელი:
— მიუკარებელი! — მიუკარებელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ასეთ „წესრიგს“, რაც მის თვალწინ ხდება,
ინგლისელი ლორდი რატომ ეთანხმება?!

*
* *

...უცნობ ქვეყანაში (როდი ვამბობ იგავს)
მეგობრებთან ერთად მთელ თვეს სტუმრად ვიყავ.

იქ მე შემხვდა კაცი უცნაური მართლა,
მყის რომ გაიტაცა ჩემთან მასლაათმა.

რატომ კანკალებდა, რისი შიში ჰქონდა?
რად არ დაჯდა, ხელი რად არ გამიწოდა?

როგორც მინდვრის შველი თვალს რად აცეცებდა?
ნეტავ რას უფრთხოდა, ნეტავ რას ეძებდა?

მან მე წამჩურჩულა მორიდებით, წყნარად:
„— თქვენ არ დაგივიწყებთ, არასოდეს, არა!“

მე კი დავივიწყებ მის თვისტომთა მზერას? —
მათი სახეები თვალწინ მიდგას ჯერაც.

თვალწინ მიდგას ახლაც მათთა თვალთა ხედვა, —
უნაპირო დარდი, უნაპირო სევდა;

თვალწინ მიდგას ხელი იქით გამოწვდილი,
სადაც ძმებთან იდგა საბჭოეთის შვილი!

ინდოეთში ვიყავ... ჰიმალაის იქეთ,
ვნახე მწვანე მიწა, რაც მანამდეც მიქეს.

ვნახე მისი მიწა, მზე და ვარსკვლავები
და.. .შავ სიღარიბის შავი ნაკვალევი.

*
* *

მე ეს მინდა, მხოლოდ ერთი რამე მინდა,
როცა ხალხის მტერი თავის პალატიდან

გამოვა და ბედკრულთ გადახედავს ზიზღით,
იმ ბედკრულმა ხალხმა იგრიალოს რისხვით:

„— ჰეი, ჯამაათო, ნუ დაიწყებ ლოდინს, —
კეთროვანი მოდის, კეთროვანი მოდის!“

თარგმანი **ხუტა ბერულავასი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადამ მიცკევიჩი

კონრად ვალენროდი

ისტორიული მოთხრობა

შესავალი

★

ასი წელია ჯვაროსნის აბჯარს
არ შეძრობია წარმართთა სისხლი.
პრუსიელს ქედი მოახრევინეს
და ჩრდილოეთში ჩამოწვა ნისლი.
ბევრი გაიქცა, გადაიხვეწა,
ბევრს დაეწია ტევტონის თათი,
ჯვარის ორდენი მოადგა ლიტვას,
ნემანი გახდა საზღვარი მათი.

აქეთა მხარეს, მუხის ტოტებში,
კერპთსალოცავის მოსჩანს კედელი.
აქ შრიალებენ ბნელი ტყეები,
ლიტვის ღმერთების საცხოვრებელი.
გახედავ გაღმა, — ტიტველ გორაკზე
სდგას გერმანელთა რჯულის ნიშანი...
ჯვარი მაღალი, მკლავებ-გაშლილი
სდგას და გასცქერის ლიტვას პირშავი.
მხრები ღრუბლებში აუტანია
და ემუქრება მთელს ამ საწუთროს...
უნდა ეს მხარე პალემონისა
ხელში ჩაიგდოს, დაისაკუთროს.

ლიტვის საზღვრიდან მტერს
უთვალთვალებს
ახალგაზრდების რჩეული გუნდი;
ტანზე — ქურთუკი დათვის ტყავისა.
თავზე — ფოცხვერის მაღალი ქუდი.
მათი ჯიღები სავსეა ისრით.
გასანთლულია მათი მშვილდები...
გაღმა ნაპირზე დაცემულ ბანაკს
თვალს ადევნებენ გულდამშვიდებით.

მდინარის გაღმა, სადაც გორაკზე
ჯვარს გაუშლია შავი ხელები,
უძრავად სხედან მაღალ ცხენებზე
აბჯარასხმული გერმანელები.
უძრავად სხედან და გასცქერიან
გაღმა ფერდობზე შეფენილ სოფელს.
შავს კრიალოსანს დინჯად მარცვლავენ
და თოფისწამალს უცვლიან თოფებს.

პირისპირ დგანან და გადასასვლელს
უდარაჯებენ სისხლის მდომები...
ასე დაშორდნენ ერთიმეორეს
მონათესავე, ძმური ტომები.
ტყვეობის შიშით, სიკვდილის შიშით
კაცი ნემანზე ვერ გადასულა,
მონათესავე ძმური ხალხები
ასე გათიშა მტერმა ავსულმა.
და მხოლოდ სვია, ლიტვური სვია
იმ "სიყვარულის" მარად მსურველი.
ისევ პრუსიულ ალვას გასცქერის
და ისევ ათრობს მისი სურნელი.
ხან წყლის შროშანას შეაცოცდება,
ხან დაეხვევა სადმე ნარ-ეკალს.
ნემანის გაღმა მიიპარება,
რომ თავის მიჯნურს გულში ჩაეკრას.
კოვნოს ბულბულიც ისევ გასძახის
შორს, ზაპუშჩანის მთების
ბულბულებს,
ერთად მღერიან ძმობის სიმღერას,
ძველთაგან ლიტვას რომ
ასულოგმულებს.

ხალხი კი...
ხალხი გაყარა მტრობამ
და მას მძვიდობა აღარ ეღირსა.
პრუსიელის და ლიტველის ძმობას
დაჰყრია მტვერი დავიწყებისა.
მაგრამ სიყვარულს გზას ვერ
შეუკრავს,
ათასიც ჰყავდეს მტერი მძრახველი...
დღეს მაგონდება დაუვიწყარი
ის შორეული ორი სახელი...
ჰოი, ნემანო! სპა ულმობელი
უახლოვდება შენს წმინდა ტალღებს.
იშექებს თოფი და ბულბულები
გაეცლებიან საყვარელ ბაღებს.
გაუნდობელი მათი ნაჯახი
დაეძგერება ქედმაღალ მუხებს,
ჰოი, ნემანო, რკინა და ცეცხლი
შენს სილამაზეს ბოლოს მოუღებს.
ბოლოს მოუღებს, რაც მეგობრობას
დაუთესია მოძმე ერებში.
მხოლოდ წყურვილი სიყვარულისა
მუდამ იცოცხლებს შენს სიმღერებში.

I

არჩევა

მარიენბურგის კოშკიდან ზარმა,
დაფდაფის ცემამ და ზარბაზანმა
წმინდა ორდენის დღე ამცნეს დიდი....
და რაინდებიც აქ კიდით-კიდით
მოჰქრიან, რათა ღვთიურის ნებით
და წმინდა სულის ზეშთაგონებით
დღეს აირჩიონ — ვის გაჰყვეს ჯარი,
ვის ერგოს დიდი ხმალი და ჯვარი.
არის დღე-ღამით სიტყვა-მეტრობა,
მრავალ რაინდზე კრების მსჯელობა.
ვინც ცნობილია გვარიშვილობით,
ომში გმირობით, გულგაშლილობით,
მაგრამ ერთს არჩევს რაინდთა კრება,
ვალენროდს ერგო დღეს მეტი ქება.

უცხოელია, ვერ სცნობს პრუსია,
მაგრამ ორდენი შუქით შემოსა
იქ მავრებს სდევდა კასტილიაში,
აქ ოტომანი ზღვაში შემუსრა.
პირველი სდევდა წარმართთა გუმბებს,
მტრის ციხის კედლებს პირველ
სტეხდა;
თუ აიხდიდა შეჯიბრში ნიღაბს
და მოედანზე შესდგამდა ფერხთა,
ხმალში ვერავინ ჰხვდებოდა გმირსა,
მდბლად უთმობდნენ დაფნის
გვირგვინსა.
და არა მარტო სამხედრო წრთობით
ჯვაროსანთ შორის იყო ქებული,
ის სათნოებით, სიმდიდრის ზიზღით,
ქველობით იყო დამშვენებული.

არ მსახურებდა ქედმოხრით ლიქნით
იგი სასახლის ზვიად დიდებულთ,
არ მიჰყიდიდა ხმალსა და სინდისს
ბარონებს ერთ-ურთს გადაკიდებულთ.
მონასტრის კედლებს შესწირა ყრმობა,
სოფლის სიამეთ არ ეზიარა,
არ იტაცებდა ქალთა კისკისი
და მენესტრელთა ჰანგი წკრიალა.
არ უწეწავდა სულს არაფერი,
ცივად, გულგრილად უსმენდა ქებას,
ლამაზ სახეებს ახლო არ სჭვრეტდა,
ტკბილი ბაასი არ ჰგვრიდა შვებას.

დაბადებიდან იყო გულცივი,
თუ შემდეგ გახდა ჩაფიქრებული!
სახე რად ჰქონდა ადრე დამჭკნარი,
ან თმა რად ჰქონდა შეთეთრებული,
ძნელია ითქვას. იყო წუთები,
როცა ბავშვურად სურდა გართობა,
სურდა ხუმრობა, მხიარულება,
ლამაზმანების ეშხით დათრობა,
მათი გართობა მახვილ ამბითა,
როგორც ბავშვების შაქარლამბითა.
მაგრამ წუთიც და უცებ სხვა იყო,
ასეთი ჰქონდა ჭაბუკს ბუნება,
ზოგი რამ სიტყვა ჩვეულებრივი
მას უშფოთებდა მხიარულებას.
სიტყვები: ლიტვა, ვალდებულება,
ჯვაროსნები და სატრფოს ხსენება
სულს უწეწავდნენ, ფიქრს
უწამლავდნენ,
აღარ აძლევდნენ კაცს მოსვენებას.
ბაშინ ის ყველას ზურგს შეაქცევდა,

შუბლს შეიკრავდა კუშტი ხდეობდა,
ცივი, უგრძნობი, მიუკარები
იდუმალ ფიქრით ჩაფიქრდებოდა.
ერთი სიამე ჰქონდა მარტოდენ,
ბედნიერების ერთი ან-ბანი:
ეს იყო ბერი, წმინდა მლოცველი
დაყუდებული ბერი ჰალბანი.
ესმოდა ჰალბანს მისი განდგომის,
მისი მლოცველი იყო ერთგული
მესაიდუმლე მისი გულისა
ჭაბუკის სულთან სულით შეთქმული.
ბედნიერების მას ერგო გრძნობა,
ვისაც წილად ჰხვდა წმინდანთან ძმობა

ასე იცნობდა ორდენის კრება
კონრადის სახეს და მის ბუნებას;
მას, როგორც ყველას ჰქონდა
ნაკლიცა —
ამქვეყნიური სძაგდა ცდუნება.
ეზიზღებოდა მთვრალი ბაასი,
სენაკში იჯდა, სძაგდა მნახველი,
მაგრამ შლეგივით სვამდა ღვინოსა,
როს აწვებოდა გულზე ნაღველი.
მაშინ მის სახეს მკაცრს და
ფერმკრთალსა
სნეულის სიცხე მოსდებდა ალსა.
და თვალნი მისნი, თვალნი, რომელთაც
სულ მწუხარების რიდე ებურათ,
ისევ აფრქვევდნენ ცეცხლის
ნაპერწკლებს,
აენთებოდნენ კვლავ ძველებურად.
აღმოხდებოდა მკერდიდან ოხვრა,
დაუღარავდა სახეს ცრემლები,
ასწევდა ჩანგსა, აატირებდა
უცხო ენაზე ტკბილ სიმღერებით.
უცხო ენაზე ამღერდებოდა,
მსმენელს კი მაინც სულში სწვდებოდა,
როგორ ძაბავდა მეხსიერებას,
ზედ შუბლზე სჩანდა ნაოჭთა რიგით,
თვალებს დაჰხრიდა, თითქოს მიწიდან
რამ საიდუმლოს იღებდა იგი.
რას დასტიროდნენ მისი ჰანგები? —
ალბათ იმ ყრმობის დიდებულ დარებს.
ახლა სად იყო იმისი სული? —
მოგონებების შორეულ მხარეს.

მაგრამ დამკვრელი ბგერას მხიარულს
არ აღმოხდიდა ჩანგს არასოდეს
და მისი სახეც ღიმილის ნათელს
არ იკარებდა ვით მძიმე ცოდვებს.
სულ ეღერდა ჩანგზე გრძნობა ყოველი,
ყველა სიმღერა, გარდა ერთისა,
ყოველი სიმი, იმ ერთის გარდა,
სიმი — ხალისის და იმედისა.

ხშირად სენაკში ტოლ-მეგობრები
გაოცებულან კონრადის ქცევით:
ბონზე მოსული უეცარ რისხვით
ჩანგს ხმა-ჩაკმენდილს დასცემდა
მსხვრევით.
მერე ვიღაცას მწარედ სწყევლიდა,
ჰალმანს უხმობდა თხოვნით და ოჯით
თან თითქოს ველად ჯარებს მართავდა,
ემუქრებოდა თან ვისმე დასჯით.
შფოთავდნენ ძმები. მხოლოდ ჰალბანი
როცა კონრადი ცეცხლს ჰყრიდა
ბრაზით
მშვიდად უცქერდა და მისი მზერა
მძლე იყო რაღაც ფარული აზრით.
რა ძალა ჰქონდა ამ ფარულ მზერას,
ახსენებდა თუ ურჩევდა რასმე?...
კონრადიც უცებ დაყუჩდებოდა
მისი სიმშვიდე რჩებოდა მასვე.

ასე მრისხანე ლომების მწვრთნელი
მდაბლად ნებართვას სთხოვს
მაყურებელს,
შეაღებს რკინის გალიის კარებს,
ბუკით ანიშნებს — და ნადირთ მეფეც
დაიღრიალებს თავზარდამცემად,
მხოლოდ არ უფრთხის მწვრთნელი
მის ძალსა.
ნელა დაიკრეფს გულმკერდზე ხელებს,
მშვიდად გაუყრის თვალებში თვალსა,
თვისი უკვდავი სულის თილისმით
დაადებს ბორკილს ვით ცხოველს
მხდალსა.

II

მარიენბურგის კოშკმა დარეკა,
დარბაზში მიწყდა ხმა საუბრისა
და რაინდები, მაგისტრთან ერთად
ლოცვად არიან მიმართ უფლისა.

საყდარში შუქი დგას უქრობელი,
გაისმის მწუხრის საგალობელი.

ხოლო მაგისტრი მწუხრის შემდეგაც
ბრძანებს ლოცვათა განმეორებას, —
რათა ნათელი სულისწმინდისა
გადმოეფინოს ძმათა გონებას...

ლოცვათა შემდეგ ღამის ჩრდილები
ყრუდ შრიალებენ კვლავ ჯვაროსნებით,
ზოგნი ჭალაში დასეირნობენ,
ზოგნი თვით კოშკთან სხედან
ოცნებით.
ვარდობისთვეა, წყნარი და გრილი
ღამეა, ცაზე მისცურავს მთვარე,
ხან იცქირება ცქრიალა თვალით,
ხან იბურება ვით მგლოვიარე,
ხან დაჰკრავს შუქი განთიადისა
და როგორც მიჯნურს ეცვლება
ფერი, —
დაეხატება სახეზე უცებ
ჯერ აღუთქმელი სურვილი წრფელი,
გავლილ გზას უმზერს უკანასკნელად:
ჰქრება ცისკართან ვარსკვლავთ
კრებული,
ხან უიმედოდ და ხან იმედით
იწვევს ტრფიალით გაოგნებული.

ყველა რაინდი ისვენებს ღამით,
მხოლოდ მაგისტრის გული არ ცხრება:
სურს მოიწვიოს კვლავ სათათბიროდ
ჰალბანთან ერთად უხუცესთ კრება.
ცდილობს, რომ საბჭომ იმსჯელოს
ცალკე,
მოცული იყოს იდუმალებით,
ცდილობს არ მოსწვდეთ ყრუ
სიბნელეშიც
ცნობისმოყვარე კაცის თვალები.
უნდა მიიღოს მოხუცთა რჩევა,
უნდა მათ აზრი გაუზიაროს, —
კოშკიდან სადმე განზე გასულმა
მყუდრო ტბის პირი მიმოიაროს!

ამდროს გზას როდი აკვირდებიან,
ცა კი აანთო უკვე აისმა,
და სადღაც, თითქოს მორი კოშკიდან
ხმა იდუმალი ჩუმად გაისმა!

ვისი ხმა არის ნეტავ ტბისპირად
გამღვიძებელი აგრე დილისა? —
ყური დაუგდეს და იცნეს კილო
ქალის, აქ ლოცვად განდეგილისა!
არავინ იცის ვინ არის იგი,
მაგრამ ის უკვე ათი წელია
მარიენბურგის კოშკში სიცოცხლის
თავისი ნებით დამმარხველია.
როცა პირველად მოვიდა, შეხვდნენ
მიუკარებელ გულით ბერები,
მაგრამ ამ საკანს ვერ მოაშორეს
ის ვერც აკრძალვით, ვერც
მოფერებით.
კარები ქვებით ამოუქოლეს,
და განერიდნენ გააფთრებითა, —
კარებს განკითხვის დღეს თუ გახსნიან
ანგელოსები მძლავრი ფრთებითა.
მაღლით კი საკანს დარჩა სარკმელი
და იმ სარკმელით ვით ზეციურსა,
მორწმუნე ხალხი მას აწვდის საზრდოს,
ცა კი ნიავს და ნათელს მზიურსა!
ჰოი, საბრალოვ, სთქვი, ვით შესცოდა
აქ შენმა სულმა ახალგაზრდულმა,
ან და საწუთრომ ვით შეგაძრწუნა
აგრე მკაცრმა და აგრე მაცდურმა! —
რომ დასთმე შენი თავისუფლება
და ქვეყანასთან გსურს დაუბრება!?.

ვიწრო სარკმელი განდეგილისა
რაკი ერთხელვე ჩაქრა დღესავით, —
მიწას ვერ უმზერს, ვერ გაიხარებს
ვერც ყვავილებით, ვერც ნათესავით!
იციან მხოლოდ, რომ ცოცხალია
ამოქოლვილი გული ქალისა, —
ტკბილ ხმას რამდენჯერ მოუხიბლია
აქ, სმენა მწირის, მიმავალისა!
და პრუსიელთა სოფლებიდანაც
ცელქი ბალღების თვალები მკვეთრი
ხედავენ როცა მოევლინება
სარკმელს, მწუხრისას, აჩრდილი
თეთრი.

შორით ხან ბრწყინავს ოქროს დალალი,
ხან ამართული თეთრი ხელია, —
იგი ალერსით საკნიდან მუდამ
მათი სიცოცხლის დამლოცველია!

დიდი მაგისტრიც არ არის სწორედ,
ხმა საკვირველი მას აქ მოესმა:
„კონრად, შენა ხარ; შენ აგირჩია,
თვით ბედისწერამ უბოროტესმა?
შენ აგირჩია? ქვეყნად სიცოცხლის
მომსპობად მკვლელად და სისხლის
მღვრელად?
რაც უნდა კანი გამოიცვალო,
გველი ხარ მაინც, გიცნობენ გველად!
შენი წარსული ხომ ჩემს გულშია,
მას ჩემი ცრემლის წვეთებიც
გრძნობენ.
დამარხვის შემდეგ რომ აღსდგე
მკვდრეთით, —
ძვლებს ჯვაროსნები გამოიცნობენ!“

ესმათ რაინდებს ხმა საკვირველი,
სჩანდა სარკმელიც განდეგილისა,
სადაც უსიტყვოდ ხელებ გაწვდილი
ძირს დაიხარა თრთოლვა ჩრდილისა!
თითქოს ჩაჩქანმაც ყრუდ გაიელვა,
მაგრამ ჯერ მაინც არ სჩანს არავინ..
ეს მხრების შავი მოსასხამია
თუ მხრების ჩრდილი დაუფარავი? —
ალბათ მიწაზე ელვით და ჩრდილით
გადაიქროლა ცისკარმა დილით...

„ო, ძმებო! — ამბობს ბერი ჰალბანი, —
რაინდებს გვმართებს თვალის გახელა.
ჩვენ მოვისმინეთ ცის განაჩენი, —
ცამ თვით კონრადი დაასახელა!
დიახ, კონრადი: ვალენროდია
ის არის ჩვენი ძალა და შველა.
ის არის ჩვენი დიდი მაგისტრი“ —
— ის არის! — ერთხმად შესძახის
ყველა.
და საზეიმო ხალისი ირგვლივ
ავლავ ჯვაროსანთა მღერით აგრგვინდა,
— სიცოცხლე კონრადს! დიდება
კონრადს,
ქვეყნად წარმართთა მოსპობა, გვინდა!
ზეიმობს ყველა, მხოლოდ ჰალბანის
დამცინავ ღიმილს სხვა შეუცვნია, —
ჩაფიქრებული გასცქერის სარკმელს
და არ იმღეროს არ შეუძლია:

სიმღერა

ოქროს ქვიშაში ფერდაწმენდილი
ვილია მარდი ნაკადულია!
ლიტველი გოგო წყალზე რომ მიდის,
მისებრ ლამაზად დახატულია...

შროშანებსა და ნარგიზებს შორის
კოვნოს მდელოზე ელავს ვილია, —
კოკობ-გაშლილი ლიტველი გოგოც
ამ ყვავილნარის ვარდ-ყვავილია.

ვილია ეძებს ველს იქით ნემანს
როგორც უცხოელ სატრფოს
ქალწული,
ნუ თუ ლიტველი ლიტველთა ალერსს
უნდა ელტვოდეს გულ-მოქანცული!?

ნუ თუ არ უფრთხის, უმალ
მღელვარედ,
მას რომ ჩაიკრავს მკერდში ნემანი,
ბოლოს რომ ზღვაში შთაინთქებიან
განწირულ გულთა მისწრაფებანი!?

ვაჰ, თუ შენც აგრე, ლიტველო ქალო,
დაჰკარგო გულის თავისუფლება, —
მას უცხოეთის ალერსი აჭკნობს
და მწუხარება აწევს ღრუბლებად!

ვაი, რომ არა!... ამ გაფრთხილებას
გული არ უსმენს ღელვით აღძრული
და ვით ვილია შთანთქა ნემანმა, —
კოშკის სიბნელემ შთანთქა ქალწული.

III

მაგისტრი საღვთო წიგნს ეამბორა,
ძლიერი ჯვრით და ხმლით აღიჭურვა,
ასწია თავი ამაყად, მაგრამ
თვალთაგან მაინც გამოკრთის ურვა.

სიხარულით და რისხვით ერთობლივ
მეტყველებს მისი სახე მდუმარი
და მკაცრ ბაგეებს დინჯი ღიმილიც
სწვევია როგორც უცხო სტუმარი —
როგორც ნათელი შუქი-რამ დილის
გამარღვეველი ღრუბელთა ჩრდილის!

ამ თვალთა ცეცხლმა აღანთო ყველა,
ხალხის გულისთქმაც ვაკაცურია:
ოცნებით ხედავს ომსა და ნადავლს
და ურჯულოთა სისხლი სწყურია!
ვინ აღუდგება წინ ასეთ რაინდს, —
ხმლის ელვით უყვარს ხანძრის
ანთება...
ძრწოდეთ, ლიტველნო! — ვილნოს
კედლებზე
ჯვრით მალე დროშა აფრიალდება!

ნუთუ ამაო არის იმედი? —
ლოდინში დღენიც უქმად ჰქრებიან,
დგას უქმად გმირი... და ლიტველები
პირიქით ბრძოლით იმუქრებიან.

დგას ვალენროდი, ჯვაროსანთ შორის,
ხმალწამოწვდილი ისევ არ დადის, —
ძმათა ორდენის სიმტკიცე არ სწამს,
სიწმინდე არ სწამს ძველი ადათის...

ბრძანებს, რომ ლენა-ნეტარებისთვის
კვლავ ერთმანეთი არ ინახულონ.
გმობს გამდიდრების სურვილს და
ურჩევს
ილოცონ მხოლოდ და იმარხულონ.
ყოველ შეცოდველს სჯის სისასტიკით,
ბნელი ჯურღმულით, განდევნით,
ციხით.

თვით ლიტველები კი გათავხედდენ:
უკვე რაინდთა თვალწინ დაჰქრიან,
არბევენ სოფლებს, ტყვედ მიჰყავთ
ხალხი,
ქალაქის მცხოვრებთ შიშის ზარს
ჰგვრიან.
ტაძარს წაბილწვით ემუქრებიან,
გზა შეჰკრეს, შეჰკრეს ციხის კარებიც.
მათი ბუკის ხმა რომ ესმით ბალღებს
ძირს ეცემიან აკანკალებით!..

ო, სწორედ ომის დაწყების დროა,
და არა ლოცვის, ტკბილი სიტყვისა, —
პოლონელები, რუსნი, თათარნი,
ყველანი მტრები გახდნენ ლიტვისა!
თანაც: ვიტოლდი ტახტ-წართმეული
შველას რაინდთა შეტევით ელის,
ორდენს საჩუქრად ოქროს ჰპირდება,
მაგრამ ორდენი ბრძოლით არ შველის.
თათბირს მართავენ ძმები. ჰალბანი
დიდი მაგისტრის ძებნით იღლება, —
ის არც შინ არის და არც ტაძარში,
იგი უთუოდ კოშკთან იქნება!..
მართლაც: მის ნაბიჯს დაუდარაჯდნენ
და მუდამ, თურმე, როცა ღამდება,
იგი ტბისპირად ჩრდილივით ფრთხილი
ფიქრთ-გასართველად გამობრძანდება.
კოშკის კედელთან სჩანს
მუხლმოყრილი
თავისი შავი მოსასხამითა.
განთიადამდის, ძილგატეხილი
სჩანს აქ ძეგლივით ,მთელი ღამითა,
რაინდს ხანდახან ციხე-კოშკიდან
თურმე, სიმღერა ესმის ქალისა,
ეგიც პასუხობს... მაგრამ ძნელია
გაგება მათი საუბარისა.
მხოლოდ კონრადის მთრთოლვარე
ლანდი
და აპყრობილი მაღლით ხელები
არიან ნოლმე ბნელში უსიტყვოდ
ღრმა შინაარსის ამსახველები.

სიმღერა კოშკიდან

ნუთუ ეს ჩემი კვნესა-ქვითინი
სამარადისო გლოვის ჰანგია! —
რა ნაღველია ცრემლში ისეთი,
რომ კოშკის ქვაც-კი დაუჟანგია!?
ეს, ცრემლის წვეთით ამოკვეთილი
ცივი ქვაა თუ გული კეთილი?..
ჩაუმქრალია სვენტორგის ცეცხლი, —
ბერი მოგვები მათ აჩაღებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუმშრალია მენდოგის წყალნი, —
დათოვლილ მთებში მოჩახჩახებ�d!
მაგრამ რით იწვის ჩემი თვალები,
რამ დასძრა ცრემლის ნიაღვარები?

მახსოვს მე ტკბილი ხვევნა დედისა,
მხნე მამის მზერა ალერსიანი,
მახსოვს ფიქრივით მშვიდი საღამო,
დღე სადარბაზო, დილა მზიანი,
მშვიდი ბიბინიც მახსოვს მდელოსი, —
მფარველად მყავდა მეც ანგელოსი!

სამნი ვიყავით, სამი ასული,
და ბედმა ჩემი დაქორწინება,
ო, მშვენიერო ჩემო ჭაბუკო,
რადგან ყველაზე უმალ ინება, —
მე რად მიამბე ის, რაც, მგონია,
ჯერ აქ არავის გაუგონია!

რად გამაცანი ციური დასი,
ღმერთი მაღალი რად შემიყვარდა,
რად მიხატავდი მლოცველ რაინდებს
კრძალვით ასულთა წინაშე მდგართა! —
ოღონ რომ ყველა უშიშარია,
ჩვენ წინ კი ჩვილი გულის არიან...

შენ შემაყვარე სახე ციურთა,
შენ აღმავლინე მიწიდან ცამდი,
შენ, მე, ძვირფასო ადამიანო,
პირველ მოსმენის წამიდან მწამდი.
ახ, ის ციური ცხოვრება წმინდა
ისევ შენთან ერთად ვიწამო მინდა!

მეც მახარებდა ჯვარი პატარა,
მუდამ გულ-მკერდით რომ ატარებდი.
და რა მეგონა რომ იმავ ჯვარით
შუქს ჩამიხშობდი, მამწუხარებდი!
მაგრამ თვით ცრემლით მოციმციმეთი
ჩემს თვალებს მაინც დარჩათ იმედი...

„დარჩათ იმედი“ — გამოძახილით
ტბისპირმა ტყეებს თითქოს ახარა.
„რმედი?“ შეკრთა უცებ კონრადი
და გაოცებით გადიხარხარა...
— რად გავიხსენოთ ისევ სიმღერით
ამბავი შენი ტურფა დებისა,
ან შენი უცებ დაქორწინება,
ბედი ველ-ციონდვრის ყვავილებისა?
გველი ძენს ბაღში შეძოიპარა,
არ გესმის მისი ცივი სრიალი?
სულყველაფერი დასჭკნება ალბათ,
რასაც ძეახებს მკერდს გესლიანი!
მაშ მოიგონე ისევ წარსული,
მიჰყევ ოცნებას ლაღი ფრთებითა.
ნუ სდუმხარ, — მწყევლე! დაე,
ცრემლებმა
ქვის გული გასწვან დაწვეთებითა!
მოვიხდი ჩაჩქანს, რომ იმავ ცრემლმა
ჩემი პიტალო შუბლი დაღაროს...
დაე, მხვდეს ხვედრი ჯოჯოხეთისა,
დამწვას და აქვე არ გამახაროს!

ხმა კოშკიდან

ო, ჩემო კარგო, გთხოვ მაპატიო,
დიდხანს გელოდი და უნებურად
გულს რაც აღმოხდა — მღერაა
მხოლოდ,
გულში რომ ტრფობად ჩაგუბებულა!
ო, საყვარელო, მე მარად მახსოვს
შენთან განცდილი ტკბილი წამები
და არა წელთა უსასრულობა
სავსე სიმშვიდით, სავსე წამებით.
გახსოვს? შენ თვითონ მეუბნებოდი,
რომ მყუდროების მდომი მშიშარა
ჰგავს ღრმად ჩაძირულ ზღვის
ლოკოკინას,
რომელსაც ჰფარავს მუდამ ნიჟარა, —
და თუ ხანდახან ფსკერიდან მაღლა
ამოისროლის მას ღელვა ზღვისა,
ის წამით გახსნის ნიჟარას ოდნავ,
რომ შიშით ნახოს სილურჯე ცისა!..
ო, არა, ჩემთვის ყოფა ამგვარი
არც ბედი იყო, არც სიხარული, —
ჩემ სამშობლოში, ჩემ ტოლებ შორის
მეც მქონდა ჩემი ფიქრი ფარული
და მუდამ ცისკენ მივისწრაფოდი
დაუდეგარი გულის ძგერითა,
ვდგებოდი ხოლმე მაღალ გორაკზე
რომ დავმტკბარიყავ შორი ცქერითა.
ვნატრობდი ხოლმე: ტოროლებს
ჩემთვის

ფრთები დაეთმოთ თითო-ოროლა
და ფრთებ-ასხმული განთიადისას
ავფრენილიყავ როგორც ტოროლა!
ვნატრობდი მინდვრის პატარა ყვავილს
სახსოვრად იმას მოვწყვეტდი
მხოლოდ!..
შენ კი არწივის ფრთები გაშალე,
საით წავიდეთ, საით ვიქროლოთ!?
არა! ზეცაში ფრენა რად უნდა
მას, ვინც მაღალი ღმერთი იწამა,
ვისაც აქ საქმროდ და საალერსოდ
გმირი ვაჟკაცი მისცა მიწამა!

კონრადი

გმირი ვაჟკაცი?-ო, ანგელოსო,
გმირობა ქვეყნად ხომ სასჯელია!
მაშ ავიტანოთ წუხილი ისევ,
სულ ორიოდე დღე დაგვრჩენია.
დრო თუ აღსრულდა, მდუღარე
ცრემლით
ჩვენც დაე; ერთად ვიტიროთ გვიან.
ვიტიროთ ისე, რომ ძრწოდნენ
მტრებიც, —
ამას კონრადის ტირილი ჰქვიან!
აქ რისთვის მოხველ, რისთვის,
ძვირფასო,
რად მიატოვე მონასტრის კარი?
არ სჯობდა განა, ღმერთს შეეწირა
შენი სპეტაკი ცრემლების ღვარი? —
და არა ამ ბნელ კოშკის ცივ კედლებს
ყაჩაღების და ცდუნების მხარეს...
როგორ ვუცქირო მე შენს წამებას,
როგორ ვუცქირო შენს სიმწუხარეს!
როგორც ბედკრულმა როგორ
დავწყევლო
ის, რაც ოდესმე გულით მიგრძვნია, —
ის, რაც ჯერ კიდევ სულს ითქვამს
ჩემში,
ძალით ჩავიკლა არ შემიძლია!

ხმა კოშკიდან

თუ საყვედურით მოხვალ კვლავ
ჩამთან
და ან ამგვარი სულისკვეთებით, —
იცოდე, ჩემს ხმას ვერც გაიგონებ,
ჩემს ბნელ საკანში ჩავიკეტები!
დე, იქ სრულიად განმარტოებით
ჩამომდიოდეს ცრემლი ღვარებად...
შენ კი იცოდე, შენ, ჩემო კარგო,
რომ მომეპყარი შეუბრალებლად!

კონრადი

გთხოვ, ანგელოსო, შეჩერდე წამით,
თუ არა, ჭმუნვა შემიპყრობს შავი
და შუბლით კედელს მივეჯახები
რომ კაენივით მოვიკლა თავი.

ხმა კოშკიდან

ო, შევიბრალოთ მაშ ერთმანეთი,
ირგვლივ ზღვაა და სივრცეა ფართო, —
ჩვენ კი წვეთივით ვჩანვართ ქვიშაზე,
ჩვენ: ორად ორი ცვარი ვართ მარტო
და კმარა ოდნავ დაგვქროლოს ქარმა,
რომ განვუტევოთ სული ვით ცვარმა!

ვერ შევურიგდი მონასტრის თაღებს,
დღე მხოლოდ შენთან მსურს
დავიღამო,
გულისთქმა ჩემი ცას ვერ შევწირე
ჩემთა მიწიერ გრძნობათა გამო!
მონაზონთ შორის ვნატრობდი ყოფნას
მათსავით წყნარი და უფერული,
მაგრამ უშენოდ ცხოვრება ჩემი
უქმი რამ იყო, უცხო, ველური!
ვიცოდი მალე მარიენბურგის
ციხე-ქალაქი უნდა გენახა,
უნდა საბრალო ხალხის გულისთვის
გზა რაინდულად გადაგელახა.
ჩემივე ფიქრი მყოფნიდა ამბად,
ვამბობდი: იგი გზაშია ალბათ...

ვამბობდი: მოვა ძლევამოსილი,
რომ დაამთავროს მტერზე თარეში,
და რადგან მსურდა გმირი მენახე
მე ცოცხლად ჩაველ ამ სამარეში!
ვთქვი: ჩემმა გმირმა თუ არა, — ვინმემ
ეს გზა ხომ უნდა აახმიანოს, —
ამ ტბის ნაპირად, ამ კოშკის გვერდით
არ შეიძლება არ ჩაიაროს.
ჩემი რაინდის სახელი მაინც
არ გავიგონო არ შეიძლება, —

დაე, შეცვლილი ჰქონდეს ჯავშანი,
ვაჟკაცი მაინც არ შეიცვლება!
სხვის ჯავშანშიაც იცნობს ეს გული,
რადგან მასზეა შეყვარებული...

დაე, მას როგორც სისხლის ამღებელს
და დამმარცხებელს წყევლიდეს
ყველა, —
მე ერთადერთი დავლოცავ შორით,
მან ვით რაინდმა რომ იგრძნოს
შველა! —
და ავირჩიე ეს კოშკი მყუდრო
ჩემი ფიქრის და კაეშნის ბინად,
აქ ვერ მოაღწევს მგზავრი გარეშე,
შენ კი ჩამოსვლა გიყვარს ტბისპირად..
და ამისრულა ერთმა საღამომ
ის, რაც ოცნება მხოლოდ მეგონა:
შენ ალალბედად მოხველ ტბისპირად.
ჩემი სიმღერა რომ გაგეგონა.
უწინ თუ შენი გამოცხადება
მენატრებოდა ტკბილ სიზმარისთვის, —
დღეს ბედს ვეწიე, დღეს შეგვიძლია
ერთად ვიტიროთ...

კონრადი

ვიტიროთ? — რისთვის!
გახსოვს? ვტიროდი როცა განშორდი
შენი მკლავების მთრთოლვარე ალერსს,
როცა თვით დავთმე ბედნიერება
და დავეწაფე სისხლის მდინარეს!
ახლა დროც დადგა, რომ გული ჩემი
დავიცხრო ომით სისხლის მღვრელითა,
მაგრამ შენ მოხველ მოულოდნელად
და გამარჯვებას მტაცებ ხელიდან!
გავილაშქრებდი მტერზე მრისხანეღ,
შენი მშვენება რომ არ მენახა,
დღეს კი დაბინდულ ჩემს გონებაში
მხოლოდ კოშკია, მხოლოდ შენა ხარ!
ჩემს ირგვლივ აბჯრის ჟღარუნი ისმის
ბუკის ხმით ფეხზე დგება ურჯულო, —
ჩემი ყური კი უსმენს შენს ტუჩებს
და ტკბილი სიტყვა სურს უჩურჩულოს!
ვდუმვარ მთელი დღე და ველოდები
ტბისპირად მე ამ შემოღამებას, —
რათა განვაგრძო მოგონებებით
ჩემი სიცოცხლე, ჩემი წამება!.
ხოლო რაინდთა ორდენი ამდროს
მოითხოვს ჩემგან გასვლას ლაშქრად,
ჰალბანიც შურისძიებით სავსე
ბრძოლისველისკენ მიხმობს აშკარად:
ხან მომაგონებს აღთქმას უწმინდესს,
ხან ჩვენი ქვეყნის მრბეველ ყაჩაღებს,
შურისძიებას ხანაც უსიტყვოდ,
იგი მომნუსხველ თვალით აჩაღებს!
არა! ვერ დასტკბეს გული ოცნებით —
ვხედავ: ითხოვენ ომს ჯვაროსნები.

გუშინ შიკრიკიც იყო რომიდან,
უკვე სალაშქროდ შეჰყარა ჯარი
და ჯვაროსნული აღგზნებით ყველა
ჩემი სარდლობის მსურველი არი.
უნდა წარვუძღვე ჯვაროსანთ ლაშქარს,
დავატყდე რისხვად ბრძოლისველს
ფართოს, —
რომ ჩემი ხმალი გამარჯვებული
ვილნოს კედლებზე ჯვრად
აღიმართოს!..
ვაი, სირცხვილი!.. ვაი, მე ამდროს
ხალხის ბედ-იღბალს დავეძებ, განა?
ყოველ საღამოს მე აქ ვარ, სადაც
მგ შენი კოშკის ბურჯები დგანან.
ო, სიყმაწვილევ ჩემო, თუ ძველად
ხალხის გულისთვის სწირავდი გულსა,
დღეს, ხანდაზმული, აგრე ვერ დათმობ
ბედნიერებას და სიყვარულსა!
დღეს განშორება გიმძიმს მეტადრე
და თუმცა შორით გიხმობს ნაღარა,
ვეღარ სცილდება კოშკის ყრუ კედელს
სმენად ქცეული შენი ჭაღარა..
სთქვა და დადუმდა კონრადი, ბნელში
კოშკიდან მხოლოდ კვნესა მოესმა,
მხოლოდ ჩრდილები შეაშრიალა
ჩუმად ნიავმა უახლოესმა.
ცად განთიადის შუქმა ინათა,
წამოიშალნენ მღერით ფრთოსნები,
შეკრთა ტბისპირი და მერე თითქოს
ტბაც გაინაბა ღილის ოცნებით.
კონრადი მძიმედ წამოდგა. სივრცეს
შეავლო თვალი და მოღრუბლული
უმზერდა დიდხანს კოშკის ქონგურებს.
დგებოდა ღილა, ყეფდა ბულბული.

მან ხელის ერთი მოქნევით, მხარზე
გადაისროლა ფრთა მოსასხამის...
დახარა თავი, და მიიმალა
ვით ჩრდილი ღამის.
ალსავლის კარებს. მზით დაისრული
ასე გაურბის თვით ავი სული.

IV

ნადიმი

არის პატრონის დღესასწაული,
თრთიან დროშები კედლებს მიკრულნი,
ციხე ვერ იტევს მოსულ რაინდებს,
წვეულება აქვს კონრადს მდიდრული.

მაგიდის ირგვლივ ასი მანტია
თეთრად ქათქათებს, შავი ჯვრიანი,
რაინდთ სავარძლებს თავზე ადგანან
მსახურნი ზრდილნი, ხმალ-აბჯრიანნი.

ზის სუფრის თავში მშვიდად კონრადი,
გვერდს უზის ვიტოლდ, თვისი
კრებულით.
ორდენის მტერი, ახლა ორდენთან
ერთად, ლიტვაზე ამხედრებული.

ადგა მაგისტრი: — „ღმერთი
ვახსენოთ“, —
სთქვა და დასცალა თასი სრულებით
„ღმერთი ვახსენოთ“ ერთხმად
შესძახეს,
აჩქეფდა ღვინის ნაკადულები.

თვით ვალენროდი იდაყვდაყრდნობით
მთვრალ სუფრას ზიზღით არიდებს
ცქერას;
ხმაური წყდება, მხოლოდ ხანდახან
არღვევს ხუმრობა თასების ყღერას.

— აბა, კვლავ ლხინი! რა დუმილია,
აგრე სმა რაინდს შეეფერების?
ლხინი რჩეულებს ასე არა სწამთ,
ყაჩაღები ვართ, თუ ვართ ბერები?

ჩემს დროს სხვაგვარი ლხინი
ვიცოდით,
ბრძოლების შემდეგ მოვილხინებდით.
ირგვლივ ვუსხედით კოცონს,—ეს იყო
მთა კასტილიის, თუ ტყე ფინეთის.

სჭექდნენ ჰანგები, ნუ თუ თქვენ შორის
არც მგოსანია, არც მეზღვაური.
ღვინო გულსა ხსნის, ხოლო სიმღერა
აზრისთვის არის ღვინის შემცვლელი.“

მაშინ წარმოდგნენ მყის მომღერლები
ჰანგებზე ჰანგის ასაკიდებლად,
იტალიელი ბულბულის ენით
ამბობს კონრადის ქება-დიდებას.

შორი გარონის ნაპირებიდან
რეკს ტრუბადური დღეს აქ მოსული,
უმღერს რაინდებს გზა-აბნეულებს
შეყვარებულებს, ჰანგით მგოსნურით.

შეწყდა სიმღერა. ჩაფიქრდა კონრად
და იტალიელს აჰხედა წყნარად,
გადუგდო ოქრო მას ერთი ქისა
„ჩემი ხოტბისთვის აიღე, კმარა.

შენ მე მიგალობ შენს საგალობელს,
აჰა, გეყოფა ეს საფასური,
გასწი, გამშორდი, მხოლოდ
ტრუბადურს
ვინც ტრფობას უმღერს აქ
სულწასული.

ვთხოვთ პატიებას. ყველა ჩვენთაგანს
მკერდში უხეში გვიძგერს გულები;
და აქ არც არის ვინმე ასული,
რომ მას მიართვას თაიგულები.

აქ ვარდნი დასჭკნენ. ჩვენ გვინდა ახლა
სხვაგვარი ჰანგი სხვა ყღერა ხმათა,
ის უნდა ჰგავდეს შრისხანე გუგუნს,
ბუკის ხმას, მედგარ ძგერებას ხმალთა.
ყრუ მონასტერში ლოცვას დილისას,
შმაგობას მთვრალი განდეგილისას.

ჩვენ. ვინც ხმლით ვლოცავთ ადამიანებს.
უფრო ბრძოლის ჰანგს ვართ შეჩვეული.
რაც ცხოვრება გვაქვს ის ჰანგიც გვინდა,
შიგ რისხვაც იყოს, სევიაც წყეული,
რომ თან აგვანთოს, თან დაგვაღონოს.
ვინ, ვინ იმღერებს ასეთ ჰანგს აქა?
— „მე“ — შეკითხვაზე იყო პასუხი
და ხალხში ერთი მოხუცი ადგა.

ეყო ლიტველი თუ პრუსიელი,
მათგვარი ეცვა მას ტანსაცმელი,
წლებისგან სახე სულ დაჭღარიდა,
სულ თეთრი ჰქონდა მოხუცს თმა-
წვერი.
მარჯვენა ხელში ეპყრა ფანდური
ტკბილპრუსიული საკრავი ძველი,
სმენა ითხოვა მონადიმეთა,
დინჯად ასწია მარცხენა ხელი.

„წინათ ლიტველებს და პრუსიელებს
მე ვუმღეროდი ჰანგით, ქებულით,
მათ, ვინაც გაწყდა მამულისათვის,
ან ბრძოლით მოკვდა დამარცხებული.
ვინაც დააკვდა მშობლიურ მამულს,
მტრის ურდოების სათელად ქცეულს,
დააკვდა, როგორც ერთგული მონა
გულგანგმირული პატრონის სხეულს.
ან შეეფარა ტყეს როგორც სოროს,
ან ვიტოლდივით თქვენ შორის
ცხოვრობს.

მაგრამ იმ ქვეყნად, სიკვდილის შემდეგ,
ვერმანილიბო, იცოდეთ ასე,
რა ეშველება მხდალ მოღალატეს,
რა ეშველება სამშობლოს გამცემს;
როს ჯოჯოხეთში, სადაც მტანჯველი
სამარადისო ალი სწვავს ყველას
თვალს აღაპყრობენ სამოთხისაკენ,
რა პირით სთხოვენ წინაპრებს შველას?
ან მათს გერმანულ გაუთლელ ძაში
შამები შვილებს იცნობენ მაშინ?

ოი, შიილიბო, სირცხვილი ლიტვას!
არ გამომიჩნდა ქომაგად არვინ.
როს გამათრიეს გერმანულ ხუნდით
საკურთხევლიდან მე, მომღერალი.
მას შემდეგ დავალ ამ სხვის მიწაზე,
ვის ვემსახურო მე ბიოდამწარი?
ცრემლით ვუცქერი მშობლიურ ლიტვას.
ვის, რომელ მხარეს მივაპყრო თვალი?
სად, ო, სად არის ჩემი სახლ-კარი,
ირგვლივ მარტყია მტრის ონოო რკალი
მხოლოდ გულში მაქვს შემონახული,
რაც სამშობლოში დამრჩა ნახული;
იგი ყოველი, როგორც გენებოთ
წაიღეთ ახლა, გერმანელებო.
ასე რაინდი, დამარცხებულმა
ცოცხალი, მაგრამ პატივაყრილმა
გამოცხადდება დამმარცხებელთან
პირშერცხვენილი მხედრის მახვილით
და მტრის წინ ძალით უკანასკნელით
მახვილს დაამსხვრევს საკუთარ ხელით.
ასე მეც მინდა უკანასკნელად
ხელში ავიღო ეს ჩემი ჩანგი,
უკანასკნელმა ვაიდელოტმა
ერთიც გიმღეროთ ლიტვური ჰანგი.“

შესწყვიტა სიტყვა. დადუმდა ყველა.
გამეფდა ირგვლივ სიჩუმე სრული,
კონრადი ვიტოლდს გამომცდელ
თვალით
თვალებში უცქერს სულგანაბული.

შენიშნა ყველამ: წითელი ფერი
გადეკრა უცებ ვიტოლდის სახეს,
რაც სიმღერით ვაიდელოტი
მოღალატეთა სწყევლიდა სახელს.
მერე ქარქაშში ხმალჩაბღუჯულმა
გააპო კრება, ვით ყანა ცელმა,
მიეჭრა მოხუცს; მაგრამ მყის შესდგა
და მის თვალთაგან იფეთქა ცრემლმა.
ჩამოჯდა იქვე და მოსასხამი
ჩამოიფარა ვით ბინდი ღამის.

გერმანელნი კი ამბობენ ძვირსა:
ლხინში რა უნდა მთხოვარა მწირსა?!
ვის ესმის მისი სიმღერის ენა,
აქ ტირილია თუ არის ლხენა?
ასე ამბობდნენ და ჯგუფთა შორის
გაისმა მათი ხარხარი, სტვენა,
პაქები სჭექდნენ: ჰა, სასაცილო,
აი, ლიტვური სიმღერის კილო“.

ადგა კონრადი, სთქვა: — „რაინდებო,
ღღეს ჩვეულებრივ ორდენი ჩვენი
ზეიმობს, რათა მიიღოს მორჩილ
სამთავროების დავლა და ზღვენი.
მოხუცის ზღვენი არის მცირედი,
მიიღებთ მისგან, მე მაქვს იმედი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან ჩვენ სიმღერა მოგვართვა ტკბილი,
მივიღოთ იგი ვით ქვრივის წვლილი.

დღეს ჩვენთან არის ლიტვის
მფლობელი,
მისი სარდლებიც არიან აქვე,
დე, მოისმინონ მშობლიურ ჰანგით
მათი წარსულის სიტყვა და საქმე.
ვინც ვერ გაიგებს, ვთხოვ განგვერიდოს.
მე კი ეს ჰანგი სევდის და ნაღვლის —
ლიტვური ჰანგი, ნამდვილად მიყვარს,
ვით ზღვის ნაპირზე თამაში ტალღის,
ან გაზაფხულის წვიმა, რომ ანცობს...
იმღერე ჰანგი, გრძნეულო კაცო.

ვაიდელოტის სიმღერა

„ლიტვის განსაცდელს,
გულთამხილველი
ვაიდელოტი იგრძნობს პირველი.
და თუ მათს სიტყვებს დაუგდებთ
ყურსა;
ძველ სასაფლაოს, ყრუს, უკაცურსა
მოევლინება ასული ერთი,
ცეცხლის გვირგვინით შემკული,
თეთრი.
ვით ბელოვეჟის ხე ზრდილი ცამდის,
მოაფრიალებს სისხლიან მანდილს.

მაშინ კოშკებში გუშაგნი უცებ
დაიხურავენ საომრად ზუჩებს,
ძაღლები მიწას კბილებით თხრიან
ყნოსავენ სიკვდილს, ყმუიან, თრთიან.
ასული მოდის, და სადაც მანამ
იყო სოფელი, ციხე, ქალაქი,
იქ ნანგრევები ჩნდება დამწვარი
იქ უდაბური რჩება ალაგი.
სადაც მანდილს შლის ქალი მაღალი
იქ საფლავები ჩნდება ახალი.
ჭირია! მაგრამ მეტი თავზარი
გერმანელების თავდასხმა არი,
ელვარე ზუჩით და შავი ჯვრებით,
თავს სირაქლემას ფარფატა ფრთებით,
სადაც ამგვარი ქარ-ცეცხლი შევა,
იქ მცირე არი ხანძარი, ნგრევა.
ის მხარე არის სამარე სრული.

ო, ვისაც შეგრჩათ ლიტვური სული,
ამ საფლავებზე თავი დავხაროთ,
მოდით ვიმღეროთ და ცრემლი
ვღვაროთ.

გადმოცემანო! სჯულის კიდობნად
დგეხართ ნამყოს და მომავლის შორის.
თქვენში ინახავს ხალხი თვის
გრძნობებს,
ხალხის ფიქრი ხართ, მისი ხმლის
სწორი.

სჯულის კიდობანს ვერა გძლევს ვერა
უნდო მტრის ძალა ვერავითარი,
ხალხის სიმღერავ, შენა ხარ მუდამ
ამ წმინდა ტაძრის დარაჯად მდგარი
მთავარანგელოსს შენ ჰგევხარ ხმითა
მისივე ფრთებით, მისივე ხმლითა.

მოგონილ ამბებს დანაცრავს ცეცხლი.
ყაჩაღებს მიაქვთ ოქრო და ვერცხლი,
მხოლოდ სიმღერა ალალი გულის
რჩება, წლებიდან წლებს გადაუვლის
და თუ ბილწ სულებს შენახვა ძნელი
არ ძალუძთ გულით, ფიქრით და
სისხლით.
მყის მიაშურებს მაშინ ის მთასა
და ძველ ნანგრევებს აფარებს თავსა.
მერე იმ ამბავს, როგორც გალობას,
გადასცემს იგი შთამომავლობას.
ასე ხანძრიდან ბულბული მიჰქრის,
როცა ხანძარი შენობას ანგრევს,
მიფრინავს ტყეში და დამწვარ გულით
უმღერის მგზავრებს სევდიან ჰანგებს.

გამიგონია გლეხის სიმღერა,
როს ხვნას შესწყვეტდა მოხუცი ერთ
წამს,
გუთნის რკინის ძვლებს მხარ-
დაყრდნობილი
აატირებდა სევდიან ლერწამს;
თითქოს წინაპართ პატივსაცემად,
ვინც უსახელოდ გასწირეს თავი,
მღეროდა იგი და ის სიმღერა
იყო ალალი და გულსაკლავი.

როგორც მკვდრებს უხმობს
განკითხვის დღესა
საყვირი მთავარ ანგელოსისა,
ასევ ჩემს ფეხქვეშ სიმღერის ხმაზე
იმოსებოდნენ ძვლები ხორცითა;
ახლად ჩნდებოდნენ ტბებზე ნავები,
წამოდგებოდნენ ნანგრევთ თაღები
და ციხის ბჭესთან ჩანდნენ ჯარები,
გვირგვინნი, ხმლები, ბაირაღები.
მგოსანთ სიმღერა, ქალთა თამაში...
მე გამაღვიძეს ამ ოცნებაში.

სადღა არიან სამშობლოს მთები,
ფიქრებს დაქანცულთ გადეწვათ
ფრთები,
სიჩუმე დადგა მთებსა და ველში,
დადუმდა ჩანგი უღონო ხელში;
წარსულის ხმები არ ისმის არსით
თანამოძმეთა მკვნესარე ხმაში.
მაგრამ სულს, დღესაც აქვს ნაპერწკალი
შორეულ ყრმობის სიხარულისა,
გიზგიზებს იგი და ნათელ შუქს ჰფენს
თბილ მოგონებებს იმ წარსულისას.
ო, მოგონებავ! ულამაზესო
ბრძოლის ლამპარი, ტკბილო მშვენებავ,
მრავალ სურათით მიმოხატულო,
მტვერგადაყრილო მრავალფენებად,
თუ კვლავ აგინთებს გულს ნაპერწკალი,
მოხიბლავ ფერით თვალს უნაზესით,
სასახლის კედლებს მორთავ ხელახლა
მკრთალი ნოხებით ულამაზესით.

ო, რომ შემეძლოს საკუთარ ცეცხლით
გადავადუღო მე თქვენი სული
და აღვადგინო მსმენელის მკერდში
ის სახეები ნათელ წარსულის,
ჩემს მოძმეთათვის თუნდ ერთი წუთით
ის ძალა ჰქონდეს ამ ჰანგის ყღერას,
იგრძნონ საკუთარ გულისძგერაში
გარდასულ დღეთა გულისა ძგერაც.
იგრძნონ წარსულის მთელი დიდება
რასაც მამები წმინდად იცავდნენ
და განიცადონ გრძნობა მაღალი,
ჩვენთა წინაპართ რაც განიცადეს.

მაგრამ წარსულის რად გინდა ქება,
დღევანდელ დღეს თუ ვერ დააფასებ,
გვყავს დღესაც გმირი და, ლიტველებო,
ჰა მომისმინეთ მე ვმღერი მასზე".

შედგა მოხუცი. ჰა თუ მისცემენ
გერმანელები სიმღერის ნებას.
დარბაზში სუფევს სიჩუმე სრული
და ამ სიჩუმით გრძნობს წაქეზებას.
დაიწყო ისევ ახლა სხვა ჰანგი,
განს სიმი ჩუმად აძლევდა კვნესით,
უფრო ხმადაბლა, უფრო გულმშვიდად,
უბრალო თხრობით შესცვალა ლექსი.

თარგმანი: **ირაკლი აბაშიძისა** და
კარლო კალაძისა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო ლოლიძე

ერთ ახალშენზე

მოთხრობა *

*

წვიმა შენელდა. ჯებირი გამაგრებული იყო.

სიმონ ქვლივიძემ ერთხელ კიდევ მოიარა ჯებირი მთელ სიგრძეზე. უკანასკნელი განკარგულებები გასცა და ისევ გვირაბისკენ გასწია

უფრო გულდასმით დაათვალიერა კატასტროფის არე.

ფაქტია, ბეტონი ჩამოიშალა, რადგან ვერ გაუძლო წყლებით გაჟღენთილი ნიადაგის მოწოლას, მაგრამ რაღა ბეტონია, თუ წყლის მოწოლას ვერ გაუძლებს. ესეც ხომ დროებითი ჯებირი არ არის?

იმ დღესვე სასწრაფოდ მოწვეულ იქნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია კატასტროფის მიზეზი.

შეიძლება გვირაბი გაჭრილი იყო ისეთ სუსტ ნიადაგში, რომელსაც ბეტონი, თუნდაც ასეთი მაღალი მარკის, რომელიც პროექტით იყო გათვალისწინებული მაინც ვერ გაამაგრებდა, ან და სერგო თენეიშვილის მანქანა ვერ იძლევა ბეტონის ისეთ სიმკვრივეს, როგორიც გათვალისწინებული იყო პროექტით. პირველ შემთხვევაში, თუ გვირაბის ნიადაგი მართლაც იმდენად სუსტია, რომ მას ასეთი ძლიერი,—სამასი მარკის ბეტონიც ვერ ამაგრებს და საჭიროა უფრო ძლიერი, ოთხასი, ხუთასი მარკის ბეტონი ან რაიმე სხვა საშუალება, რაიც მეტად აძვირებს მშენებლობას,—ამ ადგილას გვირაბის გაჭრა მიზანშეწონილი აღარ არის და იგი შეცდომად უნდა ჩაითვალოს, ხოლო თუ გვირაბის პროექტი სწორია, მაშინ უსათუოდ სერგოს ძაბქანა ვერ იძლევა საჭირო სიმკვრივეს და იგი უვარგისია გვირაბისათვის. ეს უნდა გამოერკვია კომისიას.

მძიმე განსაცდელში ჩავარდა სერგო.

ერთი რამ იყო ნიშანდობლივი—ჩამოიშალა ბეტონის მხოლოდ ერთი ნაწილი, დაახლოებით ერთი მესამედი, სწორედ უკანასკნელი ნაწილი, მაშინ, როდესაც გვირაბის მთელი ნიადაგი ერთი და იგივე იყო. აქ კიდევ, ერთი საკითხი იჭრებოდა, შეიძლება მანქანა ერთნაირი სიმკვრივით არ ტკეპნიდა ბეტონს?

სერგომ კიდევ ერთხელ გადაათვალიერა გვირაბის პროექტი, ყამირის რუკები, ლაბორატორიული ანალიზები, ანგარიშები. ყველაფერი რიგზე იყო. მაგრამ მისი მანქანაც ხომ არა ერთ გზით გამოცდილი, არა ერთი კომისიის მიერ გასინჯული და დადასტურებულია? მაშ რა მოხდა, რად ვერ გაუძლო ბეტონმა?!

სერგო თავის ოთახში იჯდა, მეათეჯერ, მეასეჯერ ათვალიერებდა თავისი მანქანის ნახაზებს, ანგარიშობდა, ანგარიშობდა. ბეტონის შერჩევა, რეცეპტები, ბოლომეის ფორმულა, ბელიაევის ფორმულა, მრუდეებით შემოწმება... არა, იგი ვერავითარ შეცდომას ვერ პოულობდა და მაინც იყო შეცდო-

* დასასრული. „მნათობი" № 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა. რა? სად? საღამოს სხდომ-ზე გამოირკვეოდა იგი. გამოირკვეოდა კი? ვინ იცის.

სერგო განზრახ არ დაესწრო კომისიის მუშაობას წარმოებაზე, გვ-რაბში, რომ თავის თავისთვისვე შეუმჩნევლად ყალბ გზაზე არ მიემართა კომისიის წევრების ყურადღება, გავლენა არ მოეხდინა. დეე, თავისივე, ძალდაუტანებელი დასკვნა გამოიტანონ.

კარზე დააკაკუნეს. სერგოს ხმა არ გაუცია.

კარი მაინც გაიღო. თამარი შემოიჭრა ოთახში, და კარებშივე გაშეშდა.

სერგო, ეს ძლიერი, ასეთი ამტანი ვაჟკაცი მოშვებული იჯდა მაგიდასთან, მარცხენა ხელზე თავით დაყრდნობილი, და სულ ჩამქრალი, ჩამუქებული თვალებით უაზროდ შეჰყურებდა მაგიდაზე გაშლილ ნახაზებს.

— სერგო, — შემცბარი ხმით შესძახა თამარმა, — რაა ეს, რა მოგდის?

სერგომ ჩამქრალი თვალები მიაპყრო მას, მაგრამ თითქოს ვერც კი იცნო, ისევ თავის ციფრებით და ნახაზებით აჭრელებულ ქაღალდებს დააცქერდა.

— სერგო! რა მოგდის, არა გრცხვენია!

თამარს ყველაფერი დააავიწყდა. მისი გაუგებარი გატაცება, რომ სერგო ის აღარ იყო მისთვის, რაც ოდესღაც, რომ თვით იგი ასე გამოიცვალა. მას აღარაფერი ახსოვდა. იგი ხედავდა მის წინ მეგობარს, უახლოესს, უსაყვარლეს მეგობარს, მეგობარს, რომელთანაც ამდენი წლის სიახლოვე, სიყვარული აკავშირებდა.

— სერგო! — კიდევ შესძახა ქალმა.

— რა მოხდა, თამარ? — დაგვიანებით გამოეხმაურა სერგო, ისეთი უფერული ხმით, თითქო სადღაც შორს იყო, არც თუ ესმოდა მისი, არც თუ სურდა გაეგო და ძალა დაატანა თავს, რომ ეს ორიოდე სიტყვა ეთქვა.

მას მართლაც უმძიმდა ახლა ლაპარაკი. იგი ნამეტნავად ნელიად, დაბულად არჩევდა სიტყვებს, რადგან გრძნობდა, რომ ყველა სიტყვას ვერ გამოსთქვამდა.

— როგორ თუ რა მოხდა! რად ზიხარ აქ ასე განმარტოებით... ასე უმოქმედოდ?

სერგომ მწარედ ჩაიცინა.

— ჰო, რად არა ხარ, იქ გვირაბში, ხომ იცი, რომ კომისია ათვალიერებს ახლა?

— მერე რა?

— მერე განა შენ არ უნდა იყო იქ? არ უნდა აუხსნა, არ უნდა დაუმტკიცო, რომ...

— რომ გვირაბი უადგილო-ადგილას არის გაჭრილი, უვარგისია და რომ-ჰ მ-მარტო მ-მე ვარ სწორი?

თამარი გაშრა. მაგრამ სერგოს მწარე კილომ და კიდევ უფრო მწარე სიტყვებმა კი არ იმოქმედეს ქალზე აგრე რიგად, — სერგოს ენა ებმებოდა, სერგოს აშკარად უჭირდა სიტყვების გამოთქმა. ეს მეორე და შეიძლება გადამწყვეტი შეტევა იყო. პირველად ასეთივე შეტევა ჰქონდა მაშინ, ოპერაციის წინ, მისი მანქანის პირველი განხილვისას, როცა სერგო ისე ღელავდა შედეგისათვის. ეს უკვე მეორე იყო. ხომ შეიძლება, რომ მან მეტყველების უნარი საგსებით დაჰკარგოს და ვინ იცის უშველის ღა მერე ლენინგრადელი პროფესორის ოპერაცია, რომელზედაც ამდენ იმედებს ამყარებდნენ ისინი.

— სერგო, დამშვიდდი! შენ.. .შენ— აქ თამარსაც დაება ენა.—შენ ფიქრობ, რომ ეს ჩვენი მანქანის ბრალია?

სერგოს პასუხი არ გაუცია. იგი ისევ ისე იჯდა და უაზროდ შესცქეროდა მაგიდაზე გაშლილ თავის მანქანის ნახაზებს. მართლაც და ეს მანქანა ოდესღაც „მათი მანქანა“ იყო. რამდენი საათი, რამდენი ღამე გადაუთენებიათ მის თავზე სერგოს და თამარს, მაგრამ ის ხომ სხვა თამარი იყო, მისი თამარი. ახლა კი!—ტყუილად კი არ უკვირდა ყვე-

ლას, თუ რა აკავშირებდათ მათ. რად უყვარდა ეს მოუქნელი, უხეში კაცი თამარს. აკი მართლაც შეცდომა გამოდგა. მაშ რაღა უნდა ახლა აქ მასთან, ამ ფაქიზ, ამ ლამაზ, ასეთ უცხო ქალს? როგორ უმძიმდა ამ წუთს სერგოს თამარის ხილვა.

თამარი არ გრძნობდა ამას, შეიძლება გრძნობდა კიდეც, მაგრამ ახლა არაფრის თავი არ ჰქონდა გარდა იმისა, რომ ეს კაცი, ეს საყვარელი კაცი გამოეყვანა როგორმე იმ საშინელი აპატიის მდგომარეობიდან, რომელიც მას დაუფლებოდა. სხვა ყოველი წვრილმანი იყო, შემდეგ გამოირკვევოდა, და დალაგდებოდა, ოღონდ სერგო არ უნდა იჯდეს ასე განწირულივით, გაყინული, უგრძნობელი და ასე შორს წასული თვალებით არ იცქირებოდეს.

— სერგო, — კიდევ ერთხელ მიმართა მას თამარმა. — სერგო.—რად არ მაძლევ პასუხს, — და ხელი დაუჭირა.

სერგომ ხელი არ წაართვა, იგი ისევ ისე უძრავად იჯდა. ქალი დაიხარა და თავისი ნაზი ლოყით შეეხო ამ გაცივებულ ხელს, დაუყვავა.

სერგო სდუმდა, თამარს იმედი მიეცა, კიდევ დაუყვავა, უცებ ისევ ის შორეული, თითქოს გადაკარგული, უფერული ხმა მოესმა.

— ეგ არ არის საჭირო, თამარ.

ქალი ადგილიდან წამოიჭრა.

— სერგო, ნუთუ შენ ფიქრობ, რომ შენი საქმე ოდესმე უცხო იქნება ჩემთვის. ო, სერგო, დამიჯერე, გამიგე, რაც არ უნდა მოხდეს, რაც არ უნდა მოხდეს, შენ მუდამ, მარტო შენ იქნები უახლოესი ადამიანი ჩემთვის. სერგო გესმის...

— ო, ვიცი...—გამოეხმაურა სერგო, მაგრამ ისევ ისე შორიდან, ისევე უფერულად, და ქალი მიხვდა, რომ თუმც სერგოს სმენას ხვდებოდა მისი სიტყვები, მაგრამ მათ აზრს არ მიუღწევია მის გულისყურამდის, მის გონებამდის.

—სერგო, ყური დამიგდე. რად ფიქრობ, რომ?.. დაიცადე, ვნახოთ, რას დაასკვნის კომისია, რატომ ხარ ასე?.. არა გრცხვენია? ასე უცებ, ასეთი სასოწარკვეთილება. ფარხმალის ასე დაშვება. შენ ხომ კომუნისტი ხარ!

— მ-მე ვიცი, რომ მ-მე სრულყოფილი ადამიანი არა ვარ, მე მ-მანკიანი, ხეიბარი ვარ, არც პარტიის ღირსი ვარ, არც იმ საქმის, რომელიც ასე თავხედურად ვითავე... არც სიცოცხლის.

— სერგო...

— შენ მ-მართალი იყავი, მ-მე ჯერ უნდა გამეკურნა თავი, ეს ოხერი თავი. თუ იგი გან-ნიკურნებოდა,—მხოლოდ აქ გაისმა მის ხმაში ოდნავი გამოცოცხლება, სიბრაზე, სიანჩხლეც.—მერე მოვკიდებოდი ამ საქმეს. მე უფლება არა მქონდა!

— სერგო, მომხედე, დამიჯერე, იცოდე, სერგო, თუ...

— თამარ, დამტოვე... მე... მიმძიმს შენი აქ ყოფნა, — შეაწყვეტინა სერგომ.

თამარი გაშრა. და ისევ იმ შორეული, ყრუ ხმით დაასკვნა სერგომ.

— ყველაფერი გათავდა...

რა გათავდა? რას გულისხმობდა იგი? მისი საქმიანობა, მისი სიცოცხლის მამოძრავებელი ძალები, თუ მათი ურთიერთობა, მათი მეგობრობა, სიყვარული. რა იცოდა სერგომ? იცოდა რამე? გრძნობდა, გაიგო?

— სერგო, მერწმუნე...—ახლა უკვე გაუბედავად მიმართა თამარმა.

სერგოს წუთით აუთამაშდა მარცხენა წარბი, მან კიდევ ერთხელ ახედა ქალს, მაგრამ ისე თითქოს აღარ ხედავდა მას, და ისევ თავის ნახაზებს დააცქერდა.

ო, ეს თვალები, ეს აზრიანი, სიცოცხლით სავსე თვალები. რა ნათელი ცეცხლი ენთო მათში ოდესღაც და როგორ დამუქებულიყვნენ, ჩამქრალიყვნენ ახლა.

არა, ეს მარტო სულით დაცვმა რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დია, ეს უკვე ავადმყოფობაა,—გაიფიქრა ქალმა.

— წადი, თამარ...—კიდევ ერთხელ მოესმა მას ეს დაღლილი ხმა.

ქალის დაძაბულმა აზრმა უმალვე გადაწყვეტილება მიიღო.

— კარგი, სერგო, მე წავალ, მაგრამ კვლავ მოვალ, იცოდე,—დაასკვნა და ადგილიდან მოსხლტა.

სერგომ რაღაცის თქმა დააპირა, წამოდგა, ტუჩები შეარხია და უცებ სამინელი შიში აღიბეჭდა მის სახეზე. ერთ წუთს გაშტერებული, გაფართოებული თვალები მიაპყრო ქალს, მერე პირი იბრუნა, მხოლოდ ხელით ანიშნა—კარგი, წადიო.

თამარი გახევებულივით შედგა, მერე ისევ სერგოს მივარდა:

— სერგო.

სერგო ცალი ხელით სკამს ჩასჭიდებოდა, ხოლო მეორე ქალს შეაგება—არ მიიკარა იგი.

— კარგი, სერგო, მე მივდივარ. მალე მოვალ, — თამარმა თავს ძალა დაატანა რომ ისეთი კილო მიეღო, თითქოს არაფერი შეუნიშნავს და გავიდა.

ორიოდე საათის შემდეგ სიმონ ქვლივიძის მანქანა გაჩერდა ცნობილი ნევროპათოლოგის პროფესორი პავლე ქილარჯიშვილის ბინის წინ, თბილისში. მანქანიდან თამარი გადმოვიდა.

იგი ქარიგით შეიჭრა პროფესორთან და სული არ ამოუღია ისე შესძახა:

— ბ-ნო პავლე, მიშველეთ!..

პავლე ქილარჯიშვილი მათი ოჯახის ძველი მეგობარი იყო. იგი სერგოსაც აქიმობდა და კარგად იცოდა მათი განწყობილების ამბავი. ადრევე დაქვრივებული, კარგად შენახული, ოდნავ შეჭაღარავებული, სიცოცხლის მოყვარული ადამიანი, იგი საკუთარ შვილივით ეპყრობოდა თამარს.

— სალამი, ქალო, რა მოხდა. მობრძანდი...

— ო, ბატონო პავლე! სერგო, სერგო...

— რაა სერგო?

— სერგოს ენა დაება.

— რაო?..

— ჰო, თქვენ ხომ იცით მისი დაავადების ამბავი, როგორ ებმებოდა ენა ხანდახან, მღელვარების დროს, ან დაღლილობისას, ახლა კი... — თამროს ძალა აღარ ყოფნიდა. ის აზრი, რომ იგი შეიძლება არანაკლებ დამნაშავეა სერგოს დაავადებაში, ვიდრე მისი საქმიანობის მარცხი, სწვავდა ქალს, არ ასვენებდა.

— მერე?—ეკითხებოდა პროფესორი.

— ახლა სულ... და... დაჭკარგა ენა.

— როგორ, როდის? აკი ვამბობდი, რომ ოპერაცია აუცილებელია...

— ბატონო პავლე, მიშველეთ რამე.

— სად არის იგი?

— მშენებლობაზე.

— რად არ ჩამოიყვანეთ თან?

— არ წამომყვებოდა... ხომ იცით... როგორი რთული საქმე აქვს ნაკისრი. იქ უსიამოვნება შეემთხვა...

— რად ღელავ ასე, ქალო, დაწყნარდი. როგორ დაიწყო, ან როდის, აღარ მეტყვი, უცებ მოუვიდა, თუ ატყობდით, რომ თან და თან...

— არ ვიცი. მე არაფერი არ ვიცი, ამ ბოლო დროს მე...

და თამარი უცებ ბავშვივით აქვითინდა.

— კარგი, დაწყნარდი. — მშვიდად ეუბნებოდა ცნობილი ნევროპათოლოგი, თითქოს არც კი ატყობდა ქალის ძლიერ მღელვარებას. წყალი მოასმევინა. დაამშვიდა.

— განა არ იცოდით, რომ სერგოს მძიმე ჭრილობა ჰქონდა, რომ ეს ამბავი მოსალოდნელი იყო? არაფერია, მე დარწმუნებული ვარ, ყველაფერი გამოსწორდება.

— ო, არა, არა... მე რომ მცოდნოდა, მე რომ მასთან ახლო ვყოფილიყავ, წინადვე შევნიშნავდი და იქნებ... ჩემი ბრალია ყველაფერი.

— რა ბავშვი ყოფილხარ, — გაიღიმა პროფესორმა და ჯიბის საათს დახედა.

ქალმა თვალები ამოიწმინდა და ბავშვური იმედით შეხედა პროფესორს.

— მაშ, თქვენ ფიქრობთ, უიმედო არ არის...

— დარწმუნებული ვარ.

— წამოხვალთ?

— უსათუოდ.

— ო, გმადლობთ. ოღონდ იცით რა, ჩვენ ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, თითქოს თქვენ თითონ შეეთხვევით ჩამოხვედით, ან სტუმრად ჩვენს ხელმძღვანელთან. თქვენ ხომ იცნობთ მას...

— როგორ არა. მე მაინც ვაპირებდი თქვენი ახალშენის ნახვას, მით უფრო, რომ სიმონიც მომენატრა. რა ხანია არ მინახავს. თუნდაც ახლავე გავემგზავროთ, მაგრამ რითი?

— მე მანქანით ვარ.

— როგორ, განა უკვე?..—პროფესორმა იცოდა, რომ თამარის მამა დღითიდღე აპირებდა მანქანის შეძენას.

— არა,—მიუხვდა თამარი... — მე სიმონ ქვლივიძის მანქანით ჩამოვედი.—და მის ლოყებს წითელმა ფერმა დაჰკრა.

— ო, ჩინებულია, მით უფრო ეჭვი არ შეეპარება სერგოს, რომ მე სიმონის სტუმარი ვარ და არა მისი.

თამარი უფრო გაწითლდა.

— ო, მაგრამ თქვენ არ უნდა უთხრათ სერგოს, რომ ჩვენ ერთად ჩამოვედით ამ მანქანით... არც...

— კარგი, კარგი, არაფერს ვეტყვი.

მანქანა უკვე ქალაქგარეთ მიჰქროდა. ნევროპათოლოგი ხალისით ავლებდა თვალს მთა-ველებს. ნიადაგ ქალაქში გამოკეტილს მეტად სიამოვნებდა ეს გზა.

— მაშ, ჩემო კარგო, ახლა დაწვრილებით მითხარით, რა შეემთხვა ისეთი თქვენ სერგოს. მართლა, როდის გვაქეიფებთ? ქორწილი არ გამომაპაროთ, თორემ...

— ო, ბატონო პავლე,—ისევ ტირილი მოერია ქალს,—რომ იცოდეთ, როგორ ვიტანჯები,—და ... ხელებით დაიფარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაძოცდილ ფსიქოლოგს არ გამოპარვია, რომ ეს ქვითინი მარტო სერგოს ავადყოფობის გაძო წუხილს არ გამოუწვევია. მან სწორედ ამიტომ წამოიწყო საუბარი ქორწილსა და ქეიფზე, რადგან იმთავითვე შენიშნა, რომ თამრო არ იქცეოდა ისე, როგორც მოიქცეოდა ახლობელის ავადმყოფობით შეწუხებული, სრულებით უდანაშაულო ქალი.

— რა მოხდა?—ისევ ისე მეამიტად ეკითხებოდა იგი ქალს — აბა, დალაგებით მითხარით, როგორ დაიწყო ყველაფერი.

— მე არა... მე... ხომ იცით სერგოს მანქანის ამბავი...

— ვიცი, და მუდამ მწამდა, თქვენი სერგოს უნარიანობა. და რად შეუფერხდა საქმე.

— ო, თურმე, კარგა ხანია, რაც შეუნიშნავს, რომ საქმე ვერ მიდის წესიერად და მეტად ღელავდა, მაგრამ მე იმ დროს... არ ვხვდებოდი მას ისე ხშირად და მერე, უცებ, ბერონი ჩამოეშალა, და იმავ დროს ვფიქრობ, რომ...

— როგორ? ჩამოიშალა? ეს უთუოდ მეტად იმოქმედებდა მასზე — გამოეხმაურა პავლე ქილარჯიშვილი, თან თავისთვის ფიქრობდა — ეგ ჰო, მაგრამ რა მოხდა კიდევ? ნუ თუ! მას უცებ მოაგონდა, როგორ გაწითლდა თამარი იმის ხსენებაზე, რომ იგი სიმონის მანქანით ჩამოვიდა თბილისს, მერე და რად? რა იყო გასაკვირი, რომ მშენებლობის ხელმძღვანელს თავისი მანქანა დაეთმო ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკისთვის ექიმის მოსაყვანად. ნუ თუ? — და მას სიმონის მოხდენილი გარეგნობა მოაგონდა. — შეეჭვდა და წამსვე მიმართა ქალს:

— მაშ, გვირაბის ნაწილი ჩამოიშალა? მერე რას ამბობს სიმონი?—ან

განზრახ მარტო ეს შინაური — „სიმონი“ იხმარა.

— სიმონი, სიმონი, რა თქმა უნდა, ძალიან შეწუხებულია, მაგრამ მე არ ვიცი... — თამარმა ისევ დაიფარა სახე. მერე უცებ ხელები მოიშორა სახიდან და მშრალი, ანთებული თვალებით გაბოიხედა.

— დიახ, მე ვფიქრობ, რომ სერგოს ავადმყოფობაში ბრალი მეც მიმიძღვის. მე რომ...მასთან ახლოს ვყოფილიყავ, იგი ასეთ სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდებოდა. მე კი ჩამოვშორდი და ვფიქრობ, რომ ავაფორიაქე და მივიყვანე ამ ზომამდე...

თამარი დადუმდა. ნევროპათოლოგისათვის საქმე სავსებით ნათელი იყო.

*

* *

როგორც იქნა სიმონ ქვლივიძემ მოიცალა, რომ შინისკენ წასულიყო, მაგრამ დასვენების თავი სად ჰქონდა, როცა მთელი გვირაბის მშენებლობა ასეთი საფრთხის წინ იდგა, არც თუ ჯერ-ბირები იყო ჯერ მთლიანად გაწმენდილი, მაგრამ გვირაბზე უკვე კომისია მუშაობდა და ვიდრე ამ მარცხის მიზეზი არ გამოირკვეოდა, რაიმე გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი იყო.

სიმონმა მხოლოდ ახლა, საღამოს პირას იგრძნო, თუ როგორ მოთენთა ამ საშინელმა დღემ.

ფეხით გასწია შინისკენ.

ის იყო ჭადრების ხეივნისკენ უნდა გადაეხვია, რომ გზის გადაღმა, დროებით აგებულ ფიცრულ ბინებში, სხვა ჩაბნელებულ ფანჯრებს შორის ერთი განათებული შენიშნა.

— თენეიშვილის ფანჯარა უნდა იყოს, — გაიფიქრა სიმონმა, — ჰო, ეგ არის.

მოაგონდა, რომ სერგო გვირაბში არ უნახავს, და თუმც ძალიან ენატრებოდა მთელი დღეღამე მოუსვენარს შინ მისვლა, გაშრობა, მაგრამ გადასწყვიტა წუთით მაინც შესულიყო სერგოსთან, გამოლაპარაკებოდა, მეეტყო თუ რა აზრის იყო თვითონ პროექტის ავტორი კატასტროფის შესახებ.

გზა გადაჭრა და ფიცრულ შენობებისკენ გაემართა, რადგან დარწმუნებული არ იყო, რომ ნამდვილად ეს არის სერგოს ბინა, პირდაპირ ფანჯარას მიადგა.

მართლაც სერგოს ოთახი გამოდგა. მაგრამ ვიღაც ქალი დალანდა ქვლივიძემ სერგოსთან და წამსვე უკან დაიხია. დაიხია და შედგა, რადგან თამარი შეიცნო. ერთ წუთს გაოცდა სიმონი „რა უნდა აქ, ამ ღამით“ — გაიფიქრა აზრმიუცემლად და მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ რაღაც მძიმე სცენას წააწყდა.

თამარის სახე არა სჩანდა, იგი ზურგით იდგა ფანჯრისკენ, ამიტომაც ვერ შეიცნო სიმონმა უცებ, — მაგრამ სერგო,—როგორი გაწამებული, როგორი ტანჯული სახე ჰქონდა ამ შესანიშნავ ყმაწვილს.

იგი ცალი ხელით სკამის ზურგს ჩასჭიდებოდა, მეორე კი ქალისკენ გაეშვირა — არ მომეკაროო... ტუჩები ოდნავ შეარხია, სიტყვა ვერ ამოსთქვა... სიმონს უცებ მოაგონდა სერგოს ავადმყოფობის ამბავი — თუ რა საფრთხე მოელოდა მას, ელვის სისწრაფით მოაგონდა მრავალი რამ... და ფეხაკრეფით მოშორდა ფანჯარას.

და მთელი გზა ვიდრე ჭადრების ხეივნით შინისკენ მიდიოდა, მის თვალწინ ენთო სერგოს სახე, მისი დახშული, ხშირწარბებიანი თვალები, მისი ახლა უღონო ხელი, რომელიც მან თამარს მიაგება, არ მიიკარა იგი. მთელი გზა ენთო ეს სურათი სიმონ ქვლივიძეს თვალწინ და მთელი გზა სირცხვილი წვავდა მას.

„ნუთუ მე, ნუთუ მეც მიდევს წვლილი ამ კაცის უბედურებაში?.. ნუთუ?.. ახ, თვალები სადა მქონდა, განა ასე ძნელი იყო მივხვედრილიყავ“?.. — და

კიდევ და კიდევ აგონდებოდა თამარი, თამარი და სერგო... სერგოს უეცარი წასვლა ერთ საღამოს და შემდეგ მისი ასეთი განრიდება. თამარის საქციელი იქ, თბილისში... შემდეგ მასთან, მის ოთახში, როცა სიმონი, ამ ხნის კაცი, პატარა ბიჭივით ატაცებული, ასე სულელურად ახვევდა მას თავის სიყვარულს. — არა, ამაზე ფიქრი აუტანელი იყო... სიმონმა მძლავრად მოკუმა ტუჩები, თავი გადაიქნია. „კმარა. გვირაბი, გვირაბია ახლა მთავარი და იგი სერგო თენეიშვილმა უნდა დაამთავროს"... დაასკვნა და ფეხს აუჩქარა.

*
* *

თანმიმდევრული, გულდასმითი დათვალიერების შემდეგ კომისიის წევრები სიმონ ქვლივიძის კაბინეტში შეიკრიბნენ. აზრები გაიყო. მართლაც და თუ ბრალი გვირაბის საერთო მშენებლობას ედებოდა, რად ჩამოიშალა მარტო ერთი ნაწილი, მაშინ როცა ნიადაგი ყველგან ერთი და იგივე იყო? მაგრამ თუ ბრალს სერგოს მანქანას მიაკუთვნებდნენ, ისევ ის ხდებოდა გაუგებარი, თუ რატომ მაინც და მაინც ერთი ეს უკანასკნელი ნაწილი, ჩამოინგრა როცა მანქანაც ხომ ერთი და იგივე იყო?

— იმიტომ რომ,—ხსნიდა კომისიის თავმჯდომარე ხანდაზმული ინჟინერი, — მანქანა ერთნაირი სიძლიერით არ ტკეპნის ბეტონს. როცა მუშა ხელით ლესავს, იგი რამდენჯერმე აწვება ერთ და იმავე ადგილს და ყოველ ფუღუროს ავსებს. მექანიკური მეთოდით კი ყველგან ერთნაირად იტკეპნება და ის სუსტი ადგილები ისევ სუსტად რჩება. ერთი სიტყვით გვირაბის სპეციფიკას, თაღებს, მექანიკური ტკეპნა არ უდგება, ან ყოველ შემთხვევაში ჩვენ ჯერჯერობით არა გვაქვს ასეთი მანქანა. კედლებისათვის კიდევ ჰო, მაგრამ თაღებისათვის, ასეთი სუსტი ნიადაგის გასამაგრებლად თენეიშვილის მეთოდი უვარგისია.

სერგო ხმას არ იღებდა. იგი ჩუმად იჯდა და ძალღონეს იკრებდა, რომ ისევ იმ ეჭვს არ აჰყოლოდა, რომელმაც წუხელ ასეთ სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა, მაგრამ პირველი შეხედვითვე იგი აღარ სჩანდა ისეთი გულგატეხილი ან დაძაბუნებული. თავდაჭერით უსმენდა კომისიის წევრებს. ოღონდ, როცა ხანდაზმულმა სპეციალისტმა ასე გამოილაშქრა მისი მანქანის წინააღმდეგ, ისევ აუთამაშდა მარცხენა წარბი, თითქოს პასუხი უნდა გაეცა. წამოიწია კიდეც. მაგრამ აქ სიტყვა პარტბიუროს მდივანმა, ახალგაზრდა თენგიზ სიჭინავამ აიღო.

— მე ვფიქრობ, რომ აქ რაღაც შეცდომას უნდა ჰქონდეს ადგილი. ჩვენ სწორედ იმიტომ მივიღეთ თენეიშვილის მეთოდი, რომ მისი მანქანა ზედმიწევნით უდგება თაღოვან შენობებს. თორემ ჩვეულებრივი კედლების მექანიკურად ტკეპნა დიდი ხანია, რაც შემოღებულია. ეს მანქანა კი, რამდენად ჩვენ ვიცით, სწორედ იმით გამოირჩევა, რომ თვითვე ააშკარავებს სუსტ ადგილებს და ნამეტნავად აძლიერებს იქ ინტენსივობას. ეს ხომ არა. ერთი გამოცდის დროს იყო დადასტურებული. მე ვფიქრობ, რომ კატასტროფის მიზეზი სადღაც სხვაგან უნდა ვეძიოთ.

— რა უნდა ვეძიოთ! სხვა მიზეზი არა ჩანს.

— ასეთი წამოძახილებით საქმე არ გაკეთდება, ამხანაგებო, — შეაჩერა მდივანმა ინჟინერი. — უნდა ვეცადოთ, გულდასმით შევისწავლოთ საკითხი, რომ შეცდომაში არ ჩავვარდეთ და ამით მეტი ზიანი არ მივაყენოთ ჩვენს საქმეს.

— რა აზრის არის პროექტის ავტორი, ამხანაგი თენეიშვილი? — იკითხა სიმონმა.

სერგო წამოდგა.

— მე ვფიქრობ, რომ მანქანა ერთნაირი სიძლიერით ტკეპნის ბეტონს ყველგან, როგორც კედლებს, აგრეთვე თაღებს. თუ შენაერთი დაცულია, თუ ცემენტი არა ნაკლები ოთხასი მარკის იქნება, ჩემი მანქანა მუდამ სამასი მარკის სიმკვრივეს მოგვცემს, რაიც საკმარისია ჩვენი გვირაბის ნიადაგის გასამაგრებლად.

— რომ არ მოგვცა? — ისევ შეესიტყვა თავმჯდომარე.

— მე არა ვარ დარწმუნებული ბეტონის შენაერთის იგივეობაში — განაცხადა სერგომ.

— მე კი დარწმუნებული ვარ, — ვეღარ მოითმინა სამუშაოს მწარმოებელმა წიგნაძემ, რადგან ეს განცხადება პირადად მას ეხებოდა, და სერგომ მას უკვე თავი მოაბეზრა საწყობში, ცემენტის, ქვიშისა და სილის თვალიერებით.—რეცეპტი მუდამ იგივე იყო!

— რა რეცეპტით არის შედგენილი ბეტონი? — ჩაეკითხა ქვლივიძე.

— ბეტონი შედგენილია ლაბორატორიის რეცეპტის მიხედვით. მარკა სამასი, თუ ტკეპნა ისეთი სიძლიერის იქნება, როგორც ეს თენეიშვილის მანქანას უნდა მიეცა.

— ბეტონის შემადგენელი ნაწილების რაოდენობა დაცულია?

— დაცულია ყველა მასალა, არა მარტო ცემენტი, არამედ ქვიშა და ხრეშიც წონით არის გათვალისწინებული.

— და მათი შეფარდება არასდროს არ დარღვეულა, ან თვით მასალები არ შეცვლილა?—კიდევ ერთხელ შეეკითხა სიმონი წიგნაძეს.

— დიაღ. რეცეპტი მუდამ დაცული იყო.

— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ იგი არასდროს არ დარღვეულა?

— არას დროს. მე მუდამ ვესწრებოდი ბეტონის დამზადების პროცესს. ეგეც არ იყოს, მე საკმაოდ გამოცდილი ბრიგადა მყავს.

— მაშ, გამოდის, რომ ჩვენი ბეტონი უკუგდებული უნდა [illegible]

— უსათუოდ, — დაასკვნა კომისიის თავმჯდომარემ.

აქ ისევ სერგო წამოდგა.

— რეცეპტის იგივეობა არ ნიშნავს ბეტონის იგივეობას. ჩვენ დავათვალიერეთ მარტო მასალების რაოდენობა... ცემენტის მარკა არ გამოგვირკვევია.

— ცემენტი მუდამ ოთხას მარკიანი იყო.—წამსვე ჩამოართვა სიტყვა წიგნაძემ. — ამხანაგმა თენეიშვილმა არა ერთხელ ნახა, რომ მე იგი ცალკე მაქვს დაცული საწყობში და ყველა მუშამ იცის, რომ მარტო იმ კასრებიდან უნდა იხმარონ. სხვა მარკის ცემენტი არცა მაქვს ამჟამად წარმოებაში.

სერგომ მხრები აიჩეჩა.

— არ ვიცი. მე სხვა მიზეზი ვერ მოვიძებნია.

— აი, საქმეც ეგ არის, ამხანაგო თენეიშვილო, რომ თქვენ თვითონ არ იცით, — შენიშნა კომისიის თავმჯდომარემ, — ახალგაზრდა კაცი ბრძანდებით, ახალმა ამბავმა გაგიტაცათ და ასეთი გამოურკვეველი, გამოუცდელი მეთოდი თავს მოახვიეთ წარმოებას.

სერგომ გაკვირვებით ახედა მოხუცს, მაგრამ არა უთხრა რა. არც თუ სიმონ ქვლივიძეს მოეწონა ეს „თავზე მოხვევა“,—მაგრამ არც მას გაუცია პასუხი, ოღონდ წარბები შეიყარა და თავი გადაიქნია ოდნავ, რაიც დაჩემებული ჰქონდა, როცა რამე შეაწუხებდა. მაგრამ იგი თვით ამ, ცოტა არ იყოს, წინდაუხედავ გამოლაშქრებამდე, რაღაცნაირად არეული იყო და თვით ვერ შეეტყო თუ რადა... რაღაც აგონდებოდა და ვერ მოჰგონებოდა. რა აწუხებდა აგრე რიგად.

— არ შეიძლება, ამხანაგებო, — ამბობდა კომისიის თავმჯდომარე — მე ვაფასებ ამხანაგ თენეიშვილის ცდებს, მაგრამ ნურავის ეწყინება — ვფიქრობ, რომ ეს ცდები ჯერ-ჯერობით ლაბორატორიის კედლების ფარგლებს არ უნ-

და გამოსცილებოდა. განა ყველაფერი შეიძლება მექანიკურად გაკეთდეს?

აქ თენგიზ სიჭინავამ ჩაიცინა.

— დამცინით.—იწყინა ინჟინერმა.

— ნუ დაივიწყებთ, ამხანაგებო, — უკვე სერიოზულად გასცა პასუხი ახალგაზრდა კაცმა, — რომ მექანიკური დაბეტონება უკვე გათვალისწინებულია ჩვენი გეგმით და თუ ჩვენ ასე ადვილად უკუვაგდებთ მას, ჩვენ გაგვიჭირდება გეგმის შესრულება.

—მართლაც და სასაცილო არაფერი გვაქვს, — დაეთანხმა სიმონი.—უზარმაზარი საქმე ჩაგვივარდა და შეგვიფერხდა. მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს დასკვნა ნაადრევია. ამხანაგ თენეიშვილის მეთოდით მუშაობა, რასაკვირველია, უნდა შეჩერდეს ჯერჯერობით. მაგრამ არც ძველებურად დაბეტონებას შევუდგებით, ვიდრე არ გამოიკვლევა მიზეზი... მე რაღაცა არ მომწონს ამ საქმეში. ჯერ კიდევ ვერ გავრკვეულვარ, მაგრამ... ყოველ შემთხვევაში ვეჭვობ, რომ ბრალი მარტო ამხანაგ თენეიშვილს ედებოდეს.

— დაე, რახან თქვენ აგრე მოგწონთ ამხანაგი თენეიშვილი, ბრალი იმ ინსტიტუტს დაედვას, რომელმაც მას რეკომენდაცია გაუკეთა წარმოებაში აწარმოოს თავისი მეთოდის გამოყენების ცდები, — ახლა უკვე ინჟინერმა მიიღო დამცინავი კილო.

— არა, ასე ადვილად ვერ გადავწყვეტთ საკითხს. პირველივე შეფერხებით რომ დავიწუნოთ ყოველი ახალი საქმე, შორს ვერ წავალთ.

ჩემთვის ჯერ არ არის გამორკვეული კატასტროფის მიზეზი, არც არავისთვის, როგორც ვატყობ. და რომ ასე ადვილად ვკრათ ხელი ამ ახალ საქმეს, ეს უსათუოდ დიდი დანაშაული იქნება. წარმოიდგინეთ, რა ეკონომიას, რა შესანიშნავ შედეგს იძლევა ეს მეთოდი, რამდენ მუშახელს ათავისუფლებს სხვა საქმისათვის, წარმოიდგინეთ, რამდენად წაიწევს წინ ჩვენი მშენებლობის ტემპები, თუ იგი გამართლდა.

— ო, კარგი იქნება, თქვენ ნუ მოიკვდეთ, მაგრამ თენეიშვილის მანქანა ამისთვის უვარგისია!

— მე ვფიქრობ, რომ არა. ვერც თქვენ დამიმტკიცეთ მისი უვარგისობა. მარტო იმ ჰიპოტეზით, რომ ალბათ იმიტომ ჩამოიშალაო, — მე ვერ უარვყოფ ამ მეთოდს. მაშ, თქვენი წინადადება?

— ახლავე უნდა ჩამოიშალოს ბეტონის დანარჩენი ადგილები და წესიერად შევუდგეთ გვირაბის დაბეტონებას.

— ხელით?

— დიახ. რადგან თაღი ვერ იჭერს მექანიკურ ბეტონს.

— თქვენი წინადადება? — მიმართა სიმონმა პარტბიუროს მდივანს.

— მე ვფიქრობ, რომ კიდევ ერთხელ უნდა გადაისინჯოს ბეტონის შემადგენელი ნაწილები — ცემენტი, ხრეში, ქვიშა, უფრო კი ცემენტი. — განაცხადა თენგიზ სიჭინავამ.

— რა საჭიროა, ამხანაგებო? — ვეღარ მოითმინა წიგნაძემ,—რამდენჯერაა გასინჯული.

— კიდევ გავსინჯოთ!

— ცემენტს აქ ვერ გავსინჯავთ. თბილისს უნდა გავგზავნოთ ლაბორატორიაში. ამას ორი-სამი დღე დასჭირდება. მაგრამ რა მიზანი აქვს, არ ვიცი? შესანიშნავად, მშრალად შენახული ცემენტი ხომ არ დაჰკარგავდა მარკას, კომისიამ დაათვალიერა კიდეც.

— მე ვეთანხმები ამხანაგ სიჭინავას,—განაცხადა სიმონ ქვლივიძემ, — გავგზავნოთ ცემენტი ლაბორატორიაში, და ვნახოთ...

— მაშ დაიცადეთ, ვიდრე სერიოზული კატასტროფა და უბედურება მოხდება, სანამ ადამიანის მსხვერპლიც არ მოჰყვება თქვენს ლმობიერებას, — გაანჩხლდა კომისიის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არაფერიც არ მოხდება ამ ორ დღეში, მერე კი ვნახოთ.

— თქვენ აგებთ პასუხს?

— დიახ, მე ვაგებ პასუხს, რადგან მე ვარ ჯერ-ჯერობით ამ საქმის ხელმძღვანელი! — მოუჭრა სიმონ ქვლივიძემ, — ამჟამად საკითხი ამოწურულია. კრებას დახურულად ვაცხადებ. გაგზავნეთ ცემენტი ლაბორატორიაში. ამხანაგო თენეიშვილო, თქვენ თვით მიჰყევით მაგ საქმეს, შეიძლება მანამდე კიდევ სხვა რამე გამოტყვრეს. ორიოდე დღის შემდეგ კვლავ შევიკრიბებით ამ საკითხის გამო. ნახვამდის, ამხანაგებო.

რაღაც გაურკვეველი აზრი, რაღაცა ნანახი თუ გაგონილი აეკვიატა სიმონს იმ წუთიდან, რაც სერგომ ცემენტი ახსენა. ვერც მოჰგონებოდა, თუ რა იყო, ვერც მოეშორებინა თავიდან. ერთს კი გრძნობდა, რომ ამ რაღაცას აშკარა კავშირი უნდა ჰქონოდა დღევანდელ საკითხთან. „ეშმაკმა წაიღოს, რა უნდა იყოს ასეთი“ — აწვალებდა აზრი სიმონს. ამიტომაც მოკვეთა ასე მკაცრად სხდომა, ამიტომაც გამოიჩინა ჩვეულებრივზე მეტი უხეშობა.

ხშირია ხოლმე, ვიღაცას სახე შემოგხვდება სადმე საკრებულოში, შემოგანათებს და გაქრება, ჩაინთქება სხვა სახეების ზღვაში და მერე მთელი დღე გაწვალებს აზრი — ვინ იყო, რა იყო ვიღაც თითქოს სულ ახლობელი, სკოლის დროინდელი შეგობარი ან ნათესავი, მტერი თუ მოყვარე, თუ სულ არავინ არ ყოფილა და მხოლოდ მიამსგავსე ვისმე, ან არც მსგავსება იყო, მოგაგონდა უცებ ვინმე,—გინდა მოიცილო ეს აზრი, მაგრამ დიდხანს გაწვალებს და არ გასვენებს. აი ასეთი გრძნობა აწვალებდა სიმონს, აი, თითქოს აგერ არის, და ისევ დაიკარგება და გშორდება, თუმც ისევ არ გასვენებს.

სიმონი გაოგნებული ბრუნდებოდა სახლში. მას უკვე აღარ ახსოვდა, რომ ეს აზრი ცემენტთან დაკავშირებით აეკვიატა. ოღონდ ისევ ისე ინტენსიურად ტრიალებდა იგი და არ ასვენებდა. რაა ეს, თამარი?—ჰმ, თამარი. ეს ხომ გათავებული საქმეა. დროა გავიგო. არა, სულ სხვაა რაღაც, სერგო? აქ ისევ თამარის აღელვებული სახე აგონდებოდა, როცა თინამ მისი სახელით მანქანა სთხოვა სიმონს... არა სხვაა, ქილარჯიშვილი? მისი გადაკრული სიტყვები... არაა... ეშმაკმა წაიღოს, რა მაგის თავი მაქვს! მაინც რა რწმენით აღვუდექი ასე კომისიის დასკვნას. ვითომ გამოირკვევა თენეიშვილის მეთოდის სიმართლე ამ ორ დღეში? მაშ რად ჩამოიშალა ბეტონი?

*
* *

სერგო შედარებით დამშვიდებული გამოვიდა სხდომიდან. ჯერ ერთი, იგი უკეთ გრძნობდა თავს პავლე ქილარჯიშვილის „შემთხვევითი“ ნახვის შემდეგ. თამარმა და თინამ ისე მოაწყვეს საქმე, რომ სერგოს ეჭვადაც არ აუღია, რომ ცნობილი ნევროპათოლოგი მისი გულისთვის გაჩნდა აქ ასე უეცრად. ხოლო პროფესორთან საუბარი ყოველთვის ამშვიდებდა სერგოს დაზიანებულ ნერვიულ სისტემას და განკურნების იმედს და სიცოცხლისათვის ბრძოლის უნარს ჰმატებდა. ამას კი სიმშვიდე და, მაშასადამე, ჯანსაღობაც მოსდევდა. იყო ერთი წუთი, თამართან საუბარის დროს, როცა ქალმა თითქოს თავის მართლება და ფიცება დაუწყო—ეს საშინელი წუთი იყო სერგოსათვის, მისი თავმოყვარეობისათვის. როგორ, იგი აღარ უყვარს თამარს სინანულის გულისთვის მზაღ არის დაუბრუნდეს მას და იგი ფიქრობს, რომ სერგო მიიღებს ამ მსხვერპლს?

დიდი ხანია, რაც სერგომ გადასწყვიტა, — უფრო ადრე, ვიდრე თამარი

გაერკვეოდა თავის გრძნობებში,—გადასწყვიტა ჩამოშორებოდა ქალს. მაგრამ მოაგონდებოდა თუ არა სიმონი ხშირად, სისხლი ყელში ებჯინებოდა, მაგრამ წამსვე დაეუფლებოდა ნათელი აზრი: „განა რა უფლება მაქვს დავახშო სხვისი გრძნობა, სხვისი სურვილი? ან რას ვერჩი მას, თუ იგი ჩემზე უფრო უყვარს თამარს. თუ ჩემზე უფრო შეეფერება, ჩემზე მეტ ბედნიერებას მისცემს ქალს?“ ეუბნებოდა თავის თავს სერგო და ისევ ისე მშვიდად და გულიანად შრომობდა, ისევ საქმეს მისცემდა თავს. და ამ ბრძოლაში პატიოსნად გამარჯვებულმა დიდი ხანია რაც ამოიგლიჯა გულიდან თამარის სახე, მისი ალერსიანი თვალები. დაივიწყა იგი. თუ ფიქრობდა, რომ დაივიწყა.

და იმ დღეს, როცა თამარი მივიდა მასთან, თამარი, რომელიც უკვე საბოლოოდ დაკარგულად, სხვისად მიაჩნდა. და სინანულის გრძნობებით აღსავსემ თითქო ისევ შეჰფიცა სიყვარული. ის სიყვარული, რომელიც აღარ არსებობდა (ამაში ხომ სერგო დარწმუნებული იყო). სერგოს თითქოს შესძულდა იგი და რომ ქალი წამსვე არ გასცლოდა ვინ იცის რა მოხდებოდა.

დარჩა თუ არა მარტო, იგი ერთ წუთს ისევ განაბული იდგა, ხელებით სახე დაეფარა და თითქოს არც კი სუნთქავდა, მერე ერთი ამოიხვნეშა უცებ მოიშორა ხელები, მიმოიხედა, წარბები შეიკრა, მუშტები მოკუმშა: „არა, მე კიდევ ცოცხალი ვარ, კიდევ ცოცხალი ვარ. ხომ არ მოვმკვდარვარ? ხომ არ მომაკვდინა იმ წყეულმა ნამსხვრევებმა? ყრუ-მუნჯნიც ცოცხლობენ, ბრმანიც შრომობენ. გონება შემრჩეს! ხომ დავდივარ, ვხედავ, ვაზროვნებ. მაშასადამე გონებას არ უღალატნია ჯერ ჩემთვის. საქმე, საქმე“.—იგი გვირაბისკენ გაეშურა.

საქმე, საქმე — იმეორებდა. როგორც ფიცს, როგორც აღთქმას. უცებ მოაგონდა თამარისათვის თქმული ოდესღაც: „მე არა მაქვს ახლა უფლება, რომ დავისვენო, მე უნდა მოვასწრო, ვიდრე სულ არ დავკარგე შრომის უნარი, ვიდრე ენა არ ჩამივარდა“. მოასწრებს, მაინც მოასწრებს!—თუნდაც დაჰკარგოს ენა!.. ორატორი ხომ არ არის, არც მომღერალი! და უცებ მისი მანქანის მთელი ტექნიკური მოხაზულება აენთო თვალწინ. არა, არავითარი შეცდომა! ბეტონის შენაერთი, ცემენტი, ცემენტი! ჩემს მანქანაში არავითარი შეცდომა არ არის.

როცა საღამოს ნიავით გამოცოცხლებულმა გვირაბს მიაღწია, შესავალთან თენგიზ სიჭინავა შემოხვდა, რომელიც მასზე ნაკლებ არ სწუხდა ამ ჩავარდნით. სიხარულით მიეგება სერგო მეგობარს.

— კარგია, რომ აქა ხარ!.. — შესძახა და გაშეშდა, — ნუთუ ეს მისი ხმა მოესმა? და უფრო დაკვირვებით, დაძაბულად გაიმეორა:

— კარგია, რომ გნახე! — და რომ დარწმუნდა, რომ მართლა მან ამოსთქვა ეს სამი სიტყვა, თვალებზე ხელი გადაისვა, თითქოს იმისთვის, რომ დარწმუნებულიყო, სიზმარში ხომ არ არის, რომ ეს მართლაც თენგიზ სიჭინავა დგას მის წინ, და ეს იგია, სერგო, რომ მას ენა ემორჩილება.

— რა მოგდის, სერგო, — გამოეხმაურა თენგიზი. — მე შენთან ვაპირებდი ახლა, რად არ მოხვედი ბიუროში, ჩაკეტილხარ მარტო. არ შეგეფერება...

— ახ, შენ არ იცი, თენგიზ — მე... ამ რამდენიმე წუთის წინ დაღუპულად მიმაჩნდა თავი... ენა... აღარ მემორჩილებოდა... ახლა კი აღარაფრის მეშინია. კარგია რომ აქ დამიხვდი, წამოდა გვირაბში შეუძღვა პარტბიუროს მდივანს.

დიდხანს ათვალიერეს მანქანა, ზომეს, უკირკიტეს. სერგოს ხომ მთელი ანგარიშები, დიაგრამები ზეპირად ახსოვდა. აქვე გვირაბის ახლადშელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სილ. გადარჩენილ კედლებზე ხაზავდნენ, ანგარიშობდნენ.

— არა, შეუძლებელია აქ რაიმე შეცდომა იყოს, — დაასკვნეს ბოლოს. — ვნახოთ, რას იტყვის კომისია, — ამბობდა სიჟინავა. — ჩვენ კი საწყობში წავიდეთ, იქნებ მასალები ვერ არის რიგზე...

ამ შუალამით ზეზე წამოაგდეს წიგნაძე და მიუხედავად მისი ბუზღუნისა, საწყობში წაიმგზავრეს. იქაც ბევრი იჭირვეულეს, სინჯეს, ზომეს, და თუმცა წიგნაძე იფიცებოდა, რომ არავითარი შეცდომა არ შეიძლებოდა მომხდარიყო, ორთავე იმავ იჭვით დარჩა, რომ მიზეზი ისევ მასალებში იმალებოდა და სერგოს მეთოდი უსათუოდ ზუსტი იყო.

რაღა თქმა უნდა, რომ პარტ-ბიუროს ხელმძღვანელის ასეთმა ყურადღებამ და თანაგრძნობამ უფრო გაამხნევა სერგო და ბრძოლის ძალა შემატა მას.

როცა იმ საღამოს თამარმა ხელახლა ინახულა სერგო, და მან ეს ისე მოაწყო, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, თითქოს ისე, სრულებით უმიზნოდ გამოიარა თავის ძველ მეგობართან, როგორც მრავალჯერ წინათ, სერგოც სრულებით მშვიდად და მეგობრულად შეხვდა ქალს.

თამარს ისე მოჰქონდა თავი, თითქოს ყველაფერი ძველებურად იყო, არც სიმონ ქვლივიძე ჩაჭრილიყო მათ შორის, არც სერგოს საქმე იყო შეფერხებული, არც იმ მძიმე შეხვედრას ჰქონდა ადგილი მათ შორის. არა, თამარი ისე თავისუფლად და სადად იქცეოდა, როგორც სერგოს მშენებლობაზე ჩამოსვლის პირველ დღეებში, როცა ყველაფერი რიგზე იყო. როგორი მხიარული, გულუბრყვილო, უზრუნველი იყო მაშინ ეს შეხვედრები.

ახლა კი ორივე თამაშობდა ნაძალადევად ნაკისრ როლს. თამარი — კეკლუცი, უზრუნველი და მხიარული ქალიშვილისას, ხოლო სერგო უშფოთველი დინჯი და სერიოზული ყმაწვილისას. „წყეული ზრდილობა!" ფიქრობდა სერგო, „ხომ არც მას უნდა აქ ყოფნა, არც მე, და ესეც ხომ იცის, — და მაინც ძოდის და მთელი თავისი ქცევით მარწმუნებს, რომ ჩემსა და ჩემი საქმის გარდა აღარაფერი აინტერესებს ქვეყნად".

სერგოს ახლა ყველაფერი, რაც წინად ისე მოსწონდა თამარში — მისი სინაზე, მორიდებული, ალერსიანი ქცევა—ყველაფერი უარყოფითად ეჩვენებოდა.

— ო, დამგვიანებია, ახლა კი წავალ. — ამოსთქვა ბოლოს თამარმა.

— მართლაც, — წამსვე კვერი დაუკრა სერგომ — მეც ცოტაოდენი საშუშაო მაქვს, მინდა ერთხელ კიდევ გადავიანგარიშო.

— ხომ არ დაგაბრკოლე? — შეწუხდა ქალი.

— არა გრცხვენია? პირიქით დავისვენე ცოტაოდენი. გაგაცილო? — თავაზიანობდა სერგო.

— არა, რა საჭიროა, მშვენიერი მთვარიანი საღამოა. რა გაცილება მინდა. არა, არა. მაშ, ხვალ ცემენტის ანალიზი იქნება?

— ჰო! ხვალ თუ არა, ზეგ მაინც მოვა.

— ახ, ნეტავი რამე გამოირკვეოდეს.

— ჰო, თუ ეს ეჭვი გამართლდა და ცემენტი მართლაც უფრო სუსტი აღმოჩნდა, — თუმცა რა ვიცი... მე თვითონ ვესწრებოდი, როცა ცემენტს ტვირთავდნენ.

—არა, არა, აბა რა იცი, იქნებ რაიმე მოხდა, მე დარწმუნებული ვარ, რომ მაგ ანალიზს დიდი შედეგი მოჰყვება.

— რა ვიცი, ვნახოთ...

— მაშ, ნახვამდის...

— ნახვამდის...

ორივემ შესანიშნავად გაითამაშა როლი. ნამეტნავად სერგოს ისე ბრწყინვალედ ეჭირა თავი, რომ თა-

მარს გული დაესერა „ნუთუ ასე გაუცივდა გული ჩემზე“ — ფიქრობდა იგი. — „და განა ღირსი არა ვარ?“ — მაგრამ ეს არ ამშვიდებდა...

ვინ გაიგებს ქალის გულს? თამარი უკმაყოფილოდ, თითქმის უბედურად ვრძნობდა დღეს თავს. რად? ვერ ერკვეოდა.

იგი ქალი იყო, გამოუცდელი, ახალგაზრდა ქალი. იგი ვერ მიუხვდა სერგოს, სერგომ უდროო დროს ჰკრა ხელი, და სიმონ ქვლივიძის სიდიადემ და ამ შესანიშნავი კაცის ასეთმა ძლიერმა გრძნობამ ისიც გაიტაცა, რადგან სიყვარულისკენ მიისწრაფოდა მისი გული. უსათუოდ თამარის სიყვარული ბევრად მეტი იყო სიმონისათვის, ვიდრე სიმონის სიყვარული ამ ახალგაზრდა, მშვენიერი ქალისათვის, რომელსაც მთელი სიცოცხლე წინ ედო, მაგრამ სიმონი არც წინათ, არც შემდეგ, როცა შეიტყო, რომ თამარი სხვას ეკუთვნოდა, გზააბნეული არ დადიოდა. მას მისი დიდი საქმე და მოვალეობი წუთითაც არ დავიწყებია. ისევ ისე ფხიზლად მუშაობდა, ისევ ისე ნათლად უძღვებოდა თავის დიდ საქმეს როგორც გუშინ, როგორც გუშინწინ. მხოლოდ ხანდახან მოაგონდებოდა თამარის ნაზი სახე, მისი შეამიტი მზერა. მაგრამ წამსვე განდევნიდა ამ ზმანებას.

შესანიშნავი საღამო იყო.

ახლადამოცურებული სრული მთვარე მკერდსავსე პატარძალივით დაყრდნობოდა მთის უსწორო ქედს და ზღაპრულ ლანდებში გაეხვია არემარე. დაუმთავრებელი შენობები დანგრეულ კოშკებად ექცია, გვირაბის შავი პირი ქაჯეთის სამყაროდ, ახლადნაშენი ხეები ვერცხლის სიმებით გადაება. თამარიც ზღაპრულ ასულივით გამსუბუქებული, გასხივოსნებული ნელა მიჰყვებოდა დაბინდულ ხეივანს და როცა იგი სიმონ ქვლივიძემ დაინახა თავისი ფანჯრიდან, ერთი წუთით სურვილმა შეიპყრო, გამოსულიყო, დასწოდა მას, მაგრამ მას დიდიხნის უნახავი, ძველი მეგობარი, პროფესორი პავლე ქილარჯიშვილი ჰყავდა სტუმრად. ამ სტუმარმაც შენიშნა ქალი და წამსვე თვალი მასპინძელზე გადაიტანა. მაგრამ თამარი ისევ ისე ზღაპრულ ასულივით გაჰქრა.

მაინც სიმონი ამ საღამოს საგრძნობლად არეული იყო. ჯერ ერთი, რომ ის გაურკვეველი გრძნობა, რომელიც კომისიის სხდომის დროს აეკვიატა, უფრო და უფრო ფლობდა მის აზრს, და რაც დრო გადიოდა სიმონი სულ უფრო ძლიერად გრძნობდა, რომ ამ „რაღაცას“ უსათუოდ კავშირი ჰქონდა დღევანდელ საქმიანობასთან. მეორე, თვით ეს საქმე, გვირაბის დაბეტონება, რომელიც ასე უეცრად შეფერხდა, მეტად მნიშვნელოვანი საზრუნავი იყო... და შემდეგ, შემდეგ მას ჯერ კიდევ აგონდებოდა თამარი. ჰო, არც ისე ადვილი იყო ამ ქალის ალერსიანი სახის დავიწყება, მაგრამ აქ ყოველთვის სერგო მოაგონდებოდა, იქ იმ ოთახში... და ისევ თამარი, როცა იგი უჩუმრად იდგა თინას გვერდით, ვიდრე ეს უკანასკნელი მანქანას სთხოვდა მას სერგოსთან ექიმის ჩამოსაყვანად. მაშ, რად იყო თამარი ახლა აქ, ხეივანში, მარტო? რად მიდიოდა ასე ნელა, ასე ჩაფიქრებული? იგი ახლა სერგოსთან უნდა ყოფილიყო, თავის საქმროსთან, შეყვარებულთან, ავადმყოფობის, გაჭირვების დროს. მაშ რად იყო იგი აქ?

სიმონმა თავი გადაიქნია, ოდნავ შევერცხლილი თმები გადაიყარა შუბლიდან, თითქო ამით უნდოდა მოეშორებინა უსიამო აზრი.

მეგობრები გვიან ღამემდი შერჩნენ ერთ ბოთლ ღვინოს და ცოტაოდენ ხილს.

თითქოს ყველაფერზე მოისაუბრეს, ყველაფერი გამოარკვიეს და ახლა

უჩუმრად ისხდნენ სავარძლებში და თამბაქოს კვამლით ავსებდნენ ამ პატარა ოთახს, რომელიც სიმონმა ასე შნოიანად მორთო.

თბილოდა. ღუმელი ჩამქრალიყო, მხოლოდ ნაღვერდლები ღვივოდნენ, იფერფლებოდნენ. კვამლში გახვეული ოთახი მყუდრო, უშფოთველ განწყობილებას ჰქმნიდა.

სიჩუმე ისევ სტუმარმა დაარღვია.

— მაშ, როგორ ფიქრობ, თენეიშვილის მეთოდი გამართლდება?

— არ ვიცი... ვნახოთ...

— შესანიშნავი ყმაწვილია სერგო თენეიშვილი. მოხარული ვიქნები, თუ ეს საქმე არ ჩაუვარდება, რადგან ეს შეტად მოქმედებს მასზე.

სიმონმა ღვინო დაუსხა.

— დალევ?

— გმადლობ. მართლაც და შესანიშნავია ეს ატენური...

— მაინც რა მოსდის, ვერ გამიგია? — დაუბრუნდა საგანს სიმონი.

— ჩვეულებრივი აფაზია. მეტად ღრმად ჩაჭრილან ის ნამსხვრევები თავის ტვინის გარსში, სწორედ ეგრედწოდებულ ბროკას ცენტრთან ანუ მეტყველების ცენტრთან ახლოს. და დროებით აზიანებენ მას. უფრო კი, როცა ნერვები დაჭიმულია. ხშირად მარტოშიში მოქმედებს... შენ ხომ, იცი, რომ პირველმა პავლოვმა შექმნა ნამდვილი მატერიალური განმარტება უმაღლეს ნერვულ მოქმედებაზე, თორემ წინად გალენის ან არისტოტელეს სისტემით, ნერვების ცენტრად ხან გული მიაჩნდათ, ხან კიდევ რა.

სიმონი სდუმდა.

— მე ვფიქრობ ოპერაციის შემდეგ იგი სავსებით განიკურნება, — ამბობდა პროფესორი, — მეტად საინტერესო ყმაწვილია თენეიშვილი... წარმოიდგინე ის გზა, რომელიც მან განვლო.

სიმონმა თვალები მოხუჭა, თავი სავარძლის ზურგს გადაასვენა, თმები შოიშორა შუბლიდან.

— შესანიშნავი წყვილია თამარი და სერგო,—თითქოს თავისთვის...—გაიმეორა სტუმარმა, — სერგო აღვილად განიკურნება. მათ ბედნიერება მოელის...

სიმონმა ცალი თვალი ოდნავ გააღილა, მეგობარს გახედა, ახლადანთებული პაპიროსი დაბერტყა, თითქოს ფერფლი უნდა მოაშოროსო, მერე ისევ მოჭუტული თვალებით ახედა სტუმარს.

— შენ... რა გინდა თქვა ამით?

— არაფერი... მე თამარს ბავშვობიდან ვიცნობ...

— მე კი მხოლოდ ახლა გავიცანი. მერე?

— მერე არაფერი... კიდევ ის, რომ მართლაც ღავბერდი ალბათ და... მშურს მათი ბედნიერება, შენ კი არა გშურს?

— მეცა მშურს,—გაიცინა უცებ სიმონმა და წამოდგა.—შენ პატიოსანი კაცი ხარ, პავლე ჩემო, მაგრამ ნუ გეშინია, არც მე ვარ ნაკლები... ახლა კი— დროა დავისვენოთ, შუა ღამე გადავიდა, დილით გათენებამდე უნდა ავდგე უამრავი საქმე მაქვს...

სიმონი მართლაც უთენია წამოდგა. ღღეს ლაბორატორიის ცნობას მოელოდნენ თბილისიდან. ღღესვე უნდა დაინიშნოს კომისიის სხდომა, მანამდე კი ესათუოდ უნდა დაეთვალიერებინა, გაწმინდეს თუ არა ჯებირი, ხომ არ დაზიანებულა ესკავატორი. ეგეც არ იყოს, ღღეს ხვალ სადერივაციო არხი წყალს მიიღებდა, იქაც საჭირო იყო უფროსის თვალი.

პროფესორს, რომელიც არ იყო დაჩვეული ასე ადრე წამოდგომას ჯერ კიდევ ეძინა.

— რა ტკბილად სძინავს, — გაიფიქრა სიმონმა. გაღვიძება დაეწანა და პირსაბანისკენ გაეშურა დერეფანში. დიდხანს იშხეფა წყალი, ცივი ტილოთი დაიზილა მთელი ტანი და გამოცოცხლე-

ბული, თითქო გაახალგაზრდავებული ხალისიანად გამოტრიალდა ოთახში.

— გაუკვირდა კიდეც, რომ სტუმარს ჯერ კიდევ ეძინა.

აჰა, თებროც გამოჩნდა თავისი ახალი სახლის კუთხის მიღმა. იგი ფუსფუსით გაემართა ახლადშელესილ მაღალ მოაჯირიან ჭისაკენ, წყალი ამოიღო, ისევ სახლს მიუტრიალდა. სიმონს ის იყო უნდა დაეძახნა „თებრო“ — რომ უცებ რაღაცა მოაგონდა: ავთანდილ, ავთანდილ ღვთისავარი, — წამსვე მისი უზარმაზარი გრძელხელებიანი სხეულით დადგა მის თვალწინ.

— ა,—აღმოხდა სიმონს, — ეგ არის, ეგ იყო! — ერთ წუთს თვალი მოავლო კოპწიად მოკირწყლულ ეზოს, შეცემენტებულ ჭას, ცოკოლით შემოვლებულ სახლის კუთხეს. ასოციაცია გაძლიერდა, და სიმონი წამსვე მიხვდა, თუ რა აწვალებდა ამ ბოლო დროს, იმ კომისიის სხდომის შემდეგ.

— ავთანდილ ხვთისა...—ჯანაბას მისი თავი ხვთისავარია თუ ღვთისაშვილი, ის იყო იმ ღამეს თებროსთან, თვალი რომ ამარიდეს და მიიმალნენ... მერე კიდევ ღამე რომ დაბორიალებდა... მე კი... რა გავიფიქრე?! აზრი აღარ დაასრულა და შესძახა „თებრო, თებრო“. ქალმა წყლის ჭურჭელი მიწაზე დაუშვა, ძახილზე მოიხედა, სახე ხელით დაიჩრდილა:

— თქვენა ხართ? ახლავე მოგართმევთ საუზმეს, — ისევ დაავლო ხელი წყალს, მაგრამ სიმონმა აღარ აცალა:

— არა, საუზმე არ მინდა, აქ მოდი ახლავე, საქმე მაქვს!

თებრომ წყალი შეიტანა სახლში და მალე ჩვეულებრივი ლაღი ღიმილით შეაღო კარი მმართველის ოთახში.

— თებრო, ის მამაკაცი აქ რომ დავინახე იმ ღამეს, ამ რამდენიმე დღის წინათ, იგი ავთანდილ ღვთისაშვილი, თუ ხვთისავარი იყო, არა?

ქალს წამსვე შეეცვალა ნირი.

— ვინ ღვთისავარი, არ მესმის! — და უკანაც კი დაიხია, ფეიქრთალმა.

— ეჰ კარგი, ნუღარ თვალთმაქცობ! ეს ჭა, ცოკოლი მან გაგიკეთა, არა? აკი ცაშინვე მიიმალენით.

— როდის, რასა ბრძანებთ, ვინა? — აკი მოგახსენებდით, ჩემი ქმარი ქალაქში გავამგზავრე-თქო, მანვე მოძიტანა... — და წამსვე ენაზე იკბინა.

— ცემენტი არა? ცემენტი! — სიმონს უცებ ისე გაეხარდა, თითქოს დიდი ხნის დაკარგული საუნჯე იპოვნა.

„აკი ცემენტზე ამეკიდა ეგ აზრი, როგორ მაშინვე ვერ გამოვიცან?“—და დედაკაცს მიმართა, — კარგი, მაგას სათანადო ორგანო გამოარკვევს, მაგრამ შენი ქმარი, ნუთუ ესტატეც?

— არა, ტატე რა შუაშია, იგი სულაც არ ერევა ჩემს საქმეებში, — აქაქანდა ქალი, — რასა ბრძანებთ, რა გაიფიქრეთ?

სიმონმა საუბარი შესწყვიტა, იგი დარწმუნებული იყო, რომ ინტუიცია არ ატყუებდა. გამორკვევა არც ისე ძნელი იქნებოდა.

თებროს ქაქანმა კარგი ხანია, რაც გამოაღვიძა პროფესორი. იგი საწოლში წამომჯდარიყო და ნამძინარევი თვალებით გაოცებით შესცქეროდა გაუგებარ სცენას.

— ა, ა, ბოდიში გაგაღვიძე—მოაგონდა სტუმარი სიმონს, — მაპატიე, ჩემო კარგო, აქ ისეთი საქმე, ისეთი ამბავი ირკვევა... მე ახლავე უნდა წავიდე, აი საყავე, თვითონ ძოიხარშე, აქ ყველაფერია, ისაუზმე და...

— არა, არავითარი საუზმე, — წამოდგა პროფესორი — და საათს დაჰხედა — ეშმამ წაიღოს, დამგვიანებია, მანქანას თუ მომცემ, 11 საათზე ლექცია მაქვს უნივერსიტეტში.

— ახლავე, ახლავე გამოგიგზავნი,— ჩქარობდა სიმონი,—მანამ კი ისაუზმე, აი პირსაბანი, ყველაფერი იქ არის- და წესიერად არც კი გამომშვიდობებია სტუმარს ისე გავარდა გარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებრო ქაქანით მისდევდა მაგრამ სიმონმა ყური აღარ ათხოვა. იგი ფართო ნაბიჯით მიიჩქაროდა სამმართველოში.

„კარგი ამბავია, — ფიქრობდა გზად, აქ, ჩემსავე სახლში ასეთი ტაციობა გაუმართავთ!.. ნეტავი თვალები სადა მქონდა? ის ავთანდილი, თებრო... ესტატე, ეტყობა უძალიანდებოდა, — მიტომაც მესმოდა იმ დღეს მისი ბუზღუნი. მე კი... მართლაც გამოშტერებული ბებერი!.. მაშ ავთანდილ ღვთისოშვილი! აკი ტყუილად არ დაქროდა ერთი ბრიგადიდან მეორეში. დაიცა, ის მავთულის ქურდობა რომ იყო ელექტროსადგურზე? ნეტავი მაშინ სად მოღვაწეობდა ეს ღვთისაშვილი თუ ღვთისავარი, — ეშმაკმაც კი წაიღოს!

ეს ავთანდილი მეხსიერებაში ჩარჩა ქვლივიძეს, რადგან მეტად ხშირად ხვდებოდა რომლებსაც მუდამ თვითონვე ამოწმებდა მშენებლობის უფროსი

— კიდევ ავთანდილ ღვთისოშვილი? — ეტყოდა სიმონი კადრების სექტორის გამგეს.

— კიდევ, ამხანაგო ქვლივიძე.

— ეს ისევ ის არის, თუ სხვაა ვინმე?

— ისევ ის.

— მერე, ასეთი დაუდეგარი კაცი რად გინდათ?

— რა ვუყოთ, ამხანაგო ქვლივიძე, ახალი მშენებლობა, მუშა ხელის ნაკლებობას განვიცდით, ისე კი წესიერი კაცი უნდა იყოს. რაღაც ოჯახური საქმეები აქვს მოუწყობელი, ამიტომაც გარბის, ვფიქრობ შემოგვეჩვევა, გამოსწორდება.

— კარგი ვაჟკაცია?

— ერთი ახმახი ვინმეა.

— ავთანდილ ღვთისოშვილი — ეს ხუმრობა ვინმე არ უნდა იყოს — იტყოდა ქვლივიძე.

გაიელვიდა ორიოდე კვირა და კიდევ ეს ავთანდილი შემოხვდებოდა უკვე სხვა სიაში.

— მიჩვენეთ მაინც ეგ თქვენი ღვთისოშვილი — უთხრა ერთხელ ქვლივიძემ.

მართლაც და რაღაც ახმახი გამოდგა, თმა აბურძგვნილი, გრძელი, მძლავრი ხელებით.

— მაშ შენა ხარ ავთანდილ ხვთისოშვილი? — მიმართა უფროსმა.

— დიახ, ბატონო, მე გახლავართ.

— მერე და რად არ დგები ერთ ადგილას?

— რა მოგახსენოთ, ოჯახური პირობები, — დაიწყო ღვთისოშვილმა — და აღარ დაამთავრა, თავის მძლავრ, ბუსუსებიან ხელებს დახედა, თვალი აარიდა უფროსს. იმთავითვე არ მოეწონა სიმონს ეს, თითქო გაზეპირებული პასუხი.

„აქ, ჩემს ცხვირის წინ ასეთი მტაცებლობა, — ვერ ისვენებდა იგი. ერთი ღა უნდა შევიტყო,—გვირაბის მშენებლობაზე თუ მუშაობდა ის არამზადა ამ ბოლო დროს. და მერე თებრო თუ არა, ტატე ადვილად გამოტყდება“.

*

* *

ლაბორატორიის ცნობამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. თვით სერგო თენეიშვილი არ მოელოდა ასეთ ეფექტს. გაგზავნილი ცემენტის მარკა გამოდგა არა 400 როგორც უნდა ყოფილიყო, როგორც ამას თენეიშვილის მეთოდი მოითხოვდა; არამედ 150 მარკის. ეს სრულებით გაუგებარი იყო.

წიგნაძე, რომელიც, როგორც სამუშაოს მწარმოებელი პასუხს აგებდა ბეტონის შემადგენელ ნაწილების ხარისხისათვის, გააფთრებით ამტკიცებდა, რომ ეს შეუძლებელიაო, რომ ლაბორატორია შეცდა, რომ ამავე ლაბორატორიის ანალიზით იგივე ცემენტი 400 მარკიანად იყო დადასტურებული. ცემენტი იმავ კასრში, მშრალ და სუფთა საწყობში ინახებოდა, რა უნდა მოსვლოდა მასო?

სიმონ ქვლივიძემ კვლავ მოიწვია კომისია. სხდომის დაწყებამდე კი კადრების სექტორის უფროსი გამოიძახა და ეს უკანასკნელი მეტად არეული გამოვიდა უფროსის კაბინეტიდან. მაგრამ არა თუ იგი, ყველა კომისიის წევრი საკმაოდ უხერხულად გრძნობდა თავს.

— ჩვენ იმ ცნობებზე ვეყრდნობოდით, რაიც წარმოებამ მოგვცა, — განა რა ვიცოდით, თუ...

— მერე რად არ იცოდით, რად არ შეიტყეთ? თქვენი მოვალეობა არ იყო ზედმიწევნით შეგესწავლათ ყველა მასალა? და განა ამხანაგ სიჭინავას რომ არ მიექცია ჩვენი ყურადღება ცემენტისადმი და ეჭვი არ შეეტანა მის მაღალ ხარისხოვნებაში, ეს ახალი საქმე ასე ადვილად უნდა ჩაშლილიყო?

წიგნაძე მაინც ვერ ურიგდებოდა ამ ამბავს:

— შეუძლებელია, მე მაინც ვფიქრობ, რომ ლაბორატორია შეცდა. განა, რა უნდა მოსვლოდა ცემენტს, რომელიც მშვენივრად დაცულია, მშრალ და სუფთა საწყობში. იგი ან წინათ არ ყოფილა 400 მარკის ან ახლა არ არის 150-ის.

— ამხანაგო წიგნაძე, — მიმართა მას უფროსმა,—გყავთ თუ არა თქვენს წარმოებაში ვინმე ღვთისოშვილი, ერთი ახმახი შუახნის კაცი.

— ღვთისოშვილი, — არა, არ უნდა მყავდეს ახლა...

— მაგრამ გყავდათ?

— მგონი მყავდა, მაგრამ არ მესმის რა კავშირი აქვს ამ საკითხთან? — დაიბნა წიგნაძე.

— ძალიან დიდი კავშირი. ის წინათ, მგონი ელექტროსადგურში მუშაობდა და სწორედ იმ დროს, როცა იქ სრულებით გაუგებრად მავთული დააკლდათ, მერე კი სამნეო ნაწილში იყო შტვირთავად და იმ ხანებში ჩვენი მუშები საპნის ნაკლულოვანებას სჩივოდნენ. ეს ავთანდილ ღვთისოშვილი თქვენ იმდენად მოგეწონათ, რომ ბრიგადირადაც კი გააწესეთ. მაგ ღვთისოშვილს მეტად მჭიდრო კავშირი ჰქონდა ჩვენი დარაჯის ოჯახთან და სწორედ გვირაბის დაბეტონების დროს ჩვენი ტატეს კარმიდამო ლამაზად კოპწიავდებოდა და არა თუ მარტო ცემენტი, მე ვფიქრობ, რომ ქვიშა, სილა და სხვა მასალაც იზიდებოდა იქ, და შეიძლება კიდევ სხვაგან, რაიც ჯერჯერობით გამორკვეული არ არის. ავთანდილ ღვთისოშვილი ახლა ჩვენს მშენებლობაზე აღარ არის, მან უკანასკნელი თავისი საქმე შეასრულა და დროებით გაჰქრა „ოჯახური პირობების გამო". ჩქარა ალბათ ისევ გამოცხადდება. იგი ქურდი იყო, ამხანაგო წიგნაძე, და თქვენს თვალწინ გაჰქონდა მასალები...

ყველა გაოცებით შესცქეროდა უფროსს. როგორ, მაშ საქმე უბრალო ქურდობით იხსნებოდა, მაგრამ ცემენტის მარკა?

— მე რა ვიცოდი, თუ იგი ქურდი იყო... — წაილუღლუღა ნირწამხდარმა წიგნაძემ და უცებ გამოცოცხლდა, — მაგრამ თუ იგი ქურდობდა, რალა იმ მაღალხარისხოვან ცემენტს დაეწაფა, რომელიც საწყობში ჩაკეტილი და დაცული იყო, ისე რომ დღისით, მუშაობის დროს ვერც კი მოახერხებდა მის გატანას, ამისთვის გასაღები, მოკავშირეები და მთელი ამბავი დასჭირდებოდა, როცა აგერ ეზოში, უბრალო საფენს ქვეშ უამრავი ცემენტი იყო.

— ეს ალბათ იმიტომ — გამოეხმაურა კომისიის თავმჯდომარე, რომელიც საკმაოდ დარცხვენილად გრძნობდა თავს შეცდომისათვის, — რომ იქ, სადაც მაღალი ხარისხის ცემენტი ერთი ტომარა საკმარისია, იქ დაბალი ხარისხის ორი, სამი და ოთხი ტომარა დასჭირდებოდა ქვიშასაც მეტს აიტანს კარგი ცემენტი. თქვენი ქურდი საკმაოდ გამოცდილი მებეტონე ყოფილა, ამხანაგო წიგნაძე. ეგეც არ იყოს ერთი ტომარის გატანა ხომ უფრო ადვილია, ვიდრე ორის.

— ჰო, მაგრამ მაშინ ცემენტი დამაკლდებოდა. ცემენტი კი არ მაკლია, არამედ იგი თითქოს გამოცვლილია. ერთს ამოიღებდა და მის მაგიერ ვითომ სხვას ჩაჰყრიდა? — ვეღარ ერკვეოდა წიგნაძე.

— მაგას სათანადო ორგანო გამოაკვლევს, — შესწყვიტა ქვლივიძემ ეს კამათი, — ერთი კი ცხადია, ჩვენ ვერ მივეცით ამხანაგ თენეიშვილს ის მასალა, რომელიც საჭირო იყო ბეტონისათვის. ამხანაგი თენეიშვილი კი. თავისთავად გასაგებია, ასეთი მასალებით ვერ მოგვცემდა იმ სიმკვრივის ბეტონს, როგორიც საჭიროა ჩვენი გვირაბის გასამაგრებლად. და ამის შედეგად კატასტროფა მოხდა.

მეტი სიფხიზლე, მეტი ყურადღება, მეტი გულისყური. — დაამთავრა ქვლივიძემ, წუთით დაჩუმდა ხელი გადაისვა შუბლზე და სერგოს მიმართა, — ამხანაგო თენეიშვილო, ხვალვე მიიღებთ სათანადო მასალას, საქმეს შეუდექით და იმედი მაქვს, რომ ამას იქით ასეთ ინციდენტებს ადგილი აღარ ექნება. ვფიქრობ საკითხი ამოწურულია. სურს კიდევ ვინმეს სიტყვა? — შეეკითხა კრებას სიმონი.

— ბოდიში, ამხანაგო ქვლივიძე. თუ ნებას დამრთავთ?—წამოდგა სერგო.

სიმონმა თავი დაუქნია და სერგომ ცოტა უხერხულად, ისე რომ ვერ გაარკვევდით სიტყვის გამოთქმა უჭირდა თუ ჯერ კიდევ მერყეობდა, დაიწყო:

— მე... მარტო ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა, ამხანაგმა ქვლივიძემ მარტო მე. არ მომმართა საყვედურით, მე კი... ვფიქრობ, რომ ჩემის აზრით... მე მიმიძღვის ყველაზე მეტი დანაშაული. მე... უკვე რამდენიმე ხანია, რაც შევნიშნე, რომ საქმე რიგზე არ იყო, მინდოდა კიდეც მეთქვა ამხანაგ ქვლივიძესათვის, და მაშინვე რომ განგაში ამეტეხა, უსათუოდ ნაკლები ზიანი მოგვიგიდოდა, მაგრამ... — სერგომ სული მოითქვა, თვალი გაუსწორა სიმონ ქვლივიძეს და მტკიცედ დაასკვნა: — მაგრამ ზოგიერთი პირადი ამბების გამო ბოლომდე ვერ მივყევი საქმეს. ამხანაგი ქვლივიძე იყო კიდეც იმ ხანებში ჩვენთან გვირაბის მშენებლობაზე, შემეკითხა კიდეც, მაგრამ მე... არ გაუზიარე ჩემი ეჭვები. ეს დიდი დანაშაულია ჩემს მხრივ. მე ვაღიარებ ამას. საჭიროა მეტი სიფხიზლე, მეტი ყურადღება, ყოველივე პირადი, საკუთარი განცდების უკუგდება და მაშინ უსათუოდ მუდამ გამარჯვებულნი ვიქნებით და ისე დაიბოლავებთ ამ საქმეს, როგორც ნამდვილ, უმწიკვლო ბოლშევიკებს შეეფერება. მე ეს მინდოდა მეთქვა... სხვა არაფერი.

ყველამ ისე მიიღო სერგოს გამოსვლა, როგორც ჩვეულებრივი პატიოსანი თვითკრიტიკული განცხადება, აღიარება თავისი დანაშაულისა. ის პირადი ამბები ხომ, ალბათ, მისი ავადმყოფობა იყო, რამაც ხელი შეუშალა დროულად მიეღო ზომები. მარტო სიმონ ქვლივიძე მიუხვდა, რას გულისხმობდა სერგო, რადგან წამსვე მოაგონდა მათი შეხვედრა იქ, გვირაბთან. მიუხვდა და კიდევ ერთხელ იგრძნო თავისი და არა სერგოს დანაშაული.

კრება დაიშალა. მოუსვენარი თინა უმალვე სერგოს გვერდით გაჩნდა.

— უნდა მოგილოცო, უნდა მოგილოცო, სერგო, გენაცვალე, — და სრულებით მოულოდნელად გადაეხვია და გადაჰკოცნა ვაჟი.

— აბა, ახლა კი წავიდეთ! — ხელი გაუყარა და წამსვე ჩამოაშორა მობაუბრეთ, — ჩქარა, ჩქარა, არ იცი, ქალი გადარეულია ლოდინით.

სერგო შეეცადა ხუმრობაში ჩაეტარებინა აშარი გოგონას სიტყვები.

— რის ლოდინი, ვინ ქალი, რა ამბავში ხარ, თინა?

— კარგი ერთი და, ვითომ არ იცი, რომ თამარი ჭკუაზე აღარ იყო ამ დღეებში, ჯერ ეს გვირაბის ამბავი, მერე შენი ავადმყოფობა.

სერგომ მიმოიხედა და რა შენიშნა, რომ უკვე მარტონი იყვნენ, სერიოზულად შეესიტყვა:

— თინა, ძალიან გთხოვ, ასეთ ლაპარაკს თავი დაანებე. ხუმრობა ხუმრობაა, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. შენ კარგად იცი, რომ მე და თამარი ძველი მეგობრები ვართ, და რა თქმა უნდა ჩემი უბედურება მას ეწყინებოდა ისე, როგორც ყველა მეგობარს. დროა ეგ ბავშვობა მოიშალო, რად იცი ასეთი გაზვიადება!

— კარგი ერთი და, წავიდეთ, ხომ იცი როგორ გაეხარდება.

— არ შემიძლიან, დღეს არა მცალიან, პარტიული სხდომა მაქვს, — მოუჭრა სერგომ და უმალვე, პარტბიუროს მდივანი რომ დაინახა, შესძახა:

— თენგიზ, თენგიზ, დაიცა!

— ა, სერგო სად გაჰქრი, კაცო, თინამ მოგიტაცა? — გაეხუმრა მდივანი.

— ო, მოვიტაცე, ჩვენ სტუმრად მივდივართ.

— არა, თინა, შენ წადი, მე ახლა არა მცალიან, ბიუროს სხდომა მაქვს — კიდევ ერთხელ გაიბრძოლა სერგომ.

— რათა, — ჩაერია მდივანი, — მშვენივრად შეგიძლიან წახვიდე. სხდომა გვიან საღამოს დავნიშნეთ, მანამდე ხომ თავისუფალი ხარ, — და იგი უკანვე შებრუნდა სამმართველოში.

— აი ხომ ხედავ, — გათამამდა თინა, — წამო, ხომ იცი როგორ გაეხარდება თამარს. პირდაპირ ჭკუაზე...

— თინა,—შესძახა სერგომ, — რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილო!

— ო, კარგი, აღარაფერს გეტყვი. ვიცი, რომ თქვენ მარტო მეგობრები ხართ. ჰო და, ახლა გთხოვ წავიდეთ ჩვენს საერთო მეგობართან თამარ ნებიერიძესთან, რადგან ხომ იცი, რომ მას მეტად აინტერესებს ჩვენი, ჩვენი საერთოდ და არა თქვენი საქმე, ვფიქრობ, რომ აქ არაფერია სათაკილო. მით უმეტეს, რომ ჩვენ, ჩვენ ორთავე და არა მარტო თქვენ, ყმაწვილო, არა ერთხელ ვყოფილვართ იქ.—თინამ მაგრად ჩასჭიდა ხელი სერგოს, რომელიც საგრძნობლად ეურჩებოდა, პასუხის გაცემა აღარ აცალა და ცხარე ტონით ჩასძახა:

— იცოდე, თუ არ წამოხვალ, ხვალვე მთელ სამმართველოს მოვდებ, რომ თქვენ შეყვარებულები ხართ, რომ მხოლოდ ამ ბოლო დროს რაღაც მოხდა და შენ, გესმის შენ, და არა თამარი განზე გადექი, მიატოვე იგი. ეს უარესი არ იქნება?

რაღა გზა იყო, სერგო დანებდა.

— მით უფრო,—ატიტინდა ისევ თავისებურად თინა,—რომ თამარმა დღეს ამანათი მიიღო შინიდან. ერთი დედა მისის გაკეთებული ნამცხვარი ვიგემოთ, — მგონი თქვენ არა ერთხელ მიგირთმევიათ ქალბატონ სალომეს ნამცხვრები, აგრეთვე ხაჭაპურები. ნულარ მეურჩები. სულერთია არ გაგიშვებ, სერგო, — დაასრულა თინამ ჯიუტად და ისეთი გადაწყვეტილებით, რომ სერგოს აღარა დარჩენოდა რა.

— რა გაეწყობა, ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო — მაინც შენისთანას ვინ გაუძლებს, მიკვირს, თინა, რად არ თხოვდები. ნუ თუ ჯერ არავინ მოგწონებია და თუ მოგეწონა, ვის შეეძლო, რომ შენ სურვილს არ აჰყოლოდა?

— ეჰ, ჩემო კარგო, — მოიწყინა უცებ თინამ. — სხვის საქმეში ვარ გმირი და რაინდი, თორემ, ჩემისთანა მხდალი და გაუბედავი მგონი დუნიაზე ქალი არ მოიძებნება. ისე დამებმება ენა, რომ სიტყვას ვერ დავძრავ. აბა, სხვისი საქმეა ადვილი, თორემ საკუთარი...

ერთი რამ აწუხებდა სერგოს, არ მიეღო მისი მისვლა თამარს ისე, თითქო სერგო, რომელიც უკვე რამდენი ხანია მასთან არ ყოფილა, ძველის განახლების იმედით მოვიდა დღეს აქ. მაგრამ, ეს ცრუ თავმოყვარეობაა — წამსვე დატუქსა თავი სერგომ და შეეცადა, რაც შეიძლებოდა უზრუნველი და მხიარული იერი მიეღო.

თინამ მისვლისთანავე გამოაცხადა:

— ძლივს მოვათრიე ეს ჯიუტი. წარმოიდგინე, რახან მისი მეთოდი დაუმტკიცეს, ისე გადიდგულდა, რომ ძველ მეგობრებს აღარც კი კადრულობს — ამით ძალამო მოსცხო ორთავეს თავმოყვარეობას და შემდეგ დაუყონებლივ მიუჯდა მაგიდას და ვიდრე თამარი და სერგო გვირაბის ამბებს მოუნდნენ, თინა ისე ჩინებულად შეექცა სალომეს სახელგანთქმულ ნაირ-ნაირ ნამცხვრებს, რომ წამსვე გაანადგურა ყველაფერი. შემდეგ წამოდგა, თვალი მოავლო სუფრას და გამოაცხადა:

— მეტი აღარ მინდა.

— რაღა გენდომება, შე ქალო, აღარაფერი გადაგირჩა! — გაეხუმრა სერგო.

— მართლაც, — მოიწყინა თინამ,— მით უფრო დროა წავიდე. მშვიდობით, ჩემო კარგებო. არ გაბედო და არ გამომყვე სერგო, თორემ ხომ იცი ჩემი პირობა. „ხვალვე მთელ სამმართველოს“...

გარეთ გავარდა და ვერ მოითმინა, რომ კარებიდან არ შემოეძახნა.

— კარგით ახლა, გაათავეთ ეს ბუტიაობა — ბავშვები ხომ არა ხართ! — და გაუჩინარდა.

სერგომ შემოსვლისთანავე იგრძნო რომ რაღაც უნდა მომხდარიყო დღეს, უკანასკნელი სიტყვა თქმულიყო? მით უფრო კარგი, როდესმე ხომ უნდა ითქვას იგი. მან კიდევ ერთხელ ჩაიხედა თავის სულში, როგორც მხედართმთავარი დაათვალიერებს თავის ჯარს გადამწყვეტი ბრძოლის წინ — დაათვალიერა, ძალა მოიკრიბა, და დარჩა.

მაგრამ გავიდა თუ არა თინა, თამარი წამსვე მოუბრუნდა მას და უცებ გამოცვლილი სახით, მღელვარებით მიმართა:

— სერგო, ჩვენ მართლაც ბავშვები აღარა ვართ. სერგო, მე მინდა ვითხრა, რომ... დაიცა! ნურაფერს მეტყვი. მე მეგონა, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ შენ აღარ გიყვარვარ და...

სერგო წამსვე გამოიცვალა, მაშ მართლაც უკანასკნელი სიტყვა თქმულიყო ეს? კეთილი, მეც მზად ვარ, — გაიფიქრა მან.

— და ამიტომ შეიყვარე სხვა, არა? თამარ, ჩემო კარგო, შენ მაინც ბავშვი ხარ. ასეთი ამბები არც ისე მარტივად ხდება, როგორც შენ გეჩვენება.

— სერგო!

— მე არ მინდა მაგაზე საუბარი. გთხოვ, თამარ შესწყვიტო.

— სერგო, იცოდე სერგო... ნუ თუ შენ ფიქრობ, რომ მე, სერგო...

„ნუ თუ“—გაიფიქრა სერგომ და გული უცებ სიხარულით აევსო. მაგრამ არა.—კიდევ მოტყუება, კიდევ იმედის გაცრუება—არა, მეორედ ვეღარ აიტანს ამას.

სერგო თენეიშვილი ჯერ ისე არ დაძაბუნებულა, ისე არ წამხდარა. რომ თავს ვერ მოუაროს. მას ხომ ახსოვდა თამარის ანთებული სახე, როცა იგი სიმონ ქელეფიძეს უსმენდა, უცქერდა, ესაუბრებოდა.

— სერგო,—კიდევ ერთხელ დაიწყო ქალმა.

სერგომ თავი ასწია.

— მომისმინე, თამარ. შენ შესანიშნავი, კეთილი და პატიოსანი ქალი ხარ. მე მუდამ მეყვარები, როგორც უახლოესი ჩემი მეგობარი, როგორც უშესანიშნავესი ქალი. შენი ხსოვნა არასდროს არ წარიშლება ჩემს გულში. მაგრამ...

— სერგო, შენ ცდები. თუ შენ აღარ გიყვარვარ — ეს სხვაა. მე ვიცი, რომ დამნაშავე ვარ შენთან, მეტად დამნაშავე, მაგრამ თუ შენ ოდესმე მოგიბრუნდება ჩემზე გული...

— არა, თამარ, მომისმინე, — შეაწყვეტინა სერგომ, — დროა ყველაფერი ითქვას. ჩვენ ოდესღაც გვიყვარდა ერთიმეორე. ვინ იცის, მაშინ რომ შევერთებულიყავით, იქნებ მართლა კარგად შევთვისებოდით ერთმანეთს და კარგი ოჯახიც შეგვექმნა. მაგრამ ეს

არ მოხდა. დიდი ამბები დატრიალდა: ჩვენ ოთხი წლით დავშორდით ერთი მეორეს. ოთხი წელი — ეს დიდი დროა თამარ...

— ო, სერგო, შენ თუ ფიქრობ... მე ისე გელოდებოდი შენ...

— ვიცი, ვიცი, თამარ, ვიცი რომ მელოდი, რომ გიყვარდი მაშინ. ან გეგონა, რომ გიყვარდი. დამაცადე, მაგრამ ოთხი წელი მაინც დიდი დროა და საგრძნობლად სცვლის ადამიანს, მით უმეტეს ასეთ ახალგაზრდებს, შენ ხომ სულ ბავშვი იყავი მაშინ, თამარ, მე კი, მე მართალია ასაკით აღარ ვიყავი ბავშვი, მაგრამ რა მესმოდა ამ ქვეყნისა? მერე ჩვენ ოთხი წლით გაგვთიშა ომმა და ამ ოთხ წელიწადში მრავალი შეიცვალა. შენ ის აღარა ხარ, თამარ, რაც იყავი. შენ ახლა ისე დაუფიქრებლად, ანაზდად ვერ აგიყოლიებს სხვისი სურვილი. მეც ის აღარა ვარ, რაც ვიყავი. ამ წლებმა და ომმა ბევრი რამ მასწავლა. ჩვენ ორთავე გამოვიცვალეთ. მოიგონე ჩვენი შეხვედრა ომის შემდეგ, განა ჩვენ ისეთები ვიყავით, როგორც გაშორების დროს! განა ჩვენ ასე წარმოგვედგინა ჩვენი შეხვედრა? ჩვენ რომ ისეთნივე ვყოფილიყავით, წამსვე გავიქცეოდით მმაჩში და ცოლქმრობაზე ხელს მოვაწერდით, მაგრამ ჩვენ არ მოვიქეცით ასე...

— ახ, ეს ხომ იმიტომ მოხდა, რომ შენ, შენ იყავი წინააღმდეგი, მოიგონე, სერგო!

— მართალია და კარგადაც მოვიქეცი, რადგან ვგრძნობდი, რომ ეს შეცდომა იქნებოდა, რომ შენ უფრო შენი პირობის შესრულების მოვალეობა გამოქმედებდა, ვიდრე ნამდვილი სურვილი. რადგან ვიცოდი, რომ ოთხი წლის დაშორების შემდეგ ჩვენ კვლავ უნდა გაგვეცნო ერთიმეორე, შეგვეტყო, გაგვეგო, დარჩა თუ არა ის გრძნობა ისევ საღი და შეუცვლელი. მე შენ გიფრთხილდებოდი, თამარ, თორემ ჩემთვის ხომ შენი სიყვარული, ამ მრისხანე, ოთხი წლის შემდეგ უდიდესი ბედნიერება იქნებოდა. მაგრამ ვიმეორებ, მე შენზე გამოცდილი, გამობრძმედილი ვიყავი, ვგრძნობდი, რომ ეს შეცდომა იქნებოდა და თავი შევიკავე, მართალიც ვყოფილვარ, რადგან იმ დღიდან ჩვენ სულ უფროდაუფრო ვშორდებოდით ერთიმეორეს. ჩვენ უნდა დავშორდეთ ერთიმეორეს. დავშორდით კიდეც.

— არა, სერგო, შენ ცდები, დამიჯერე. არც მე ვარ ბავშვი. არ არის საჭირო ეს ძალდატანება, დამიჯერე, სერგო — თამარს სულ უფრო და უფრო ეკვრებოდა სუნთქვა თითქოს რაღაც ებჯინებოდა ყელში.

ძალდატანებაო, — სერგო აიმღვრა. ნუთუ აქამდე ვერ დაარწმუნა, რომ მას მართლაც აღარ ჰქონდა თამარის სიყვარული, ნუ თუ მაინც ფიქრობს...

— არავითარი ძალდატანება. სიყვარული გაჰქრა. მას ველარ მოვიყვანთ. ჩვენ დიდი ხანია, რაც უცხონი ვართ,— ოდნავ ტლანქად მოუჭრა სერგომ. მაგრამ წამსვე სინანული იგრძნო, რადგან თამარმა ისე სუსტად ამოსთქვა „სერგო“ და ისეთი თვალებით შეჰყურებდა, რომ სერგოს უცებ ის საშინელი დღე მოაგონდა, როცა იგი იმედგატეხილი გვირაბიდან მიდიოდა, როცა პირველად დარწმუნდა თავისი საქმის მარცხში და იმ სასოწარკვეთის დროს თამარის ნაზი, მოსიყვარულე სახე წარმოუდგა თვალწინ.

„მას ხომ ვუყვარდი ოდესღაც“, გაიფიქრა სერგომ, და მართლაც მეგობრული, ულმწიკვლო გრძნობით გამთბარმა, თამარის ხელი აიღო, თბილად ჩახედა თვალებში და უთხრა:

— იცოდე, თამარ, შენ მუდამ უწმინდესი ხსოვნა გექნება ჩემს გულში. შენ ბაათბე და გაალვიძე ჩემში ადამიანი, მე მუდამ მადლიერი, მუდამ შენი პატივისმცემი, მუდამ შენი თაყვანისმცემელი ვიქნები. მშვიდობით, თამარ.

— ნუ წახვალ, სერგო, — ერთხელ კიდევ ამოსთქვა ქალმა.

— არა, თამარ, მე უნდა წავიდე. ეს უმჯობესია ჩემთვისაც და შენთვისაც.

რაც აღარ არის, იმას ძალით ვერ შევქმნით.

თამარმა თავი გადაიქნია, ძალა მოიკრიბა და სერიოზულად უთხრა:

— კარგი, რახან ასეა. წადი. ოღონდ იცოდე, მე გადაწყვეტილი მქონდა დღესვე წავსულიყავ აქედან.

სერგომ გაოცებით შეხედა — წასულიყო? რადა?

— აი — განცხადება დავსწერე კიდეც. ჩემი არხი ხომ დამთავრებულია. ჯერ შვებულებას ვითხოვ და შემდეგ... ერთი სიტყვით, მივდივარ. მაგრამ რახან აგრეა, მე აღარ წავალ. მე აქ ვრჩები, ვიდრე შენ მოათავებ შენს საქმეს. მე... არაფერს არ გავალებ ამით. მე აქ ვრჩები, შენ თვითონ ნახავ... და როცა შენ განთავისუფლდები... იცოდე რომ მე მარტო შენ მიყვარდი და მიყვარხარ, ოღონ თუ შენ მართლაც...

სერგოს მთელი სხეული, ყოველი ნაკვთი ძლიერი სიხარულით აინთო... მაგრამ არა, — მან კიდევ ერთხელ მოიკრიბა ძალა და ისევ ისე მშვიდად უპასუხა:

— არ არის საჭირო, თამარ, დამიჯერე.. საქმე ის კი არ არის, ვის ვინ უყვარს. საქმე ის არის, ვინ როგორ შრომობს, ვის და სად შეუძლიან მეტი სარგებლობა მოიტანოს. შენ ხომ შესანიშნავად დაეუფლე იმ დიდ საქმეს, რომელიც დაგაკისრეს... მეც გავიმარჯვე... მოდი ნულარ დავჩრდილავთ ამ სიხარულს... ვიშრომოთ და ბედნიერებაც მოვა...

— ჰო, ბედნიერებაც მოვა — უპასუხა თამარმა.

სერგო აღარ ჩაუღრმავდა იმას, თუ რა აზრით სთქვა ეგ თამარმა, ხელი ჩამოართვა და თბილად გამოეთხოვა:

— მაშ, მშვიდობით...

— მშვიდობით!

არც სერგოს და მით უფრო, თამარს არ სჯეროდათ, რომ ეს „მშვიდობით" მართლაც საბოლოო გამოთხოვების ნიშანი იყო. არც სჯეროდათ და მაინც ორთავეს ატკინა გული ამ სიტყვამ.

სერგო წავიდა, ხოლო თამარი მაგიდას მიუჯდა. საწერ-კალამი და ქაღალდი მოიმარჯვა, სამმართველოსათვის გამზადებული განცხადება გადაიკითხა, თვალი მმართველის სახელწოდებაზე შეაჩერა. მერე ნელა გადახია განცხადება, კალამი აიღო და ჩაფიქრდა.

ისედაც გატეხილი ღამე თეთრად გათენა, ხოლო მეორე დღეს სიმონ ქვლივიძემ მოკლე ბარათი მიიღო. აი მისი შინაარსი:

„მაპატიეთ. მე ძალიან დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე. თუ თქვენ არ გესიამოვნებათ ჩემი აქ ყოფნა, გამათავისუფლეთ. მე დღესვე მოგართმევთ განცხადებას".

სიმონმა ჩაიცინა მხოლოდ. და რაღა თქმა უნდა, უშედეგოდ დასტოვა იგი.

— თვითონვე მიდის და მაინც ცდილობს, მევე დამდოს ბრალი! — გაიფიქრა და საქმეს მიჰყო ხელი.

მეორე დღეს თინა აღტაცებული შევარდა სასადილოში და პირდაპირ სერგოსთან მიიჭრა:

— გაიგე? ყველაფერი გამოირკვა, ახლა ვნახე თენგიზი. დარაჯი გუშინვე გამოტეხილა. საბრალო მოხუცი თავს იკლავს თურმე. იმ უშნო ღვთისაშვილს შეუცდენია. ცოტა ცემენტს წავიღებო, სულ ცოტასო და როცა ტატე გაბრაზებულა, რომ ბევრი გაუტანია, ის უვარგისი ცემენტი შეუტანია და ჩაუყრია კასრში, „ჰა დამშვიდდი, ახლა ხომ აღარ დაგაკლდებაო!" ტატე პირში წასდგომია თებროს, აკი ვამბობდი, აკი არ განებებდით და მაინც შემაცდინეთო, აბა რას იფიქრებდა, რომ ასეთი შედეგი მოჰყვებოდა.

— რას ამბობ? — გაოცდა სერგო, — ახლავე წავალ ბიურომი, — და იგი ზეზე წამოიჭრა.

— არა, არა, — შეაჩერა თინამ. — იქ არავინ არ არის, თენგიზიც აქ მოდის, გზად შემომხვდა.

ის იყო მდივანიც შემოვიდა დარბაზში.

— აბა, სერგო, რას იტყვი? ახლა ხომ გამოირკვა, როგორ გაჩნდა ის დაბალი ხარისხის ცემენტი, წიგნაძე ხომ იძახდა შეუძლებელიაო!

— ის ოხერი ღვთისოშვილი ხომ გაიქცა, თავს უშველა! — სწუხდა თინა.

— არაფერია, სად წავა? — ამშვიდებდა მდივანი. — კიდევ კარგი, რომ ტატემ, მიუხედავად მისი შეცდომისა, იმდენი გამბედაობა გამოიჩინა, რომ დროით შეგვატყობინა სინამდვილე.

ეპილოგი

მოსკოვის ექსპრესის ერთ-ერთ საერთაშორისო ვაგონში სერგო და თამარი ისხდნენ. სერგო ჩვეულებრივზე უფრო დადინჯებული, მშვიდი სჩანდა. თამარის ლამაზ სახეზე ბედნიერება და კმაყოფილება კრთოდა.

მრავალი გამცილებელი მოვიდა სადგურზე. მშობლები, — დედა, რომელიც ბოლოს შეურიგდა მათ შეუღლებას და ახლა ცრემლმორეული დარიგებებით და თავისი ნამცხვარ-ნამწვარით ავსებდა კუპეს, კმაყოფილი, მუდამ ცოცხალი და კეთილი მამა, ძმები, მეგობრები, თინა ხომ სიხარულით აღარ იყო, რომ ასე ბედნიერად დასრულდა მათი ამბავი.

იგი ბავშვივით ცქმუტავდა, ადგილზე ველარ დგებოდა, აღარ იცოდა რა მოემოქმედნა.

— აბა თქვენ იცით, როგორ იმგზავრებთ—გასძახოდა მიმავალთ, — სერგო, იქიდან უნდა ჩამომიყვანო საქმრო, იცოდე თორემ აქ ვატყობ ჩემი საქმე წასულია.

— უსათუოდ, თინა, ვალად დამიდვია შენი გათხოვება, — ეხუმრებოდა სერგო — ისეთი ვაჟკაცი ამოგირჩიო— უკეთესი თვალმა ვერ ნახოს.

პროფესორი ქილარჯიშვილიც აქ იყო. ოღონდ სიმონ ქვლივიძე არ ჩანდა. იგი არც საზეიმო საღილს დაესწრო ნებიერიძეებისას. მხოლოდ ყვავილებიანი კალათი გამოგზავნა — და საქმით მოიბოდიშა. „თუ არ დამაბრკოლეს, სადგურზე გამოვალო“, — სწერდა მილოცვის წერილში, მაგრამ რაღა თქმა უნდა, რომ არც სადგურზე გამოსულა, რადგან ერიდებოდა ოდნავ მაინც არ დაეჩრდილა ახალგაზრდა ცოლქმარის ბედნიერება.

უკანასკნელი დარიგებანი, კოცნა, გაურკვეველი შეძახილები, ხელსახოცების ფრიალი, მატარებელი სადგურს მოსწყდა.

სერგო და თამარი სდუმდნენ. მაგრამ ცოლ-ქმარის აზრი ერთი და იმავე გზით მიიმართებოდა. ჯერ ორთავეს მათი უკანასკნელი საქმიანობა ედგა თვალწინ. გვირაბის მაღალხარისხოვანი ბეტონით გამაგრება ბრწყინვალედ დასრულდა. სერგომ მაღალი ჯილდო მიიღო. უკვე მრავალი ახალი მშენებლობა ითვისებდა მის მეთოდს. საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა კუთხიდან მოდიოდა წერილები, განცხადებები. სერგო თენეიშვილის მეთოდი ფართო ასპარეზზე გავიდა...

... მერე ორთავეს აზრი ლენინგრადისა, იმ პროფესორსა და მომავალ ოპერაციაზე შეჩერდა. შემდეგ: — როგორ დაბრუნდებიან სამშობლოში. სერგო, რა თქმა უნდა, თავისივე ინსტიტუტს დაუბრუნდება, ხოლო თამარი, თამარი შეიძლება მარტო ოჯახს მოეკიდება და დროებით მაინც ხელს აიღებს სამსახურზე. შემდეგ ისევ მშენებლობა მოაგონდათ, ის მშენებლობა, სადაც მათ საქმეს, ურთიერთობას, მთელ სიცოცხლეს იმდენი განსაცდელი შეემთხვა.

*
* *

იქ კი, შორეულ საქართველოში ერთ-ერთ ახალშენზე გამარჯვებას ზეიმობდნენ.

ჭარბ ელსადგურებს ყოველმხრით გაებათ მძლავრი ქსელები. ახლადაგებული შნოიანი შენობებით დამშვენებულიყო მიდამო.

უკვე წელმაგარ ჭადრების ხეივანში ნელიად მიდიოდა ახოვანი, შესანიშნავი გარეგნობის ჭარმაგი [illegible] თვალს აყოლებდა დამშვენებულ მიდამოს და მის სახეზე კმაყოფილება და სიმშვიდე იყო აღბეჭდილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ჩაჩავა

ჭალარა ხარაზი

★

ჩემს გვერდით ცხოვრობს ერთი ხარატი
არც ჩაჩქანი აქვს, არც მუზარადი,
მაინც რაინდის სახელს ატარებს,
მას ძველ რაინდებს ვერ შევადარებ —
სულ სხვაა მისი სწრაფვა, იერი,
უკვე ჭარმაგი, უკვე ხნიერი
ისევ დაბრუნდა დაზგასთან მაშინ,
როდესაც ომის სისხლსა და ქარში
მამული ჩვენი იკვლევდა გზას და
სჭიროდა მუშა მიწას და დაზგას.
მებრძოლს უყოფდა ჯანსა და ლუკმას,
დროს არ ჰკარგავდა არასდროს უქმად.
— იქნებ ჩემს შვილსაც ერგოსო სადღაც,
ეს ჩემი ჯანი, ეს ჩემი დაზგა.
ისე სასწრაფოდ რანდავდა დეტალს,
თითქოს ხედავდა მებრძოლს და მხედარს,
თითქოს თვითონვე შველოდა იქვე,
მებრძოლს, სანგარში დაწოლილს პირქვე.
გათავდა ომი, დაბრუნდა შვილიც,
ხარატს შეერგო შრომაც და ძილიც.
ხარატი უფრო ჯეელი გახდა,
ახლა სხვას ამბობს ჩემთან და ხალხთან:
— უნდა მოურჩეს მამულს იარა,
უნდა ვიშრომო შვილთან ზიარად,
რომ ჩვენი ქვეყნის ხვავი, ბარაქა
სხვაგანაც ჩანდეს ზღაპრად, არაკად.
აჯობა შვილმა გამოცდილ მამას,
გაუსწრო შვილმა მოხუცს და ჭარმაგს.
კმაყოფილია ხარატი შვილით,
ამაყობს შვილით მოხუცი ტკბილი.
ჩემს გვერდით ახლა ორი ხარატი
ისევე ცხოვრობს, როგორც მანამდი.

———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალეკო ბერძენიშვილი

ლაგვიაში

★

ძმობილი საქართველოსი

ზურმუხტი, ვრცელი ველები
ვერხვების ტევრი, მუხნარი,
ფიჭვები ცათამწვდენები,
მინდვრები გადაუხნავი.
ყვავილნი ჭრელ-ჭრელ ხალიჩად
მდინარისპირად ფენილი,
ზამბახი თეთრი ხალითა —
— ტბებიდან ამოფრენილი;

ზღვა განიერი, დაბალი —
ნაპირით ოქროსფხვიერი,
ტალღა, ბალტიკის ამბავის
მომთხრობი გულისხმიერი.
რაც კი თვალს მოუნატრია,
აქ არის წალკოტ მდელოში,
ლამაზი არის ლატვია —
— ძმობილი საქართველოსი!

მარიულა

★

მარიულა, თაფლისფერი თვალები
დაგეღლება, სულ რომ გასცქერ
ტრამალებს
წამწამები, გიშრის თმაში ნავლები,
საქართველოს მთების ჩრდილში
დამალე!
იპოვნიან შენი ეშხის ლიდებას,
ჭაბუკები, ტარიელის დარები,
მარიულა, ცეცხლი მოგეკიდება
გულში მათი სიყვარულის ტარებით.

ამ უსაზღვრო სივრცეების ნათელი
ვერ ედრება ქართულ ღამის ნათებას!
არ იცნობ და მაინც გიყვარს ქართველი,
როცა ნახავ, რაღა დაგემართება?!.

მარიულა, საქართველო სხვა არი
ჩანჩქერებით დასირმული მიწითა,
მზის ოქროში განბანილი მთაბარი
სავსე არის სიყვარულის ფიცითა.

ჩვენი მთები, ხევი ყველა მთებისა
აღმართულან კავკასიის დარაჯად,
შიში ნუ გაქვს მტრების შემოსევისა —
მტრად მოსული იქ ვერავინ გადარჩა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ყურაშვილი

თერგიდან სევასტოპოლამდე[1]

★

პირველი დღეები და პირველი გრძოლები

ათასცხრაას ორმოცდაერთი წლის ოცდაერთი ივნისია. ძმური რესპუბლიკის — ლიტვის დედაქალაქში—კაუნასში ვიმყოფები.

საღამოა...

ჯერ კიდევ მოჩანს მზის გუმბათი. მისი სხივები ირიბად ეცემა ქალაქს და დასავლეთით ცას წითლად ღებავს. ქალაქის ერთი ნაწილიდან მეორეში მივდივარ. მე, როგორც დივიზიის შტაბის უფროსს, უნდა გამეგო მინდვრად გასული ერთერთი ნაწილის მეცადინეობის შედეგები. ამისათვის უნდა გამევლო შუაგაყოფილი ქალაქის შემაერთებელი ხიდი. ჩქარი ნაბიჯით მივუახლოვდი ხიდს. მოსეირნე ხალხი ხიდის მოაჯირს დაყრდნობია და გადასცქერის მდინარეს. ეს მდინარე ნემანია — ფართო, წყალუხვი, ღრმა. საღამოა და ისიც შაბათი საღამო. მეჩქარება, მაგრამ წუთით მაინც შევანელე ნაბიჯი. მოაჯირს მივუახლოვდი. ნავები, კატერები, პატარა გემები მიმოდიოდნენ ნემანზე. მიმზიდველი სანახავი იყო იგი. მოქალაქენი, ქალაქის მკვიდრნი, სიყვარულით გადასცქეროდნენ მდინარეს. მეტად თბილი, სასიამოვნო გრძნობით ამევსო გული, არა მარტო იმიტომ, რომ ლამაზი სანახაობა გადამეშალა თვალწინ, არც მარტო იმიტომ, რომ მდინარის ნელი ტალღები ეთამაშებოდნენ ზედ მოცურავე ნავებს და კატერებს, არამედ იმიტომ, რომ გამახსენდა საქართველო. ჯერ რიონი წარმომიდგა თვალწინ, მერე მტკვარი, ჩემი მშობლიური მდინარეები, და მე იმ წუთას, მთელი ჩემი ღრმა განცდით წარმოდგენილი მქონდა ის სიყვარული, როგორი სიყვარულითაც შესცქეროდნენ კაუნასის მკვიდრნი ნემანს.

კვლავ ცას შევხედე. ჩამავალი მზის სხივები წითლად ღებავდნენ მას.

— არც ერთი ღრუბელი არ არის ცაზე. ხვალ დიდი სიცხე იქნება!—გავიფიქრე და გულდაწყვეტით მოვშორდი ხიდის მოაჯირს.

ხიდს გავცდი. აქედან ალმართი იწყება. ათიოდე წუთის შემდეგ ნაცნობი სიმღერა შემომესმა. ეს ჩვენი ნაწილი ბრუნდებოდა მეცადინეობიდან. ისინი მღეროდნენ მხნედ, მხიარულად, გატაცებით.

შევჩერდი. როდესაც ჩემს წინ ნაწილმა გაიარა, მომიახლოვდა მეთაური ბატიუკი. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. ის დაღლილი იყო, მაგრამ მხიარულად გრძნობდა თავს. ეტყობოდა კმაყოფილი იყო განვლილი დღით.

[1] ნაწყვეტები წიგნიდან.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, მებრძოლთა უმეტესობამ მეცადინეობის კარგი შედეგი გვიჩვენა. — მომახსენა ბატიუკმა.

იმის მიხედვით, თუ როგორ ჩამოვართვი ხელი, მიხვდა ჩემს კმაყოფილებას. სახე უღიმოდა.

პოლკი წინ წავიდა. ჩვენ ნელა მივყვებოდით უკან.

კარგად დაბინდებული იყო, როდესაც შენაერთის ეზოში ამოძახება გაისმა. მალე მიწყდა ყოველგვარი ხმაური და ბანაკი ძილმა მოიცვა.

ეს იყო ოცდაერთი ივნისის საღამო — მშვიდი და წყნარი.

მაგრამ სულ სხვაგვარი იყო გარიჟრაჟი. ის არაფრით არ ჰგავდა ჩვეულებრივ გათენებას, როდესაც სამხედრო ბანაკში მებუკე ხმამაღალი, მომწოდებელი და ამავე დროს გამამხნევებელი მუსიკით აღვიძებს ხოლმე მებრძოლებს. მესერშმიტების ზუზუნი, ბომბდამშენების მძიმე გუგუნი და შემდეგ ასობით ბომბების გრიალი თავზარსა სცემდა საბჭოთა მშვიდობიანი ქალაქის ყოველ მცხოვრებს.

პირველი რადიოგრამა, რომელიც ჩვენმა შენაერთმა მიიღო, ეს იყო ბრძანება — სასწრაფოდ საზღვრებისაკენ გავსულიყავით, რომ მესაზღვრეებს დავხმარებოდით... მაგრამ მტერი, რომელიც მოულოდნელად და ვერაგულად თავს დაგვესხა, მრავალრიცხოვანი იყო. საბჭოთა მესაზღვრეებმა მამაცურად და თავდადებულად იბრძოლეს, შესწირეს თავი სამშობლოს. მათ გვამებზე გადმოიარეს ურდოებმა, რომელთაც ჩვენი შენაერთი ქალაქის მისადგომებთან დაუხვდა. მოიწევდნენ ჯავშანსატანკო და მოტორიზებული ნაწილები, მათ მხარს უჭერდა ავიაცია. რამდენიმე დღის განმავლობაში ვიცავდით ქალაქის მისადგომებს, მათ შორის ქალაქის შუაზე გამყოფ ხიდსაც. ახლა ეს ხიდი ერთადერთი საშუალება იყო ფრონტზე საომარი მასალის მიწოდებისა და დაჭრილთა ზურგში გადასაყვანად. დივიზია ბრძოლით უკან იხევდა. დიდი ზარალის საფასურად მტერმა დროებით დაიპყრო ქალაქი. ჩვენი დივიზია გამაგრდა ათიოდე კილომეტრის დაშორებით ერთ-ერთ დაბასთან.

კაუნას-დვინსკის შარაგზა დაკავებული ჰქონდა მტერს. ისინი ლამობდნენ ამ მთავარი მაგისტრალის ხელში ჩაგდებას. ჩვენი შენაერთი პირიქით ცდილობდა უკუეგდო მტერი და ეს გზა გაეწმინდა მტრისაგან. ჩვენი შენაერთის პირველი დიდი ბრძოლა აქ იქნა გადახდილი. სანგრების აგება შეუსვენებლივ წარმოებდა. მთელი ღამის განმავლობაში დივიზიის არტილერია, ნაღმსატყორცნები და ტყვიამფრქვევები აწარმოებდნენ სროლას. განთიადისას იერიშზე გადმოვიდნენ ისინი. გარდა იმისა, რომ ეს იერიში მოვიგერიეთ, მტერს უდიდესი ზარალიც მივაყენეთ, კონტრიერიშზე გადავედით კიდეც, მტერს ხუთი კილომეტრით დავახევინეთ უკან და აღმოსავლეთით კაუნასის მისადგომებს მივუახლოვდით. დღენახევრის ბრძოლაში მთლიანად გავანადგურეთ მტრის ორი მოტორიზებული პოლკი.

როდესაც ბატიუკის სათვალთვალო პუნქტზე მე და დივიზიის მეთაური მივედით, თვალნათლივ ვნახეთ, თუ როგორ ხელმძღვანელობდა ის ქვეგანაყოფებს ბრძოლაში. მას წუთით მოცლა არა ჰქონდა. მისი სათვალთვალო პუნქტი გადახურულიც კი არ იყო, ყოველ ნაბიჯზე სკდებოდნენ ყუმბარები, მაგრამ დინჯი და უშიშარი მეთაური ამას ყურადღებას არ აქცევდა, თითქოს ჩვეულებრივ ტაქტიკურ მეცადინეობას ატარებსო. მოგვახსენა, რომ მოცემული ამოცანა სრულდება, ქვეგანაყოფები ჩაბმული არიან ბრძოლაში და მტერს ავიწროებენო. ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები მთავარი მაგისტრალის დასაცავად ღრმად ეშელონირებულნი არიან, რომ ტანკები ამ გზით ვერ წამოვიდნენ. გზის ორივე მხარეს კი ხშირი ტყე იყო, სადაც მტერი შესვლას ვერ ბედავდა.

ხუთი კილომეტრის მანძილი, რომელიც ჩვენმა შენაერთმა კონტრიერიშით გადალახა, დაფარული იყო მტრის გვამებითა და საბრძოლო ტექნიკით. დახოცილი ჯარისკაცები სხვადასხვა შენაერთებს ეკუთვნოდნენ, რაც იმას მოწმობდა რომ მტერს ამ მიმართულებით უდიდესი ძალა ჰყავდა გამოყენებული. მართლაც სულ ახალი და ახალი ძალა და ტექნიკა ემატებოდა მოწინააღმდეგეს. ხელმეორედ გადმოვიდნენ იერიშზე, მათ უთვალავი ტანკი და თვითმფრინავი უჭერდა მხარს.

დივიზიის მეთაურმა მოგერიების ერთი უბნის ხელმძღვანელობა მე დამავალა, მეორე უბანს კი თვით ჩაუდგა სათავეში. ჭარბი ძალების მიუხედავათ მტერს საშუალებას არ ვაძლევდით, წინ წამოწეულიყო. ქვეგანაყოფები რამდენიმეჯერ კონტრიერიშზე გადავიდნენ და მტერს დიდი ზარალი მიაყენეს. ამას შემდეგ არმიის სარდლობამ დივიზიის მეთაურობა მე დამავალა.

ეს იყო ჩემი პირველი საბრძოლო ნათლობა დიდ სამამულო ომში, რომელიც მომიხდა ჩვენი სამშობლოს დასავლეთ საზღვარზე.

მე მინდოდა მოკლეთ ამეწერა, თუ სად და რა გარემოებაში შევხვდი დიდ სამამულო ომს. პირველი ბრძოლის შემდეგ სხვადასხვა ფრონტზე მომიხდა ყოფნა. 1941 წლის სექტემბერში ერთერთ ბრძოლაში ჩემი დაჭრისა და ღრმა ზურგში ევაკუირების გამო, მოვხვდი ამიერკავკასიის ფრონტზე.

თერგთან

პირსისხლიანი მტერი ცდილობდა, რაც შეიძლება ღრმად შემოჭრილიყო ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალზე. საბჭოთა ჯარები იძულებულნი ხდებოდნენ დროებით უკან დაეხიათ. მძიმე მოგერიებითს ბრძოლებში კი სისტემატურად ანადგურებდნენ გერმანელ დამპყრობლების დივიზიებს.

საბჭოთა ხალხი მხნედ იტანდა ამ დიდ გამოცდას. მას არც ერთი წუთით არ შეპარვია ეჭვი საბოლოო გამარჯვებაში, სწამდა, რომ სიმართლისათვის იბრძოდა, და რომ სიმართლე, გენიალური სტრატეგის — დიდი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, საბოლოოდ გაიმარჯვებდა. ხალხის უსაზღვრო სიყვარულით გამსჭვალული საბჭოთა არმია დაძაბულ და მძიმე ბრძოლებში დღითიდღე ამაგრებდა და აძლიერებდა თავის რიგებს, ავსებდა მას ახალი ძალებით, ღებულობდა ახალ-ახალ საბრძოლო ტექნიკას, ითვისებდა სტალინურ სამხედრო მეცნიერებას,— იქმნებოდა ძლიერი საკადრო არმია. თითოეული მეომრის განუსაზღვრელი სიყვარული სამშობლოსადმი კიდევ უფრო ამჭიდროებდა საბჭოთა არმიის რიგებს.

ასეთ დაძაბულ მდგომარეობაში ი. ბ. სტალინის ბრძანებით ჩამოყალიბდა დივიზია, რომელიც ძირითადად ქართველებისაგან შედგებოდა. დივიზიას სულ მალე დაეტყო ზრდა და სრულყოფა საბრძოლო მომზადებაში.

უნდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ დივიზიის მთელმა შემადგენლობამ დიდი ავტორიტეტი და სიყვარული მოიპოვა დაღესტნის ოლქის მშრომელ მოსახლეობაში. ხალხს მეომრებისათვის მოჰქონდათ საჩუქრები. თითქმის ყოველ კვირას მოდიოდა დატვირთული ურმები, ხან ხილით და ხან სათბობი მასალით, რითაც ხელს უწყობდნენ დივიზიის შემადგენლობას, რაც შეიძლება კარგად და მალე მომზადებულიყვნენ საბრძოლველად.

საბრძოლო მზადებამ დიდი ნაყოფი გამოიღო. ზემდგომი ორგანოების მიერ დივიზია რამდენიმეჯერ შემოწმებული იქნა და ყოველთვის საუკეთესო შეფასებას იღებდა. დივიზიის შემადგენლობა მოუთმენლად ელოდა ფრონტზე გამგზავრებას. ეს დღეც 1942 წლის დამ-

ლევს დადგა, როდესაც მტრის ურდოები კავკასიონს მოადგნენ.

1942 წლის 2 ნოემბერს დივიზიამ მიიღო საბრძოლო ამოცანა და იგი დაიძრა დიდ დასახლებულ პუნქტისაკენ. ის პირველად ეკვეთა ფაშისტთა ურდოებს. ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო ერთ-ერთი სიმაღლის მიდამოებში. ეს სიმაღლე სამჯერ გადავიდა ხელიდან ხელში, მაგრამ მეოთხეჯერ ჩვენმა მეომრებმა ის გაწმინდეს ფაშისტთა ურდოებისაგან. ამ სიმაღლის მიდამოებში რამდენიმე ასეული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი იქნა მოსპობილი. დივიზიისათვის ეს იყო პირველი საბრძოლო ნათლობა. იგი შეხვდა მტრის საუკეთესოდ შეიარაღებულ ჯარებს, მიუხედავად ამისა მტერმა დიდი დამარცხება იგემა.

ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა ოფიცერი ბაბალაშვილი. ახალგაზრდა, მხნე და გამბედავი ოფიცერი, რომელიც სერიოზულად შეუდგა ოპერაციისათვის მზადებას. მან კარგად მოაწყო მოგერიების ზღუდე, ჯარებს საჭირო განლაგება მისცა, სანიმუშოდ მოამზადა საარტილერიო და საცეცხლე კერები. მისი გეგმით დღითა და ღამით შეუსვენებლივ მუშაობდნენ დივიზიის მესანგრე ნაწილები, რომ მოგერიების ზღუდე მტკიცედ დაცული ყოფილიყო მტრის ჭარბი ჯავშან-სატანკო ნაწილების შემოჭრისაგან. გაყვანილი იქნა მავთულხლართების რამდენიმე წყება, მომზადდა ტანკსაწინააღმდეგო თხრილები და სხვა დაბრკოლებანი. მან მჭიდრო ურთიერთკავშირი დაამყარა მეზობელ შენაერთებთან. ამით თავიდანვე სრულიად უიმედო გახადა მტრისათვის ფრთებიდან შემოჭრის შესაძლებლობა.

ბრძოლის პროცესში ის უშუალოდ ხელმძღვანელობდა თავის ნაწილებს. მოქნილი და დროული საარტილერიო საცეცხლე მანევრებით თავს ესხმოდა მტრის მოიერიშეებს. არ ჰკარგავდა დროს, უფრთხილდებოდა წუთებს, და მიუხედავად იმისა, რომ სიმაღლე ხელიდან ხელში გადადიოდა, მისი მტკიცე ნებისყოფა იმაში გამოიხატა, რომ ეს სიმაღლე საბოლოოდ მაინც შეინარჩუნა.

აქ თავი ისახელა ბევრმა ჩვენმა მეომარმა. განსაკუთრებით უნდა მოვიგონოთ მამაცური და გამბედავი მოქმედება: ოფიცრების ნ. ამირიძის, ბ. მავლენიშვილის, ჯაჯანიძის, ვ. ამბოკაძის, პ. ლარუსიასი, ვ. სურმავასი, გ. კინწურაშვილის და ლ. ჩიქვინიძისა. ასევე სასახელოდ იბრძოდნენ ოფიცრები დარბაისელი, დ. მაჭარაძე, გ. კუპრაშვილი, ლ. ჩხარტიშვილი; ლეიტენანტები: დ. ქამუშაძე, გ. ჩხარტიშვილი, გ. ტიტვინიძე, ვ. კერესელიძე, ნ. ცერცვაძე, ა. ქინქლაძე, კ. პაიჭაძე და სხვ.

ოპერაცია ბრწყინვალედ დამთავრდა. დივიზიამ მტერი სამარცხვინოდ დაამარცხა და უკანდახეულ მტერს ჩვენი მეომრები ფეხდაფეხ მისდევდნენ და გზადაგზა ანადგურებდნენ მის არიერგარდებს.

სამარცხვინოდ დამარცხებული გერმანელი ჯარები უკან მოუხედავად გარბოდნენ. დივიზიის სარდლობას საკმაო ცნობები ჰქონდა მტრის მოგერიების ზღუდეების შესახებ. საჭირო იყო არიერგარდების სწრაფი ლიკვიდაცია, რომ მტრის მოგერიების ზღუდეს უშუალოდ მიახლოვებოდნენ. ჩვენმა მეომრებმა რამდენიმე ათეული კილომეტრით უკან დაახევინეს მტერს, მაგრამ მტრის ახალმა ძალებმა დაიკავეს წინასწარ გამაგრებული ზღუდე სოფელ ტ-სთან. დივიზიას წილად ხვდა გაერღვია ეს ზღუდე.

დეკემბრის სუსხიანი დღეები იყო, ჩრდილოეთ-კავკასიის გაშლილ ველებზე ნისლი იდგა, მტერი ცდილობდა შეენელებინა ჩვენი წინსვლა, რისთვისაც არ იშურებდა არავითარ ძალას. მაგრამ ჩვენმა ნაწილებმა გადამწყვეტი შეტევისათვის გამოსასვლელი ზღუდე დაიკავეს.

სოფელი დანგრეული და გაპარტახებული იყო.

გერმანელ ფაშისტებს სოფლის ყოველი კუთხე სანგრებად ჰქონდათ გადაქცეული. ყველგან საცეცხლე წერტები იყო მოწყობილი—ისინი შენობათა ნანგრევებში გაშმაგებით იცავდნენ თავს. მტერი ახალ-ახალი ნაწილებით ავსებდა თავის განადგურებულ რიგებს. მაგრამ საბჭოთა არმიის მეომრებს ეს არაფრად მიაჩნდათ, ვინაიდან მტრის ყოველგვარ დარტყმას გაასკეცებული დარტყმით უპასუხებდნენ. ჩვენი დივიზიის მსროლელი პოლკები კარგად იყვნენ განლაგებულნი. დაიწყო საარტილერიო მომზადება. ქვემეხთა გუგუნი გარემოს აყრუებდა. ეს პოლკი ორგანიზებულ ცეცხლს აწარმოებდა. დივიზიონის მეთაური ა. ბაქრაძე და შტაბის უფროსი ტყეშელაშვილი, სათვალთვალო პუნქტიდან კარგად ხედავდნენ, რომ თითოეული გასროლილი ყუმბარა მიზანს ხვდებოდა და ზედიზედ წყობილებიდან გამოდიოდა მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტები. აგრეთვე კარგად მუშაობდნენ მეთაურები გ. ჯოხაძე და ა. ქუთათელაძე. მათ დავალებული ჰქონდათ პირდაპირი დამიზნებით ემოქმედნათ. დივიზიონის შტაბს ებრძანა, რომ ჩაეჩუმებინა მტრის ოთხი საცეცხლე წერტი, რაც მათ შეასრულეს 20 — 25 წუთის განმავლობაში. დეკემბრის უკანასკნელ დღეებში გარღვეული იქნა ამ სოფლის გამაგრებული ზღუდე და 1943 წლის პირველ იანვარს, ცივსა და სუსხიან დღეს, დივიზიის ნაწილები საბჭოთა არმიის სხვა ნაწილებთან ერთად გაიჭრნენ ქალაქისაკენ.

დილის ხუთი საათი იყო. მთელ ფრონტზე დაიწყო საარტილერიო მომზადება, რომელიც საღამომდე გაგრძელდა. ეს ისეთი საარტილერიო ცეცხლი იყო, რომლის მსგავსი მტერს არ უგემნია კავკასიის მიმართულებით. 1000-მდე ქვემეხის გუგუნი მთელი დღის განმავლობაში თავზარს სცემდა მოწინააღმდეგეს. ამ საარტილერიო მომზადებამ მთლიანად გაანადგურა მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტები, ჩვენი ქვეითი პოლკის მებრძოლები და ოფიცრები ჩქარობდნენ რათა მალე დაენახათ იერიშზე გადასვლის ნიშანი. ისიც მალე გამოჩნდა და ჩვენი ქვეითი ნაწილები, საარტილერიო ცეცხლის საფარქვეშ წამოიშალნენ, მტერს ეკვეთნენ. მტერმა ზურგი გვიჩვენა. ჩვენი ნაწილები დაედევნენ და რამდენიმე საათის შემდეგ ქალაქში შეიჭრნენ. ქუჩებში ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. მამაცური ბრძოლის შედეგად საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა ქალაქი. ჩვენი დივიზიის მებრძოლები, რომელნიც გამსჭვალულნი იყვნენ მტერზე გამარჯვების რწმენით, კვლავ დაედევნენ მტერს, რომ მისთვის სადმე გამაგრების საშუალება არ მიეცათ. აღნიშნულ ბრძოლებში თავი გამოიჩინეს ოფიცრებმა: ს. ნემანიშვილმა, მ. სოხაძემ, ფურცელაძემ, ა. კვეზელმა, თავართქილაძემ, ბაღათურიამ, მამაცმა სერჟანტებმა: ს. ჯანეზაშვილმა, წურწუმიამ, დანგაძემ და სხვებმა.

1943 წლის 1 იანვარს ღამით—იწყება მტრის უკანდახევა, მაგრამ მეომრები როდი უშვებდნენ ხელიდან მომენტს და ინიციატივას. ისინი ფეხდაფეხ მისდევდნენ უკუქცეულ მტრის ჯარებს. გზადაგზა რამდენიმეჯერ სცადა მტერმა მოგერიებაზე გადასვლა, მაგრამ გერმანელი ჯარების ასეთი ცდები უშედეგოდ მთავრდებოდა. ჩვენმა დივიზიამ შეუსვენებელი დევნა აწარმოა მტერზე. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცუდი ამინდები იდგა, დივიზიამ მაინც შესძლო ზედიზედ მიეტანა მძლავრი და სწრაფი იერიშები გერმანელ დამპყრობლებზე. ზედიზედ ათავისუფლებდნენ დასახლებულ პუნქტებს. დივიზიამ ორი დღის განმავლობაში მძიმე ბრძოლით 52 კილომეტრი გაიარა და მტრის არიერგარდის მოუცილებელი დევნით სწრაფად გადალახა ყველა მოგერიების ზღუდე.

ამ ქალაქსა და მის მისადგომებთან დამარცხებული მტრის ჯარები სწრაფად იხევდნენ უკან. მტრის განადგურებული ნაწილები ცდილობდნენ შეეჩერებინათ საბჭოთა ჯარების განუწყვეტელი წინსვლა.

დივიზიას წილად ხვდა ახალი მიმართულებით ეწარმოებინა შეუჩერებელი მოქმედება. დივიზიის სარდლობა ყოველგვარ ზომებს ღებულობდა, რომ ინიციატივა ხელიდან არ გაეშვა და მტერი არ გამაგრებულიყო ამა თუ იმ ზღუდეზე. მტერმა მაინც მოასწრო რამდენიმე ზღუდის დროებით დაკავება. რაც შემდეგ მედგარი ბრძოლით გადალახეს ჩვენმა მებრძოლებმა.

აღნიშნულ ზღუდეზე ბრძოლა ძვირად დაუჯდათ ფაშისტებს. დივიზია რამდენიმე დღის განუწყვეტელი ბრძოლით უახლოვდებოდა მტრის განლაგებულ ზღუდეს. ცოფმორეული მტრის წინააღმდეგობა თანდათან ძლიერდებოდა და ბრძოლა მწვავე ხასიათს ღებულობდა.

საუკეთესოდ ორგანიზებულმა ძიებამ აღმოაჩინა მტრის ძლიერი და ხანგრძლივი გამაგრებული ზღუდე დასახლებულ პუნქტ კ-ს მისადგომებთან. მეომრებმა არა ერთი და ორი იერიში მიიტანეს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ბრძოლა ამ მისადგომებთან სამი დღე-ღამის განმავლობაში გაგრძელდა. დაბოლოს მეომრები ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ გადავიდნენ სწრაფ იერიშზე და მტრის გამაგრებული ზღუდე გარღვეული იქნა. რამდენიმეჯერ სასტიკად დამარცხებული მტერი კვლავ სამარცხვინოდ უკან გარბის. ის სტოვებს ავტომანქანებს, მძიმე იარაღს, სურსათ-სანოვაგეს და სხვა უამრავ ქონებას.! მტრის უწესოდ უკანდახევას დივიზია სწრაფი დევნით უპასუხებს. მას უხდება მდინარის ბრძოლით გადალახვა და ათავისუფლებს რამდენიმე სტანიცას.

აღსანიშნავია მშრომელი მოსახლეობის ის უდიდესი აღფრთოვანება, რაც გამოიწვია ჩვენი მებრძოლების გმირულმა მოქმედებამ. ადგილობრივი მცხოვრებლები აქტიურ დახმარებას უწევდნენ ჩვენს დივიზიას.

მტრის მიერ ყველა ხიდი აფეთქებული იყო, რის გამოც არც შარაგზები და არც რკინიგზები არ მუშაობდნენ. ფრონტი და წინსვლა კი თავისას მოითხოვდა. ტრანსპორტის უქონლობა აძნელებდა საომარი ოპერაციის წარმოებას. საჭირო იყო საბრძოლო მასალის თავის დროზე მიწოდება, სურსათის გადატანა და დაჭრილების ზურგში გადაყვანა. პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული მოსახლეობა უდიდეს დახმარებას უწევდა დივიზიას.

დივიზია არც ერთ წუთს მოსვენებას არ აძლევდა მტერს. დივიზიის შემადგენლობამ კარგად შეისწავლა მტრის ოინები. თუ კი მტერს მოგერიებაზე გადასვლის საშუალება მიეცემოდა, იმ შემთხვევაში ის ფართოდ გამოიყენებდა ადგილობრივი მოსახლეობის ფიზიკურ შესაძლებლობას და ამრიგად მოასწრებდა სათანადო გამაგრებას. ფაშისტებმა წინასწარ გაამაგრეს მოგერიების ზღუდეები. შექმნეს მრავალტრანშეებიანი მოგერიება და სეროზული საინჟინრო დაბრკოლებები ააგეს. სათანადოდ შეახამეს ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნების საცეცხლო პოზიციები.

დივიზიის სწრაფმა და მძლავრმა იერიშებმა მტერი უკუაგდეს. ის სწრაფად მიეშურებოდა დასავლეთის მიმართულებით.

ჩვენი მეომრები თებერვლის მეტად ცუდ ამინდში დაედევნენ მტერს.

— არც ერთი წუთი შესვენება მოსისხლე მტერს! — ასეთი იყო დივიზიის მთელი შემადგენლობის სამოქმედო გეზი!

მაგრამ აი, რა მოხდა!

მტერი დიდი დანაკლისით გაეშურა უკან. ჩვენები ფეხდაფეხ აწარმოებდნენ დევნას. მტერმა მოასწრო ძალზე გამაგრებული ზოლის დაკავება. ტყვია-

მფრქვევისა და არტილერიის ძლიერი და ორგანიზებული ცეცხლით ‘ეაჩერა დივიზიის ეს მძლავრი შეტევა. დივიზიის მთავარი ძალები უეცრად და მოულოდნელად წააწყდნენ მოგერიების მთავარ ზღუდეს. არტილერია და სხვა მძიმე საცეცხლე საშუალებანი დიდი მანძილით იყვნენ დაშორებულნი დივიზიის მთავარ ნაწილებისაგან. ძალიან ცუდი ამინდები იდგა. არტილერიის მოძრაობა შეიძლებოდა მხოლოდ შარაგზაზე, რომელიც დაუზიანებელი არ დაუტოვებია მტერს. ყველა ხიდი აფეთქებული იყო. წვიმა, მუხლებამდე ტალახი და შეუნელებელი ქარები აბრკოლებდნენ წინსვლას. მეომრების შემტევი დანაყოფები და ნაწილები მოჰყვნენ მტრის ძლიერი არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლ ქვეშ. შემტევ ნაწილებს არტილერიისა და ტანკების მხარის დაჭერის გარეშე გაუძნელდათ მტერთან ბრძოლა, მიუხედავად ამისა, დივიზია შეტევას მაინც განაგრძობდა. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა: თუმცა ჩვენს მეომრებს ადგილიდან ფეხი ვერ მოაცვლევინეს, მაგრამ მტერმა მაინც დიდი ზარალი მოგვაყენა.

მეომრები მოუთმენლად ელოდნენ არტილერიის დახმარებას, მაგრამ ბრძოლის ველზე რამდენიმე დღის განმავლობაში არცერთი ბატარია არ გამოჩენილა, ვერ შესძლეს გაუვალი გზების გადალახვა. დიდ თავდადებას იჩენდნენ საარტილერიო ნაწილის მეომრები, ხელით და ზურგით გადაჰქონდათ წინ ქვემეხები, ნაღმსატყორცნები და საბრძოლო მასალა.

მტერი რამდენიმეჯერ გადმოვიდა კონტრიერიშზე, მაგრამ მებრძოლებს ღრმად და მტკიცედ ჰქონდათ შეგნებული დიდი ბელადის ბრძანება „არცერთი ნაბიჯი უკან!“ ოთხი დღის მძიმე ბრძოლის შემდეგ გერმანელი დამპყრობლები გადმოვიდნენ გადამწყვეტ კონტრიერიშზე. რომლებსაც მხარს უჭერდა რამდენიმე ათეული მძიმე ქვემეხი, ნაღმსატყორცნები და 150 ტანკი (მათ შორის 50 მძიმე ტანკი). გაჩაღდა თავდაუზოგავი ხელჩართული ბრძოლა. გმირი მეომრები ხელყუმბარების კონით პირდაპირ ტანკებისაკენ მიეშურებოდნენ. არა ერთი და ორი გმირი მოგვცა ამ საშინელმა სისხლისმღვრელმა ბრძოლებმა.

25 დღის განუწყვეტელ ბრძოლის შემდეგ მტერს გამოელია ძალღონე და იძულებული გახდა, გაქცეულიყო. მან დიდი დანაკლისით უკან დაიხია, დივიზია გამოყვანილი იქნა მეორე ეშელონში და რამდენიმე დღის შემდეგ მიეცა მოგერიების ამოცანა ზღვის სანაპიროზე.

ამ დროისთვის დივიზიას ბრძოლით გავლილი ჰქონდა დიდი გზა. ეს საბრძოლო გზა გაიარეს იმ. წელს მეტად ცივი, სუსხიანი ზამთრის პირობებში. გადალახეს შვიდი დიდი მდინარე, მრავალი მცირე მდინარე და უამრავი ლიმანი. მხარში ედგნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა. ისინი არტილერიის, ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლის ქვეშ თავიანთი ზურგით აწვდიდნენ საბრძოლო მასალას, სურსათ-სანოვაგეს, უწევდნენ საექიმო დახმარებას და რაც მთავარია, თავიანთი მხრებით გაჰყავდათ ბრძოლის ველიდან მძიმედ დაჭრილები.

—.—

„ცისფერი ხაზის“ დასაწყისი

საკმაოდ ხანგრძლივმა, განუწყვეტელმა ბრძოლებმა შედეგად მოგვცა ის, რომ მტრის „ცისფერი ხაზი“ თავის ოროზე მიგნებული და მისი პირველი ზღუდეები გადალახული იქნა. „ცისფერი ხაზი“ იწყებოდა კავკასიის ერთერთ უბანზე, რომლის მარჯვენა ფრთა მჭიდროდ ებჯინებოდა შავ ზღვას. ამ ხაზის გამაგრებას გერმანელმა დამპყრობლებმა ბევრი დრო და ძალღონე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოანდომეს. ფაშისტთა გენერლები საქვეყნოდ გაიძახოდნენ, რომ „ცისფერი ხაზის“ გარღვევა არავითარ ძალას არ შეუძლიანო.

საბრძოლო ძიების დამთავრების შემდეგ, საბჭოთა სარდლობამ დაინახა, რომ, „ცისფერი ხაზი“ მართლაც მძლავრად იყო გამაგრებული, რასაც მოწმობდნენ მისი მრავალრიცხოვანი საინჟინრო დაბრკოლებანი. სწორედ ეს დაბრკოლებანი სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა, როგორც ქვეითს, აგრეთვე სატანკო შემტევ ჯარებს, თუ კი ის საარტილერიო ცეცხლით განადგურებული არ იქნებოდა. „ცისფერი ხაზი“ შესდგებოდა რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული ზღუდისაგან, ხოლო თითოეული ზღუდე კი რამდენიმე გაერთიანებული ტრანშეისაგან. ასეთი დიდი მნიშვნელობის მოგერიების ზოლი შექმნა მტერმა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ცისფერ ხაზს“ გერმანელი დამპყრობლები მიუვალ ციხე-სიმაგრედ სთვლიდნენ.

პირველ რიგში საჭირო შეიქმნა ჯარების სათანადო მომზადება და გაწრთვნა, რომ ფაშისტების ეს „მიუდგომელი და აუღებელი“ ციხე-სიმაგრე დაგვეძლია. ამავე დროს საბჭოთა არმიას მტერი მუდმივად დაძაბულ მდგომარეობაში უნდა ჰყოლოდა. ყველა ამისათვის საჭირო იყო განუწყვეტელი საბრძოლო ძიება, პერიოდულად შეტევაზე გადასვლა და მოკლე მანძილზე განსაზღვრული ამოცანის შესრულება.

ამ საბრძოლო მოქმედებას უნდა გამოემჟღავნებინა მტრის შენაერთების გვარეობა, ცვლილებები მათ საბრძოლო განლაგებებში, ცოცხალი ძალის რაოდენობა და მისი შეიარაღება.

ასეთ პირობებში დივიზიის მეთაურად დამნიშნეს მე.

* * *

ჭრილობები მომირჩა, ჰოსპიტალი დავტოვე და მოუთმენლად მივისწრაფოდი ფრონტისაკენ.

მანქანა მიჰქროდა ფრონტის ერთ-ერთ სტანციისაკენ. მის სამხრეთ-დასავლეთით ერთ-ერთ ხშირ და დაბურულ ტყეში ჩრდილოეთ-კავკასიის ფრონტის სარდლის საკომანდო პუნქტია.

შარაგზაზე, მოძრაობის მომწესრიგებელთან შოფერი აჩერებს მანქანას, მე უნდა ვინახულო სარდალი. სათანადო დოკუმენტის წარდგენის შემდეგ მიმართულება მომცეს. შევედით ტყეში. ივლისის პაპანაქება სიცხე უცებ შესცვალა მუხისა და რცხილის ფართო ტოტებქვეშ გაშლილმა ჩრდილმა და საამურმა სიგრილემ.

მიგვითითეს, სად უნდა გაგვეჩერებინა მანქანა. მერე ფეხით გავეშურე სარდლის ძელმიწურისაკენ.

ძელმიწური მიწაში იყო ამოყვანილი, იგი სამი ოთახისაგან შედგებოდა. ერთი ოთახი სარდლის მოსასვენებელი იყო, მეორე სამუშაო და მესამე მისაღებს წარმოადგენდა. ოთახები ელექტრონით ნათდებოდა. მას რამდენიმე ფენისაგან შედგენილი სახურავი ჰქონდა. ძელმიწურის შესავალ კარში გამართულად შეიძლებოდა შესვლა. ის კარგად შენიღბული იყო. ზემოდან მუხისა და რცხილის ფართო ტოტები გადაჰფენოდა.

მისაღებ ოთახში სარდლის ადიუტანტი დამხვდა.

— მოახსენეთ სარდალს, რომ გამოვცხადდი მისი ბრძანების თანახმად.

— სარდალი გენერალურ შტაბს ელაპარაკება, გთხოვთ მოიცადოთ! — მომიგო ადიუტანტმა.

სკამზე ჩამოვჯექი. სარდლის ნახვას მოუთმენლად ველოდი. მე მას კარგად ვიცნობდი. მოლოდინში სულ თვალწინ

მედგა. ის უკვე ხანში შესული იყო. ტანად საკმაოდ კარგად აწყობილი. მისი სახის გამომეტყველებაზე შეიძლებოდა ამოგვეკითხა ენერგიულობა და სიმხნე. ის გმირი ქალაქის სევასტოპოლის დაცვის აქტიური მონაწილე იყო.

ძელმიწურში ადამიანისათვის უჩვეულო დუმილი იდგა. ადიუტანტი მაგიდაზე გაშლილ რუკას ჩასცქეროდა, მე ფიქრში ვიყავი წასული. სარდლის გამოკეტილი კარიდან კი არაფერი ისმოდა.

მოულოდნელად კარი გაიღო და გამოვიდა სარდალი. დამინახა და ბაგეებიის ცალი კუთხით გამიღიმა, მომიახლოვდა, ხელი ჩამომართვა. მკლავში ხელგაყრილი შემიყვანა თავის სამუშაო ოთახში.

— ხომ ჯანმრთელად ხარ? — შემეკითხა იგი.

— სავსებით!

— მაშ ვიომებთ?!

— მე მზად ვარ!..

მის ოთახში შევედით. ის არ დამჯდარა სამუშაო მაგიდასთან, რომელზედაც რამდენიმე საველე ტელეფონი იდო. მაგიდის წინ მდგომ მოგრძო სკამზე ჩამოჯდა. გვერდზე მომისვა.

— თქვენ გნიშნავთ დივიზიის მეთაურად. რას იტყვით?

— რადგან ასე გადასწყვიტეთ, თანახმა ვარ, ოღონდ ერთი პირობით.

— პირობას მიყენებთ?

— სამშობლოს ინტერესებისათვის, ამხანაგო გენერალო!

მე შეხვედრის პირველი წუთებიდანვე ვიგრძენი, რომ ის მეგობრულად მელაპარაკებოდა. მით უმეტეს ჩვეულებრივ არ იჯდა თავის სავარძელში, არც მე ვიდექი მის წინ, ისე, როგორც სამხედრო წოდებით უმცროსი. ერთმანეთის გვერდში მეგობრებივით ვისხედით.

— რას მოითხოვთ?—მკითხა მან და შუბლშეჭმუხვნილმა შემომხედა.

— ნება მომეცით დივიზია ერთი თვით ბრძოლიდან გამოვიყვანო, საბრძოლო მომზადება ჩავატარო. მინდა ვიცოდე, რა ძალით ვებრძვი მტერს!

გაეღიმა. სახე გაეხსნა.

— ერთით კი არა, ორი თვით გაიყვანეთ ბრძოლიდან, ჩაატარეთ საბრძოლო მომზადება. მაგის ნებას გაძლევთ. ოღონდ საბრძოლო მომზადება მთელი სერიოზულობით უნდა ჩატარდეს, რადგან მტერი ჯერ კიდევ ძლიერია და ვერაგი!

ათიოდე წუთის შემდეგ მეორე ძელმიწურში ვიყავი. ფრონტის ოპერატიულ სამმართველოს უფროსთან. შევარჩიეთ დივიზიის ნაწილებისათვის სამეცადინო უბნები, რომლებიც სარდალმა დაამტკიცა.

ორი თვის განმავლობაში ვმეცადინეობდით თანამედროვე საომარი ტექნიკის სრული დაუფლებისა და გამოყენების საქმეში, ვსწავლობდით თავდაცვის ზღუდის მრავალრიცხოვან ტრანშეების გადალახვას და სხვა შენაერთებთან ურთიერთმოქმედებას.

ასე შეუსვენებლად ემზადებოდნენ მეომრები „ცისფერი ხაზის“ გასარღვევად. ამას მოითხოვდა საბჭოთა ჯარებისაგან დიდი სტალინი: „აკეთეთ ისე, როგორც ამას მოითხოვს თანამედროვეობა“,—მოგვიწოდებდა ბელადი.

დივიზიის შემადგენლობა მთელ ძალღონეს ხმარობდა, რათა პირნათლად შეესრულებინა ბელადის მიერ დასახული ამოცანა. დივიზიამ მიიღო საბრძოლო ამოცანა. ის გადაყვანილი იქნა „ცისფერი ხაზის“ მისადგომებთან.

თითოეული მეომარი მოუთმენლად ელოდა მტერზე იერიშის მიტანას და „ცისფერი ხაზის“ გაცამტვერებას. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ადგილობრივი მშრომელები თავისუფლად ამოისუნთქავდნენ. მაგრამ საჭირო იყო უფრო მეტი ძალ-ღონის დაძაბვა, რათა ფაშისტებისაგან ტამანის ნახევარკუნძული გაგვეთავისუფლებინა, რადგან მტერი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა სწო-

რედ ამ ნახევარ კუნძულის შენარჩუნებას.

ფაშისტური არმიის სარდლობა ბრძანებდა:

„გადალობილი იქნას ყირიმი წითელი არმიის შემოჭრისაგან!“

„შებოჭილ იქნან წითელი არმიის ძალები ტამანსა და ჩრდილო-კავკასიაში!“

იმ შემთხვევაში, თუ კი ფაშისტური გერმანიის ჯარები საბჭოთა არმიის წინააღმდეგ სხვა ფრონტებზე გამარჯვებას მოიპოვებდნენ, ყირიმი და ტამანი გერმანიის ჯარების ტრამპლინი უნდა გამხდარიყო კავკასიაზე თავდასხმისათვის.

ასევე დიდმნიშვნელობას აძლევდა ტამანის ნახევარკუნძულის შენარჩუნებას გერმანიის ჯარების მე-5 საარმიო კორპუსის გენერალი ვეტდელი.

„ტამანის ნახევარკუნძული მთლიანად ჩვენ ხელშია. ამით ჩვენ შევამტვრიეთ კარი დასავლეთ კავკასიისაკენ“.

სამხრეთ და ცენტრალურ ფრონტზე საბჭოთა არმიის უდიდეს წარმატებებთან დაკავშირებით ფაშისტური გერმანიის არმიის სარდლობამ ახალი თეზისები წამოაყენა ტამანის შენარჩუნებისათვის:

„ტამანის ნახევარკუნძულზე გერმანიის ჯარების მტკიცე თავდაცვამ განადგურებისაგან უნდა იხსნას გერმანიის ჯარები საბჭოთა და გერმანიის ფრონტის სამხრეთ სექტორში“. ტამანის დაცვისა და შენარჩუნების უდიდეს მნიშვნელობას ის გარემოებაც მოწმობდა, რომ ტამანისა და მის მისადგომებთან მტერს ჰყავდა ჯარების მძლავრი დაჯგუფება. ასე, მაგალითად, ამ პატარა პლაცდარმზე იმყოფებოდნენ გერმანელთა ათი-თერთმეტი და რუმინელთა რვა-ცხრა დივიზია.

ტამანისა და მის მისადგომებთან ფაშისტური ჯარების ხელმძღვანელობას ასრულებდა გენერალი ფონ კლეისტი.

ჯერ კიდევ 1942 წელს ფელდმარშალმა მანშტეინმა განაცხადა: „ამ ტამანის ნახევარკუნძული — საბჭოთა ხელში იქნება, მანამ ყირიმის დაცვა მუდამ სერიოზული საფრთხის წინაშეა, რის გამოც მის დაცვას მუდამ სარდლობის ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცესო“.

ამის შემდეგ გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფაშისტური გერმანიის ჯარებისათვის ყუბანისა და ტამანის ნახევარკუნძულის შენარჩუნებას. სწორედ ამისათვის ხმარობდა მთელ ძალ-ღონეს გერმანიის ჯარების სარდლობა, რომ სათანადოდ გაემაგრებინათ ხსენებული ტერიტორია და დაეცვათ ის, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ. მართლაც, ძალზე ძვირად დაუჯდათ პირსისხლიან ფაშისტებს ტამანის ნახევარკუნძულის და მისი მისადგომების დაცვა.

აი რა მოხდა:

დიდი ბელადის ბრძანების საფუძველზე დაიწყო ჩრდილო - კავკასიის ფრონტის ჯარების შეტევა ფაშისტების მიერ გამაგრებული პოზიციის „ცისფერი ხაზის“ გასარღვევად. ამ დიდ საპატიო ამოცანის შესრულებაში აქტიური და მხურვალე მონაწილეობა მიიღო ჩვენმა დივიზიამაც.

დივიზია, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, სექტემბრის შუა რიცხვებში დაჯგუფებული იქნა „ცისფერი ხაზის“ მისადგომებთან.

ნაწილებისა და შენაერთების მიერ ჩატარდა დიდი მუშაობა. გამოსასვლელი ზღუდე სამაგალითოდ იყო დაკავებული, არტილერია ზუსტად იყო დამიზნებული ფაშისტების მთავარ ობიექტებზე. ახლა მთავარი იყო ჯარების შეუმჩნევლად გადასხმა.

მართლაც ზღვიდან გადაყვანილი ჯარი შეუმჩნევლად მიუახლოვდა დასახლებულ პუნქტს. ამ ოპერაციას კარგად შეუწყო ხელი ჩვენი ავიაციის მოქნილმა და გაბედულმა ღამის მოქმედებამ. საბრძოლო ამოცანა ზუსტად

იქნა შესრულებული. ლესელიძის ჯარებმა შავი ზღვის ფლოტის დახმარებით დაიკავეს ქალაქი და ნავსადგური.

ამის სრული ვითარება ასეთი იყო.

ერთი წლის წინათ საბჭოთა ჯარებმა ნოვოროსიისკთან შეაჩერეს მტრის წინსვლა, მაგრამ დამპყრობლებმა შესძლეს იქ ხელსაყრელი პოზიციების დაკავება და მათი სათანადო გამაგრება.

ქალაქი ნოვოროსიისკი და მისი ახლომდებარე ტერიტორია მტერმა ციხესიმაგრედ გადააქცია. დაეკარგათ რა შეტევის გაგრძელების უნარი და იმედი, ჰიტლერელები გადავიდნენ თავდაცვაზე და შექმნეს ქალაქის მისადგომებთან ძლიერ გამაგრებული ზოლი. ნოვოროსიისკი გარშემორტყმული იყო რამდენიმე ბეტონირებული სიმაგრის ხაზით. მთლიანი დანაღმული ველები, მავთულხლართების დაბრკოლებანი, ტრანშეებისა და ძელმიწურების ხშირი ქსელი, ქვემეხების, ტყვიამფრქვევებისა და ნაღმსატყორცნების წერტები ღობავდნენ ქალაქისაკენ მისასვლელ გზებს. ასევე ამაგრებდნენ ქალაქს და ნავსადგურს ზღვის მხრიდან. კონსტანტინე ლესელიძემ გადაწყვეტილება მიიღო, გადაესხა ჯარი და ზღვიდან დაერტყა ჰიტლერელებისათვის. მარჯვენა ფრთაზე კი სახმელეთო ჯარების ნაწილებს გაერღვიათ მტრის თავდაცვა და შეჭრილიყვნენ ქალაქში ხმელეთიდან. ღამით ჰაერში აფრინდნენ ბომბდამშენი და მოიერიშე თვითმფრინავების ესკადრილიები. მალე მტრის მოგერიებას თავს დაატყდა ყუმბარების დიდი რაოდენობა. მოწინააღმდეგის განლაგებაში წარმოიშვა ხანძრის უამრავი კერა. ავიაციასთან ერთად კვალდაკვალ მოქმედებდა საბჭოთა არტილერია. ასეული ქვემეხის სროლა ანადგურებდა მტრის თავდაცვის ზოლს. ღამით ნავსადგურში შევიდნენ სატორპედო კარჭაპების შენაერთები. ჰაერში აშვებული იქნა ნიშანი. არტილერიის ცეცხლი ნავსადგურის მისადგომებიდან დაუყოვნებლივ იქნა გადატანილი ქალაქის სიღრმეში. იმავე წუთში მოქმედება დაიწყეს ნავსადგურში განლაგებულმა და შენარჩუნებულმა საცეცხლე წერტებმა, მაგრამ მათი მოქმედება უკვე დაგვიანებული იყო. სატორპედო ზალპის შედეგად განგრეული იყო ნავსადგური, სადაც თავისუფლად შეეძლო გაევლო სადესანტო ხომალდებს.

სექტემბრის წყნარი ამინდები იდგა. ზღვა მშვიდი იყო. სახომალდო არტილერიის საფარქვეშ დაიწყო დესანტის გადასვლა. მტერი გააფთრებით იბრძოდა, მაგრამ ჩვენი დესანტების შეტევითი დარტყმა ვერაფერმა ვერ შეაჩერა. ბლოკირებული იქნა ხანგრძლივი საცეცხლე წერტები, ძელმიწურები. მეავტომატე მეზღვაურები სწრაფად შეიჭრნენ მტრის განლაგებაში და მტერს თავს მოახვიეს ხელჩართული ბრძოლა. იმავე ღამეს იქნა გადასხმული დესანტთა მეორე ეშელონი. ჰიტლერელები ტანკების დახმარებით და კონტრიერიშებით ცდილობდნენ შეეჩერებინათ საბჭოთა ნაწილების შეტევა. ყოველი ქუჩა, თითოეული შენობა მოქცეული იყო არტილერიისა და ნაღმსატყორცნების მასობრივი ცეცხლის ქვეშ. ქუჩებში ბრძოლის დროს მამაცად მოქმედებდნენ ჩვენი მოიერიშე ჯგუფები. ისინი მოულოდნელად ესხმოდნენ მტერს ფრონტიდან და ზურგიდან და ანადგურებდნენ მათ. ჩვენს მებრძოლებს ამ ბრძოლის დროს დიდი დახმარება გაუწიეს ტანკებმა და თვითმავალმა ქვემეხებმა. ამ ქალაქთან ბრძოლაში საბჭოთა არმიის ნაწილებმა გაანადგურეს 73-ე ქვეითი დივიზია, გერმანელების მე-4 და 101-ე სამთო მსროლელი დივიზიები, რუმინეთის მე-4 სამთო დივიზია და გერმანელების საზღვაო ქვეითი გუნდები.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი განთავისუფლებული იქნა, მასში თავისუფალი მოძრაობა არ შეიძლებოდა.

ყველა ქუჩა და შენობა დანაღმული იყო. ქალაქის ასეთი უბედურების თავიდან აცილებისათვის უდიდესი მუშაობა ჩაატარეს მესანგრეებმა. რამდენიმე ათასი ნაღმი ამოღებული იქნა შენობებიდან და ქუჩებიდან. ამის შემდეგ ჯარს საშუალება მიეცა დევნა ეწარმოებინა მოსისხლე მტრისა, რომელიც დიდი დანაკლისით უკან იხევდა.

18 სექტემბერს დივიზიის ნაწილები ლესელიძის ბრძანებით დაგროვდნენ ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ უბანზე. მეთაურებს წესრიგში მოჰყავდათ თავიანთი ნაწილები და ქვეგანაყოფები და მოუთმენლად ელოდნენ ლესელიძის შეხვედრას, რომელიც დივიზიაში უნდა მოსულიყო.

ამ ქალაქის აღების მესამე დღეს, დღის 3 სათზე ლესელიძე ესტუმრა ჩვენს მეომრებს. შენაერთის ნაწილები განლაგებული და შეხამებული იყვნენ სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ხევებში.

მზიანი დღე იყო. მწვანით შემოსილი მთები, მათ შორის ყველაზე მაღალი შაქრის მთა, თავს დაგვიქეროდნენ. აქედან მოსჩანდა წყნარი ზღვის ზედაპირი და დანგრეული ქალაქის საკვამლე მილები, ნანგრევთა კონტურები.

უკანდახეული მტრის თვითმფრინავები პერიოდულად მოდიოდნენ, როგორც დასაზვერავად, ისე დასაბომბად, მაგრამ ჩვენი მებრძოლები არაფრად აგდებდნენ ამას. გამარჯვებით აღფრთოვანებულებს აღარაფერი აშინებდათ.

შარაგზაზე მტვრის კორიანტელი დატრიალდა. მერე ამ შარაგზიდან მანქანებმა ხევისაკენ შემოუხვიეს. შენაერთის ნაწილები მწყობრში იდგნენ. მანქანები შორი-ახლო გაჩერდნენ. აი, გადმოვიდა ლესელიძე და ჩვენსკენ გამოემართა. გვერდში მოჰყვებოდა ამხ. ვ. ზარელუა, უკან — ადიუტანტი, შევეგებე. მოვახსენე:

— დივიზია მზად არის თქვენი ბრძოლო ამოცანის შესასრულებლად!

ლესელიძემ ხელი ჩამომართვა.

ის იყო ტანდაბალი, ფართო მხარბეჭიანი, კარგად ჩასკვნილი შუახნის კაცი, გამოიყურებოდა ცოცხლად, მოძრაობაში სწრაფი და მოქნილი, სიტყვა-პასუხში დინჯი და დალაგებულად მეტყველი. შეიძლება ითქვას, რომ ის მუდამ ხალისიანი იყო. აზრიანი გამოხედვა ჰქონდა. მისი მაღალი შუბლი, მოგრძო კარგად მოყვანილი ცხვირი და ყავისფერი თვალები იზიდავდნენ ადამიანს.

— დაისვენეს ბიჭებმა?!—შემეკითხა მაშინვე მზრუნველად.

— სავსებით! — ვუპასუხე მოკლედ, რადგან კარგად ვიცოდი შენაერთის მეომრების სულიერი განწყობილება. ჩვენ ხომ მზად ვიყავით იმავე დღეს გადავსულიყავით ახალ იერიშზე?!.

ლესელიძე წყობილებისაკენ გაემართა. მეომრებს მიესალმა. მთებს შუა მოქცეულ ხევში გაისმა მძლავრი შეძახილი:

— გაუმარჯოს!

მერე წყობილებას ჩაუარა. ჩერდებოდა მებრძოლების წინ. ათვალიერებდა მათს იარაღს, ტანსაცმელს. გულდასმით აკვერდებოდა მებრძოლებს, ოითქოს მათ სახეზე უნდოდა ამოეკითხა მათი სულიერი განწყობილება. ზოგს ეკითხებოდა გვარს, სახელს, საოურობას. მე და პოლიტგანყოფილების უფროსი ოფიცერი ჯანჯღავა გვერდით მივყვებოდით. ვამჩნევდი, რომ ლესელიძე იმდენად ყურადღებას არ აქცევდა გვარსა და სახელს, რამდენადაც მებრძოლის ხმას, გამოთქმას, რადგან ამ ხმის მიხედვით ის ხვდებოდა მებრძოლის შინაგან სულიერ განწყობილებას.

— ყოჩაღ, ბიჭო!—შიგადაშიგ წარმოთქვამდა ხოლმე ის.

ლესელიძე ნასიამოვნები დარჩა. ეს თავისი კმაყოფილება იმ სიტყვაში გამოხატა, რომელიც მან წარმოსთქვა შენაერთის მიმართ:

„ამხანაგო მებრძოლებო, არმიის სამხედრო საბჭოს სახელით გადმოგცემთ მხურვალე მხედრულ სალამს. დიდი საბჭოთა არმიის წინაშე უდიდესი ამოცანაა — გაიწმინდოს ჩვენი ქვეყანა ჰიტლერელი არამზადებისაგან. მოსპოს მისი საბრძოლო ძალა და გაანადგუროს მისი სამომარი ტექნიკა. როგორც ვხედავთ, ამოცანა მეტად რთული და სერიოზულია.ამ ამოცანის შესრულებას მოითხოვენ ჩვენი დიდი ბელადი სტალინი და ჩვენი საყვარელი სამშობლო! ამ საპატიო საქმის შესრულებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდით თქვენ, მაგრამ ამოცანა ჯერ როდი არის მთლიანად შესრულებული. ამოცანის წარმატებით დამთავრებისათვის ვალდებული ვართ გაათკეცებული ენერგიით განვაგრძოთ საბრძოლო მოქმედება. ჩვენ კიდევ მრავალი რთული ბრძოლის წარმოება მოგვიხდება ვერაგი მტრის საბოლოო განადგურებისათვის მთელი ჩვენი ძალღონე და ყურადღება მიპყრობილი უნდა იქნას იმისაკენ, რომ საბჭოთა ტერიტორია სამუდამოდ გაიწმინდოს გერმანელ დამპყრობლებისაგან. ჩვენს გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს, რომ მტერი არც ერთი წუთით არ შევასვენოთ. ფაშისტ დამპყრობლებისაგან ჩრდილოკავკასიის განთავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სამშობლოსათვის და, კერძოდ, მზიურ საქართველოსათვის.

ამხანაგებო, გაიხსენეთ ჩვენი წინაპრების გმირული ბრძოლა დიდ რუს ხალხთან ერთად ანაპისა და ტამანის განთავისუფლებისათვის. დიდი სამამულო ომის მსვლელობის დროს თქვენ უნდა დაიმსახუროთ საბჭოთა ხალხის სიყვარული და ერთგულება. ამისათვის საჭიროა ყველა მომავალი საბრძოლო ოპერაციისათვის კიდევ უფრო გულდასმით მომზადება და რაც მთავარია, ბრძოლების მსვლელობის დროს ჯარების ურთიერთმოქმედების შენარჩუნება. გახსოვდეთ, რომ საჭიროა გაბედული და მამაცური მოქმედება, მტრის განლაგების ღრმად შეძრვა მისი ძალების რკალში მომწყვდევის მიზნით. დაეხმარეთ მეზობლებს, თან იქონიეთ ხელყუმბარები. ისინი ხელჩართულ ბრძოლაში უდიდეს დახმარებას გაგიწევენ.

წინ ჩვენი მშობლიური მიწა-წყლის საბოლოოდ განთავისუფლებისათვის!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს და ხელმძღვანელს, დიდ სტალინს!“

სიტყვის დამთავრების შემდეგ წყობილების გვერდზე გავედით. ლესელიძემ ადიუტანტს რუკა გადააშლევინა.

— თქვენი საბრძოლო ამოცანა ნათელია? — შემეკითხა.

ჩემი რუკა გადავშალე. უკვე ფერადი ფანქრით აღნიშნული მქონდა დივიზიის უახლოესი და შემდგომი საბრძოლო ამოცანა. რუკაზე ვუჩვენე, რომ უნდა წავსულიყავით სოფელ ვ-ს მიმართულებით, ლიკვიდაცია გვეყო მტრის ფრთის დაცვისათვის და დაგვეკავებინა საიერიშო ზღუდე დიდი სიმაღლის მისადგომებში, რის შემდეგაც შენაერთი იერიშზე უნდა გადასულიყო.

იმავე დღეს, ორი საათის შემდეგ, დივიზია დაიძრა შემდეგი დასახლებული პუნქტებისაკენ. გზადაგზა ვანადგურებდით მტრის არიერგარდის ნაწილებს. ისინი ჩქარსა და ძლიერ დარტყმებს ვერ უძლებდნენ და სულ მოკლე ხნის წინააღმდეგობის შემდეგ გარბოდნენ შემდეგი მოგერიების ზღუდის დასაკავებლად. მტერს ეს ზოლი სერიოზულად ჰქონდა გამაგრებული. იმავე დღეს სამეთაურო პუნქტზე ნაწილების მეთაურებს თავი მოვუყარე და დავუსახე შემდეგი დღის საბრძოლო ამოცანა.

ღამით, დავიკავეთ გამოსასვლელი ზღუდე იერიშისათვის. არტილერია და ნაღმსატყორცნები იკავებენ სათანადო საცეცხლე პოზიციებს. მთელი ღამის განმავლობაში შეუწყვეტელი მუშაობა ტარდება ამოცანის შესრულებისათვის. ჩვენი არტილერია აწარმოებდა ღამის განმავლობაში მეთოდურ ცეცხლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტრის ჯარების განლაგებაზე. ამით მტერს არ ვაძლევდით მოსვენებას, ჩემი ნაწილები კი აწარმოებდნენ შეუმჩნეველ მოსამზადებელ მუშაობას.

19 სექტემბრის გარიუოაჟზე ჩვენმა არტილერიამ დაიწყო ძლიერი საარტილერიო მომზადება. ის გაგრძელდა 45 წუთს, რის შემდეგ დივიზიის ნაწილები სხვა შენაერთებთან ერთად გადავიდნენ იერიშზე. მტერმა სცადა კონტრიერიშზე გადმოსვლა, მაგრამ დივიზიის სწრაფმა წინსვლამ მტრის კონტრიერიში არარად აქცია. დივიზიის იერიშს დიდი დახმარება გაუწიეს „კატიუშებმა", რომლებმაც გამანადგურებელი ცეცხლის ქვეშ მოაქციეს მტრის მოიერიშენი. მტერი სტოვებს მეორე, მესამე და სხვა ტრანშეებს, მაგრამ წინააღმდეგობას მაინც განაგრძობს. დივიზიის ნაწილები მთელი დღის განმავლობაში გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდნენ თითოეული სახლისათვის, თვითეული ტრანშეისათვის. აქ თავი გამოიჩინეს ოფიცერ ქანთარიას ნაწილის ქვეგანაყოფებმა. ასეთი სერიოზული ოპერაციის წარჩინებულად შესრულებაში თავი ისახელა მრავალმა ასეულმა ქართველმა მეომარმა.

ხსენებული ოპერაციის დროს განადგურებული იქნა მტრის რამდენიმე ასეული ჯარისკაცი და ოფიცერი. მარტო მოკლულთა სახით რამდენიმე ათას კაცს აღემატებოდა. წამოყვანილი იქნა მრავალი ტყვე.

დივიზია განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდა მტრის არიერგარდზე. დივიზიის შტაბი ღებულობს ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს მოწოდებას ქართველი მებრძოლებისადმი. მოგვყავს მისი ტექსტი:

„მსროლელი დივიზიის მეთაურს გ. ყურაშვილს. მოადგილეს პოლიტიკურ ნაწილში ჯანჯღავას.

დივიზიის მებრძოლებს, სერჟანტებს და ოფიცრებს.

მებრძოლო ამხანაგებო!

ჩრდილოეთ-კავკასიის ფრონტის ჯარები ასრულებენ რა უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის მიერ ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანას, მტკიცედ, ვაჟკაცურად და მამაცურად ამარცხებენ მტერს, სწმენდენ კავკასიის მისადგომებს ფაშისტ ბარბაროსებისაგან.

ჩრდილოეთ-კავკასიის ფრონტის ჯარების ძლევამოსილთა რიგებში თქვენმა მსროლელმა დივიზიამ დაიკავა თავისი ადგილი და მთელ ჯარებთან ერთად ვაჟკაცურად მიდის საძულველ მტერთან საბრძოლველად. თქვენ მოგეცათ საუცხოო შემთხვევა დაამარცხოთ და გაანადგუროთ მტერი, დიდებითა და საბრძოლო ვაჟკაცობის სახელით შემოსოთ თქვენი მშობლიური დივიზია და ამით მთელი ჩვენი ხალხი. კავკასიის ბრძოლის უკანასკნელი ეტაპი გამარჯვების დასასრულს უახლოვდება. ეჭვი არ არის, რომ უმაღლესი მთავარსარდალი მარშალი ამხანაგი სტალინი ჯილდოებით აღნიშნავს იმ დივიზიებსა და პოლკებს, რომელნიც გვიჩვენებენ საბრძოლო ვაჟკაცობისა და მამაცობის მაგალითებს. მოგმართავთ და მოგაგონებთ რა ამის შესახებ, ფრონტის სამხედრო საბჭო მოგიწოდებთ დაძაბოთ ყველა შესაძლებლობა მთელი სისავსით გამოავლინოთ თქვენთვის დამახასიათებელი ვაჟკაცობა და მამაცობა და შეასრულოთ თქვენი ამოცანა, გაანადგუროთ მტერი, პირველი შეხვიდეთ ქალაქსა და ნავსადგურ ტ-ში.

გისურვებთ საბრძოლო წარმატებებს.

წინ მტრის სრული განადგურებისა და მოსპობისათვის.

გაუმარჯოს ჩვენს ბელადს, უმაღლეს მთავარსარდალს, დიდ ს ტ ა ლ ი ნ ს!

ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო საბჭო:

1943 წლის 21 სექტემბერი".

შემდეგში დივიზიამ არმიის სარდლის ლესელიძისაგან მიიღო ამოცანა

20 სექტემბერს გაარღვიოს მტრის მოგერიების ზღუდე, დასახლებული პუნქტის მისადგომებთან.

ახალი შეტევის წინაღამეა. ნაწილები მოუთმენლად ელოდნენ დილის რიჟრაჟს. დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხანაგმა ჯანჯღავამ ათობით განცხადება მიიღო, მებრძოლები თხოულობდნენ ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში შესვლას.

ჯანჯღავამ იმავე ღამეს ნაწილის უფროსების მოადგილეებს ტელეფონით განკარგულება მისცა სასწრაფოდ გამოეგზავნათ ის მებრძოლები, რომლებმაც შეტევის დაწყებამდე პარტიის რიგებში შესვლა ისურვეს. ერთი საათის შემდეგ დივიზიის საკომანდო პუნქტზე ათეულმა მებრძოლმა მოიყარა თავი. ისინი ავტომატებითა და ხელყუმბარებით შეიარაღებულნი იყვნენ.

ჯანჯღავა მებრძოლებისაკენ გაეშურა.

ჯანჯღავა ნიჭიერი პოლიტმუშაკია. ის ხშირად ბრძოლის ხაზზე იმყოფებოდა. დივიზიის შემადგენლობაში ავტორიტეტი და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული. მან მუშაობაში დაღლა არ იცოდა. ზრუნავდა თითოეულ მებრძოლზე და ოფიცერზე.

ღამის სიბნელეში, როდესაც წყვდიადს მხოლოდ მებრძოლთა თვალთა სხივები აშუქებდნენ, ჯანჯღავამ მოკლე თათბირი ჩაატარა და პარტიის საკანდიდატო ბილეთები გადასცა. მოუწოდა სამშობლოსათვის თავდადება და ბრძოლაში წარმატება. მებრძოლები ფიცს სდებდნენ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებდნენ.

ლენინ-სტალინის პარტიის წევრობის ახალი კანდიდატები აღფრთოვანებულები გაეშურნენ თავიანთ სანგრებში.

გათენდა. დაიწყო საარტილერიო ორთაბრძოლა. მტერი არაფერს ზოგავდა, რათა გზა გადაეღობა ჩვენი ნაწილებისათვის, რომელნიც ანადგურებდნენ ვერაგი მტრის ნაწილებს, და რომელთა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა გაეწმინდა გზის მთავარი მაგისტრალის ორივე მხარეზე მდებარე სოფლები. აი ასეთი რთული და მეტად სერიოზული ამოცანა იდგა დივიზიის წინაშე.

20 სექტემბერს დივიზიამ დაიკავა ზღუდე ერთერთ კოლმეურნეობის მისადგომებთან, დაიწყო საარტილერიო მომზადება. რამდენიმე ათასმა ყუმბარამ ოკლე ხნის განმავლობაში შესძლო მტრის ზღუდის გაცამტვერება. საარტილერიო მომზადების ბოლო წუთებში „კატიუშების“ რამდენიმე დანადგარმა დაუშინა ცეცხლი. სულ რამდენიმე წამის განმავლობაში რამდენიმე ტონა გახურებული ლითონი დაატყდათ თავს პირსისხლიან ჰიტლერელებს. ამის შემდეგ დაიძრნენ ტანკები. დეტალურად გვქონდა შესწავლილი, სად რა სიმაგრე გადაგველობებოდა. ტანკების უკან დაიძრნენ მეომრები. გაისმა ძახილი:

— „წინ, ფაშისტების საბოლოო განადგურებისათვის!“

— „არ ჩამოვრჩეთ ტანკებს“!

ტანკებს გზას უკაფავდა ძლიერი საარტილერიო ცეცხლი. მტერმა კოლმეურნეობა გადააქცია ძლიერ გამაგრებულ პუნქტად. მოგერიების წინა ზოლი დანაღმული აღმოჩნდა. რამდენიმე მავთულხლართის ხაზი, რამდენიმე მთლიანი ტრანშეა, სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდნენ ჩვენი ჯარისათვის. დივიზიამ საომარი ტექნიკის საუკეთესოდ გამოყენებით შესძლო მტრის მოგერიების სიღრმეში შეჭრა. ტანკები ანადგურებდნენ მძიმე საცეცხლე წერტილებს. იერიში ისეთი ძლიერი იყო, რომ დივიზიამ 45 წუთის განმავლობაში მთლიანად გაანადგურა პირველი, მეორე და მესამე ტრანშეებში მყოფი ცოცხალი ძალა. ამ დროს დივიზიის მარჯვენა ფრთაზე კონტრიერიშზე გადმოვიდა მტრის ასეული. მას მხარს უჭერდა ცხრა ტანკი და ერთი საარტილერიო დივიზიონი. დივიზიის მეთვალთვალეებ-

შა ეს საფრთხე დროულად აღმოაჩინეს. მტრის კონტრიერიშს წინააღუდგა ოფიცერ ფროლოვის საარტილერიო პოლკი. ფაშისტების ცოცხალი ძალა მოჰყვა ჩვენი არტილერიის გადამღობ ცეცხლში. კონტრიერიშის საბოლოო ლიკვიდაციისათვის სასწრაფოდ გავგზავნე კაპიტან შალვა დავითულიანის ათასეული. ათასეულს მხარდამხარ მიჰყვებოდა ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონი. შალვა დავითულიანმა დამხმარე ნაწილებთან ერთად მიიტანა სწრაფი იერიში მტერზე და სამი საათის გააფთრებული ბრძოლის შემდეგ ლიკვიდაცია უყო დივიზიის მარჯვენა ფრთაზე შექმნილ საშიშროებას.

გრძელდება გააფთრებული ბრძოლა მტრის მოგერიების მთლიანი ლიკვიდაციის მიზნით.

ამ მძიმე ოპერაციის მსვლელობაში დაიჭრა ოფიცერი ნიკოლოზ გვენცაძე. მარჯვენა გვერდში ღრმად ჩამჯდარი ყუმბარის ნამსხვრევი სასწრაფოდ ამოღო სამხედრო ექიმმა მინდაძემ. ჭრილობა მეტად სერიოზული იყო, მაგრამ მამაცი ოფიცერი ბრძოლის ველს არა სტოვებდა, ბრძოლას განაგრძობდა.

შეტევა კვლავ გრძელდებოდა, იგი განუწყვეტელ ხელმძღვანელობას მოითხოვდა. ამოცანის შესრულება თითოეულ წუთზე იყო დამოკიდებული. უშედეგოდ დაკარგული ყოველი წუთი მტერზე გამარჯვების შესაძლებლობას ამცირებდა. დრო არ ითმენდა. საჭირო იყო ქვეგანაყოფების ხელმძღვანელობა, გაბედული შეტევითი მოქმედების განხორციელება. სანამ ათასეულის შტაბი დივიზიის შტაბს დაუკავშირდებოდა, ათასეულის მეთაური მტრის ტყვიამ ხანგრძლივი დროით წყობილებიდან გამოიყვანა. ათასეულის ხელმძღვანელობა პოლიტმუშაკმა მეგრელიშვილმა იკისრა, რის შესახებ ყველა ასეულის მეთაურს სასწრაფოდ აცნობა და ამავე დროს გამოგზავნა ცნობა შექმნილ მდგომარეობაზე. ეს იყო წუთების საქმე. მეგრელიშვილის მკაფიო და საპატიო ამოცანა-დავალება. მეგრელიშვილი სწრაფად ჩასწვდა ამოცანის მნიშვნელობას — სოფლის აღების შესახებ. მან საჩქაროდ მიირბინა პირველ ასეულში. ეს ასეული მტრის ძლიერი ცეცხლის ქვეშ იყო მოქცეული. მეგრელიშვილმა დაამყარა მჭიდრო კავშირი ათასეულის დამხმარე საარტილერიო დივიზიონთან. არტილერია და ათესეულის ნაღმსატყორცნები ძლიერი ცეცხლით თავს ესხმიან მტრის საცეცხლე წერტილებს, მტერი იძულებული გახდა დროებით ჩაჩუმებულიყო.

ათასეული დაიძრა მტრის უკანასკნელი გამაგრებული პუნქტის დასაკავებლად. ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა, რამაც მძიმე ხასიათი მიიღო. ასეთი დაძაბული მდგომარეობიდან აკაკი მეგრელიშვილის ათასეულს „სულზე" მოუსწრო შალვა დავითულიანის ათასეულმა. როგორც კი დავითულიანმა კონტრიერიშის ლიკვიდაცია დაამთავრა, რადიოთი გადავეცი: — სასწრაფოდ მოაბრუნეთ ათასეული სოფლის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, დაარტყით მტერს მარცხენა ფრთაზე და მეგრელიშვილის ათასეულთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით მოსპეთ მტერი სოფლის ჩრდილო-დასავლეთის განაპირას და დაიკავეთ ის-მეთქი.

დავითულიანის ათასეული ელვის სისწრაფით თავს დაესხა მტრის განლაგებას, სადაც მტერი მეგრელიშვილის ათასეულს გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა და წინ წაწევის საშუალებას არ აძლევდა. დავითულიანის ათასეულის დარტყმა ძლიერი და ძალზე ეფექტიური შეიქმნა. ამ დროს ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებმა დაუშინეს გამანადგურებელი ცეცხლი მტრის ძელმიწურებს, რომლებიც გზას უღობავდნენ მეგრელიშვილის ათასეულს. ძლიერმა საარტილერიო ცეცხლმა მტრის ძელმიწურები გაანადგურა. სავსებით განადგურებულ იქნა ის ხანგრ-

ძლივი საცეცხლე წერტებიც, რომლებიც ახალ ზღუდიდან აწარმოებდნენ გამანადგურებელ ცეცხლს. მეგრელიშვილისა და დავითულიანის ათასეულებმა სწრაფად დააგვირგვინეს იერიში. მტერი მოსპობილ იქნა. დივიზიის სხვა ნაწილებმა დაასრულეს საერთო შეტევა, დასახლებული პუნქტი ჰიტლერელებისაგან გაწმინდეს და მთლიანად დაიკავეს იგი. მხედრები „ვაშას“ ძახილით სწრაფი ტემპით გაეშურნენ დასავლეთის მიმართულებით.

საღამოს ექვსი საათია.

არმიის სარდალი ტელეფონთან მეძახის. მღელვარედ ვიღებ ხელში მილს და ყურადღებით ვუსმენ სახელმოხვეჭილ სარდლის ბრძანებას.

ლ ე ს ე ლ ი ძ ე: გამარჯობა, ამხანაგო ყურაშვილო! როგორ მიმდინარეობს საბრძოლო ამოცანის შესრულება?!..

ყ უ რ ა შ ვ ი ლ ი: რამდენიმე წუთის უკან დასახლებული პუნქტი მთლიანად გაწმენდილ იქნა ჰიტლერელებისაგან. ამჟამად დივიზია ბრძოლას განაგრძობს სოფლის დასავლეთის მიმართულებით. მტრის დაახლოებით ერთი ასეული, რომელსაც მხარს უჭერდა ცხრა ტანკი და ერთი საარტილერიო დივიზიონი, კონტრიერიშზე გადმოვიდა, მაგრამ ვერაფერი დაგვაკლო, ჩვიდმეტ საათამდე მას ლიკვიდაცია ვუყავით!

ლ ე ს ე ლ ი ძ ე: რატომ არ მაცნობეთ, შემეძლო სასწრაფო დახმარება გამეწია ავიაციით.

ყ უ რ ა შ ვ ი ლ ი: საკმაო რეზერვი მყავდა და იმედი მქონდა, სისხლიდან დაცლილი მტერი დიდ ზიანს ვერ მოგვაყენებდა. ჩვენმა არტილერისტებმა და მსროლელმა ნაწილებმა საკადრისი პასუხი გასცეს! იმედი იქონიეთ, ამხანაგო სარდალო, რომ ჩვენი მეომრები არ შეგარცხვენენ. მტერს ცოცხალს არ გავუშვებთ.

ლ ე ს ე ლ ი ძ ე: ვინც თავი ისახელა, წარმოადგინეთ სასწრაფოდ დასაჯილდოებლად. ფრთხილად უყავით, ღამით მტერი არ გაგეპარონ. ბისურვებთ გამარჯვებას!“

ჩვენი მეომრები ელვის სისწრაფით დაიძრნენ მტრის უკანასკნელ მოგერიების ზღუდისაკენ. დღის ბოლოს დაამთავრეს მტრის მთლიანად განადგურება და მათი მოგერიების „მიუდგომელი და აუღებელი“ „ცისფერი ხაზის“ ერთ-ერთი უბანი გაცამტვერებული იქნა.

„ცისფერი ხაზის“ შუაგულისკენ

ამ დასახლებულ პუნქტზე ჩატარებული ოპერაცია მეტად სერიოზული და რთული იყო, მაგრამ ჩვენმა მეომრებმა და მათმა ხელმძღვანელებმა საკმაოდ აითვისეს რთული ბრძოლის ხერხები. ისინი მეზობელ და დამხმარე ნაწილებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებაში და განუწყვეტელ კავშირში იყვნენ. 19 საათზე და 30 წუთზე იმ სოფელსა და მის მისადგომებში დივიზიამ საბრძოლო ოპერაცია დაამთავრა. მტრის მცირეოდენმა ნაწილებმა, რომელნიც ცოცხალი გადურჩნენ დივიზიის მძლავრ დარტყმას, იარაღი დაყარეს და ხელები მაღლა ასწიეს.

ამ ბრძოლაში თავი ისახელა ბევრმა ჩვენმა მეომარმა.

გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებული სოფლის მცხოვრებლები, რომელნიც უმთავრესად ქალები, ბავშვები და მოხუცები იყვნენ, სიხარულით და მადლობის გრძნობით ხვდებოდნენ საბჭოთა არმიის ნაწილებს.

მტრის ჯარების განადგურებული ნარჩენები უგზოუკვლოდ გარბოდნენ დიდ დასახლებულ პუნქტ ა.-კენ. დივიზიის ნაწილები განუწყვეტლად სდევნიდნენ მოსისხლე მტერს, შესვენების საშუალებას არ აძლევდნენ. უთვალავი საბრძოლო მასალა და საწყობები ლაჩრულად მიატოვეს ჰიტლერელებმა.

მრავალი ტყვე ჩაგვივარდა ხელში. რას არ გვიამბობდნენ ისინი? უმეტესი მათგანი შიშით თრთოდა, ძნელი იყო იმათი ლაპარაკის მოსმენა. ინტერესმოკლებული არ იქნება რამდენიმე ტყვე ჯარისკაცის ნათქვამის აქ მოყვანა. ფრანც ფლიშერი და მანდერდა მარქისი ამბობდნენ: „ჯარისკაცთა განწყობილება ტამანის ნახევარკუნძულზე და ყუბანში მეტად მძიმე იყო, ჩვენს ასეულში ადგილი ჰქონდა დეზერტირობას, ჯარისკაცები ამბობდნენ, სჯობს ზურგში გავიქცეთ, სანამ ყველას ფრონტზე გაგვყლეტავენო. მაგრამ ზურგში უამრავი საველე ჟანდარმერიაა, რომელიც იჭერს დეზერტირებს და პასუხისგებაში აძლევს. ხშირია ჯარისკაცებში თვითდაჭრა. სახლიდან ვღებულობთ მეტად ცუდ ამბებს. შიმშილი და სიცივე მეფობს მთელ გერმანიაში. ოჯახის წევრები კვირაში 30 გრამ ქონს, 300 გრამ ხორცს ღებულობენ. ფრონტის ცნობები არა ნაკლებ გავლენას ახდენენ ზურგში მცხოვრებლებზე. ისინი ძალიან უკმაყოფილონი არიან მიმდინარე ომზე და თანამედროვე ხელმძღვანელობაზე“.

საღამოს 8 საათზე საკომანდო პუნქტზე თავი მოვუყარეთ ნაწილების უფროსებს და დავუსახე მათ შემდგომი დღის საბრძოლო ამოცანა.

მტერს მივდევდით, შესვენების საშუალებას არ ვაძლევდით, მაგრამ არც ჩვენს თავს ვაძლევდით დასვენების უფლებას. იმავე საღამოს ერთი პოლკი სტანიცისაკენ გავგზავნე, დანარჩენი ნაწილებით შევუტიეთ მტრის განლაგებას ერთ-ერთი კოლმეურნეობის მისადგომებთან, სადაც ძალიან სწრაფად გავანადგურეთ ფაშისტი დამპყრობლები. შეუსვენებლივ განვაგრძეთ გზა. შევუტიეთ მტერს რამდენიმე დასახლებულ პუნქტში, სადაც იგი წინასწარ გამაგრებული იყო. მავთულხლართის რამდენიმე ხაზი ჰქონდა გავლებული. ეს ზღუდე იცავდა მტრის ძლიერ დაჯგუფებას. მეორე დღის 12 საათამდე გააფთრებული ბრძოლა სწარმოებდა. 13 საათზე დივიზიის ნაწილებმა შეაჯალეს მტრის დაჯგუფების განადგურება. გადალახეს მდინარე და ჩრდილოეთის მიმართულებით მტრის განლაგებაზე ძლიერი იერიში მიიტანეს. ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. მამაცობისა და გმირობის გამოჩენა განსაკუთრებით ასეთ ბრძოლაში ხდება და რადგან ჩვენს მებრძოლებს სიმამაცე არ აკლდა, მტერს სძლიეს.

ამ დროს მტრის არტილერია გამანადგურებელ ცეცხლს გვიშენდა. ეს ცეცხლი დროულად შეაჩერა ოფიცერ ქრ. გაფრინდაშვილის პოლკმა. ამის შემდეგ დივიზიის არტილერიის მთელი სიმძიმე თავს დაატყდა მტრის საარტილერიო პოზიციებს. 40 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა საარტილერიო ორთაბრძოლა. მტერმა ვერ გაუძლო ჩვენს ცეცხლს.

ოფიცერ ქანთარიას დავალებული ჰქონდა იერიშზე გადასვლა. მან დანიშნულ დროს თავისი ქვეგანაყოფები იერიშზე გადაიყვანა, მაგრამ დანაღმულ უბანს წააწყდნენ. სასწრაფოდ გავგზავნე ოფიცერ ჯაბუას მესანგრეთა ათასეული, რომელმაც მოკლე დროის განმავლობაში შესძლო რამდენიმე გასასვლელის გაკეთება, რის შემდეგაც ოფიცერ ქანთარიას მებრძოლებმა იერიში განაგრძეს.

დივიზიის ყველა ნაწილი საერთო იერიშზე გადავიდა. რამდენიმე საათის გააფრთებული ბრძოლის შემდეგ მებრძოლები შეიჭრნენ მტრის განლაგებაში და გაათავისუფლეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

საბჭოთა არმიის მძლავრი და სწრაფი დარტყმების შედეგად თავისუფლდებოდა სოფელი სოფელზე, ქალაქი ქალაქზე.

დივიზიის ნაწილები ელვის სისწრაფით მიიწევდნენ წინ და გზადაგზა ანადგურებდნენ მტრის არიერგარდის ნა-

წილებს, რომლებიც ამ პუნქტს მისადგომებთან განადგურების შემდეგ გაფანტულ იქნენ ვეხახებში. ისიხი ვეხახებიდან უგეგმო ცეცხლს აწარმოებდნენ, მაგრამ ზიანი უმნიშვნელო იყო. ბრძოლით წინ მივიწევდით.

საჩქაროდ მივეშურებოდი ფრონტის მოწინავე ხაზისაკენ. მინდოდა ჩემი თვალით შემერჩია გამოსასვლელი ზღუდე შეტევისათვის. ამ დიდი დასახლებული პუნქტისაკენ მიმავალი შარაგზა სავსეა ფაშისტების გვამებით და ბრძოლაში განადგურებული მტრის ტექნიკით. სად იყო იმის დრო, რომ გზა წინასწარ დაზვერილიყო და სათანადო მუშაობა ჩატარებულიყო მისი გაწმენდის მიზნით. ამას რამდენიმე საათი ესაჭიროებოდა, რასაც სწრაფი და შეუჩერებელი დევნის საქმე ვერ ითმენდა. ასეთ მომენტში თავს დაგვესხა მტრის თვითმფრინავები. მაგრამ ზიანი სულ უმნიშვნელო აღმოჩნდა. საბჭოთა მებრძოლებს კარგად ესმოდათ, რომ მტერი კატასტროფის წინ იდგა. დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდა იგი.

ანაპისაკენ

სექტემბრის მიწურული იყო. მშვენიერი ამინდი იდგა, სწორედ ისეთი, როგორც ამ თვეში საქართველოში იცის.

მწვანით შემოსილი მთები, ტყეები, ყურძნით სავსე ვენახები, რომლებზეც მზის სხივები უხვად იღვრებოდნენ, ბუნების სრულყოფილ სიმშვენიერეს გამოჰხატავდნენ, მაგრამ მეომრის თვალისათვის ყველაფერი ეს შეუმჩნეველი იყო, რადგან ამ დროს ასობით ქვემეხის შეუწყვეტელი გუგუნი ისმოდა. ჩემი სათვალთვალო პუნქტის ირგვლივ სკდებოდნენ მტრის ყუმბარები. შეიძლება მტერი ბრმად ისროდა ამ მიდამოში, მაგრამ ისიც შესაძლებელია, ალღოთი ხვდებოდნენ, რომ სწორედ ამ ადგილას წყდებოდა ამ უბანზე დარბეული ნაწილების ყოფნა არ ყოფნის ბედი.

სათვალთვალო პუნქტი კარგად მოწყობილი და შენიღბული იყო, მაგრამ ამ წუთს, არა თუ გარეთ გამოსვლა, არამედ ახლოს გავლაც კი არ შეიძლებოდა.

მე განუწყვეტლივ თვალს ვადევნებდი, თუ როგორ აწარმოებდნენ შეტევას ჩვენი დივიზიის ნაწილები. გვერდით მედგა ჩვენი არტილერიის უფროსი გლაზუნოვი. დროგამოშვებით სათვალთვალო პუნქტზე მოწყობილ სტერეომილით ვიცქირებით და სათანადო ცეცხლით ზომებს ვიღებთ. გული აჩქარებით მიცემს. მთელი ჩემი ყურადღება იქით არის მიქცეული, რომ ამოცანა დროზე და წარმატებით შევასრულოთ. გონებაში მიტრიალებს ლესელიძის სიტყვა, რომელიც მან დივიზიის ნაწილების წინაშე წარმოსთქვა: „გაიხსენეთ, ჩვენი წინაპრების გმირული ბრძოლა დიდ რუს ხალხთან ერთად“. ვფიქრობ, სწორედ ახლაა საჭირო მამაცობა გამოვიჩინოთ, რომ ქართველი ხალხის შვილები დიდი ბელადის მადლობის ღირსნი გახდნენ. გარდა ამისა ჩვენ მოგველოდნენ ამ დასახლებული პუნქტების მცხოვრებლები. ჩვენი თითოეული ნაბიჯის წინ წაწევა მათ სიცოცხლეს ჰმატებდა, გრძნობდნენ, რომ ახლოვდებოდა ჰიტლერელების დაღუპვის დრო და საათი.

დივიზიის ნაწილები წინ მიიწევენ, არტილერიისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლის საფარ ქვეშ მეომრები ხოხვით მიდიოდნენ. თავის ოდნავ მაღლა აწევა მათ აუცილებელ სიკვდილს უქადდა. დივიზიის სანიტრები თავს არა ზოგავდნენ. ცეცხლის დროს შედიოდნენ ველზე და დაჭრილები ზურგზე შესმული ხოხვით გამოჰყავდათ.

ერთმა მოთვალთვალემ — ეფრეი-

ტორმა გოშხეთელიანმა, რომელსაც თავისი სათვალთვალო სექტორი ებარა, მომახსენა, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრის ნაწილები ჯგუფდებოდნენ. მან ორიენტირის საშუალებით დამანახვა, თუ რა ადგილას ჯგუფდებოდა მტერი.

სტერეომილთან მოირბინა ოფიცერმა ჯანჯღავამ. იმანაც გულდასმით ჩაიხედა შიგ.

— როგორც ჩანს მტერი კონტრიერიშს ამზადებს! — ჩაილაპარაკა მან და თვალთვალი განაგრძო.

არტილერიის უფროსს მაშინვე კონტრიერიშის საწინააღმდეგო საცეცხლე ამოცანა დავუსახე. დავამთავრე თუ არა ჩემი გადაწყვეტილება, სათვალთვალო პუნქტში ადიუტანტმა შემოირბინა და მომახსენა:

— ამხანაგო პოლკოვნიკო, არმიის სარდალი გვესტუმრა!..

არმიის სარდლის შესახვედრად სასწრაფოდ გავეშურე. მისი ყოველი გამოჩენა, მისი შორიდან დანახვაც კი მახარებდა. არა მარტო იმიტომ, რომ ის ქართველი იყო, არც მარტო იმიტომ, რომ სახელმოხვეჭილი მეომარი, არამედ იმიტომაც, რომ ის დიდად ზრუნავდა ადამიანებზე, ყოველ მებრძოლზე და განსაკუთრებით თვალს ადევნებდა ჩვენს დივიზიას, რომ მარცხი არ განგვეცადა. თითქოს ჩვენი შერცხვენა მისი შერცხვენაც იქნებოდა.

მტერი ჩვენს სათვალთვალო პუნქტს აღარ აწუხებდა, ეტყობოდა ამაოდ ჩათვალა ამ მიდამოში სროლა და ცეცხლი სხვაგან გადაიტანა.

კონსტანტინე ლესელიძე ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა ჩვენსკენ. გავიფიქრე — „კარგია რომ მოვიდა, თავისი თვალით დაინახავს ჩვენი მებრძოლების გმირულ მოქმედებას-მეთქი“...

მტრის ყუმბარების ზუზუნი და მათი სკდომა ფარავდა ჩვენს ხმას. ძნელი იყო სიტყვის გაგება. საჭირო იყო ხმამაღალი ლაპარაკი. რამდენადაც შემეძლო, სწრაფად მივუახლოვდი და მოვახსენე:

— ამხანაგო სარდალო, დივიზიის ნაწილები ბრძოლას აწარმოებენ ამა და ამ უბანზე დაჯგუფებულ მტრის წინააღმდეგ.

მოხსენება მიიღო, ხელი ჩამომართვა და მითხრა.

— სათვალთვალო პუნქტზე შევიდეთ, თორემ მტერი შეგვნიშნავს! —

სათვალთვალო პუნქტში შევედით. ის მაშინვე მივიდა სტერეომილთან და თვალზე მოირგო. გადახედა ბრძოლის ველს, რომელიც დაახლოებით სამ კილომეტრზე იყო გადაჭიმული. სწრაფად გაერკვია მდგომარეობაში. შემეკითხა:

— რომელი პოლკი უტევს ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით?

— ოფიცერ ქანთარიას ნაწილი! — ვუპასუხე.

— ყოჩაღი ბიჭები ყოფილან. თუ შეტევა ასე განაგრძეს, ამოცანას დროულად და წარმატებით შეასრულებენ!

რამდენიმე წუთის შემდეგ სტერეომილი სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით შეაბრუნა. თვალი გადაავლო საბრძოლო განლაგებას და კვლავ მკითხა:

— ამ მიმართულებით ვინ უტევს?

— ოფიცერ მაჭარაძის პოლკი.

— როგორც ჩანს, ამ მიმართულებით მტერი დიდ წინააღმდეგობას გიწევთ.

— დიახ, ამ მიმართულებით ვენახებში ჩამჯდარი მტერი ძლიერ გამაგრებულია. ჩვენი არტილერია გამანადგურებელ ცეცხლს უშენს, მაგრამ მტრის წინააღმდეგობა ჯერ კიდევ ვერ იქნა დაძლეული.

— სხვა საუშალებას უნდა მივმართოთ! — ჩაილაპარაკა. გენერალმა და შემეკითხა:

— არმიის შტაბთან კავშირი ხომ არ შეწყვეტილა?

— არა, ტელეფონი და რადიო გა-

ნუწყვეტლივ მუშაობს! მან ტელეფონის მილი აიღო და საჩქაროდ გამოიძახა, ოფიცერი პავლოვსკი, რომელსაც დაავალა:

— ორი „მეურნეობა“ (ლაპარაკი იყო ორი პოლკის დანადგარებზე) სასწრაფოდ გადმოისროლეთ ყურაშვილის „მეურნეობაში“. — ლესელიძემ იქვე კოდირებულ[1] რუკაზე მიუთითა ამ „კატიუშებისათვის“ შერჩეული საცეცხლე ხაზი,—მოამზადეთ ორი ესკადრილია და კატიუშების შემდეგ დააბომბვინეთ ამ უბნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი!

„კატიუშების“ ნაწილი ათი კილომეტრის მანძილით იყო მოშორებული საბრძოლო უბანს.

მალე ჩემს სათვალთვალო პუნქტზე გამოცხადდნენ გამოძახებული ნაწილები თავიანთი მეთაურებით.

ლესელიძემ გადმომხედა და მითხრა:

— ნათლად და გასაგებად უჩვენეთ ის ობიექტები, რომლებიც უნდა განადგურდნენ!

მე მათ ამოცანა გავაცანი. მერე ოფიცერ დ. მაჭარაძეს დავავალე „კატიუშების“ მოქმედების შემდეგ პოლკი იერიშზე გადაეყვანა და დასახლებულ პუნქტში სამხრეთ-დასავლეთიდან შეჭრილიყო. ჩრდილოეთიდან იერიშზე გადავიდოდა ოფიცერი ქანთარია, ოფიცერ მანაგაძის ნაწილს კი თავისი აქტიური მოქმედებით მტრის ყურადღება უნდა მიეპყრო აღმოსავლეთის მიმართულებით.

ნაწილები მოქმედების დაწყების ნიშანს ელოდნენ.

აი, ჰაერში გამოჩნდნენ შუშხუნები. და საბრძოლო მოქმედებაც დაიწყო.

იგრიალა „კატიუშების“ მრავალმა დანადგარმა. არტილერია მთელი თავისი სიძლიერით თავს დაატყდა მტრის ნაწილებს. ამის შემდეგ ცაში გამოჩნდნენ ჩვენი ბომბდამშენები, რომლებმაც საუკეთესოდ შეასრულეს თავიანთი ამოცანა. მტრის თავდაცვის ზღუდე ცეცხლის ალში იქნა მოქცეული, რის შემდეგაც დივიზიის ყველა ნაწილი საერთო შეტევაზე გადავიდა. ფაშისტთა ურდოებმა შეტევას ვერ გაუძლეს და გზაკვალაბნეულნი სხვადასხვა მიმართულებით გაიქცნენ.

დივიზიის ყოველი ნაწილი ჩქარი ტემპით მიიწევდა წინ, რათა ამ დასახლებულ პუნქტში ყოველი მხრიდან და ერთდროულად შეჭრილიყვნენ.

ქუჩებში ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. მტერს თითოეული სახლი საცეცხლე წერტად ჰქონდა გადაქცეული. მთავარი მიმართულებით მიდიოდა ერთი ტანკსაწინააღმდეგო ბატარეა ლეიტენანტ დაშნიანის მეთაურობით, რომელსაც პირდაპირი დამიზნებით გამოჰყავდა წყობილებიდან მტრის ხანგრძლივი საცეცხლე წერტები და ძელმიწურები.

როდესაც კ. ლესელიძე დარწმუნდა, რომ ამოცანა წარმატებით სრულდებოდა, გვითხრა:

— აბა, ახლა კი თქვენ იცით! მტერი ცოცხალი არ გაძვრეს რკალიდან. ახლავე შეუდექით მთავარი ძალების დამიზნებას ანაპაზე. არ გასწყვიტოთ კავშირი მეზობლებთან და ჩემთან. მე მივდივარ, მაგრამ ყურადღების ცენტრში მეყოლებით.

დაგვემშვიდობა და თავის საკომანდო პუნქტისაკენ გაეშურა.

ქალაქში ბრძოლის დროს დიდი დახმარება გაგვიწიეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა.

ამრიგად 21 სექტემბერს დღის ბოლოს მთლიანად გაწმენდილ იქნა დიდი დასახლებული პუნქტი ა. დავლად დაგვრჩა უამრავი სამხედრო ტექნიკა და,

[1] დაშიფრული, სახელშეცვლილი.

სხვა ქონება. ხელში ჩავიგდეთ მრავალი ტყვე.

აბობოქრებული შეტევის ტალღა შეუჩერებლივ წინ მიგორავდა.

ყოველმა მეომარმა იცოდა, რომ ამ დიდ დასახლებული პუნქტის განთავისუფლებით უდიდეს სამსახურს გაუწევდა საყვარელ სამშობლოს, რის გამოც დივიზიის გადაუდებელ ამოცანად დასახულ იქნა, რაც შეიძლება სწრაფად შეჭრილიყო ამ მზიურ ქალაქში.

საჩქაროდ მოვიწვიე ნაწილების მეთაურები და მოკლედ გავაცანი ქალაქის განთავისუფლების გეგმა.

მთელი ჩვენი ყურადღება იქით იყო მიმართული, რომ მტერი არ გაგვქცეოდა.

და ჩვენი მეომრები ბრძოლით გაემართნენ წინ. გზადაგზა განთავისუფლებულ სოფლებში გვხვდებოდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, რომელნიც გვიმასპინძლდებოდნენ რძით, კვერცხით, მაწვნით და სხვა სანოვაგით.

— ინებეთ, ჩვენო შვილებო, ჩვენო მხსნელნო, თქვენთვის საკუთარი ლუკმაც არ დაგვეშურება! — გაიძახოდნენ ისინი. მაგრამ სად იყო იმის დრო, რომ ამ შეხვედრისა და უხვი მოსაკითხისათვის მოგვეცალა?! პურ-მარილს რამდენიმე ათეული წუთი მაინც დასჭირდებოდა, ამისი დრო კი ჩვენს მებრძოლებს არა ჰქონდათ. მადლობით და მოსიყვარულე ღიმილით სცილდებოდნენ მეომრები იმ ხალხს, რომლებიც სულ რამდენიმე წუთის წინათ იხსნეს ჰიტლერელების მონობისაგან.

— გამარჯვებულნი იყავით, შვილებო! — გაიძახოდნენ მოხუცები.

— ბიძიებო, აქეთ აღარ გამოუშვათ მტერი, სული ამოგვართვეს! — მიმართავდნენ მოზარდები — გამხდარი, გაყვითლებული ბიჭები და გოგონები მიმავალ მეომრებს.

ანაპის განთავისუფლება

ქალაქზე შეტევისათვის საჭირო იყო დივიზიის ნაწილებისათვის იერიშის ზღუდის შერჩევა, რისთვისაც ნაწილების მეთაურებთან ერთად მივეშურებოდი. ეს ქალაქი ახლოს იყო, ხუთიოდე კილომეტრის მანძილზე. მტერს ადვილად შეეძლო ჩვენი დანახვა, თუ კი რაიმე ტრანსპორტით წავიდოდით, ამიტომ ფეხით წავედით, თან თვალყურს ვადევნებდით მტერს და ჩვენი მოწინავე ნაწილების საბრძოლო მოქმედებას.

დივიზიის არტილერიას წინასწარ დასახული ჰქონდა გამანადგურებელი ცეცხლი ეწარმოებინა და მუდამ მხედველობაში ჰქონოდა ხიდი ამ ქალაქის მდინარეზე. ამ გზას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მტრის ნაწილების უკან დახევისათვის.

ჩემს გვერდით მყოფ ოფიცერ გაფრინდაშვილს მივმართე:

— ნუთუ ჩვენს არიტლერისტებს მტერი გაუძვრებათ?

— არავითარ შემთხვევაში! — მიპასუხა მან და თანაც დასძინა, — ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმავალ გზას ვიწრო გასავლელი სრუტე აქვს, რომელიც სულ ნახევარი კილომეტრი იქნება. ჩვენი არტილერია მათ გასაქანს არ მისცემს.

მერე მსროლელი პოლკის ნაწილის მეთაურს ოფიცერ ქანთარიას მივმართე:

— თქვენ თვალი ადევნეთ სოფლის მ-ს მიმართულებით, სწორედ თქვენმა ნაწილმა უნდა დაარტყას მტერს აქეთკენ. თქვენ უნდა შეიჭრათ ქალაქში ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებიდან.

— მესმის, ამხანაგო დივიზიის მეთაურო, ამოცანა შესრულებული იქნება. სასიამოვნოა ის გარემოება, რომ მარჯვენა მხარე უზრუნველყოფილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქვს, იქ ფართოდ არის გადაშლილი ლიმანი, მტერი იქ ვერ შეძვრება.

— იცოდეთ, იგივე არტილერია დაგიჭერთ მხარს, რომელიც თქვენთან მოქმედებდა დღეს.

— გასაგებია!

ეს ოფიცერი საშუალო ტანისაა, შავგვრემანი, წყნარი, დინჯი და აუჩქარებელი.

— თქვენ კი, ამხანაგო მანაგაძე, თქვენი ნაწილით იმოქმედებთ შარაგზის გასწვრივ და ქალაქში შეიჭრებით აღმოსავლეთის მიმართულებით.

— გასაგებია, ამხანაგო მეთაურო, ვიმედოვნებ ყველაფერი რიგზე იქნება!

— მჭიდრო კავშირი იქონიეთ ქანთარიასთან და როდესაც მისი პოლკი ქალაქში შეიჭრება ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, თქვენ სასწრაფოდ განავითარებთ მის მიღწევებს.

— გასაგებია, შესრულებული იქნება!

გრიგოლ მანაგაძე ჩასკვნილი კაცია, ფართო მხარ-ბეჭიანი, მის სახეს ვაჟკაცურად ამშვენებდა შავი გადაგრეხილი ულვაშები.

— ამხანაგო მაჭარაძე, თქვენი ამოცანა იქნება, მტრის განლაგებაზე იერიში მიიტანოთ სამხრეთის მიმართულებით, — ვუთხარი და სამხრეთისაკენ პირი ვიბრუნე.

— გასაგებია, ამხანაგო მეთაურო! მიპასუხა მან.

ასეთ საუბარში შეუმჩნევლად სამ კილომეტრზე მეტი გავიარეთ. მტრის წინააღმდეგობა აღმოსავლეთის მიმართულებით თანდათან ძლიერდებოდა. ავანგარდის ქვეგანაყოფები გაიშალა და საბრძოლო სახე მიიღო.

— შევჩერდეთ! — გადავძახე ნაწილის უფროსებს. იქვე შევუდექით გამოსასვლელი ზღუდის შერჩევას იერიშისთვის. ყოველი ნაწილის მეთაურს მიეცა მკაფიო ამოცანა, რაც ოფიცერმა ციბულსკიმ თავის სამუშაო რუკაზე აღნიშნა და შეუდგა დოკუმენტის გაფორმებას.

საღამო ახლოვდებოდა.

მზიური ქალაქი „ობლად“ გამოიყურება, ის მიტოვებულ სოფელს წააგავს.

სად არის ის სიცოცხლე, რომელიც მას ახასიათებდა სანამ მას ჰიტლერელები შემოსეოდნენ?! ვინ ჩამოთვლის იმას, თუ რამდენმა საბჭოთა მოქალაქემ დაისვენა ამ მშვენიერ ზღვისნაპირა ქალაქში? ახლა კი ვერაგმა მტერმა საბჭოთა ადამიანთა სასაფლაოდ გადააქცია იგი. ჩაჰკლა შიგ სიცოცხლის ყოველგვარი ნიშანწყალი.

დივიზია შეუდგა ამოცანის შესრულებას. კონსტანტინე ლესელიძე დროგამოშვებით ეცნობა საქმის ვითარებას. ის მოუთმენლად ელოდა დივიზიისათვის ჩვეულ თავდაუზოგავად ბრძოლას, რის შედეგადაც ქალაქი ახლა დამპყრობთა საფლავად უნდა გადაქცეულიყო.

არტილერიის ცეცხლის საფარ ქვეშ გამოსასვლელი ზღუდე ღამით დავიკავეთ. მთელი ღამის განმავლობაში გაცხოველებული მუშაობა წარმოებდა, მტერს მოსვენებას არ ვაძლევდით. ოფიცერმა ჯანჯღავამ დიდი მუშაობა ჩაატარა. პოლიტგანყოფილების ყველა მუშაკი ნაწილებში იქნა გაგზავნილი. მეთაურები, სერჟანტები, ჯარისკაცები და სანიტრები საომრად ემზადებოდნენ.

დილა მოახლოვდა. გათენების წუთებში ჩვენი მებრძოლები ერთიმეორეს ელაპარაკებოდნენ:

— გაიხედე, ბიჭო, გურჯაანში ხომ არა ვართ?

— გურჯაანში კი არა, სვირში ვართ, სვირში!

ეს ლაპარაკი გამოწვეული იყო იმით, რომ დივიზიის მთელი საბრძოლო განლაგება მოთავსებული იყო ქარვისფერი ყურძნით დახუნძულ ვენახებში.

— ვაჰ, თქვენი ჭირიმეთ, ბიჭებო, ამას რასა ვხედავ! რა ბუნებაა, კახეთში მგონია ჩემი თავი!

— ცოდო არ არის ასეთ ვენახებში, რომ მტერს ეთარეშნა?!

— არაფერია, შავი დღე მოელით!

— ამას შემდეგ ჩვენი ვენახის ღვინოს კი არა, ნახერხისაგან გამზადებულ თავიანთებურ ლუდსაც ვეღარ დალევენ!

გარიჟრაჟზე შევამოწმეთ იერიშისათვის მოსამზადებელი მუშაობა, რის შემდეგაც იგრიალა ასობით ქვემეხმა.

ცაში ასრიალდნენ რაკეტები, დივიზიის ნაწილები სწრაფად წამოიშალნენ და გადავიდნენ იერიშზე. მტერი შეეცადა იერიშის ტალღა შეეჩერებინა, მაგრამ უშედეგოდ.

ქალაქის აღების საკითხი ძირითადად გადაჭრილი იყო წინა დასახლებული პუნქტის განთავისუფლებით. მტერს ძალა გამოელია, მას არც ზღვიდან, არც ხმელეთიდან საშუალება არა ჰქონდა, რომ ამ უბანში ახალი ნაწილები გადმოესროლა. ის მცირე ნაწილები, რომლებიც ვითომდა ქალაქს იცავდნენ, გაქცევას აპირებდნენ, მაგრამ მათ ესეც ვერ შეძლეს.

მრავალი ხელოვნური დაბრკოლება აძნელებდა ჩვენი ნაწილების სწრაფ წინსვლას, მაგრამ ყველა ცდილობდა ქალაქში პირველად შეჭრილიყო, რის გამოც მებრძოლები არაფერს არ ერიდებოდნენ. წინ მიისწრაფოდა ოფიცერ დავითულიანის ათასეული. გამბედავი ოფიცერი არაფერს ზოგავდა, ის ცდილობდა პირველად მისი ათასეული შეჭრილიყო ჩვენი დიდი სამშობლოს მშვენიერ ქალაქში და პირველად მათ აეფრიალებინათ იქ გამარჯვების დროშა.

არც დავით მაჭარაძის მებრძოლები ჩამორჩებოდნენ ე. ქანთარიას მებრძოლებს, ისინი ელვისებური სისწრაფით გაეშურნენ სამხრეთის მიმართულებით ქალაქის შემოვლის მიზნით. ყოველი ფეხის ნაბიჯზე ისინი აწყდებოდნენ დამპყრობლების სხვადასხვა სახეობის ეგრეთწოდებულ „სიურპრიზებს“, — მაგრამ კაპიტან შ. კაცაძის ათასეული ისე ჩქარი ტემპით მიიწევდა წინ, თითქოს მტერი წინააღმდეგობას არ ეწევაო.

ოფიცერ მანაგაძეს ნაწილმა დასძლია მტრის წინააღმდეგობა და ქალაქისაკენ გაემართა აღმოსავლეთის მიმართულებით.

დივიზიის ნაწილებს უკვე მოესმოდათ ქალაქის დასავლეთით წარმოებული ბრძოლის ხმები.

მტრის წინააღმდეგობა თანდათან შემცირდა.

— აი ჩვენი მშვენიერი ქალაქი, ჯანმრთელობის კერა! — ამბობდნენ მეომრები.

ქუჩა ქუჩაზე, კვარტალი კვარტალზე თავისუფლება მზიურ ქალაქში. მალე დივიზიის მებრძოლები „ვაშას“ მქუხარე შეძახილით შეუერთდნენ მეზობელ შენაერთთა „ურას“ ძახილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ. შარია

ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" როგორც მარქსისტული ფილოსოფიის განვითარების ახალი ეტაპი*

★

ცნობილია, თუ რა ძირეული გადატრიალება მოახდინეს მარქსმა და ენგელსმა კაცობრიობის აზროვნების განვითარებაში დიალექტიკურ-მატერიალისტურ მსოფლმხედველობისა და მეთოდის შემუშავებით. მეცნიერული კომუნიზმის მტრებს არაერთხელ უცდიათ მოენათლათ მარქსიზმი ვიწრო-პოლიტიკურ დოქტრინად, რომელსაც თითქოს ფილოსოფიური დასაბუთება აკლია. ძირითადად ამ ხაზით მიდიოდა ყველა ჯურის რევიზიონიზმი და ოპორტუნიზმი. მაგალითად, კ. კაუცკი, რომელიც ორტოდოქს-მარქსისტობას ჩემულობდა, არც კი ფარავდა თავის გულგრილ დამოკიდებულებას მარქსიზმის კანტიანელობასთან „შეერთების" ცდაში. მარქსიზმის ერთ-ერთ, პირველ და გამოჩენილ პროპაგანდისტს რუსეთში გ. ვ. პლეხანოვს ცოტა შრომა როდი გაუწევია მარქსიზმის ფილოსოფიურ საფუძვლების დაცვისათვის ადლერების, შმიდტების და სხვა რევიზიონისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც მის უდავო დამსახურებას შეადგენს. მაგრამ თვით ამ ამოცანის გადაჭრისადმი პლეხანოვისებურ მიდგომაში, როგორც მისი ფილოსოფიური ბრძოლის შინაარსშიაც, თავი იჩინა მარქსიზმის პლეხანოვისებური გაგების იმ ძირითადმა ნაკლმა, რომელმაც გააპირობა არა მხოლოდ პლეხანოვის საკუთარი ფილოსოფიური შეცდომები, არამედ მისი მთელი პოლიტიკური ევოლუცია მარჯვნივ — რევოლუციური მარქსიზმისაგან მენშევიკური ოპორტუნიზმისა და კონტრრევოლუციისაკენ. მე მხედველობაში მაქვს არაისტორიული, მაშასადამე, არადიალექტიკური მიდგომა პლეხანოვისა თვით მარქსიზმისადმი, მისი ფილოსოფიური საფუძვლების, ისევე როგორც მისი ეკონომიური და პოლიტიკური შინაარსის განხილვა წმინდა ლოგიკურ ასპექტში. ნამდვილად კი მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მხარეს შეადგენს ყველა ფილოსოფიური და მეცნიერული ჭეშმარიტების ისტორიული შეზღუდულობის აღიარება. თუ მარქსისა და ენგელსის მიერ პირველად შემუშავებული პრინციპი და მეთოდი მეცნიერული აზროვნებისა არ ძველდებიან და არც შეიძლება მოძველდნენ, რადგან ისინი ადამიანური შემეცნების უმაღლეს ფორმას წარმოადგენენ, მარქსისა და ენგელსის დასკვნები კი მეცნიერული ცოდნის ამათუიმ დარგში გამოხატავენ მეცნიერებისა და პრაქტიკის გარკვეულ ისტორიულ დონეს.

ყველა წინანდელი ფილოსოფიური მოძღვრებისაგან განსხვავებით მარქსმა და ენგელსმა პირველად დაძლიეს ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში დამკვიდრე-

* მოხსენება წაკითხული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სესიაზე (1949 წ. 1/VI), რომელიც მიეძღვნა ლენინის „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის" გამოსვლიდან 40 წლისთავს.

ბული ფორმალიზმი აზროვნებისა და უკუაგდეს განხილვა ფილოსოფიისა, როგორც ცოდნის დახშული სისტემისა უცვლელი ფორმალური სტრუქტურით. მათ არა მხოლოდ აღიარეს ობიექტური სინამდვილე ადამიანთა ცნებების ერთად-ერთ შინაარსად, არამედ დაასაბუთეს ამ უკანასკნელთა დამოკიდებულება ადამიანის ისტორიული პრაქტიკის დონეზე, რაც თავის მხრივ განუყოფელად დაკავშირებულია მეცნიერებისა და ტექნიკის დონესთან. აღნიშნულის შედეგად პრინციპულად შეიცვალა თვით ფილოსოფიის შინაარსი, ის უკვე აღარ იყო ცოდნის ფორმალური სქემა, რითაც ის იდეალისტ-დიალექტიკოს ჰეგელთანაც რჩებოდა, აღარ იყო სისტემა „წმინდა“ ლოგიკური კატეგორიებისა, რომლებსაც გარედან უყენებდნენ ნივთებსა და მოვლენებს, არამედ გარდაიქცა მუდამ მოძრავ და მუდამ ცვალებად სინამდვილის ყველა მხარის შემეცნების ცოცხალ და მოქნილ მეთოდად.[1] „სქემებს თავისთავად არაფრის დამტკიცება არ შეუძლიათ; მათ შეუძლიათ მხოლოდ პროცესის ილუსტრირება, თუ მისი ცალკეული ელემენტები თეორიულად გამორკვეულია“ (ლენინი, თხზულებანი, ტომი 4, მეოთხე რუსული გამოცემა, გვ. 48). პლეხანოვმა კი, რომელსაც უდაოდ მარქსისტულ ფილოსოფიის მიმდევრად სურდა ყოფილიყო, გადააქცია იგი უსიცოცხლო მეტაფიზიკურ სქემად და მით არა მხოლოდ ძოაცილა მას მოქმედი ხასიათი, არამედ ეჭვქვეშაც განააცალა მეცნიერებისა და პრაქტიკის დარგში ახალ მოვლენათა ფილოსოფიური განზოგადოების საქმეში. ხოლო პლეხანოვი ხომ საუკეთესო წარმომადგენელი იყო II ინტერნაციონალისა, რომელიც (II ინტერნაციონალი) ფარისევლურად ჩემულობდა მარქსისა და ენგელსის თეორიულ მემკვიდრეობას. მხოლოდ ბოლშევიზმის დიდმა ბელადებმა, ლენინმა და სტალინმა, შეითვისეს რევოლუციური მარქსიზმი მისი ნამდვილი არსის შესაბამისად და ჭასწიეს იგი წინ, ვინაიდან მხოლოდ ამ წინწაწევაში, ე. ი. მარქსიზმის შემდგომ განვითარებაში, იყო თავდები მისი ნამდვილი დაცვისა ყოველგვარი რევიზიისა და დამახინჯებისაგან. „თავისთავად ცხადია, — წერდა ლენინი, — რომ „მოწაფეები“ ინახავენ მემკვიდრეობას არა ისე, როგორც არქივარიუსები ინახავენ ძველ ქაღალდს; შეინახო მემკვიდრეობა — სრულიად არ ნიშნავს კიდევ შეჩერდე ამ მემკვიდრეობაზე“ (ლენინი, თხზულ. ტომი II, მე-4 რუსული გამოც. გვ. 494).

ამასთან ერთად ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ლენინისა და სტალინის მთელი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა წარმოადგენს მარქსიზმის შემდგომ განვითარებას, ვინაიდან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ფილოსოფიის არსს, მარქსიზმის თანახმად, შეადგენს არა მხოლოდ და არა იმდენად ლოგიკური დეფინიციები, რამდენად ობიექტური სინამდვილის ფილოსოფიურად განზოგადოებული გაშუქება და გარდაქმნა[1] „მსჯე-

[1] ცხადია, ამით სრულიადაც არაა უარყოფილი ფილოსოფიის მსოფლმხედველობითი მხარე, რაც თეორიული შედეგია კაცობრიობის წარსული პრაქტიკისა, ისევე, როგორც აღნიშნულით არაა უარყოფილი შესაძლებლობა და მიზანშეწონილობაც თვით შემეცნების ფორმების სისტემატური დალაგებისა ლოგიკისა და შემეცნების თეორიის სახით. მაგრამ თვით ამ დალაგებაში ცხადი უნდა იყოს აღნიშნული ფორმების კავშირი ადამიანის ცოდნის ისტორიულ შინაარსთან, მათი ცვალებადობა ისტორიული შინაარსის ცვალებადობასთან ერთად.

[1] ძირითადი შეცდომა თითქმის ყველა ავტორისა, ვინც წერდა მარქსისტული ფილოსოფიის განვითარების ლენინურ-სტალინური ეტაპის შესახებ, მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ზღუდავდნენ ამ განვითარებას ლენინისა და სტალინის მხოლოდ სპეციალურ-ფილოსოფიური თხზულებებით, თუმცა, სამწუხაროდ, მათი სწორი გაგების საკითხშიაც ყველაფერი რიგზე როდია.

ლობა თემაზე, რომ მარქსიზმი დაკავშირებულია ჰეგელიანობასთან, რწმენასთან ტრიადების მიმართ, აბსტრაქტულ, შემოწმებას მოკლებულ დოგმებისა და სქემების მიმართ, რწმენასთან ყველა ქვეყნის მიერ კაპიტალისტური ფაზის განვლის აუცილებლობაში და სხვ. აღმოჩნდა ცალიერი ლაყბობა" (ლენინი, თხზ. ტომი I მე-4 რუსული გამოც. გვ. 374).

ლენინის უკვდავი შრომა „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" იმდენად მდიდარია, შინაარსით, იმდენად ენციკლოპედიურია პრობლემათა მოცულობით, რომ მისი თუნდაც ზოგადი დახასიათება შეუძლებელია ერთ მოხსენებაში. ამიტომ მე ვსარგებლობ იმ გარემოებით, რომ ამ სესიაზე წარმოდგენილია რიგი მოხსენებებისა ლენინის წიგნში აღძრულ სხვადასხვა საკითხზე, და შემოვფარგლავ ჩემს მოხსენებას ზოგადი დახასიათებით მასში ჩამოყალიბებულ ზოგიერთ დებულებებისა, რომლებიც მარქსისტული ფილოსოფიის შემდგომ განვითარებას წარმოადგენენ.

*

* *

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ენგელსი აღნიშნავდა, რომ მატერიალიზმს უხდება თავისი სახის შეცვლა დიდ მეცნიერულ აღმოჩენებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით — ბუნებისმეტყველების დარგში. თავათ ენგელსს ცოტა როდი უმუშავნია მეცხრამეტე საუკუნის საბუნებისმეტყველო-მეცნიერულ აღმოჩენათა ფილოსოფიური განზოგადოების დარგში, და ამ მუშაობის ბრწყინვალე შედეგებმა გამოხატულება ჰპოვეს ენგელსის კლასიკურ ფილოსოფიურ შრომაში — „ანტი-დიურინგში." მაგრამ ენგელსი ამით არ კმაყოფილდებოდა და აპირებდა სპეციალური შრომის დაწერას ბუნების დიალექტიკაზე, რის შესრულებაში მას ხელი შეუშალეს სხვა საგანგებო სამუშაოებმა, განსაკუთრებით მისმა თავგანწირულმა მუშაობამ მარქსის გამოუქვეყნებელ ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე. მაგრამ ის ნაწყვეტები და ფრაგმენტები, რომლებიც ენგელსს დარჩა და რომლებიც პირველად საბჭოთა კავშირში გამოქვეყნდა ზოგადი სახელწოდებით: „ბუნების დიალექტიკა", წარმოადგენენ საგანძურს ღრმა აზრებისა, რომლებმაც რიგ შემთხვევაში წინასწარ განსჭვრიტეს შემდგომი მეცნიერული აღმოჩენანი ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში.

ანდომებდა რა ამდენ დროსა და ენერგიას ბუნებისმეტყველების საკითხებს, ენგელსი ხელმძღვანელობდა, უწინარეს ყოვლისა, ორი მოსაზრებით: (1) რომ მატერიალისტური მსოფლმხედველობის დასაბუთება მეცხრამეტე საუკუნეში, განსხვავებით წინანდელ რაციონალისტურ მატერიალისტურ სისტემებისაგან, შეუძლებელი იყო ბუნების მოძრაობისა და განვითარების კანონების ცოდნის გარეშე, თუმცა, თავის მხრივ, ამ კანონების ნამდვილი ცოდნა მიიღწევა მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის შემწეობით; (2) რომ იმის შემდეგ, რაც იდეალიზმი — მისი საკულმინაციო პუნქტის — ჰეგელის ფილოსოფიის — სახით გაკოტრდა ბურჟუაზიისათვის მისაღებ იდეოლოგიის დასაბუთებისათვის მაშინდელი მეცნიერების მიღწევების გამოყენების საქმეში, ბურჟუაზიამ, რომელსაც თავზარს სცემდა მატერიალისტური დიალექტიკა, (რომელიც მარქსის ცნობილი დახასიათებით თავისი ბუნებით კრიტიკული და რევოლუციურია), წამოაყენა ვულგარული მატერიალიზმის მესტვირენი ბიუხნერის, ფოხტის, მოლეშოტის და სხვ. სახით; რათა ერთდაიმავე დროს ორი ამოცანა გადაეწყვიტა: ერთის მხრივ, აეღო მონოპოლია ბუნებისმეტყველების მიღწევათა ფილოსოფიური განზოგადოების სფეროში, და მეორეს მხრივ, მოეხდინა მატერიალიზმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისკრედიტაცია მეცნიერების ნამდვილ წარმომადგენელთა შორის.[1]

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ რამდენადაც ენგელსის გარკვეული დასკვნები და ზოგადი განსაზრნი ბუნების დიალექტიკის სფეროში გამოუქვეყნებული იყო მიმდინარე საუკუნის ოციანი წლების დამლევამდე, ხოლო „ანტი-დიურინგში“ წამოყენებული საკითხები ბუნებისმეტყველებისა ცალკეულ დიალექტიკურ დებულებათა ილუსტრაციის როლს ასრულებდნენ, ლენინის „მატერიალიზმის და ემპირიოკრიტიციზმის“ გამოსვლამდე საერთოდ არ ყოფილა მოცემული მარქსისტულ ლიტერატურაში ბუნებისმეტყველების უმნიშვნელოვანეს პრობლემათა ფილოსოფიური განზოგადება[2]. ის გარემოება, რომ რიგი აზრები ენგელსისა და ლენინის, რომელიც არ იცნობდა ენგელსის შრომას მისი გამოუქვეყნებლობის გამო, ერთნაირი ძალითუ-ლებით იშლებიან, კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა იმისა, რომ მარქსისტული მსოფლმხედველობა და მეთოდი მონოლიტური და ერთადერთი მეცნიერული მსოფლმხედველობა და მეთოდია.

სანამ უშუალოდ შევეხებოდე ლენინის „მატერიალიზმს და ემპირიოკრიტიციზმს“, საჭიროდ მიმაჩნია იმის ხაზგასმა, რომ ფილოსოფიური რევიზიონიზმის წინააღმდეგ ამ სპეციალურ გამოსვლამდე ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს ურღვევი კავშირი მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძვლებისა მის სოციალურ ეკონომიურ და პოლიტიკურ შინაარსთან, და მისი 90-იანი და 900-იანი წლების ყველა უმნიშვნელოვანესი შრომა წარმოადგენს მარქსისტული ფილოსოფიის დაცვას, დასაბუთებას და შემდგომ განვითარებას სწორედ იმ ფორმაში, როგორც საერთოდ ესმის მარქსიზმ-ლენინიზმს ფილოსოფია, სახელდობრ — ყველა იმ პრობლემის დიალექტიკურ-მატერიალისტური გაშუქების სახით, რომლებიც წამოაყენა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სოციალურ-პოლიტიკურმა და ეკონომიურმა განვითარებამ მეცხრამეტე საუკუნის დამლევს და მეოცე საუკუნის დასაწყისში. რაც შეეხება მოდაში შემოსულ „შევსებას“ მარქსიზმისა კანტიანელობით (განსაკუთრებით ავსტრო-გერმანულ რევიზიონისტების მხრით), ლენინი არაერთხელ გალაშქრებულა მის წინააღმდეგ, როგორც მარქსიზმის გაყალბების რეაქციული ცდის წინააღმდეგ.[3]

---

[1] არა მგონია მცდარი იყოს იმის მტკიცება, რომ ერთგვარ ტრადიციულ ანტიპატიაში მატერიალიზმის მიმართ თანამედროვე ბუნებისმეტყველების თვით ზოგიერთ ნამდვილად პროგრესულად განწყობილ წარმომადგენელთა შორისაც კი გარკვეულ როლს ასრულებს აღნიშნული ისტორიული მაგალითი ვულგარული მატერიალიზმისა, რომელმაც თავისი იაფფასიანი პოპულარობით შუათანა მეცნიერთა ფართო წრეები მოიცვა. ენგელსმა სამართლიანად უწოდა ვულგარული მატერიალიზმის წარმომადგენლებს ფილოსოფიის დამტარებლები ბაზარზე.

[2] ორმა გარემოებამ შეუწყო ხელი იმას, თუ რატომ მოგვცეს მარქსმა და ენგელსმა მატერიალიზმის დასაბუთება უმთავრესად საზოგადოებრივ ისტორიულ (ისტორია, ეკონომიკა, სამართალი და სხვ.) და არა საბუნებისმეტყველო-ისტორიული პრობლემების დამუშავების საფუძველზე: (1) წინამარქსისტულ მატერიალიზმს, თავისი მეტაფიზიკური და მექანისტური შეზღუდულობის გამო, შეეძლო განედევნა იდეალიზმი მხოლოდ 17—18 საუკუნეთა ნაკლებად განვითარებულ ბუნებისმეტყველების სფეროდან, რის გამოც იდეალიზმმა თავშესაფარი ჰპოვა ისტორიაში; (2) ფილოსოფიის ძირითადი საკითხის — აზრისა და ყოფიერების ურთიერთობის საკითხის — მეცნიერული გადაჭრა შეიძლებოდა მხოლოდ ცნობიერების ბუნების ნამდვილად მეცნიერულ გამორკვევის საფუძველზე — ეს კი შესაძლებელი იყო მხოლოდ კაცობრიობის ისტორიული პრაქტიკის ანალიზის მეშვეობით.

[3] იხ., მაგ., თხზულებანი, ტ. 4, 4 რუსული გამოცემა, გვ. 66.

თუმცა ისტორიული მნიშვნელობა ისეთი კლასიკური შრომებისა როგორიცაა ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ არ განისაზღვრება მათი წარმომშობი ეპოქით, მაინც იმ ისტორიულ პირობათა ცოდნა, რომლებშიაც ეს შრომა იქმნებოდა, ხელს უწყობს მისი მეცნიერული შინაარსისა და ისტორიული მნიშვნელობით უკეთ გაგებას. ლენინის გენიალური ნაშრომის ამგვარი შეფასებისათვის ამოსავალი პუნქტი არის ი. ბ. სტალინის კლასიკური განმარტება მისი ისტორიული მნიშვნელობისა, რომელიც მოცემულია ამ ხანაგ სტალინის უკვდავ ნაშრომში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“. ეხებოდა რა ლენინის როლს მარქსისტულ ფილოსოფიის განვითარებაში, ამ ხანაგი სტალინი წერდა: „არა სხვა ვინმემ, ვიდრე ლენინმა, მოკიდა ხელი სერიოზული ამოცანის შესრულებას — მატერიალისტურ-ფილოსოფიურად განზოგადოებას ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მიღწევებისა, რაც მოუცია მეცნიერებას ენგელსიდან ლენინამდე გასულ პერიოდში, და მარქსისტებს შორის არსებულ ანტიმატერიალისტურ მიმართულებათა ყოველმხრივ კრიტიკას. ენგელსი ამბობდა, რომ „მატერიალიზმს უხდება მიიღოს ახალი სახე ყოველ ახალ დიდ აღმოჩენასთან დაკავშირებით“. ცნობილია, რომ ეს ამოცანა შეასრულა არა სხვა ვინმემ, ვიდრე ლენინმა თავის შესანიშნავ წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმში“.[1]

აღნიშული ამოცანის შესრულება მოითხოვდა თვით ფილოსოფიის აყვანას ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე, ვინაიდან, როგორც ვიცით, მეცხრამეტე საუკუნის დამლევი და მეოცე საუკუნის დასაწყისი ხასიათდება ნამდვილი რევოლუციით ბუნებისმეტყველებაში. ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ სწორედ ახალი საფეხურია მარქსისტული ფილოსოფიის განვითარებაში, რომელიც არა მხოლოდ შეესაბამებოდა მისი თანამედროვე მეცნიერების დონეს, არამედ წინასწარ-ჭვრეტდა ბუნებისმეტყველების უახლოეს პრობლემატიკას და მის დიალექტიკურ-მატერიალისტურ გადაწყვეტას. აღსანიშნავია, რომ მატერიალიზმისა და იდეალიზმის ფორმათა ისტორიულად აუცილებელი ცვლილებების გათვალისწინებისას ლენინს არცერთი წუთით არ ეპარება მხედველობიდან ამ ძირითად მოწინააღმდეგე ფილოსოფიურ მიმართულებათა მთავარი შინაარსი, მათი არსობა, რომელიც ვლინდება სწორედ სხვადასხვა ისტორიულად ცვალებად ფორმებში. ლენინის მიერ კლასიკურად განსაზღვრული ორი ძირითადი, ერთი მეორის გამომრიცხავი და ურთიერთმებრძოლი ხაზი ფილოსოფიაში — ხაზი დემოკრიტესი და ხაზი პლატონისა, ღებულობენ რა სხვადასხვა ისტორიულ ფორმებს, ა რ ს ე ბ ი თ ა დ ერთიდაიგივენი რჩებიან, მხოლოდ იმ მნიშვნელოვანი განსხვავებით, რომ დემოკრიტეს ხაზი, რომელიც თავიდანვე მეცნიერებასთან მჭიდრო კავშირში გაიშალა, სულ უფრო ახლო უკავშირდება მას, დაბოლოს ხდება ერთადერთ ნამდვილ მეცნიერულ ფილოსოფიად მარქსისტული დიალექტიკური მატერიალიზმის სახით,[2] იმ დროს როცა პლატონის ხაზი, რომელიც თუმცა ორგანულად არასოდეს არ ყოფილა დაკავშირებული მეც-

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი. „ლენინიზმის საკითხები“, 1941 წ. რუს. გამოცემა, გვ. 14.

[2] აღნიშნული დებულება ოდნავადაც არ ეწინააღმდეგება იმ უდავო და საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტს, რომელსაც განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ა. ა. ჟდანოვმა 1947 წლის ფილოსოფიურ დისკუსიაში, რომ მარქსიზმი ნიშნავდა ძირეულ გადატრიალებას, ნამდვილ რევოლუციას მეცნიერულ-ფილოსოფიურ აზროვნებაში. ზემოთ ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ მარქს-ენგელსის დიალექტიკური მატერიალიზმი არის დემოკრიტეს ხაზის ი ს ტ ო რ ი უ ლ ი გაგრძელება.

ნიერებასთან, მაგრამ რომელსაც პირველად მაინც ჰქონდა გარკვეული „გნოსეოლოგიური საფუძვლები“ (ლენინი) სულ უფრო და უფრო შორდებოდა მეცნიერებას, დაბოლოს გარდაიქცა აღვირახსნილ „მთვრალ სპეკულაციად.“

ამიტომ ლენინი იწყებს სწორედ იმით, რომ აღმოაჩენს მახიზმისა და ბერკლისა და ფიხტეს „ტრადიციული“ სუბიექტური იდეალიზმის საერთო ფესვებს. ახალ, კვაზიმეცნიერულ სიტყვიერ კორიანტელში, თერმინოლოგიურ ნალექებში ძველთა-ძველი შინაარსის აღმოჩენის უნარი წარმოადგენს სხვადასხვა თეორიათა და მოძღვრებათა მარქსისტულ-ლენინური ანალიზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიშანს. მაგრამ ღრმა შეცდომა იქნებოდა აქედან იმ დასკვნის გამოტანა, თითქოს ლენინი აიგივებდა ბერკლიანობას და მახიზმს და, მაშასადამე, მახიზმის — იდეალიზმის ამ ახალი სახის — კრიტიკისათვის საკმაოდ სთვლიდა ბერკლიანიზმის კრიტიკას. ცნობილია, რომ ლენინი, იწონებდა რა საერთოდ პლეხანოვის გამოსვლას ემპირიოკრიტიციზმის წინააღმდეგ, სთვლიდა პლეხანოვისებრ კრიტიკას სრულიად არასაკმაოდ და გადაწყვიტა გამოსულიყო მახისტების წინააღმდეგ „თავის საკუთარ ყაიდაზე“, როგორც იგი აღნიშნავდა ერთ-ერთ თავის წერილში გორკისადმი. ლენინი მარქსიზმის გაბიაბრუებადაც კი სთვლიდა პლეხანოვის მიერ იგნორირებას იმ კავშირისა, რომელიც არსებობდა ემპირიოკრიტიციზმსა და მაშინდელ ბუნებისმეტყველებას შორის.

მარქსიზმის არსების შესაბამისად ლენინს ყურადღების ცენტრი გადააქვს არა მარქსისა და ენგელსის კონკრეტ დასკვნებზე საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში, არამედ დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიაზე, ვინაიდან ახალი — მარქსისტული — გაგებით ფილოსოფიის მნიშვნელობა სხვა მეცნიერებათათვის მდგომარეობს არა იმაში, თითქოს მან უნდა მოამარაგოს ისინი ზემარიტი აზროვნების მზამზარეული სქემებით, არამედ იმაში, რომ მან უნდა შეაიარაღოს ისინი მეცნიერული შემეცნების სწორი მეთოდით და სწორი პრინციპებით. რაც შეეხება მარქსისა და ენგელსის კონკრეტ მეცნიერულ დასკვნებს, ლენინი თავისი წიგნის დასაწყისშივე უშვებს შესაძლებლობას ზოგიერთი მათგანის მოძველებისა, მაგრამ იცავს და შემდგომ ავითარებს მარქსიზმის შემეცნების თეორიას, როგორც ერთადერთს მეცნიერულს, რომელსაც აქვს უნარი გზა გაუშუქოს ყველა მეცნიერებათა წარმომადგენლებს.

ძირითადი ფოკუსი ლენინის წიგნში, რომელშიაც თავს იყრიან, ან რომლის გარშემო ტრიალებენ შემეცნების თეორიის დანარჩენი საკითხები, არის ასახვის თეორია. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან მასში, და მხოლოდ მასში შეიძლება კონკრეტად გადაწყდეს ფილოსოფიის ძირითადი საკითხი, აზრისა და ყოფიერების, ცნობიერებისა და მატერიის ურთიერთობის საკითხი. მართლაც და მეტს რას შეიცავს აზრისა და ყოფიერების ურთიერთობის საკითხი, თუ არა აზროვნების უნარს ასახოს თავისში, ე. ი. შეიმეცნოს, ყოფიერება? მართალია, როგორც ცნობილია ენგელსი „ლუდვიგ ფეიერბახში“ ანსხვავებს აღნიშნული საკითხის ორ მხარეს: (1) საკითხი სულისა ან ბუნების პირველადობის შესახებ; (2) საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა ადამიანის ცნობიერებას უნარი შეიმეცნოს ობიექტური სამყარო. მაგრამ, ცხადია, რომ პირველი საკითხი არ შეიძლება გადაწყდეს დამოუკიდებლად მეორე საკითხის გადაწყვეტისაგან, ვინაიდან, თუ არ დავადგებით თანდაყოლილ იდეათა არსებითად იდეალისტურ გზას, ან ე. წ. წინასწარ დაწესებულ ჰარმონიის თვალსაზრისს, საკითხი ყოფიერების პირველადობის და აზროვნების მეორადობის შესახებ შეიძლება გა-

დაწყდეს მხოლოდ თვით ყოფიერების შემეცნების საფუძველზე. მეტაფიზიკურად უნდა მივიჩნიოთ საკითხის ამგვარი დაყენება: რა არის ფილოსოფიაში გადამწყვეტი: მსოფლმხედველობა თუ მეთოდი? ისინი გააპირობებენ ურთიერთს, წარმოადგენენ ერთდაიმავე მეცნიერული აზროვნების ორ მხარეს. აბსურდი იქნებოდა დაგვეშვა მეცნიერული მსოფლმხედველობის დასაბუთების შესაძლებლობა შემეცნების მეცნიერული მეთოდის გარეშე და პირუკუ: შემეცნების მეცნიერული მეთოდის დასაბუთების შესაძლებლობა არამეცნიერულ მსოფლმხედველობის საფუძველზე.

ლენინმა იმიტომ გადაიტანა გნოსეოლოგიის სიმძიმის ცენტრი ასახვის პრობლემაზე, რომ ამ პრობლემის მართებულ გადაწყვეტაზე, საბოლოო ანგარიშში, დამოკიდებულია ადამიანის ცნობიერებისაგან დამოკიდებულ ობიექტურ რეალობის არსებობის აღიარება.

სანამ ლენინის ასახვის თეორიის გარჩევაზე გადავიდოდეთ, საჭიროა გავცეთ პასუხი საკითხს, რომელიც ბუნებრივად დგება ამ შემთხვევაში; ნუთუ მარქსთან და ენგელსთან ვერ პოვა თავის დროზე გადაწყვეტა ასახვის პრობლემამ? სხვანაირად, ან სხვა გზით, როგორ შეეძლოთ მარქსსა და ენგელსს დაესაბუთებიათ მატერიალიზმი, და ისიც უმაღლესი ფორმის მატერიალიზმი? სრულიად უდავოა, რომ მარქსი და ენგელსი ხელმძღვანელობდნენ ასახვის პრინციპით, მეტიც, — მარქსმა თავის ცნობილ ბოლოსიტყვაობაში „კაპიტალის“ მეორე გერმანული გამოცემისადმი, და სწორედ იმ ადგილას, სადაც ის უპირისპირებს თავის მეთოდს ჰეგელისას, ხაზი გაუსვა: „ჩემთვის იდეალური არის არა სხვა რამე, თუ არა ადამიანის თავში გადატანილი და გადამუშავებული მატერიალური“. მაგრამ რამდენადაც მარქსისა და ენგელსის ამოცანა უწინარეს ყოვლისა მდგომარეობდა ბრძოლაში „გერმანული იდეოლოგიის“, ე. ი. ფეოდალისტური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ, რომელმაც ყირამალა დააყენა სინამდვილის ყველა მიმართება, მათ სიმძიმის ცენტრი გადაიტანეს აზრისა და ყოფიერების დამოკიდებულების ზემოთაღნიშნულ პირველ მხარეზე, თვით ცნობიერების ბუნების საკითხის გადაწყვეტაზე, მისი (ცნობიერების) ისტორიული გენეზისისა და განვითარების საკითხზე, დაუპირისპირეს რა თავიანთი მატერიალისტური კონცეფცია ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გარშემო ჰეგელის კონცეფციას, რომელიც უკანასკნელმა უმთავრესად გაშალა თავის „სულის ფენომენოლოგიაში“ და რომელიც არსებითად მიიღეს მემკვიდრეობად ე. წ. „კრიტიკული კრიტიკის“ წარმომადგენლებმა — ძმებმა ბაუერებმა, შტირნერმა და სხვ.

ლენინის ეპოქაში ვითარება ამ მხრივ შეცვლილი იყო. ყოვლისმომცველ იდეალისტურ სისტემათა — და მათ შორის ყველაზე გრანდიოზული ჰეგელის სისტემის, სასტიკი მარცხისაგან თვით იდეალიზმის ეპიგონებმაც სათანადო დასკვნები გამოიტანეს. ეგუებოდნენ რა ეპოქას, მათ გამოაცხადეს „ბრძოლა“ მეტაფიზიკის წინააღმდეგ და დაიწყეს უპირატესად გნოსეოლოგიური იდეალიზმის განვითარება. დამახასიათებელია, რომ ემპირიოკრიტიციზმიც გამოდიოდა მეტაფიზიკის წინააღმდეგ ბრძოლის დროშით, ზღუდავდა რა ფილოსოფიის ამოცანას ადამიანის ცნობიერების შინაარსით. პლეხანოვის მიერ გაშლილი ულმობელი კრიტიკა ემპირიოკრიტიციზმისა სწორედ იმიტომ იყო, ლენინის შეხედულებით, ნაკლებად ეფექტიური, რომ პლეხანოვმა, ზემოთ აღნიშნულის გარდა ვერ შეამჩნია ემპირიოკრიტიციზმის სწორედ ეს მხარეც, ეს თავისებურებაც და დაკმაყოფილდა ზოგადი ანტითეზით: მატე-

რიალიზმი — იდეალიზმი, მათი ზოგადი პრინციპების დაპირისპირებით. ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ სწორედ შემეცნების თეორიის საკითხში, ცნობიერების მიერ ობიექტური სინამდვილის ასახვის საკითხში თვით პლეხანოვმა დაუშვა სერიოზული შეცდომა, რომელიც მას ეზიდებოდა აგნოსტიციზმისაკენ და იდეალიზმისაკენ.

თუ, მაშასადამე, მარქსმა და ენგელსმა პირველად მეცნიერულად გამოარკვიეს ცნობიერების ბუნება, მისი წარმოშობისა და განვითარების პირობები, ლენინის წინაშე ახალმა ისტორიულმა ვითარებამ დააყენა ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი საკითხის გამორკვევის ამოცანა: როგორ ასახავს ცნობიერება ყოფიერებას, რა გზით შეიცნობს ის ობიექტურ სინამდვილეს? რა თქმა უნდა ზოგადი სახით ეს ამოცანა იდგა ყველა მატერიალისტის წინაშე, როგორც ლენინამდე, ისე მარქსამდეც. ჯერ კიდევ ანტიკური მატერიალისტები, — კერძოდ დემოკრიტე — ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ადამიანის ცნობიერებაში მოცემულია ობიექტურ საგანთა ხატი[1]. მაგრამ ლოკის დროიდან უკვე თავი იჩინა იმ ნაკადმა შემეცნების თეორიაში, რომელსაც თავი ვერ დააღწია პლეხანოვმაც თავისი იეროგლიფების თეორიით. აღიარა რა შეგრძნებები ცოდნის ერთადერთ წყაროდ ლოკი ებრძოდა იდეალისტურ რაციონალიზმს დეკარტესა და ლეიბნიცის სახით, მაგრამ ლოკმა არა მხოლოდ ის შეცდომა დაუშვა, რომ ობიექტური სინამდვილის გვერდით შეგრძნებათა წყაროდ შინაგანი რეფლექსიაც აღიარა, არამედ შეგრძნობები მხოლოდ მ ი ზ ე ზ ო ბ რ ი ო ბ ი ს მხრივ დაუკავშირა ობიექტურ სინამდვილეს; ხოლო მათი (შეგრძნებების) და მათი გამომწვევი საგნების ბუნება პრინციპულად დაუპირისპირა ერთიმეორეს, რამაც არსებითად იდეალისტურ დასკვნამდე მიიყვანა, რომ თითქოს ჩვენ შევიცნობთ მხოლოდ ჩვენს საკუთარ იდეებს. სწორედ ამით გაუხსნა მან გზა ბერკლისა და იუმეს. მაშასადამე ლოკისათვის შეგრძნებები საგნების ან სხეულების პირდაპირი ასახვა როდი არიან, მათი ხატი, მათი ასლი — ისინი მხოლოდ გ ა მ ო წ ვ ე უ ლ ნ ი არიან საგნებისა და მოვლენების მიერ (რამდენად ისინი ჩვენს წარმოსახვას არ წარმოადგენენ) და ჩვენ არ ვიცით, შეესაბამებიან თუ არა ისინი მათ გამომწვევ მიზეზებს. ამრიგად იმის ნაცვლად, რომ გამოეცხადებია შეგრძნობები სუბიექტისა და ობიექტის განუყოფელი კავშირის, ურყევი ერთიანობის გამოხატულებად, ლოკმა ისინი სუბიექტის მეტაფიზიკურ ზღუდედ მიიჩნია, გარდუვალ კედლად, რომლის აქეთ პრინციპულად რჩება ცნობიერება.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ არა მხოლოდ ბერკლი და იუმე, არამედ კანტიც არსებითად ამ გზით მიდიოდა, თუმცა მათ შორის კონკრეტი და მნიშვნელოვანი განსხვავებაც არის. ბერკლიმ პირდაპირ მოხსნა ობიექტი და გამოაცხადა შეგრძნებები ერთადერთ რეალობად; იუმემ პრობლემატურად გამოაცხადა ობიექტი, რომლის შესახებ, თითქოს ჩვენ ვერასოდეს ვერ მივიღებთ სარწმუნო ცნობას. და ამით „მოაცილა“ ლოკის კონცეფციას შინაგანი წინააღმდეგობა — ობიექტის გამოცხადება შეგრძნების მიზეზად და ამავე დროს ცოდნის შემოფარგვლა მხოლოდ ცნობიერების შინაარსით, ე. ი. იგივე შეგრძნობებით. თვით მიზეზობ-

[1] ძველი დროის მატერიალისტები. ისევე, როგორც ახალი დროის მატერიალისტები ლოკამდე უბრალოდ გულისხმობდნენ ცნობიერების მიერ ობიექტურ სინამდვილის ასახვას. მაგრამ არ იძლეოდნენ. უკეთ რომ ვთქვათ, არ შეეძლოთ მისი ახსნა-დასაბუთება. ლოკის შემდეგაც, კერძოთ ფრანგი მატერიალისტები, აგრეთვე ემყარებოდნენ ასახვის პრინციპს (ამაშია მათი სენსუალიზმის მატერიალისტურობა). მაგრამ მათ ვერ მოგვცეს ასახვის პრინციპის დიალექტიკურ-მატერიალისტური ახსნა.

რიობა, იუმეს შეხედულებით, ისევე პრობლემატურია, როგორც ობიექტი — იგი არასოდეს არაა მოცემული შეგრძნებებში, და ამიტომ არა გვაქვს უფლება მას, როგორც სარწმუნო ფილოსოფიურ პრინციპს, დავეყრდნოთ, ვინაიდან, თითქოს, შეგრძნებებში ჩვენ გვეძლევა მხოლოდ საგანთა მეზობლობა სივრცეში და თანმიმდევრობა დროში. კანტმა ვითომ იხსნა ფილოსოფია იუმეს სკეპტიციზმისაგან თავისი აპრიორიზმის მეშვეობით. სინამდვილეში კი მან არსებითად აღადგინა ლოკის კონცეპცია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ლოკისათვის მიზეზობრიობა წარმოადგენდა ობიექტურს, ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ კატეგორიას, და ამიტომ ობიექტური სამყაროს არსებობა, როგორც ჩვენი შეგრძნებების წყაროსი, მათი მიზეზისა, მისთვის ოდნავადაც არ იყო პრობლემატური.[1] ხოლო კანტისთვის კი მიზეზობრიობა სუბიექტურ-აპრიორული კატეგორიაა, და იმავე დროს მიზეზობრიობის პრინციპს ემყარება აღიარება ნივთებისა თავისთავად, რომლებიც შეგრძნებებს იწვევენ ჩვენში.

ეს მოკლე ექსკურსი ფილოსოფიის ისტორიაში ჩვენ დაგვჭირდა იმისთვის, რომ ემპირიოკრიტიციზმი კანტიანური მეტაფიზიკის წინააღმდეგ „ბრძოლის" დროშით გამოვიდა, ილაშქრებდა რა განსაკუთრებით წინააღმდეგ „ნივთებისა თავისთავად", რომელთა აღიარება უდავოდ კანტის ფილოსოფიის შინაგან წინააღმდეგობას წარმოადგენდა, მაგრამ ამავე დროს მატერიალისტური ელემენტიც იყო, რამდენადაც სინამდვილის ცნობიერების შინაარსამდე დაყვანის უარყოფას ნიშნავდა. ამიტომ დიდი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ლენინის მიდგომას კანტის ფილოსოფიისადმი. კანტის შეცდომა არა იმაშიაო, აღნიშნავს ლენინი, რომ მან აღიარა „ნივთი თავისთავადის" არსებობა ჩვენს ცნობიერების გარეშე, შეგრძნებათა გარეშე, არამედ იმაში, რომ მან ისინი პრინციპულად შეუცნობლად გამოაცხადა.[1] ამრიგად, ლენინი ამჟღავნებს რომ ემპირიოკრიტიციზმი, როგორც თავის დროზე ფიხტეს ფილოსოფია იყო, წარმოადგენს კანტის ფილოსოფიის კრიტიკას მარჯვნიდან, სუბიექტურ იდეალიზმის პოზიციიდან.

კანტის ფილოსოფიის ლენინური კრიტიკის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ნაცვლად ასახვის პრინციპისა, რომელიც ხსნის გზას არა მხოლოდ ობიექტიდან სუბიექტისაკენ, არამედ სუბიექტიდან ობიექტისკენაც, კახტი დაადგა აპრიორიზმის, ე. ი. იდეათა თანდაყოლილობის სახესხვაობის გზას, რაც თავიდანვე სუბიექტისა და ობიექტის მეტაფიზიკურ გათიშვას ნიშნავდა, და, მაშასადამე, ობიექტის შეუცნობლობას მოასწავებდა.

ნათქვამიდან საკმაოდ ცხადია, თუ რატომ წამოსწია ლენინმა მახისტებთან ბრძოლაში ასახვის პრობლემა. ახლა გადავიდეთ იმ საკითხზე, თუ როგორ სწყვეტს ლენინი ამ პრობლემას. მარქსმა და ენგელსმა პირველად მოხსნეს ცნობიერებას მისტიკური სამოსელი არა მხოლოდ და არა უმთავრესად იმით, რომ გამოაცხადეს იგი განსაკუთრებულად ორგანიზებულ მატერიის თვისებად, არამედ განსაკუთრებით იმით, რომ გამოარკვიეს მისი გენეტური საფუძველი — სოციალური პრაქტიკა. ცხადია რომ მარქსის და ენგელსის მატერიალიზმიდან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ შემეცნება სხვა არაფერია, ვიდრე ობიექტური სინამდვილის ასახ-

[1] სწორედ ეს, უდავოდ მატერიალისტური, ტენდენცია ლოკის ფილოსოფიისა წარმოადგენდა ფრანგ მატერიალისტების ამოსავალ პუნქტს, როგორც ეს მშვენივრადაა ნაჩვენები მარქსის „წმინდა ოჯახში".

[1] მე აქ არ ვეხები კანტის აპრიორიზმს და ლოგიკურ კატეგორიათა სუბიექტურ ინტერპრეტაციას, რომელთა კრიტიკა უშუალოდ გამომდინარეობს ლენინის ასახვის თეორიისაგან.

ვა, რადგან ცნობიერებას არა აქვს არაერთი დამოუკიდებელი რეალობა, ის მხოლოდ რეალური თვისებაა მატერიალური სინამდვილის გარკვეული ფორმისა. მაგრამ მარქსი და ენგელსი ამაზე როდი შეჩერდნენ. რამდენად მათი ამოცანა იყო არა მხოლოდ ჰეგელის იდეალიზმის დაძლევა, არამედ ფეიერბახის მჭვრეტელობითი მატერიალიზმის გადალახვაც, მათ გააშუქეს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მხარე შემეცნებისა, ე. ი. ცნობიერების მიერ ობიექტური სამყაროს ასახვისა — სახელდობრ სოციალური პრაქტიკა — არა მხოლოდ როგორც კრიტერიუმი არამედ წყაროც შემეცნებისა. ეს ნიშნავდა ძირეულ გადატრიალებას შემეცნების თეორიაში. პრაქტიკის გარეშე, ჭვრეტითი, გრძნობელობითი აღქმის გზით ადამიანი შეიცნობს მხოლოდ საგანთა გარეგან სახეებს, გარეგნულ ფორმებს მათს გარეგნულსავე კავშირებში, და არა მათს არსებით თვისებებს, არა მათ შინაგან კანონზომიერებითს კავშირებს, არა მათი მოძრაობისა და განვითარების კანონებს. ცოდნის ბუნების ამ ახალი, ერთადერთი მეცნიერული ინტერპრეტაციით განისაზღვრებოდა თვით ცოდნის ახალი ამოცანაც: არა მხოლოდ ახსნა სამყაროსი, ე. ი. მისი გონებრივი სურათის შექმნა, არამედ მისი შეცვლაც მეცნიერული ახსნის საფუძველზე.

გადაწყვიტეს რა გნოსეოლოგიის ეს უმნიშვნელოვანესი საკითხები, მარქსმა და ენგელსმა, შესაბამისად ეპოქის მიერ წამოყენებული პრობლემებისა, მიაშურეს მეცნიერული კომუნიზმის თეორიის ძირითადი საკითხების გაშუქებას თავიანთი ახალი თვალსაზრისით, ე. ი. ადამიანთა საზოგადოების ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების კანონზომიერების ანალიზს. მაგრამ შემეცნებისთეორიული იდეალიზმის გამოცოცხლებამ მე-19 საუკუნის მიწურულში და მეოცე საუკუნის დასაწყისში წამოაყენა რევოლუციური მარქსიზმის წინაშე ახალი ამოცანა: თანამედროვე მეცნიერების ძონაცემების საფუძველზე გამორკვეული იყო საკითხი, თუ როგორ, რა გზით შეუძლია ცნობიერებას ასახოს მის გარეშე არსებული სამყაროს პროცესები. ხსნიდნენ რა ცნობიერებას საზოგადოებრივი პრაქტიკით, მარქსი და ენგელსი, რა თქმა უნდა, გულისხმობდნენ, რომ იგი არ იქმნება პრაქტიკით, არამედ ფორმდება პრაქტიკის პროცესში უფრო ზოგადი საფუძვლიდან — გრძნობელობიდან. პრაქტიკამ მხოლოდ ხელი შეუწყო ნახტომს უბრალო გრძნობელობიდან, რომელსაც იზიარებდნენ ადამიანთა პირველყოფილი წინაპრები მთელ დანარჩენ ცხოველთა სამყაროსთან. ცნობიერებისაკენ, თვისობრივად ახალი მოვლენისაკენ, რომელმაც ბეჭედი დაასვა ადამიანთა გვარის მთელს შემდგომ განვითარებას. მაგრამ ის, რასაც გულისხმობდნენ მარქსი და ენგელსი, მოითხოვდა გამორკვევას და დასაბუთებას, ვინაიდან ეპიგონურმა შემეცნებისთეორიულმა იდეალიზმმა კიდევ უარეს ფორმაში აღადგინა სუბიექტისა და ობიექტის კანტიანური გათიშვა, კიდევ უფრო ფორმალისტური ხასიათი მიანიჭა აზროვნებას და აღიარა შემეცნებისთვის მისაწვდომად მხოლოდ ის, რაც პრინციპულად ერთგვარია თვით ცნობიერებასთან. წინაალმდეგ შემთხვევაში გამოდისო, — ამტკიცებდნენ ეპიგონები, — დაუშვებელი „ტრანსცენზუსი“, ნახტომი ერთი სფეროდან, ცნობიერების სფეროდან სხვა, პრინციპულად განსხვავებულ სფეროში.

ემპირიოკრიტიციზმი იყო არსებითად იგივე კონცეფცია, ოღონდ ის ცდილობდა მოჩვენებით — მეცნიერული, ემპირიული სახე მოეცა ნეოკანტიანური „მონიზმისათვის“, ამიტომ ლენინი პირველ რიგში არკვევს საკითხს, თუ როგორია ცნობიერებასა და ობიექტს შო-

რის არსებული დაპირისპირების ბუნება? ლენინის პასუხი ამ კითხვაზე სრულიად ახალი სიტყვაა მატერიალისტურ გნოსეოლოგიაში, და ანგრევს მოწინააღმდეგეთა პოზიციას. ცნობიერება არაა დამოუკიდებელი სფერო, და ამიტომ არ შეიძლება ე. წ. ონტოლოგიურად დაუპირისპირდეს ყოფიერებას. „... მატერიასა და ცნობიერებას შორის არსებულ წინააღმდეგობას აქვს აბსოლუტური მნიშვნელობა მხოლოდ მეტად განსაზღვრულ ფარგლებში, აქ შემთხვევაში მხოლოდდამხოლოდ ძირითად გნოსეოლოგიურ საკითხის ფარგლებში იმის შესახებ, თუ რა იქნას აღიარებული პირველადად და რა მეორადად (ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", 1948 წ. რუსული გამოცემა, გვ. 130—131), მაშასადამე ცნობიერების რეალობა მოცემულია იგივე ყოფიერების ფარგლებში და მის გარეშე ის ცარიელი აბსტრაქციაა. „გამოსახულება (отображение) არ შეიძლება არსებობდეს მის გარეშე, რაც გამოისახება, მაგრამ ის, რაც გამოისახება, არსებობს დამოუკიდებლად გამომსახველისა" (ლენინი აღნიშნული შრომა, გვ. 53).[1] ამით „ტრანსცენზუსის" პრობლემა ცრუპრობლემად იქცევა. ჩვენ გვაქვს არა ერთ მხარეზე ცნობიერება და მეორე მხარეზე ყოფიერება, არამედ ორივე მხარეზე გვაქვს ყოფიერება, ოღონდ ერთ მხარეზე — ყოფიერება განსაკუთრებული, ცნობიერების თვისების მქონე, მეორე მხარეზე კი — ყოფიერება, მოკლებული ასეთ თვისებას. ისინი ორივე აისახება ერთმეორეში, მაგრამ ერთ მხარეზე ეს ასახვა შეიცნობა ხოლო მეორე მხარეზე ის რჩება საგანთა და მოვლენათა უნივერსალურ ურთიერთმოქმედების უბრალო ფაქტად.[2]

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ თვით ასახვის პროცესი, მისი ფორმები ერთნაირია ორივე მხარეზე. განსაკუთრებულად ორგანიზებული მატერია, ე. ი. ცნობიერი არსება — ფლობს ასახვის სპეციფიურ უნარსა და ფორმებს, რისთვისაც კიდევაც გააჩნია განსაკუთრებული, ისტორიულად წარმოქმნილი დიფერენცირებული ორგანოები გრძნობელობისა, იმ დროს როცა არაცნობიერობიექტებში, მათი ორგანიზაციის სიმარტივის ან სირთულის მიხედვით (არაორგანული, ორგანული, მცენარეული და ცხოველური ფორმები ორგანულისა) ასახვა ტრიალებს ფიზიკური, ქიმიური ან ბიოლოგიური რეაგირების ფარგლებში.

გადამწყვეტი შემეცნებისთეორიული მნიშვნელობა აქვს ლენინის დასკვნას იმის შესახებ, რომ ასახვის თვით უმაღლესი, ცნობიერი ფორმაც ემყარება ობიექტურ სამყაროს საგანთა და მოვ-

[1] ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს ,,ცნობიერების ცნების გაიგივებას ყოფიერების ცნებასთან. ცნობიერება არის საკუთარი რეალური თვისება ყოფიერების გარკვეული ფორმისა, რომელიც წარმოიშვა განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში. ამიტომ უაზროა საკითხის დასმა ცნობიერების მატერიაზე დაყვანის შესახებ, ვინაიდან ის, რაც რაიმეს თვისებას წარმოადგენს, არ შეიძლება დაყვანილ იქნას იმაზე, რის თვისებასაც ის წარმოადგენს., „რომ მატერიის ცნებაში აზრებიც უნდა შევიტანოთო, — ამბობს ლენინი, — ეს, აბდაუბდაა, ვინაიდან ასეთი შეტანით აზრს კარგავს გნოსეოლოგიური დაპირისპირება მატერიისა სულისადმი, მატერიალიზმისა იდეალიზმისადმი" (ლენინი, ციტირებული შრომა, გვ. 229).

[2] საქმის ვითარება ოდნავადაც არ იცვლება თვითცნობიერების (самосознание) ფაქტითაც, ე. ი. თვით სუბიექტის გაორებით სუბიექტზე და ობიექტზე, ვინაიდან ამ შემთხვევაშიაც ერთ მხარეზე გამოდის „მე" როგორც თვით ცნობიერების გამოხატულება, ხოლო მეორე მხარეზე „მე" როგორც ცნობიერი სუბიექტის ყოფიერების მატერიალური ერთიანობა. ამიტომ ვერც ერთ ფილოსოფოსს ან ფსიქოლოგს ვერ გაუბედია იმის მტკიცება, თითქოს შეიძლება დაჭერილ იქნას ე. წ. წმინდა „მე" ემპირიულად, ფაქტიურ განცდაში. კანტის, ფიხტეს და სხვათა „წმინდა" „მე" სწორედ წმინდა ლოგიკური დაშვებაა, ყოველგვარ რეალურ საფუძველს მოკლებული.

ლენათა უნივერსალურ ურთიერთმოქმედების და ურთიერთშეჭრის პრინციპს. სწორედ ამ აზრით ლაპარაკობს ლენინი, რომ „ლოგიკას არაა მოკლებული იმის დაშვება, რომ მთელი მატერია ფლობს თვისებას, არსებითად მონათესავეს შეგრძნებასთან, ასახვის თვისებას“ (ლენინი, ციტირებული შრომა, გვ. 77).

მაშასადამე, არა რაღაც „წმინდა“, მისტიური ცნობიერება, არა რაღაც აბსტრაქტული „მე“ ასახავს ობიექტურ სინამდვილეს, არამედ მთელი კონკრეტი ერთიანი ადამიანის ორგანიზმი მისი დიფერენცირებული ორგანოებით განიცდის ობიექტების ზემოქმედებას და სათანადო რეაგირებას ახდენს ამ ზედმოქმედებაზე (ურთიერთმოქმედებას), რის შედეგად განსაკუთრებულ, ყველაზე უფრო მაღლად განვითარებულ ორგანოში — ტვინში — ისახება ანარეკლები ობიექტური სხეულებისა და მოვლენებისა, რომლებთანაც ადამიანის ორგანიზმი იმყოფება კონტაქტში ან ყველა ორგანოს მეშვეობით ერთდროულად, ან ზოგიერთი მათგანის მეშვეობით. გასაგებია, რომ საგანთა ანარეკლი ანუ ხატი ადამიანის ტვინში მით უფრო სრულია, რაც უფრო მეტი გრძნობის ორგანოები აშუალებენ ადამიანის კონტაქტს მათთან [1].

ამრიგად ასახვის ლენინური თეორია აღრმავებს ცნობიერების მარქსისტულ გაგებას, როგორც დამოკიდებულებას გარემოსადმი, როგორც შეგნებულ ყოფიერებას (იხ (მარქსი და ენგელსი, თხზულებანი, ტ. 4, რუს. გამოცემა, გვ. 17,21) იმით, რომ არკვევს ზოგად საფუძველს, რომელზედაც საერთოდ შეიძლებოდა წარმოშობილიყო ცნობიერება, სახელდობრ, მატერიალურ საგანთა და მოვლენათა ზოგად, უნივერსალურ თვისებას — ურთიერთ ასახვას. „ეს შეხედულებანი (მატერიალისტების ნამდვილი შეხედულებანი, — პ. შ.) იმაში კი არ მდგომარეობენ, რომ გამოიყვანონ შეგრძნება მატერიის მოძრაობიდან ან დაიყვანონ ის მატერიის მოძრაობაზე, არამედ იმაში, რომ შეგრძნება აღიარებულია მოძრავი მატერიის ერთერთ თვისებად“ (ლენინი, ციტირებული შრომა, გვ. 31). ამითვე განისაზღვრება შეგრძნების ბუნებაც, როგორც სუბიექტისა და ობიექტის უშუალო კავშირის გამოხატულებისა, და დგინდება, რომ შეგრძნებათა და ცნობიერებას შორის არა პრინციპული, „სუბსტანციური“ განსხვავებაა, არამედ მხოლოდ თვისობრივობითი განსხვავებაა, რომელიც იმდენად არსებითია, რომ გულისხმობს ხანგრძლივ, შეიძლება ათეულ და ასეულ ათასეული წლების მანძილზე მომხდარ, განვითარების პროცესს ორგანიზმის შეგუებისა გარემოსადმი, რაც გარკვეულ საფეხურზე ნახტომისებურად გადავიდა ბუნებისადმი დამოკიდებულების საწარმოო — შრომითი, ე. ი. ადამიანურ ფორმაზე. „ყოველი ბუნებისმეტყველისთვის, ვინც არაა დაბნეული პროფესორული ფილოსოფიით, — წერს ლენინი, — როგორც ყოველი მატერიალისტისათვის, შეგრძნება არის ნამდვილად უშუალო კავშირი ცნობიერებისა გარე სამყაროსთან, არის გარეგნული გაღიზიანების ენერგიის გადაქცევა ცნობიერების ფაქტად. ეს გადაქცევა ყოველ ადამიანს მილიონჯერ შეუმჩნევია და ნამდვილად ამჩნევს ყოველ ნაბიჯზე. იდეალისტური ფილო-

[1] ადამიანის ორგანიზმის შინაგანი მთლიანობა და, მაშასადამე, მისი „მე“-ს მთლიანობა და კონკრეტობა მტკიცდება, სხვათა შორის, იმ ფაქტითაც, რომ თითქოს ფუნქციონალურად ყველაზე უფრო დიფერენცირებული გრძნობის ორგანოები არასოდეს არ მოქმედებენ ერთიმეორისაგან აბსოლუტურად იზოლირებულად. მაგ., როცა რომელიმე საგანი აღიქმება მხოლოდ მხედველობით, მის გრძნობიერ აღქმაში აუცილებლად შედიან ნიშნები, რომლებიც აღიქმება ყოველ შემთხვევაში ერთი რომელიმე სხვა გრძნობის ორგანოს მეშვეობით (სიმკვრივე, სუნი, გემო და სხვა), ეს ამტკიცებს აგრეთვე ადამიანის გრძნობათა ისტორიულ წარმოშობას ორგანოთა ფუნქციების დიფერენცირების საფუძველზე გარემოსთან აქტიური შეგუების პროცესში.

სოფიის სოფიზმი იმაში მდგომარეობს, რომ შეგრძნება აღიარებულია არა როგორც კავშირი ცნობიერებისა გარე სამყაროსთან, — არა როგორც ხატი შეგრძნების შესაბამის გარეშე მოვლენისა, არამედ როგორც ერთად-ერთი არსი" (ლენინი, ციტირებული შრომა, გვ. 35 — 36).

სწორედ ეს პრინციპი უშუალო კავშირისა სუბიექტს და ობიექტს შორის შეგრძნების სახით არის მთავარი იარაღი ბრძოლისა იუმისებურ და კანტიანურ აგნოსტიციზმის წინააღმდეგ. როგორც ვიცით, პლეხანოვმაც ვერ დააღწია თავი კანტიანურ შეცდომას (იეროგლიფების თეორია), რითაც ლენინის ულმობელი კრიტიკა დაიმსახურა.

ლენინი ამჟღავნებს შინაგან წინააღმდეგობრიობას სუბიექტისა და ობიექტის, მოვლენისა და „ნივთი თავისთავადის" კანტიანური გათიშვისა. თუ ჩვენი შეგრძნობანი გამოწვეულია ჩვენს გარეშე არსებული ობიექტების ზედმოქმედებით ჩვენს ცნობიერებაზე, ამით ხომ იგულისხმება, რომ შეგრძნებანი, გამოხატულნი სახეებში (განსხვავებით ემოციური შეგრძნებებისაგან, როგორიცაა ტკივილი, კმაყოფილება, ტანჯვა და სხვ.) გამოსახავენ იმ ობიექტებს, რომელთა ზედმოქმედებით გამოწვეულია ისინი ჩვენს ცნობიერებაში. მაშასადამე, ისინი არიან ასლები (რა თქმა უნდა დაახლოებითი, მაგრამ მაინც ასლები) აღნიშნული ობიექტებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გარდუვალად ვვარდებით წინააღმდეგობაში ამოსავალ პრინციპთან, ე. ი. ჩვენს ცნობიერებაზე ობიექტების ზედმოქმედების აღიარებასთან ჩვენი შეგრძნობების მიზეზად, ვინაიდან ობიექტების ზემოქმედება მიზეზიდან მხოლოდ საბაბად იქცევა (როგორც ე. წ. ოკაზიონალისტები ამტკიცებდნენ) და ანარეკლიც, ანუ ხატი, თავის მხრივ, ობიექტის ზედმოქმედების შედეგიდან იქცევა თვით ცნობიერების შემოქმედების პროდუქტად. საგნების შეგრძნებაში მოცემული ასასახების თვით ამ საგნებთან თანხმობის, როგორც ასლების ორიგინალებთან თანხმობის, ლენინურ თეორიას უდიდესი შემეცნებისთეორიული მნიშვნელობა აქვს, როგორც ერთადერთ ეფექტიურ იარაღს სკეპტიციზმისა და აგნოსტიციზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ასახვის ლენინურ თეორიას გააჩნია კიდევ მეორე, არანაკლებ არსებითი მხარე. გამოჰყავს რა ადამიანის უნარი ობიექტური სინამდვილის ასახვისა მატერიალური სამყაროს ზოგადი ბუნებიდან, და ადგენს რა ანასახის მსგავსებას ასახულთან, ლენინი გენიალურად სწყვეტს საკითხს საერთოდ შემეცნების ბუნების შესახებ, რამდენად შემეცნება ასახვის პრინციპს ემყარება. თუ ასახვა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მატერიის უნივერსალურ თვისებას შეადგენს, და გამოხატავს მატერიალურ საგანთა და მოვლენათა საყოველთაო ურთიერთკავშირს, ადამიანის ცნობიერება, რომელიც, საბოლოო ანგარიშში, მხოლოდ ობიექტური სინამდვილის ასახვაა, კარგავს მისტიკურ, მეტაფიზიკურ ხასიათს. მაგრამ ასახვის, როგორც ურთიერთკავშირის უბრალო გამოხატულების, გარდაქცევა ადამიანურ, ცნობიერ ასახვად არ არის მარტივი, ორგანული და ბუნებრივი განვითარება მატერიალურ საგანთა და მოვლენათა აღნიშნული უნივერსალური თვისებისა. ის არის ნახტომი, დაკავშირებული ადამიანის პირველყოფილ წინაპართა სოციალურ ორგანიზაციასთან, გადასვლა გარემოსთან აქტიური შეგუების ცხოველურ ფორმისაგან ამ შეგუების ადამიანურ ფორმაზე, ე. ი. წარმოებაზე. ამიტომ, თუ შეგრძნებანი ცხოველთა სამეფოში, თუნდაც ამ სამეფოს უმაღლეს წარმომადგენლებთან, იძლევიან ობიექტების მხოლოდ გარეგნულ ნიშნებს, მხოლოდ მათ გარეგნულ სახეს (გარეგნულ წარმოდგენას), ადამიანის შეგრძნობა კი არ იფარგლება მხოლოდ

ამ გარეგნული ნიშნებით, რადგანაც მასში დინამიურად შედის ადამიანის ისტორიული პრაქტიკა, და თვით ადამიანიც გრძნობებიც, როგორც ეს თავის დროზე აღნიშნეს მარქსმა და ენგელსმა, ამ ისტორიული პრაქტიკის შედეგებია. აი რატომ არ არის პრინციპული ზღვარი ადამიანის შეგრძნებასა და აზროვნებას შორის, მის გრძნობელობასა და განსჯას შორის, ვინაიდან არა მხოლოდ ლოგიკური კატეგორიები წარმოადგენენ, მარქსისტულ-ლენინურ დიალექტიკის თანახმად, მილიარდჯერ განმეორებულ ადამიანის ცდას, არამედ საგანთა გრძნობითი აღქმაც გარდუვალად შეიცავს ადამიანის წარსულ ისტორიულ პრაქტიკას და ამიტომ საგანთა გარეგნული სახის გარდა იძლევა აგრეთვე მათს გარკვეულ, თუმცა შეზღუდულ, კავშირებსა და გაშუალებებს. მთავარი სუსტი მხარე ფეიერბახისა (შემეცნების თეორიაში), რომელიც განიხილავდა გონებას, როგორც უნივერსალ გრძნობელობას, სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მან ვერ გაიგო ვერც გრძნობელობისა და ვერც გონების ისტორიული ბუნება და კმაყოფილდებოდა მათი ლოგიკური ინტერპრეტაციით. უდიდესი გადატრიალება, რაც მარქსმა და ენგელსმა, მოახდინეს შემეცნების თეორიაში, სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მათ პირველად შემეცნებისა და მისი სტრუქტურის ლოგიკური ინტერპრეტაცია შესცვალეს, უკეთ რომ ვთქვათ, შეავსეს მათი ისტორიული ინტერპრეტაციით, ე. ი. მათი ინტერპრეტაციით ადამიანის ისტორიული პრაქტიკის საფუძველზე.

ლენინმა შემდგომი ნაბიჯი გადადგა მატერიალისტური გნოსეოლოგიის განვითარებაში, მან გამოარკვია ისტორიული ბუნება არა მხოლოდ აზროვნებისა, ლოგიკური კატეგორიებისა, არამედ თვით ადამიანის უნარისა სწორად ასახოს ობიექტური სინამდვილე. ადამიანის აზროვნების უნარი — ცნებებში აღდგინოს საგანთა და მოვლენათა ის შინაგანი კანონზომიერი კავშირები, რომლებიც უშუალოდ არაა მოცემული გრძნობებში, საბოლოო ანგარიშში ემყარება იმავე ასახვის უნარს, ვინაიდან პრაქტიკას იმიტომ შეუძლია ხოლმე იყოს გზა (ერთადერთი!) საგანთა და მოვლენათა შინაგანი არსის შემეცნებისაკენ, რომ ადამიანის ცნობიერებას შეუძლია ასახოს თავის თავში ის, რასაც იძლევა თვით პრაქტიკა მისი გაშლის ყოველ საფეხურზე. ამიტომ თუ ობიექტის გრძნობითი აღქმის სფერო არის მათი უშუალო ასახვის სფერო, ცნებათა სფერო არის ადამიანის ცნობიერების მიერ ობიექტურ სამყაროს პრაქტიკით გაშუალებული ასახვის სფერო. აქედან ცხადია, თუ რამდენად ამახინჯებენ მარქსისტულ-ლენინურ გნოსეოლოგიას ისინი, ვინც ავიწროებს მასში პრაქტიკის როლს მხოლოდ ჭეშმარიტების კრიტერიუმამდე, იმ დროს, როცა ნამდვილად ის არის ამავე დროს გზაც ჭეშმარიტებისაკენ.[1] „პრინციპი ცხოვრებისა, პრაქტიკისა, უნდა იყოს პირველი და ძირითადი პრინციპი შემეცნების თეორიაში. და ის გარდუვალად მიგვიყვანს მატერიალიზმისაკენ, უკუაგდებს რა იმთავითვე პროფესორული სქოლასტიკის დაუბოლოვებელ ნათხზებს“ (ლენინი,

[1] კიდევ უფრო უცნაურია ერთ-ერთ ლოგიკის სახელმძღვანელოში წამოყენებული დებულება, თითქოს ლენინის შეხედულებით გზა კონკრეტი ჭვრეტისაგან აბსტრაქციისკენ წმინდა ლოგიკურია და მხოლოდ აბსტრაქტი ცნებებიდან იწყება პრაქტიკა. მითითებული არის ლენინის ერთ-ერთი შენიშვნა ჰეგელის ლოგიკის კითხვის დროს მის ფილოსოფიურ რვეულებში, რომელსაც კონტექსტის მიხედვით სულ სხვა აზრი აქვს, ვიდრე ის, რასაც მასში ხელოვნურად სდებენ. საზოგადოდ ლენინის ცალკეული შენიშვნების გამოყენებისას, რომელნიც გამოსაქვეყნებლად არ იყვნენ განკუთვნილნი, ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ არა ფრაზების ეტიმოლოგიური მნიშვნელობით, არამედ ლენინიზმის შინაგანი არსით.

ციტირებული შრომა გვ. 126). ამავე დროს ლენინი იძლევა პრაქტიკის მარქსისტულ და მახისტურ-პრაგმატისტულ გაგების პრინციპულ განსხვავებას. „მატერიალისტისთვის ადამიანის პრაქტიკის „სიწარმატე“ ამტკიცებს ჩვენი წარმოდგენების შესაბამისობას საგანთა ობიექტურ ბუნებასთან, რომელთაც ჩვენ ალვიქვამთ. სოლიპსისტისათვის „სიწარმატე“ არის ყოველივე ის, რაც მ ე მ ჭ ი რ ი ა პ რ ა ქ ტ ი კ ა შ ი“ (იქვე, გვ. 123). ლენინი მიგვითითებს, რომ პრაქტიკის აღიარება მხოლოდ სუბიექტურ წარმოდგენათა და ცნებათა კრიტერიუმად ვერ დაასაბუთებს ობიექტურ ჭეშმარიტებას. მხოლოდ „თუ შევიტანთ პრაქტიკის კრიტერიუმს შემეცნების თეორიის საფუძვლად, ჩვენ გარდუვალად ვღებულობთ მატერიალიზმს“ (იქვე).

შემეცნების თეორიის პრაქტიკასთან ამ განუყოფელ კავშირს ემყარება აბსოლუტური და რელატური ჭეშმარიტების დამოკიდებულების ლენინური კონცეფცია. თუ შემეცნება დაკავშირებულია კაცობრიობის ისტორიულ პრაქტიკასთან (რაც პირველად დაასაბუთეს მარქსმა და ენგელსმა და შემდგომ განავითარეს ლენინმა და სტალინმა), აქედან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ აუცილებელია შემეცნების ისტორიული ზღუდეები. ადამიანის ცოდნის რელატივობის მხოლოდ ამ გაგებით ავიცდენთ ჩვენ სკეპტიციზმსა და აგნოსტიციზმს. როგორც ცნობილია, კანტიანობის ეპიგონებმა, ე. წ. შემეცნებისთეორიული იდეალიზმის ამ მყვირალა მებუკეებმა, რომელთა ნათესაობა მახიზმთან (უფრო სწორედ, რომლებთანაც მახიზმის ნათესაობა) ბრწყინვალედ დაადგინა ლენინმა „მატერიალიზმში და ემპირიოკრიტიციზმში“, — სცადეს წარმოედგინათ ცოდნის ისტორიული ფარგლები, როგორც მისი პრინციპული საზღვარი.

ლენინი არ კმაყოფილდება ადამიანის ცოდნის ისტორიულობით გაპირობებული რელატივობის განხილვით. ავითარებს რა მარქსისტულ დიალექტიკას, ლენინი ცოდნის განვითარების თითოეულ საფეხურზე აღნიშნავს მის რელატიურ და აბსოლუტურ მხარეს. რელატივიზმი, რომელიც მოდაში შემოვიდა მიმდინარე საუკუნის დამდეგს, თავის რაციონალურ ფორმაში მეტად ნაყოფიერი იქნებოდა არა მხოლოდ ფიზიკაში, რომ იდეალისტებს არ ჩაეჭიდათ ხელი მისთვის სუბიექტივიზმის და სკეპტიციზმის დასასაბუთებლად „საკითხი რელატივიზმისა და დიალექტიკის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ თითქმის ყველაზე მნიშვნელოვანია მახისტების თეორიული ორომტრიალის ახსნაში“ (ლენინი, ციტირებული შრომა, გვ. 291).

ლენინის მიერ ცოდნის რელატიური და აბსოლუტური მხარეების გამორკვევას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა აღნიშნული რეაქციული დასკვნების წინააღმდეგ ბრძოლაში. რელატივობის განხილვა, როგორც ცოდნის თვით ობიექტური შინაარსის მომენტისა, აძლევს ლენინს შესაძლებლობას არა მარტო გამანადგურებლად გააკრიტიკოს სუბიექტივიზმი, არამედ გაშალოს ცოდნის განვითარების დიალექტიკაც, როგორც აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან მიახლოების უწყვეტი და დაუბოლოებელი პროცესი, რომელშიაც აბსოლუტური ჭეშმარიტება ვლინდება როგორც „რელატიურ ჭეშმარიტებათა ჯამი“. „ფიზიკის ყველა ძველი ჭეშმარიტება, ისეთების ჩათვლით, რომლებიც უდავოდ და ურყევად ითვლებოდნენ, რელატიური ჭეშმარიტებანი აღმოჩნდნენ, — მაშასადამე, არ შეიძლება იყოს არავითარი ობიექტური ჭეშმარიტება, რომელიც დამოუკიდებელია კაცობრიობისაგან. ასე მსჯელობს არა მხოლოდ მახიზმი, არამედ მთელი ფიზიკური იდეალიზმი საზოგადოდ. რომ რელატიური ჭეშმარიტების ჯამისაგან მათ განვითარებაში იქმნება აბსოლუტური ჭეშმარიტება, — რომ რელატიური ჭეშმარიტე-

ბანი წარმოადგენენ შეფარდებით სწორ ანასახებს კაცობრიობისაგან დამოუკიდებელ ობიექტებისა, — რომ ეს ანასახები უფრო და უფრო სწორნი ხდებიან, — რომ ყოველ მეცნიერულ ჰეშმარიტებაში, მიუხედავად მისი შეფარდებითობისა, არის აბსოლუტური ჰეშმარიტების ელემენტი — ყველა ეს დებულება, თავისთავად ცხადი ყველასათვის, ვისაც უფიქრია ენგელსის „ანტიდიურინგზე“, ცხრამთასიქითურ ამბავს წარმოადგენს „თანამედროვე“ შემეცნების თეორიისათვის“ (ლენინი, ციტირებული შრომა, გვ. 291 — 292).

თვით ობიექტურისა და აბსოლუტურის განსხვავება შემეცნების შინაარსში, რასაც ლენინი იძლევა, ნიშნავს მეტაფიზიკის ძირის სერიოზულ გათხრას. განმარტება აბსოლუტური ჰეშმარიტებისა, როგორც შემეცნების უსასრულო პროცესისა, რაც პრაქტიკულად არასდროს არ მიიღწევა, ნიშნავდა არა მხოლოდ შემეცნებაში მარქსისტული ისტორიზმის პრინციპის განმტკიცებას, არამედ აგრეთვე მატერიალისტური პრინციპის თანმიმდევრულ გატარებას და სრულ განმტკიცებას გნოსეოლოგიაში, სახელდობრ იმ მეტად მნიშვნელოვანი დებულების ღასაბუთებას, რომ აზროვნებას, როგორც თვით ყოფიერების ერთ-ერთ თვისებას, არასდროს არ შეუძლია მიაღწიოს ყოფიერების აბსოლუტურად ამომწურავ შემეცნებას. ამავე დროს ეს იყო უძლიერესი იარაღი კანტიანურ და სხვა ჯურის აგნოსტიციზმის წინააღმდეგ, ვინაიდან მხოლოდ იმის დიალექტიკური გარჩევით, რომ ერთია სამყაროს აბსოლუტურად ამომწურავი შემეცნების პრინციპული შესაძლებლობა და მეორეა მისი შემეცნების ფაქტიური ამოწურვა, შეიძლებოდა უარყოფა კანტის შეუცნობელ „ნივთისა თავისთავად“ [1].

როგორც ცნობილია, მიზეზობრიობა (მექანიკური) იყო ნიუტონური კლასიკური ფიზიკის ერთ-ერთი [illegible] მეცხრამეტე საუკუნის დამლევს [illegible] ცე საუკუნის დასაწყისში ფიზიკამ ისეთი სწრაფი ნაბიჯები გააკეთა, რომ ცხადი გახდა ნიუტონის ფიზიკის ზოგიერთ სხვა კატეგორიებთან ერთად აგრეთვე მიზეზობრიობის ცნების შეზღუდულობა, ე. ი. ფიზიკის მიერ აღმოჩენილი ახალი, უფრო რთული მოვლენები ბუნებისა არ თავსდებოდნენ მექანიკურად გაგებულ მიზეზობრიობის კანონში.

ბურჟუაზიულმა ფილოსოფოსებმა არ დააყოვნეს აქედან ის იდეალისტური დასკვნა გაეკეთებიათ, თითქოს მიზეზობრიობა არ არის ობიექტური კატეგორია, თითქოს ის ჩვენს ცნობიერებას შეაქვს მოვლენების ახსნაში. ამიტომ ლენინი დიდ ყურადღებას აქცევს „მატერიალიზმში და ემპირიოკრიტიციზმში“ ბუნების პროცესის ობიექტური კანონზომიერების პრობლემას. ამ საკითხშიც ლენინი იძლევა არა მხოლოდ დაცვას სამყაროს კანონზომიერების, კერძოდ მიზეზობრიობის, ზოგად მატერიალისტური გაგებისა, არამედ ავითარებს და აღრმავებს წინალენინური მეცნიერული ფილოსოფიის მიღწევებს. უწინარეს ყოვლისა, ლენინი ამჟღავნებს მახის პოზიტივიზმის კანტიანურ არსს, რამდენადაც იგი უარყოფდა ფიზიკურ აუცილებლობას და გადაქონდა უკანასკნელი ლოგიკის სფეროში (იხ. ლენინის ციტირ. შრომა, გვ. 278).

ულმობელად ააშკარავებს ლენინი მახისტების პრეტენზიის სიყალბეს, თითცნობი ობიექტის მოძრაობის და განვითარების პრინციპზე. რა თქმა უნდა, ეს გარემოებაც, გარკვეულ ფარგლებში, განსაზღვრავს ჰეშმარიტების რელატიობას, მაგრამ მთავარია აქ სინამდვილის ყოველი ნაწილის მხარეთა დაუსრულებლობა და ამოუწურავი სირთულე და სიმრავლე სავნებსა და მოვლენებს შორის არსებული კავშირებისა და ურთიერთგადასვლისა. ეს კლასიკურადაა გამოხატული ლენინის ცნობილ სიტყვებში: „ელექტრონი ისევე ამოუწურავია, როგორც მთელი ბუნება“ (იხ. ციტირ. შრომა, გვ. 245.).

[1] შეცდომა იქნებოდა ჰეშმარიტების რელატივობის ლენინური პრინციპი წარმოგვედგინა როგორც დაფუძნებული მხოლოდ თვით შესა-

ქოს ისინი აუქმებდნენ კანტიანურ მეტაფიზიკას. ცნობილია, რომ სენსუალიზმისა და რაციონალიზმის ისტორიული ანტითეზა არათუ არ იყო გადაჭრილი, არამედ კიდევ უფრო გამწვავებული იყო კანტის მიერ, ვინაიდან მან მეტაფიზიკურად გასთიშა გრძნობელობა და განსჯა, რომელთა კვლავ დასაკავშირებლად მან გამოიგონა კიდევ უფრო დაბნეული ე. წ. სქემატიზმის პრინციპი. მახისტებმა შეგრძნებათა როგორც სამყაროს ერთადერთი ელემენტების ინტერპრეტაციით და მათი ნეიტრალურად (არც იდეალურად და არც მატერიალურად!) გამოცხადებით თითქოს გააუქმეს ინტუიტიურისა და დისკურსიულის ზემოდაღნიშნული დილემა. მაგრამ ამ დილემამ თავი იჩინა მათთან უფრო უარეს ფორმაში. თუ სამყარო არის „ნეიტრალური" „ელემენტთა" — შეგრძნებათა — „კომპლექსი", მაშინ გამოდის რომ ყველა სახის კანონზომიერება — მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, სოციალური, შემეცნებელი სუბიექტის მიერ ყოფილა შეტანილი სამყაროში. ლენინი აამკარავებს, რომ ასეთი შედეგი მართლაც აუცილებელი აღმოჩნდა მახისტებისათვის. მაგრამ ეს ხომ კანტიანური აპრიორიზმის გაუარესებული რედაქციაა, რაც მოწმობს მახისტების კიდევ უფრო მეტ არათანმიმდევრულობას. მართლაც და, კანტი, თუმცა იდეალისტურ-მეტაფიზიკურ ფორმაში, აღიარებდა არა მხოლოდ ემპირიული მოვლენებისაგან განსხვავებულ, არამედ მათგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი სუბიექტის არსებობას და აპრიორული კატეგორიები გამოაცხადა ამ „ტრანსცენდენტალური" სუბიექტის ფუნქციებად. კანტის დუალისტური კონცეფციის ფარგლებში აპრიორიზმი უფრო გასაგები იყო, ვიდრე მახისტებთან, რომლებმაც თავიანთი ძირითადი კონცეფციის მიხედვით — შეგრძნებათა აღიარებით სამყაროს ერთადერთ ელემენტებად — არსებითად გამორიცხეს სუბიექტი, და ამავე დროს სარგებლობდნენ (გარდუვალად!) მხოლოდ სუბიექტის შემეცნებითი ფუნქციებით, არამედ მისგან (სუბიექტისგან) გამოყავდათ, მსგავსად კანტისა, პრინციპები ანუ კატეგორიები, რომლებიც „აწესრიგებენ" „შეგრძნებათა კომპლექსების" ქაოსს კანონზომიერების შემცველ მეცნიერულ სისტემად (იხ. ლენინი, ციტირებული შრომა, გვ. 142)

გამოამჟღავნა რა შინაგანი წინააღმდეგობა და იდეალისტური აზრი მახიზმის ამ ფოკუსებისა, ლენინი ამჟღავნებს ამით მახისტების მეორე პრეტენზიის სიყალბესაც, თითქოს მათ ბოლოსდაბოლოს დასძლიეს იდეალიზმისა და მატერიალიზმის ცალმხრიობა და ამით გააუქმეს ძირითადი გნოსეოლოგიური საკითხი აზრისა და არსის დამოკიდებულების შესახებ, აღიარეს რა შეგრძნებანი „ნეიტრალურ" (არც ფიზიკურ და ფსიქიკურ) „ელემენტებად." ლენინი ცხადჰყოფს, რომ ეს „გაუქმება" არ შეიძლება არ დარჩენილიყო წმინდა სიტყვიერი, და ამ „გაუქმების" გარშემო ატეხილ ხმაურში მახისტებმა გადასწყვიტეს აღნიშნული გნოსეოლოგიური პრობლემა მხოლოდ სიტყვიერად შეფერილ ტრადიციულ სუბიექტურ-იდეალისტურ ყაიდაზე.

სანამ გადავიდოდეთ ყველაზე კარდინალურ საკითხზე—მატერიისა და მისი თვისებების საკითხზე, საჭიროა შევეხოთ დროისა და სივრცის პრობლემის ლენინურ გადაწყვეტას. შემეცნების თეორიის ამ თავისთავად მეტად მნიშვნელოვანმა საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა მიიღო ფიზიკაში მომხდარ რადიკალურ გადატრიალებასთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ მეტად მნიშვნელოვან ნაწილში დაკავშირებულია დროისა და სივრცის ნიუტონისებური გაგების მცდარობის გამორკვევასთან. იმ ფაქტიდან, რომ აინშტაინმა სტიქიურად დაადასტურა (რაც მთავარია, ექსპერიმენტალურად) მატერიის

�როისა და სივრცის ურღვევი ერთიანობის დიალექტიკურ-მატერიალისტური პრინციპი, მაშასადამე მათი თვისებების შეფარდებითობის პრინციპიც,[1] ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენლებმა არ დააყოვნეს გაეკეთებიათ იდეალისტური დასკვნები, თითქოს დრო და სივრცე არა ობიექტური რეალობაა, არამედ მხოლოდ ჩვენი შეგრძნებათა სუბიექტური ფორმები. „მოძღვრება დროისა და სივრცის შესახებ, — წერს ლენინი, — განუყოფელადაა დაკავშირებული გნოსეოლოგიის ძირითადი საკითხის გადაწყვეტასთან: წარმოადგენენ თუ არა ჩვენი შეგრძნებები სხეულთა და საგანთა ანასახებს (образы), თუ სხეულები შეგრძნებათა კომპლექსებია?“ (ციტირ. შრომა გვ. 162). ლენინის ამ დებულებას, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ფიზიკური იდეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. დროისა და სივრცის ფორმათა (როგორც მათ გაზომილობათა) შეფარდებითობის გამო, რაც უშუალოდ გამომდინარეობს მატერიის არსებობის ყველა ფორმის შეფარდებითობის დიალექტიკურ-მატერიალისტური პრინციპიდან (ვინაიდან დრო და სივრცე, დიალექტიკური მატერიალიზმის თანახმად, მატერიის არსებობის ძირითადი ფორმებია), მათი ობიექტურობის, ადამიანის ცნობიერებიდან დამოუკიდებლობის უარყოფა ყოვლად დაუშვებელია. მახისტები კი სწორედ ამას ამტკიცებდნენ. ამას გარდუვალად მივყევართ ადამიანის ცნობიერების გარეშე საერთოდ ყოველგვარი რეალობის უარყოფამდე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლენინის მიერ სამგაზომილების სივრცის დაცვა. „ბუნებისმეტყველება არ ყოყმანობს იმის აღიარებაში, რომ ნივთიერება, რომელსაც ის იკვლევს, არსებობს არა სხვაგვარად, თუ არ 3 გაზომილების სივრცეში, მაშასადამე, ამ ნივთიერების ნაწილაკებიც, თუნდაც ისინი ისე პატარანი იყვნენ, რომ მათი დანახვა არ შეგვიძლია, „უსათუოდ“ არსებობენ იმავე სივრცეში 3 გაზომილებით“ (ციტირებული შრომა, გვ. 164).

ზოგიერთი საბჭოთა ფიზიკოსი, გატაცებული მრავალგაზომილების სივრცის თეორიებით, ივიწყებს ლენინის ამ დებულების დიდ, პრინციპულ, გნოსეოლოგიურ მნიშვნელობას. საქმე ის კი არაა, თუ რამდენი გაზომილება აქვს სივრცის ამათუიმ კონკრეტ ფორმას, არამედ ის, რომ სივრცეს როგორც საყოველთაო, ძირეულ ფორმას ყოფიერებისა, შეუძლია ჰქონდეს მხო-

[1] ობიექტური რეალობის ყველა თვისების შეფარდებითობის პრინციპი უშუალოდ გამომდინარეობს მატერიალისტური დიალექტიკიდან, რომლის თანახმად საერთოდ თვისება შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ საგანთა ერთიმეორესთან მიმართებაში. ლენინის მიერ მარქსისტული დიალექტიკის განვითარება აღნიშნულ საკითხში იმაში მდგომარეობს, რომ მან გამოარკვია ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთგაპირობებულობა რელატიურისა და აბსოლუტურისა ობიექტურ რეალობაში და ყოველმხრივ გააშუქა მათი ურთიერთობა შემეცნების თეორიულ ასპექტში. ლენინმა გადამწყვეტი ზღვარი დაამყარა რელატივიზმსა და დიალექტიკას შორის და ხაზი გაუსვა, რომ „მახი სწორედ ამ პუნქტის გარშემო დაიბნა, ვერ გაიგო, ან არ სცოდნია რელატივიზმისა და დიალექტიკის ურთიერთდამოკიდებულება“. (ციტირებული შრომა, გვ. 31). გნოსეოლოგიური მნიშვნელობით აღებული რელატივიზმი ნიშნავს თვით რელატივიზმის პრინციპის გააბსოლუტებას, რაც შინაგანი წინააღმდეგობის შემცველია, იმ დროს როცა დიალექტიკა არის რელატიურისა და აბსოლუტურის გამოცხადება ერთი და იმავე ობიექტური საგნის ანუ მოვლენის მხარეებად. სწორედ ამიტომ ამბობს ლენინი, რომ „შემეცნების თეორიას რელატივიზმი დაუდო საფუძვლად — ეს იმას ნიშნავს, რომ თავი გაიწირო ან აბსოლუტური სკეპტიციზმისათვის, აგნოსტიციზმისათვის და სოფისტიკისთვის, ან სუბიექტივიზმისათვის. რელატივიზმი, როგორც შემეცნების თეორიის საფუძველი, არის არა მხოლოდ ჩვენი ცოდნის შეფარდებითობის აღიარება, არამედ უარყოფა რომელიც არ იყოს ობიექტური, კაცობრიობისაგან დამოუკიდებელი საზომის ანუ მოდელისა, რომელსაც უახლოვდება ჩვენი შემეცნება“ (ციტირ. შრომა, გვ. 31).

ლოდ სამი გაზომილება. ეს საკითხი სავსებით ანალოგიურია მატერიის ფილოსოფიური და ფიზიკური გაგების საკითხთან, რომელთა გარკვევით და განსხვავებით ლენინმა წინ წასწია მარქსისტული მატერიალიზმი, და რომლის კონკრეტ მნიშვნელობაზე ქვემოდ გვექნება საუბარი. თანამედროვე ბურჟუაზიულ ფიზიკაში მოდად ქცეული გადაქცევა დროისა სივრცის მეოთხე გაზომილებად, რასაც უცნაური გულმავიწყობით ზოგიერთი საბჭოთა ფიზიკოსიც იზიარებს, პრინციპულად ეწინააღმდეგება დიალექტიკურ მატერიალიზმს, და წარმოადგენს იდეალისტური მისტიკის ერთერთ მთავარ ბუნებისმეტყველურ საფუძველს.

თუ აღნიშნული დებულების დასაბუთებას იმით ფიქრობენ, რომ დრო არის ერთ-ერთი აუცილებელი საშუალება სივრცის გაზომვისა, მაშინ ხომ არანაკლებ (თუ არა მეტი) საშუალებაა სივრცეც დროის გაზომისთვის, რაც მხოლოდ იმ მატერიალისტური დიალექტიკის პრინციპს მოწმობს, რომ დრო და სივრცე, როგორც წაურთმეველი ფორმები ყოფიერებისა საერთოდ, თვითონაც ურღვევ ერთიანობას წარმოადგენენ, რაც სრულიად არ ნიშნავს მათს იგივეობას. უცნაური გულმავიწყობით ზოგიერთი საბჭოთა ფიზიკოსიც მხედველობიდან უშვებს იმას, რომ დროის გაიგივეობა სივრცესთან (სხვა აზრი არ შეიძლება ჰქონდეს დროის გამოცხადებას სივრცის მეოთხე გაზომილებად) არის ერთერთი გამოხატულება ლენინის მიერ 40 წლის უკან გენიალურად გამომჟღავნებული ტენდენციისა ბურჟუაზიულ მეცნიერებს შორის ბუნებისმეტყველების მათემატიზაციისაკენ. განა დიალექტიკის უმნიშვნელოვანესი პრინციპის დარღვევა არ არის ყოფიერების განსხვავებულ ფორმათა ერთიანობის პრინციპის შეცვლა მათი იგივეობით, ე. ი. თვისებრივობით პრინციპის შეცვლა მხოლოდდამხოლოდ რაოდენობითი პრინციპით? რაგვარ შეუძლია შეინარჩუნოს დიალექტიკის გადამწყვეტი პრინციპი — ისტორიზმი — იმან, ვინც დროს აღიარებს სივრცის მეოთხე გაზომილებად? [1]

ენგელსის შესანიშნავი აზრი იმის შესახებ, რომ მატერიალიზმმა აუცილებლად უნდა მიიღოს ახალი სახე დიდ მეცნიერულ აღმოჩენებთან დაკავშირებით, ბრწყინვალე დადასტურებას პოულობს მეოცე საუკუნის დასაწყისში, როცა წარმოიშვა საჭიროება ბუნებისმეტყველების ძირითადი ცნებების „ულმობელი მტვრევისა", რომლებიც ემყარებოდნენ მე-17 — 18 საუკუნეების მექანიკური მსოფლმხედველობის პრინციპს. სავსებით ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში ძირითადი საკითხი უნდა ყოფილიყო საკითხი მატერიის, მისი მოძრაობისა და მისი თვისებების შესახებ. აბსოლუტური და რელატური ჭეშმარიტების ლენინური განმარტების უღრმესი აზრი, უწინარეს ყოვლისა, გამოვლინდა აღნიშნული საკითხის გენიალურ გადაწყვეტაში. ობიექტური რეალობის ყველა თვისების შეფარდებითობის, მათი ისტორიულობის აღიარება იყო ერთერთი უდიდესი მონაპოვარი მარქსისტული მატერიალისტური დიალექტიკისა. მარქსმა და ენგელსმა უდიდესი ოსტატობით გაშალეს და გამოიყენეს ეს პრინციპი სა-

[1] ჰეგელის დიალექტიკის ერთ-ერთი ყველაზე საბედისწერო მანკი იყო სწორედ ნამდვილი ისტორიზმის შეცვლა არსებითად გაშლის თანმიმდევრობის ლოგიკური პრინციპით, ვინაიდან აბსოლუტური იდეა სწორედ იმდენად შეიძლებოდა ყოფილიყო აბსოლუტური, რამდენად ის დროის გარეშე, ე. ი. ზედროულად იყო გამოცხადებული. იდეალისტური დიალექტიკის შეურიგებელი შინაგანი წინააღმდეგობის ერთ-ერთი ყველაზე დამაჯერებელი საბუთი ის არის, რომ იდეალიზმი არსებითად ნიშნავს დროის ობიექტიურობის უარყოფას, ხოლო დიალექტიკა დროის გარეშე — ეს იგივე უაზრობაა, რაც ორგანიზმი ნივთიერების გაცვლა-გამოცვლის გარეშე.

ზოგადოებრივ-ისტორიულ პროცესის სფეროში, რის შედეგი იყო მეცნიერული კომუნიზმის თეორია. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მარქსიზმის ფუძემდებლები კარგად გრძნობდნენ, რომ ბუნებისმეტყველების პრობლემების დიალექტიკური გაშუქების გარეშე მატერიალისტური მსოფლმხედველობის ყოველმხრივი მეცნიერული დასაბუთება შეუძლებელია, და სწორედ ამიტომ იყო, რომ ენგელსი წლების განმავლობაში ამუშავებდა ამ პრობლემებს. მეორე ინტერნაციონალის ბელადები, რომელთაც ხელთ ეპყრათ მარქსის და ენგელსის არქივი, უფრო იყვნენ დაინტერესებულნი მარქსიზმის დამახინჯებაში, ვიდრე მის პროპაგანდაში, მით უმეტეს — მის განვითარებაში, და არც ფიქრობდნენ ენგელსის ნამუშევარის შედეგების გამოქვეყნებას.

ლენინის უდიდესი დამსახურება სწორედ იმაშია, რომ მან მისთვის ჩვეული გენიალობით ჩაჭიდა ხელი თანამედროვე ბუნებისმეტყველების პრობლემათა ძირითად ბირთვს და არა მხოლოდ გასცა ერთადერთი მართებული მეცნიერული პასუხი წამოჭრილ საკითხებს, არამედ ფიზიკის შემდგომი განვითარების გზაც გააშუქა. აღნიშნული ძირითადი ბირთვი იყო საკითხი თვით მატერიის ბუნების, არსობის შესახებ, რომლის არგაგება უბიძგებდა თვით პატიოსან, პროგრესულად განწყობილ ბუნებისმეტყველებს აგნოსტიციზმისაკენ და სკეპტიციზმისაკენ, ხშირად იდეალიზმისკენაც. [1]

[1] უნდა აღინიშნოს, რომ დიდი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ლენინის მიერ გატარებულ განსხვავებას იდეალიზმის შეგნებულ წარმომადგენლებსა, როგორც მეცნიერებაში აშკარა რეაქციონერებსა და მათ არა შეგნებულად ხელისშემწყობთ შორის, რომლებიც დაიბნენ თანამედროვე მეცნიერების რთულ პრობლემატიკაში სწორედ მატერიალისტური დიალექტიკის უცოდინარობის გამო. მასთან ერთად ლენინი ხაზს უსვამდა, რომ ბუნებისმეტყველთა უდიდესი უმრავლესობა სტიქიურად

11. „მნათობი“, № 9.

მეტაფიზიკურობა წინამარქსისტული მატერიალიზმისა, რომლის პრინციპებზე იყო სწორედ აშენებული მაშინდელი ბუნებისმეტყველება, და, უწინარეს ყოვლისა, ფიზიკა, უმთავრესად იმაში მდგომარეობდა, რომ მატერიას განიხილავდა როგორც უცვლელი და გაუყოფელი ნაწილაკების მექანიკურ აგრეგატს, ხოლო მოძრაობას, როგორც მხოლოდდამხოლოდ ადგილის გადანაცვლებას სივრცეში. მაგრამ მარქსისტული მატერიალიზმის ჩამოყალიბების შემდეგაც ბუნებისმეტყველთა უმრავლესობა, ზემოდაღნიშნული მიზეზის გამო, ისევ ძველ მექანისტურ მატერიალიზმს იზიარებდა. როცა ახალი მეცნიერული აღმოჩენები შეუჩერებელი ძალით არღვევდნენ ძველი ბუნებისმეტყველების, კერძოდ ე. წ. კლასიკური მექანიკის, ფარგლებს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დაისახა მეთოდოლოგიური კრიზისი, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლეს იდეალისტებმა ბუნებისმეტყველების ხელახალი (საშუალო საუკუნეების შემდეგ) „დაპყრობისათვის“. იმ დროს, როცა პატიოსანი ბუნებისმეტყველნი, არ სურდათ რა დაეთმოთ მეცნიერება იდეალისტურ ბნელმეტყველთათვის, შეუპოვრად ეპოტინებოდნენ კლასიკური მექანიკის მოძველებულ ცნებებს და ამით უნებლიედ გზას უხშავდნენ მეცნიერების განვითარებას, მარქსისტულ-მატერიალისტურ ბანაკიდან პლეხანოვის, აქსელროდ-ორტოდოქსისა და სხვ. სახით კმაყოფილდებოდნენ მატერიალიზმისა და იდეალიზმის აბსტრაქტული

მიილტვის მატერიალიზმისაკენ, ოღონდ ეს სტიქიური ლტოლვა არ არის საკმარისი, ვინაიდან მთელი „კაზიონური“ „აკადემიური“ ფილოსოფია ექსპლოატატორულ კლასთა „დიპლომირებულ ლაქიათა“ მონოპოლიას შეადგენდა და ეს უკანასკნელნი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ (როგორც დღესაც არ იშურებენ ბურჟუაზიულ ქვეყნებში) შეგნებულად დაენერგათ იდეალიზმი ბუნებისმეტყველებაში.

დაპირისპირებით და იდეალიზმის ისეთივე აბსტრაქტული კრიტიკით, რასაც იდეალისტები ადვილად უპასუხებდნენ, რომ საქმე ის კი არაა, ცუდია თუ კარგია იდეალიზმი, არამედ ის, რომ მეცნიერება სწორედ მას ადასტურებსო. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ თვით იდეალიზმმა საკმაო მოქნილობა გამოიჩინა და შესცვალა თავისი სახე იმისთვის, რომ ბუნებისმეტყველების ახალ მონაცემებს შეგუებოდა. ლენინს მოუხდა ორმაგი ამოცანის გადაწყვეტა: გამოემჟღავნებია იდეალიზმის ეს ახალი სახე, როგორც ძველთა-ძველი იდეალისტური ხაზის (პლატონის ხაზის) გაგრძელება, და მატერიალიზმი აეყვანა ახალ დონეზე, რომელსაც მოითხოვდა ბუნებისმეტყველებაში მიმდინარე რევოლუცია.[1]

„მატერია გაქრა" — ასეთი იყო მებრძოლ ბნელმეტყველთა „ძახილი", როცა აღმოჩნდა შეფარდებითობა მატერიის ზოგიერთი თვისებებისა, რომლებიც კლასიკურ მექანიკაში ითვლებოდნენ უცვლელად და თვით მატერიის არსის გამომხატველად.

„აზრი კი დარჩა?" — სვამს ლენინი იდეალიზმისთვის საბედისწერო კონტრკითხვას. საბედისწეროს იმიტომ, რომ მეცნიერების არც ერთ წარმომადგენელს არასდროს არ მოუცია და ვერც მოგვცემდა მეცნიერულის თუნდაც მსგავს განმარტებას „წმინდა", ყოველგვარ შინაარსს მოკლებული აზრისა, ვინაიდან ყოველგვარი განმარტება არის რაიმე ობიექტური შინაარსის მითითება. მტკიცება: თვით აზრია აზრისავე შინაარსი — უკიდურესი აბსურდია. ამას გრძნობდნენ თვით აბსოლუტური იდეალისტებიც — ფიხტე და ჰეგელი, რომლებიც იძულებულნი იყვნენ აზრის თვით აზრისეული შინაარსი მაინც რაღაც სხვაგვარად, თუნდაც იმავე აზრის სხვაგვარად ყოფნად გამოეცხადებინათ,[2] თუმცა ეს ფოკუსი ისევე ნაკლებად ცვლიდა მათი კონცეფციის ფანტასტიურობას, როგორც ცნობილი ბერის გრაფი გორან-

[1] ახალგაზრდა მეცნიერულ კადრებს შორის იშვიათად როდი ისმის კითხვა: თუ მარქსიზმი ნიშნავს რევოლუციას ადამიანის აზროვნებაში, თუ ის წარმოადგენს მეცნიერული აზროვნების უმაღლეს ფორმას, რაში უნდა გამოიხატოს მისი შემდგომი განვითარება? იქნებ ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ სულ უფრო ფართოვდება მარქსიზმის გამოყენების ფარგლები, ე. ი. მარქსიზმი ეცელდება ბუნების და საზოგადოების შემეცნების ახალ სფეროებში? გონების დიდი დაძაბვა არაა საჭირო იმის ცხადყოფისათვის, რომ თვით აღნიშნული კითხვის დაყენება ნიშნავს მარქსიზმის გადაქცევას რაღაც ახალი ტიპის მეტაფიზიკურ სისტემად, რომელსაც მხოლოდ შეუცვლია წინამორბედი მეტაფიზიკური სისტემები. სწორედ იმიტომ, რომ მარქსიზმი არის მეცნიერული აზროვნების უმაღლესი ფორმა, მან გახსნა თვით მეცნიერული აზროვნების სწრაფი და დაუბრკოლებელი, მეტაფიზიკური ბორკილებისაგან თავისუფალი განვითარების ეპოქა. როგორც სინამდვილის ყოველ მოვლენას, მარქსიზმს შეეძლო თვითშენახვა და არსებობა მხოლოდ შეუწყვეტელ თვითმოძრაობაში და თვითგანვითარებაში საკუთარი პრინციპების საფუძველზე. ამიტომაა, რომ მხოლოდ ლენინი და სტალინი და მათი მოწაფეები არიან რევოლუციური მარქსიზმის ნამდვილი მემკვიდრენი. ეგრეთწოდებული „ორტოდოქსებს" II ინტერნაციონალიდან სურდათ მარქსიზმის ასოსადმი ფორმალური პიეტეტის ნიღაბქვეშ დაემარხათ მისი რევოლუციური არსი, გადაექციათ იგი „სათაყვანებელ" ხატად და ამით დაეკონსერვებიათ, როგორც სამუზეუმო რელიკვია. ცხადია, რომ ეს იყო მარქსიზმის რევიზიის თავისებური ფორმა, რომელიც მხოლოდ ფორმალურად უპირისპირდებოდა ბერნშტეინულ რევიზიონიზმს.

[2] კიდევ უფრო მეტს სიძნელეს, ეკეთ რომ ვთქვათ, კიდევ უფრო მეტ აშკარა შეუძლებლობას ამჟღავნებს უშუალოდ მეცნიერული ცდა რაიმე იდეალური პრინციპის მატერიალური ყოფიერების გარეშე წარმოდგენისა. ამისი მაგალითია ე. წ. ვიტალიზმი, რომელიც იძულებულია თავისი იდეალური სასიცოცხლო პრინციპი მოათავსოს მატერიალურ გარსში, რომლის გარეშე მას ფუნქცირება არ შეუძლია თვით ვიტალიზმის შეხედულებითაც. საწინააღმდეგო მტკიცება იმწამსვე ჩამოგლეჯდა ვიტალისტებს კვაზიმეცნიერულ ნიღაბს და ჩვეულებრივი იდეალისტური სპეკულაციის სფეროში გადააგდებდა.

ფლოს მიერ სიტყვიერი გადაქცევა ვარიასი ცოცხალ თევზად.

მაგრამ ლენინი რომ დაკმაყოფილებულიყო იდეალიზმის ამგვარი ზოგადი კრიტიკით, ის პლეხანოვის პოზიციებს ვერ გასცილდებოდა ემპირიოკრიტიციზმის კრიტიკაში. თავის გენიალური წიგნის მთელს მანძილზე ლენინი ცხადჰყოფს, რომ თუმცა სუბიექტური იდეალიზმი არის ერთადერთი, ლოგიკურად თანმიმდევრული ფორმა იდეალიზმისა, მაგრამ სუბიექტური იდეალიზმის ისევე ლოგიკურად გარდუვალი დასკვნა — სოლიპსიზმი — იმდენად ეწინააღმდეგება მეცნიერებას, კაცობრიობის პრაქტიკას და კაცობრიობის საღ გონებას, რომ ყოველი იდეალისტი იძულებულია შინაგანი წინააღმდეგობის ფასადაც კი აღიაროს ობიექტური სინამდვილის არსებობა, ოღონდ ნათლავს მას ხან სულის სხვაგვარად ყოფნად, ხან „ნებელობად და წარმოდგენად“, ხან „შეგრძნებათა კომპლექსად“ და სხვ.

შემთხვევითი როდია, რომ ფილოსოფიის ისტორიაში სწორედ სამყაროს მატერიალობის საკითხი რჩებოდა ცენტრალურ საკითხად, ვინაიდან მხოლოდ მატერიალობა ნიშნავს ნამდვილ ობიექტურობას, არსი „ფიზიკური იდეალიზმისა“, რომლის წინააღმდეგ ილაშქრებდა ლენინი, სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ „მატერიის გაქრობა“ იმიტომ იყო წამოყენებული, რათა ობიექტური რეალობისთვის მიეწერათ წმინდა სულიერი, იდეალური თვისებანი. ამიტომ ლენინი, უწინარეს ყოვლისა, აშკარავებს მატერიის „გაქრობის“ ფოკუსს. ის ხაზს უსვამს, რომ მხოლოდ მექანისტურ, მეტაფიზიკურ მსოფლმხედველობას შეეძლო გაეიგივებია მატერია მისივე ამათუიმ თვისებასთან, და შემდეგ ამ თვისებათა „გაქრობა“ გამოეცხადებია თვით მატერიის გაქრობად.[1]

[1] უნდა აღინიშნოს, რომ თვისებების „გაქრობაც“ პირობითია, ვინაიდან ისინი გადადიან

მატერიის ფიზიკური და ფილოსოფიური გაგების გამიჯვნით ლენინმა მისცა ბუნებისმეტყველებას — კრიზისიდან გამოსავალი გასაღები. მატერიის ლენინური განმარტება იმდენად ცნობილია, რომ მასზე ვრცლად ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის როდი ექცევა სათანადო ყურადღება საკითხის ერთ მხარეს, რომელსაც ჩემის აზრით, დიდი გნოსეოლოგიური მნიშვნელობა აქვს. უარვ-

სხვა თვისებებში, რომელნიც შეიძლება მიუწვდომელნი აღმოჩნდნენ ადამიანის ცოდნის ამათუიმ საფეხურისთვის. მატერია თვისებების გარეშე ისეთივე აბსტრაქციაა, როგორც ჰეგელის „წმინდა ყოფიერება“. როცა მაგალითად, „ქრება“ მასა, ის ქრება მხოლოდ ფიზიკური აზრით, მხოლოდ არსებობის ამ გარკვეული ფორმის აზრით, რომელიც დაკვირვებისა და მეცნიერული კვლევის ობიექტს შეადგენს. ის, რაც მიკროკოსმიურ სფეროში არ გვევლინება როგორც მასა, უსათუოდ მასის სახით გვევლინება მაკროკოსმიურ სფეროში, როგორც მიკროკოსმიურ შენაერთთა მთლიანობა. არავითარ სფეროში (არა მარტო ბიოლოგიურში, არამედ ქიმიურშიც და მექანიკურშიც) მთელი არ შეიძლება უნაშთოდ დაიშალოს მის ნაწილაკებზე — წინააღმდეგ შემთხვევაში მთლიანობა (იქნებ უკეთესია ვიხმაროთ, თერმინი „მთელობა“) მექანიკური აგრეგაციის მნიშვნელობას მიიღებდა. როცა ვამბობთ: ორგანიზმი შესდგება უჯრედებისაგან (თუ საკითხი ეხება მრავალუჯრედიან ორგანიზმს), ჩვენ არ უარვყოფთ ორგანიზმის, როგორც ორგანიზმის რეალობას, ე. ი. ის არ დაგვყავს უჯრედების მექანიკურ აგრეგატზე. ასევე ჩვენ ვერ დავიყვანთ სხეულს მოლეკულათა მექანიკურ აგრეგატზე, მოლეკულას — ატომთა მექანიკურ აგრეგატზე, — ატომს შინაატომურ ნაწილაკთა აგრეგატზე და სხვ. ეს სრულიადაც არ ნიშნავს კოსმოსის „ბიოლოგიზაციას“, ვინაიდან შენაერთთა მთელობა ყოფიერების სხვადასხვა სფეროში სპეციფიურია, არამედ ამით აღინიშნება ის, რომ არც ერთ სფეროში მთელის ნაწილში ჩვენ არ შეგვიძლია აღმოვაჩინოთ მთელის ყველა თვისება, ვინაიდან თვით იმ ფაქტით, რომ ეს ნაწილი ხელოვნურად იზოლირებულია, ამოგლეჯილია მისი ბუნებრივი კავშირიდან დაკვირვებისა და ექსპერიმენტის მიზნით, ჩვენ ვართმევთ მას სწორედ იმას, რაც მას და მის მსგავს ნაწილაკებს აკავშირებს მთელად.

ყოფთ რა მატერიის იმ ინერტულ, სამუდამოდ ფიქსირებულ თვისებებს, რომელთაც მას მიაწერდნენ მატერიალისტები ორი ათასზე მეტ წლის მანძილზე, ხომ არ უარვყოფთ ჩვენ ამით პრინციპულ ზღვარს მატერიალიზმსა და ობიექტურ იდეალიზმს შორის? განა თვით ლენინი არ აღნიშნავდა, რომ წმინდა გნოსეოლოგიურ ფარგლებს გარეშე, ცნობიერებისა და მატერიის დაპირისპირებას აზრი ეკარგება? რა საფუძველი გაგვაჩნია ჩვენ მატერიალურად მივიჩნიოთ ობიექტური რეალობის ისეთი თვისებები (მაგალითად, ელექტრომაგნეტიზმი), რომელთაც იდეალისტები მათი მსოფლმხედველობის დამადასტურებლად თვლიან? ლენინი არა თუ არ უშვებს მხედველობიდან ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს, არამედ მასზე ამომწურავ პასუხს იძლევა. თუ ჩვენ ვერ აღმოუჩენდით მატერიას მყარ, მისი ყოველნაირი ცვლილებების დროს არსებულ თვისებებს, უკეთ რომ ვთქვათ, არსებობის ფორმებს, ლენინის მიერ მოცემული ფილოსოფიური განმარტება, მატერიისა დასაყრდენს დაკარგავდა. მატერიის ასეთ უნივერსალურ თვისებებს, ანუ არსებობის წაურთმეველ ფორმებს წარმოადგენენ, ლენინის შეხედულებით, სივრცე და დრო. მატერიის ყველა თვისება, წონადობის ჩათვლით (რომელსაც, რამდენადაც ვიცით, ჯერ არ შეხებია შეფარდებითობის პრინციპი, მაგრამ შეიძლება უახლოეს დროში შეეხოს), შეფარდებითია იმ აზრით, რომ მატერიის არსებობა წარმოსადგენია მათ გარეშე. (რა თქმა უნდა, ცალკეულად, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აბსოლუტურად უთვისებო მატერია წარმოუდგენელია), იმ დროს როცა მატერიის არსებობა წარმოუდგენელია დროის და სივრცის გარეშე. აი რატომ გაუსვა ლენინმა განსაკუთრებული ძალით ხაზი, რომ „მოძღვრება სივრცეზე და დროზე განუყრელად დაკავშირებულია ძირითადი გნოსეოლოგიური საკითხის გადაწყვეტასთან“ სახელდობრ ადამიანის ცნობიერების გარეშე სამყაროს არსებობის საკითხთან (იხ. ლენინის ციტირებული შრომა, გვ. 162). აი რატომაა, რომ სწორედ გნოსეოლოგიური ასპექტით იცავს ლენინი სამგაზომილიანი სივრცის თეორიას. ზოგიერთი საბჭოთა ფიზიკოსიც კი, გატაცებული შეფარდებითობის თეორიით, მზადაა განიხილოს დრო და სივრცე მატერიის ისეთივე რელატურ თვისებებად, როგორც დანარჩენი თვისებები.[1]

ლენინი წინასწარ გენიალურად სჭვრეტდა მატერიის ისეთი თვისებების „გაქრობასაც“, რომელთაც მაშინ კიდევ არ შეხებია ახალი ფიზიკა, და სწორედ ამაში ხედავდა ბუნებისმეტყველების პროგრესს, როგორც მატერიის შემეცნების ისტორიული საზღვრების გადალახვას, უფროდაუფრო მიახლოებას მისი არსობის შემეცნებასთან, რაც (არსობა) ვლინდება უსასრულო, ერთიმეორეში გადამსვლელ თვისებებში. ამასთან ერთად ლენინმა წინ წასწია და გააღრმავა ენგელსის შეხედულება უსასრულობის დიალექტიკური ბუნების შესახებ იმით, რომ უფრო ღრმად და მრავალმხრივად დაუკავშირა ის მატერიის კვალიტეტურ გარკვეულობას. ატომიზმის მეთოდოლოგიური დაძლევა შეიძლებოდა მხოლოდ მატერიის უსასრულობის აღიარებით არა მხოლოდ ექსტენსიურად არამედ ინტენსიურადაც, არა მხოლოდ ინტეგრაციაში, არამედ

[1] გაუგებრობის ასაცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ იგივე, რაც ითქმის დროზე და სივრცეზე, როგორც მატერიის არსებობის აუცილებელ ფორმებზე, ითქმის მოძრაობაზეც, მაგრამ ჩვენ განგებ არ მოვაქციეთ მოძრაობა მატერიის სხვა თვისებათა რიცხვში, რადგან იგი მის შინაგან არსს, ა. წ. ატრიბუტს წარმოადგენს.

დიფერენციაშიაც. „ელექტრონი ისევე ამოუწურავია, როგორც ატომი“, — ამბობს ლენინი (ციტ. შრომა, გვ. 245), და მით ცხადყოფს, რომ ელექტრონისთვის იმ თვისებების მიწერა, რასაც წინათ კლასიკური მექანიკა მიაწერდა ატომს, ნიშნავს მეთოდოლოგიურად იმავე ატომისტიკის ნიადაგზე დარჩენას. ამავე დროს ლენინი ამჟღავნებს „ფიზიკური“ იდეალისტების მექანისტურ მეთოდოლოგიასაც, რამდენადაც ისინი არამატერიალურად აცხადებდნენ ყველა იმ თვისებას, რომლებიც სცილდებოდა თვისებათა იმ ფარგლებს, რასაც მატერიას მიაწერდა კლასიკური მექანიკა.

ბუნებისმეტყველების განსაკუთრებით ფიზიკის, იდეალიზმით „დაავადების“ მიზეზად ლენინი თვლიდა რელატივიზმის დიალექტიკური ბუნების არგაგებასთან ერთად მათემატიკის ჭეშმარიტი ბუნების არგაგებასაც, რომლის როლი უფრო და უფრო მაღლდებოდა თეორიულ ბუნებისმეტყველებაში. ლენინის გენიალობა იყო საჭირო იმისათვის, რათა მაშინვე შემჩნეულიყო ბუნებისმეტყველების მხოლოდ მაშინ წამოწყებული მათემატიზაციის მთელი რეაქციულობა. ამ პროცესს ლენინი უკავშირებს შემეცნებისთეორიული იდეალიზმის თავისებურ ფორმას — სიმბოლიზმს, ე. ი. შეგრძნებათა წმინდა სიმბოლოებად გამოცხადებას, რაც სასტიკად გაკრიტიკებულია „მატერიალიზმში და ემპირიოკრიტიციზმში“.

ავითარებს რა შემდგომ ენგელსის მიერ „ანტი-დიურინგში“ წამოყენებულ პრინციპს სამყაროს ერთიანობისა, როგორც მისი მატერიალობის გამოხატულებისა (საწინააღმდეგოდ დიურინგის ბუნდოვანი ფორმულისა: „სამყაროს ერთიანობა მის ყოფიერებაშია“), ლენინი აღნიშნავს, რომ მეცნიერება სულ უფრო და უფრო უახლოვდება შემეცნებას სამყაროს ერთგვარობისა მის უსასრულო თვისობრივობით, მრავალსახიანობასთან ერთად, და რომ სწორედ ეს უწყობს ხელს მათემატიკის როლის ზრდას, მხოლოდ იმ პირობით, თუ არ იქნება დავიწყებული თვით მათემატიკის რეალური საფუძველი — თვით სინამდვილის საგანთა და მოვლენათა მიმართებანი და კავშირები. იდეალისტები სწორედ ამ საფუძველს აცილებენ მათემატიკას და აცხადებენ მათემატიკურ მიმართულებებს ობიექტურ რეალობისაგან დამოუკიდებლად, აზროვნების „წმინდა“ და „თავისუფალ“ სფეროდ. „მატერიის ასეთ ერთგვარ და მარტივ ელემენტებთან მიახლოება, რომელთა მოძრაობის კანონი შესაძლებელს ხდიან მათემატიკურ მოწესრიგებას (обработку), წარმოშობს მათემატიკოსების მიერ მატერიის დავიწყებას „მატერია ქრება“, რჩებიან მხოლოდ განტოლებანი (ლენინი, ციტ. შრომა, გვ. 290).

*
* *

თავისი უკვდავი წიგნის პირველ ხუთ თავში ლენინი სისტემატურად ალაგებს და შემდგომ ავითარებს მარქსისა და ენგელსის შემეცნების თეორიულ პრინციპებს. მოგვცა რა პირველად დიალექტიკური მატერიალიზმის დასრულებული და მწყობრი შემეცნების თეორია, ლენინმა ღრმად გააშუქა მისი თანამედროვე ბუნებისმეტყველების უმნიშვნელოვანესი პრობლემები და მიუთითა ბუნების მკვლევართ ერთადერთი გზა იმ კრიზისიდან თავის დასაღწევად, რომელიც თვით მეცნიერულ აღმოჩენებით იყო გამოწვეული. ამასთან ერთად, ლენინმა მოგვცა ყოველმხრივი და გამანადგურებელი კრიტიკა იდეალიზმის იმ პოზიტივისტური ფორმისა, რომელიც ცდილობდა შეგუებოდა მეცნიერებას და მეცნიერული ფილოსოფიის სახელს ჩემულობდა, არ დატოვა რა კრიტიკის გარეშე არც ერთი სახე

ამ პოზიტივიზმისა — ემპირიოკრიტიციზმი, ემპიროსიმბოლიზმი, ემპირიომონიზმი და სხვ. გზადაგზა ლენინმა მოგვცა რიგი გენიალური პროგნოზებისა ბუნებისმეტყველების შემდგომი გახვითარების ხაზით.

თავისი წიგნის მეექვსე და უკანასკნელ თავში ლენინი იძლევა ემპირიოკრიტიციზმის წარმომადგენელთა სოციოლოგიურ შეხედულებათა გამანადგურებელ კრიტიკას. წიგნის თავების რაოდენობათა ეს შეფარდება ოდნავადაც არ გამოხატავს იმ მნიშვნელობას, რასაც ლენინი მიაწერს ისტორიულ მატერიალიზმს. საქმე ისაა, რომ მარქსმა და ენგელსმა, „ასრულებდნენ რა მატერიალიზმის ფილოსოფიის დაშენებას ბოლომდე“ („достраивая философию материализма доверху“) (იხ. ციტ. შრომა, გვ. 311), გაცილებით უფრო ყოველმხრივ დაამუშავეს საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესის დიალექტიკა, ვიდრე ბუნების დიალექტიკა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ლენინი ამ დარგშიც დაკმაყოფილდა მარქსისა და ენგელსის დებულებათა განმეორებით და მათი დაპირისპირებით ემპირიკრიტიკოსთა შეხედულებებთან.

უწინარეს ყოვლისა, ლენინი კლასიკური სიცხადით აღნიშნავს ზოგადფილოსოფიურ მატერიალიზმსა და ისტორიულ მატერიალიზმს შორის არსებულ განუყრელ კავშირს, და ამით ამჟღავნებს ბოგდანოვის ფოკუსს, რომელიც ჩემულობდა ისტორიული მატერიალიზმის „დაცვას“ მარქსიზმის ზოგადფილოსოფიური საფუძვლების იდეალისტური რევიზიის მიუხედავად. „მატერიალიზმი საერთოდ აღიარებს ობიექტურ რეალურ ყოფიერებას (მატერიას), რომელიც დამოუკიდებელია კაცობრიობის ცნობიერებიდან, შეგრძნებიდან, ცდიდან და სხვ. ისტორიული მატერიალიზმი აღიარებს საზოგადოებრივ ყოფიერებას, რომელიც დამოუკიდებელია კაცობრიობის საზოგადოებრივ ცნობიერებიდან. ცნობიერება აქაც და აქაც არის ყოფიერების ასახვა, უკეთეს შემთხვევაში დაახლოებით სწორი (ადეკვატური, იდეალურად ზუსტი) მისი ასახვა. მარქსიზმის ამ ფილოსოფიიდან, რომელიც გამოდნობილია ფოლადის ერთი ნაჭერისაგან, არ შეიძლება ამოვიღოთ არც ერთი წინამძღვარი, არც ერთი არსებითი ნაწილი ისე, რომ არ გავცილდეთ ობიექტურ ჭეშმარიტებას, რომ არ მოვექცეთ ბურჟუაზიულ-რეაქციული სიცრუის წიაღში“ (ლენინი, ციტ. შრომა, გვ. 308).

შემდეგ ლენინი ამჟღავნებს მარქსიზმის ფილოსოფიური და ყოველი სხვა ფორმის რევიზიის სოციალურ-პოლიტიკურ არსს. ლენინის მიდგომის სიდიადე არა მხოლოდ იმაშია, რომ ის ახალ თერმინოლოგიურ კორიანტელში, მრავალფეროვან ნიღაბში, მათ შორის განსაკუთრებით „მეცნიერებასთან“ კავშირის ნიღაბში,, ამჟღავნებს მთავარ გნოსეოლოგიურ შინაარს:იდეალიზმის გალაშქრებას მატერიალიზმის წინააღმდეგ, ბნელეთისმეტყველებისა — მეცნიერების წინააღმდეგ, არამედ იმაშიც, რომ ის ააშკარავებს ასეთი გალაშქრების კლასობრივ ფესვებს. მხოლოდ ამ პოზიციიდან შეეძლო ლენინს გამოერკვია, რომ ემპირიოკრიტიციზმი არ არის შემთხვევითი, იზოლირებული ფორმა მარქსიზმის ფილოსოფიური რევიზიისა, არამედ ის არის რგოლი რევოლუციური მარქსიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიული იდეოლოგიის გალაშქრების მთლიანი ჯაჭვისა.

„მარქსიზმის სულ უფრო მოხერხებული ფალსიფიკაცია,—ამბობს ლენინი,— ანტიმატერიალისტურ მოძღვრებათა მარქსიზმად გასაღების სულ უფრო მოხერხებული ცდა — აი რით ხასიათდება თანამედროვე რევიზიონიზმი პოლიტიკურ ეკონომიაშიც, ტაქტიკის საკითხებშიც, საერთოდ ფილოსოფიაშიც, როგორც გნოსეოლოგიაში, ისე სოციოლოგიაში“ (ციტ. შრომა, გვ. 312).

მარქსისტული ისტორიული მატერიალიზმის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს აგრეთვე მოძღვრება იდეოლოგიის ყველა ფორმის პარტიულობის შესახებ. ლენინის მიერ ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში წამოყენებული პრინციპი მეცნიერების პარტიულობისა შემდგომ განვითარებას პოულობს „მატერიალიზმში და ემპირიოკრიტიციზმში“ ფილოსოფიის პარტიულობის კონკრეტი გამორკვევის სახით. მხოლოდ ამ პრინციპის საფუძველზე იყო შესაძლებელი ფილოსოფიაში ორ ძირითად, ურთერთმებრძოლ და ერთიმეორის გამომრიცხველ ხაზთა — დემოკრიტეს და პლატონის ხაზთა — კლასიკური განმარტება, რაც მოგვცა ლენინმა და რაც უნდა იყოს მთავარი სახელმძღვანელო პრინციპი ფილოსოფიის ისტორიის ყოველი საკითხის გაშუქებაში.

ლენინი როდი დაკმაყოფილდა ფილოსოფიის პარტიულობის გამორკვევით, კლასობრივ ინტერესებთან და პოლიტიკურ მიმართულებებთან ფილოსოფიის განუყრელი კავშირის გამორკვევით, ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ყველა ჯურისა და სახის იდეალიზმის მჭიდრო კავშირს რელიგიასთან. თავის დროზე ფეიერბახმა იდეალიზმის კრიტიკა თეოლოგიის კრიტიკით დაიწყო. ფეიერბახის დიდი დამსახურება სხვა წინამარქსისტულ მატერიალისტებთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ მან აღმოაჩინა რელიგიისა და იდეალიზმის საერთო საფუძველი—ჰიპოსტაზირება ადამიანური აზროვნებისა, რომელიც მათ მიერ ხელოვნურად მოწყვეტილია თავის რეალურ, სხეულებრივ საფუძველს. მარქსმა და ენგელსმა დასძლიეს ფეიერბახის შეზღუდულობა, აღიარეს რა აზროვნება მატერიის არა უბრალო ბუნებრივ თვისებად, არამედ ადამიანის საწარმოო პრაქტიკის ისტორიულ პროდუქტად. მათ არაერთხელ გაუსვამთ ხაზი ექსპლოატატორული კლასების ინტერესებთან, მათ რეაქციულ პოლიტიკასთან თეოლოგიის კავშირისათვის. თავის „მატერიალიზმში და ემპირიოკრიტიციზმში“ ლენინი არკვევს, რომ რელიგია უბრალო იდეოლოგიური მოვლენა როდია, რომ მას ფესვები აქვს ექსპლოატატორული საზოგადოების მთელ სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებაში, და ფლობს დიდს ძალას თავისი ორგანიზაციისა და მმართველი კლასების მხარის დაჭერის მეოხებით, იჩენს რა ეპოქის მეცნიერულ ცოდნასთან შეგუების საკმაო უნარს. ამას ჰქონდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, ვინაიდან რელიგიის სწორედ ამ მოქნილობით და ეპოქის სულიერ განვითარებასთან შეგუების უნარით აიხსნებოდა მისი შეჭრა ე. წ. „ღვთისმშენებლობის“ და „ღვთისმაძიებლობის“ სახით ისეთ ადამიანთა წრეშიც, რომელნიც თავიანთ თავს მარქსისტებს უწოდებდნენ. ჩვენი დროისთვისაც, ხარწნადი ბურჟუაზიული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში, საპროგრამო მნიშვნელობა აქვს „მატერიალიზმის და ემპირიოკრიტიციზმის“ განთქმულ დასკვნით სიტყვებს: იდეალიზმი „არის გაფაქიზებული და რაფინირებული ფორმა ფიდეიზმისა, რომელიც დგას სავსებით შეიარაღებული, გააჩნია ვეებერთელა ორგანიზაციები და განაგრძობს შეუწყვეტელად ზემოქმედებას მასებზე, აქცევს რა თავის სასარგებლოდ ფილოსოფიური აზრის სულ მცირეოდენ მერყეობას. ემპირიოკრიტიციზმის ობიექტური კლასობრივი როლი მდგომარეობს მის შინამომსახურებაში ფიდეისტების მიმართ ამ უკანასკნელთა ბრძოლაში მატერიალიზმის წინააღმდეგ საზოგადოდ, ისტორიული მატერიალიზმის წინააღმდეგ კერძოდ“ (ციტ. შრომა, გვ. 339).

*
* *

დიდი სტალინის განმარტებით „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ ბოლშევიკური პარტიის იდეოლოგიური საფუძვლების შემუშავებას წარმოადგენს. ბოლშევიკური პარტია — ახალი ტიპის პარტიაა, მაშასადამე მისი იდეოლოგიური საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ახალ საფეხურზე აყვანილი ფილოსოფია მარქსიზმისა. ლენინის უკვდავი წიგნის მსოფლიო მნიშვნელობა მდგომარეობდა არა მხოლოდ იმაში, რომ მან გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა საერთაშორისო რევიზიონიზმს, არამედ იმაშიც, რომ მან მთელი ეპოქის მეცნიერულ ცოდნათა უღრმესი ფილოსოფიური განზოგადოების საფუძველზე მისცა გზის მაჩვენებელი პრინციპები ბუნებისმეტყველების შემდგომ განვითარებას.

დღესაც, როგორც ეს დაადასტურა განსვენებულმა ფრანგმა მეცნიერმა ლანჟევენმა, როგორც ამას ადასტურებენ ინგლისელი მეცნიერები ჰოლდეინი და კორნფორტი, ლენინის წიგნი აიარაღებს ნამდვილ მეცნიერებას ბნელმეტყველების წინააღმდეგ.

ლენინის წიგნის გამოსვლის შემდეგ მეცნიერულმა აღმოჩენებმა ბუნებისმეტყველებაში, კერძოდ ფიზიკაში, უფრო ფართო გაქანება მიიღეს. აკადემიკოსმა ს. ვავილოვმა თავის წერილში „ლენინი და თანამედროვე ფიზიკის ფილოსოფიური პრობლემები“ („პრავდა“ 2 მაისი 1949 წ). მოკლედ და მკაფიოდ აღნიშნა მთავარი ამ აღმოჩენებში, და აგრეთვე ცხადყო, თუ როგორ ბრწყინვალედ ადასტურებენ ისინი ლენინის გენიალურ პროგნოზებს. თუ „მატერიალიზმის და ემპირიოკრიტიციზმის“ გამოსვლის დროს „ფიზიკური იდეალიზმი“-ის-ღა იყო მხოლოდ შლიდა ბრძოლის ფრონტს მეცნიერული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ, დღეს კი, კაპიტალიზმის დაჩქარებული ხრწნის პირობებში, ისტორიულად განწირული კაპიტალისტური სისტემის შინაგან და გარეგან წინააღმდეგობათა უკიდურესი გამწვავების პირობებში, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში მძვინვარებს უსასტიკესი პოლიტიკური და იდეოლოგიური რეაქცია, თანამედროვე ბუნებისმეტყველების მიღწევათა იდეალისტური ინტერპრეტაციის ცდები კიდევ უფრო ორგანიზებულ ხასიათს ღებულობს, მათ წარმართავს თვით იმპერიალისტური სახელმწიფო აპარატი.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ მახის სიცოცხლეში დღეს უკვე მიხრწნილმა რესელმა, მარქსიზმ-ლენინიზმისა და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ამ დაუძინებელმა მტერმა, რომელიც თავის ამასწინათ წარმოთქმულ სიტყვაში ქალაქ ბრიუსელში ემუდარებოდა ჩერჩილის ამერიკელ მოწაფეებს, რაც შეიძლება ჩქარა დაებომბათ ატომური ყუმბარებით საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი და აყვავებული ქალაქები, ხელი ჩასჭიდა მახისტურ პოზიტივიზმს, და მისცა რა მას ჯერ მათემატიკური, შემდეგ კი ლოგიკური ინტერპრეტაცია, გადააქცია იგი ბნელმეტყველების საერთო დროშად მეცნიერების წინააღმდეგ ბრძოლაში. ედინგტონები, ვიტგენშტეინები, ჯინსები, მილნები, კარნაპები — იდეალისტური ობსკურანტიზმის ეს მებაირახტრენი, არიან რესელის, მეცნიერებისა და პროგრესის ამ დაუძინებელ მტრის, მოწაფეები, ისე როგორც ყველა თანამედროვე ამერიკელ-ინგლისელი ომისგამჩაღებელი არის მოწაფე რესელის არანაკლებ მიხრწნილი თანამემამულის და თავისუფლების და კულტურის ისეთივე მტერის — ჩერჩილისა.

„ავითარებს“ რა შემდგომ მახისტურ თეზისს, რომ შეგრძნებანი სამყაროს „ელემენტები“ არიან, რესელი აცხადებს, რომ ნივთი, საგანი — წმინდა ლოგიკური კონსტრუქციაა. რეალური

არიან მხოლოდ მათი „გრძნობითი ასპექტები“, ე. ი. ჩვენი აღქმანი. მაგ., თუ ერთი დამკვირვებელი უყურებს გეომეტრიულ ფიგურას გარკვეული პოზიციიდან (მაგ., მისი რომელიმე მხარის პერპენდიკულარულად) და ხედავს მასში თეთრ სწორკუთხედს, დამკვირვებელს სხვა პოზიციიდან (მაგ., ფიგურის დიაგონალის გასწვრივ) შეუძლია მიიჩნიოს იგივე ფიგურა მწვანე პარალელოგრამად, თუ ის ატარებს სათვალეებს მწვანე შუშებით. რესელის მიხედვით ორივე ეს „ასპექტი“ სავსებით თანასწორუფლებიანია. და რადგანაც ამ თვალსაზრისით წარმოუდგენელია ორი აბსოლუტურად იდენტური ასპექტი, რესელმა სპეციალურად გამოიგონა თავისი „პერსპექტული იდეალიზმის“ ლოგიკა, რომელიც ანსხვავებს წინადადების წმინდა ფორმალურ ფუნქციას (propositional function) და მის კონკრეტ „ასპექტებს“. პირველი, ე. ი. ფორმალური, ან პროპოზიციონალური ფუნქცია წინადადებისა, ჭეშმარიტია დამოუკიდებლად ყოველგვარი შინაარსისა, ხოლო კონკრეტ „ასპექტების“ ჭეშმარიტება დგინდება ემპირიულად, ფორმალურ ფუნქციაში რომელიმე კონკრეტი ასპექტის „ჩასმის“ შეობებით. ეს მხოლოდ თერმინოლოგიურად სახეშეცვლილი კანტიანობა (მისი მატერიალისტური ელემენტების ელიმინირებით) ხდება მეთოდოლოგიური საფუძველი თანამედროვე ფიზიკის იდეალისტური ინტერპრეტატორებისთვის. საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე ილუსტრაცია, თუ როგორ იდეალისტურ დასკვნებს აკეთებენ ბურჟუაზიული იდეოლოგები თანამედროვე ფიზიკიდან, და თუ როგორ ადასტურებს ეს ლენინის პროგნოზს ბუნებისმეტყველების პრობლემათა გარშემო გარდუვალი ფილოსოფიური ბრძოლის შესახებ და ამ დარგში იმ ტენდენციების შესაძლებელი შედეგების შესახებ, რომლებმაც (ტენდენციებმა) თავი იჩინეს ჯერ კიდევ ლენინის დროს.

ლენინი ხაზს უსვამდა მიზეზობრიობის კანონის, სამყაროს ობიექტური კანონზომიერების, კარდინალურ მნიშვნელობას სწორედ ძირითადი გნოსეოლოგიური საკითხის — ჩვენს ცნობიერების გარეშე საგანთა და მოვლენათა არსებობის საკითხის — გადაწყვეტისათვის. ლენინს მშვენივრად ესმოდა კლასიკური მექანიკის მიერ მიზეზობრიობის გაგების ისტორიული შეზღუდულობა. მაგრამ თავის „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ სიმძიმის ცენტრი გადაიტანა მიზეზობრიობის, ობიექტურ ბუნებაზე სწორედ იმიტომ, რომ „ფიზიკური“ და სხვა ჯურის იდეალისტები ახალი მეცნიერული მსოფლმხედველობისთვის ბრძოლის ნიღაბით უარყოფდნენ მიზეზობრიობის სწორედ ობიექტურ მნიშვნელობას, რასაც გარდუვალად მივყევართ თვით საგანთა ობიექტურობის უარყოფამდე, ჩვენი ცნობიერებისაგან მათი დამოუკიდებლობის უარყოფამდე. ცოტაოდენი მოფიქრება საკმარისია იმის გასაგებად, რომ ლენინის ასახვის თეორია ემყარება სწორედ მიზეზობრიობის ობიექტური ხასიათის აღიარებას. ლენინი ააშკარავებს აბსოლუტურისა და რელატურის ურთიერთობის დიალექტიკას მიზეზობრივ კავშირთა და მიმართებათა სფეროშიაც და ხაზს უსვამს, რომ ეს კავშირები და მიმართებანი მხოლოდ ნაწილობრივ გამოხატავენ ობიექტურ სამყაროში არსებულ უნივერსალურ, ე. ი. უსასრულო ურთიერთკავშირს და ურთიერთმიმართებას.

ნაცვლად იმისა, რომ შინაატომურ პროცესებში მიზეზობრიობის კონკრეტი გამოვლენის აღმოჩენიდან წასულიყვნენ წინ, ნიუტონისეული ფიზიკის მიერ მიზეზობრიობის მექანისტური გაგებისაგან მისი დიალექტიკური გაგებისკენ, იდეალისტურად განწყობილ ბუნებისმეტყველებმა არ დააყოვნეს

გამოეცხადებიათ, რომ მიზეზობრიობაც „გაქრა“, დარჩნენ „თავისუფალი“ „თვითგამომრკვევი“ ელემენტარული ნაწილაკები, და მხოლოდ მათი დიდი, ასე ვთქვათ, „კოსმიური“ რაოდენობით შეჯგუფების შემთხვევაში ვღებულობთ „სტატისტიკურ“, ე. ი. წმინდა შემთხვევითს კანონზომიერებას. ასეთია შინაარსი ჰეიზენბერგის „გაურკვევლობის პრინციპისა“, ასეთია, საბოლოო ანგარიშში, დედააზრი შრედინგერის წიგნისა „რა არის სიცოცხლე ფიზიკური თვალსაზრისით?“ და სხვა. ამ „ფიზიკურ“ კონცეფციებზე შენდებიან ბურჟუაზიის „კაზიონური“ ფილოსოფოსების მიერ გნოსეოლოგიური დასკვნები, რომელთა მიხედვით მეცნიერების ამოცანად გამოცხადებულია მხოლოდ აღწერა და „გაზომვა“, ხოლო მის ობიექტად — არა ნამდვილი, ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი საგნები და მოვლენები, არამედ ჩვენივე შეგრძნობათა ლოგიკური მიმართულებანი. როგორც ლენინის დროს მახიზმი, ისე დღეს „უახლესი“ პოზიტივიზმი ობიექტივიზმის ნიღაბს იფარებს და სურს, რადაც არ დაუჯდეს, მეცნიერების მსგავსება შეინარჩუნოს. მაგრამ რაშია ამ „ობიექტივიზმის“ აზრი? არა მეცნიერების ობიექტის გამოცხადებაში ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, თვითარსად, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ჩვენი ცნებები მის შესახებ, არამედ მხოლოდ თვით „დამკვირვებელთა“, ე. ი. სუბიექტთა ცნებებისა და წარმოდგენების ურთიერთ შეთანხმებაში. აქაც ჩვენ ვხედავთ სიტყვიერად შეფერილ კანტიანობას, ე. ი. ბერკლის ტიპის ფსიქოლოგიზმს უპირისპირდება კანტიანური ტიპის ლოგიკური სუბიექტივიზმი.

„მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ ლენინი მიუთითებდა, რომ ფიზიკის შემდგომი განვითარება უფრო და უფრო აღმოაჩენს მატერიის ელექტრომაგნიტურ ბუნებას. ლენინის ეს პროგნოზი ბრწყინვალედ დადასტურა თანამედროვე ფიზიკამ, მაგრამ იდეალისტები დაჟინებით უარყოფენ ელექტრომაგნიტურ მოვლენათა მატერიალურ ხასიათს. ერთ-ერთი ინგლისელი ავტორი მარტინ ჯონსონი ორიოდე წლის უკან გამოქვეყნებულ წიგნში „მეცნიერება და ჭეშმარიტების აზრი“ რომელშიაც ის ცდილობს შეაჯამოს თანამედროვე ბუნებისმეტყველების გნოსეოლოგიური დასკვნები, წერს: „რადიაციის შემთხვევაში (სინათლის, თბოსხივების, სხივებისა და რადიოს ჩათვლით) „რაღაცა ვიბრირებაში მყოფი“ არის უეჭველად ალტერნატიულ ელექტრული და მაგნიტური კვანტუმების წყვილი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში რაიმე მატერიალური“ (Martin Jonson „Science and the meaning ot tzuth“ გვ. 30). ამას მოსდევს ასეთი წინამძღვრიდან გარდუვალი დასკვნა ცარიელი სივრცის არსებობის შესახებ, რაც არსებითად კვლავ აცოცხლებს ნიუტონისეული მექანიკის ერთ-ერთ მთავარ და ყველაზე მოძველებულ პრინციპს. „რადიაცია გულისხმობს ენერგიის ცნებას, რომელიც გადის სივრცეში, როგორიცაა, მაგ., ენერგია, მომავალი მზისაგან“.

აქ ავტორი გრძნობს წინააღმდეგობას: „ბგერა და საერთოდ ელასტიური ტალღები მოითხოვენ, ყოველ შემთხვევაში, თხელ ჰაერს, როცა მათ არ ატარებენ მაგარი სხეულები ან სითხე, მაგრამ ჩვენსა და ვარსკვლავებს შორის, რომელთა ელექტრომაგნიტურ რადიაციას ჩვენ აღვიქვამთ სინათლის სახით, არ არის თუნდაც უაღრესად განვითარებული წარმოსახვისთვის მისაწვდომი გათხელებული გაზი“. ანალოგიური სურათია, ავტორის აზრით შინაატომურ სფეროშიაც. „ნამდვილად ჩვენ გვაქვს — განაგრძობს ავტორი, — ფანტასტიური სიტუაცია, როცა თვით უმკვრივესი მატერიაც აღმოჩნდა თითქმის სხვა არა-

ფერი, თუ არა ცარიელი სივრცე“ (იქ-ვე, გვ. 33).

განა ცხადი არ არის, რომ აქ მატერიალური რეალობა წარმოდგენილია მხოლოდ ძველი მექანიკური აზრით? ავტორი დაჟინებით იმეორებს თავისსა და სხვა ბურჟუაზიულ ფილოსოფოსების აზრს, რომ ენერგია არამატერიალურია. ზემოთაღნიშნული და სხვა მრავალი ექსპერიმენტურად აღმოჩენილი ფაქტები წინააღმდეგობისა თვით ობიექტურ რეალობაში გამოყენებულია არა იმისთვის, რომ გაგებული იქნას თვით მატერიის სტრუქტურის დიალექტიკურობა, არამედ მატერიალური რეალობის უარყოფისათვის. წინააღმდეგობის ფორმალურ-ლოგიკური პრინციპი აღიარებულია როგორც ჭეშმარიტების ერთადერთი კრიტერიუმი, და ძენონისა და კანტის მსგავსად არარეალურად აცხადებენ ყველა იმ სფეროს, რომელშიაც თავს იჩენენ წინააღმდეგობანი და, „ანტინომიები“. რა თქმა უნდა ამ წინააღმდეგობებისაგან ადვილად „განვთავისუფლდებით“, თუ ვაღიარებთ, რომ შემეცნებაში ჩვენ საქმე გვაქვს არა ობიექტურ, ჩვენს ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ რეალობასთან, არამედ საკუთარ შეგრძნებებთან. ერთი სიტყვით, ლოგიკა „მამაცურად“ ძლევს წინააღმდეგობას თავის საკუთარ „წმინდა“ სფეროში. აი, მაგალითად, როგორ „ადნობს“ იგივე ავტორი საგნებს ლოგიკურ მიმართებებად: „ძველს ფიზიკაში სტრუქტურა მიეწერებოდა „ნივთებს“ ანუ „ობიექტებს“ და მათს „მატერიალურ კონსტიტუენტებს“ მოლეკულებისა და ატომების სახით. მაგრამ რელატივიზმის ერაში სტრუქტურული თვისებები სივრცისა, როგორც რადიაციის ყველა ფორმის ცარიელი გამტარებელი მედიუმისა, გადატანილი იქნა ნივთებისაგან ლოგიკურ მიმართებებზე, რაც აკომპენსიერებს ჩვენს სკეპტიციზმს ნივთების არსებობის შესახებ“ (იქვე. გვ. 71).

კიდევ უფრო კატეგორიულ ფორმაში გამოსთქვამს ამ აზრს ედინგტონი: „ის, რასაც ფიზიკოსი საბოლოო ანგარიშში პოულობს ატომში, ან თუ გნებავთ, ყველა სხვა შენაერთში, რაც შეისწავლება ფიზიკური მეთოდის საშუალებით, არის არა სხვა რაიმე, თუ არა წმინდა ოპერაციათა რიგის სტრუქტურა“. აქედან უკვე ერთი ნაბიჯია დასკვნამდე, რომ ფიზიკური შემეცნებაც შეიძლება დაყვანილი იქნას წმინდა ლოგიკურ ოპერაციებზე. მილნი, მაგ., ამტკიცებს, რომ „ფიზიკური შემეცნება შეიძლება მიღებულ იქნას დედუქტიური დასკვნების პროცესის მეშვეობით პირველ, და ისიც წმინდა შემეცნებისთეორიულ, პრინციპებიდან“. ამ გზით თვით მილნი მიდის იმ ხუცურ-იდეალისტურ დასკვნამდე, რომ სამყაროს აქვს დასაწყისი დროში და მისი სპეციალური „ლოგარითმული გამოანგარიშებით“. ეს დასაწყისი უნდა ყოფილიყო 2.10⁹ წლის უკან. რათა სამყაროს „ცალმხრივი“ ბოლოვადობაზე არ შევჩერდეთ ახ უკეთ რომ ვთქვათ, რათა ყოველმხრივ შევზღუდოთ სამყარო, რომ „ადგილი გავუთავისუფლოთ“ ღვთაებას, მეორე ბნელმეტყველი ჯინსი თავის ახლახან სპეციალურად წაკითხულ ლექციაში „ავტრონომიური ჰორიზონტი“, ჩქარობს დაამტკიცოს, რომ სამყარო ბოლოვადია სივრცითაც და მასში შემავალ ყველა ნაწილაკთა რაოდენობა დაახლოებით უდრის რიცხვს 10⁷⁹. ასე შორს არ წასულა საშუალო საუკუნეების ბნელმეტყველება!

ცოტა ბელეტრისტულ, მაგრამ გულღია ფორმით ადასტურებს ლენინის გენიალურ წინასწარმეტყველებას ბურჟუაზიული ფიზიკის შესახებ მებრძოლი მისტიკოსი ედინგტონი: „ჩვენი შეხედულება გარე სამყაროზე გარდუვალად უნდა შეიცავდეს უცნობ აქტორებს, რომლებიც ასრულებენ უცნობ ფუნქციებს, როგორ შეგვიძლია ჩვენ ასეთ შემთხვევაში საერთოდ მივაღწიოთ შე-

მეცნებას? ჩვენ უნდა მივისწრაფოდეთ მხოლოდ ისეთ შემეცნებისაკენ, რომელიც არ არის შემეცნება არც აქტიორებისა, არც მათი მოქმედებისა, არამედ მხოლოდ ისეთი ფენომენების შემეცნებაა, რომელთა მამოძრავებელ პრინციპებს შეადგენენ აქტიორები და მათი მოქმედებანი. შემეცნება, რომლის მიღწევა ჩვენ ძალგვიძს, არის სტრუქტურის ანუ მოდელის შემეცნება".

აღსანიშნავია აგრეთვე თანამედროვე ბუნებისმეტყველების დიალექტიკური პრობლემატიკის ფორმალურ-ლოგიკური გადაწყვეტის ცდები მაგალითისთვის მივუთითებ „ლოგიკური პოზიტივისტების" ცდაზე გაამარტივონ წინააღმდეგობრივი, ერთ და იმავე დროს ტალღობრივი და კორპუსკულარული წყობა ელექტრონისა მისი დაქვემდებარებით ფორმალურ-ლოგიკურ იგივეობისა და წინააღმდეგობის კანონებისათვის, თითქოს ელექტრონი ხან ტალღად უნდა წარმოვიდგინოთ და ხან კორპუსკულად.

რაც შეეხება ლენინის მიერ მაშინვე შენიშნულ ტენდენციას ბუნებისმეტყველების მათემატიზაციისაკენ, დღეს უკვე იგი ტენდენცია კი არა, თითქმის მთავარი პრინციპია ბურჟუაზიულ ბუნებისმეტყველებაში. ამისი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია იმავე ჯინსის მიერ დეკლარირებული „მათემატიკურ არსებათა სამყარო".

გასული საუკუნის დამლევის და მიმდინარე საუკუნის დასაწყისის აშკარა შემეცნებისთეორიულმა იდეალიზმმა უკეთესი შენიღბისათვის თავი მოინათლა „შემეცნებისთეორიულ რეალიზმად", რომლის აზრი ისაა, რომ ერთადერთ რეალობად აღიარებულია ჩვენი ცნობიერების უშუალო ფაქტები და ისიც ლოგიზირებულ, ე. ი. ფორმალურ-ლოგიკურ კანონებს დამორჩილებულ. ფორმაში. მატერიალიზმი უარყოფილია ვითომ როგორც „მეტაფიზიკური რეალიზმი". ხოლო თვალის ასახვევად „მეტაფიზიკურ რეალიზმადაა" გამოცხადებული ობიექტური იდეალიზმიც, — რომელიც რაღაც რეალობას უშვებს ჩვენი შეგრძნობების იქით.

სიმბოლიზმი, რომელიც ლენინის „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში" გამანადგურებელ კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა, ბურჟუაზიულ ქვეყნებში დღეს გაიშალა მთელ სისტემად ე. წ. „სემანტიკური იდეალიზმის" სახით, რომელიც თავის მხრივ ლოგიკური პოზიტივიზმის საფუძველია. როგორც ცნობილია, „სემანტიკური იდეალიზმი" განიხილავს მეტყველების ელემენტებს მხოლოდ როგორც ფორმალურ ნიშნებს, და უარყოფს მის ყოველგვარ ობიექტურ შინაარსს. სიტყვების მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა, მათი ა ზ რ ი შეტანილიაო თვით სუბიექტის მიერ, მაშასადამე, სიტყვები კი არ ნ ი შ ნ ა ვ ე ნ რამეს, არამედ ისინი უბრალო სიმბოლოები არიან, რომელთა მხოლოდ ფ ო რ მ ა ლ უ რ ი სტრუქტურა უნდა აინტერესებდეს მეცნიერებას. ამ „ფილოსოფიის" მიზანი ცხადია: გადააქციოს მეცნირება წმინდა სიმბოლიკად, ყოველგვარ შინაარსს მოკლებულ ფორმალურ სტრუქტურად, რათა ამით ის ყოველგვარ „ემპირიულ რეალობაზე", ე. ი. სინამდვილეზე „მაღლა" დააყენოს.

მათემატიკის, ლინგვისტიკის, ლოგიკის და სხვ. სიმბოლიზაციისაკენ მისწრაფებაში თავს იჩენს ძველთაძველი კასტიურობის პრინციპი, „მეცნიერების" მხოლოდ „რჩეულ" მარტოხელათა ხელობად გადაქცევის ცდა. ამ ცდას „ეხმაურება" გონებამანჭიობა ბურჟუაზიულ ხელოვნებაში და ლიტერატურაში, მათი კარიკატურამდე დაყვანა მასებისა და მათი ინტერესებისაგან მოწყვეტის მიზნით.

იმ დარგშიც კი, სადაც ბურჟუაზია ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ა ნამდვილი მეცნიერული აღმოჩენებისკენ ისწრაფვოდეს, განსაკუთრებით ომის ტექნიკის, ნგრევის საშუალებათა გამოგონების სფეროში,

იგი თავისი „დიპლომირებული ლაქიების“ პირით აცხადებს, რომ ეს აღმოჩენანი გამოუსადეგარია მშვიდობიანი მიზნებისათვის. თანამედროვე ბურჟუაზიული მეცნიერების კაცთმოძულებითი ხასიათის ყველაზე აღმაშფოთებელი მაგალითია შინაატომური ენერგიის პრობლემა. აი, „პროგნოზი“ ერთერთი ამერიკელი ფიზიკოსისა, რომელიც, როგორც მისი წერილიდან ჩანს, ახლოს უნდა იდგეს ატომური ყუმბარის აღმოჩენასთან და მისი წარმოების ორგანიზაციასთან. იძლევა რა შინაატომური ენერგიის გარეგნულ აღწერილობას „მკითხველთა ფართო წრისათვის“, და ჩერდება რა საკითხის „ეფექტურ“ მხარეზე, თუ რა საშინელი ნგრევა შეუძლია ატომურ ყუმბარას (რაც შემადგენელი ნაწილია ამერიკული იმპერიალისტური პროპაგანდისა მშვიდობისმოყვარე ხალხთა დაშინების მიზნით), ავტორი ასკვნის: „იქნებ ჩემგან ელიან, რომ მე დავხატავ მომავლის ვარდისეულ სურათს ატომური ენერგიით, როგორც საერთოდ ენერგიის წყაროთი; ავტომობილებით, გათბობის სისტემით და ფაბრიკებით, რომლებიც მოძრაობაში მოყავთ ურანის დანადგარებს, მოკლედ სურათს სიუხვის საუკუნისა, რაც უნდა ემყარებოდეს ატომურ ძალას. ამას მე არ ვაკეთებ, უკეთ რომ ვთქვა, ამას მე ვერ გავაკეთებ. თუ დაჟინებით მომთხოვეს, ვიტყვი, რომ ამ ასპექტში არსებულ სპეკულაციიდან ბევრი რამ საერთოდ შეუძლებელია, რადგან არ ეთანხმება თვით ბუნების ფაქტებს“ (იხ. S.Manley'ს წერილი ამერიკულ ჟურნალში „lhe Scientific monthly“ 1948 წ. იანვარი, გვ. 51). ასე მსჯელობს ეს „მოუსყიდველი“ და „უანგარო“ მეცნიერი, უერთებს რა ხმას კენონის კანიბალურ ღრიალს კვაზი-მეცნიერული ტენორით.

პირველი შეხედვით ძნელი ასახსნელია, თუ როგორაა შესაძლებელი ექსპერიმენტური ბუნებისმეტყველების პროგრესი ბურჟუაზიული წყობისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის ლუბბისა და გახრწნის პროცესში; ნამდვილად კი ეს ერთ-ერთი გამოვლენაა კაპიტალისტური სისტემის გადუწყვეტელი შინაგანი წინააღმდეგობისა, რომელნიც უკიდურესად მწვავდებიან იმპერიალიზმის დროს. ლენინი და სტალინი არაერთხელ აღნიშნავდნენ ხაზგასმით, რომ კაპიტალიზმი მოკვდება არა თავისთავად, არა სტიქიურად, ის დამხობილი უნდა იქნას პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლით. განწირული იმპერიალისტური ბურჟუაზია გულდამშვიდებით როდი ელის თავის დაღუპვას, ის გაცოფებით იბრძვის თავისი არსებობის გახანგრძლივებისთვის, ღებულობს ყოველგვარ ზომებს, რომელნიც ნიშნავენ ყოველმხრივ შეტევას მშრომელთა ინტერესებზე. მას არ შეუძლია ხელი აიღოს სრულიად მეცნიერების განვითარებაზე, რადგანაც მასში ეძებს ბრძოლის უკეთეს საშუალებებს როგორც თავისი „შინაური“ მტრების — მშრომელების წინააღმდეგ, ისე „საგარეო“ მტრების იმპერიალისტურ მოქიშპეთა წინააღმდეგ. მაშასადამე, საბჭოთა მეცნიერების ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ხელაღებით უარყოს მეცნიერებათ ფაქტიური, ექსპერიმენტური მიღწევანი ბურჟუაზიულ სამყაროში, არამედ მათი სწორ ინტერპრეტირებაში მარქსისტულ ლენინური მსოფლმხედველობა-მეთოდის საფუძველზე. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საბჭოთა მეცნიერებამ უკრიტიკოდ მიიღონ ბურჟუაზიულ მეცნიერებათა თუნდაც ექსპერიმენტური მიღწევებიც, რომელნიც მოითხოვენ მკაცრ შემოწმებას, ვინაიდან მეცნიერების ფაქტიური მხარეც ყოველთვის განიცდის მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის გავლენას.[1]

[1] ზემოთაღნიშნული თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მეცნიერებამ არ იცის ის მკვეთრი გათიშვა ე. წ. გამოყენებითი მეცნიერებებსა და თეორიულ მეცნიერებებს შო-

ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ იყო და რჩება საუკეთესო იარაღი მეცნიერებაში იდეალიზმისა და ბნელმეტყველების შემოჭრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენი ქვეყნის მეცნიერთა ამოცანას შეადგენს არა მხოლოდ ღრმა შესწავლა ამ წიგნისა, არამედ ყოველმხრივი დახმარება უცხოელ მოწინავე მეცნიერთათვის მისი ძირითადი პრინციპების შეთვისებაში, ვინაიდან უცხოელ მეცნიერთათვის ეს არაა ადვილი ამოცანა მათზე ბურჟუაზიული იდეოლოგიის სისტემატური და ორგანიზებული ზემოქმედების გამო.

ამავე დროს „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ არის ბრძოლის საუკეთესო იარაღი ყველა თანამედროვე „მოდური“ ბურჟუაზიული ფილოსოფიის, კერძოდ პრაგმატიზმის, მებრძოლი ამერიკული ემპირიალიზმის ამ მთავარი ფილოსოფიური იარაღის, წინააღმდეგ.

„მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ დიადმა იდეებმა ჰპოვეს შემდგომი განვითარება ი. ბ. სტალინის ფილოსოფიურ შრომებში. მისი კლასიკური შრომა „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ წარმოადგენს ბრწყინვალე შესრულებას იმ ამოცანისა, რომელსაც თავის დროზე ისახავდნენ მარქსი და ლენინი — ღრმა, სისტემატური და შეკუმშული გარკვევა-დალაგება დიალექტიკური მატერიალისტური მსოფლმხედველობის არსისა, კერძოთ მატერიალისტური დიალექტიკის თეორიისა, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე მეცნიერების და საკაცობრიო პრაქტიკის ყველა მიღწევას და წარმოადგენს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის მწვერვალს.

შეიარაღებულნი მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის დიადი მოძღვრებით, საბჭოთა ინტელიგენციის კადრები წარმატებით ასრულებენ დიდი სტალინის მიერ მათ წინაშე დასმულ ამოცანას: დავეწიოთ და გავუსწროთ უცხოური მეცნიერების მიღწევებს.

კაპიტალისტური გარემოცვის წინააღმდეგ ბრძოლაში იდეოლოგიური იარაღი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, რომლის გამოქვეყნების ორმოცი წლისთავს აღნიშნავს ჩვენი ქვეყანა და მთელი მსოფლიოს პროგრესული ინტელიგენცია, რჩება მარქსიზმ-ლენინიზმის არსენალში მარად ჟანგმიუკარებელ, მარად მკვეთრ და მტრის გაძგმირავ იარაღად.

რის, რაც დამახასიათებელია ბურჟუაზიული მეცნიერებისთვის. საწარმოო პრაქტიკისა და განსაკუთრებით საომარი ტექნიკის მოთხოვნილებანი აიძულებენ ბურჟუაზიას სდიოს ახალ მეცნიერულ აღმოჩენებს, ხოლო ამ სფეროში ბურჟუაზიული მეცნიერები უნებლიედ ემყარებიან მატერიალიზმს. მაგრამ კლასობრივი, იდეოლოგიური მოთხოვნილებანი აიძულებენ მათ თეორიულ განზოგადოების სფეროში უარჰყონ ის, რითაც ხელმძღვანელობენ ექსპერიმენტურ კვლევა-ძიებაში. ეს მოვლენა კერძო გამოხატულებაა თეორიისა და პრაქტიკის იმ პრინციპული გათიშვისა, რაც დამახასიათებელია ექსპლოატატორული კლასებისათვის, იმ დროს, როცა თეორიისა და პრაქტიკის ურღვევი ერთიანობა საბჭოთა სინამდვილისა და საბჭოთა მეცნიერების ერთ-ერთი დედაბოძია. ამ ერთიანობის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს საბჭოთა მიჩურინული ბიოლოგია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

★

ნინო აბაშიძის მოთხრობები

★

ნინო აბაშიძემ 1947 წელს ჟურ. „მნათობის“ № 4-ის ფურცლებზე დაბეჭდა თავისი პირველი პროზაული ნაწარმოები — ისტორიული მოთხრობა „ალაზნის პირას“.

პირველი შეხედვით, შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს ის ფაქტი, რომ საბჭოთა მწერალი თავის პირველ ლიტერატურულ გამოსვლაში საბჭოთა სინამდვილეს კი არ შეეხო, არამედ საქართველოს მდიდარ ისტორიულ წარსულს. სოფელ ვეჯინში ახლაც ამაყად სდგას ის ციხე-კოშკი, სადაც იოანე აბაშიძემ თავისი ქალიშვილის ქორწილი გადაიხადა. ბავშვობიდან ნინო აბაშიძის მეხსიერებაში ჩანერგილი გადმოცემები, ნაამბობები, საკუთარი შთაბეჭდილებანი იმდენად მოზღვავებული იყო, რომ მწერალს არ შეეძლო ამ ისტორიულ ამბებისათვის თავისებური ლიტერატურული ხარკი არ გადაეხადა.

მაგრამ ნინო აბაშიძის მოთხრობაში ეს ამბები სათანადო ობიექტივიზაციას ღებულობენ და ნაწარმოებს თავისთავად ეძლევა გარკვეული იდეურ-ესტეტიკური ღირებულება. და სწორედ ამ უკანასკნელ ფაქტორში მდგომარეობს ნინო აბაშიძის პირველი ლიტერატურული გამოსვლის უდავო წარმატება.

ისტორიული მოთხრობა „ალაზნის პირას“ სრულიადაც არ წარმოადგენს წარსულის უსულო სტილიზაციას, არც მის ბრმა იდეალიზაციას. არა, მწერალი ისტორიულ ამბებს საბჭოთა ისტორიული მეცნიერების თანამედროვე მიღწევების თვალთახედვით გვიხატავს, წარსულის მასალას ახლანდელი საპირბოროტო საკითხების შუქით ანათებს და ამით მათ გარკვეულ აქტუალობას ანიჭებს.

მოთხრობის მთავარი მოქმედი პირი — ლევან ბატონიშვილი, რომელიც გარდაიცვალა 1781 წელს, მეტად განათლებული, ჭკვიანი და თავისი მამის ერეკლე მეორის პროგრესული საშინაო და საგარეო პოლიტიკის ერთგული გამტარებელი იყო. ამ პოლიტიკის ერთ-ერთი გამოხატულება იყო — 1773 წელს, ეგრედწოდებული „მორიგე ჯარის“ დაარსება ქართლ-კახეთში. ამ „მორიგე ჯარის“ სულისჩამდგმელი და მთავარი ხელმძღვანელი ლევან ბატონიშვილი იყო. მოთხრობის სუქეტი სწორედ ამ „მორიგე ჯარის“ ამბებზეა გაშლილი, თუ რა ფარულ ან აშკარა წინააღმდეგობას უწევდა ამ ჯარის განმტკიცებას ქართლ-კახეთის ფეოდალების რეაქციული ჯგუფი, რის შედეგადაც უდროოდ დაიღუპა მისი ხელმძღვანელი ლევან ბატონიშვილი.

აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით გამოსული საქართველოს ისტორიის ცნობილ სახელმძღვანელოში ამ ამბების ამომწურავი სოციალ-პოლიტიკური დახასიათება არის მოცემული: „მორიგე ლაშქრის მიზანშეწონილობა, მისი დიდი სარგებლიანობა ჩქარა აშკარა შეიქნა, ლეკებს თარეში სავსებით შეწყდა; ქვეყანა ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდა, მიტოვებული სოფლები ისევ მოშენდა, გლეხებმა ციხე-გალავნები დასტოვეს, მინდვრად გავიდნენ და მშვიდობიან სოფლის მეურნეობას შეუდგნენ. მორიგე ლაშქრის მთავარი ხელმძღვანელი ერეკლეს ვაჟი ლევან ბატონიშვილი იყო. ამ ახალი ლაშქრის ასეთი სარგებლიანობის მიუხედავად თავადებმა მას შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს. მორიგე ჯარი მეფის ხელისუფლებას აძლიერებდა, ეს კი თავადებისათვის არ იყო სასურველი“ (გვ. 358).

მოთხრობის მეორე თავში ავტორს შესანიშნავად აქვს დახატული თელავის სასახლეში გამართული დარბაზობა. დამსწრეთ აინტერესებთ, თუ რას იტყოდა რუსეთიდან დაბრუნებული ლევან ბატონიშვილი რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულებისა და „მორიგე ჯარის“ შესახებ. ავტორს აქ გამოყვანილი ჰყავს მთელი გალერეა „რეგულის“ (მორიგე ჯარის) შემოღების მოწინააღმდეგე თავადებისა: კაკო ჩოლოყაშვილი, რომელიც უკმაყოფილოდ გაიძახის: „თუ ჩემს ფეხშიშველ ყმას გვერდით არ

მოვუდექი, ისე ხმლის მოქნევა დამვიწყებია! ყმას გვერდით ედგა, ეგ კიდევ, ვთქვათ არა უშავს რა, ყმაწვილო, — ეუბნება იგი მდივანბეგ ქობულაშვილს, — მაგრამ იმათ საყლაპავ ულუფას ჩემი ბეღლები რომ უნდა იხდიდნენ, ეს კი საკვირველიაო!" ბეჟან არაგვის ერისთავი, ქაზიყის მოურავი რევაზ ანდრონიკაშვილი, შერმაზან აფხაზი — ყველა ესენი „რეგულის" შემოღების დიდი წინააღმდეგები არიან. „ბატონიშვილო, მაშინ უნდა დასწვათ ჩვენი სიგელ-გუჯრები, ჩამოგვართვათ ყმა და მამული! — გაისმა შერმაზანის ხმაც. მოურავს მომსხო ბაგეზე ბოროტი ღიმილი გადაეჭიმა, წინ წამოვიდა—„ამდენ ომ-გადახდილებს, ბატონიშვილო, რეგულის განჩინება ბოგანო გლეხებთან გვათანასწორებს! თქვენ უწყით, რომ ბრძოლებისაგან თვალებზე რული არ გვეკარება და, აი ამის სამაგიეროდ მეფე ბეგარას გვახდევინებს! — კაცნიერებით განაგრძობდა მოურავი." მაგრამ ფეოდალების ამ რეაქციულმა ჯგუფმა ვერ გაიტანა თავისი, და როდესაც დაისვა საკითხი, თუ „რით უნდა დავაცხროთ უზარმაზარი ოსმალეთი და აღვირახსნილი ლეკებიო", ლევან ბატონიშვილი უყოყმანოდ უპასუხებს: „ჩვენი ახალი ლაშქრით, ჩვენი რეგულით!"

„მორიგე ჯარის სარგებლიანობა" ავტორს ორი ბრძოლის ჩვენებით აქვს ილუსტრირებული. ზომიერების ტაქტით, ზუსტი საღებავებით და ლაკონიურად აგვიწერს ავტორი ბრძოლას ლეკებთან გირევის ჭალაში და ანდარეზ საგინაშვილის შებრძოლებას ლეკთან ალაზნის წყალში: „წყლის კალაპოტში შესულმა ბედაურებმა კისრები გადარაზეს, მაგრამ მეომრების შუბებმა უკუ აქციეს. ფარხმალის ხმა, წყლის ღრიალი, ლაშქრის გმინვა დიდხანს ისმოდა. დიდხანს ებრძოდა ალაზანიც ურჩ მეომრებს. საგინაშვილის მარჯვედ მოქნეულმა ხმალმა ლეკი ცხენზე შეაბარბაცა. კიდევ ერთხელ... და გაგიეებულმა ალაზნის ტალღამ მტრის უმხედრო ცხენს შიშველ ზურგზე გადაურბინა".

ასევე, პლასტიკური ხელოვნების სიძლიერით, ავტორი გვიხატავს მეორე ბატალურ სურათს: ბრძოლას ჭიაურის ტყეში კოჭლი რაჟბადინის მეთაურობით წამოსულ ლეკებთან. მტერი აქ უფრო ძლიერი აღმოჩნდა. მაგრამ სიღნაღიდან ჩამოტანილმა ზარბაზანმა უშველა მორიგე ლაშქარს. რაჟბადინი ტყვედ დანებდა და მეომრებმა „სტამბოლიდან ლეკებისათვის ქართველების დასარბევად გამოგზავნილი იარაღს კრეფა დაუწყეს".

დიდი პატრიოტული სულით არის გამთბარი საგინაშვილის გაბაასება ალაზანთან, ჭიაურის ტყეში მომხდარი ბრძოლის შემდეგ: „ალაზანო, შენს დინებას ვენაცვალე! ისევ ლურჯი ხარ, მტერმა ჩვენი სისხლით ვერ შეგღება, ვერა!" და ამ თქმაში მთელი ქართველი ხალხის სულისკვეთება არის გამოხატული.

მორიგე ჯარის ამ ორი გამარჯვების გამო, ლეკების თარეში სავსებით შეწყდა. ქართლ-კახეთში გლეხები მინდვრად გავიდნენ და მშვიდობიან სოფლის მეურნეობას შეუდგნენ ხელახლა. შესანიშნავად აქვს ავტორს დახატული ამ მშვიდობიანი ცხოვრების ერთ-ერთი სურათი ივრის ხეობაში:

„ხაშმს გადახედეს. ახლადნაშენი სახლები გამოჩნდნენ. ნავენახარი, ვერნადქცეული ადგილები აღედგინათ, ისევ ვაზი ჩაერგოთ. ხალხი ვენახებში ფუსფუსებდა. ყველა გრძნობდა, თუ რა მშვიდობა მიენიჭებინა ხალხისათვის მორიგე ლაშქარს. საამაყოდ უმზერდნენ მეომრები თავიანთი მარჯვენის ნაყოფს!" მაგრამ ფეოდალები მაინც არ ცხრებიან. დავით ქსნის ერისთავის მაგალითზე ავტორი ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ფეოდალურმა აშლილობამ სახელმწიფოს მთლიანობას. ერეკლე მეორე ეუბნება თავის ვაჟს ლევან ბატონიშვილს: „შვილო, თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდე ლაშქრის ყველა კაცს, საიდუმლოდ და სარწმუნოდ შემატყობინეს, რომ ქსნის ერისთავი განგვდგომია და ლეკ-ოსმალებს გაერთგულებიაო". ლევან ბატონიშვილი თავის რაზმით მიდის ურჩი და მოღალატე ერისთავის დასასჯელად. კარგად არის დახატული მეფე ერეკლეს თბილისის სასახლეში ქსნის ერისთავის დანაშაულის განსჯის სცენა. ეპაპუა ორბელიანი მოითხოვს: „მუხას შტოს ჩამოცლა არარას ავნებს, მეფეო, ახალ ნერგზე კვლავ იშვება ყლორტები მოღალატეთა. მოთხარე ძირში ბებერი მუხა, განაქარვე საერისთაო, ნუ ჰყოვნი, მეფეო!" — ასეთ რჩევას იძლევა მეფის ერთგული კაცი. და მეფე ბრძანებს საერისთაოს გაუქმებას.

მოთხრობის მეცხრე თავში, ავტორი დამაჯერებლად აქარწყლებს იმ რეაქციულ თეორიას, თითქოს ძველ საქართველოში ბატონი და გლეხი მამაშვილურად ცხოვრობდნენო. როდესაც დავით ქსნის ერისთავმა თავის მამულში, ახალგორში, გამაგრებულმა, გალავნის ბურჯს ნიშანი მისცა, რომ ესროლეთ ლევან ბატონიშვილის რაზმსო, რომელიც ახალვაზრდა მუხრანელი და ქსნელი გლეხებისაგან შესდგებოდა, „მეციხოვნეებმა აწეული თოფები ძირს დაუშვეს... „ჩვენი ბიჭები არიანო!" და ლევანის ლაშქარმა თავისუფლად გამოიარა ორ მხრივ გამაგრებულ შესავალში. დამარცხება იგრძნო ერისთავმა. „ლევანს ღვარძლიანი თვალები დაუმიზნა". ხალხის შვილი, თუში ციხეკო დილოიძე შენიშნავს, რომ „ისეთი თვალები, როგორც ერისთავსა ჰქონდა, როცა განჩინებას ხელს აწერდა, მართლაც რომ მტკვარსაც კი აამღვრევსო". და, შემდეგ, მოთხრობაში ფეოდა-

ლის ეს „ღვარძლიანი თვალები“ განზოგადების ძალას ღებულობენ. ბოლო თავში, როდესაც მოწამლული ლევანი კვდება ვეჯინში, ავტორი ლევან ბატონიშვილის და ანდარეზ საგინაშვილის დიალოგში გასაოცარი დამაჯერებლობით ხსნის ლევანის სიკვდილის ნამდვილ მიზეზს: „ჰო, ანდარეზ! ეს ორაგულის მიზეზი არ არის... სხვაა... ანდარეზ!—სუსტი ხმით მიმართა ბატონიშვილმა. ანდარეზ ლევანის საწოლთან ჩაიკეცა. — მიბრძანე! გამაგებინე, შენი კვნესამე, ბატონიშვილო, მაშ რა არის, რამაც ასე შეგაშფოთა? — აი, იმ თვალებმა, ანდარეზ, აი იმ თვალებმა.. — სად არიან, სად, ბატონიშვილო, ეგ თვალები? — ისინი ყველგან არიან... ქართლში, კახეთში... ჩემს სიკბუკეს აედევნენ... აჰა, ბოლო მომიღეს, ანდარეზ“.. რამდენიმე ვერსია არსებობს ბატონიშვილის სიკვდილის შესახებ. ავტორმა ორაგულით მოწამვლის ვერსია აიღო, მაგრამ ზემოთმოყვანილი დიალოგი ნათლად გვიჩვენებს, თუ ვინ იყვნენ ლევანის ნამდვილი მკვლელები. მოღალატე ფეოდალები „ყველგან არიან... ქართლში, კახეთში“, მათ დაღუპვის გზას დააყენეს საქართველო, მაგრამ ავტორის დამსახურება იმაშია, რომ მოთხრობის მთელი სუქეტით მას იმ დასკვნამდე მიჰყავს მკითხველი, რომ ერთადერთი გამოსავალი რუსეთთან დაახლოვებაშია. „ამიტომ მწადდა ჩრდილოეთთან კავშირი და მეგობრობა“, ეუბნება ერეკლე მეორე ლევან ბატონიშვილს, რადგან ბრძენი მეფე ხედავდა, რომ შაჰის სპარსეთთან და სულთანის ოსმალეთთან შედარებით ეს „მაინც უმცირესი ბოროტება იყო“ საქართველოსათვის.

მოთხრობა „ალაზნის პირას“ ერთი მთლიანი სუქეტით არის მაგრად შეკრული. ავტორს რეალისტურად, მაღალ მხატვრულ ფორმაში აქვს წარმოდგენილი საქართველოს წარსულის ერთ-ერთი ეპიზოდი. ადამიანის და ბუნების დახატვაში ავტორი განსაცვიფრებელ პლასტიკურ ნიჭს ამჟღავნებს. საკმარისია რამდენიმე მაგალითის მოყვანა, რომ დავრწმუნდეთ ამაში. „მეწინავეთა ცხენები ველზე ლარივით გაიჭიმნენ და ისე გაწურეს გრძელი ტანები, თითქოს მიწას უნდა გაეკვრნენო“, „ნაშფოთ-ნაომარ გულებიდან ცხელ ტყვიასავით ზუზუნით მოდიოდა შეკითხვები“, „ივანაურს თვალები გაუნათლდა, წვერ-ულვაშში ჩაფლულ სახეზე სიამის შუქმა გადაურბინა“, ან პეიზაჟის აღწერა: „მილეული მთვარე მკრთალად ანათებდა ჭიაურის ტყეს, მუხასა და რცხილას ხავსმოკიდებული ტოტები ძირს დაეხარათ. სიჩუმე იყო, აქაიქ შიშველ ხეებზე შემოხვეული უსურვაზები თუ შრიალებდნენ, ან შორიდან ავაზას ღრენა თუ მოისმოდა“, „მთაწმინდის ნიავმა გავარვარებული ტინის კედლებს შემოუქროლა, მაგრამ თბილისის გახურებული გული ვერ გააგრილა: თავქვე დაეშვა და მტკვრის სანაპიროებს სისინით გაჰყვა“, და სხვ.

მაგრამ, როგორი ოსტატობითაც არ უნდა იყოს დაწერილი ისტორიული მოთხრობა, საბჭოთა მწერლის მთავარი ამოცანა მაინც საბჭოთა სინამდვილის, დღევანდელი ჩვენი ცხოვრების აღწერაა. ამიტომ გასაგებია, რომ ისტორიულ თემაზე დაწერილი მოთხრობის შემდეგ, ნინო აბაშიძე მიმართავს თანამედროვე, საბჭოთა თემას და ზედიზედ აქვეყნებს ორ ახალ მოთხრობას: „დედა“ („მნათობი“ 1948 № 10) და „ჭრელი ბაღდადი“ („მნათობი“ 1949 № 6).

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ლევან ბატონიშვილის ლაშქარში ფშავ-ხევსურების რაზმები სამშობლოს იცავდნენ ვერაგი მტრისაგან. ახლა იმავე ადგილებზე ფშაველი ქალი მარიამ ქიტიაური, კოლექტივის წევრი, ცხენზე მჯდომი იორის სანაპიროზე გადის თავისი შვილის, სამგორის ინჟინრის—არჩილის სანახავად. და იქ, სადაც ლევან ბატონიშვილის ლაშქარი „ბოლნისიდან კახეთს მიდიოდა, დაღლილი ცხენები სამგორის ველზე ზლაზვნით ადგამდნენ მტვერიან ფეხებს, უწყლო, ტრიალ მინდორს თვალს უშტერებდნენ“. ახლა ამ სამგორის ველზე დიდი სახალხო მშენებლობაა გაჩაღებული. სამგორის სარწყავი სისტემა „აყვავებულ ბაღებად, ვენახებად და ბოსტნებად გადააქცევს სამი ათას შვიდას ჰექტარზე მეტ მიწას“. და დღევანდელი ხევსურების, ივანაურების ჯგუფი სამგორის მშენებლობაშიაც ღებულობს მონაწილეობას, რადგან სამგორი არა მარტო ერთი რომელიმე კუთხის, არამედ მთელი საქართველოს საგმირო საქმეა

ნინო აბაშიძის მეორე მოთხრობა „დედა“ სამგორის მშენებლობის მასალაზეა აგებული. მოთხრობაში სამგორის მშენებლობის პირველი პერიოდია ასახული. არჩილ ქიტიაური 32 წლის ინჟინერი, სამუშაოზე დილაადრიანად წამოსული, საგამოკვლევო ჯგუფის მუშაობას ათვალიერებს. ნახევარი კილომეტრის სიგრძის ჯებირს აშენებენ, რომ დიდი წყალსაცავი შექმნან. გადამხმარ, გაყამირებულ მიწას წყალი უნდა მიაწვდინონ და გაგიეებული იორი დაიმორჩილონ საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

შესანიშნავად აქვს ავტორს არჩილის სახე გამოკვეთილი. იგი ომგადახდილი, მრავალ ორდენებით დაჯილდოებული, ენერგიული და შრომისმოყვარე ფშაველი ინჟინერია, რომელიც ახლა ამოდენა დიდ საქმეს ხელმძღვანელობს. საინტერესოა ერთი სცენა სამგორში, როდესაც მარიამ ქიტიაური მიტინგზე იმყოფება. „ძაან ბიჭი გაგიზრდია, მარიამ, — უთხრა ყველაზე ხნიერმა კახელმა და მარიამს მოურიდებლად დაუწყო ცქერა. — როგორ ასწავლე ამდენი, რომ ასეთ დიდ საქმეს დასჭიდებია?“. ამაზე დედა უპასუხებს: „მე რაი ვიცოდი, გი-

ორგი, მისთვის რომ მესწავლებინა. მთავრობამ გამოზარდა, მე მარტო გარჯასა და პატიოსნებას ჩავჩიჩინებდი“.

ასეთია ეს ფშაველი ქალი, ინჟინერ არჩილის დედა. მას დიდი და მდიდარი ბიოგრაფია აქვს. მას შემდეგ, რაც იგი თედო ქიტიაურს გაჰყვა, მარიამი ყოველთვის ქმრის გვერდით იყო სამუშაოზე. ხან ყანას მარგლიდა, ხან ბოსტანსა სთოხნიდა. ზამთრის ღამეებში კი ბუხართან თითისტარის ბზრიალი და საჩეჩელის ხმა მოისმოდა. მარიამი ფარდაგებს ქსოვდა. 15 წელი გავიდა, რაც ქმარი მოუკვდა. „იმის შემდეგ კაციც და ქალიც ორივე მე ვარო“, ამბობდა ხოლმე მარიამი, „გული საგულიდან ამოვიგდეო“. მიწას მუხლები ღონივრად დააბჯინა, ცხოვრებას პირდაპირ თვალში ჩახედა. მარიამმა ოჯახი ჩაიბარა. მას შემდეგ ყველა ხედავდა შავებში ჩაცმული მაღალი ქალის ფიგურას, რომელიც თავის ვრცელ კარმიდამოს დასტრიალებდა და თოხით ხელში კოლექტივში მუშაობდა. თუ ვინმე სიბრალულით ეტყოდა რასმე, მარიამი წელში გასწორდებოდა და უპასუხებდა: „რადა ვარ მარტო, მეზობლები გაუყრელ ძმებივით გარს მახვევიანო“. დიაღ, მარიამმა კოლექტივში და თავის შვილში, მომავალ ინჟინერში, ჰპოვა თავისი ცხოვრების მიზანი და არსი. აი როგორ ახასიათებს თავის დედას არჩილი: „ბურის მოყვანაში შირაქელებს ედავება, ვაშლისა და მსხლის მოვლაშერჩევაში ბადალი არა ჰყავს, გულითა და ავკარგიანობით კი ნამდვილი ოთარაანთ ქვრივიაო“. მიტო კამარაული კი ასე ახასიათებს მას: „ფშაველი მოხუცი ქალი, რომელმაც ბევრი იცის, ბევრი გაეგება, კეთილი გული აქვს და შრომისაგან დაკოჟრებული ხელები“. ომის დროს ფრონტისათვის მატყლის წინდებს და ყელსახვევებს ამზადებდა. არჩილი რომ დაიჭრა, თბილისის ჰოსპიტალში მივიდა. „პირველად ხედავდა ტაჯიკის სახეს, ყირგიზის თვალებს, მაგრამ ყველასთან საჩუქრებით იხრებოდა. იცოდა, ესენიც შორიდან იყვნენ წამოსულები და მათი დედებიც, როგორც თვითონ. სიშორის გამო აქეთ ვერ მოდიოდნენო“.

მოთხრობის მესამე მოქმედი პირი—უსინათლო არტილერისტი მიტო კამარაულია. იგი ფშაველი მასწავლებლის შვილია, რომელიც ვეა-ფშაველას მეგობრობით ამაყობდა. ომში წასვლის წინ მოხუცი მამა, დამსახურებული მასწავლებელი, ასე ეუბნებოდა თავის შვილს არტილერისტს: „მტრის ღრიალმა როდი უნდა შეგაშინოს, იმის ბაკი-ბუქს პატარა რკინის გული მოერევაო“. ომში „ჩაუქრობლად გუგუნებდა მიტოს ქვემეხი და ბოლში შეხვეულ შავგრემან სახეზე წარბი არასოდეს არ ეხრებოდა“ ბუდა-ბეშტთან თვალები დაუზიანდა. ორივე თვალში სინათლე დაეკარგა. და ახლა მხოლოდ დაი თალიკო პატრონობს მას.

უნდა ითქვას, რომ დედის, არჩილისა და მიტოს სახეები ავტორს კარგად აქვს გამოკვეთილი. მეტადრე ეს ითქმის დედის შესახებ. მარიამ ქიტიაურის სახე — უდავოდ ავტორის მიღწევაა. მაგრამ, მაინც ისიც უნდა ითქვას, რომ ავტორს ეს სამი მოქმედი პირი უფრო სტატიურად აქვს გამოყვანილი, ვიდრე მოქმედებაში, დინამიკაში. მართალია, თვითეული მათგანი თავის საქმით არის გართული, მაგრამ მათ ერთმანეთთან დამოკიდებულებას ავტორი უფრო აღწერით გვიჩვენებს, ვიდრე მოქმედებაში. მოთხრობის სუჟეტიც კომპოზიციურად ვერ არის კარგათ აგებული, ეპიზოდები თანმიმდევრულად არ მისდევენ ერთმანეთს, და სუჟეტი უფრო ნახტომებით მიმდინარეობს. მაგალ., პირველი ეპიზოდის შემდეგ, (დედის მისვლა არჩილთან სამუშაოზე) მოთხრობილია მარიამის ისტორია, შემდეგ ისევ არჩილის ხაზი გრძელდება (შეხვედრა თალიკოსთან), მაგრამ აქვე წყდება და ავტორი კამარაულების ისტორიას მოგვითხრობს. დედა, რომელიც თითქოს მთავარი გმირი უნდა ყოფილიყო, გამოყვანილია მოთხრობის დასაწყისში, შემდეგ კამარაულების და არჩილის ისტორია არის მოთხრობილი, და მხოლოდ მოთხრობის ბოლოში გამოჩნდება ისევ. მარიამის სუჟეტი არ არის ბუნებრივად დაკავშირებული კამარაულების სუჟეტთან. ამიტომ არის, რომ მოთხრობის ფინალური სცენა, თუმცა მარიამის ხასიათიდან გამომდინარეობს, მაინც მოულოდნელად გვეჩვენება, რადგან სუჟეტით არ არის გამართლებული. მოთხრობას აკლია მთლიანობა, იგი ცალკეულ სურათებად, ხასიათებად, ეპიზოდებად ირღვევა.

ნინო აბაშიძეს უთუოდ მხატვრის თვალი აქვს. იგი რელიეფურად ხატავს ადამიანებს და საგნებს. საჭიროა მხოლოდ ამ ადამიანებისა და საგნების ცხოვრების პროცესში დანახვა, მოქმედების ჩვენება და არა აღწერა მარტო.

მოთხრობა „ჭრელი ბაღდადი“ საბჭოთა მწყემსების ცხოვრებას ეხება. ჩვენი სოფლის მეურნეობაში მეცხოველეობის განვითარება დიდ როლს თამაშობს. ცნობილ სარჭალს სანდრო ბერიკაშვილს და ახალგაზრდა მწყემს შაქრია იაგანაშვილს მეტად პასუხისმგებელი ამოცანა გადაუწყვეტიათ: თუშური ცხვრისაგან, რომელსაც მატყლი იმდენად უხეში და უვარგისი ჰქონდა, რომ მარტო ფარდაგები და ნაბდები ითელებოდა მისგან, ახლა ნაზ მატყლიან ყოჩებთან შეჯვარების შედეგად, ახალი ქართული ცხვარის ჯიში მიიღეს: გამძლეობა და ამტანობა თუშური ცხვარისა დარჩათ, ხორცს სასაამოვნო გემო არ დაუკარგავს, და რაც მთავარია ახალი, ნაზი მატყლი შეეძინათ.

მოთხრობა იწყება თავკვეთილას მთებთან თრიალეთის კალთებზე მწყემსების ბინების აღწერით. ნაადრევი სიცივე დადგა და მეცხვარეები წასვლის ნებართვას ელოდებიან. ზოოტექნიკოსს დათიკოს მოაქვს ეს ნებართვა. მწყემსები ბინებს აშლიან. ყველის გუდებს და მატყლის ბარდანებს მანქანებით ისტუმრებენ. ციგვომბორის საძოვრებზე მოეწყობიან. აქ ერთ-ერთ სოფელში შაქრია მოხსენებას აკეთებს ახალი ქართული ცხვარის ჯიშზე. ერთხელ მთიდან დაძრულ ნიაღვრის დროს ბერიკაშვილი თავის განწირვით ცხვარს დაღუპვისაგან გადაარჩენს.

ავტორს ეტყობა მწყემსების ცხოვრების კარგი ცოდნა. მოთხრობაში დახატულია საბჭოთა მეცხვარეობის შესანიშნავი ადამიანები: სანდრო ბერიკაშვილი, შაქრია, თუში ბაკურა და სხვები. მხატვრის თვალი არც აქ ღალატობს ავტორს. მთელი რიგი სიტუაციებისა ორიგინალურად არის დანახული. პატარა ბიჭი ოთარი ასე ელაპარაკება ყოჩს: „აბა, ჩემო პაპა, შენი ჯარი კარგად ატარე, — გაისმა ოთარის წკრიალა ხმა და ახმახი ყოჩის წინ ლურსმანივით დაერჭო. უზარმაზარ რქებზე ხელები მოუფათურა, მაგრამ ყოჩმა თავი მედიდურად შეარხია, ამით ოთარის ხელიც აიცდინა და დარიგებაც იუკადრისა“. შაქრია სატრფოს წასვლის შემდეგ გამოელაპარაკება თავის ძაღლს ბროლას: „მოგეწონა განა ის ქალი, ბროლა? ჩომ არ იწუნებ, თვალებს რას ნაბავ?.. პატარაა, ბროლავ, მაგრამ ჩემს წინ რომ ჩაივლის, იმისი ნიავი ამოდენა კაცს მაბარბაცებს. როგორ გავებით ჩიტივით მახეში დღეს მე და შენ“. ბუნების შვილის უშუალობა ავტორს შესანიშნავადა აქვს გადმოცემული.

მოთხრობაში ფერწერის სიძლიერით არის დახატული ბუნების სურათები „ხელისგულივით გადაშლილი მხარე, ალაზნის ველი, ვენახებში და ბაღებში ჩაფლული სოფლები, გაუტეხავი უღრანი ტყეები“, „თვალუწვდენელი საძოვრები თრიალეთის კალთებზე, სადაც გაშლილი ცხვარი ისე მოსჩანდა, თითქოს მწვანე ხავერდი თეთრ წერტილებს მოუჩითიათო“. კარგად არის დახატული ნიაღვრის [illegible] ბის სურათი, აგრეთვე თვითონ [illegible] როს მიერ ცხვრის გადარჩენა და სანდროს სიკვდილის სცენა. რაც შეეხება ჭრელი ბაღდადის ისტორიას, იგი უფრო თუში ბაკურას უფროსი ვაჟის ამბავთან არის დაკავშირებული, ვიდრე შაქრიასთან. ბაკურას ორი შვილი ჰყავდა და ორივე ომში დაეკარგა. დედამ უფროს შვილს ბაღდადი გაუგზავნა „ზედ შენი ქვეყნის მთა და ბარია ამოქარგული, რისთვისაც იბრძვიო. ჩემს მაგივრად ოფლი ამ ბაღდადმა მოგიმშრალოსო“. მაგრამ ბაღდადი უკან დაბრუნდა. და ეს ბაღდადი ახლა ბაკურამ შაქრიას აჩუქა: „აიღე ბიჭო, როცა პატიოსანმა ოფლმა სახე დაგინამოს, შენც მაგ ბაღდადით შეიმშრალეო“. თავისთავად კარგად მოფიქრებული ამბავი, სამწუხაროდ ავტორს არა აქვს სათანადოთ განვითარებული. ჭრელ ბაღდადს უმნიშვნელო ადგილი უკავია მოთხრობის მთელ სიუჟეტში, შესაძლებლობა კი იყო ეს ამბავი უფრო ვრცლად გაეშალა ავტორს

უნდა ითქვას, რომ „ჭრელი ბაღდადი“ უფრო შეკრული მოთხრობაა, ვიდრე „დედა“. მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ ავტორი აქაც უფრო აღწერას მისდევს, ვიდრე მოქმედების ჩვენებას. გარდა ნიაღვრის ამბისა, სუჟეტი მოკლებულია დინამიკას. ავტორმა ამ გარემოებას უნდა მიაქციოს მეტი ყურადღება.

მიუხედავად ამ ნაკლისა, რაც ორივე მოთხრობას ახასიათებს, თანამედროვე თემაზე დაწერილი მოთხრობები „დედა“ და „ჭრელი ბაღდადი“, თავისი იდეურ-მხატვრული ღირებულებით, თვალსაჩინო მოვლენას წარმოადგენენ ჩვენს საბჭოთა ქართულ პროზაში. ჩვენ არაფერს ვამბობთ აქ ისტორიულ მოთხრობაზე „ალაზნის პირას“, რომელიც თითქმის უნაკლოა. კარგი იქნებოდა ნინო აბაშიძის სამივე მოთხრობის ცალკე წიგნად გამოცემა, რათა უფრო ფართო მკითხველს მიეცეს საშუალება მათი გაცნობისა.

შალვა ალხაზიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქართული პოეზიის ანთოლოგია ინგლისურ ენაზე“

★

1948 წლის დამლევს ჩვენს მდიდარ, მრავალფეროვან საბჭოთა ლიტერატურას შეემატა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განძი, „ქართული პოეზიის ანთოლოგია ინგლისურ ენაზე“, რომელიც გამოსცა საქართველოს სახელგამმა. თარგმანი შესრულებულია ვენერა ურუშაძის მიერ.

აღნიშნული ანთოლოგია წარმოადგენს ჩვენი ნაციონალური კულტურის აყვავების თვალსაჩინო ნიმუშს. როგორც შესავალშივე ვკითხულობთ, იგი ასახავს ქართული პოეზიის განვითარების გზას საუკუნეების მანძილზე—რუსთველიდან დღემდე.

მიუხედავად ამ დიდი დიაპაზონისა, მთარგმნელმა ბრწყინვალედ გადასჭრა მის წინაშე დასმული ძნელი ამოცანა; უმეტეს ნაწილად მან ოსტატურად გადმოსცა თითოეული მწერლის ენისა და სტილის თავისებურებანი: ტექსტობრივად დაუახლოვა თარგმანი დედანს, დაიცვა პოეტურ გამოთქმათა სპეციფიკური კოლორიტი, ლექსიკის მრავალფეროვანება, ლექსის რიტმულ-ინტონაციური ქარგი. ამასთანავე ვ. ურუშაძემ სათანადო ზომიერებით გამოიყენა თარგმანში წმინდა ქართული რეალიები, როგორიცაა მაგალითად, ნაბადი, ჩოხა, დევი და სხვა. თითქმის ყველგან გადმოსცა ქართულ სახეთა თავისებურება, რის შედეგადაც ჩვენს პოეზიას უცხო ენაზე შეუნარჩუნა ორიგინალისათვის ნიშნეული ინდივიდუალური სახე.

ვ. ურუშაძის ენა ძარღვიანია, მეტყველი, ლექსიკურად მეტად მდიდარი. ხშირად ერთ და იგივე ცნება მას სამი ოთხი სინონიმითა აქვს გადმოცემული. (მაგ. ბრაზი — ire, anger, rage; ლამაზი: fair, loocly, pretty და სხვა). მთარგმნელის ლექსი ზედმიწევნით მელოდიურია. მას ახასიათებს ალიტერაციები და გარეგანი და შინაგანი რითმები. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ის გარემოება, რომ თარგმანში არც ერთი მხატვრული სახე არ არის ხელოვნური, ნაძალადევი, გარდა ამისა ფრაზის ინტონაცია სრულიად ბუნებრივია.

„ვეფხის-ტყაოსნიდან“ ანთოლოგიაში თარგმნილია ლირიკული ნაწყვეტები (ნესტან დარეჯანის წერილი ტარიელისადმი, ავთანდილის სიმღერა და სხვა). რა თქმა უნდა, ამ ფრაგმენტების მიხედვით მკითხველისათვის ძნელია იმსჯელოს მთელი პოემის ფილოსოფიურ სიღრმესა და მაღალმხატვრული ღირსების შესახებ, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანში მშვენივრადაა გადმოცემული რუსთაველის გმირების გრძნობათა აღმაფრენა. მისი პოეტურ სახეთა ჰიპერბოლურობა; დაცულია აგრეთვე ამ დიდი ოსტატისათვის დამახასიათებელი ამაღლებული პათოსი. მთარგმნელი ამ ეფექტს აღწევს ორი ხერხის საშუალებით: 1. მან ინგლისურად შეარჩია სათანადო ზომა—თოთხმეტმარცვლოვანი იამბიკური სტრიქონი, რომელიც საერთოდ, ინგლისური მეტრისათვის შედარებით დიდტანოვანია, ხოლო რუსთაველას ლექსს კი თარგმანში სათანადო პლასტიკურობას უნარჩუნებს; 2. მთარგმნელი მიმართავს თანამედროვე ინგლისურისათვის უკვე მოძველებულ სინტაქსურ წყობას და ცალკეულ გამოთქმებს (ინვერსიული წყობა წინადადებაში, მხოლობითი რიცხვის მეორე პირის ხმარება და სხვა), რომელიც ამჟამად მხოლოდ ინგლისურ კლასიკურ პოეზიაში-ღა გვხვდება.

კარგადაა შესრულებული თარგმანში ნაწყვეტი დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირიდან“. მკითხველს ცოცხლად წარმოუდგება თვალწინ მტრის მიერ არაერთგზის დარბეული საქართველო, იგი იგრძნობს ქართველთა თავდადებულ სიყვარულს სამშობლოსადმი.

გრიგოლ ორბელიანი ანთოლოგიაში წარმოდგენილია ორი, სხვადასხვა ჟანრის ლექსით. პირველია „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, და მეორე — მუხამბაზი „გინდ მეძინოს“. მიუხედავად ჟანრის ამ სხვადასხვაობისა, მთარგმნელმა ორივეს თავისებურება სწორად გამოხატა ინგლისურში. პირველ ლექსში საუცხოოდაა დაცული ორიგინალის ნარნარი მელოდია: „მიხარის გიმზერ — „In joy I gaze. ვწუხვარ და გიმზერ — In grief I gaze“...

მუხამბაზის თარგმანში, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ენის ბუნებრივი წყობა არ არის დარღვეული, მკაფიოდ იგრძნობა ქართული კილო. მთარგმნელი ამ ეფექტს აღწევს იმით, რომ სტრიქონებს ალაგებს დედნის წყობისდა მიხედვით. პოეტურ სახეებსაც შენარჩუნებული აქვთ სპეციფიკური, ქართული ელფერი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს ანთოლოგიაში ვრცელი ადგილი უჭირავთ. ვ. ურუშაძის თარგმანში გადმოცემულია დიდი პოეტის მომაჯადოებელი ლირიზმი. მისი გასაუბრება ბუნებასთან, მკითხველს იზიდავს გრძნობათა უშუალობით, ინტელექტუალური სიღრმითა და დახვეწილი ფორმით („ფიქრი მტკვრის პირას“).

ყვარელის ნაზი ფერებითაა შესრულებული „შემოღამება მთაწმინდაზე“.

სრულიად სხვა რიტმითაა შესრულებული „მერანი“. ამ ლექსის რიტმი დინამიკურია, ენერგიული. პოეტი მშვიდად აღარ ესაუბრება ბუნებას, არამედ ფიქრთა ქარიშხალში გახვეული, ჯერ კიდევ ადამიანის მიერ გაუთელავ გზაზე მიაჭენებს ფაფარაშლილ მერანს; აქაც ბედი ყორნის სახით უკან მისჩხავის პოეტს. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ თარგმანში არ არის დაცული მეტრის შეცვლა (14/20 მარცვ.), როგორც ამას ორიგინალში ვამჩნევთ, რის გამოც დედანთან შედარებით ლექსი ნაწილობრივ მონოტონურ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე.

რვამარცვლოვანი იამბიკური ზომითაა შესრულებული თარგმანში დიდი ილიას პატრიოტული ლირიკა. აღნიშნული ზომა კარგად გადმოგვცემს პოეტის ზომისათვის ნიშნეულ პლასტიკურობასა და აუჩქარებელ რიტმს.

„O Georgian mother! Thou gavest
T'home and land in days sons of yore,
The future braves were lulled to sléep
With lillabies and mountain lore“.
(„ქართლის დედა“).

ოსტატურადაა დაცული თარგმანში მხატვრულ სახეთა რეალიზმი. ამასთანავე მძლავრად იგრძნობა პოეტის დიდი სიყვარული სამშობლოსადმი, მისი ურყევი რწმენა საქართველოს ბედნიერ მომავლისადმი. პოეტს სჯერა, რომ ბაზალეთის ტბის ძირში იზრდება პირმშო, რომელიც წარმოადგენს...

„A nation's hope, whom Georgians all
In silent longing seek“.
(„ბაზალეთის ტბა“).

აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ თარგმანში ხაზგასმულია პატრიოტული მოტივი, გარდა ამისა, ნაწარმოების ეროვნულ სახეს მკითხველი ამოიცნობს ქართული სახეების საშუალებით, (მერცხლის ბუდესავით კლდეს შეფარებული ქოხი; ნაბად-მოსხმული მამაცი მთიული, რომელიც გვერდიდან არ იშორებს ერთგულ თოფსა და ხმალს; იასავით ნაზი, მაგრამ სულით ძტკიცე ქართველი ქალი; და ბოლოს თვით გამზრდელი, რომელიც სიცოცხლეს ესალმება მხოლოდ იმიტომ, რომ მან ვერ შეასრულა თავისი მორალური მოვალეობა — ვერ აღზარდა ნამდვილი ადამიანი).

გულთბილი ლირიზმითაა გამსჭვალული „სულიკოსა“ და „სალამურის“ თარგმანები. ვ. ურუშაძემ ინგლისურში მათ შეუნარჩუნა ის მელოდიურობა, რომლის წყალობითაც აღნიშნული ლექსები პოპულარულ სიმღერებად იქცნენ ჩვენს ხალხში.

რაფიელ ერისთავის „სესიას ფიქრების“ თარგმანში მკვეთრად მოისმის დაბეჩავებული გლეხის მწარე ჩივილი. მისთვის ცხოვრება უბედურებათა დახშულ წრეს წარმოადგენს, რადგან

„I plough, I sow, I labour on
With muscles srained in sun andrain“.

ორიგინალის შესატყვისად აქ მთარგმნელის ენა და სტილი სადაა, ინტონაცია გულწრფელი.

სათანადო პოეტურ ალღოს იჩენს მთარგმნელი ვაჟა-ფშაველას ბრწყინვალე ლირიკის უცხო ენაზე გადმოცემისას. თარგმანშიც ჩვენი დიდი პოეტის ჩანგი მედგრად მოუწოდებს ხალხს ბრძოლისაკენ, იქით, სადაც ბასრი ხმლები თვალსა სჭრის შიშით ზარდაცემულ მტერს.

ფშავი ჯარისკაცი ფიცს აძლევს დედას:

„Farewell! and weep not, for thy son
Will fell the foe or bravely die!“

მთარგმნელი სწორედ გადმოსცემს აგრეთვე ხალხურ სახეებს, რომელნიც ორგანულადაა ჩაქსოვილი ვაჟას შემოქმედებაში, ვ. ურუშაძე მეტყველი ენით გადმოგვცემს ბუნების სურათებს, რომელიც ოსტატურად დაგვიხატა ჩვენმა პოეტმა.

არა ნაკლებ მდიდრად და მრავალფეროვნადაა ანთოლოგიაში წარმოდგენილი ქართული საბჭოთა პოეზია. სადა, ნათელი და ამავე დროს მძლავრი მონუმენტურია ჩვენი პოეზია: თემატიკა აქტუალური, მხატვრული სახე პოეტურად განზოგადოებული, მაგრამ სრულიად რეალისტური, რიტმი დინამიური. ამ პოეზიის წყაროებს ხალხური ზეპირსიტყვაობა და ქართული კლასიკური მწერლობის საუკეთესო ნიმუშები კვებავენ. ამიტომ იგი ორგანულადაა დაკავშირებული მთელს ჩვენ ქართველ ხალხთან, უმღერის მის შემოქმედებით წინსვლას, მის შრომით გმირობას.

ვ. ურუშაძეს საბჭოთა ლექსის ფერწერა ისე ოსტატურად გადააქვს უცხო ენის ტილოზე, რომ თარგმანში იგი თითქმის არსად არ კარგავს დამახასიათებელ რელიეფურობასა და სიცხოველეს.

მთარგმნელმა ნათლად გვიჩვენა, თუ სამშობლოსადმი სიყვარული როგორ ასულდგმულებდა და დღესაც ასულდგმულებს ქართული ლექსის ბრწყინვალე ოსტატებს; მაგრამ ამასთანავე მან მკვეთრად გაუსვა ხაზი ამ პატრიოტიზმის ორ სახეს: თუ ჩვენი კლასიკოსი მწერლები თავის მშვენიერ, ასკერისა და ირანელის მიერ არაერთგზის დარბეულ სამშობლოს შვილებს ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ, საბჭოთა

მწერლები თავისუფალ საქართველოს შემოქმედებით აღმავლობას უმღერიან, ზეიმობენ მის მიღწევებს და მედგრად უკიჟინებენ კბილებდაღესილ ევროპა-ამერიკისა და კლანჭებდაცვეთილ თურქეთის „ლომს“. ამ მხრივ საილუსტრაციო მასალა კარგად არის შერჩეული ანთოლოგიაში.

თარგმანის მიხედვით ნათლად ჩანს, თუ როგორი დიდი სიყვარულით უმღერის საბჭოთა მწერლობა ჩვენს გამარჯვებათა ორგანიზატორს დიდ სტალინს, რომელიც მუდამ ხალხზე ზრუნავს...

„Our life, our welfare are his constant care
He never rests, but guards us day and night“.
(კოლაუ ნადირაძე—„სტალინს“).

სტალინს ხელთ უპყრია სიბრძნის ჩირაღდანი, რომლის გაქრობა არვის ძალუძს...

„No force can e'er supplant the light
Of Wisdom's torch held up by thee“.
(ალექსანდრე აბაშელი—„სიბრძნის ჩირაღდანი“).

ჩვენი მრავალეროვანი ხალხი ერთგულად დარაზმულა სტალინური დროშის ქვეშ, რომელიც თავისუფლებისა და სიმართლის სიმბოლოს წარმოადგენს...

„With the last drop of his blood
The Georgian for that flag will fight“.
(გრიგოლ აბაშიძე—„დროშები“).

კარგად არის გადმოცემული ჩვენი ხალხის მიხწრაფება თავისუფლებისაკენ—გალაქტიონ ტაბიძის ლექსში „დროშები ჩქარა“. თარგმანში უცვლელად არის გადმოტანილი გ. ტაბიძის ლექსის არქიტექტონიკა ენერგიული რეფრენით „დროშები ჩქარა“, რაც გვაგრძნობინებს პოეტის რევოლუციურ აღმაფრენას, მის მგზნებარე პათოსს.

გულთბილი ლირიზმითაა შესრულებული თარგმანში შემდეგი პატრიოტული ლექსები: ირაკლი აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე“, სიმონ ჩიქოვანის „ვინა სთქვა“, გიორგი ლეონიძის „ვუმღერ სამშობლოს“, ალიო მირცხულავის „საქართველო“, კარლო კალაძის „ცოცხალი ყვავილები“, ილო მოსაშვილის „ლომი ტყეში“ და სხვა.

ვ. ურუშაძე ამ ლექსებს უნარჩუნებს სპეციფიკურ, ქართულ კოლორიტს და ამავე დროს ახერხებს მათ უცხო ენაზე ამეტყველებას. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში არ გადმოსცემს ამა თუ იმ პოეტისათვის ნიშნეულ ინდივიდუალურ შტრიხს, რის გამოც ინგლისურად ეს ლექსები პოეტურ სახეთა სტილისტიკური გამოხატულებითა და ფორმით ისე მკვეთრად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც დედანში.

რეალისტურ ფერებშია შესრულებული სანდრო შანშიაშვილის „კახეთის დედოფალის“ თარგმანი. განსაკუთრებით იზიდავს მკითხველს ქორწილის აღწერა.

თარგმანის მიხედვითაც ვხედავთ, თუ საბჭოთა ადამიანი მძლავრი მკლავებით როგორ იმორჩილებს აბობოქრებულ მდინარეებს და ელექტრონის კაშკაშა შუქი როგორ აბრმავებს კაპიტალისტურ ქვეყნების დემაგოგებს (იოსებ გრიშაშვილის „სინათლე“).

თარგმანში დაცულია მხატვრული სახე; ბურჟუაზიის მსახურები—უკუნეთის მონები, რომელნიც გაურბიან საბჭოეთის ბრწყინვალე მზეს.

ჩვენი მრეწველობის შრომითი აღმავლობა მხატვრულადაა ნაჩვენები მაყვალა მრევლიშვილის ლექსში „აბრეშუმი“. ვ. ურუშაძე ოსტატურად გადმოგვცემს მუშაობის პროცესს: ოქროს დალალებივით გაშლილი დართული აბრეშუმი, რომლის ხვეულებს შორის მხიარული ყიჟინით დაქრის მაქო. თანდათანობით ვარდის ფურცლებივით იშლება ნაყშიანი ქსოვილი, რომელმაც უნდა შეამკოს ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობა.

როგორც ვხედავთ, ქართული პოეზიის ანთოლოგია ჩვენი ქვეყნის შრომითი გამარჯვებისა და კულტურული წინსვლის ბრწყინვალე მაჩვენებელია. იგი წარმოადგენს ქართველი ხალხის ძვირფასს საგანძურს, რომელსაც ჩვენ ვუპირისპირებთ ოდენებისა და ელიოტების ნევრასტენულსა და გამოფიტულ პოეზიას.

მერი იანჟოლოვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. გრიშაშვილი—„საბავშვო ლექსები". საბლიტგამი.

★

ი. გრიშაშვილი საკმაოდ კარგად იცნობს საბჭოთა ბავშვების სულიერ სამყაროს, იმ სინამდვილეს რომელშიაც ცხოვრება უხდება ჩვენს ბედნიერ ახალგაზრდობას. პოეტურად კარგად მოფიქრებულ და გრძნობებით გამთბარ ი. გრიშაშვილის ლექსებში შესანიშნავად არის გამოვლინებული ჩვენი ქვეყნის მოზარდების მისწრაფებანი და სურვილები. მაგრამ ი. გრიშაშვილის ლექსების ღირსება მარტო ამით როდი განისაზღვრება, მისი ლექსები ბავშვებს სამშობლოს აყვარებს, ხელს უწყობს მოქალაქეობრივი შეგნებულობის გამომუშავებაში, აფართოებს ბავშვის გონებრივ არეს და იმპულსს აძლევს მის შემდგომ განვითარებას.

ი. გრიშაშვილი, რომელსაც ეხერხება ბავშვებისათვის საინტერესო თემების შერჩევა, მოვლენებისა და ფაქტების განზოგადოება, თავის მიზანს მხატვრული სახეებით აღწევს. პოეტი ცოცხალი ფორმით მკითხველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. პოეტს არ უყვარს მოსაწყენი მასალა, უსულო საგნები და მშრალი რჩევა-დარიგება. მისი ლექსების გმირები მხნე და შეგნებული, საბჭოთა ბავშვების დამახასიათებელი თვისებების გამომხატველნი არიან. მაგალითად, ლექსი, „დიდ სტალინს პატარა გორელებისაგან" არა მარტო პატარა გორელების, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა ბავშვის სურვილების გამომხატველია.

საბჭოთა ბავშვების ხასიათის შესახებ ლაპარაკობს პოეტის მეორე ლექსი, „სტალინის თაიგული". ეს ლექსი შთაგონებულია ძლიერი ლირიული ემოციით. მასში ესთეტიკური გამოხატულება ჰპოვა ჩვენი თაობის უსაზღვრო სიყვარულმა დიდი ბელადის მიმართ.

დიდი სულიერი განცდით არის თქმული შემდეგი სტრიქონები:

„ეს ვარდები შენს სახელზე
ჩემს ბაღჩაში გავახარე,
უყვარს ყველა მოძმე ერი,
საბჭოეთის დიდი მხარე.
დააკვირდი ამის ფარჩას,
სურნელებას, ფესვებს რტოებს!
არასოდეს გიღალატებს,
არასოდეს მიგატოვებს.
ეს ვარდები ჩვენ ვართ, სტალინ.
ურყევნი და მტკიცედ შლილნი,
შენს ალთაში დარწეულნი,
შენი სუნთქვით გაზოზრდილნი"

თუ რამდენად ნათელია საბჭოთა ბავშვის გონება და რამდენად ნაზი და ფაქიზია მათი გრძნობები, მკითხველი ამას მომდევნო სტრიქონებში ხედავს:

„ვუფრთხილდებით ჩვენს გაზაფხულს,
ერთად შეკრულს ამ ჩვენს გულებს.
ერთი ჰანგი გვიმღერია,
ერთი აზრი გვასულდგმულებს:

— ძია სტალინს გაუმარჯოს,
ვინც სწავლაში გვაძლევს ხალისს,
ძია სტალინს გაუმარჯოს,
ძია სტალინს! ძია სტალინს!"

ამრიგად, „დიდ სტალინს პატარა გორელებისაგან" და „სტალინის თაიგული" აზრით ღრმა და შინაარსით მდიდარი ლექსებია. მასში ნათლად მოჩანს საბჭოთა ბავშვების ჯანსაღი სახე.

ი. გრიშაშვილს მშობლიური მიწის სიყვარულზე ბევრი ლექსი აქვს დაწერილი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „ოქტომბრელის სიმღერა", „პატარა გოგიას საჩუქარი", „ბრძოლის გმირებს, სწავლის გმირებს" და სხვა. პოეტის მიერ სოციალისტური სამშობლოს სიყვარულის თემაზე დაწერილი ლექსები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ახალგაზრდობის პატრიოტულად აღზრდის საქმეში. ი. გრიშაშვილის ლაკონიურ და კეთილხმოვან ლექსებში არა მარტო გამომჟღავნებულია საბჭოთა ბავშვების დამახასიათებელი თვისებები: გმირობა, სიმამაცე, სამშობლოს სიყვარული, სწავლისა და შრომის მნიშვნელობის შეგნება. არამედ მისი ლექსები თვით უწყობენ ხელს ამ თვისებების გამომუშავების, დანერგვის საქმეს. ი. გრიშაშვილის პატრიოტული ლექსები ჩვენს ნორჩ თაობას ამზადებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად, ზრდის მას სახელოვან მოქალაქეებად და სიცოცხლით აღსავსე ადამიანებად.

„ოქტომბრელის სიმღერა" ჩვენი თაობის ნებისყოფას გამოხატავს.

„არ განმიცდია წარსულის
სიდუხჭირე და ნაღველი,
დიდი ოქტომბრის შვილი ვარ.
ახალი ქვეყნის მნახველი.
ვემსახურები სამშობლოს
ნაყოფიერი შრომითა...

მაგრამ თუ მტერი დაგვესხა
სისხლით, სიკვდილით, ომითა,—
მაშინ მეც ანაზდეულად
განზე მედება წიგნები
და ჩემი ქვეყნის სახსნელად
მებრძოლთა რიგში ვიქნები.

ლექსის ბოლო სტრიქონები კი:

„დიდი ოქტომბრის შვილი ვარ,
დიდ ბელადს მივე პირობა —
სამი რამ უნდა მიყვარდეს:
სწავლა, შრომა და გმირობა“.

ლაპარაკობენ იმის შესახებ, თუ სოციალისტური საზოგადოების ახალგაზრდობა როგორ აფასებს ცოდნას, როგორ მიისწრაფვის სწავლისა და გმირობისაკენ. პატრიოტულ თემაზე დაწერილი ი. გრიშაშვილის ლექსები გამართული, მიმზიდველი, და უაღრესად მელოდიურია. ისინი მდიდარ შთაბეჭდილებებს სტოვებენ, ბავშვის გონებას იპყრობენ და მასზე აქტიურ ზემოქმედებას ახდენენ. ამ მხრივ ი. გრიშაშვილის ლექსები ქართველი კლასიკოსების საბავშვო ლექსების სტილს მოგვაგონებენ. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, თითქოს ი. გრიშაშვილი კლასიკური მწერლობის უბრალო მიმბაძველი იყოს. პირიქით მისი ლექსები არსებითად განსხვავდება გასული საუკუნის რეალისტი მწერლების ლექსებიდან. ი. გრიშაშვილის ლექსებს სულ სხვა საფუძველი, სულ სხვა შინაარსი აქვს და სულ სხვა პოლიტიკურ-ეკონომიური ვითარებაში არიან წარმოშობილი. ი. გრიშაშვილის ლექსები მძიმე ფსიქოლოგიური განცდებით და მწვავე კონფლიქტებით როდი არიან დატვირთული, არამედ მისი ლექსები აგებულია სოციალისტური სამშობლოს ღრმა სიყვარულზე, სუნთქავენ თავისუფალი ქვეყნის ჰაერით და უკლასო საზოგადოების ბავშვების ბედნიერ და ლამაზ ცხოვრებას. გამოხატავენ.

ი. გრიშაშვილის მხატვრული — ოსტატობის ნიმუშს წარმოადგენს ლექსი, „დაობლებულ ბავშვებისათვის“. მაგრამ ჩვენ აქ მარტო ოსტატობასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ მოწინავე იდეასთან. იმ კეთილშობილურ გრძნობებთან, რომელიც დამახასიათებელია საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის. ჩვენ ვიცით, რომ ომის დროს ვერაგმა მტერმა მთელი რიგი ქალაქები დაანგრია, სოფლები ააოხრა და ბევრი ბავშვი დაობლა, მაგრამ არც ერთს მათგანს ობლობა არ უგრძვნია, რადგან საბჭოთა კავშირის რომელ მხარეშიაც არ უნდა მოხვედრილიყვნენ ისინი, ყველგან თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ კუთხეში და ოჯახში. ლექსი „დაობლებულ ბავშვებისათვის“, დაწერილი 1942 წელს, უაღრესად მგრძნობიარე და უაღრესად ამაღელვებელია. შეუძლებელია ადამიანში ძლიერი სულიერი განცდები არ გამოიწვიოს პოეტის შემდეგმა სტრიქონებმა:

„ო, ეს გოგონა! ეს ბიჭუნა!
ო, ეს სიშიშვლე!
მტრისგან თელილი იავარად
ოჯახი თბილი!
მიუალერსეთ, ანუგეშეთ,
ეძმეთ, იშვილეთ,
და რაც სიმწარე განიცადეს,
აგემეთ ტკბილი“.

და შემდეგ:

„მტერმა წაართვა მათ დედ-მამა.
სახლი და კერა,
თალხით შემოსა მათი ქვეყნის
ბრწყინვალე ღამე,
თქვენს მაჯისცემას შეუერთეთ
ეს გულთა ძგერა —
ო, მოუარეთ, ანუგეშეთ,
უთხარით რამე!“.

მომდევნო სტრიქონებში პოეტი შესაფერისად ანვითარებს თავის გრძნობებს და წერს:

„ჩვენო ბალღებო! გაუწიეთ
დობა და ძმობა,
ნუ იქნებიან ჩვენში ობლად
დაჩაგრულები!
დე, ერთმა ძალამ ბავშვობის და
სამშობლოს ტრფობამ, —
შეაკავშიროს თანაგრძნობით
თქვენი გულები“.

ბოლო სტრიქონები, რომელსაც სიძლიერე და სიმკვეთრე არ აკლიათ, შემდეგი სიტყვებით მთავრდება:

„დიადი რისხვის წმინდა გრძნობამ
დროშა აღმართა!
უმანკო ბავშვთა სისხლი გვეხმობს
ზღვად მოკამკამე.
გადააფარეთ, მეგობრებო,
ქართული კალთა,
ო, მოუარეთ, ანუგეშეთ,
უთხარით რამე!“

ამრიგად ამ ლექსს ორი გრძნობა, ორი აზრი ამოძრავებს, სიყვარულისა და სიძულვილის. სიყვარული ჩვენი ბავშვებისადმი და სიძულვილი მტრების მიმართ.

წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს და მკითხველის ყურადღებას იპყრობს შემდეგი ლექსებიც: „დედის წერილი“, „მესაზღვრეთა სიმღერა“ და „ჩვენ ოთხნი ვართ“. საბჭოთა დედის ძვირფასი და დიდებამოსილი სახე ნათლად ჩანს ლექსში, რომელსაც „დედის წერილი“ ეწოდება. ამ დახვეწილ და სურათოვან ლექსში, რომელშიაც პოეტის არა მარტო მხატ-

ბრული გემოვნება მეღავნდება, არამედ მისი პოლიტიკური ალღოც, მძლავრად გაისმის დედის გამაფრთხილებელი ხმა, იმ საბჭოთა დედისა, რომელიც საკუთარი შვილის სიცოცხლის აზრს სოციალისტური ქვეყნის სიყვარულში ხედავს. 1938 წელს დედა საზღვარზე მდგომ თავის შვილს შემდეგი შინაარსის წერილს უგზავნის:

„შვილო, საზღვარს გაუფრთხილდი,
არ მიენდო მტრის ოინებს,
ასი ყური გამოისხი,
ასი თვალი იქონიე.
ჩვენს წმინდათა-წმინდა მიწას
ემუქრება მტერი ღრენით,
ცოცხალ რკალად შემოვევლეთ
ჩვენი ქვეყნის მესაზღვრენი“.

შემდეგი გამამხნევებელი სიტყვებით მთავრდება შვილისადმი მიწერილი დედის წერილი:

„მთელი ხალხის მხარდაჭერით
გავიმარჯვებთ, გენაცვალე,
ნურაფრისა გეშინიან,
თუ ატყდება ომი ხვალე!

თუ ატყდება ომი ხვალე,
მასახელე, ჩემო ბიჭო,
მტერი საზღვარს არ მოუშვა,
იქვე უნდა დაამიწო“.

ლექსი „მესაზღვრის სიმღერა“, სიტყვის წყობით და მუსიკალური ხმით უაღრესად მიმზიდველია, შინაარსით კი ისეთივეა, როგორც პირველი ორი ლექსი. სამივე ამ ლექსს, დღესაც, როდესაც ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტები ახალი ომის გაჩაღებას აპირებენ, არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა.

ლექსი „სიმღერა მეომრის“ ახალი ომის გამჩაღებლებს ეხება. ომის დამთავრების ორი წლის შემდეგ პოეტი წერს:

„მაგრამ თურმე დარჩენილა
ერთი-ორი სისხლის მდომი
და იარაღს აღარუნებს,
რომ ატეხონ კიდევ ომი.
ურჩევნია ნუ გვაქეზებს,
ნუ ეჩვევა ხელის ფათურს,
თორემ ჩავკლავთ უფიქრელად
იმათ აზრებს მუხანათურს.
დიდ სტალინმა მოგვიწოდა
და ჩვენც იმის სახელს ვფიცავთ:
მტერს არასდროს გავახარებთ, —
საბჭოეთის მიწას ვიცავთ“.

ეს სიტყვები თქმულია არა უბრალოდ შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით, არამედ იგი სინამდვილეს ასახავს და საბჭოთა ადამიანების სიძლიერეს და მის ხასიათს გამოხატავს.

შრომის თემას ისეთივე [illegible] უჭირავს საბავშვო პოეზიაში, როგორც საერთოდ საბჭოთა მწერლობაში. ეს თემა უაღრესად მნიშვნელოვანია და მის მხატვრულ დამუშავებას უაღრესად დიდი საზოგადოებრივი და აღმზრდელობითი ხასიათი აქვს. სოციალისტური შრომის პროცესში ადამიანი ვითარდება გონებრივად, ფიზიკურად და სოციალიზმის შეგნებული მშენებელი ხდება. სოციალისტური შრომა არის ადამიანის ბედნიერების პირველი და უმთავრესი წყარო. მის გარეშე არ შეიძლება სულიერი სიმშვიდისა და საბჭოთა კავშირის ღირსეული მოქალაქის სახელის მოპოვება. ამ მეტად საპასუხისმგებლო თემაზე პოეტს რამდენიმე საყურადღებო ლექსი აქვს დაწერილი. ყველა მისი ამ თემაზე დაწერილი ლექსი ბავშვს თავიდანვე აყვარებს შრომას და შრომისადმი პატივისცემის გრძნობას უღვიძებს. პოეტი გაბედულად, პირდაპირ ელაპარაკება ბავშვებს და მოურიდებლად აცნობს კიდეც იმ შედეგებს, რომელიც შეიძლება მოყვეს სწავლისა და შრომისადმი გულგრილ დამოკიდებულებას.

„მუდამ შრომა, მუდამ სწავლა.
აი, თქვენი გზა და კვალი.
ის, ვინც უქმად ხეტიალობს,
მას არა აქვს მომავალი.

ვაი იმ ბავშვს, ვინც თავის დროს
გაატარებს ცუდად, უქმად, —
უნდა შრომით მოიპოვოთ
დიდება და ტკბილი ლუკმა“.

პოეტს უყვარს ბეჯითი მოსწავლე, შრომისმოყვარე ბავშვი. იგი ძვირფასი საღებავებით ხატავს მათ სახეებს. მაგრამ პოეტი ამავე დროს არ ერიდება ზარმაცებს. ლექსები „ზარმაცი“, „ძილის გუდა“, „ონავარი“ და „ლაზღანდარა“, ისე ოსტატურად და მოფიქრებულად არის დაწერილი, რომ მისი წამკითხველი ბავშვი უთუოდ გაემიჯნება სიზარმაცეს. ამ ლექსებს შეუძლია ხელი შეუწყოს ჩვენი ნორჩი თაობის ესთეტიკურ აღზრდას და განათლებას.

წიგნის პირველ ნაწილში მოთავსებული სხვა ლექსებიც, სახელდობრ: „ჩემს პატარა მკითხველებს“, „სკოლის ზარის წკრიალზე“, „ხეს დავარქვი ცხრა მაისი“, „მიყიდე“, „გაზაფხულის მოლოდინში“, „პელო“ „პატარა ოსტატები“, „ლამპების საუბარი“, „ყურადღება“, „ია და ყაყაჩო“, „გაზაფხული“, „ზაფხული“, „შემოდგომა“, „ზამთარი“, „სოფლისაკენ“ და სხვ., დაწერილი თანამედროვე თემაზე ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ პოეტი, რომელიც იცნობს

თავისი მკითხველის მომზადების დონეს და მოთხოვნილებებს, ითვალისწინებს ასაკობრივ თავისებურებას და ამისდამიხედვით იყენებს ბავშვის ფსიქიკაზე სამოქმედოდ, შესაფერის მხატვრულ ფორმას.

მეორე განყოფილებაში მოთავსებული ლექსებიდან ყურადღებას იმსახურებს: „ანბანთქება“, „ეთერიკოს თაიგული“, „საბავშვო ბაღში“ „ცეცხლს ერიდეთ“ და „გოგია და მურია“. ამ ლექსებით ბავშვები საზოგადოებრივ და ბუნებრივ მოვლენებს, საგნების შინაგან და გარეგან მხარეს ეცნობიან. განსაკუთრებით საყურადღებოა ლექსი „ცეცხლს ერიდეთ“. ამ ლექსით პოეტი ებრძვის დაუდევრობას, აფრთხილებს ჩვენს ბავშვებს, აცნობს დაუდევრობით და უწესრიგობით წარმოშობილ ხანძრის საბედისწერო შედეგებს. ორმოცდარვა სტრიქონიან ლექსს, სადაც ყოველი სიტყვა თავის ადგილზეა, არაფრის მიმატება და გამოკლება არ სჭირდება, უაღრესად აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

მაქსიმ გორკი, როდესაც საბჭოთა საბავშვო წიგნის მნიშვნელობაზე ლაპარაკობდა და განსაზღვრავდა მის ამოცანებსა და ხასიათს, ამბობდა, რომ: ჩვენ გვინდა ისეთი გასართობი და შესაქცევი საბავშვო წიგნიც, რომელიც ბავშვში იუმორის გრძნობას განავითარებსო. ი. გრიშაშვილის წიგნის მესამე განყოფილებაში შესულია სწორედ ისეთი პოემები, რომელნიც ჩვენს ბავშვებს იუმორის გრძნობის განვითარებაში ეხმარებიან. ხალხურ მასალაზე აგებული და ხალხურ ენასთან მჭიდროდ დაკავშირებული „მუსტაფას ვირი“, „მოლა და ძაღლი“ თუ გინდა „სიზმარა“ და „ბაბაჯანას ქოშები“,—აკმაყოფილებენ მაქსიმ გორკის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ნაწარმოებები, რომელშიაც ძირითადად გამოყენებულია ხალხური ზღაპრების რეალისტური ტრადიცია, განთავისუფლებულია ცრუ ფანტაზიისაგან და უცნაურ და გამოგონილ გმირებისაგან. მის ნაწარმოებებში [illegible] ცხოვრების ცოცხალი სურათები და მისი გმირებიც თითქოს ნაცნობი ადამიანები არიან. მაგალითად, „მოლა და ძაღლში“, რომელიც შეიძლება სოციალურ ნაწარმოებათ მივიჩნიოთ, გამოყვანილი სოვდაგარი და მოლა ცხოვრებიდან აღებული ნაცნობი სახეებია. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ი. გრიშაშვილის ყველა ზღაპარი რეალისტურად არის დაწერილი.

ამრიგად, ი. გრიშაშვილის ლექსების წიგნი კარგი საჩუქარია ჩვენი ბავშვებისათვის. იგი ხელს უწყობს მხნე, გაბედული და ხალისიანი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. ი. გრიშაშვილის კარგად მოფიქრებული, პოეტური გრძნობებით და ჰუმანიზმით გამთბარი ლექსები კომუნიზმის მომავალ მშენებლებს სწორ წარმოდგენას აძლევს სოციალისტურ ყოფასა, მორალსა და დისციპლინაზე, აღვიძებს მათში სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობას და აჩვევს სოციალისტური შრომისა და საკუთრებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულების აუცილებლობას, ამასთანავე უნერგავს სოციალისტური სამშობლოს მტრების სიძულვილს და ამზადებს საჭირო შემთხვევაში მათ წინააღმდეგ საბრძოლველად.

წიგნის მხატვრობა ეკუთვნის ნიჭიერ მხატვარს მ. დაუშვილს. მას თავისი მხატვრული ენერგია არ დაუზოგავს ლექსის შინაარსის შესაფერ ტიპების შესაქმნელად. მისი ტიპები რეალისტურია მაგრამ წიგნის ტექნიკურ გამომცემლებს საკმარისი გულისხმიერება არ გამოუჩენიათ სურათების განლაგების დროს, არ დაუცავთ სურათების სიმეტრია და ზომა. ამასთანავე ლექსის სათაურები წიგნში ერთ ზომაზე არ არის დაყენებული, საერთოდ წიგნი ტექნიკურად ცუდად არის შესრულებული.

ვლ. არტემიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. მეგრელიძე — „ბუბა და ლელა", 1949 წ. „საბლიტგამი"

★

ლ. მეგრელიძეს თავის წიგნში — „ბუბა და ლელა" დაუსახავს ფრიად კეთილშობილური მიზანი — ეჩვენებინა ბავშვებისათვის სწავლის ყოვლისშემძლე, გარდამქმნელი ძალა.

მთის ფერდობზე არწივის ბუდესავით მიკრულ ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებ ჯოყოს ორი ბავშვი — ბუბა და ლელა სწავლის სურვილით არიან აღსავსე. ამ სურვილს კიდევ უფრო ფრთები შეასხა სოფლის მასწავლებლის მუდმივმა პროპაგანდამ. ავტორმა ნათლად და კარგად დაგვიხატა სოფლის მასწავლებლის სპეტაკი და მზრუნველი სახე.

ბუბა და ლელა გადაწყვეტენ სასწავლებლად თელავს წასვლას, რადგანაც მშობლების დიდი წინააღმდეგობის გამო, მახლობელ სოფელში, სადაც სხვათაშორის მათი ძმა აპარეკა სწავლობდა, სკოლაში მისვლას ვერ ბედავენ. მათ თავისი განზრახვა კიდეც შეასრულეს. თელავში ჩამოსულ ბავშვებს დიდ დახმარებას უწევს ილო და თალაშა, ნაცნობები დედის მხრით, და აგრეთვე რაიკომის მდივანი.

ავტორს რაიკომის მდივნის სახეც, ისე როგორც სოფლის მასწავლებლისა, უეჭველად კარგად და დამაჯერებლად გამოუკვეთავს. ავტორმა გვიჩვენა საბჭოთა ადამიანის კეთილშობილური მიზანსწრაფვა, მისი დიდი მზრუნველობა ჩვენი ბავშვებისადმი.

მიუხედავად ყველა ამ დადებითი მხარეებისა, წიგნს თან ახლავს მეტად სერიოზული ნაკლოვანებანიც.

მართალია, მასწავლებლის პროპაგანდამ ხელი შეუწყო ბავშვების გარდაქმნას, მაგრამ ავტორმა ვერ შეძლო ამ პროცესის ჩვენება. გამოვიდა მარტოდენ მშრალი აღწერა.

ასევე დაემართა ავტორს ჯოყოს სახის დახატვისას. თუ პირველ ხანებში ჯოყო დიდ წინააღმდეგობას უწევდა რაიკომის მდივანსა და მასწავლებლებს შვილების სკოლაში დატოვებაზე, თელავს მეორედ ჩასული ჯოყო უკვე ქედს იხრის სწავლის ძლიერების წინაშე. ავტორს აღნიშნული აქვს, რომ მასწავლებლისა და რაიკომის მდივნის რჩევამ მასზეც გარკვეული გავლენა მოახდინა. იბადება კითხვა: კაცი, რომელიც ძველი, ხავსმოკიდებული წეს-ჩვეულებებით იყო გაჟღენთილი, რომელსაც სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი ძველი ცხოვრების ჩვევები, ნუთუ ასე ჩქარა გამოიცვალა?! ნუთუ მის გარდაქმნას უფრო ღრმა მიზეზი არა ჰქონდა? დიახ, ჰქონდა, — მაგრამ საქმე იმაშია, რომ ავტორი კმაყოფილდება მარტოოდენ ლიტონი სიტყვითა და ღრმა საფუძველს ვერ უძებნის ჯოყოს ხასიათის გამოცვლას.

ცხადია, მასწავლებლის პროპაგანდა მასზე ისეთ გარდამქმნელ გავლენას ვერ მოახდენდა. ამას უფრო ღრმა სოციალური მოტივი უძევს საფუძვლად: ჯოყო ხედავდა, რომ მის სოფლელებს, მის ბიძაშვილებს, თითქმის ხალხის უმეტეს ნაწილს სკოლაში მიჰყავდა შვილები და რაც მთავარია მის სულში შეანთა, ახალი ცხოვრების შუქმა, ხევსურეთში გზის გაყვანამ. ჯოყო ხშირად—ჩამოდიოდა დუშეთში, ხედავდა ხალხს, ცხოვრებას, — ყოველივე ამან ითამაშა გარკვეული როლი მისი ხასიათის შეცვლაზე.

წიგნი ზოგგან ენის მხრივაც მოიკოჭლებს. „...ისეთი მხიარული იყო ამ წამს ლელა, რომ აღარ იცოდა-აპარეკას წითელი ყელსახვევი ემჯობინებინა თუ ეს „ფლარაფლურები" (!?) რა გამოთქმაა „ფლარაფლურები!". ხევსურეთში ასეთ რამეს კაცი ვერ გაიგონებს.

ავტორი ზოგჯერ მიმართავს ყოვლად გაუმართლებელ შედარებებსა და გამოთქმებს. ნიმუშად შეიძლება დასახელებულ იქნას: „მთელი არსებით ათრთოლდა ლელა. თითქოს უთვალავი ტოროლა აპარპაშდა მის გულში მის თავში, ფეხებში და ხელის თითებში" (?!) მართლაც, კურიოზული შედარებაა. რა უნდა გაიგოს ამ ფრაზიდან ბავშვმა?

შემდეგ: „ჯოყომ თვალები მოიფშვნიტა, წამწამზე შემოღამებული ნისლი ჩამოიბერტყა"... უნდა ითქვას, რომ ავტორს შეცდომით აქვს ნახმარი სახელი „ჯოყო". ასეთ სახელს ხევსურეთში ვერ შეხვდება კაცი. ავტორს ჯოყოლას მაგიერ ჯოყო დაურქმევია, ჯოყოლა კი ნამდვილი ხევსურული სახელია. ჯოყოც ისე წარმოგვიდგინა ავტორმა თითქოს ჩიბუხის წევის მეტს არაფერს აკეთებდეს. ის წერს ჯოყოს შესახებ: „ჯოყო ბანზე იჯდა და მშვიდად აბოლებდა გრძელტარიან ჩიბუხს". კიდევ სხვა ადგილას ვკითხულობთ: „ჯოყო უცქერდა ამ სურათს და მშვიდად აბოლებდა ჩიბუხს". გამოდის, რომ ჯოყო, რომელსაც მაგალითი უნდა ეჩვენებინა ოჯახის სხვა წევრებისთვისაც შრომაში, ჩიბუხის ბოლების მეტს თითქოს არაფერს აკეთებდა.

ჯოყოს ბავშვებიც ისე წარმოგვიდგინა მან, თითქოს მათ ოჯახში წიწკრების მოგროვები!

გარდა საზრუნავი არაფერი ჰქონდეთ. ჯოყო ასე უხეშად მიმართავს ბავშვებს: „ჰეი, ძუ ლეკვებო, რამდენი კონა წიწკარი მოაგროვეთ დღეს?“ ხევსური ასეთ წვრილმანზე და საერთოდ ასე უპატივცემლოდ არ მიმართავს ოჯახის წევრებს. სხვაგან ვკითხულობთ. „ჯოყომ ბავშვებს მიაძახა: „ყოველდღე თითო წიწკარი მოაგროვეთო“. ან კიდევ: „ქალაის რად უნდა სწავლაი, წიწკარი უნდა მოზიდოსო“. უცოდინარობას იჩენს ავტორი თვით ხევსურეთის ცენტრის—ბარისახოს აღწერაშიაც. წიგნში ვკითხულობთ: „ბარისახოში თემაღმასკომია, ამბულატორია, სკოლა, კინო-თეატრი“. ავტორს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ბარისახოში არის საავადმყოფო, დასასვენებელი სახლი, კოოპერატივი, სკოლა-ინტერნატი, ფოსტა, საერთო საცხოვრებელი, ელსადგური და საბჭო. საჭიროა იმ მხარის ცოდნა, რომელზეც ვწერთ.

ავტორი ერთ ადგილას სწერს: „ჯოყო ფეხზე წამოიჭრა, უშველებელ ხანჯალზე დაიკრა ხელი—„...—მავკლავ მაგ ლეკვებს, მავკლავ! ქალაიმ როგორ უნდა გაბედოს მაგისთანა ამბები?“. მეორე ადგილას ვკითხულობთ: „..მავკლავ მაგ ძუ ლეკვებს!.. ყოველწუთს ხანჯალზე იტაცებდა ხელს და ღრიალებდა: მოვკლავ! მოვკლავ!“ და შემდეგ: „...იყვირა ჯოყომ, იშიშვლა ხანჯალი და გაექანა ბუბასაკენ“ განა არ უნდა იცოდეს წიგნის ავტორმა, რომ ხევსური საერთოდ ქალებისაკენ არ მიიწევს ხანჯლით. მართალია, ჯოყო წინააღმდეგი იყო ბავშვების სწავლის, მაგრამ მათკენ ხანჯლით გაწევა და, მით უმეტეს მასწავლებლისა და რაიკომის მდივნისაკენ, მკითხველის შეცდომაში შეყვანაა. ავტორი მეტად უცნაურად აღწერს ხევსურული სახლის მოწყობილობასაც. „დაბლა სართულში — საკვამურს, ხევსურები სასტუმროს ეძახიანო“—ვკითხულობთ. არავითარ საკვამურსა და სასტუმროს ხევსურები ქვედა სართულს არ ეძახიან. ქვედა სართულს ჰქვია „ბოსელი“, რომელიც ორ ნაწილად განიყოფება: „საძროხე“ და „კაცთა სამყოფი“. ავტორის აზრით, ხევსურებს თურმე უდგას ერთი საწოლი, რომელზეც ზამთრობით მთელი ოჯახი თავსდება(!!) ეს გამოგონილი ამბავია. როგორც ჩანს, ავტორი ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებს ხევსური შამაკაცისა და დედაკაცის ტანსაცმელს, თორემ სხვას რას უნდა მივაწეროთ ასეთი არევა: „ჯოყოს შვილებს, — წერს იგი, — დაბადებიდანვე მატყლის უხეში პერანგები ეცვათ, ასეთივე ჩოხა-ქოქომონები; თავზე — ჩიხტაკოპივით შეკერილი ქუდები“.

ერთგან ავტორი აცხადებს: გარეკეს ცხვრები, ძროხები, დეკნები“. ავტორს დეკეულის მაგიერ დიკნები დაუწერია. ის ერთმანეთში ურევს მოხეურსა, ფშაურსა და ხევსურულს, რომლითაც გმირებს ალაპარაკებს, თუმცა საჭირო არ იყო საბავშვო წიგნში, ბაბალიმე დიალექტის ხმარება, მაგრამ რაკი ხევსურებზე წერს, უნდა გამოყენებული იყოს ხევსურული სიტყვიერი მასალა და არა არეული მოხევური და ფშაური, რაც უცოდინარობის შედეგია. ავტორი წერს: „ხევსურები იტყვიან: გაზაფხული ყოოდეს და ქალაის რა აწუხებდესო“. და ეს სიტყვები ხევსურული ჰგონია. — „ყოოდეს“ არის ამ სიტყვის ფშაურად გამოთქმა, ქალაი კი — მოხევური. ავტორს მოუკრავს ყური მთის რომელიღაც კილოსათვის და სულ ერთია მას ხევსურულს მიაკუთვნებს, ფშაურს თუ მოხევურს.

ავტორმა ხევსურეთის შორეული სოფლიდან ბავშვები სასწავლებლად ჩამოიყვანა თელავს, მაშინ, როდესაც არაერთი ხევსური ქალი სწავლობს ბარისახოში, სადაც მათთვის განკუთვნილი სკოლაა. და ყოვლად დაუჯერებელია, რომ ისინი ბარისახოში არ მისულიყვნენ და თელავს წამოსულიყვნენ.

წიგნის ავტორი ხევსურეთში თემს ხედავს. ესეც შეცდომაა. ხევსურეთი თემებად დიდიხანია აღარაა დაყოფილი. იგი ბუბასა და ლელასაც სრულიად უმეცრებად გვიხატავს. თელავში რომ ჩამოვიდნენ, მარტიას ეკითხებიან: „ძია, აქ მთვარემ იცის ამოსვლაო“. თუმცა ავტორიც გრძნობს, რომ ლელას, „სისულელე“ წარმოათქმევინა და ამიტომ ათქმევინა ბუბას:—„გაჩუმდი, სირცხვილიაო“. წიგნში ერთგან წერია: „მოაგონდათ: ხევსური მამაკაცები ქალებთან ერთად პურს არ ჭამენო“. საკვირველია, ვინ მოახსენა ავტორს ეს ხევსურეთში გაუგონარი რამ? შემდეგ „ცხორსა და ცხორებს“ სწერს ავტორი, ღრმად დარწმუნებული ამ სიტყვის ხევსურულობაში: „ქალაიმ ცხორი უნდა წყემსოსო“. „ცხორებს სდარაჯობენ“ აქაც გამოთქმები „ცხორი“ და „ცხორებს“ მოხეურია.

მკითხველში ყველაზე უფრო მეტს გაოცებახ იწვევს ერთი გარემოება: ავტორს ერთგან გამოყენებული აქვს ვაჟას „ბახტრიონი“-დან ის ადგილი, როდესაც ლუხუმის შეკითხვაზე, თუ სადაურია ის, ლელა უპასუხებს: „შანშეს ქალი ვარ ბაჩლითაო“. ავტორს ეს გაუგია მცდარად. მის წიგნში ბუბა და ლელა ბებია სანათას სთხოვენ მოუყვეს „ბაჩლითას“ საგმირო ამბავი. „ბაჩლითა“ გაუგია, როგორც ქალის საკუთარი სახელი. მას არ ესმის, რომ „ბაჩლითა“ მოქმედებითში დასმულიდან თანდებულიანი სახელია (ხევსურები და ფშაველები სულ ამ ფორმას ხმარობენ) და ნიშნავს ბაჩლიდან, კაცი, რომელიც ბაჩლიდანაა. ბაჩლი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი წიგნები

★

შაჟა-ფშაველა — „ჩხიკვთა ქორწილი“, მოთხრობა. საბლიტგამი. რედაქტორი პ. ინგოროყვა. მხატვარი ს. გაბაშვილი. 9 გვერდი. ფასი 4 მან.

დემნა შენგელაია — „წითელი ყაყაჩო“. რომანი. საბჭოთა მწერალი. რედაქტორი რ. გვეტაძე. 193 გვ. ფასი 10 მ.

თენგიზ გოგოლაძე — „გარიყულას განთიადი“, მოთხრობა. საბჭოთა მწერალი. რედაქტორი სიმონ ჩიქოვანი. 183 გვ. ფასი 5 მ. და 10 კაპ.

ჟორჟ სანდი — „ინდიანა“, რომანი, თარგმანი ფრანგულიდან მ. ციციშვილისა. სახელგამი. რედაქტორი გ. ქიქოძე. 340 გვ. ფასი 17 მ.

ქსენია სიხარულიძე — „ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“, ნარკვევი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. რედაქტორი ალ. ბარამიძე. 306 გვ. ფასი 8 მ.

ელმარ გრინი — „ქარი სამხრეთიდან“, რომანი. თარგმანი გრ. იარალოვისა. სახელგამი. რედაქტორი დ. ბენაშვილი. 230 გვ. ფასი 8 მ. 65 კაპ.

მაკარ ხუბუა — „საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ოქმები“. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 185 გვ. ფასი 20 მ.

კოლიო აბრამია — „თემურ თარბა“. ნარკვევი. სახელგამი. რედაქტორი ნ. შველიძე. 112 გვ. ფასი 3 მ. და 50 კაპ.

ლ. ბოჭორიშვილი — „ქართული კერამიკა“. ტ. I. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 258 გვ. ფასი 25 მ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი — „საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები“. ტ. I. კატალოგი. „ზარია ვოსტოკა“. 332 გვ. ფასი 30 მ.

ევგენი ხარაძე — „ვარსკვლავთ სამყარო“, ნარკვევი. სახელამი. 44 გვ. ფასი 2 მ.

ნ. ხანიკაევი — „საკითხავი წიგნი“. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელგამი. 106 გვ. ფასი 7.

ძ. გუმკაევი — „ოსური ლიტერატურის ქრესტომატია“. სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის სახელგამი. 219 გვ. ფასი 8 მ.

აკაკი შანიძე — „ქართული ენის გრამატიკა“. სახელგამი. 208 გვ. ფასი 5 მ.

შანდორ პეტეფი — „ლექსები“. თარგმანი გრიგოლ აბაშიძისა. საბჭოთა მწერალი. რედაქტორი ალ. გომიაშვილი. 120 გვ. ფასი 5 მ.

ილია ჭავჭავაძე — „წერილები“, ტ. I აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა. რედაქტორი შ. რადიანი. 206 გვ. ფასი 8 მ.

ირ. ევდოშვილი — „საბავშვო მოთხრობები“. საბლიტგამი. რედაქტორი დ. მაისურაძე. 105 გვ. ფასი 6 მ.

ალ. ჩავლეიშვილი — „ნარკვევები მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“. აჭარის ასსრ სახელგამი. რედაქტორი დ. ბენაშვილი. 134 გვ. ფასი 9 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰარმენ რუხუა — „რჩეული ნაწერები“. ლექსები და პოემები. აჭარის ასსრ სახელგამი. რედაქტორი ა. კელენჯერიძე. 209 გვ. ფასი 6 მ.

ანდრო ლომბიძე — „მონადირის ნაამბობი“. მოთხრობები. საბლიტგამი. რედაქტორი ფ. ტყემალაძე. 91 გვ. ფასი 8 მ.

ოთარ ჭელიძე — „რაჭველები“. ორი პოემა. საბლიტგამი. რედაქტორი ვლ. ჯიბუტი. 59 გვ. ფასი 4 მ.

ნ. ბოკუჩავა — „ვოკალური ხელოვნების საკითხისათვის“. რედაქტორი ა. ანდრიაშვილი. 182 გვ. ფასი 8 მ.

ვ. ლუნაჩევსკი — „ადამიანის უხილავი მტრები და მეგობრები“. რედაქტორი ნ. აბესაძე. ფასი 5 მ.

ვ. იაშვილი — „აჭარა თურქეთის ბატონობის პერიოდში“. აჭარის ასსრ სახელგამი. 150 გვ. ფასი 7 მ.

შ. თაბუკაშვილი — „პუნქტუაცია“. საშუალო სკოლების სახელმძღვანელო. სახელგამი. ფასი 3 მ.

შ. ჩუბინიძე — „ბუნების დიდი გარდამქმნელი ი. ვ. მიჩურინი“. სახელგამი. ფასი 1 მ. და 50 კაპ.

ნ. ბარანსკი — „სსრ კავშირის ეკონომიური გეოგრაფია“. სახელგამი. 523 გვ. ფასი 13 მ.

ა. მაყაშვილი — „ბოტანიკის ექსპერიმენტი საშუალო სკოლაში“. ტექნიკა და შრომა. 212 გვ. ფასი 12 მ.

ა. სევერიანოვი — „საზეინკლო საქმე“. ტექნიკა და შრომა. 70 გვ. ფასი 4 მ.

ირ. ბასილაია — „პირადი ჰიგიენა“. აჭარის ასსრ სახელგამი. 63 გვ. ფასი 1 მ.

ს. ნ. ჯანაშიას სახელობის საქ. სახ. მუზეუმის მომამბე, XIV-ა. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა 217 გვ. ფასი 20 მ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

	83
დემნა შენგელაია — წითელი ყაყაჩო, დასასრული	3
ლექსები სამგზარზე: შალვა ამისულაშვილის, ედიშერ ყიფიანის, მიხეილ ზანგურაშვილისა და გიორგი ლეჟავას ლექსები	47
კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი, ტრილოგია, გაგრძელება	51
ნირზო ტურსუნზადე — ინდიური ლექსები, თარგმანი ხუტა ბერულავასი	75
ადამ მიცკევიჩი—კონრად ვალენროდი, ისტორიული მოთხრობა, თარგმანი ირ. აბაშიძისა და კარლო კალაძისა	79
ნინო დოლიძე — ერთ ახალშენზე, მოთხრობა, დასასრული	92
ნიკოლოზ ჩაჩავა — ჭაღარა ხარატი, ლექსი	116
რუთა ბერიძე — ლატვიაში, ლექსები	117
გიორგი ყურაშვილი — თერგიდან სევასტოპოლამდე, ნაწყვეტები წიგნიდან	118
პ. შარია — ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" როგორც მარქსისტული ფილოსოფიის განვითარების ახალი ეტაპი, წერილი	142
შალვა ალხაზიშვილი — ნინო აბაშიძის მოთხრობები, ბიბლიოგრაფია	175
მერი იანჭოშვილი—„ქართული პოეზიის ანთოლოგია ინგლისურ ენაზე", ბიბლიოგრაფია	180
ვლ. არტემიძე — ი. გრიშაშვილი — „საბავშვო ლექსები", ბიბლიოგრაფია	183
ი. არაბული — ლ. მეგრელიძე — „ბუბა და ლელა", ბიბლიოგრაფია	186
ახალი წიგნები	190

Тбилисский ордена Ленина государственный университет им. Сталина
Библиотека

პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე აბაშელი, ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), იოსებ გრიშაშვილი, პავლე ინგოროყვა, სერგო კლდიაშვილი, ალიო მირცხულავა (მაშაშვილი), ბესარიონ ულენტი, გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დემნა შენგელაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/X-49 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 11¼ ფ. უე 04346. შეკვ. № 1025. ტირაჟი 5.700.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფონი № 3-23-42.

ფასი 8 მან.

4 МНАТ
РУСТАВЕЛИ.29
ФИЛАП ИЖЗП. Г.КА
1 12 4

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ